

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტი

სოსო სიგუა

მარტვილი და

ალამდარი

ტომი პირველი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი - 2003

უკ (UDC) 894.631.09

ს - 475

ეძღვნება დედაჩემის - მარიამ ბახიას ხსოვნას

"მარტვილი და ალამდარი" კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილი სტატიებისა და მონოგრაფიების ციკლია, რომელიც სამტომად არის გამოცემული:

ტომი პირველი: "კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების გზა" (1977)

ტომი მეორე: "კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა"

(1980, 1984, 1989, 1991, 2001)

ტომი მესამე: "კონსტანტინე გამსახურდიას თეორიული სისტემა (1916-1926)"

(1989, 1991, 2003)

და "სლანსკი, ასწვდმეტი" (1991)

რედაქტორი პროფ. რევაზ მიშველაძე;

რეცენზენტები: პროფ. ავთანდილ ნიკოლაიშვილი

პროფ. ამირან გომართელი

დოც. თეა მეფარიშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა - 2003

ISBN 99940-13-28-9

კონსტანტინე გამსახურდიას
ცხოვრების გზა

მეორე გამოცემა

პროლოგი

მარადისობის პირისპირ

ეს ვინ არის, ედომიდან რომ მოდის,

ბოცრადან – მეწამულით მოსილი?

ეს ვინ არის თავისი ბრწყინვალე სამოსელით,

თავისი ძალის სიდიადით მომავალი?

ეს მე ვარ – სიმართლის მეტყველი,

ხსნის შემძლეელი!

ძველი აღთქმა, ისაია, 63.

მებრძოლი თაობა და დაუდეგარი პიროვნება ამქვეყნად მოდიან განახლების პაროლებით, ოცნების ნისლეულით, თითქოს მანამდე არც არავინ ყოფილა.

ასეთი ხმაური მალე ჩაივლის ხოლმე და მხოლოდ თითო-ოროლა სახელი თუ შერჩება ერის მეხსიერებას. მაგრამ სხვა იყო XX საუკუნის დასაწყისი, რღვევის სამი, როცა ნაციონალურმა აღმავლობამ ერთბაშად ფერი უცვალა სიტყვასა და აზროვნებას.

რადგანაც მრავალნი არიან წოდებულ და მცირედნი რჩეულ, განგებამ განსაკუთრებული მისი დააკისრა ორ პიროვნებას – გალაკტიონ ტაბიძესა და კონსტანტინე გამსახურდიას. მათ იცხოვრეს უჩვეულოდ კომმარულ დროში, რაც სულთან შესახებით, გულის, გონებისა და ნერვების გავლით ხელოვნებად გარდაისახა.

თუ გალაკტიონ ტაბიძე არ ყოფილა იდეოლოგი და თეორეტიკოსი, კონსტანტინე გამსახურდიამ გაიაზრა სიტყვის მისტერია და საქართველოს ტანჯული ბედი.

ახალი დროის ნერვულ პულსაციას ადრევე გრძნობდნენ გრიგოლ რობაქიძე და "ცისფერყანწელები". მათგან განსხვავებით კონსტანტინე გამსახურდიამ უარყო წმინდა ესთეტობა და აბჯარასხმულ სპასალარად მოგვევლინა, რათა სიტყვა ლაშქარს გასძლოლოდა დაცემული სამშობლოს აღსადგენად.

მოდერნიზმი მთელი თაობის გატაცება იყო – განსაკუთრებით რუსი და ფრანგი მესიტყვენი. კონსტანტინე გამსახურდიამ, ისევე როგორც გრიგოლ რობაქიძემ, "ღმერთთან მორკინე" გერმანიას მიაპყრო მზერა და ექსპრესიონისტული სულით განიმსჭვალა. მაგრამ ხელოვნების ეს "ახალი აისი", წარმოედგინა არა მხოლოდ როგორც სტილი, არამედ როგორც ეთიკა და რელიგია. იგი იქცა ღირებულებათა გადაფასების მთავარ პუნქტად. ექსპრესიონიზმი პანაცეა არ ყოფილა, ისევე როგორც დიონისო და ქრისტე და თავის მიერვე უარყოფილ სიმბოლიზმსაც დაესესხა.

სიტყვის განახლება, ხელახალი განედლება მწერლისათვის იყო "ქართული სულის რენესანსი", სტილისა და იდეების უნივერსალიზება, წმინდა ხელოვნების დაცვა, იმ უცხო სახელების პროპაგანდა, რომლებიც საუკუნეთა სიღრმიდან ანათებდნენ, მაგრამ ქართლის მთებამდე ვერ მოედწიათ.

ამიტომ ქადაგებდა ევროპიდან მობრუნებული ჭაბუკი მისტიციზმს, მკითხველს აცნობდა გოეთესა და დანტეს, ნიცშესა და დოსტოევსკის, შპენგლერსა და უიტმენს, მათ ლანდებს ქართულ მიწაზე ასახლებდა; განიხილავდა რასისა და ენის პრობლემათა მოზაიკას, ინდურ ფილოსოფიას, ანტიკურ კულტურას, გეორგესა და რილკეს უჩვეულო პოეზიას, ფრანსისა და ჰამსუნის პროზას...

ხოლო ამ ინფორმაციის საფუძველი იყო ქართული ტრადიციები – ჰაგიოგრაფია და "ვეფხისტყაოსანი", ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა. ებრძოდა უტილიტარულ განმანათლებლობას, რომელსაც დაკნინებისაკენ მიჰყავდა ესთეტიკური და ნაციონალური სული. ამიტომ გადაეხლართა ერთმანეთს ასე მტკივნეულად კულტურა და პოლიტიკა, რაც მისი ნააზრევის განმსაზღვრელად იქცა, როგორც შინაგანი ძალის ძახილი.

სასოწარკვეთილი, დამარცხებული სამშობლოსათვის ხელოვნება უნდა ყოფილიყო აღთქმული ქვეყანაც, სიტყვაში – ყოფიერების სახლში ქართული სულის

შემნახველი და გადამრჩენი. ამიტომ გადმოისროლა მებრძოლი ლოზუნგები – "ღირებულებათა ხელმეორედ შეფასება", "ქართული სულის რენესანსი", "ქართული კულტურის დიქტატურა", რადგან როცა ერთი ჰკარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მან უნდა გაამძაფროს კულტურის ფრონტი, გადაარჩინოს სასიცოცხლო იდეები, მოამზადოს ასპარეზი ახალ ძალთა მოსავლენად.

დისტანციის პათოსიც ამავე მიზანს ემორჩილებოდა, ოღონდ დისტანციას ხალხისაგან კი არ იცავდა, არამედ ასე იცილებდა ბოლშევიზმის დამთრგუნველ ძალას, რათა ჰეროიზმით, პათეტიკით, გმირული ცხოვრების კულტით გაემხნევებინა გულგატეხილი მოქალაქენი, აღედგინა თეთრცხენოსანი რესპუბლიკის დაცემით დაკარგული რწმენა და იმედი.

კონსტანტინე გამსახურდიას აზროვნებაზე რამდენიმე ფაქტორმა იქონია ძლიერი ზეგავლენა და ჩამოუყალიბა მწერლის თვალთახედვა. პირველი იყო "საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის" დაარსება ევროპაში, რომლის წევრიც გახდა. მეორე – 1920 წლის იანვარში ჩასვლა მარადიულ რომში, რამაც მისი ინტერესი ხელოვნებისაკენ წარმართა.

მეგზური აქაც ფრიდრიხ ნიცშე იყო.

მაგრამ მალე დაეშვა სამშობლოს სამფეროვანი დროშა და კონსტანტინე გამსახურდია ისევ პოლიტიკამ გაიტაცა.

საუბედუროდ, ახალი დრო არ სცნობდა ოპოზიციონერებს. ის მათ აპატიმრებდა და ხვრეტდა. ამიტომ იძულებული იყო ლიტერატურას შეფარებოდა, თავისი აზრი სიმბოლოებითა და ალეგორიებით შეემოსა, გამოესხა სიტყვის ფრთები, სიტყვა ექცია ნაციონალური ბრძოლის იარაღად.

ერთ ფოკუსში მოგროვდა საბედისწერო, გულისმომკვლელი თარიღები – 1907 წლის ტრაგედია, 25 თებერვლის კატასტროფა, სისხლიანი 29 აგვისტო. ყველა მათგანი იყო მამისმკვლელობა, მშობლიურის განადგურება, საზარელი დანაშაული, რაც არ მოსცილდება ჩვენს ისტორიას, ისევე როგორც უახლესი სისხლისღვრა.

ბოლშევიკური ტირანიის ეპოქაში კონსტანტინე ჰგავდა კეთილშობილ დონკიხოტს, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძოდა, და მარტოსულ ჰამლეტს, ვისაც უძირო სევდა გულს უხრავდა.

კონსტანტინე გამსახურდიას ფანტაზიას, როგორც ტრაგიკული ბუნების ხელოვანს, ადაგზნებდა ერის ცხოვრების საშინელი წუთები, საკუთარ ბიოგრაფიად

აღქმული და გამოტანჯული, კაემანი და მელანქოლია – გაფოთლილი ღმერთმებრძოლ პერსონასთა სულში. ამიტომ გადაჰქონდა თარიღები და რეალიები მითოსისა და ისტორიის სარკეში, ანდა – თანამედროვე დღეებს ჭკრეტდა როგორც მითოსსა და ისტორიას, რათა გულგატეხილ ქართველს ეგრძნო ტირანის წარმავლობა და დროის მარადიული წრებრუნვა დაენახა.

მწერლის ფანტაზიაში ერთმანეთს შეენაცვლა ორი ასპექტი – ერთი არის თვალით ხილული მტანჯველი რეალობა ("დიონისოს ღიმილი", "მთვარის მოტაცება", "ვაზის ყვავილობა"), მეორე ისტორიაში უკუქცევით სულს უდგამს მარად თანამდევ ოცნებას ("დიდოსტატის მარჯვენა", "დავით აღმაშენებელი"), რაც მომავლის სამოქმედო გეგმაა, გამოვლენილი ნაციონალური იდეებითა (საქართველოსა და თბილისის განთავისუფლება, პარტიკულარიზმის აღკვეთა) და კულტურით (სვეტიცხოველის და გელათის აშენება), ხოლო "ვაზის ყვავილობაში" დანახული სამი არის შესვენების, ძალთა მოკრების პერიოდი, რათა დამარცხებული სამშობლო აღდგეს ფიზიკური და ინტელექტუალური შრომით, მომზადდეს მომავალი ბრძოლებისათვის, შექმნას საარსებო ბაზისი და წინსვლის პერსპექტივა, რადგან ისტორია ჩვენი დღეებით არ იხურება.

კოლეგებისა და ხელისუფლებისაგან არაერთგზის შერისხული სულს ითქვამდა თავის ოცნების სასახლეში. ბევრს ასეთი მოპყრობა კაცთმოძულედ აქცევდა, ცოცხალი რომც გადარჩენილიყო. მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას სტრიქონებს მსგავსი განწყობილება არ დასტყობია, რადგან არც ხელისუფლება და არც დღევანდელი მოსახლეობა არ არის სამშობლოს ჯამი. მას მუდამ თვალწინ ედგა დამცრობილი და მწუხარე საქართველო, რომელიც კაემანს სიცილითა და წითელი დროშების ფრიალით ფარავდა.

"მთვარის მოტაცების" ავტორი სავსებით უნიკალური მოვლენაა ჩვენს ისტორიაში – ბიოგრაფიით, ერუდიციით, შემოქმედებით, გაუტეხელი სულით. ყოველ სფეროში, რასაც კი მისი კალამი გადასწვდა, შთამომავლობას დაუტოვა წარუვალი ღირებულებების ქმნილებანი –

ლექსი,

ნოველა,

ესე,

თარგმანი,

რომანი.

მაგრამ, პირველ ყოვლისა, ავტორია ოთხი დიდი ქართული რომანისა.

ამ წიგნებით დგება იგი მარადისობის პირისპირ.

რაც გავა დრო და სამი, კიდევ უფრო იმატებს მათი სხივთა ძალა, რადგან კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დაცული და ნაქადაგები რწმენა წიგნის ფურცლებიდან გადმოვიდა, მასებს დაეუფლა და აზვირთებულ ქართველ ხალხს თავისუფლების გზაზე წარუძღვა, როგორც წყვდიადიდან თავდაღწეული ნათლის სვეტი.

1. გენეალოგია

მე იმ გვარისა ვარ,

ვისაც უკან დახევა არა სჩვევია.

თარაშ ემხვარი, "მთვარის მოტაცება"

ნაციონალური თვალსაზრისით გვარი მხოლოდ სიმბოლოა, მთავარია ცნობიერება. რამდენი უცხო ტომის შვილი ჰყავს რუსეთის ან საფრანგეთის ისტორიას, რომელთაც ამ ქვეყნების სიამაყეს ეძახიან. ხოლო გენეტურად, საუკუნეთა სრბოლაში, გვარი სიმბოლურ აზრსაც მოკლებულია, რადგან საერთოდ უარყოფილია დედის ხაზი. არადა – მშობელთა გენები თანაბრად გადადის შვილზე.

ასე რომ, წელთა მდინარეება გენოფონდს მთლიანად ცვლის.

გარდა ამისა, ათვლის წერტილიც – გვარის პირველწინაპრის ცნება – ფრიად პირობითია: ჩვენი მზერა ვერ წვდება წარსულის ლაბირინთებს, მაგრამ ძლიერია ტრადიციული ინტერესი, უკანმოხედვის სურვილი.

გვარის სიმბოლიკა, წარმომავლობის არსი ისე განმტკიცდა ბოლო საუკუნეებში, რომ ცნობიერებაზეც ახდენს ზეგავლენას და ფსიქიკურ ლტოლვებზეც.

ზოგჯერ იმდენად მძაფრია წარმოსახვა, სულიერი მირასი, რომ რეალობასაც კი სძლევს (გავიხსენოთ გრიგოლ რობაქიძის "გველის პერანგი").

მაგრამ წინაპართა გვარ-სახელები აღადგენენ გარდასულ ხანას, ისტორიულ და სოციალურ გარემოს, ინტერესთა სფეროს, რაც ხილულ თუ უხილავ კვალს სტოვებს პიროვნების სულში.

ამ მხრივაც საინტერესოა კონსტანტინე გამსახურდიას გენეალოგია, გვარის ისტორია, რომლის დასაბამს საუკუნეთა ნისლეული ჰფარავს.

ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ გამსახურდიების ოთხასწლოვან მატთან, მატთან იმ გვარისა, რომელმაც წარმოშვა საქართველოს უდიდესი პროზაიკოსი და საქართველოს პირველი პრეზიდენტი...

გადავფურცლოთ ძველი, კვდომამუშპარული ხელნაწერები:

XVII-XVIII საუკუნეთა ქართულ სიგელ-გუჯრებში არაერთხელ იხსენიებიან გამსახურდი (გამსახურდა), გამსახურდია და გამსახურდაშვილი.

სახელი გამსახურდი (გამსახურდა)

კაცის სახელი გამსახურდი ისევე ქართულია, როგორც, ვთქვათ, მახარა ან ნასყიდა.

ყველაზე ძველი დოკუმენტი, რომელიც მას ახსენებს, თარიღდება 1633 წლით:

თამარაშენში უცხოვრია ვინმე გამსახურდას, რომელიც როსტომ მეფემ დაუმტკიცა ქაიხოსრო მაჩაბელს.

იგი ამ ფეოდალს აზნაურებთან და ხუცესთან ერთად უწყალობა სვიმონ პირველმა, ე. ი. 1599 წლამდე (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991, გვ. 343, 596).

ასე რომ, სახელი გამსახურდი ქართლში არსებულა XVI საუკუნეში.

მეორე ასეთივე ძველი საბუთია გენათელი ზაქარია ქვარიანის გელათისადმი შეწირულობის წიგნი (1644 წლის 5 ივნისი), რომელშიც ნათქვამია:

"გვიბოძა ჩვენმა გამზდელმა ბატონმა მეფეთ-მეფე გიორგიმ ფეშქაშითა იქით ჭოლევეს გამსახურდი ოყურეშლიძე და მისი ძმისწულები, გიორგის შვილი, კუამლი ერთი" (ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 510).

იგულისხმება იმერეთის მეფე გიორგი მესამე (1604-1639).

ოყურეში (უფრო სწორად – ოურეში) მეგრული სიტყვაა. ურე – ალაგი, ადგილი, მეტწილად – ბნელი (შდრ. –ურუ – რეგვენი. აქედან – გვარი ურუა, ქართულად – ყურაშვილი).

მეგრულ ო და ემ პრეფიქსუფიქსს შეესაბამება ქართული საო (მაგ., ოხორეში – სამოსახლო).

გვარი ოყურეშლიძე უკავშირდება სოფელ ოყურეშს, რომელიც დღევანდელ ცაგერის რაიონშია და, როგორც ვხედავთ, მეგრული ტოპონიმია. ხოლო ჭოლევეი მდებარეობს იმერეთში, წყალტუბოს რაიონში (წყალტუბოც მეგრული ტოპონიმია, ქართულად – წყალთბილი). კიდევ ერთი მაგალითი:

უსახელოს (ცაგერის რაიონი) მკვიდრი გამსახურდი პაპიძე იხსენიება იმერეთის მეფის მოურავის 1763 წლის სიგელში (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურიაოდიშის სამთავროებისა, თბ., 1958, გვ. 107).

სახელი გამსახურდი გავრცელებული ყოფილა ქართლსა და კახეთშიც: XVII საუკუნის შუა წლებში ცხოვრობდა მძოვრეთელი გამსახურდა (ქალაქი მძოვრეთი მდებარეობდა მდინარე ძამის ხეობაში, ქარელის სამხრეთით 15 კილომეტრზე);

ვახუშტი ბატონიშვილს ნახსენები ჰყავს "ბოგანო გამსახურდი";

ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის ყმათა ნუსხაში (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი) დასახელებულია მძოვრეთელი გამსახურდი ტერტერაშვილი (დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 32);

შიბლიანელი (საგარეჯოს რაიონი) ყმა გამსახურდა ბაზიერი (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი) გვხვდება ივანე ჯავახიშვილის მასალებში (საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1961, გვ. 17).

როგორც ვხედავთ, მძოვრეთელი გამსახურდა და ჭოლეველი გამსახურდი ოყურეშლიძე მთელი საუკუნით წინ უსწრებენ გამსახურდი ტერტერაშვილს (როგორც სულხან-საბა განმარტავს, "ტეტერი არს, რომელსა სიბრძნე არა აკლდეს,

არამედ ხელურსა რასმე იქმოდეს"). ისე კონკრეტულად არცერთ მოხმობილ სახელს არაფერი აქვს საერთო გვარის წარმოშობასთან: ჩვენ ხომ არ ვიცით, რამდენ კაცს ერქვა ძველ საქართველოში გამსახურდი! შენიშნავენ, რომ გამსახურდია და გამსახურდაშვილი წარმოშობილია ადამიანის სახელისაგან – გამსახურდისაგან, ე. ი. ეპონიმური გვარია. მაგრამ პატრონიმური გვარიცაა – მიღებული მამის სახელისაგან, ისევე როგორც ბარათაშვილი, ორბელიშვილი, გოსტაშაბიშვილი, ქავთარიშვილი, იოთამიშვილი, გედევანიშვილი...

როგორც ვხედავთ, გამსახურდი რქმევიათ იმერეთში, ქართლში, კახეთში, თანაც ერთსადაიმავე პერიოდში. ამიტომ შეუძლებელია გარკვევა, თუ რომელმა გამსახურდმა დაუდო გვარს სათავე, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ცნობილთაგან – არცერთმა!

გვარი გამსახურდია

XVII-XVIII საუკუნეების როგორც სამეგრელოში, ისე ქართლში არსებულია გვარი გამსახურდია:

1628-1639 წლებით დათარიღებულ განჩინების წიგნში (განჩინება – სულხან-საბას ახსნით, "სამართლის დასკვნა") სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი და თანამეცხედრე ნესტანდარეჯანი იუწყებიან შვიდგზის წყეულ ხატის მტრებზე, დამნაშავე გაბუნიებზე (ბახუელა, გარჯღუელა, ჯაშუშია, კაცია...), რომლებიც მათ ყმებთან და სხვა მოსახლეებთან ერთად შეუწირავთ ხონის ტაძრისათვის.

ამავე ტაძრისათვის შეუწირავთ "გამსახურდიას კაცი ნასყიდაი ნოღია".

ვინც მომავალში გაბედავს მათ "გამოწირვას", ურვაჯა და წყევლას უთვლიან (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ტფ., 1920, გვ. 50-51).

ეს არის ყველაზე ძველი, ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტი, რომელშიც ფიქსირებულია გვარი გამსახურდია და, რაც ყველაზე მთავარია, იგი მთელი ასწლეულით უსწრებს გამსახურდიების საბოლოო დამკვიდრებას სამეგრელოში.

როგორც ჩანს, ეს გამსახურდია, რომლის სახელს არ ახსენებს განჩინების წიგნი, აზნაური უნდა ყოფილიყო. იგი შეურისხავს ლევან დადიანს, ისევე როგორც გაბუნები.

ამას გვეუბნება დოკუმენტის კონტექსტი, მაგრამ მიზეზი უცნობია.

1628 წელს ლევან დადიანმა კიდევ ერთი გაბუნია შესწირა ტაძარს – ამჯერად ბიჭვინთისას. ხოლო ეს ფაქტი იძლევა საფუძველს, რათა განჩინების წიგნიც დათარიღდეს 1628 წლით.

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე ოდიშში არ ჩანან გამსახურდიები. ისინი არსებობას აგრძელებენ ქართლში, რომელიც კარგა ხანია სხვა სახელმწიფო იყო, თუმცა ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეები ერთნაირ ტიტულატურას ატარებდნენ და ძველი დროის ინერციით თავს ერთნაირად თვლიდნენ "ყოვლისა საქართველოს" მპყრობელად, შაჰანშად და შარვანშად, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფედ, ორივე ტახტის მტკიცე მფლობელად!..

ასლან გამსახურდი

1688-1696 წლებში პაპუნა გოსტამაზიშვილს (ბარათაშვილს) მამულის წყალობის წიგნი მიუცია მოლოდინაშვილებისათვის.

მოწმეთა და დამხდურთა შორის იხსენიება გამსახურდი (დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 81). მას ამირანაშვილად მიიჩნევს ნიკო ბერძენიშვილი, რაც სიგელში არ სწერია და არასწორი წაკითხვის შედეგია.

ვინ უნდა ყოფილიყო იგი?

გამსახურდს პაპუნა გოსტამაზიშვილის არაერთ სიგელში ვხვდებით:

1693 წლის 20 აპრილს პაპუნას სხვებთან ერთად მოწმეებად ჰყავს ასლან გამსახურდი და ოქროპირ მოლოდინაშვილი, როცა გიორგი ლარაძეს აძლევს მიწის ნასყიდობის წიგნს (პირთა ანოტ. ლექს., I, 596).

სამი წლის შემდეგ, 1696 წლის სიგელში პაპუნას სხვებთან ერთად დასახელებული ჰყავს "ჩვენი ყმანი ოქროპირი და გამსახურდი" (საქ. ცენტრ. საისტორიო არქივი, ფ. 1450, 34/45).

ცხადია, ეს ოქროპირი არის მოლოდინაშვილი, ხოლო გამსახურდი – ასლანი.

ასლან გამსახურდი უნდა იყოს პაპუნას მიერ გაცემულ სხვა სიგელებში მოწმედ დასახელებული გამსახურდიც, რომელიც ერთგან "მეგრელად" არის გამოცხადებული!

ასე სწერია პაპუნას მიერ თავის შვილიშვილ თინათინისადმი მზითვის ბოძების წიგნში, რომელიც 1700 წლით თარიღდება (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-7255).

გამსახურდი იგივე გამსახურდიაა, რომელსაც ქართლში ჩამოსცილდა მეგრული გვარწარმოების სუფიქსი – ა.

ოდშიშარები ქართლში

სჩანს, მწერლის შორეულ წინაპარს, ოდიშიდან ლტოლვილს, თავი შეუფარებია საბარათიანოსათვის. მისი შვილი თუ შვილიშვილი პაპუნა გოსტაშაბიშვილის ყმა ყოფილა. ამ გავლენიან ფეოდალს წყალობას არ აკლებდნენ მეფეები – როსტომი, ვახტანგ V (შაჰნავაზი), გიორგი XI, ერეკლე I (ნაზარალიხანი), თუმცა ამ უკანასკნელს შემდეგ რამდენიმე კომლი წაურთმევია მძოვრეთსა და ბეთანიაში.

გოსტაშაბიშვილებს, გოსტაშაბ ბარათაშვილის შთამომავლებს, მამულები ჰქონდათ ალგეთის ხეობაში, ქციის ხევში, სომხითში, ბირთვისში, ბეთანიაში. ხოლო ცენტრი იყო სოფელი ამლივი (დღევ. თეთრიწყაროს რაიონი, ორბეთის სოფლსაბჭო).

აღსანიშნავია, რომ ბარათაშვილების წინაპარი ქაჩიზაისძე || ქაჯიფაისძე (ქაჩიზაია), სიმონ ჯანაშიას აზრით, დასავლეთ საქართველოდან გამოქცეულა და ალგეთის ხეობაში დამკვიდრებულა.

სახელი ასლანი XVI-XVII საუკუნეებში გვხვდება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, რაც ცხადყოფს, რომ ასლან გამსახურდი ქართლში დაბადებულა და მონათლულა.

პაპუნას ყმებს შორის იხსენიება რამდენიმე ასლანი – ასლან ხოსიტაშვილი, ასლან გამსახურდი, "სახლით ხუცესი" ასლანა და ა. შ.

როგორც ითქვა, ასლან გამსახურდის მამა ან პაპა უნდა ყოფილიყო ლტოლვილი, რადგან ჯერ კიდევ ახსოვთ, რომ იგი "მეგრელია". ეს კი ქრონოლოგიურად შეესაბამება ოდიშარი გამსახურდიას შერისხვას ლევან დადიანის მიერ XVII საუკუნის 20-იან წლებში.

ქართლის ფეოდალთა გვიანდელ სიგელებში ჩნდება გამსახურდიაც:

1741-1747 წლებით თარიღდება ერთ-ერთი თარხნიშვილის ყმათა გამოსავლის ნუსხა. ჩამოთვლილთა შორისაა გამსახურდია, რომელსაც მიუცია ოთხი კოდი პური და ორი თეთრი მინათული (დოკ. I, გვ. 302).

XVI-XVII საუკუნეების ქართლში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მეგრული წარმომავლობის გვარები – ოდიშელიძე, ოდიშაშვილი, ბეღია, კოჩაძე, მხეცია, ბასილია.

გამსახურდიაც მათ რიცხვში უნდა ვიგულოვოთ.

ზოგ მათგანს მამულიც ჰქონია, მაგ., თამაზა მეგრელს, რომელსაც შულავერში უცხოვრია XVII საუკუნის შუა წლებში.

1634 წლიდან ქართლის დედოფალი იყო მარიამი, ლევან მეორე დადიანის და, ცნობილი მოღვაწე, რომელმაც გადააწერინა "ქართლის ცხოვრება".

იგი თავდაპირველად ცოლად ჰყავდა სვიმონ გურიელს, შემდეგ – როსტომ მეფეს, როსტომის გარდაცვალების შემდეგ – ვახტანგ მეხუთეს (შაჰის ბრძანებით).

შეიძლება, ოდიშარ ლტოლვილებს, მათ შორის – დიდი მწერლის წინაპრებსაც, ეხმარებოდა მარიამ დედოფალი.

გვარი გამსახურდაშვილი

ხშირად ერთმანეთის პარალელურად გვხვდება გვარები – გამსახურდაშვილი და გამსახურდია (შდრ. – კალანდაძე – კალანდია, ნადარეიშვილი – ნადარაია,

ნაკაშიძე – ნაკაშია, გახოკიძე – გახოკია, კობახიძე – კობახია, თოფურია – თოფურიძე, ქაჩიბაია – ქაჩიბაიძე).

როგორც ჩანს, გამსახურდაშვილი გამსახურდიას ქართლიზებული ფორმაა.

პროფ. აკაკი მათიაშვილმა დაბეჭდა ერთი ნაკლებად ცნობილი დოკუმენტი – ნიკოლოზ ალავერდელის (ანდრონიკაშვილის) მამულისა და სითარხნის წიგნი ქართლიდან კახეთში გადასულ დემეტრე გამსახურდასშვილისადმი (კვლავ კონსტანტინე გამსახურდიას გვარის შესახებ, გაზ. "კოლხური კოშკი", 1996, 23-30 ოქტომბერი):

დემეტრე შვილებთან ერთად ჩასულა კახეთში, ეყმო ალავერდის წმ. გიორგის და ამბალავერდელს სთხოვა მამული და აზატობა.

ნიკოლოზმა თხოვნა შეუსრულა, რადგან "ჩვენც შევიტყვევით, რომე საყდრის გამოსადეგნი კაცნი იყვენითო".

უბოძა კენჭაძის ნაქონი მამული გადასახადის გარეშე – სახნავი და უხნავი, ვენახი, ქვევრ-მარანი, სასახლე, წისქვილი სოფელ ალავერდულაში.

მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ დემეტრე საყდრისათვის "გამოსადეგი" კაცი ყოფილა, წყალობას ვერ მიიღებდა.

ალავერდელის გულუხვობის ნამდვილი მიზეზი უცნობია.

სიგელი დაუწერიათ "ქორონიკონსა ტოე", ე. ი. 1687 წელს.

1768 წლის 7 მაისს ზენონ ალავერდელს დემეტრესა და მისი ძმის გაბრიელის შთამომავალთათვის კენჭაძის მამულის სანაცვლოდ ჩინჩალაძის მამული მიუცია, რადგან იგი უსაფრთხო ალაგას ყოფილა.

გამსახურდაშვილი XVIII საუკუნის ქართლშიც საკმაოდ გავრცელებული გვარია:

მზეჭაბუკ ჯავახიშვილის 1738 წლის ნასყიდობის წიგნში ერთ-ერთ მოწმედ სახელდება ღირსია გამსახურდაშვილი (საქ. სიძველენი, II, 1909, გვ. 394).

1742 წლით თარიღდება ნასყიდობის წიგნი, რომელიც გაუციათ ღვთისია გოგიაშვილს და ივანე ბითაძეს ვინმე ბატონ ავთანდილისადმი.

იქ დასახელებულია იასე გამსახურდაშვილი როგორც მოწმე (დოკ. I, გვ. 308).

1798 წლის 10 ივნისს იოანე გამსახურდაშვილს ყმობის წიგნი მიუცია იუსტინე მროველისათვის (დოკ. II, გვ. 195). იოანე უხსნის ყოვლად სამღვდელოს, რომ პაპამისი "ავის დროს მიზეზით" აყრილა და ხან აქ ყოფილა, ხან – იქ.

თვითონაც ბევრი უწანწალია და ახლა ითხოვს, რუისის ეკლესიის ყმად აღმადგინეთო.

შემდეგ, 1799 წლის 20 დეკემბერს, არზა წარუდგენია გიორგი XII-სათვის (ქართ. სამ. ძეგლები, VIII, თბ., 1985, გვ. 590).

საკმაოდ დაგვიანებით, 1800 წლის 29 მარტს, მროველს არზა მიურთმევია მეფისათვის, გამსახურდაშვილი რუისის ეკლესიის ყმა ყოფილაო. ამას სხვებიც ადასტურებენ და ამოწმებენ, რომ იოანეს მამა ყოფილა იორდანე, პაპა – გამსახურდია!

ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ გამსახურდაშვილი გამსახურდიასაგან არის მიღებული, ქართული გვარწარმოების ფორმით.

შეიძლება გამსახურდაშვილების "აყრა" მომხდარიყო 1723-1724 წლებში, როცა ქართლი დალაშქრეს სპარსელებმა და ოსმალებმა და ვახტანგ VI რუსეთში გადაიხვეწა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის სიგელებში იხსენიებიან ღოუბნელი (თეთრიწყაროს რაიონი, ბორბალოს სოფლსაბჭო) გლეხი იოსებ გამსახურდაშვილი, მარაბდელი საეკლესიო ყმები – იორდანე, სოსია და იოსებ გამსახურდაშვილები (ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, I, თბ., 1994, გვ. 286-287).

ეს გვარი ამსამადაც გვხვდება (მაგ., გორში, თერჯოლაში).

გიორგი ლიპარტიან-დადიანის სიგელი

როგორც დანიელ ხანანაშვილი ადგენს, ქართლელი გამსახურდიები სამეგრელოში დაემკვიდრნენ XVIII საუკუნის დასაწყისში (ოდიშელ გამსახურდიათა წინაპარი, გაზ. "ქუთაისი", 1983, 20 მაისი).

მას მიუკვლევა ერთი საინტერესო დოკუმენტისათვის. იგი გაუცია ოდიშის მთავარს – გიორგი ლიპარტიან-დადიანს, რომლისგანაც იწყება დადიანების მეორე დინასტია:

... "ესე წყალობის მტკიცე, უქცეველი, მიზეზშემოუღებელი, სიტყვით სრულქმნილი და საქმით აწ და ვიდრე სამკვიდრო, საიმედო, საბოლოოდ გასათავებელი, საფიცარი წიგნი და სიგელი დაგიწერე და გიბოძეთ ჩვენ, ღვთივ აღმატებულმან, ლიპარიტმან ყოფილ – დადიანმა, ბატონმა გიორგიმ და თანამეცხედრემან ჩვენმა დედოფალმა თამარ, და ძემან ჩვენმა კაცია და გიორგიმ, თქვენ – ტფილელ ნიტროპოლიტს გამსახურდიას, ბატონს პავლეს და შენს ძმისწულს – მამუკას შვილს გიორგი გამსახურდიას. ასე და ამას პირსა ზედა, რომე ჩვენს სახლში მობრძანდით და გინდომეთ და ერთმანეთს გული შეუჯერეთ და გიბოძეთ – ნოქალაქევს ერთი მოსახლე – აზნა გებუ კოლოშვილი და მისი ცოლშვილები და სახლკარი, აბაშას მეორე მოსახლე – ხიფათია ნოდია, მესამე – დიაკონი და ბაძუ ნოდია, მეოთხე მოსახლე – გუცაბია ნოდია, მეხუთე მოსახლე – ლაშქარა თურქია, მეექვსე მოსახლე – შაქარია კუპრავა, მეშვიდე მოსახლე – ხუცესი ივანე გურული, მერვე მოსახლე – ნოსირსე გახუდავა. ესენი მათის ყოველის ფერიანთ მომიცემია, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ნდომასაგან" (ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი I, საქმე 4907, 5050 და სხვ.).

სიგელის გადაცემის მოწმენი ყოფილან: გოგი ელიავა, გიორგი ჩიქვანი, თოლიკაკა თოფურია, მამუკა აბაშიძე.

დაუწერია კარის მდივანს მიშველიას, როგორც სხვა არაერთი დოკუმენტი.

სიგელის ბოლოს აღნიშნულია, რომ გამსახურდიებისათვის დამატებით მიუციათ კიდევ ერთი მოსახლე – ხახუელი ტყებუჩავა და მისი შვილი.

ერთგან პავლე მიტროპოლიტის მისამართით ნათქვამია: "ქრთამი აგართვი". წინადადება დაუსრულებელია. არ ჩანს, თუ რა "აართვეს" პავლეს. იქნებ ვერც შეთანხმდნენ თუ რა ჩაეწერათ ან გადამწერმა რაღაც მიზეზით გამოტოვა ("ქრთამი" სულხან-საბას განმარტებით, არის "საცოდავი ძღუენი". ილია აბულაძის ახსნით ნიშნავს "საფასესაც", ე. ი. საფასურს).

მთავრის სიგელის დედანი დაკარგულია. ასლები განეკუთვნება XIX საუკუნის 60-იან და 80-90-იან წლებს, მაგრამ სიზუსტე დაცულია, რადგან ყველა მათგანი იდენტურია.

ცნობილია, რომ როგორც გიორგი, ისე მამამისი კაცია ჩიქვანი ტყვეებით ვაჭრობდნენ, გამოირჩეოდნენ სისასტიკით და ვერაგობით. ამასთან ერთად, ღვთისმოსავნიც იყვნენ: კაციამ სამარხად აირჩია მარტვილის მონასტერი, რომელიც მოახატვინა და შეამკო. კაციას ძმა და შვილიშვილი ჭყონდიდის ეპისკოპოსები იყვნენ.

ვახუშტის სიტყვით, გიორგი ლიპარტიანი "სვრიდა უწყალოდ და ჰყიდდა ტყვედ ოდიშართა". ამიტომ 1701 წელს გრიგოლ კათალიკოსმა ფიცი დაადებინა, რომ ტყვეებით ვაჭრობას შეწყვეტდა.

ასეთი მთავარი მუქთად არავის არაფერს დაუთმობდა...

ეს დოკუმენტი, სხვა მასალებთან ერთად, პირველად 1860 წელს წარუდგენიათ სამეგრელოს მმართველობის საბჭოში აბაშელ მანუჩარ გამსახურდიას და ნოსირელ მერაბ გამსახურდიას, როგორც თავიანთი აზნაურობის დამამტკიცებელი საბუთი.

სიგელი უნდა დათარიღდეს 1703-1704 წლებით:

იგი გაცემულია მანამ, სანამ კაცია გიორგის ძე ლიპარტიანი გახდებოდა დადიანი, ე. ი. 1704 წლამდე, მას შემდეგ, რაც თურქთა ლაშქრობა მოგერიებულ იქნა და სამეგრელოში ჩასვლა შესაძლებელი გახდა.

პავლე ტფილისის მიტროპოლიტი იყო 1703 თუ 1704 წლიდან.

1701 წელს ისევ ნაზარალი-ხანის მიერ დანიშნული დომენტია მიტროპოლიტი, 1703 წლის 17 ივნისს – გერმანე. პავლე მიტროპოლიტად მოხსენიებულია 1704 წლის 3 დეკემბერს (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 638), აგრეთვე – 1708, 1710, 1715, 1718, 1722, 1724, 1726 წლებში.

გიორგი ლიპარტიანის სიგელის მიხედვით ცნობილი ხდება პავლე ტფილელის გვარი – იგი გამსახურდია ყოფილა!

ეს ფაქტი ისტორიკოსებისათვის უცნობია.

მკითხველს შევახსენებ, რომ გიორგი ლიპარტიანის ბიძა იყო ჭყონდიდის ეპისკოპოსი, ხოლო მამა – კაცია ჩიქვანი გახლდათ გორდელი აზნაური, რომელმაც ძმის – გაბრიელ ჭყონდიდელის წყალობით მიიღო სალიპარტიანო, ე. ი. გვარიც.

მათ მამას თურმე ზურგით დაჰქონდა თაფლი სვანეთში, რათა დამშეული ცოლ-შვილი ერჩინა!..

ასე აღნიშნავს ექვთიმე თაყაიშვილი.

გიორგი გამსახურდია წინაპართა მხარეში

პავლე ტფილელი სამკვიდრებელს ეძიებდა წინაპართა მხარეში, ოდიშში.

როგორც კი მიტროპოლიტი გამხდარა, ძმისწულთან ერთად ჩასულა გიორგი ლიპარტიანთან ("ჩვენს სახლში მობრძანდით და გული ერთმანეთს შეუჯერეთ"), რათა მის გვარს აღედგინა სამკვიდრებელი.

ოდიშში დატოვა ძმისწული გიორგი, თავად კი ტფილისში დაბრუნდა.

ქართლისგან ოდიში დიდი ხნის მოწყვეტილი იყო. მას სხვა ხელისუფალი და სხვა კათალიკოსი ჰყავდა. თანაც სამეგრელოს, მთელს დასავლეთ საქართველოს ახალი გადახდილი ჰქონდა ომი თურქებთან. სამეგრელოს მთავარს რომ ესოდენი გულუხვობა გამოეჩინა, რაღაც საფუძველი უნდა ჰქონოდა. მხოლოდ "ქრთამი" არ იკმარებდა.

ასეთი საფუძველი იყო ქართლელი გამსახურდიების ოდიშური წარმომავლობა.

სხვაგვარად გაუგებარია, თუ რატომ მიმართა ტფილისის მიტროპოლიტმა გიორგი ლიპარტიანს, თანაც ასე სასწრაფოდ, და არა იმერეთის მეფე გიორგი VI-ს, ან ლიპარტიანმა როგორ უბოძა ბიძაძმისწულს ყმები, როგორც აზნაურთ.

ფაქტია, რომ XVII საუკუნის ოციან წლებში სამეგრელოში ცხოვრობს ვინმე გამსახურდია, რომელსაც ყმებიც ჰყოლია. მისი ერთი ყმა – ნასყიდა ნოდია ლევან დადიანს ხონის ტაძრისათვის შეუწირავს. ისიც საგულისხმოა, რომ პავლეს და

გიორგის ნოდებიც უბოძა ოდიშის მთავარმა, ე. ი. "ქრთამის" საფასურად აღუდგინა წინაპართა სამკვიდრო.

ალბათ პავლე ტფილელი გიორგი ლიპარტიანს, ოდიშის ფაქტიურ გამგებელს 1681 წლიდან, დაუკავშირდა ბიძამისის – გაბრიელ ჭყონდიდელის სახელით. გაბრიელი ერთხანს დაპატიმრებული ჰყავდა ქართლის მეფეს – ვახტანგ მეხუთეს და შულავერის ციხეში იჯდა, თუმცა ეს იყო კარგა ხნით ადრე, 60-იან წლებში. არც ის არის გამორიცხული, რომ პავლეს რომელიმე ნათესავი დაეხმარა მეგრულ მღვდელმთავარს გაქცევაში.

1701 წლიდან ჭყონდიდელი გახდა გიორგი ლიპარტიანის ვასი გაბრიელი და ოდიშში საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთი კაცის ხელში მოექცა.

შეიძლება ამ ფაქტმა გაუადვილა მიტროპოლიტს ოცნების აღსრულება – ძმისწულის დაბრუნება წინაპართა მხარეში.

პირველწინაპარი – საეკლესიო მსახური

როგორც ვნახეთ, გამსახურდიების გვარი ეკლესიას უკავშირდება. სავარაუდოა, რომ ისინი ყოფილიყვნენ საეკლესიო აზნაურები, როგორც ფიქრობს აკაკი მათიაშვილი. ამიტომ მიეცა სამკვიდრებელი დემეტრე გამსახურდაშვილს კახეთში, პავლესა და გიორგის – ოდიშში.

სულხან-საბას განმარტებით, მსახური ნიშნავს "უფლის შინა ყმას", თანამედროვე ენით – მორჩილს, დაქირავებულ პირს.

უნდა გვახსოვდეს, რომ "გამსახურდია" ნაწარმოებია სიტყვა "მსახურისაგან" არა მეგრული, არამედ – ქართული პრეფიქს-სუფიქსით (შდრ. – გამსახურდა – გე-მსახურ-უ, გალომდა – გე-ლომ-უ, გაძ-ლიერდა – გე-ძლიერ-უ).

ეს კი იმას ნიშნავს, რომ XVII საუკუნის დასაწყისის ოდიშარი გამსახურდიას წინაპარი გადმოსულია რომელიღაც სხვა კუთხიდან (შეიძლება იმერეთიდან, ან სულაც ქართლიდან), სადაც ადრევე გამსახურდა, გახდა "უფლის შინა ყმა", ე. ი. საეკლესიო მსახური.

ლევან დადიანს შეურისხავს თუ განუდევნია მისი აზნაური შთამომავალი. აზნაურობის მოპოვებას დრო დასჭირდებოდა. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ გამსახურდიები ოდიშის მიწაზე პირველად გამოჩნდნენ XVI საუკუნის შუა წლებამდე. მოგვიანებით კი მომხდარა აყრა და გამქრალა მათი კვალი.

ხოლო მეორედ და საბოლოოდ, როგორც ითქვა, დამკვიდრდნენ XVIII საუკუნის პირველ წლებში, დაბრუნდნენ ქართლიდან, საბარათიანოდან.

ამიტომ უნდა ვენდოთ დოკუმენტურ ჩვენებას:

სოფელ ნოსირში (სენაკის რაიონი) მცხოვრებ გიორგი და პეტრე გამსახურდიებს ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოსადმი 1895 წლის თხოვნაში უწერიათ:

"ჩვენი გვარის ყველა წევრი წარმოშობილნი არიან ერთი წინაპრისაგან, გიორგი გამსახურდიასაგან, რომელსაც მის ბიძა მიტროპოლიტ პავლესთან ერთად ებოძა ეს სიგელი" (ქცა, ფონდი I, საქმე 4907).

კონსტანტინე გამსახურდია ამ გიორგი მამუკას ძე გამსახურდიას შორეული შთამომავალია.

2. წინაპრები

შენ, წინაპარო, გამოცხადდი ან მომეშველე.

სიმონ ჩიქოვანი

პავლე ტფილელი (გამსახურდია)

პავლე ტფილელი ისტორიაში ცნობილი პიროვნებაა.

როგორც ითქვა, იგი ტფილისის მიტროპოლიტი ყოფილა 1703 (1704) წლიდან. მისი ტფილელობის დასაწყისი ემთხვევა ქართლში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლას:

სპარსეთის შაჰის ნებით ქართლის სამეფო ტახტი დატოვა ერეკლე პირველმა, თეიმურაზ პირველის შვილიშვილმა. დაბრუნდა გიორგი XI, უფრო სწორად – მეფედ

აღდგა, მაგრამ ტფილისში არ ჩამოუშვეს: შაჰმა იგი დანიშნა მთავარსარდლად და ყანდაარის ბეგლარბეგად. ხოლო ქართლს განაგებდა მისი ძმისწული ვახტანგ ლევანის ძე, რომლის აღმზრდელი და მამის ბიძაშვილი იყო სულხან-საბა ორბელიანი.

1704 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსიც ახალი ჰყავდა – ვახტანგის ძმა დომენტი, რომელიც ქვეყნის დამხობის შემდეგ სტამბოლში წავიდა: ეგონა, რომ ქართლს ასე უშველიდა (ვახუშტი ბატონიშვილი).

თითქოს გაუგებარია, როგორ უნდა გავრცელებულიყო XVII საუკუნის ქართლში მეგრული გვარი, ხოლო მის წარმომადგენელს მიეღო ტფილისის მიტროპოლიტობა, თუ არ ეყოლებოდა ძლიერი მხარდამჭერი.

ასეთი მფარველი უნდა ყოფილიყო პაპუნა გოსტაშაბიშვილი და მისი სახლი. პაპუნას ერთ-ერთი ვასი ნიკოლოზი მანგლისის ეპარქიას განაგებდა XVII საუკუნის მიწურულიდან.

პაპუნა გოსტაშაბიშვილი, როსტომისა და ვახტანგ მეხუთის ყილიჯყორჩი (მეხმლე), ერეკლეს მოწინააღმდეგე იყო, მხარს უჭერდა დევნილ გიორგი XI-ს. არ არის გამორიცხული, რომ პავლე ამიტომაც დააწინაურა ვახტანგმა. ამასვე ადასტურებს ტფილელი მიტროპოლიტების ყოველწლიური ცვლა და დომენტი კათალიკოსის დიდი პატივისცემა პავლესადმი.

მოწმეთა შორის არიან ნაზარალიხანის სხვა მოწინააღმდეგენიც. მაგ., გუგუნა გერმანოზიშვილი (ბარათაშვილი), რომელსაც მეფემ მამულები ჩამოართვა.

მაგრამ პავლეს მიტროპოლიტის ხარისხისათვის ერთგულების, გონიერებისა და განათლების შედეგად უნდა მიეღწია, არამხოლოდ ვინმეს მფარველობით. ამ თვისებათა გამოვლენა ერთბაშად ვერ მოხდებოდა.

გარდა ამისა, რუის-ურბნისის ძეგლისწერის მიხედვით, ეპისკოპოსი 35 წლისა მაინც უნდა ყოფილიყო. ხოლო მიტროპოლიტი ხარისხით ეპისკოპოსს აღემატება. მაგრამ ეს წესი ხელისუფალთა ნებით ირღვეოდა ხოლმე: გავიხსენოთ ანტონ I, რომელიც 20 წლისა მიტროპოლიტი იყო, 24-ისა – კათალიკოსი.

ამიტომ პავლეს დაბადების თარიღად უნდა მივიჩნიოთ XVII საუკუნის 70-იანი წლები.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ XI საუკუნიდან საეკლესიო იერარქია შორის ადგილს იკავებდნენ თავადაზნაურთა შვილები. გლახკაცი საჭირო განათლებას ვერ მიიღებდა, რომც მიეღო, წარმომავლობა მაინც ხელს შეუშლიდა და სამეფო კარი არ აღაზრებდა.

ასე რომ, მფარველთა გარეშე პავლე მიტროპოლიტი ვერ გახდებოდა.

მნელია თქმა, პაპუნას ყმა ასლან გამსახურდი ვინ იყო პავლესა და მამუკასათვის მშობელი თუ ნათესავი, მამა თუ ძმა. მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ერთ ოჯახს განეკუთვნებოდნენ, ერთი წინაპარი და ერთი ბატონი ჰყავდათ.

მაინც უფრო მართებული იქნება თუ ასლან გამსახურდს პავლესა და მამუკას მამად მივიჩნევთ.

როგორც ჩანს, ვახტანგი პავლეს დიდად აფასებდა და ენდობოდა, არა მხოლოდ როგორც სასულიერო პირს, არამედ როგორც პოლიტიკურ მოღვაწესაც.

ამიტომაც გააგზავნა იგი ელჩად რუსეთში 1722 წელს.

პავლე ჯერ იმერეთში გადავიდა, შეხვდა მეფე ალექსანდრეს, რომელმაც თავისი სახელითაც დაავალა რუსებთან მოლაპარაკება, გაატანა წერილი და საჩუქრები პეტრე პირველისადმი – ათასმარცვლოვანი მარგალიტის მძივი და ოქროს გვირგვინი იაგუნდებითა და მარგალიტებით. მაგრამ მიტროპოლიტი ვერ შეხვდა იმპერატორს და დაიკარგა როგორც წერილი, ისე საჩუქრები.

წლების მანძილზე ამაოდ ცდილობდა მათ დაბრუნებას იმერეთის მეფე.

პავლე ტფილელს ისეთსავე დავალებას აძლევს ვახტანგი, როგორსაც სულხან-საბა ორბელიანს, რომელმაც მყისვე დასტოვა გარეჯის მონასტერი, როგორც კი ქართლში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა.

ვახტანგი აქტიურად ერეოდა საეკლესიო საქმეებში.

მას სჭირდებოდა ერთგული, თავისი პოლიტიკის გამტარებელი, საერო ცხოვრებაში მონაწილე სასულიერო პირები. ამიტომ შეცვალა ნაზარალი-ხანის მიერ დანიშნული კათალიკოსი და მიტროპოლიტი, დავით გარეჯიდან გამოიხმო სულხან-საბა.

მაგრამ არც მღვდელმთავართა ცხოვრება იყო წყნარი და მშვიდი, ეპოქის ქარბორბალა მათაც თავის ნებაზე ატრიალებდა...

ასე – ქართლში ჩარჩენილი პამფილის მიტროპოლიტი პარტენი მამადავითის ეკლესიის წინამძღვრად გაუმწესებია პავლეს, რის გამოც ანტიოქიელი მღვდელმთავარი მადლობას უხდის მას, სიონის ღვთისმშობლის "ტახტსა ზედა მჯდომარეს".

მაგრამ მალე სხვისი მხსნელი თავად გახდა დევნილი და შესაწყალებელი:

რუსეთის იმპერია კავკასიონს იყო მომდგარი, კასპიისპირეთს იპყრობდა და საქართველოს მოკავშირედ იგულვებდა სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. პეტრე პირველის მოლაპარაკება ვახტანგ მეექვსესთან წლების მანძილზე გრძელდებოდა.

ამ პროცესში აქტიურად იყო ჩარეული პავლე მიტროპოლიტი.

როგორც ვიცით, რუსეთმა მოატყუა ქართლის ხელისუფალი და იგი მუსლიმანური სამყაროს პირისპირ მარტო დატოვა, რაც ქვეყნის კატასტროფით დასრულდა.

ვახტანგი 1200 მხლებელთან ერთად ჯოჯოხეთური გზით რუსეთში გადავიდა. პავლე მეფეს თან გაჰყოლია. ტფილისში მას აღარც დაედგომებოდა...

ვახტანგსა და მისი ამაღლის წევრებს ისევე არ ეწერათ სამშობლოში დაბრუნება და დამარხვა, როგორც ორასი წლის შემდეგ რუსული ხიშტით განდევნილ ნოე სორდანიასა და მისი ხელისუფლების მესვეურებს.

"ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა – დადნებოდა, ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა", – ჰგოდებდა ნაღალატევი მეფე...

ვახტანგ VI-ის ამაღას 1724 წლის ნუსხაში, რომელიც დაცულია რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში, პავლე ტფილელი თავადად მოიხსენიება:

"თავადისშვილი მიტროპოლიტი თბილელი პავლე. ამას ახლავს თავადიშვილი მღვდელმონაზონი არსენ, აზნეური ოდიშელი ახლავს, დოდელია მსახური ახლავს" (გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 230).

როგორც ვხედავთ, პავლეს ჰხლებია აზნაური ოდიშელი და ასევე მეგრელი – მსახური დოდელია.

ეს ფაქტიც ხაზს უსვამს მიტროპოლიტის წარმომავლობას, კავშირს ოდიშთან.

შეიძლება პავლეს ნათესავებიც გაჰყვნენ დევნილ მეფეს რუსეთში.

ვახტანგის სამართლის მიხედვით, მიტროპოლიტი თავადთან იყო გათანაბრებული. ამიტომ იხსენიება პავლე "თავადისშვილად".

პავლე ტფილელიც ისევე გასტყორცნა სისხლიანმა სამმა სამშობლოდან, როგორც სხვა მრავალი მოღვაწე.

ამჯერად ეს რუსეთის მიზეზით მოხდა.

დევნილი ქართლის მეფე 8 ნოემბერს ჩავიდა ასტრახანში, ხოლო თებერვალში ჩრდილოეთის გაუთავებელ გზას გაუყვა.

მიტროპოლიტი დედოფალ რუსუდანთან დარჩა.

რუსუდანმა, პავლე ტფილელმა და სხვა მღვდელმთავრებმა მხოლოდ 1726 წლის 9 მარტს ჩააღწიეს მოსკოვში, სადაც მალე მიიღვა ოდიშისა და ქართლის ზეგას მონატრული მღვდელმთავარი.

ვახტანგმა მიტროპოლიტად დანიშნა ნიკოლოზი – სულხან-საბა ორბელიანის ძმა.

ეს მომხდარა 1726 წელს.

რუსეთის ცივ მიწაში ჩაწვა ქართლის ბედით გულმოკლული კიდევ ერთი მამულიშვილი.

გამსახურდია ნაპოლეონის წინააღმდეგ

ვახტანგ VI 1737 წელს გარდაიცვალა, ასტრახანში.

მეფის ამაღლის წევრები მთელს რუსეთში მიმოიფანტნენ. ზოგი სად ცხოვრობდა, ზოგი – სად. ისინი იმპერიის სამსახურში ჩადგნენ და მათ შვილებს უფრო და უფრო იშვიათად აგონდებოდათ ქართლის მთები...

ერთ გამსახურდიას ნაპოლეონის წინააღმდეგ უბრძოლია 1812 წელს.

ფრანგ-რუსთა ომში მონაწილე ქართველთა სია დაცული ყოფილა პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო წიგნთსაცავში, მიხეილ საბინინის ხელნაწერთა კოლექციაში.

სიაში 50 კაცი სწერია, მათგან 12 სომეხია.

სია შეუდგენია ბაგრატ ბატონიშვილს, გიორგი XII-ის ძეს. უთარგმნია იოანე ბაზლიძეს 1823 წელს.

ამ სიაში მოიხსენიება "მეგრელი გამსახურია" (ს. ცომაია, ქართველები, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ 1812 წლის ფრანგ-რუსთა ომში, სურნ. "განათლება", 1915, №1, გვ. 15).

იგი უნდა ყოფილიყო 1724 წელს ქართლიდან გაქცეულ გამსახურდიათა შთამომავალი.

ოდითელი გამსახურდიები

გამსახურდიები ცხოვრობდნენ აბაშაში, სენაკში, ჩხოროწყუში (ახუთი), გალში (ნაბაკევი, შემელეთი, ჭუბურხინჯი, ოქუმი, თაგილონი, დიხაზურგა).

გადმოცემით, XVIII საუკუნის შუა წლებში აბაშელი ორი ძმა – სკვამკოჩი და ნიჯგვალი დიხაზურგაში გადასულა და იქ დამკვიდრებულა (იპ. გამსახურდია, მოგონებები კონსტანტინე გამსახურდიაზე, სოხუმი, 1991, გვ. 4).

მათგან წამოვიდნენ გალელი გამსახურდიები.

XVII საუკუნის ქართლში არსებულა სოფელი ნიჯგორი. შეიძლება ნიჯგვალი ამ პუნქტის სახელს უკავშირდებოდეს (ნიჯგორი საისრე დიდ კაპარჭს ნიშნავს), სკვამკოჩი ქართულად ლამაზი (აქედან გვარი სკამკოჩაიშვილი), ხოლო ნიჯგვალი – უშნო კაცია.

ოდითელი გამსახურდიები დიდი სიკეთით არ გამოირჩეოდნენ. თავად მწერალი ახსენებს ორ თავაწყვეტილ ფეოდალს – მანუჩარსა და როსტომს. მანუჩარი თურმე სასტიკად ექცეოდა ყმებს, ზოგი მოუკლავს კიდეც და მდინარის პირას დაუმარხინებია.

ისეთი დაუნდობელი ყოფილა, საკუთარი ცოლისთვის ცხვირი მოუჭრია, ლევან დადიანის მსგავსად!

უფრო შორეულ წინაპარს, რომელსაც არ ასახელებს კონსტანტინე, ჭყონდიდელის მიერ დადიანისათვის გაგზავნილი მეძღვნე დაუჭერია, ძღვენი წაურთმევია, ტანზე ცხელი ღომი დაუგია და ზედ ძაღლები მიუშვია ("ლანდებთან ლაციცი")!

მიზეზი ის ყოფილა, რომ ამ კაცს გამსახურდიას მამულზე გაუვლია, ალბათ უნებართვოდ!

ჭყონდიდელი წამოსულა, შებრძოლება მწერლის შორეულ წინაპარს, დაუმარცხებია და დაუწყევლია იგი, ხოლო სოფელი საგამსახურდიო გადაუწვავს.

მწერლის ღმერთმებრძოლობა და პერსონასთა ანტიქრისტიანული პათოსი პირველ ბიძგს ამ ლეგენდიდან უნდა იღებდეს.

ჭყონდიდელთან კონფლიქტის ნამდვილი მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ გამსახურდიები, როგორც საეკლესიო აზნაურები, აღარ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, რაც გამოიწვევდა მღვდელმთავრის განრისხებას...

აბაშელი მიხეილ კუპრავას გადმოცემით, გამსახურდიები მკაცრი და გულბოროტი აზნაურები ყოფილან. ზოგ მათგანს ბრალდებოდა ტყვეებით ვაჭრობა. ამის გამო ჭყონდიდელს დაუწყევლია ერთ-ერთი გამსახურდია და ორი მოტაცებული გოგონა წაურთმევია.

მისივე თქმით, ალბათ სიმკაცრის გამო, გლეხებში ასეთი ანდაზაც არსებულა – "გამსახურდიაში ნაკვამსუ კუჩხი ოკო ვეგიობიჯგუე" – "გამსახურდიას ნაკვალეფზე ფეხი არ უნდა დააბიჯო" (გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977, გვ. 30).

თითქოს მწერალი თავადაც ამუქებდა წინაპართა სახეებს, რათა გვეგრძნო მათი დემონური და უჩვეულო ბუნება, პროზაში პერსონასებს რომ გადასცა.

ძნელია თქმა, თუ როდის დასაჯა ჭყონდიდელმა გამსახურდიები. ალბათ ეს უნდა მომხდარიყო ლევან დადიანის მთავრობის დროს, XVII საუკუნის 20-იან წლებში, რასაც მოჰყვა მათი გადასვლა ქართლში და ეს ამბავი სიზმარით შემორჩა შთამომავალთა მეხსიერებას. მაგრამ მწერლის ფანტაზიაში მთელი სიმძაფრით აღდგა, როგორც ბნელი მითი, რომელმაც თავისი დაღი დაატყო გვარის ისტორიას.

გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი:

სასიკვდილო სარეცელზე მწოლმა მამამ დასწყევლა ერთადერთი შვილი კონსტანტინე სავარსამიძე, დასწყევლა და უნაყოფობა დაანათლა წარმართი ტაია შელიას გამო ("დიონისოს ღიმილი").

კათალიკოსმა ფსალმუნის ასდამერვე ლექსით დასწყევლა ვარდან ჰემუხვარი, ხოლო შვიდასი წლის შემდეგ ბაბუა ტარიელმა – მისი შთამომავალი თარაშ ემხვარი, დასწყევლა და ჰგმო ქრისტე, ვისაც ნახევარი საუკუნე ემსახურა ("მთვარის მოტაცება").

გიორგი მეფემ შერისხა ხურსი აბულელი და მისი სახლთუხუცესი რატი. ხურსი გაიქცა, ხოლო რატი მელის ტვიფრით დადაღეს, ვითარცა მწვალებელი და სატანის თანაზიარი ("დიდოსტატის მარჯვენა").

მამუკა ერისთავს უფროსი ვასი კეთრისაგან გარდაეცვალა. გამწარებულმა მამამ წმ. გიორგის ხატი დაამსხვრია, ზედ ფეხით შესდგა და ღორის კოლტს გადააჯეგინა. ამის გამო კახეთის ქორი-კოზმა მამუკა ცხენის ძუაზე გამოაბმევინა და ათრევინა, ხოლო ციხე-ქალაქი დაანგრია და დასწყევლა; მრავალი წლის შემდეგ აბრია უჯირაული იმეორებს ქორიკოზის საშინელ სიტყვებს და სწყევლის მათ, რომლებმაც მამუკას უბანში სიცოცხლე აღადგინეს ("ვაზის ყვავილობა").

მწერალს ფატალურად აღელვებდა წყევლისა და დასჯის მოტივი, ქრისტეს სახელთან დაპირისპირების საკითხი. ამიტომ ხატავს ირონიით მღვდელმთავრებს და ბერ-მონაზვნებს, განადიდებს ელინურ წარმართობას, დიონისოს (ბახუსის) სახელს. ხოლო "დიდოსტატის მარჯვენაში" მთელი ომია გაშლილი წარმართებსა და ქრისტიანებს შორის...

ამ ფონზე წინაპართა ცოდვა-დანაშაულის გამოსყიდვად შეიძლება აღვიქვათ გიორგი ჭყონდიდელის ნათლითმოსილი სახე "დავით აღმაშენებელში", როგორც მღვდელმთავრისა და ვაზირთუპირველესისა.

აზნაურობის მაძიებელნი

მთელი საუკუნენახევრის განმავლობაში ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით ოდიშელ გამსახურდიებზე, ზეპირი გადმოცემების გარდა.

ისინი გააქტიურდნენ მას შემდეგ, რაც რუსეთმა სამეგრელოს სამთავრო გააუქმა და მათ აზნაურობას საფრთხე დაემუქრა: რუსეთისათვის უცნობი იყო სამეგრელოს ბატონყმური იერარქია.

ამიტომ სასწრაფოდ, 1860 წელს, სამეგრელოს მმართველობის საბჭოს გიგო და ტოტი გამსახურდიებმა, მანუჩარ გამსახურდიამ, მერაბ გამსახურდიამ ცალ-ცალკე წარუდგინეს გიორგი ლიპარტი-ან-დადიანის დასახელებული სიგელი და სხვა დოკუმენტები, მაგრამ მაშინ პეტერბურგს არ დაუმტკიცებია მათი აზნაურობა. ალბათ საამისოდ არც ეცალათ. მალე იმპერატორ ალექსანდრე მეორის მანიფესტით გვაროვნული იერარქია დაირღვა – ბატონყმობა გაუქმდა.

აზნაურობისათვის ბრძოლა ახალი ძალით მაინც გაჩაღდა 90-იან წლებში.

დავას აგრძელებენ ნოსირელი ტოტის შვილები – გიორგი და პეტრე, მერაბის შვილები – ალექსი და ფილიპე, აბაშელი მანუჩარის შვილიშვილი – მანუჩარ ნიკოლოზის ძე და კიდევ სხვები.

მათი აზნაურობის დამადასტურებელი დოკუმენტებია, რასაც ურთავენ საქმეს და თარგმნიან რუსულად – გიორგი ლიპარტიან-დადიანის სიგელი პავლე ტფილელისადმი, დადიანების სიგელი კაცია გამსახურდიასადმი, კაციას მიერ შვილისადმი წყალობის სიგელი, სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის (ეკატერინე ჭავჭავაძის მეუღლე) სიგელები, რომლებშიც აზნაურებად იწოდებიან გამსახურდიები.

სრულიად ნათელია, რომ სამეგრელოს სამთავროს გაუქმებამდე გამსახურდიები აზნაურები ყოფილან, მაგრამ რუსეთის ბიუროკრატიული აპარატი წლების მანძილზე არ სცნობდა მათ ღირსებას.

დგებოდა დოკუმენტები ქუთაისის სათავადაზნაურო საკრებულოსადმი, იძლეოდნენ სათანადო მოწმობას. შემდეგ საკრებულო მიმართავდა საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტს, დეპარტამენტის პასუხს მოჰყვებოდა რაპორტი სენატისადმი.

ეს ციკლი არაერთხელ უშედეგოდ განმეორებულა.

აზნაურობის დამტკიცებისათვის ბრძოლა მაინც გრძელდებოდა.

ბოლოს იმპერატორის განკარგულებათა ბლანკზე ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოს მიუცია აზნაურობის დასტური რამდენიმე გამსახურდიასათვის. მაგრამ ეს მომხდარა საუკუნის მიწურულს – 1897-1899 წლებში.

ამ მარათონში ჩართულა მწერლის მამა სიმონ გამსახურდიაც.

მას ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოსადმი მიუმართავს 1895 წლის 20 მაისს (ქუთ. ცენტრ. არქივი, ფონდი 1, საქმე 5456).

როგორც ჩანს, აზნაურობა მისთვისაც დაუმტკიცებიათ.

სათანადო დოკუმენტი არქივში არ მოიპოვება, მაგრამ სხვა ოფიციალურ საბუთებში, რაც გაცემულია ხელისუფლების მიერ, იგი აზნაურად იწოდება.

გამსახურდიებმა 40-წლიანი ბრძოლის შემდეგ ჰპოვეს თავიანთი წარმომავლობის დადასტურება, მაგრამ არა ყველა აბაშელმა ან ნოსირელმა გამსახურდიამ (გამსახურდიები სხვაგანაც მოსახლეობდნენ), არამედ მხოლოდ მათ, რომლებმაც პერსონალურად წარადგინეს დოკუმენტები და გადაიხადეს გარკვეული თანხა, თუმცა წარმატებისათვის ყველას მაინც ვერ მიუღწევია.

გზა ინტელიგენციისაკენ

აზნაურობას უკვე ყავლი გასდიოდა.

ბატონყმობის გაუქმებამ წარმოშვა "შემოდგომის აზნაურები", რომელთაც ქონება აღარ გააჩნდათ, მაგრამ ძველი ამბიციები შერჩენოდათ.

ახლა მთავარი იყო სწავლა-განათლება, ცოდნის შექმნა, რათა ადამიანს მატერიალური კეთილდღეობისათვის მიეღწია როგორც ინტელექტუალურ, ისე კომერციის სფეროში.

ცოდნის აპოლოგეტები ადრევე იყვნენ არჩილ მეფე, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, თუმცა მათ ყურს არავინ უგდებდა.

სულ მალე, რამდენიმე წელიწადში, დაიწყო რევოლუციების ეპოქა და გვაროვნული წოდება ღირსებად კი არა, ტვირთად იქცა. მაგრამ, სხვათაგან

განსხვავებით, კონსტანტინე ბოლშევიკური ტერორის წლებშიც არ ივიწყებდა თავის აზნაურულ წარმომავლობას.

მამები თუ წერა-კითხვის მცირედ მცოდნენი იყვნენ, შვილები ამთავრებდნენ გიმნაზიას და სწავლას აგრძელებდნენ რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის უნივერსიტეტებში.

1898 წელს ერთი გამსახურდია რუსეთიდან, ივანე გომართელთან და სხვებთან ერთად, საიუბილეო ადრესს უგზავნის ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც პირველმა შეცვალა გვაროვნული არისტოკრატიის კურსი და მახვილს კალამი არჩია, ოფიცრის სამხრეებს – ინტელიგენტის სერთუკი.

თავად-აზნაურთა გზა ინტელიგენციისაკენ მიდიოდა, ოღონდ ევროპის გავლით.

დგებოდა XX საუკუნე, უდიდესი ომებისა და რევოლუციების, ბორკილთა მსხვრევისა და სისხლის წვიმების ეპოქა, ადამიანის გონის ტრიუმფის ასწლეული.

3. მშობლების ოჯახი

ისე არ გავა ღამე,

არ დამენახოს დედა.

გალაკტიონ ტაბიძე

კონსტანტინე დაბადებულია 1891 წლის 6 მაისს, ძველი სტილით, სოფელ ძველ აბაშაში, რომელიც დღევანდელი რაიცენტრისაგან რამდენიმე კილომეტრითაა დაცილებული, კამკამა, თხმელის შრიალა კორომებით დაბურულ მდინარე ზანას ნაპირზე. ზანა სახლს უკან ჩამოდიოდა და ეზოს შუაზე ჰყოფდა, ზოგჯერ ადიდდებოდა და მიდამოს ტბორავდა.

ორიოდე კილომეტრს იქეთ იგი აბაშისწყალს უერთდება.

კონსტანტინე იყო სიმონ გამსახურდიას ბოლო, მეცხრე შვილი.

მწერალი სიცოცხლის მიწურულს თავის დაბადების თარიღად 1893 წელს ასახელებდა, ანკეტაში უთითებდა სხვადასხვა რიცხვს – 5, 6, 15 მაისს.

მაგრამ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ცნობა უფრო ზუსტი უნდა იყოს, ვიდრე ხანდაზმული მწერლის მითითება.

ხოლო გიმნაზიის ცნობის საფუძველია დაბადების მოწმობა, რომელიც საბუთებს ახლდა, მაგრამ ჩვენამდე არ მოღწეულა.

მამა

მამა – სიმონ გამსახურდია (ახლობლები სუმოს ეძახდნენ) დაბადებულა 1836 წლის 16 მაისს. იგი განათლებული პიროვნება არ ყოფილა. წერა ხარის ბეჭზე უსწავლია, ვეფხისტყაოსნისა და დავითნის მეტი არაფერი წაეკითხა, არცა თვლიდა საჭიროდ. ჰყვარებია ქეიფი, ნადირობა და ჯირითი. ჰქონია გამორჩეული ვასკაცური, მკაცრი ხასიათი.

თევზაობის დროს სიმონი მდინარის მეორე ნაპირზე გადამხტარა და წვივი ტინზე მიუმსხვრევია. ამის გამო დაკოჭლებულა.

მწერალი იგონებს, მხოლოდ ჩემს დას თუ მოეფერებოდაო, დედაჩემს სიცოცხლეს უმწარებდაო. შვილებს უბელო ცხენზე სვამდა, ღამე ტყეში აგზავნიდა, მორევში აგდებდა, რათა შიში დაეთრგუნათ; უნერგავდა სიმამაცესა და შრომის სიყვარულს.

მონაწილეობდა თურქი ასკერების წინააღმდეგ ბრძოლაში 50-იან წლებში.

მისი ნაყმევები ყოფილან – კუპრავები, ქოიავები, გრიგოლიები, კუჭავები.

სახლში ჰყოლიათ ცხენები, ცხვრები, ხარ-ძროხა, ქორ-მეძებრები. მამას ეზოში დაურგავს ეგზოტიკური მცენარეები, ვენახი მოუშენებია.

გლეხებთან მეგობრობდა, მათ ჭირ-ვარამს იზიარებდა, მაგრამ რევოლუციას ამრეზით უყურებდა, კაცთა თანასწორობა არ სწამდა.

ერთხელ პატარა კონსტანტინეს გველი დაუჭერია და ბავშვების ფერხთით დაუგდია. დამფრთხალი ბავშვების წივილ-კივილზე მამას გაღვიძებია და შვილს საცემრად გაკიდებია.

კონსტანტინე გაქცეულა და ზანაში გადამხტარა.

გაბრაზებულ სიმონს უთქვამს, ვიცი, შენგან კაცი რომ არ გამოვა, მაგრამ დანარჩენი შვილების იმედი მაქვსო!

სიმონი 1906 წელს გარდაიცვალა, როცა კონსტანტინე 15 წლისა იყო. მას, ჯანმგარ და ჯიუტ მოხუცს, სიმთვრალეში ცხენით გადაულახავს ადიდებული აბაშა (როგორც ენგური კაც ზვამბაიას), გაციებულა და ასთმა დამართნია. მას შემდეგ ვეღარც გამოკეთებულა. თანაც დაუპატიმრებიათ და ქუთაისის ციხეში ჩაუსვამთ.

ციხიდან გამოსულს ტანჯვით დაუღევია სული.

მამის ანდერძი ასეთი ყოფილა:

"ნუ მიბაძავთ თქვენს ძმებს: ალექსანდრესა და ვიქტორს. გახსოვდეთ: მოემვით გაზეთებს, წიგნებს, იცოდეთ, ესენი დალუპავენ ქვეყანას".

ამ სიტყვებში იგრძნობა ძველი დროის გამოძახილი, როცა წიგნიერი თითქოს მხოლოდ ბერ-მონაზონი და სამღვდლო პირი უნდა ყოფილიყო, როგორც შორეულ ეპოქაში – ქურუმი, ხოლო ვასკაცს სამამაცო საქმენი უნდა ეკეთებინა.

ვაჟა-ფშაველა იგონებდა, მამაჩემმა ქურდულად ისწავლა წერა-კითხვაო, დედ-მამა სწავლას უშლიდაო, "მამა თოფით დასდევდა, სწავლა ეშმაკეული საქმეაო".

ნაადრევად დაობლებულმა კონსტანტინემ, სავარსამიძის დარად, არ შეისმინა მომაკვდავი მამის ვედრება, ყური არ უგდო მშობლის უკანასკნელ სიტყვებს.

სიმონის სიკვდილის შემდეგ, რევოლუციის წლებში, ნაყმევებიც განზე გამდგარან და ვანო და კონსტანტინე თოხნიდნენ სიმინდის ყანებს, რათა ოჯახს თავი ერჩინა.

მოხუცი მწერალი სინანულით შენიშნავდა:

"მე დღესაც ვწუხვარ, რომ ჩემს საყვარელ და ვასკაც მამას ვერც მის სიცოცხლეში ვეცი პატივი და დღემდის იგი ლიტერატურაში არ მიხსენებია" ("ლანდებთან ლაციცი").

დედა

სიმონი მეორედ დაქორწინებულა აბაშელ ელისაბედ (ლისა) თოფურიძეზე (თოფურია). იგი მორწმუნე და სათნო ქალი ყოფილა, რომელთანაც ეყოლა ერთი ასული – სოფიო (ფაჩა) და ხუთი ვასი – ბესარიონი, ალექსანდრე, ვიქტორი, ვანო და კონსტანტინე.

პირველ ცოლთან ჰყოლია ერთი ქალიშვილი – მატო (მატრონა) და ორი ვასი – დიმიტრი და ლუკა.

პატარა კონსტანტინეს განსაკუთრებით ჰყვარებია დედა. დედისადმი უსაზღვრო სიყვარული გასდევს მის ნაწერებსაც. თუ პერსონასები მამას ეურჩებიან, ებრძვიან და ზოგჯერ კლავენ კიდეც, დედისადმი მუდამ უნაზეს გრძნობებს ავლენენ. თვით ჩეკისტ, მამისმკვლელ არზაყან ზვამზაიასაც კი დედის აუგი არ დასცდებია.

მწერალი უცხოეთში სულ დედას იგონებდა, ივედრებოდა, როგორმე ცოცხალი დამახვედრეთო. სამსონ ფირცხალავას ბერლინიდან თხოვდა, დედაჩემს ფული გაუზზავნეო. მე რომ მშიერი მოვკვდე ის მირჩევნია, ვიდრე მან იშიმშილოსო. ამასვე სთხოვდა რებეკა ვაშაძეს.

შდრ. – თარაშ ემხვარი: "ვწვები, საბანს ვიფარებ თავზე, არ მინდა ვხედავდე ჩემის თვალით, რომ პარიზში ვარ. ეგების დედა დამესიზმროს და ჩვენი მთები..." "ასი წლის რომ გავხდე, დედა, და ასი წელიც რომ დავრჩე უცხოეთში, თუ შენ შინ მეგულები, ფესვები მაქვს მეთქი ჩემს მიწაში, ასე ვიტყოდი".

"ყველაფრის ატანა შემიძლია, ოღონდ ნუ მაჩვენებთ მოხუცი დედის ცრემლებს", – წერს ერთგან ჭაბუკი კონსტანტინე.

დედა შვილს ბარდლუნიას (ბარდლუს) ეძახდა, ახლობლები კოწიად უხმობდნენ. ზოგჯერ ამ სახელით წერილებსაც ბეჭდავდა.

ელისაბედი 1928 წლის იანვარში გარდაიცვალა, ვიდრე კონსტანტინე სოლოვკიდან ჩამოაღწევდა.

დაკრძალეს ვერის ძველ სასაფლაოზე.

დედაზე დარდმა დააწერინა ნოველა – "დამსხვრეული ჩონგური" და ლექსი "REQUEM".

მშობლებისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას კონსტანტინეს პროზაში მიეცა ეპოქის შესატყვისი მითოსურ-ფილოსოფიური აზრი.

ლეო ქიაჩელმა მოიტანა ქართულ პროზაში მამის კულტი, ხოლო კონსტანტინემ დედის კულტი დაამკვიდრა, როგორც ღვთისმშობლის სახის ვარიაცია.

ბაბუები და ბებიები

ბაბუა – კაცია გამსახურდია, მწერალს არ ჰყავს დასახელებული. ალბათ კარგა ხნის გარდაცვლილი იყო. "ლანდებთან ლაციცში" მასზე ორიოდე სიტყვას ამბობს, ალბათ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი არ ყოფილა გამორჩეული პიროვნება.

კაციას მეუღლეს თათია რქმევია.

მეორე ბაბუა – სიკო თოფურიძე თავგადაკლული მონადირე და მეთევზე ყოფილა, ქალების მადევარი. წიგნი არასოდეს ხელთ არა სჭერია. არც მუშაობა ჰყვარებია. სიკო რომ გარდაიცვალა, კონსტანტინე სავსებით პატარა ყოფილა.

სიკოს მეუღლე, ელისაბედის დედა, აფხაზი იყო – ჯარამხან მანანი (მარშანია).

და-ძმები

კონსტანტინეს ადრევე დახოცვია უფროსი ძმები – დიმიტრი (ნახევარძმა) და ბესარიონი, რომელიც ღრმად მორწმუნე ყოფილა. უმუშავია ბათუმში, როტმილდის მაღაზიაში. მას სოფელში ჩამოუტანია მრავალი წიგნი, სასულიერო თუ საერო, მათ შორის – "ქართლის ცხოვრებაც", რამაც დააინტერესა პატარა კონსტანტინე და ისტორიის სიყვარული აღუძრა.

ლუკას (ნახევარძმა) ცოლად შეურთავს პელაგია ლოლუა, რომელთაგანაც სამი შვილი ჰყოლია – თამარი, მერი და ბაჯუ.

მატო (ნახევარდა) ბანძელ გაბუნიას გაჰყოლია ცოლად.

ალექსანდრე სოციალ-დემოკრატი გახდა. აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში. ჯერ ბოლშევიკი იყო, შემდეგ მენშევიკი. კონსტანტინე პრესაშიც გაეკამათა ძმას, ესდეკობის გამო. მას აგრონომიული განათლება ჰქონდა მიღებული და პოლიტიკას თანდათან ჩამოსცილდა.

კონსტანტინეს ძალიან უყვარდა თავისი უფროსი ძმა და რძალი ნადია (მათ ერთი ლექსიც მიუძღვნა), რომელიც სილამაზით გამორჩეული ყოფილა. ალექსანდრემ იგი წაართვა ერთ ებრაელს, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, მაგრამ მისი დაღუპვის შემდეგ ნადია თავის პირველ მეუღლეს დაუბრუნდა!

მათ შვილი არ ჰყოლიათ.

ვიქტორი აპოლიტიკური კაცი იყო, დარდიმანდი და მომლხენი, წიგნი არ უყვარდა. ერთხელ მასწავლებელი სცემა და სწავლას თავი მიანება. მამამ ფოტოგრაფს მიაბარა. არც ის მოუვიდა თვალში და ფოტოაპარატი თავზე გადაამტვრია. ამ ქეიფს გადაყოლილმა კაცმა გალახა გენერალ ალიხანოვ-ავარსკის ურიადნიკი და სოფლიდან გადაიხვეწა. იჯდა ბაქოს ციხეში სერგო ორჯონიკიძესთან ერთად. სერგოს ეს დახსომებია და ამიტომ იყო კეთილად განწყობილი კონსტანტინეს მიმართ.

ვიქტორს ერთი შვილი დარჩა – პროფესორი სვიმონ გამსახურდია.

ალექსანდრე და ვიქტორი ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1937 წელს. ალექსანდრე დააპატიმრეს სექტემბერში, ვიქტორი – დეკემბერში.

ვანო კონსტანტინეზე სამი წლით უფროსი იყო. ძმები სწავლობდნენ ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში, რომელიც ილია ჭავჭავაძეს დაუარსებია. წიგნი და გაზეთი არც ვანოს ჰყვარებია.

იგი 18 წლისა გარდაცვლილა.

სოფიოს (ფაჩა) მეუღლე იყო სიმონ ხაინდრავა. ცხოვრობდა თბილისში, ავლაბარში, იორის ქუჩაზე და აქვე გარდაიცვალა. მისი ქალიშვილია ცნობილი მსახიობი თათია ხაინდრავა, რომლის სახელი დაარქვა კონსტანტინემ "მთვარის მოტაცებაში" ხერიპისისა და კაროლინას პატარა გოგონას.

4. ბავშვობის წლები

აგერ მორბის შვიდი წლის ბიჭუნა,

მშვილდისარი უპყრია ხელში.

"დიდოსტატის მარჯვენა"

პირველხილული საგანი

უპირველესი საგანი, რომელიც მწერლის მეხსიერებას შემორჩა, იყო "წითელი ჩინური ფაიფურის სარძეო ჯამი, რომლის ფსკერზე მამალი ეხატა".

მამალი ისე კარგად ყოფილა გამოსახული, ბავშვს ცოცხალი ჰგონებია.

გაიხსენეთ თარაშ ემხვარი:

"დედაჩემმა ერთი ჩინური ჯამი მიყიდა რძის სასმელად, უბრალო ბამბუკის წითელი ჯამი. მახსოვს იმ ჯამზე შავი მამალი ეხატა. ისე ცოცხლად მეჩვენა იგი, მახსოვს ხელი წამოვუსვი ჯამს ფსკერზე ბაღღმა. ასე მეგონა, ცოცხალიაო შავი მამალი, მერმე დარჩა ჩემს ხსოვნაში ეს სისხლისფერ ბიბილოვანი შავი მამალი".

ისლის სახლი

ისლის ძველი სახლი, რომელშიც დაიბადა და აღიზარდა კონსტანტინე, ჩვენამდე არ მოღწეულა, ეზოშიც არაფერი შემორჩენილა. სახლი დედამ გაყიდა 1915 წელს და ფული უცხოეთში მყოფ შვილს გაუგზავნა. ოდა შეუძენია თადა ღაჭავას. შემდეგ მისგან უყიდია ვიღაც ნოდისა, როგორც გადმოგვცემს სვიმონ გამსახურდია.

მწერალი არ ჩადიოდა თავის სოფელში. მიზეზი ის იყო, რომ კოლექტივის თავმჯდომარემ ვიქტორ ბაკურიამ დიდი კაკლის ხე მოათხრევინა და ეზო გადაახნევინა.

ცხადია, ხელისუფლების დასტურის გარეშე ამას ვერ გაბედავდა.

ბოლშევიკების მიერ წაქეზებული არაკაცები ათასგვარ ბოროტებას სჩადიოდნენ. ასე, ერთმა მასწავლებელმა 1936 წლის შემოდგომაზე მოწაფეებს დაანგრევინა აკლდამა, სადაც განისვენებდნენ მიხეილ ჯავახიშვილის დედა, მამა და და. ეს მაშინ, როცა მიხეილი ცაკის წევრი და ორდენოსანი მწერალი იყო.

ბავშვობის მეგობრებიდან კონსტანტინეს შემორჩა გრიგოლ კუპრავა. იგი აბაშაში ცხოვრობდა, მაგრამ თბილისში რომ ჩამოვიდოდა, "კოლხურ კომკს" უეჭველად უნდა სწევოდა.

წარმოვიდგინოთ როგორი უნდა ყოფილიყო ძველი აბაშა ასი წლის წინათ: ისლით დახურული, გამჭვარტლული ქოხები და ფაცხები, ალაგ-ალაგ ხის ბოკონებზე შემდგარი პატარა ოდეები, ტალახიანი ორღობეები, ნესტი, ხშირი წვიმა და დასავლეთის ქარი, კოლოების წუილი და ბაყაყების ყიყინი; ზაფხულის მზიან დღეებში – სიმინდის მოლივლივე ყანები, ცად აწვდილი ალვის ხეების შრიალი, საღამოს – ზღვის გრილი სიო, ღამით – ჭრაქი, სანთელი, კერიის ცეცხლის შუქი, ჭალებიდან წამოსული ტურებისა და მგლების ყმუილი; ხალხი – წერა-კითხვის უცოდინარი, მეგრულად მოლაპარაკე, ჯაფით წელგაწყვეტილი, მთელ სოფელში რამდენიმემ თუ იცოდა ქართული. ყველაზე განათლებული კაცი – დიაკონი, რომელსაც ღვთის სახელით შიში და რიდი შეჰქონდა თანასოფლელთა გულში. იცავდნენ ქრისტეს რჯულს, წინაპართაგან გადმოცემულ ადათ-წესებს. ფეხსაცმელი – ქალამნისა, სამოსი – მუდამ ძველი და გახუნებული, მრავალგზის დაკერილი. იმედი – ცხენი და ხარ-ძროხა. თბილისი ძლიერ შორს იყო. ქართიდან თუ ვინმე ჩამოვიდოდა, მთელმა სოფელმა იცოდა. ევროპის სახელი ბევრს არც გაეგონა...

ალექსანდრე აბაშელის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ბნელი იყო ცხოვრება და ბრწყინვალე – ზღაპარი".

როგორც მამის, ისე დედის ოჯახში ჰყავდათ ცხენები, ქორ-მიმინოები, მეძებრები, ჰქონდათ თოფი და ხმალ-ხანჯალი. ნადირობასა და თევზაობას მისდევდნენ დედის მშობლები – სიკო და ჯარამხანი, ისევე როგორც მამა.

ყოველ დილა ესვენების სღარუნი მაღვიძებდაო, იხსენებს მწერალი.

გადია ეკაია

"ლანდებთან ლაციცში" კონსტანტინე დიდი სიყვარულით იგონებს გადია ეკაიას, მამამისის ნათლულს. მას უსწავლებია ბავშვისათვის წარმართული ამბები, ლეგენდები, ზღაპრები, თქმულებები, ლოცვები. იგი ვიღაც ლოთ ავანტურისტს შეუცდენია და სოხუმში გაუტაცნია. სიმონს წაურთმევია ამ უკეთური კაცისათვის ეკაია და სოფელში დაუბრუნებია.

მას შემდეგ ეკაია არ გათხოვილა და ისე ჩარჩა ამ ოჯახში, როგორც ლუკაია ლაბახუა შარვაშიძეთა სახლში.

მწერალი აღნიშნავს, "მთვარის მოტაცებასა" და "დიდოსტატის მარჯვენაში" რაც პაგანისტური ამბები მიწერია, სულ ეკაიას მონაყოლიაო.

ეკაიას უნდოდა, მისი გაზრდილი მღვდელი გამოსულიყო, კათალიკოსი გამხდარიყო და ქვეყანა ეხსნა ურჯულოებისაგან, ე. ი. რუსებისაგან.

ბავშვს ძალიან განუცდია მისი სიკვდილი. როგორც რებეკა ვაშაძეს წერს, მაშინ იგი სოფლის სკოლის მოსწავლე ყოფილა. სახლში მობრუნებული ცხედარს მივარდნია ტირილითა და ღრიალით, სუდარა გადაუხდია და წამწამები აუწევია, ვითომცდა გავაცოცხლებო!

ქრისტე და წმ. გიორგი

ბავშვობაში ქრისტეზე მეტად ჰყვარებია წმ. გიორგი, თეთრ ტაიჭზე მჯდარი რაინდი, რომელიც შუბს სცემს ხახაში ურჩხულს.

ანბანი ასწავლა დიაკონმა ევგენი ქოიავამ, სოფლის სამრევლო სკოლაში. იგი მაყარს უფრო ჰგვანებია, ვიდრე მასწავლებელს ან ღვთის მსახურს. მანვე შეაყვარა "ბიბლია, სახარება და ეკლესია", მაგრამ უფრო მეტად – წმ. გიორგი.

ოცინ წლებში ევგენი ბოლშევიკებმა გაკრიჭეს.

წაურთმევიათ სახლი და ეზო, ჭურჭელი და ქვეშაგებიც კი წაუღიათ. დიაკონს თავი ჩამოუხრჩვია.

ყმაწვილის შემეცნებაში ადრევე ერთმანეთს ერწყმოდა წარმართული და ქრისტიანული აზრდილები.

პატარა კონსტანტინე ხან დიაკვნობაზე ოცნებობდა, ხანაც – გენერლობაზე. ორივე მათგანი კი საქართველოს ხსნას უკავშირდებოდა, მაგრამ ამ ფაქტის გაცნობიერება გვიან მოხდა.

დიდი, განსაკუთრებული, ძლიერი პიროვნებისადმი ინტერესი და სიყვარული ბავშვობიდანვე ჰქონია. თაყვანს სცემდა თამარ მეფეს. გული სწყდებოდა, რომ მისი სპასალარი არ იყო. მოვიგონოთ ისევ თარაშ ემხვარი – თამარის სიკვდილის შემდეგ არც ღირსო "ქართლის ცხოვრების" კითხვა, რომ ამბობდა.

ასევე უყვარდა ილია ჭავჭავაძე. მძიმედ განიცადა მისი ტრაგიკული დასასრული. სტუდენტობის წლებში ნაპოლეონისა და ალექსანდრე ბატონიშვილის სახელებზე ოცნებობდა, შემდეგ გერმანულად დაწერა სადისერტაციო ნაშრომი ერეკლე მეორეზე.

თავის სატრფოს – რებეკა ვაშაძეს სწერდა, ვინ იცის, იქნებ გენიოსი გავხდეთ.

არც გენერლობაზე ფიქრი სცილდებოდა, მაგრამ ულმოებელმა სამმა იგი ხელისუფლებისათვის მეზრძოლთა რიცხვს მოსწყვიტა. დარჩა ოცნება – ხელოვნება, სადაც უნდა მომხდარიყო შინაგანი ნების, სასიცოცხლო მიდრეკილებათა რეალიზება.

ასე რომ, გადია ეკაიას შეგონება – გამხდარიყო კათალიკოსი, ე. ი. განსაკუთრებული პერსონა, ღრმად აღბეჭდვოდა ცნობიერებაში. იგი სახეს იცვლიდა, მაგრამ არსი წარუშლელი რჩებოდა. თავს უჩვეულო პიროვნებად წარმოიდგენდა, რაც გადავიდა უფლის მეტოქე პერსონასებზე, ღმერთთან მეზრძოლ ბიბლიურ იაკობზე, რომელსაც თავის სიმბოლოდ მიიჩნევდა.

ბავშვური ოცნების ფილოსოფიური დასაბუთება იყო გოეთეს პიროვნება და ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფია.

მოგზაურობის წყურვილიც ადრე აღეძრა. 1913 წელს გერმანიიდან სწერდა რებეკას, მოგზაურობა სიულ ვერნმა შემაყვარაო. ერთხელ მამა გასწყრომია. პატარა ბარდლუნია თივის ზვინში შემძვრალა და ოცნებას აჰყოლია: როგორ გაეპარებოდა სოფლიდან მეზობლის ძაღლს, როგორ ნახავდა ფოთში გემის კაპიტანს და ამერიკაში გაჰყვებოდა!..

ძველი სენაკი

ბავშვობის იდილია მალე დასრულდა.

დაიწყო არსებობისათვის ბრძოლის წლები, აღსავსე ტანჯვითა და სიხარულით.

დაიწყო კონსტანტინეს ოდისეა.

მამამ კონსტანტინე და ვანო მიაბარა ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში. დირექტორი იყო არსენ წითლიძე, ხოლო ქართულის მასწავლებელი – ნიკო ჯანაშია, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მამა.

ძმები ცხოვრობდნენ ვიღაც ლოთი ყასბის ოჯახში. მას სიმონი საკმაო ფულს უხდიდა, მაგრამ ლოთი ცუდად ექცეოდა მდგმურებს, ამუშავებდა მათ, საჭმელს კი არ აძლევდა, ცოლ-შვილს სცემდა. ამიტომ ვანო და კონსტანტინე სენაკიდან გამოიპარნენ და შინ დაბრუნდნენ...

ვანო ამბობდა, მე ოჯახს მოვუვლი, შენ დიაკონი გახდი, ვინ იცის, იქნებ მღვდლობასაც მიაღწიო, აგულიანებდა უმცროს ძმას.

გზაში ვიღაც მთვრალი ჩოხიანი ცხენოსანი უცემიათ მეოცნებე ძმებს.

სკოლა კონსტანტინემ ვანოსთან ერთად 1904 წელს დაამთავრა, დაამთავრა წარჩინებით. სწავლის გასაგრძელებლად რეკომენდაცია მიეცა 14 მოსწავლეს, მათ შორის – ორივე ძმას.

იმავე წელს მამამ ქუთაისში წაიყვანა და იქ, 1904 წლის 10 სექტემბერს, გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შვიდ სხვა თანაკლასელთან ერთად სასწავლებელში ჩარიცხეს.

მას შემდეგ კონსტანტინე მხოლოდ არდადეგებზე თუ ჩადიოდა ძველ აბაშაში.

რომ არა მამის მონდომება, კონსტანტინე განათლებას ვერ ეზიარებოდა და სოფელში ჩარჩებოდა. კონსერვატორი სიმონი გრძნობდა, რომ ახალ დროს წიგნიერი ხალხი სჭირდებოდა.

* * *

თავის ნაწერებში კონსტანტინე რომანტიკული გზებით წარმოსახავდა პერსონასთა ბავშვობას, როგორც დაკარგულ სამოთხეს.

ეს იყო შორიდან დანახული სინამდვილე, ვარდისფრად შენისლული, რომელსაც არ ახლდა ცხოვრების სუსხი.

მაგრამ მიზნად ცხოვრების ასახვას არც არასოდეს იგულვებდა. ის გვიჩვენებდა თუ როგორ წარმოედგინა ეს ქვეყანა, რა უყვარდა და აღელვებდა.

5. ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში (1904-1912)

მხოლოდ ქარის დროს შევიყვარე მე ქუთაისი,

საფირონ ქარში ეს ქალაქი სხვანაირია.

ვალერიან გაფრინდაშვილი

კონსტანტინე მამამ ჩაიყვანა ქუთაისში. ისინი მცირე ხნით დაბინავდნენ სასტუმრო "ფრანციაში".

თითქოს 14 სენაკელი მოსწავლე უნდა ჩარიცხულიყო გიმნაზიაში, მაგრამ ვაკანსიების სიმცირის გამო ბედმა მხოლოდ სამს გაუღიმა. ეს არსენ წითლიძეს შეატყობინეს, სკოლის დირექტორს. იგი შემფოთდა და საქმეში ჩაერია.

"მესამე დასის" დაფუძნების ერთ-ერთი მონაწილე, სოციალ-დემოკრატი არსენი ცნობილი პედაგოგი იყო. ადრე, გურიაში იგი ჭოლა ლომთათიძესაც ასწავლიდა.

კონსტანტინე პირველ სამეულში ვერ მოხვდა. იგი სხვა ხუთ თანაკლასელთან ერთად, დამატებითი სიით 1904 წლის 10 სექტემბრიდან გახდა სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლე.

როგორც ვხედავთ, კონსტანტინეს მომავალი ბეწვზე ეკიდა. შეიძლება იგი გიმნაზიის გარეშე დარჩენილიყო და სამუდამოდ დაბრუნებოდა მშობლიურ სოფელს.

პირველ კლასში ისხდა 66 ბავშვი – წერეთლები, იოსელიანები, ახვლედიანები, ჩხეიძეები, ყიფიანი, დადიანი, ემუხვარი...

კონსტანტინეს თანაკლასელი იყო პლატონ შუშანია, შემდეგში ცნობილი გინეკოლოგი, პროფესორი, თუმცა გიმნაზია ერთად არ დაუმთავრებიათ.

გიმნაზიაში ასწავლიდნენ იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, გერასიმე ცაგარეიშვილი, სამსონ ყიფიანი, იასონ ნიკოლაიშვილი, სიმონ ქვარიანი...

დირექტორი (გამგე) იყო იოსებ ოცხელი, ცნობილი პედაგოგი, რომელიც დიდი სიყვარულით იხსენიება "ლანდებთან ლაციცში", როგორც პატრიოტი, კარგი მასწავლებელი და კარგი ორატორი.

იგი უცოლშვილოდ გადაგებულა და მთელი თავისი ნიჭი და უნარი ბავშვების აღზრდისათვის შეუღლეია.

გიმნაზიის დოკუმენტები გვაუწყებენ, რომ კონსტანტინე დაიბადა 1891 წლის 6 მაისს, არის აზნაური, მართლმადიდებელი, დამთავრებული აქვს სენაკის სათავადაზნაურო სკოლა.

უცხო გარემოსთან შეგუება გაუძნელდა მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილ ყმაწვილს. სულ ნატრობდა, როდის იქნება ოთხი კლასი დავამთავრო, რომ ჩემს სოფელში მივბრუნდეთ. ძველი აბაშის ტალახიანი ორღობეები და ისლის სახლები ერჩივნა ქუთაისის ქვაფენილსა და აგურის შენობებს. ალბათ მამის შთაგონებითაც, რომელსაც, როგორც ითქვა, წიგნი და სკოლა არ უყვარდა, მათ აბრალებდა რევოლუციონერთა მომრავლებას, რომელთაც ქვეყანა არივდარიესო.

მამას ერთხანს უნდოდა, რომ შვილი გიმნაზიიდან გამოეყვანა, მაგრამ ოცხელმა ბევრი უმტკიცა, ეს არ შეიძლებაო და ჯიუტი სიმონი დაიყოლია.

მალე იგი გარდაიცვალა და დაობლებულმა ყმაწვილმა მწვავედ განიცადა თავისი მიუსაფრობა. დირექტორი ზრუნვას არ აკლებდა კონსტანტინეს, რათა მას მარტოობა არ ეგრძნო.

თავდაპირველად დაბინავდა ანდრია ბენაშვილის სახლში.

ერთხანს ცხოვრობდა ჭომას გზაზე ვიღაც მოხუცი ქვრივის ქოხში, რომელიც რიონის პირას იდგა. აქედან გადავიდა ნარსიას ოჯახში, რომელიც სიმდიდრით გამოირჩეოდა. მაგრამ მას ფუქსავატი შვილი დაედუპა და კონსტანტინემ იქ დარჩენა არ ინდომა.

შემდეგ, იოსებ ოცხელის ინიციატივით, დაბინავდა თავისი მასწავლებლის – იასონ ნიკოლაიშვილის სახლში. იასონი, რომელსაც, გალაკტიონ ტაბიძის ცნობით, ძალიან ჰყვარებია თავისი მოსწავლე, მოთხოვნებს წერდა და ყმაწვილს უკითხავდა. შეიძლება ამ ფაქტმა აღუძრა კონსტანტინეს მწერლობისადმი ინტერესი და კალამი ააღებინა.

ჯერ სასკოლო გაზეთს მიმართა, შემდეგ – ქუთაისის პრესას.

გიმნაზიის საგნები

ქუთაისი ერთი რიგითი, პროვინციული ქალაქი იყო. აქ არავის ახსოვდა ძველი აია, იაზონი და არგონავტები. ქუჩაბანდების გასწვრივ ქოხმახები გამწკრივებულიყო. აქა-იქ ჩანდა აგურით ნაშენი ორსართულიანი სახლები. ის-ის იყო იწყებოდა წიგნისა და გაზეთის ბუმი. სოფლიდან ჩამოდიოდა ახალგაზრდობა, ცოდნას იძენდა და გზას ეძებდა პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში.

მალე ქუთაისში დაიწყო ქართული აზროვნების ახალი რენესანსი.

კონსტანტინე ამ ახალგაზრდულ ტალღას მოჰყვა.

ჯერ ის ცამეტი წლის ყმაწვილი იყო, რომელიც ბეჯითად სწავლობდა გაკვეთილებს. ზანის წყალზე დარდობდა, დედა და დამძევი ენატრებოდა.

აი, პირველი კლასი როგორი აკადემიური მოსწრებით დაუმთავრებია აბაშელი აზნაურის ვაჟას – კონსტანტინეს:

ღვთისმეტყველება – 4,5

რუსული ენა – 5,4, 5,5

ქართული ენა – 5,4, 5,5

ყოფაქცევა – 5,5

გერმანული ენა – 4,4

ისტორია – 4,5

ბუნების ისტორია – 4,4

გეოგრაფია – 4,5, 4,4

არიტმეტიკა – 4,5, 4,4

ხაზვა და ხატვა – 3,4

(ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 9, საქმე 540)

სოფლიდან ჩამოსული, მარტოხელა ბავშვი, რომელსაც არ ჰქონდა ფული, ქალაქში არ ჰყავდა ნათესავი, წვალეებით, მაგრამ მონდომებით სწავლობდა. არც რიგიანი ტანსაცმელი ჰქონია, ერთი მოკლე, გაფხევილი შარვალი მეცვა და შუაში გამომწვარი ქუდი მეხურაო, თავად იგონებდა.

გიმნაზიის მოსწავლეები ფორმის ტანსაცმელს ატარებდნენ, მაგრამ სამოსი ცვდებოდა და კონსტანტინეს უჭირდა ახლის შეძენა.

თურმე, განსაკუთრებით მოსწონდა ქამრის ბრჭყვიალა ბალთა, რომელზეც ეწერა – "ქ. ს. გ." (ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია) და ჭრაჭუნა ფეხსაცმელები.

ქალამნებისა და დახეული წულების შემდეგ მათი ჩაცმა ბავშვის გულს ახარებდა.

თანდათან სწავლამ ისე გაიტაცა, რომ საკლასო საგნების წიგნთა გარდა, თავისუფალ ლიტერატურასაც კითხულობდა, დადიოდა საქალაქო ბიბლიოთეკაში, სადაც გვიანობამდე რჩებოდა.

ქუთაისში ქალთა სასწავლებელი ცალკე იყო.

მალე გოგონებმა ყურადღება მიაქციეს, მოსაწვევები გაუგზავნეს და საცეკვაოდ საღამოებზე მიიწვიეს. ამიტომ ამხანაგებმა ხუმრობით "დონ სუანი" შეარქვეს.

კონსტანტინეს პირველი გატაცება ყოფილა, როგორც თავად იგონებს ერთ ბარათში, ვიღაც დამა, ასაკით მასზე უფროსი ქალი (დამა ჰქვია "მთვარის მოტაცების" ერთ-ერთ პერსონასს).

ერთ წელს ებრაელთა უბანს ცეცხლი გაუჩნდა. კონსტანტინეს უყოჩაღნია და ებრაელის ბავშვი სიკვდილისაგან უხსნია.

საერთოდ, ყოველთვის კეთილად იყო განწყობილი ებრაელთა მიმართ, თუმცა გერმანიაში სწავლობდა, სადაც ანტისემიტიზმი მძვინვარებდა.

1906 წლის ზაფხულში პირველად ჩავიდა ტფილისში, უნდოდა ილია ჭავჭავაძე ენახა. მაგრამ ილია სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და პეტერბურგში წავიდაო, უთხრეს.

1907 წლის 30 აგვისტოს ილია რომ მოკლეს, მაშინ სოფელში ყოფილა და შეძრწუნებულ ყმაწვილს ფიცი დაუდვია – მთელი სიცოცხლე ებრძოლა სამშობლოს მამის მკვლელთა წინააღმდეგ.

გიმნაზიაში მეგობრობდა პლატონ შუშანიასთან, ილია თოფურიძესთან. ზოგთან კონფლიქტიც მოსდიოდა: თანაკლასელმა შუბლაძემ ბებუთით დაჭრა, კონსტანტინე სატრფოს მართმევსო.

სხვადასხვა წლებში მისი კლასელები იყვნენ სერგო კლდიაშვილი, ნიკოლოზ ოკუჯავა – გალაკტიონის ცოლისძმა.

მოხუცი გალაკტიონ ტაბიძე კონსტანტინეს დიდ მწერალს უწოდებდა, მაგრამ სიჭაბუკეშიაც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. 1911 წელს გალაკტიონს თავისი წიგნის გამავრცელებელთა შორის ჩაუწერია კონსტანტინე, როგორც აღნიშნავს ნოდარ ტაბიძე, დიდი პოეტის ძმისწული.

ახალგაზრდებს ერთმანეთისათვის ლექსებიც მიუძღვნიათ.

"ლანდებთან ლაციცში" ნათქვამია, გიმნაზიაში საიდუმლო ორგანიზაცია "ცხრა მუხა" დავაარსეთ, პროკლამაციები გავავრცელეთ, შავრაზმელი კუსტინოვიჩი ვცემეთ და ამის გამო ჟანდარმერიამ დამაკავაო.

საქმეში იოსებ ოცხელი ჩარეულა და კონსტანტინე გაუნთავისუფლებიათ.

გიმნაზიის საგნებისადმი ინტერესი თანდათან გაუნელდა.

შემცირდა ხუთიანების რიცხვი, გახშირდა სამიანები. ბოლო წლის III მეოთხედში გაუცდენია 22 გაკვეთილი, IV მეოთხედში – 10.

აი, როგორი იყო VIII კლასის დამთავრების შემდეგ პედსაბჭოს მიერ დასმული ნიშნები:

ღვთისმეტყველება – 3

რუსული ენა და სიტყვიერება – 4

ფილოსოფიის პროპედევტიკა – 4

ქართული ენა – 4

ლათინური ენა – 3

გერმანული ენა – 4

ფრანგული ენა – 3

მათემატიკა – 3

ფიზიკა – 4

მათემატიკური გეოგრაფია – 5

ისტორია – 4

გეოგრაფია – 4

ბუნებისმეტყველება – 4

სამართალმცოდნეობა – 4

სიმწიფის ატესტატის მისაღებად საჭირო იყო გამოცდების ჩაბარება. ჩაბარების სურვილი გამოთქვა 32-მა მოსწავლემ, ჩააბარა – 23-მა.

ბევრმა მიიღო ორიანები და ერთიანები.

კონსტანტინე გამოცდებისათვის კარგად მოემზადა და გაცილებით უკეთესი შედეგები აჩვენა, ვიდრე ჰქონდა გიმნაზიაში სწავლის პერიოდში.

გამოცდები იყო როგორც ზეპირი, ისე წერიტი.

ქართული ენის გამოცდაზე ხუთიანი მიიღო. ბილეთში ორი საკითხი შედიოდა – ალ. ყაზბეგის ნაწერები და მაკედონელის შემოსევა.

სადიპლომო თემა ყოფილა "ტურგენევის ზედმეტი ადამიანები", რომელმაც მოწონება დაიმსახურა.

გამოცდების დამთავრების შესახებ იოსებ ოცხელმა 1912 წლის 18 ივნისს მოახსენა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მზრუნველ კომიტეტს.

22 ივნისს კონსტანტინეს სახელზე გაიცა გიმნაზიის დამთავრების მოწმობა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებით.

ვერა აბდუშელიშვილი

გიმნაზიელი კონსტანტინე შეუყვარდა რებეკა ვაშაძის თანაკლასელს, ჭიათურელ ვერა აბდუშელიშვილს, სილამაზით გამორჩეულ ასულს.

მისი და ცოლად ჰყავდა ქუთაისელ პოეტს ანდრია სინაურს, რომელიც თითქმის მთელი სიცოცხლე ლოგინს იყო მიჯაჭვული.

კონსტანტინესაც მოსწონდა ვერა, მაგრამ მათ შორის რებეკა ჩადგა და ჭაბუკს გული აუცრუა, ვერა შენზე ჭორიკანობს, კოწიას დახეული ტუფლებიდან ფეხის თითები მოუჩანსო!

კონსტანტინე გაბრაზდა და ვერას შემდეგ აღარც დალაპარაკებია.

გავიდა დრო. ჭიათურაში მასწავლებლობდნენ ვერა, რებეკა და გალაკტიონის სატრფო ოლია ოკუჯავა.

ვერას ისევ უყვარდა კონსტანტინე, თუმცა იგი უცხოეთის ნისლებს იყო გადაყოლილი და გიმნაზიის შემდეგ არც ენახა.

მაგრამ ვერას განუქარველი სიყვარული იცოდა რებეკამ და სკოლაში ხმამაღლა კითხულობდა ხოლმე კოწიას უსტარებს, რათა მეტოქისათვის გული დაეწყვიტა!

შემდეგ ვერა ფსიქიურად დაავადდა და მალე ისე გარდაიცვალა, რომ კონსტანტინესათვის თვალი არც მოუკრავს...

კონსტანტინე, როგორც თარაშ ემხვარი, სიკვდილის მომტანი დემონი აღმოჩნდა ვერასა და რებეკასათვის.

მათ ერთნაირად დაასრულეს სიცოცხლე...

6. შემოქმედების დასაწყისი

საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს

მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით.

ტიციან ტაბიძე

1909 წლიდან კონსტანტინე კ. აბაშისპირელის ფსევდონიმით ხშირად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში.

ახალბედა პოეტის პირველი სტრიქონები გამოჩნდა "ფონისა" და "კოლხიდის" ფურცლებზე.

1911 წლის 22 სექტემბერს აკაკი წერეთელთან ერთადაც გამოსულა პოეზიის სადამოზე.

1912 წელს ლექსიც მიუძღვნა დიდ პოეტს – "არწივთა მაღალ მთისათა"...

მაშინ ფსევდონიმები დიდად იყო გავრცელებული. იგონებდნენ ნაირნაირ, უცნაურ სახელებს. ამ მხრივ ყველას აჭარბებდა იოსებ გრიშაშვილი, რომელსაც უამრავი ფსევდონიმი ჰქონდა. ამ ფორმით კონსტანტინესაც ბევრი წერილი აქვს გამოქვეყნებული (კ-ა, კ-ნი, კ. გ., კ. გ-ია, ლ. კ., C. G, ჰექტორი, ჩვენ, ზიგფრიდ გუბაძე, მ.ს-ძე, ქარონი, ჰოლლრაიტ, უ. ურდოელი...), ხოლო მნიშვნელოვან ნაწერებს თავის სახელსა და გვარს აწერდა.

აბაშისპირელის ფსევდონიმს მთელი ათი წელი ატარებდა. ეს მოდური გატაცება იყო (შდრ. – არაგვისპირელი, თურდოსპირელი, ახოსპირელი), თორემ კონსტანტინეს გვარს დასაწყისი რა უნდა ჰქონოდა.

გვარი ალექსანდრე აბაშელმაც შეიცვალა (სანდრო ჩოჩია), მაგრამ აბაშელი გაცილებით კეთილ-ხმოვანია, ვიდრე ჩოჩია.

ფსევდონიმის აღება თვითმიზანი როდია. მას რაღაც გამართლება უნდა ჰქონდეს. კონსტანტინე სწორად მოიქცა, ლიტერატურაში თავისი გვარი რომ დაიბრუნა და დაამკვიდრა.

კონსტანტინეს ნაწერები (ლექსები, ნოველები, თარგმანები, წერილები) იბეჭდებოდა სოციალისტ-ფედერალისტურ და ნეიტრალურ პრესაში ("პირველი ტალღა", "ფონი", "კოლხიდა", "თემი", "სახალხო საქმე", "ოქროს ვერძი", "ხალხის მეგობარი", "იმერეთი", "ჯარისკაცი", "ნაკადული"...).

"ცისფერყანწელებთან" კონფლიქტი ადრევე ჰქონდა და მათ ჟურნალ-გაზეთებს არ ეკარებოდა. ასევე ნეგატიურად იყო განწყობილი სოციალ-დემოკრატების მიმართ.

1920 წელს იბეჭდება სურნალ "ცისარტყელაში", მაგრამ იმიტომ, რომ იქ მუშაობდა ალექსანდრე აბაშელი, რომელსაც ბავშვობიდან იცნობდა და ყოველთვის დიდ პატივს სცემდა, თუმცა "გაბზარული სარკის" ავტორი სოციალ-დემოკრატი იყო.

1921 წელს ერთი ვრცელი ესეე დაბეჭდა გაზეთ "საქართველოში", ეროვნულ-დემოკრატების გაზეთში.

"ცისფერყანწელთაგან" განსხვავებით, ჭაბუკ კონსტანტინეს ლიტერატურული მეგობრები არ ჰყოლია. ყველაზე მეტად კი პატივს სცემდა იოსებ გრიშაშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს, ლეო ქიაჩელს.

კონსტანტინეს ადრეული ლექსები და ნოველები ლიტერატურული ღირსებით არ გამოირჩევა. ზოგ მათგანს იოსებ გრიშაშვილის გავლენა ეტყობა. ავტორი არ იცნობს, თუ არ იყენებს უახლესი, მოდერნისტული პოეზიის გამოცდილებას, სტილსა და ესთეტიკას.

ასე გაგრძელდა 1917 წლამდე.

ამ წელს ბეჭდავს პოლიტიკური ესეების მთელს სერიას და ლექსებს, რომლებშიც საგრძნობია ახალი ქარის ქროლვა. ქალაქის რიტმი, ინტელექტუალიზმი, მისტიკა, ანტიმუსიკალობა – აი, რა გამოარჩევს მათ კოლეგების ლექსთა ლაშქარში.

მართალია, ვერც ისინი უტოლდებიან თავისი თაობის პოეტთა საუკეთესო ლექსებს, მაგრამ ვლინდება ახალი ხედვა. ამიტომაც ერთი ლექსი – "ბერლინი" – შეიტანეს "ახალი პოეზიის ანთოლოგიაში", რომელიც 1919 წელს გამოიცა ქუთაისში.

ამჯერად კონსტანტინემ უარყო გრიშაშვილის ჰანგები და დიდი ქალაქის რკინისა და ელექტრონის რომანტიკით განიმსჭვალა. იგი ინდუსტრიის მომღერალია კვიკლოსებში – "დიდ ქალაქში" და "XX საუკუნე".

დიდი ქალაქი პოეტისათვის – ეს ბერლინია, რომელსაც კარგად იცნობდა. აქ ერთმანეთში არეულა გველეშაპისა და კურფჟუსტერ დამის ლანდები, მეეტლეები და ვატმანები, ქარხნის საყვირი და აპოკალიფსის პოზაუენები. ოქრო ცვლის იესოს ხატს, რადგან "აქ ისარია მზრძანებელი და ციფერბლატი" ("ბერლინი").

დიდი ქალაქის გისური რიტმით აღტყინებული პოეტი უარყოფს ვარდს, ბულბულს, მთვარეს, ღამეს. მათ სანაცვლოდ ეტრფის ორკესტრსა და ელექტრონის შუქს, ე. ი. პირველად ბუნებას სცვლის ინდუსტრია, ტექნიკის კულტი ("მიზანტროპი").

თვით მიზანტროპიც ამ სამყაროს ნაწილია, რომლის სიმბოლოებია ვერჰარნი და გრაფი ცეპელინი. პირველი ელექტრონისა და ინდუსტრიის მომღერალია, მეორე – ეშმაკის მანქანის შემოქმედი ("Teufels Machine"), ფაუსტის იჭვნიელ სულს რომ დემონის ფრთები შეასხა და ცად აიჭრა, გაარღვია შეუძლებლობის "წრე ჯადოსნური".

მეოცნებე ვერჰარნს, რკინისა და ფოლადის ამმეტყველებელს ("ვერჰარნი – დროის ახალი დანტე" – გალაკტიონი) მოჰყვება პრაქტიკოსი ცეპელინი, რაც ახალი რომანტიკის ძალმოსილების დასტურია. იდეალად ქცეულა რკინა და ფოლადი, მაგრამ პოეტი ვერც ძველ სილამაზეს ელევა და სტრიქონებში კიდევ იელვებს აპოლონის ლანდი, როგორც გადამქრალ დღეთა მშვენება.

ამგვარი ურბანიზმი ახალი სიტყვა იყო ჩვენი პოეზიისათვის, რომელმაც ორიენტირი მისცა მომავალ ავანგარდისტებს – ქართველ "H₂SO₄"-ელებს. მაგრამ მათ ვერ აპატიეს კონსტანტინეს ძველ რომანტიკაზე ნოსტალგია და სასტიკად გააკრიტიკეს.

1924 წელს ფიქრობდა ურბანისტულ-ავანგარდისტული ლექსები ცალკე წიგნად დაებეჭდა, სახელწოდებით – "ელექტროს ქალაქები".

მაგრამ ასეთი კრებული არ გამოცემულა.

ალბათ იმანაც იმოქმედა, რომ მოვიდნენ მოხულიგნო "H₂SO₄"-ელები, რომელთაც მოიტანეს ფუტურისტულ-დადაისტური პაროლები და კონსტანტინეს თავს დაესხნენ.

პირველ, გამორჩეულ ესეებსა და ნოველებს 1920 წელს ბეჭდავს.

მისმა თანატოლმა პოეტებმა სწრაფად დაწერეს საუკეთესო ლექსები, იოლად მოიპოვეს პოპულარობა.

გალაკტიონმა 1919 წელს გამოსცა ქართული ლირიკის უდიდესი წიგნი – "არტისტული ყვავილები". მაშინ კონსტანტინეს თითქმის არაფერი შექმნილი არ ჰქონდა. უნდა გაეგლო დიდი და ნარეკლიანი გზა, ვიდრე შედეგების ავტორი გახდებოდა.

მას დასჭირდა ლიტერატურული გიმნასტიკის მთელი ათწლეული, რათა ეთქვა ახალი სიტყვა. შეიძლება გავვოცდეთ კიდეც – როგორ იქცა უფერული ლექსების ავტორი დიდ ხელოვანად. აქ ორი ფაქტი უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი:

1. მწერლის შინაგანი დისციპლინა, განათლებისაკენ სწრაფვა, ახალ ლიტერატურულ სისტემათა გაცნობა და ათვისება.

2. სამშობლოს ტრაგიკული ბედი, ისტორიული კატაკლიზმები, რაც მძაფრად მოქმედებდა მის ფსიქიკასა და ჭაბუკურ ფანტაზიაზე და უვითარებდა სინამდვილის გამახვილებული აღქმის უნარს.

მაგრამ რომ არ ჰქონოდა შინაგანი პოტენცია, ვერაფერი უშველიდა. უბრალოდ – ამ პოტენციას სჭირდებოდა ამომრავება, გარეთ გამოტანა და გამოხსნა.

კონსტანტინემ ორი პოლიტიკურ-პუბლიცისტური ბროშურა გამოსცა გერმანიაში "კავკასიელისა" და "კოლხოსის" ფსევდონიმით ("Der Kaukasus im Weltkrieg", ვაიმარი, 1916, ტირ. 25 000; "Englands und Russlands Orientpolitik", ბერლინი, 1917, ტირ. 35 000). მათგან ერთი მიკვლეულია, მეორე – არა.

მწერალი შენიშნავდა, "კავკასია მსოფლიო ომში" ინგლისურად ითარგმნა და ამერიკაშიც გავრცელდა.

ისინი გერმანოფილური ხასიათისაა და აღბეჭდილია "საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" სულისკვეთებით.

იმ წლების გერმანულ პრესაში გამოქვეყნდა კონსტანტინეს რამდენიმე სტატია და ლექსების თარგმანები.

უცხოეთიდან ქართულ სურნალ-გაზეთებს სისტემატურად უგზავნიდა ლექსებს, აწვდიდა კორესპონდენციებს, მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, თარგმანებს.

დაბეჭდა ესეების სერიები – "მწერლის დღიური", "აპოლიტიკოსის წერილები", "მოზაიკები", "მეტაფიზიკოსის დღიური", "პოლიტიკური შენიშვნები"...

საინტერესოა ფსევდონიმებიც – Amirani, K. Kaukasieli, Kolchos, როგორც ნაციონალური მრწამსის სიმბოლოები.

განსაკუთრებით იტაცებდა ორი სახელი – გოეთე და ნიცშე. გოეთე მთელი სიცოცხლის მანძილზე იყო მწერლისათვის უდიდესი ავტორიტეტი, ღრმა სიყვარულისა და თაყვანისცემის საგანი, ხოლო ნიცშეს ოციანი წლებიდან იძულებული გახდა გამოთხოვებოდა.

"დიონისოს ღიმილის" გამოცემამდე (1925) კონსტანტინეს სერიოზულ ხელოვანად არ აღიქვამდნენ. ეს იწვევდა მწერლის გაღიზიანებას. განსაკუთრებით აგრესიული იყო "ცისფერყანწელთა" მიმართ.. ფლობდა ენებს, კარგად იცნობდა ევროპის კულტურას, წერდა ჩინებულ ესეებს, ფანატიკურად იცავდა სამშობლოს თავისუფლებისა და განახლების მრწამსს. იყო ესთეტი. მაგრამ ამ პოტენციის მხატვრული რეალიზება არ ჩანდა. ეს ითქმის 1919-1924 წლებზე.

მხოლოდ თეორიული თვალსაზრისი, ცხადია, არ არის ლიტერატურა, რაც უნდა სწორი და საინტერესო იყოს იგი. მაგრამ "დიონისოს ღიმილმა" გაფანტა უნდობლობის ნისლი და ყველა დააჯერა, რომ ლიტერატურას მოევლინა დიდი კულტურის თვალსაჩინო ხელოვანი.

აღიარეს "ცისფერყანწელებმაც".

სამაგიეროდ მტრად მოიკიდა პროლეტკულტელები – ხელისუფლების აგენტები ლიტერატურაში.

7. ევროპის უნივერსიტეტებში (1912-1919)

შენ, ჰეჰ, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა.

კონსტანტინე გამსახურდია

1912 წელს, გიმნაზიის დამთავრებისთანავე, კონსტანტინე ჩაირიცხა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, რომლის დეკანი იყო ნიკო მარი, ქართველოლოგი და არმენისტი, გენიალური ფილოლოგი.

კონსტანტინე აღნიშნავდა ხოლმე, ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი და ეს მშველსო.

მართლაც – არაერთხელ დასდგომია დრამატული წუთები, მაგრამ ხიფათისათვის ყოველთვის კეთილად დაუღწევია თავი.

გიმნაზიაში ხომ შემთხვევითობის წყალობით გააგრძელა სწავლა. შეიძლებაოდა დამატებით სიაში ვანო მოხვედრილიყო, უფროსი ძმა, და არა იგი, ან სულაც არ მიეცათ სამ ადგილზე მეტი სენაკელთათვის.

ახლა, გიმნაზია რომ დაამთავრა, ახალი თავსატეხი გაუჩნდა: ხელმოკლე ოჯახის შვილს როგორ ესწავლა პეტერბურგში, სად ემოვა ფული. ერთადერთი იმედი იყო სტიპენდია. მაგრამ სტიპენდია ერთი იყო და ასი ხელი კი ეპოტინებოდა.

ამჯერად იოსებ ოცხელმა იხსნა ჭაბუკი:

გიმნაზიის დირექტორის 4 ივლისის შუამდგომლობით ქალაქ ქუთაისის გამგეობამ კონსტანტინეს დაუნიშნა ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია, რომელიც ეძლეოდა მხოლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს.

მანამდე ამ სტიპენდიას იღებდა ვუკოლ ბერიძე.

იოსებ ოცხელი ადრეც ეხმარებოდა კონსტანტინეს – ერთხანს სტიპენდიად 10 მანეთს აძლევდა.

დირექტორი აღნიშნავდა, რომ კონსტანტინე გამსახურდია "ყოველთვის ყურადღებას იქცევდა თავისი რიგიანი ყოფაქცევით, შრომისმოყვარეობითა და ნიჭიერებით". მიუთითებდა მწერლურ უნარზეც (ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 9, საქმე 1038).

გიმნაზია რომ დაამთავრა, ძველ აბაშაში ჩავიდა, წიგნები ჩაიტანა და სოფლის სამკითხველოს უფასოდ გადასცა დარვინის სამტომეული, ტურგენევის, ვლ. სოლოვიოვის, დოსტოვესკის, შექსპირის, დანუნციოს, კოგანის, ს. ხუნდაძის წიგნები.

სამრევლო სკოლა წინა წელს თოვლს ჩაენგრია. გადახურვაზე არავინ ფიქრობდა. ყველაფერი ეზოში ეყარა და ლპებოდა. რატომღაც მღვდელს არ ნდომებია სკოლის აღდგენა.

აგვისტოს თვეში კონსტანტინე პეტერბურგს გაემგზავრა.

პეტერბურგი

პეტერბურგში ცხოვრობდა ვასილ×ევის კუნძულზე, აკაკი შანიძის პატარა ოთახში. აქ მხოლოდ თვენახევარი დაჰყო – 12 ოქტომბრამდე. პეტერბურგის ცივმა და ნესტიანმა ჰაერმა ფილტვები დაუზიანა. ეს დაამოწმა უნივერსიტეტის ექიმმა. იძულებული გახდა, სწავლა შეეწყვიტა. ექიმმა ურჩია, რომ სამკურნალოდ აუცილებლად წასულიყო დასავლეთ ევროპის კურორტებზე.

მოგვიანებით უნივერსიტეტის დატოვება ახსნა ნიკო მართან ილია ჭავჭავაძის გამო შეკამათებით, რაც არ დასტურდება კონსტანტინე ნიკო მარს ქართულად მიმართავდა. პროფესორს ეს არ მოეწონა და აკაკი შანიძეს უთხრა, გადაეცით თქვენს ამხანაგს, სახელმწიფო დაწესებულებაში ოფიციალურ ენაზე (ე. ი. რუსულად) მომმართოსო.

რექტორატმა პირველკურსელ სტუდენტს ერთი წლით უცხოეთში წასვლის ნება დართო, რაც მან შეატყობინა ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობის საბჭოს.

პეტერბურგში სწავლა არც უხაროდა. ჩარიცხვამდე სწერდა რებეკა ვაშაძეს, თავის მომავალ მეუღლეს – რუსულ უნივერსიტეტში თუ მოვხვდი, "მუდამ დღე ციხეში ვიქნებიო", ხოლო ციხე და სწავლა ერთმანეთს არ ეგუებაო. ამიტომ ეწადა ბელგიაში ან საფრანგეთში გამგზავრება. ჯანმრთელობას ადრეც უჩიოდა, სუსტი აგებულებისა ვარ და რუსეთში ჭლექი დამემართებაო.

მთავრობისაგან, სწავლის პერიოდში, სამხედრო ბეგარა ოთხი წლით ჰქონდა გადავადებული – 1916 წლამდე.

კენიგსბერგი

მთელი წელი რომ უქმად არ დაეკარგა, გადაწყვიტა ენებს დაუფლებოდა. ქალაქ ქუთაისის თვითმმართველობას მისწერა, გერმანიაში "ვაპირებ ერთ 4-5 თვე დავრჩე რამეფრათ და ენა შევისწავლო" (ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 108, საქმე 4259).

მართლაც, ოქტომბრის ერთ ნისლიან საღამოს ორმა მეგობარმა გააცილა ვარშავის ვაგზალზე (მათგან ერთი იყო აკაკი შანიძე) და კონსტანტინემ დატოვა ნესტიანი პეტერბურგი.

კენიგსბერგში რომ ჩასულა ("ჩრდილოეთ პრუსიის ერთ მოზრდილ ქალაქში"), გერმანული ენა არ სცოდნია, ვერავის ვერაფერს აგებინებდა. იქ უცხოვრია სამი თვე, ერთი ნაციონალისტი თერძის, გვარად ბლოკის პანსიონში, რომლის ოჯახის წევრები შველოდნენ ენის დაუფლებაში.

გერმანულ წიგნებს ვერ კითხულობდა. ლექსიკური მარაგი რომ ჰქონოდა, ქუჩის აფიშებსა და განცხადებებს იზეპირებდა. ორი თვე ქალაქში მუნჯივით დახეტიალობდა. გერმანულს გიმნაზიაშიც სწავლობდა, მაგრამ ლაპარაკი არ შეეძლო, ენა ვერ გაიტეხა.

კონსტანტინე ისე დაუმეგობრდა ბლოკებს, რომ შემდეგ ერთმანეთს წერილებსაც უგზავნიდნენ. ერთხელ პატარა ევას მძინარე მამა კონსტანტინე ჰგონებია და, ბიძია, ადექო, აღვიძებდა თურმე. ამ ბავშვის სახელი არ დავიწყებია და მას იხსენიებს "ლანდებთან ლაციცში".

შემდეგ, როცა ენა ამოიდგა, საქსონიაში გადავიდა. გზად ბერლინი უნდა გაევიდა და 1913 წლის ახალ წელს ამ "გველეშაპივით ათასთვალეზიან" ქალაქში შეხვდა.

ერთ-ერთ წერილში იუწყება, იანვრიდან ვაპირებ უნივერსიტეტში ჩაწერას და მაისამდე დავრჩებო, მაგრამ იანვარში უკვე ლაიპციგში იყო.

ასე რომ, კენიგსბერგის უნივერსიტეტში არ უსწავლია, თუმცა შეიძლება ლექციებს ესწრებოდა.

ლაიპციგი

ლაიპციგში მცირე ხანს იყო უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი ("ერთი თვის შემდეგ კი იქიდან სხვაგან მომიხდა წასვლა"). იქ დახვდა თხუთმეტიოდე ქართველი სტუდენტი, მათ შორის – ბიძაშვილი ჯოდოლი თოფურიძე, დარდიმანდი ახალგაზრდა. მათთვის შალვა ნუცუბიძეს წაუკითხავს რეფერატი – "ჭემმარიტება როგორც საგანი ფილოსოფიისა".

ლაიპციგიდან ქართველ სტუდენტთა სახელით 1913 წლის თებერვალში ლადო მესხიშვილს მიულოცა სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავი.

იქ ებრაელთა ცხოვრებით დაინტერესდა, განსაკუთრებით – სიონისტური მოძრაობით. მაგრამ მოსესა და სოლომონის ენის აღდგენა თუ შეიძლებოდა – ვერ წარმოედგინა. ალბათ ანალოგიას ხედავდა ებრაელთა და ქართველთა შორის. ამიტომ დახსომებია ერთი ებრაელის ნათქვამი, რომელსაც თავი მოუკლავს: "ერი რომ საკუთარ ტერიტორიას და ენას დაკარგავს, უმჯობესია მაშინვე მოკვდესო".

ლაიპციგში უთარგმნია ფრ. ნიცშეს, მ. ლენაუს, ფრ. შილერის, გოეთესა და ჰ. ჰესეს ლექსები (გაზ. "იმერეთი", 1913, №№108, 119).

ლაიპციგში სწავლობდნენ სხვადასხვა ერის შვილები – გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, ინდოელები, რუსები, ჰოლანდიელები, იაპონელები, ჩინელები, "ნეგრები"...

ეს გარემო მწერლისათვის იყო მსოფლიოს ერთგვარი მიკრომოდელი.

სტიპენდია

გერმანიაში ისევე ეძლეოდა ის სტიპენდია, რომელიც ქუთაისის ქალაქის გამგეობამ დაუნიშნა როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს – თვეში 25 მანეთი.

მას აგზავნიდნენ პეტერბურგში აკაკი შანიძის მისამართზე. მაგრამ ერთხელ შეშლიათ და კონსტანტინეს სტიპენდია ალექსანდრე შანიძეს მისვლია.

ცხადია, 25 მანეთი არ იყო დიდი თანხა. ამიტომ სტიპენდიის პარალელურად, პეტერბურგში ჩასვლამდე, თხოვნით მიმართა "ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებას", რომელიც 1907 წლიდან არსებობდა.

თხოვნა გაუმეორა 1912 წლის 1 ოქტომბერს. წერილი პეტერბურგიდან გამოგზავნა, ჩემს მდგომარეობას დაგემოწმებიან ბართლომე მოსემვილი და დავით ავალიანიო. სტიპენდიას – 25 მანეთს ვლებულობ, მაგრამ საკმარისი არ არისო.

როგორც ჩანს, დახმარება ვერ მიიღო. ამიტომ 26 ნოემბერს კენიგსბერგიდან აგზავნის წერილს, მეორე თვეა აქა ვარ, ერთადერთი ქართველი მთელ ქალაქშიო. აქ ვაპირებ სწავლას და თუ არის საშუალება, დამეხმარეთო.

მართლაც, საზოგადოებამ ამჯერად ყურად იღო ახალგაზრდა კონსტანტინეს თხოვნა და ფული გაუგზავნა.

მიუხედავად ფულადი დახმარებისა, პეტერბურგში დაბრუნება არ უნდოდა. გერმანიაში ვერ დარჩებოდა – პასპორტს ვადა 15 მაისამდე ჰქონდა.

ამიტომ გერმანიიდან საქართველოში ჩამოვიდა 1913 წლის მაისში, წასვლიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ.

მარშრუტი ასეთი იყო: ვარშავა-ნოვოროსია-ტუაპსე-სოხუმი-ქუთაისი.

სოხუმში დედა დახვდა, რომელსაც მთელი წელი შვილი არ ენახა.

საქართველოში დაპყო ზაფხულის თვეები და რამდენიმეჯერ მიმართა ქუთაისის ქალაქის გამგეობას. ერთგან წერს, პეტერბურგში ვერ დავბრუნდები, ჯანმრთელობა ხელს არ მიწყობსო; მეორეგან აღნიშნავს, ვერ გამოვკეთდი, ისევ სუსტად ვარო.

მაგრამ თუ პეტერბურგში სწავლას ვერ გააგრძელებდა, სტიპენდია უნდა მოეხსნათ. მართლაც, 1913 წლის 12 აგვისტოს გამგეობას უწერს განცხადებას, რომ სტიპენდია მოეხსნათ, რადგან ავადმყოფობის გამო პეტერბურგში ვერ წავიდოდა.

მანამდე კი, 1913 წლის 29 მაისს, ჩამოსვლისთანავე, თხოვნით მიმართა მარგანეცის მრეწველთა ყრილობას, უცხოეთში ფილოსოფიური განათლების მიღება მინდა, მაგრამ ფული არა მაქვსო. მოხუცი დედის გარდა არავინ მყავსო. ახსენებს ჯანმრთელობის ცნობას, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის ექიმმა მისცა, წასვლის ნებართვას, სამხედრო ბეგარის გადავადებას. აღნიშნავს, რომ იყო ლაიპციგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი, რომ აღარ ექნებოდა ილია

ჭავჭავაძის სტიპენდია და სანაცვლო მიეცათ (ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფონდი 139, ან. 2, საქმე 401).

იმავე წლის სექტემბერში თითქოს ჩარიცხულა კენიგსბერგის უნივერსიტეტში და მისი თხოვნის პასუხად, კიტა აბაშიძის თაოსნობით, 1 ოქტომბერს დაენიშნა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის მანგანუმის მრეწველთა ყრილობის სტიპენდია წელიწადში 300 მანეთის ოდენობით.

მაგრამ სწავლა კენიგსბერგში არ გაუგრძელებია: პასპორტი არ ჰქონდა და უცხოეთში როგორ წავიდოდა. უცხოეთში გამგზავრება კი არა, ბაქოს პლასხე გასეირნება ყოფილა საშიში უპასპორტო კაცისათვის.

ამ მიზეზით დარჩა რუსეთში და ამასვე აუწყებს რებეკა ვაშაძეს. თანაც გაუგებარია, თუ კენიგსბერგში სექტემბრის თვეში ჩაირიცხა, ოქტომბერში როგორ არის მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, სადაც სწავლა არც ეხალისებოდა.

რეალური სურათი ასეთია:

უპასპორტობის გამო კონსტანტინე უცხოეთში ვერ წავიდა და ისევ პეტერბურგის გზას დაადგა.

19 სექტემბერს ბაქოდან ბარათს სწერს რებეკას, უთითებს თავის მისამართებს პეტერბურგსა და ლაიპციგში. მაგრამ კენიგსბერგს არ ახსენებს. ბაქოში ინახულა კიტა აბაშიძე და 20 თუ 21 სექტემბერს ჩრდილოეთისაკენ მატარებელს გაჰყვა. მოსკოვში არ შეჩერებულა. პეტერბურგში 24 სექტემბრისთვის მაინც ჩააღწევდა.

იქ გაიგო, რომ სტუდენტთა სიიდან ამოერიცხათ.

ცხადია, უპასპორტო კაცი, რომელიც გაზეთ "სახალხო საქმის" კორესპონდენტის ბილეთით მგზავრობდა, ვერ მოახერხებდა ორ დღეში კენიგსბერგში ჩასვლას, ჩარიცხვას და დეპეშის გაგზავნას ქუთაისში.

მას ხომ უკვე 1 ოქტომბერს დაუნიშნეს სტიპენდია!

პეტერბურგიდან რებეკას ამცნო, რომ უნივერსიტეტიდან გაერიცხათ, არც შვებულებას აძლევდნენ, ვერც პასპორტს იღებდა. ეს ჯარისკაცობა "წამჩხირებიაო", მოსკოვში ან იურიევში უნდა ჩავეწერო. სწავლას მოსკოვში გავაგრძელებ ან საფრანგეთში, რადგან გერმანია რუსეთის ქვეშევრდომებს აღარ ღებულობსო.

უნდა ვიფიქროთ, რომ კონსტანტინეს სტიპენდია დაუნიშნა კიტა აბაშიძემ, პირადი ინიციატივით, თითქოს იგი სწავლობდა კენიგსბერგში, ე. ი. საზღვარგარეთ, რათა მარგანეცის მრეწველთა წესდება არ დაერღვია.

1914 წლის 13 ოქტომბერს იგივე სტიპენდია ერთი წლით გაუგრძელეს.

მაშინ კონსტანტინე ითვლებოდა მიუნხენის უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელად, თუმცა გერმანელებს ჰყავდათ დაპატიმრებული.

მოსკოვი

1913 წლის ოქტომბრიდან 1914 წლის მარტამდე მოსკოვშია – სწავლობს საიმპერატორო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველ კურსზე. აბარებს გამოცდებს ფსიქოლოგიაში, გერმანულში, ისტორიაში, ენათმეცნიერებაში, თუმცა იქ სწავლის ხალისი არ ჰქონდა.

როგორც ითქვა, რუსეთში დარჩენის მიზეზი ის იყო, რომ პასპორტი არ მისცეს.

26 დეკემბერს მოსკოვიდან წერს რებეკას: "ვერიდები მისი უნივერსიტეტში სწავლასაც, მის ორთავიანი არწივის ფოლაქსაც არ ვატარებო".

მოსკოვში ძლიერ გახდა, თუმცა ავად არ ყოფილა, არც თბილად ეცვა. აქაური საკვები მწყინსო, სწერდა საცოლეს.

აპრილში საქართველოში ჩამოვიდა, უნივერსიტეტს თავი დაანება, რებეკა ვაშაძეზე ჯვარი დაიწერა და მეუღლესთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა.

პასპორტის აღება მოახერხა. ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო. ჯარში გაწვევა გადაუვადეს, დაუშვეს შესამოწმებლად იმ პირობით, თუ რუსეთის უნივერსიტეტში შევიდოდა.

მიუნხენი

1914 წლის 1 ივლისს, მსოფლიო ომის დაწყების დღეს, მიუნხენში შეხვდა. იყო იქაური უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი. მეცადინეობდა მიუნხენის სამეფო ბიბლიოთეკაში ათიდან ოთხ საათამდე.

ათვალიერებდა მუზეუმებს, სამხატვრო გალერეებს, ისმენდა ვაგნერს.

სექტემბერში, როცა იმპლავრა ნაციონალისტურმა ისტერიამ, მეუღლესთან ერთად დააპატიმრეს, როგორც რუსეთის მოქალაქე და მოათავსეს ჯერ ისმანინგის ციხეკომპოში, შემდეგ – ტრაუნშტაინის ტყვეთა ბანაკში.

მანამდე კი წინადადება მისცეს 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინა გერმანია, მაგრამ უფულობის გამო ეს ვერ შეძლო.

ქალაქში რუსებზე ნადირობდნენ. იმართებოდა მიტინგები და დემონსტრაციები. ერთ დემონსტრაციაში თავადაც მოჰყვა, რომელიც ბავარიის მეფე ლუდვიგის სასახლეს მიაღდა.

ქუჩაში დამფრთხალი დადიოდა.

აღზნებული ბრბოს რისხვისაგან რომ თავი ეხსნა, პოლიციას თავად ჩაბარდა. ჯიბეში სდე-ბია ქართული გაზეთის თანამშრომლის მოწმობა.

ალბათ ტექნიკური მუშაკი იყო – კორექტორი და გამომშვები, როგორც ერთგან შენიშნავს (შდრ. ვახტანგ კორინთელის სტუდენტობის წლები).

ტრაუნშტაინის ტყვეთა ბანაკი

ტრაუნშტაინიდან კონსტანტინე წერილებს უგზავნიდა რებეკას (მაგ, 1914 წლის 30 სექტემბრისა, 4 დეკემბრისა, 1915 წლის 29 იანვრისა), რომელიც მშობლების ძალისხმევით მალე გაანთავისუფლეს, ზოგი მათგანი დაწერილია რუსულად და გერმანულად და ტყვეთა ბანაკის შტამში უზის.

ალბათ როგორც გერმანიის, ისე რუსეთის სამხედრო ცენზურა წერილებს ამოწმებდა.

ტრაუნშტაინის ბანაკში გაიგო აკაკი წერეთლის, ნიკო ლომოურის, დეპუტატ გელოვანის გარდაცვალება. იქ წაიკითხა შოპენჰაუერი, უპანიშადები და ვედა.

მეუღლეს სწერს, "საშინლად გავსუქდი, ლოყები მასქდებაო"!

სადილი და ვახშამი ღირდა 1,8 მარკა. ფულს უგზავნიდნენ, მაგრამ მაინც ვალებში ჩავარდნილა.

ბანაკიდან თვეში ერთი წერილის გაგზავნის უფლება ჰქონდა.

იქვე დაიწყო ფრანგული ენის შესწავლა, წაიკითხა ანატოლ ფრანსის რომანი.

"ჩემი ტყვეობის ისტორია ერთი წიგნი იქნებაო", შენიშნავს. წიგნი არა, მაგრამ მოგვიანებით, 1917 წელს, დაბეჭდა ნარკვევი – "ჩემი ტყვეობა (ალპიის ყვავილები)".

ამავე პერიოდს, ივლისის მიუნხენს ეხება დაუმთავრებელი წიგნი "ევროპა გალიაში", რომელსაც 30-იან წლებში წერდა.

ბანაკიდან თომას მანს, "ბუდენბროკების" ავტორს წერილი მისწერა, ყოველთვის რუსეთის მეფის მტერი ვიყავი და ახლა აქ რატომ უნდა ვიჯდეო!

ითხოვა შუამდგომლობა, რათა გაენთავისუფლებინათ.

ათი დღის შემდეგ თომას მანმა ამანათი და წერილი გამოუგზავნა.

მალე ბანაკიდან გამოუშვეს კიდეც, სადაც მთელი ექვსი თვე დაჰყო.

რუს მოქალაქეებს ჯერ კიდევ 1913 წლის ცირკულარის თანახმად გერმანიაში სწავლა ეკრძალებოდათ. შეემლოთ მხოლოდ თავისუფალი მსმენელი ყოფილიყვნენ.

ომმა ეს უფლებაც მოსპო. მაგრამ უკვე მოქმედებდა "საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი", რომელიც "თავისუფალი საქართველოს" სახელწოდებით სენევაში ჩამოყალიბდა.

პატიმრობის შემდეგაც მწერალი გერმანიაში დარჩენილა, ალბათ ამ კომიტეტის მეშვეობით, რომელსაც გენშტაბი მფარველობდა.

1915 წლის 23 ოქტომბერს მიუნხენიდან წერილს სწერს მეუღლეს. საერთოდ კი, ამ წელს იშვიათად ჩანს ქართული პრესის ფურცლებზე.

ბერლინი

როგორც გერმანელი ქართველოლოგის შტეფი იუნგერის მიერ მიკვლეული მასალებიდან ვიგებთ, კონსტანტინე წლის დამლევს ბერლინს გაემგზავრა, რათა იქ მიეღო მონაწილეობა საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მუშაობაში (იგი იხსენიება "დიონისოს ღიმილში"), ხოლო 1916 წლის 7 იანვარს, სიმწიფის ატესტატის საფუძველზე, ჩაირიცხა ბერლინის ალექსანდერ და ვილჰელმ ჰუმბოლდტების უნივერსიტეტში.

1915 წლის ივლისში გერმანიამ წამოაყენა რუსეთის იმპერიის დაშლის გეგმა, რომლის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, ამიერკავკასიაში უნდა შექმნილიყო

საქართველოს დასავლეთი შტატი და აზერბაიჯანის აღმოსავლეთი შტატი – ბუფერული სახელმწიფოები რუსეთსა და ოსმალეთს შორის.

განმათავისუფლებელი კომიტეტიც ამის გამო შეიქმნა, რომლის წევრები იყვნენ პ. სურგულაძე, მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი, გ. კერესელიძე, ლ. კერესელიძე, ნ. მაღალაშვილი... გერმანიას სჭირდებოდა ქართველი ემიგრანტები, მათი ნაციონალური მისწრაფებანი.

კომიტეტი გერმანიის მხარდაჭერითა და თურქეთის მეშვეობით ცდილობდა დამოუკიდებლობის მოპოვებას, საქართველოს გამოხსნას რუსეთის უღლისაგან.

ამავე აზრისა იყვნენ ეროვნულ-დემოკრატების ერთი ჯგუფი და ფედერალისტების ნაწილი.

კომიტეტის მუშაობას ყურადღებით ეკიდებოდა ნოე სორდანიაც.

წევრები მიიღეს გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ მეორემ და გენერალმა ერის ლუდენდორფმა (რეალურად იგი ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთის ფრონტს) და დახმარება აღუთქვეს.

ეს ფაქტი აისახა "დიონისოს ღიმილში".

კონსტანტინე სავარსამიძე არის ამ კომიტეტის წევრი, თამარის ორდენის კავალერი. მას უთხოვია "ლემენცების ხენწიფისათვის", რომ საქართველო ქართველებისათვის დაებრუნებინა.

1934 წელს მწერალი იგონებდა, გვინდოდა გერმანიის პრინცი იოახიმ ჰოჰენცოლერი დაგვესვა ბაგრატიონების ნატახტარზეო.

კონსტანტინე ისე გაიტაცა პოლიტიკამ, რომ ერთხანს უნდოდა პრუსიის გენშტაბის აკადემიაში შესვლა, რათა მიეტოვებინა მწერლობა, ფილოსოფია, ფილოლოგია და გენერალი გამხდარიყო.

სენევა

მალე ბერლინის უნივერსიტეტი დატოვა და შვეიცარიაში გადავიდა: 1916 წლის ივნისიდან ჯერ ლოზანაშია და შემდეგ – სენევაში. უცნაური სურვილი დაეუფლა – უნდოდა ქიმიის ფაკულტეტზე შესვლა ან სტომატოლოგის სპეციალობის ათვისება! წერილებში სწუხს, რად მინდოდა ფილოსოფიაო.

როგორც იტყობინება, ავად ყოფილა. ბარათებში სულ უფულობასა და ჯანის სისუსტეს უჩივის.

მეცადინეობით გადაღლილი და ერთობ გამხდარი ვიყავიო, იგონებს "ლანდებთან ლაციცში".

ზოგიერთ ბარათში დავით სულიაშვილის მისამართს უთითებს, რათა ფული გამოეგზავნათ (დავით სულიაშვილმა ლენინთან ერთად იმგზავრა ნეიტრალური შვეიცარიიდან რევოლუციურ პეტროგრადამდე 1917 წლის აპრილში).

ასე რომ, ბერლინის უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი სემესტრი დარჩენილა – 1916 წლის იანვრიდან ივნისამდე (14 მარტს ბერლინიდან აგზავნის დეპეშას ჭიათურაში ტყვეთა დახმარების კომიტეტის საშუალებით, კოპენჰაგენის გზით).

8 ივლისს ლოზანაში დაესწრო ერთა სამშვიდობო კონფერენციას, სადაც სხვადასხვა ერის შვილები თავიანთი ქვეყნის ჭირ-ვარამზე მსჯელობდნენ. უთანხმოება ერთმანეთს შორის მხოლოდ ქართველებს მოსვლიათ, ისიც ეროვნული საკითხის გამო.

გულგატეხილი მწერალი წერს:

"ისტორიული მტერი ქართველებისა ისევ ქართველები გახლდათ, ოსმალებისა და სპარსეთის დამსჯელ ექსპედიციებს წინ რომ უძღოდნენ" (კ. გამსახურდია, გაორებული საქართველო, "სახალხო ფურცელი", 1917, 11 აპრილი).

სამწუხაროდ, ეს სიტყვები მალე კიდევ ერთხელ დადასტურდა.

თბილისი

1916 წლის დამლევს, როგორც "დიონისოს ღიმილის" ბოლოსიტყვაში წერს, საქართველოში დაბრუნდა, რუსეთ-გერმანიის ომის გამო სენევისა და პარიზის გავლით, ებრაელ ალოიზ სიმსონის პასპორტით. რუსეთის მოქალაქის პასპორტი რებეკას გაჰყვა და მისი დაბრუნება ვერ შეძლო.

ჯერ ფინეთში ჩავიდა, ფინეთიდან – პეტროგრადსა და მოსკოვში. რასპუტინი რომ მოკლეს, მაშინ იმპერიის დედაქალაქში ყოფილა.

პეტროგრადში სიმონ ყაუხჩიშვილი მოინახულა, ძლივს გამოვექეცი გერმანელ სანდარმებსო, უთხრა.

ალბათ იმიტომ დაარქვა 1917 წლის 7 თებერვალს დაბეჭდილ სტატიას "ახალმოსულის შენიშვნები", რომ სამშობლოში დიდხანს არ ყოფილა – 1914 წლის ზაფხულიდან 1917 წლის იანვრამდე. ამ ხნის მანძილზე არ უნახავს დედა, ცოლი, ძმები. მხოლოდ წერილებით ეხმიანებოდა მათ. ცხოვრობდა გერმანიასა და შვეიცარიაში, როგორც მძევალი.

ჯერ თბილისში გაჩერდა. "სახალხო ფურცლის" რედაქციაში გაიცნო რედაქტორი სამსონ ფირცხალავა. შემდეგ, თებერვლის თვეში, ქუთაისში სამი წლის უნახავი დედა მოინახულა. იქიდან, 18 თებერვალს, ჭიათურაში გადავიდა, სადაც დახვდა ავადმყოფი რებეკა.

სამსონ ფირცხალავას ატყობინებდა ქუთაისიდან და ჭიათურიდან, თანახმა ვარ "სახალხო ფურცელში" ვიმუშაო. მალე თბილისში ვიქნებიო, თუ რუსეთის უნივერსიტეტში არ ჩავირიცხე, ჯარში გამომიძახებენო, გადავადების დრო ამოიწურაო.

მაგრამ რამდენიმე დღეში იმპერია დაემხო, აწ ჯარში ვინდა გაიწვევდა. გახარებულმა თბილისს მოაშურა. დამდგარიყო მისი ოცნებების ახდომის სამი.

ქვეყნის წინაშე ახალი, უცნობი პერსპექტივა იშლებოდა.

მთელი 1917 წელი კონსტანტინემ საქართველოში გაატარა, კერძოდ – თბილისში. მუშაობდა "სახალხო საქმის" რედაქციაში. გამოაქვეყნა ლექსები, ოცდაათზე მეტი პოლიტიკური სტატია და ესსე. ჩაება სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის საქმიანობაში. იცავდა ქართული უნივერსიტეტის იდეას, ამის გამო აკრიტიკებდა ნიკო მარს. იყო უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წევრი, მწერალთა კონფერენციის (ყრილობის) მომწვევი ბიუროს მდივანი. ხოლო კონფერენციამ, რომელიც 7-15 ოქტომბერს გაიმართა, აირჩია საბჭოს წევრად (წევრი იყო კიდევ 10 მწერალი).

1917 წლიდან კონსტანტინემ თავისი ბედი სამუდამოდ თბილისს დაუკავშირა, აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ და ლიტერატურულ ორომტრიალში.

კონსტანტინე წინააღმდეგი იყო, რომ ქართველ მწერალთა კონფერენციის ერთ-ერთი თავმჯდომარე ყოფილიყო რუსი პოეტი კონსტანტინ ბალმონტი, თუმცა მის პოეზიას მაშინ დიდად აფასებდა.

უმრავლესობამ ახალგაზრდა მწერალს დაუჭირა მხარი.

მანვე წამოაყენა წინადადება, რომ გოლოვინის პროსპექტისათვის დაერქმიათ რუსთაველის სახელი, მანიფესტით მიემართათ კაცობრიობისათვის, რომ "თავისუფალ რუსეთში საქართველო მაინც ვერაა თავისუფალი", არ გაეგზავნათ მისალმების დეპეშა ირაკლი წერეთლისათვის, რომელსაც რევოლუციურ რუსეთში დიდი სახელი ჰქონდა, მაგრამ საქართველოსათვის არაფერს აკეთებდა (ქართველ ხელოვან მწერალთა კონფერენცია, "სახალხო საქმე", 1917, 10, 13, 17 ოქტომბერი).

კონსტანტინე არაერთხელ შეეჯახა "ცისფერყანწელებს" – გრიგოლ რობაქიძეს, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს. შეიძლება მათი კონფლიქტის მიზეზი ისიც იყო, რომ კონსტანტინეს მოსწონდა ნინო მაცაშვილი, ტიციანის მომავალი მეუღლე, რომელიც ილია ჭავჭავაძის ნათესავი იყო.

ნინო მაცაშვილი იგონებს:

"ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიამ მიხაკების მთელი თაიგული მიბოძა. ყვავილები შინ წავიღე, ერთი მიხაკი კი ჰალსტუხში გავირჩე. ასე წავედი ქართულ ჩაიხანაში, რომელიც ფრონტზე წასული ქართველი ჯარისკაცების დასახმარებლად გაეხსნათ. იქ თავს იყრიდა მთელი თბილისის ინტელიგენცია. მაგიდას რომ ვუახლოვდებოდი, მართა ბერიშვილმა (მაჩაბელმა), რომელიც ტიციანის გვერდით იჯდა, მიხაკი გამომტაცა. იქ მყოფმა გამსახურდიამ ერთი ალიაქოთი ასტეხა. მე პირდაპირ მათკენ გავემართე, მიხლოდა მართასათვის მიხაკი წამერთმია, მაგრამ ქალი გაჯიუტდა, მაშინ ტიციანმა ყვავილი თავისი სადილედან ამოაძრო და მე გამომიწოდა.

– მადლობა გადავუხადე და ყვავილი გამოვართვი. მაშინვე შინ დავბრუნდი. კონსტანტინე გამსახურდიაც უკან გამომყვა. გზაში გამომიტყდა: დილით შენთვის თაიგულს რომ ვყიდულობდი, თაიგულიდან ერთი მიხაკი ტიციანმა ამოიღო, გულზე დაიბნია და მითხრა: ამ ერთადერთ ყვავილს ვუბოძებ წითელ ქალიშვილს, მაგრამ მისთვის ეს თაიგულზე ძვირფასი იქნებაო.

იმხანად "წითელ ქალიშვილს" მეძახდნენ, რადგანაც მუდამ წითლებში გამოწყობილი დავდიოდი".

მწერალთა მეორე კონფერენციას, რომელიც 1920 წლის აპრილში გაიმართა, კონსტანტინე არ დასწრებია – მაშინ გერმანიაში იმყოფებოდა, აღარც საბჭოს წევრად აურჩევიათ.

1918 წლის 12 მარტს მოხსენებით გამოვიდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე – "ერი თუ რასსა", რომელიც დაბეჭდა "სახალხო საქმემ" (№№214, 215).

1917 წლიდან გერმანულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

ბერლინში აღარ წასულა, ალბათ, ომის ან უსახსრობის გამო.

ეს შეძლო მხოლოდ 1918 წლის აგვისტოში, მას შემდეგ, რაც გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და თბილისში ჩამოვიდა გერმანიის დიპლომატიური მისია, ხოლო ბერლინში გაიხსნა საქართველოს საელჩო.

ელჩი იყო სოციალ-დემოკრატი ვლ. ახმეტელაშვილი, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ახოვანი ვასკაცი", მაგრამ ერთობ უკულტურო, რომელიც გერმანელ ქალებს იყო გადაყოლილი, თუმცა გერმანული მაინც ვერ ისწავლა.

საქართველოს ბერლინის საელჩოს

თანამშრომელი

1918 წლის აგვისტოში კონსტანტინე ზურაბ ავალიშვილთან ერთად ფოთიდან გაჰყვა გერმანულ სამხედრო გემს.

განვლეს ბულგარეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია და ბერლინში ჩავიდნენ.

1 სექტემბრიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჰკორმა დანიშნა საქართველოს ბერლინის საელჩოს ატაშედ.

საელჩო მდებარეობდა ტირგარტენის შემოგარენში.

კონსტანტინეს ევალეობოდა ომის მონაწილე ქართველი ტყვეების რეგისტრაცია, ევროპის პრესისათვის თვალის მიდევნება, ქართველი ახალგაზრდების უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობის საქმე.

ხელფასი ჰქონდა თვეში 400 მარკა. მაგრამ იწერებოდა, სიძვირეა და 500 მარკა მაინც მეხარჯებაო.

შარვალი ღირებულა 200 მ, კოსტუმი – 700-800 მ.

ასე რომ, ხელფასით კოსტუმსაც ვერ იყიდდა.

სადოქტოროს დაცვა

კონსტანტინეს 1919 წლის ივნისამდე, ერთი წლით, უფასო შვებულება მისცა გიმნაზიამ.

მწერალმა ვითარებით ისარგებლა და გადაწყვიტა სწავლა დაესრულებინა.

მიაკითხა ბერლინის უნივერსიტეტს.

გაცდენილი წლები სწავლების პერიოდად ჩაუთვალეს. ნება დართეს ჩაებარებინა დაცვის წინა გამოცდები – ფილოსოფიის ისტორიაში, საშუალო საუკუნეთა ისტორიაში, რუსეთის ბოლო საუკუნეთა ისტორიაში, ლოგიკასა და ფსიქოლოგიაში; დაეწერა სადისერტაციო (სადიპლომო) ნაშრომი.

ჯერ ფიქრობდა პეტრიწონელზე, შემდეგ – ნიცშესა და შოპენჰაუერზე.

ამავე დროს შეეცადა რიჰარდ მეკელაინთან და მიხეილ წერეთელთან ერთად ბერლინში გამოეცა ჟურნალი "ევროპის მოამბე". ეს მაშინვე გამოაცხადა ქართულ პრესაში. მაგრამ მსოფლიო ომში გერმანია უეცრად დამარცხდა და ჟურნალისთვის ვის ეცალა.

რიჰარდ მეკელაინი (1880-1948), ცნობილი ლინგვისტი, სლავისტი და ქართველოლოგი, იმსამად მუშაობდა ბერლინის სამეფო ბიბლიოთეკაში, სადაც მეცადინეობდა კონსტანტინე. მწერალმა მეკელაინს ვასი მოუნათლა, დაარქვა ვოლფგანგ კონსტანტინე, რათა თავისი და გოეთეს სახელები ერთად მოხსენიებულიყო.

1945 წელს ცნობილი გერმანელი პროზაიკოსი ბერნარდ კელერმანი ეუბნებოდა მიხეილ კვეშელავას, ბერლინში ერთ ქართველ მწერალს ვხვდებოდი, მეკელაინმა გამაცნო.

გვარი ვერ გაიხსენა.

შეიძლება ეს ქართველი მწერალი კონსტანტინე იყო.

20-იან წლებში მეკელაინმა გრიგოლ რობაქიძესთან ერთად თარგმნა "გველის პერანგი".

გერმანიის რევოლუციას გულგრილად შეხვდა მწერალი, ისევე როგორც კონსტანტინე სავარსამიძე. "მე შინ ვიჯექი სულ, არც გამიგია", წერდა რებეკას 1919 წლის 22 მარტს (გაზ. "გრაალი", 1996, №7).

როგორც შტეფი იუნგერს აქვს აღნიშნული, კონსტანტინემ ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარადგინა ნაშრომი – "საქართველოს ისტორიის შესწავლის ცდა", რომელიც მოიწონა თ. შიმანმა და დაიწუნა ედ. მაიერმა. ამის გამო ფაკულტეტის დეკანმა ბენო ერდმანმა 1919 წლის 25 იანვარს დაცვაზე უარი უთხრა.

სამი თვის შემდეგ, სათანადო დასაბუთებით, ისევ მიმართა დეკანს. ამჯერად სხვა ნაშრომი წარადგინა – "საქართველოს მეფე ერეკლე II", რომელიც დადებითად შეაფასეს რეცენზენტებმა – თ. შიმანმა, ი. ტანგლმა და ა. ბრუკნერმა.

24 მაისს ცნობილმა ისტორიკოსმა, უნივერსიტეტის რექტორმა ედუარდ მაიერმა, კონსტანტინე გამსახურდიას, მსოფლიოს უმცირესი მდინარის პირად შობილ ჭაბუკს, გადასცა ფილოსოფიის დოქტორის დიპლომი, ლათინურად დაწერილი.

გარდა დასახელებული მეცნიერებისა, კონსტანტინეს ლექტორები იყვნენ ვილამოვიც ფონ მოელენდორფი – უდიდესი ელინისტი, ადოლფ ჰარნაკი – უდიდესი ქრისტოლოგი, ერნსტ კასირერი – "სიმბოლურ ფორმათა ფილოსოფიის" ავტორი, ფრიც ჰომელი, ალოიზ რილი...

ლაიპციგში ესწრებოდა ექსპერიმენტული და ხალხთა ფსიქოლოგიის ფუძემდებლის ვილჰელმ ვუნდტის ლექციებს. ვუნდტისა და ერდმანის გარდაცვალებას ნეკროლოგებით გამოეხმაურა. სორბონაში უსმენდა გენიალურ ფილოსოფოსს ანრი ბერგსონს.

როგორც ირკვევა, მწერალს ბერლინის უნივერსიტეტში უსწავლია სამი სემესტრი, ისიც არასრულად. 1916 წელს ერთი სემესტრი, ორიც – 1918 წლის სექტემბრიდან 1919 წლის მაისამდე. ბოლო ეს ერთი წელი ფრიად ნაყოფიერი გამოდგა და კონსტანტინე ნამდვილ ერუდიტად ჩამოყალიბდა. ადრე ასე ინტენსიურად, სტაბილურად, კონტროლქვეშ არც უმეცადინია. საერთოდ, უფრო ზოგადი განათლება აინტერესებდა, ვიდრე კონკრეტული სპეციალობის ათვისება.

ამიტომ იცვლიდა უნივერსიტეტებსა და ფაკულტეტებს.

სადოქტოროს დაცვის შემდეგაც, 1920 წლის 10 ნოემბრამდე, ბერლინის უნივერსიტეტში და-დიოდა და ისმენდა სახელგანთქმულ სწავლულთა ლექციებს.

კონსტანტინე მუდამ სიყვარულით იგონებდა ბერლინის უნივერსიტეტს, ბერლინელ პროფესორებს, უნივერსიტეტის ეზოში მდგარ ბერმუხას, რომლის ჩრდილქვეშ ყოფნა ჰყვარებია (იგი მეორე მსოფლიო ომის დროს ბომბებს შეუმუსრავთ).

ბერლინი და თავისი სათაყვანო უნივერსიტეტი მწერალმა ნახა თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1967 წელს (1923 წლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება საზღვარგარეთ არ უშვებდა).

1934 წლიდან ხშირად აღნიშნავდა, რომ დაახლოებული იყო დიდ გერმანელ მწერალთან თომას მანთან და იგი ეხმარებოდა კიდევ. თომას მანის შედეგით "სიკვდილი ვენეციაში" ადრევე იყო აღტაცებული, რაც აირეკლა "დიონისოს ღიმილში" (ტაძიო და ფარვიზი). 1914 წელს ამ მოთხრობის თარგმნაც უცდია, რაც იოსებ იმედაშვილს შეატყობინა.

გემი "ქრისტიანია"

1919 წლის ივლისში გერმანიიდან გამოჰყვა გემ "ქრისტიანია", რომლითაც ჩამოიყვანა 3.700 ქართველი სამხედრო ტყვე. მარშრუტი ასეთი იყო: ჰაბსბურგი-სოურემპტონი-გიბრალტარი-მალტა-სტამბოლი-ფოთი. თან წიგნებიც მოჰქონდა ახლად გახსნილი თბილისის უნივერსიტეტისათვის. გზას თვეზე მეტი დასჭირდა. თანაშემწედ ჰყავდა ზუგდიდელი ერასტი კაჭარავა, ესეც ყოფილი ტყვე, რომელიც თანამშრომლობდა ბერლინურ "ქართულ გაზეთში". გემი აგვისტოს პირველ რიცხვებში ფოთს მოადგა. ზღვაში ბევრ ფათერაკს გადაჰყრია. ყოფილ ტყვეებს ლამის ამბოხი მოუწყვიათ, ბოლშევიკებთან საბრძოლველად მივყევართო. ერთი დეპუტატიც გაურჩებულა და გაცეცხლებულ კონსტანტინეს კინაღამ ძაღლების კუნძულზე გადაუსვამს.

30 აგვისტოს თბილისის უნივერსიტეტის გამგეობამ მოისმინა ივანე ჯავახიშვილის ინფორმაცია, კონსტანტინემ ევროპიდან წიგნები ჩამოიტანა და ახლა ფოთშიაო. გამგეობამ სთხოვა მწერალს, რომ წიგნები ფოთიდან თბილისში გამოეგზავნა და საჭირო თანხაც მისცა.

9 სექტემბერს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიში წარუდგინა და ჩააბარა 60 ვაგონი საქონელი, მათ შორის – საბეჭდი ქაღალდი.

რომი

კონსტანტინე 1920 წლის 1 იანვარს ბათუმიდან ინგლისური კრეისერით "ფერენც იოსებ კვირალი" ისევ ევროპაში გაბრუნდა.

მთელი გზა კაიუტაში ჰომეროსს კითხულობდა, დედას იხსენებდა, ფიქრობდა ელადაზე.

გემი ჯერ საბერძნეთის სანაპიროს მიადგა, შემდეგ, 8 იანვარს, ღამის 11 საათზე – ტორონტოს, იტალიის მიწას.

აქედან ჩქარი მატარებლით რომში ჩავიდა.

იქ რკინიგზის მუშები გაფიცულიყვნენ. გზა ვერ გააგრძელა და რომში 15 დღე დარჩა. დაათვალიერა ეს უძველესი ქალაქი, ნახა ტაძრები, ძეგლები, სურათები (შდრ. თარაშ ემხვარის დღიურები).

26 იანვარს ბერლინს გაემგზავრა (კ. გამსახურდია, რომში, სურნ. "ცისარტყელა", 1920, №7).

წინა დღეს ყოფილა სოფელ ალბანოში (შდრ. "დიონისოს ღიმილი").

რომის ხილვა კონსტანტინესათვის მძლავრი სტიმული იყო.

პარიზი

მოგვიანებით კიდევ ერთხელ მიუბრუნდა უმაღლეს სასწავლებელს – 1923 წელს ერთი სემესტრი იყო სორბონის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი.

პარიზმა ახალი სტიმული მისცა მწერლის აზროვნებას და ეს გამოჩნდა "ახალ ევროპასა" და "დიონისოს ღიმილში".

გერმანული შოვინიზმიდან

ქართულ ნაციონალიზმამდე

სიჭაბუკიდანვე კონსტანტინეს იდეალი იყო ანტიკური და დასავლეთ ევროპის კულტურა (ძველი ელინელი ვარო, წერდა რებეკას), მაგრამ უარყოფდა კაპიტალიზმს, "ოქროზე აგებულ ბაბილონს", ამერიკულ ცათამბჯენებს, ე. ი. ერთმანეთისაგან მიჯნავდა კულტურასა და ცივილიზაციას და აუცილებლად მიაჩნდა პირველს დამორჩილებოდა მეორე და არა პირიქით, რათა პიროვნებას ჰქონოდა თავისუფალი აზროვნებისა და არჩევანის საშუალება.

მწერლის მსოფლმხედველობის ფორმირება ხდებოდა მძაფრი კატაკლიზმების ეპოქაში – მსოფლიო ომი, რევოლუციები, სამშობლოს განთავისუფლება რუსეთის უღლისაგან, ბრძოლა თურქეთთან, გერმანიის დამარცხება. ნაციონალურ სულისკვეთებას განსაზღვრავდა გერმანული აზრი და ატმოსფერო.

"ჩემი პროფესორები და აღმზრდელები უკონსერვატორესი კაცები იყვნენ, მეტწილად პრუსიელი მონარქისტები, პანგერმანისტები და ურანაციონალისტები", "ლიტერატურაში ჰიუსტონ სტევარდ ჩემბერლენ, ნიცშე, გრაფ ჰერმან კაიზერლინგ, ადოლფ ბარტელს, შიიმან და სხვანი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ ჩემს ჭაბუკურ აზროვნებაზე", წერდა 1934 წელს.

მაგრამ გერმანული ნაციონალიზმი მან ქართულ სინამდვილეს მოარგო, ქართული სულით განმსჭვალა, ახალი მასალითა და ძალით აღავსო.

ყველა ადამიანს თავისი გზა აქვს ცხოვრებაში, მწერალს – ლიტერატურაში. უნივერსიტეტში სწავლა ან დიდი განათლება ხელოვანს ვერ შექმნის, თუ ტალანტი, ღვთისგან ნაბომები უნარი არ გააჩნია. მაგრამ ეხმარება ნიჭის განვითარებასა და სრულყოფილ გამოვლენაში, ინდივიდუალობის პოვნაში: გალაკტიონ ტაბიძეს არცერთ უნივერსიტეტში არ უსწავლია, არც პოლიგლოტი და დიდი ერუდიტი ყოფილა, მაგრამ გენიალურ ლექსებს სწერდა, თანაც ადრეულ სიჭაბუკეში.

პოლიგლოტის ნიჭი

კონსტანტინეს ჰქონდა მიდრეკილება ენების დაუფლებისაკენ.

მან, ისევე როგორც სამეგრელოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, ენა მეგრულად აიდგა. ამ ენაზე ელაპარაკებოდა სოფელში დედ-მამას, და-ძმებს, ახლობლებს, მეზობლებს...

მეგრული აქცენტი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. მომეტებულად სიბერეში დაეტყო იგი. ნაწერებში ცდილობდა მეგრული სიტყვების და სიტყვათწყობის ათვისებას.

ქართული უნდა შეესწავლა სოფლის სამრევლო სკოლაში, 7-8 წლის ასაკში.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეგრული ბავშვი ქართულ ენას ითვისებს ინსტინქტურად, გაუცნობიერებლად და ძალიან სწრაფად.

გიმნაზიაში ასწავლიდნენ რუსულს, გერმანულს, ფრანგულს, კლასიკურ ენებს – ბერძნულსა და ლათინურს.

ლათინურის ცოდნამ ხელი შეუწყო, აეთვისებინა იტალიური ენა. მართალია, იტალიური კარგად, თავისუფლად არ სცოდნია, მაგრამ შეეძლო ტექსტის გაგება და თარგმნა. ეს ჩანს დანტეს "ღვთაებრივი კომედიის" ქართულ ტექსტში, დანტეზე დაწერილ მონოგრაფიაში.

ამავე დონეზე სცოდნია ფრანგული, რომელიც ენათესავება იტალიურს. ახალგაზრდობაში ლაპარაკიც შეეძლო და დედანში ეცნობოდა ფრანგ ავტორებს. ასაკში შესულს მეტყველება უჭირდა. ფრანგი სტუმრები რომ სწვევია (50-იანი წლების ბოლოს), მათ თარჯიმნის გარეშე ვერ გასაუბრებია.

რუსული სავალდებულო იყო გიმნაზიაში. რუსულ ენაზე ბარათებსაც წერდა რებეკას. თვეების მანძილზე სწავლობდა პეტერბურგსა და მოსკოვში. 1940 წელს მოსკოვიდან მოსწერა ალ. აბაშელს, რუსული ენის სტილს დავუფლეთ, თქვენ რომ დამცინით, ისე არ არის საქმეო. იგულისხმებოდა ის უნაკლო რუსული, რაც ძველმა ინტელიგენციამ იცოდა.

ქართულის შემდეგ ყველაზე კარგად მეტყველებდა გერმანულ ენაზე (მეგრულზე არაფერს ვამბობ!). იგი წლების მანძილზე ცხოვრობდა გერმანიაში და

შვეიცარიაში, სწავლობდა გერმანულ ენასა და ლიტერატურას, მეცადინეობდა მათ უნივერსიტეტებში, თარგმნიდა გერმანულ მწერლებს.

აკაკი გაწერელია იგონებდა, კონსტანტინე დაჯდებოდა გერმანულ ტყვეებთან, რომლებიც "კოლხურ კომკს" აშენებდნენ, საუბრობდა და ოხუნჯობდა მათთან.

მწერალს არ უცხოვრია ინგლისურენოვან გარემოში. განსხვავებით გერმანიისა, იტალიისა და საფრანგეთისაგან, არ უყვარდა ინგლისურენოვანი ქვეყნები. აშშ-ს ყოველთვის აკრიტიკებდა – ჭარბი ტექნიციზმის გამო.

ძნელია თქმა, თუ როგორ იცოდა ინგლისური, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ თარგმნა უოლტ უიტმენის პოეზია, შექსპირის "ჰამლეტის" ცალკეული სცენები, მაჩაბლისეული შექსპირის თარგმანები დედანს შეუდარა და არაერთი უზუსტობა აღნუსხა.

1952 წლის 3 ოქტომბერს შევსებულ ანკეტაში მიუთითებს, რომ იცის რუსული, გერმანული, ინგლისური, იტალიური, ფრანგული, ლათინური ენები. ძირითადად ეს სწორი უნდა იყოს.

"საიდუმლო ვარსკვლავეთისა"

რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში მრავალ ქართველს უსწავლია. ზოგი დიდი მეცნიერი გამხდარა თავის სფეროში. მაგრამ ხელოვანთან შედარებით მეცნიერის დიაპაზონი ვიწროა, ასპარეზი – შეზღუდული.

კონსტანტინეს არ აინტერესებდა ფილოლოგიის – მკვლევარის კარიერა, ვიწრო სპეციალობის შეძენა. იგი სწავლობდა კულტურის ისტორიას, დიდ მწერლებს, ფილოსოფოსებს, ისტორიკოსებს, რელიგიებს, სხვადასხვა ერის შვილთა შემოქმედებას. მისი ყურადღების არეში იყო მოქცეული ქართული, რუსული, გერმანული, ინგლისური, იტალიური მწერლობის შედეგები, ისტორიული თარიღები, რელიგიური კატაკლიზმები, თანამედროვე პროცესები, ერის ცხოვრების დრამატული წუთები.

მკითხველი იცნობს კონსტანტინეს ესეებს, არ იცნობს პოლიტიკურ-პუბლიცისტურ ნაწერებს. მარტო მათი წაკითხვაც საკმარისია, რათა განცვიფრება დაგვეუფლოს – სად ჰქონდა ამდენი რომანისა და ნოველის ავტორს დრო სტატიების დასაწერად. ისინი რომ მხოლოდ ქართულ მასალაზე იყოს გამლილი, კიდევ გასაგებია, მაგრამ მწერლის თვალი სწვდება სხვადასხვა ეპოქებს, სტილისა და მიმართულებების მწერლებს, სხვადასხვა ერის შვილთა შემოქმედებას. თითოეულ

მათგანზე, თითოეულ საკითხზე დაწერას ხომ ცოდნაც სჭირდებოდა, ცოდნის შეძენა, დალაგება და გადმოცემა. ეს იყო მეცნიერული მასალის მხატვრული გააზრება, მხატვრული თხზვის გაგრძელება.

მწერლის ცნობიერებაში ირეოდა უამრავი ცნება – წარმართობა და ქრისტიანობა, დიონისოს კულტი, ძალაუფლების ნება, მარადიული წრებრუნვა, ქართული მითოსი, ქართული სუ-ლის რენესანსი, ენის მისტერია, მისტიციზმი, ბოლშევიზმი, სამშობლოს ბედი, იტალიური აღორძინება, ჯვაროსანთა ლაშქრობა, დღევანდელი აღმშენებლობა, თაობათა გადაშენება, ბუდიზმი და ისლამი...

სულიერი ოდისეის გზაზე მარადიული თანამგზავრები იყვნენ – რუსთაველი და სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა, გოეთე და თომას მანი, ნიცშე და შოპენჰაუერი, ვაგნერი და ბეთჰოვენი, ბალზაკი და ჰამსუნი, შექსპირი და ბაირონი, ჰომეროსი და დანტე, დავით აღმაშენებელი და ნაპოლეონი, თამარი და ერეკლე, ლეონარდო და რემბრანდტი...

ამ პრობლემებზე, ამ სახელებზე არა მხოლოდ ფიქრობდა, არამედ – წერდა, წერდა მთელი სიცოცხლის მანძილზე, ნაირგვარი ვარიაციით, გააზრებით, პარალელებით, "მველ ეტრატებში ბნელი სიბრძნე ამოიკითხა, ქედმოდრეკილი დაჩოჩავდა ბიბლიოთეკებში, სემინარებსა და სალექციო აულებში".

ბუნებრივია, შეცდომებიც ექნებოდა, ყოველთვის სიზუსტესაც ვერ დაიცავდა. მაგრამ მთავარი იყო კონცეფცია, არა დეტალები და წვრილმანები; კონცეფცია არა მეცნიერული, არამედ – მხატვრული თვალთახედვა, იმის შემოწმება, რაც პროზაში გარდაუსახავს, ან კიდევ – რაც პოეზიაში უნდა ეთქვა, მისი წარმოდგენა, იდეის განსჯა და წამოწევა. ამიტომ მწერლის ესეე არის ლიტერატურული სახელებით და ცნებებით ოცნება, ერთგვარი მითის თხზვა, მარადიული პანთეონის ახალი სხივით განათება.

კრიტიკოსები ამჩნევდნენ უზუსტო დეტალებს და ვერ ხედავდნენ უდიდეს ერუდიციას, რომელიც კონცეფციურად იშლებოდა სოციალისტური რეალიზმის უკუსაგდებად. თუმცა იქნებ კარგადაც ხედავდნენ და მიტომაც ექცეოდნენ ულმობლად.

ასე რომ, განსწავლის წლებში კონსტანტინემ მოვლო რუსეთი და ევროპა, შეისწავლა არაერთი ენა, შეიძინა დიდი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება, ეზიარა აზროვნებისა და ცხოვრების ევროპულ წესს, საიდუმლოს ადამიანის სულისა და ვარსკვლავეთისა.

8. რებეკა ვაშაძე (1892-1933)

სიზმრად მოჩანს წარსული,

მზის შუქი გარდასული

და შენ უფრო მეტად დამენანები...

ალექსანდრ ბლოკი

1909 წელს გიმნაზიელ კონსტანტინეს შეუყვარდა ჭიათურელი მღვდლის ისაია (ისააკ) ვაშაძის ქალიშვილი რებეკა ("ეს მეხუთე წელია ერთმანეთი გვიყვარსო", წერდა საცოლეს 1913 წელს), რომელიც სწავლობდა ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში.

მათ ერთმანეთი გაუცვნიათ ქუთაისში, გენერლის ქუჩაზე, კელენჯერიძის სახლში.

მოღწეულია მრავალი უსტარი (ნაწილი მოგვიანებით ბუხარში შეუყვარა და დაუწვავს რებეკას), რომელსაც ახალგაზრდა მწერალი სატრფოს უგზავნიდა პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, მიუნხენიდან, ბერლინიდან, ბაქოდან, ტუაპსედან, სენევიდან, მატარებლიდან, სადგურიდან, ტყვეთა ბანაკიდან. უმტკიცებდა სიყვარულს, სწუხდა, რომ მარტო დატოვა და თავად ევროპას მიაშურა, პატიებას სთხოვდა, ალერსით უწოდებდა რების, რებიკას, რევეკას, პენელოპეს, ეხვეწებოდა, წერილები მალ-მალე გამომიგზავნიეო. აცნობდა თავისი ცხოვრების წვრილმანებს – როდის იყო მთვრალი, რა დალია – არაყი თუ კონიაკი, როგორ დაიწყო თამბაქოს მოწევა, კენიგსბერგში როგორ უბწკინა ლოყაზე ვიღაც გერმანელმა ქალმა. მაგრამ უფრო თავის გრძნობებზე ემუსაიფებოდა.

შემდეგაც, როცა ჯვარი დაიწერეს, ძველებური აღტკინებითა და მიამიტობით წერდა უსტარებს, უხსნიდა, რომ სწავლას მალე დაასრულებდა და მყისვე მობრუნდებოდა. მოკითხვას უთვლიდა რებეკას მშობლებს, ნათესავებს, დას – მარგარიტას (რომელთანაც მეგობრობდა).

მოღწეულია რუსულად და გერმანულად მოწერილი ბარათებიც. რამდენიმე მათგანი დაუწერია ღია ბარათზე, რომელზეც გამოსახულია ნაპოლეონ ბონაპარტე.

უსტარების ტონი მხნეა და მხიარული, გულითადი, ხალისიანი. არ ჩანს ის პესიმიზმი და მელანქოლია, რაც შემდეგ დაეუფლა და გაჰყვა სიცოცხლის ბოლომდე.

რებეკას მშობლებს არ მოსწონდათ სასიძო (რებეკას დედა – ანა ბარათაშვილი, მწერალ მარიკა ბარათაშვილის მამიდა, გარდაიცვალა 1942 წელს, მამა – 1940 წელს), არც ნათესავებსა და მის მეგობრებს.

ისაიას შეძლებული ოჯახი ჰქონდა. ედგა ორსართულიანი სახლი. ხოლო კონსტანტინე საექვო პერსპექტივის მარადიული სტუდენტი იყო, რომელსაც ხელთ წიგნი ეკავა, ფული არ ჰქონდა, პრაქტიკულ საქმეს გულს ვერ უდებდა, იცვლიდა ქალაქებსა და უნივერსიტეტებს, ცხოვრობდა სხვათა დახმარების ხარჯზე. მაგრამ სატრფოსადმი საოცარ თავდადებას და ერთგულებას იჩენდა. იყო უაღრესად გულდია, თავაზიანი და ყურადღებიანი. ჯვარისწერამდე რებეკასაგან ფულს არ იღებდა, შემდეგ კი, პირიქით, ყოველ წერილში ფულზე სჩიოდა!

რებეკას სიყვარულმა კონსტანტინე კიდევ უფრო დააახლოვა სოციალისტ-ფედერალისტებთან, რომელთა ლიდერები – გიორგი ზდანოვიჩი და კიტა აბაშიძე ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ხელმძღვანელობდნენ. ალბათ ამის გამოც ზრუნავდა კიტა აბაშიძე ახალბედა მწერალზე. მას ჰქონდა კარგი სტიპენდია, ეხმარებოდა მეუღლის ოჯახი, დედა უგზავნიდა ფულს. თავადაც მუშაობდა ჯერ "ქართულ გაზეთსა" და განმათავისუფლებელ კომიტეტში, შემდეგ – ბერლინის საელჩოში, გერმანიაში სცემდა ბროშურებს.

ყოველწლიურად შეეძლო საქართველოში ჩამოსვლა.

ასე რომ, დუხჭირი სტუდენტობის წლები არ ჰქონია.

რომ არა რებეკა, შეიძლება პარტიის ლიდერთა ყურადღება ვერც მიექცია. მაშინ ვერც მატერიალურ დახმარებას მიიღებდა და ვერც საუნივერსიტეტო განათლებას. პრესის ფურცლებსაც არავინ დაუთმობდა.

ამის გამო რებეკას სწერდა – მე ლუმპენპროლეტარი ვარ და უნდა ვემსახურო იმ საზოგადოებას, რომელიც გიმნაზიის მესამე კლასიდან, ე. ი. 1907 წლიდან, ჩემს აღზრდაზე ზრუნავდაო.

რებეკასა და კონსტანტინეს სიყვარული გახმაურდა.

ეს გიმნაზიაშიც კარგად იცოდნენ.

ერთხელ მასწავლებელმა კონსტანტინეს გასარჩევად მისცა ვალტერ სკოტის "აივენგო", რომლის ერთ-ერთ პერსონაჟს რებეკა ჰქვია.

რებეკას ხსენებაზე კლასმა ყური ცქვიტა და ყველა კონსტანტინეს მიაჩერდა.

"გამაწითლეს საძაგლათო", წერს კონსტანტინე.

მასწავლებელი გაოცდა, რა დაგემართაო, ჰკითხა დაბნეულ გიმნაზიელს.

"ლანდებთან ლაციცში" მწერალი მოგვითხრობს თავის რომანულ ფათერაკებზე, ასახელებს გერმანელ ქალებს, ზოგს გათხოვილს, ზოგს გასათხოვარს, მაგრამ რებეკას – არა.

შეიძლება რომელიმე მათგანი რეალურად არც არსებულა, მაგრამ ადელჰაიდე ლენცთან რომანი მართალი უნდა იყოს, რადგან ეს ასული ძალიან ჰგავს ელლენ რონსერს ("მთვარის მოტაცება").

მოსკოვიდან ხშირად უთვლიდა რებეკას, როგორც კი ჩამოვალ საქართველოში, დავექორწინდეთო. მართლაც, 1914 წლის 13 აპრილს შუქრუთის წმ. მარინეს ეკლესიაში მათ ჯვარი დასწერა ისაია ვაშაძემ.

კონსტანტინე და რებეკა დიდხანს არ დარჩენილან ჭიათურაში. პასპორტები აიღეს და ვარშავის გავლით წავიდნენ გერმანიაში, მიუნხენში, სადაც ორივე დააპატიმრეს, როგორც რუსეთის მოქალაქენი.

გერმანელებს რებეკა ებრაელი ეგონათ – სახელისა და მამის სახელის გამო.

ტრაუნშტაინის ბანაკში იგი მეუღლეს სისტემატურად უგზავნიდა ფულს (ერთხელ – 400 მარკა, მეორედ – 200 მ., მესამედაც – 200 მ. და ა. შ.).

შემდეგ რებეკაც სოციალისტ-ფედერალისტი გახდა, თუმცა კონსტანტინე უშლიდა, პარტიულობა ქალს არ სჭირდებაო. რებეკას და მარგარიტა სოციალ-დემოკრატი იყო, ხოლო დედა და უმცროსი ძმები – სიმონი და დავითი ფედერალიზმს ერთგულობდნენ, ამ პარტიაში შევიდნენ.

შემდეგ, როცა წითელმა ნიაღვარმა წალეკა საქართველო, სიმონმა და დავითმა ევროპას შეაფარეს თავი. დავითი გერმანიაში ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა. ხოლო სიმონი ვერ შეეგუა უცხოეთის ცას და სამშობლოში დაბრუნდა.

ბოლშევიკები არაფერს ივიწყებდნენ. სიმონს უცხოეთში გადახვეწა არ აპატიეს და დახვრიტეს.

რევოლუციის წლებში რებეკა იყო ჭიათურის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე), მონაწილეობდა საქალაქო საბჭოს არჩევნებში როგორც დეპუტატობის კანდიდატი.

მისი სახელი დროდადრო გაიელვებს ფედერალისტური პრესის ფურცლებზე.

რებეკა მეგობრობდა გალაკტიონ ტაბიძის პირველ მეუღლესთან – ოლია ოკუჯავასთან, რომელიც ერთხანს ჭიათურაში მუშაობდა. მოღწეულია გალაკტიონის სამძიმრის დეკემბა, რებეკას გარდაცვალების გამო ჭიათურაში გაგზავნილი.

1918 წლის 30 მაისს რებეკასა და კონსტანტინეს შეეძინათ ქალიშვილი. მას ნათელა დაარქვეს. კონსტანტინე მაშინ სიმამრის ოჯახში ყოფილა და როცა ახარეს შვილის დაბადება, მღელვარებით გაოგნებულმა ლამპის ცხელ შუშას აკოცა და ტუჩები დაიწვა.

მღვდელს გაეცინა, მაგრამ სიძის საქციელი არ მოეწონა.

რამდენიმე თვის შემდეგ კონსტანტინე გერმანიაში გაემგზავრა. იქ ერთი წელი დაჰყო და როცა მობრუნდა, მეუღლეს კატეგორიულად განუცხადა, ჩვენ ბერლინში უნდა წავიდეთ, ნათელაც წავიყვანოთო. მაგრამ რებეკამ და სილდერ-სიმამრმა უარყვეს ეს წინადადება, ომია, ქვეყანა იქცევა, ძუძუთა ბავშვიანი ქალი სად უნდა წავიდესო. მაგრამ კონსტანტინემ პრინციპული პოზიცია დაიკავა (როგორ ჰგავს ეს ფაქტი თარაშის სიჯიუტეს თამარის მიერ თმების შეჭრის გამო).

რებეკა მაინც ვერ დაითანხმა. გულდაწყვეტილმა ჭაბუკმა მეტისმეტად მტკივნეულად განიცადა მეუღლის უარი: "ჩემი პირადი ცხოვრება განადგურებულია მუხთალი ბედის ხელითო".

ფაქტიურად 1919 წლის შემოდგომაზე დამთავრდა მათი ხანმოკლე ცოლ-ქმრობა, შეწყდა მიწერ-მოწერა. კონსტანტინე ბერლინში გაბრუნდა, რებეკა ჭიათურაში დარჩა, მამის ოჯახში, იქაურ სკოლაში ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს, ზრდიდა ერთადერთ შვილს. ვერც იგი მოერია თავის ამაყ გულს და კონსტანტინეს ვერ აპატია ჭაბუკური ახირება.

შემდეგ უარესად აირია ქვეყანა. კონსტანტინეს სდევნიდნენ ბოლშევიკები. არც მღვდლის ოჯახს ადგა კარგი დღე – წაართვეს სახლი, წისქვილი, ჩამოართვეს მიწები, აუკრძალეს მღვდელმსახურება... კონსტანტინე და რებეკა იშვიათად ხედავდნენ ერთმანეთს, მაგრამ პატივისცემის შენარჩუნება შეძლეს. განა ტყუილად წერდა

გულმოკლული კონსტანტინე მეუღლეს: "შენ თვალებში მე მეგულება ჩემი მზეგადაცვლილი სიჭაბუკე".

მათი ჯვარისწერა არ გაუქმებულა, მაგრამ კომუნისტები ჯვარისწერას არ სცნობდნენ – მათ შემოიღეს რეგისტრირება მმაჩის ბიუროში.

თავად მწერალი ანკეტებში თავს უცოლოდ იხსენიებდა.

1925 წელს ახლადგამოცემული "დიონისოს ღიმილი" გაუგზავნა. რებეკამ წიგნი წაიკითხა და რეცენზიაც დაწერა. სექტემბერში თბილისში ჩააკითხა კონსტანტინეს. შემდეგ წერილიც გაუგზავნა.

21 სექტემბერს კონსტანტინე ატყობინებდა, ნათელას საპალტოეს ვუყიდი, დედა საკეტს მოუქსოვსო. თუ ჩემი საქმე ოდნავ მაინც გამოსწორდა, ამ შემოდგომაზე ჩამოდი და ბავშვიც ჩამოიყვანეო.

თითქოს ძველი წყენა დავიწყებას ეძლეოდა. მაგრამ რამდენიმე თვეში კონსტანტინე დააპატიმრეს და ეს სუსტი სიმებიც გაწყდა.

კონსტანტინეს გადაკარგვამ, სევდამ და დეპრესიამ ქალს ფსიქიკა შეურყია...

იგი 41 წლის გარდაიცვალა 1933 წლის მარტში, ჭიათურაში, და იქვე დაასაფლავეს.

როცა რებეკას დაღუპვა გაიგო, დამწუხრებულმა მწერალმა უშანგი ჩხეიძეს მიაკითხა, რომელიც რებეკას ნათესავი იყო, და მთელი საღამო მასთან დარჩა.

რებეკას ხსენებაზე თვალთაგან ცრემლები გადმოსდინდა...

იგი დაკრძალვას არ დასწრებია.

მაგრამ მაშინ წერდა "მთვარის მოტაცების" პირველ სტრიქონებს და მისი სიჭაბუკის ოცნება აღდგა ქერათმიან, ცისფერთვალა თამარ შარვაშიძის სევდიან სახეში.

ამის შემდეგ ქრება რებეკა კონსტანტინეს მეხსიერებიდან, თითქოს ეს ქალი არც არასოდეს არსებულყო.

9. სოციალისტ-ფედერალისტების

პარტიაში

მესამოცე წლებიდან დღევანდლამდე ჩვენს წინ იშლება მხოლოდ სამი დიდი ორგანული მოვლენა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა – ნაციონალური ლიბერალიზმი მესამოციან წლებისა, მარქსიზმი მეოთხმოცდაათიან წლებისა და სოციალიზმ-ფედერალიზმი მეოცე საუკუნის დასაწყისისა.

არჩილ ჯორჯაძე

ახალგაზრდა ფედერალისტი

ზუსტად ვერ ვიტყვით, თუ როდის გახდა კონსტანტინე სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის წევრი (თავმჯდომარე გიორგი ლასხიშვილი), მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო 1907 ან 1908 წელს, ილიას მკვლელობის შემდეგ.

ერთგან წერს, ათი წელი იდეურად ვებრძოდი მენშევიკებს, შემდეგ კი, 1918 წელს, როცა საქართველო დამოუკიდებელი გახდა, პარტიიდან გავედიო.

უცხოეთიდან რებეკას სწერდა, ეს საზოგადოება, ე. ი. ფედერალისტების პარტია, ჩემზე ზრუნავდა III კლასიდანო, ე. ი. 1907 წლიდან.

გიმნაზიის პერიოდში ესდეკებს უთქვამთ, შენი ძმა ჩვენი წევრია, შენც შემოდიო. კონსტანტინეს უპასუხნია, მე უკვე ვარ პარტიის წევრიო.

ერთი რამ ნათელია: კონსტანტინე გიმნაზიაში სწავლის დროს შესულა ფედერალისტების პარტიაში, რამაც მისი ცხოვრება სასიკეთოდ წარმართა. მხოლოდ პოეტობის გამო მას კიტა აბაშიძე არ დაიახლოვებდა. მაგრამ 1917 წლამდე პარტიის წევრობა ნომინალური იყო.

ჯერ კიდევ 1913 წელს კონსტანტინე ძმას, ალექსანდრეს, პრესაში ედავებოდა ესდეკობის გამო. ალექსანდრე ძმას აფრთხილებდა, ფილიპე მახარაძეს თავი დაანებე, ჭორს ნუ უვრცელებო. კონსტანტინე თანამშრომლობდა ფედერალისტების ჯურნალ-გაზეთებში ან მათთან, ვინც კეთილად იყო განწყობილი ამ პარტიის იდეებისადმი.

კონსტანტინე არ ყოფილა პოლიტიკოსი, არ უცდია დაემუშავებინა სოციალისტ-ფედერალისტების ტაქტიკა და სტრატეგია, სოციალიზმის, რევოლუციისა და ფედერალიზმის საკითხები. დიდ პატივს სცემდა ლიდერებს –

გიორგი ზდანოვიჩს, არჩილ ჯორჯაძეს, კიტა აბაშიძეს, გიორგი ლასხიშვილს, სამსონ ფირცხალავას, როგორც ერისკაცებს, ხოლო ესდეკებს როგორც პრესაში, ისე პირად წერილებში უარყოფითად და ირონიით ახსენებდა.

კონსტანტინე ამ პარტიას უკავშირებდა სამშობლოს თავისუფლებას, რადგან მან, როგორც პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, პირველმა წამოაყენა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა და ფედერალიზმის პრინციპი, როგორც მისი განხორციელების პირობა.

სრული დამოუკიდებლობა ფედერალისტების პროგრამაში არ ეწერა. ეს მაშინ წარმოუდგენელი და უტოპიური იყო. სოციალ-დემოკრატები თავდაპირველად ავტონომიასაც უარყოფდნენ.

ჭაბუკი კონსტანტინე სწერდა რეზიუმეს:

საქართველოს თავისუფლება ისე მჯერა, როგორც ის, მე რომ გამსახურდია ვარო. რამდენჯერ მიტირია იმაზე, რომ ღმერთმა ნაპოლეონად ან ალექსანდრე ბატონიშვილად არ გამაჩინაო.

ეს იყო პოლიტიკოსის ტემპერამენტის გამოვლენა, რომლის საფუძვლად ჰქონდა "ძალაუფლების ნება", ძლიერი პიროვნების კულტი.

როგორც პარტიის ყველა წევრი, ისიც თავყვანს სცემდა არჩილ ჯორჯაძეს, ფედერალისტური პარტიის შემქმნელსა და იდეოლოგს. ეს ცალხელა, სწეული კაცი მთელი სიცოცხლე ებრძოდა ჭლექსა და ორთავიან არწივს. ერთ ესსეში ერთმანეთს უდარებდა ილია ჭავჭავაძესა და არჩილ ჯორჯაძეს. თვლიდა, რომ ახალ დროში არჩილმა გააგრძელა დიდი ილიას იდეები და იგი იყო მისი მემკვიდრე.

როცა არჩილ ჯორჯაძე გარდაიცვალა, კონსტანტინემ (სხვებთან ერთად) სამძიმრის დეპეშა გამოგზავნა გერმანიიდან.

პარტიის სამსახურში

1917 წლის აგვისტოში კონსტანტინე აირჩიეს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის თბილისის კომიტეტის წევრად. კომიტეტში სულ 15 კაცი შედიოდა.

აქტიურად ეწეოდა საარჩევნო პროპაგანდას.

სამშობლოში დაბრუნებამ, რომანოვების სამასწლიანი ტახტის დამხობამ ჭაბუკის გული სიხარულით აღავსო.

იგი უკვე იყო პოლიტიკას ნაზიარები ცნობილი პუბლიცისტი.

1917 წლის 1922 ნოემბერს ესწრებოდა საქართველოს ეროვნულ ყრილობას, რომელმაც განსაზღვრა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია და შეარიგა ყველა პოლიტიკური ძალა, გარდა ბოლშევიკებისა.

სიტყვა წარმოთქვა გიორგი ზდანევიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამოქალაქო პანაშვიდზე ნაძალადევში, არჩილ ჯორჯაძის საფლავზე დიდუბეში.

იყო კიტა აბაშიძის დამკრძალავი კომისიის წევრი.

პარტიულ ლიდერებზე დაბეჭდა ესეები.

ასე რომ, კონსტანტინეს აფასებდნენ და ანგარიშს უწევდნენ ფედერალისტები.

"პრომეთე"

1917 წლის შემოდგომიდან დაიწყო ზრუნვა სურნალ "პრომეთეს" გამოსაცემად, რომელიც ესფერელების პოზიციას იცავდა და ამიტომ "სახალხო საქმე" პროპაგანდას უწევდა.

პირველი ნომერი გამოვიდა 1918 წლის იანვარში, მეორე – თებერვალში, მესამე – ივნისში.

ინტელექტუალური და სტრუქტურული თვალსაზრისით ამ ჟურნალის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ "შვიდი მნათობი", "ცისარტყელა", "ხომალდი", "ილიონი", "კავკასიონი" და "ახალი კავკასიონი".

სურნალს ბეჭდავდა "სახალხო საქმის" სტამბა.

გამომცემელი იყო ისიდორე სტურუა, სტამბის გამგე – დ. მგალობლიშვილი, გამმართველი – ვლ. ხელაძე, ასოთამწყობი – ვალ. კალმახელიძე.

ამ კალმახელიძესთან კონსტანტინეს კონფლიქტიც ჰქონდა და პრესაში ურთიერთი გამოლანძღეს, თუმცა შემდეგ შერიგდნენ.

რედაქტორი ბრალს სდებდა ასოთამწყობს, ჯამაგირი აიღო და ჟურნალის აწყობას თავი მიანებაო. თურმე სტამბის მუშას უსარგებლია კონსტანტინეს ომში წასვლით, მაგრამ ასოთამწყობმა მეორე დღესვე პასუხი გასცა – კონსტანტინე რომ ჯარში წავიდა, თითქოს მუშისთვის არც ჯამაგირი და არც ასაწყობი მასალა არ დაუტოვებია. ცხრაასი მანეთის სანაცვლოდ მხოლოდ ხუთასი ჰქონია მიცემული. კალმახელიძეც ჯარში ჩაწერილა და ბათუმის დასაცავად წასულა. სამუშაო მხოლოდ ორი დღით მიუტოვებია. ამასობაში "პრომეთე" დაიხურა კიდეც.

მუშა მოითხოვდა სამი თვის ხელფასს, რადგან სამსახური დაჰკარგა.

ჟურნალის პირველი გვერდი და ექსლიბრისი ეკუთვნოდა იაკობ ნიკოლაძეს. ექსლიბრისში გადმოცემულია პრომეთეს მითის სიმბოლიკა.

კონსტანტინემ ამ ჟურნალის ფურცლებზე აღადგინა ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა მიერ ლიტერატურიდან გაძევებული ჯ და ე.

სამი ნომრის შემდეგ გამოცემა შეწყდა.

"პრომეთეში" თანამშრომლობდნენ – იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, აკაკი შანიძე, არისტო ჭუმბაძე, კოტე მაცაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, აკაკი პაპავა, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, მაქსიმე ბერძნიშვილი...

სამშობლოს ჯარისკაცი

მარტში კონსტანტინე ქართულ ლაშქარში მოხალისედ ჩაეწერა, რათა ებრძოლა თურქი ასკერების წინააღმდეგ, რომელთაც ბოლშევიკურმა რუსეთმა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, გადასცა სამხრეთი საქართველო.

კონსტანტინემ აიღო კარაბინი, ჩაიცვა სამხედრო ფორმა და თბილისიდან ბათუმში მატარებელს გაჰყვა.

ვაგონში ირეოდნენ ჯარისკაცები, ქალები და ბავშვები.

მთელი გზა სიკვდილზე ფიქრობდა.

ბათუმში რომ შევიდა, ქალაქში ყუმბარები ცვიოდა. დამფრთხალი ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა. არც თავად იცოდა, რა გაეკეთებინა, თავისი თავი ლევ ტოლსტოის დაბნეულ პიერ ბეზუხოვს აგონებდა.

ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო – ბათუმის სწრაფი დაცემის გამო (კ. გამსახურდია, ტფილისიდან ბათომამდის, "სახალხო საქმე", 1918, 1 (13), 5 (18), 10 (23) აპრილი).

პარტიიდან გასვლა

1918 წელს კონსტანტინე გავიდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიიდან.

ძნელია თქმა, რა იყო მიზეზი.

თავად შენიშნავდა, თავისუფალ საქართველოში პოლიტიკური ბრძოლა არ მაინტერესებდაო. "ლანდებთან ლაციცში" წერს, არ მომწონდა ფედერალისტების პროგრამაო. შეიძლება ეს სწორი იყოს, რადგან მწერლის თვალსაზრისი უფრო შეეფერებოდა ეროვნულ-დემოკრატიების პოზიციას, რომლებიც ფედერალისტებს ადრევე გამოეყვნენ, მაგრამ ცალკე პარტიად იმ ხანებში გაფორმდნენ.

ცოცხალი აღარ იყვნენ – არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ზდანევიჩი, კიტა აბაშიძე, რომელთაგან თავს დავალებულად მიიჩნევდა. მათი სიკვდილის შემდეგ პარტიას აღარ ჰქონდა ძველებური ძალა. ამკარად გაიზარდა სოციალ-დემოკრატიების (მენშევიკების) ავტორიტეტი. მათ სწრაფად აუღეს ალლო სიტუაციას და ეროვნული დროშა ხელში ჩაიგდეს. რევოლუცია უკვე მომხდარი იყო. ფედერალიზმის პრინციპი დროშა გააუქმა, ხოლო სოციალიზმს უფრო თანმიმდევრულად სოციალ-დემოკრატიები ახორციელებდნენ.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის თებერვლის არჩევნებში ფედერალისტებმა მიიღეს 33.630 ხმა და მეორე ადგილზე გავიდნენ. მაგრამ ეს ეყო მხოლოდ რვა მანდატს.

სოციალ-დემოკრატიებს ხმა მისცა 408.541-მა ამომრჩეველმა, რაც მათ ტრიუმფალურ გამარჯვებას მოასწავებდა.

ასე რომ, სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია ამკარა კრახის წინაშე დადგა. დარჩენილი ლიდერები – გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, თედო ღლონტი, შალვა ნუცუბიძე ახალ, უკეთეს იდეებს ვერ სთავაზობდნენ ქვეყანას.

მალე პარტიის შიგნითაც გაჩნდა ბზარი და მას კიდევ ერთი ჯგუფი გამოეყო (ალ. წერეთლის "მაშვრალთა პარტია" და სხვ.).

კონსტანტინე გრძნობდა, რომ პარტია იშლებოდა. მან რომელიმე ჯგუფთან დარჩენას არჩია პარტიიდან გასვლა. ეროვნულ-დემოკრატებთან "ცისფერყანწელები" თანამშრომლობდნენ. მათ მიმართ მწერალთა კონფერენციის შემდეგ კონსტანტინე ანტიპათიურად იყო განწყობილი, განსაკუთრებით გრ. რობაქიძის, პ. იაშვილისა და ტ. ტაბიძისადმი.

1918 წლის 26 მაისს სოციალ-დემოკრატებმა გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ ინტელიგენციაშიც შემცირდა ფედერალისტების გავლენა. 1919 წლის მარტის არჩევნების შემდეგ განახევრდა მათი რიცხვი პარლამენტში, დაკარგეს მინისტრის პორტფელები.

შეიძლება კონსტანტინეზე იმ ფაქტმაც იმოქმედა, რომ იგი მუშაობდა ბერლინის საელჩოში, რომელსაც განაგებდა სოციალ-დემოკრატი. სოციალ-დემოკრატებიდან იგი პატივისცემით იგონებდა მხოლოდ აკაკი ჩხენკელს, რომელიც ოქუშში იყო გაზრდილი. ვერ იტანდა ირაკლი (კაკი) წერეთელს. ნოე სორდანას ირონიით იხსენიებდა, მაგრამ მაინც აფასებდა.

კონსტანტინე, როგორც საელჩოს თანამშრომელი, წინააღმდეგი ყოფილა II ინტერნაციონალის ლიდერების საქართველოში მოწვევისა. აცხადებდა, აჯობებს ეს თანხა ქართველ სტუდენტებს მოხმარდესო.

როგორც ვიცით, კონსტანტინე სოციალიზმის იდეალებს არ იზიარებდა, რევოლუცია არ სწამდა, ხოლო ფედერალიზმს სრულ დამოუკიდებლობას არჩევდა.

ასე რომ, თავისუფალ საქართველოში იგი ვერ იქნებოდა იმ პარტიის წევრი, რომლის ძირითად პრინციპებს არ ეთანხმებოდა.

ფრიდრიხ ნიცშე სვამდა კითხვას: რა მძულს ამქვეყნად ყველაზე მეტადო და პასუხობდა – რა თქმა უნდა, სოციალიზმიო.

შემდეგ უმატებდა – სოციალიზმი არის მწვანე მინდვრის ბედნიერება საქონლის ჯოგისთვისო.

კონსტანტინე ნიცშეს კარგად იცნობდა და არც ეს აფორიზმი გამორჩებოდა.

თებერვლის კატასტროფა და პარტიის დაშლა

1921 წლის თებერვლის კატასტროფის შემდეგ კონსტანტინე ისევ ფედერალისტების გვერდით დადგა, თუმცა მათთან მეგობრობა არასოდეს გაუწყვეტია. აგრძელებდა თანამშრომლობას მათ პრესაში (გაზეთები "სოციალისტ-ფედერალისტი", "ტრიბუნა"), იცავდა ამ პარტიის პოზიციას (მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებისა, რომელთა ლიდერები იყვნენ შალვა ნუცუბიძე და თედო ლლონტი).

ბოლშევიკებმა არა მხოლოდ დაამხეს ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება, განდევნეს პარლამენტი და მთავრობა, არამედ – დაშალეს საქართველო და დაასაჩუქრეს მეზობელი ქვეყნები (აფხაზეთს დამოუკიდებლობა მიანიჭეს, ჩამოაყალიბეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სოჭი საბოლოოდ გადასცეს რუსეთს, საინგილო – აზერბაიჯანს, ლორე-ტაშირი – სომხეთს, ართვინი და არტაანი – თურქეთს)!

როგორც ბიბლიაშია ნათქვამი: განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ზედა ჰყარეს წილი!

კონსტანტინესათვის თავზარდამცემი იყო სამშობლოს ბედის ასე უკუღმა დატრიალება. მენშევიკები არც არასოდეს ჰყვარებია, მაგრამ ბოლშევიკებთან შედარებით ისინი ანგელოზები აღმოჩნდნენ.

სასოწარკვეთილი მწერალი უკანასკნელ იმედს ებლაუჭებოდა, რომ დამოუკიდებლობას მაინც არ დათმობდნენ ხელისუფლების მიმტაცებელი ბანდიტები. ებრძოდა სამშობლოს მტრებს, ღია წერილს სწერდა ლენინს და დახმარებას სთხოვდა; ედავებოდა მედროვე ცისფერყანწელებს, რომლებიც მას ფსიქოპატს უწოდებდნენ. სხვები შოვინისტად ნათლავდნენ და ნაირნაირი ცილისწამებებით სიცოცხლეს უმწარებდნენ.

ამგვარი იარლიყები მას სიცოცხლის ბოლომდე შერჩა.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამ 1923 წლის 8 ნოემბერს, II ყრილობაზე, მენშევიკების მსგავსად, თავი დაშლილად გამოაცხადა. ნაწილი ბოლშევიკურ პარტიას შეუერთდა.

საქართველოშიც ერთპარტიული სისტემა დამყარდა.

* * *

30-იან წლებში მწერალთა ერთ ჯგუფს ლავრენტი ბერიამ კომუნისტურ პარტიაში შესვლა შესთავაზა.

კონსტანტინეს ხუმრობით უთქვამს ლავრენტისთვის, პარტიაში როგორ არ შევიდოდი, მაგრამ ვიცი, მალე გასარიცხი ვიქნებიო.

ბერიას გასცინებია და ძალა არ დაუტანებია.

10. ბოლშევიზმი და "ქართული

კულტურის დიქტატურა" (1921-1925)

რუსების შემოყვანა ადვილია, განდევნა იქნება ძნელი.

პროფესორი მასარიკი,

ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი

რას მოვესწარით, ძმებო, რას მოვესწარით!

თბილისს ვტოვებთ!

არ შემიძლია ამის ატანა,

თავს მოვიკლავ, თავს მოვიკლავ!

ალექსანდრე ქუთათელი, "პირისპირ"

კონსტანტინე განაგრძობდა მუშაობას საქართველოს ბერლინის საელჩოში, ეცნობოდა ევროპის კულტურას, ათვალიერებდა არქიტექტურის ძეგლებს, მუზეუმებსა და გამოფენებს, ესწრებოდა სპექტაკლებსა და კონცერტებს, წერდა ესეებსა და ნოველებს, რომელთაც ბეჭდავდა სურნალ "ცისარტყელაში".

"ცისარტყელას" სოციალ-დემოკრატები სცემდნენ, მაგრამ იქ მუშაობდა ალექსანდრე აბაშელი, რომლის ნიჭსა და პატიოსნებას დიდ პატივს სცემდა.

აბაშელი იყო კონსტანტინეს უფროსი ძმის – ალექსანდრეს მეგობარი.

გარდა ამისა, ახალგაზრდა დიპლომატს სოციალ-დემოკრატებთან აღარ ჰქონდა ცუდი ურთიერთობა.

1920 წლის ნოემბერში კონსტანტინე თბილისში ჩამოვიდა.

გერმანული კულტურის პროპაგანდა

კონსტანტინე იყო გერმანული კულტურის პროპაგანდისტი და პოპულარიზატორი საქართველოში.

1920 წლის 14 დეკემბერს წაიკითხა მოხსენება – "გერმანიის კულტურისა და პოლიტიკის პრობლემები".

1921 წლის 10 იანვარს საქართველოს მასწავლებელთა ყრილობას წარუდგა მოხსენებით – "რეფორმატორული იდეები გერმანიის პედაგოგიკაში".

თებერვალში გაიმართა გერმანულ-ქართულ საზოგადოებათა ბანკეტი. თავმჯდომარეობდა მიხეილ (მიხაკო) წერეთელი.

ისაუბრა გერმანიის ელჩმა რაუმერმა.

ბანკეტზე კონსტანტინემ განაცხადა, გერმანია მილიტარულად დამარცხდა, თორემ ახალ იდეებს ისევ მისგან უნდა ველოდოთო.

ბოლშევიკების შემოჭრა

6 თებერვალს, 12 საათიდან მთავრობის თავმჯდომარე ნოე სორდანია ოფიციალურ მილოცვებს დებულობდა ევროპის სახელმწიფოთა საბჭოს მიერ საქართველოს დეიურედ ცნობის გამო.

ხოლო 11 თებერვლიდან რუსებმა ომი გააჩაღეს სუვერენული რესპუბლიკის დასამხობად.

სამშობლოს მზე კიდევ ერთხელ დაბნელდა...

25 თებერვალს რუსმა ბოლშევიკებმა და ქართველმა მოღალატეებმა თბილისი დაიკავეს და ეს ფაქტი მყისვე მოსკოვს უპატაკეს.

შეძრწუნებული კონსტანტინე ქალაქს გაეცალა, ცხენით ბეთანიაში ავიდა, საშველად თამარის აჩრდილს მიაშურა და იქ ასეთი აღნიშვნა დატოვა:

"ვიყავ ბეთანიას. თაყვანი ვეც თამარს. კონსტანტინე გამსახურდია, 1921 წელი, 25 თებერვალი".

მთავრობამ წინა დღეს დატოვა დედაქალაქი. 17 მარტს კი ბათუმიდან ევროპაში წავიდა, სადაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ კარლო ჩხეიძემ, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი ქართველმა მოკლა...

დამშეული XI არმია უომრად შემოვიდა უპატრონო თბილისში. მოსალოდნელი იყო მასობრივი რბევა და ძარცვა, რაც, საბედნიეროდ, არ მოხდა.

"როცა სამშობლო აღარ არსებობს, ღირსეული მოქალაქე უნდა მოკვდეს", ამბობდა ნაპოლეონ პირველი, თავად მრავალი ქვეყნის დამამხობელი, ბავშვობაში ფრანგების მოძულე.

მაგრამ საქართველოს დაგლეჯილი სხეული ჯერ კიდევ ფეთქავდა და მას შველა სჭირდებოდა.

თბილისს მოაწყდა მშვიერ ლტოლვილთა ნაკადი. ქალაქში გავრცელდა ვენერული დაავადებები, ტიფი, ყვავილი და ხოლერა.

დაიწყო ქართველთა შეზღუდვა, ქართული ენის აბუჩად აგდება.

მრავალმა მოქალაქემ დატოვა სამშობლო და ემიგრაციაში წავიდა.

როგორც გოდებდა იერემია, "ჩრდილოეთიდან გამოჩნდა ბოროტება და დიდი უბედურება".

გაზეთი "სოციალისტ-ფედერალისტი"

ომის დღეებში დაარსდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი "სოციალისტ-ფედერალისტი" (რედაქტორი თედო ლლონტი).

ფედერალისტების ეს ნაწილი შალვა ნუცუბიძისა და თედო ლლონტის ლიდერობით ბოლშევიკებთან თანამშრომლობას აცხადებდა, მიიჩნევდა, რომ ერთი

მმართველი პარტია შეცვალა მეორემ, მზად იყვნენ თანადგომისათვის, თუ ბოლშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობას დაიცავდნენ.

გაზეთს ფარულად ბოლშევიკები აფინანსებდნენ და ამიტომ მის მესვეურებს "პატიოსან" სიტყვას აძლევდნენ, ჩვენ მუქთახორა მენშევიკები განვდევენთ, თორემ საქართველოს სუვერენობას როგორ შევცხებითო!

ფარისევლურად 26 მაისიც კი იზიჟიმეს!

კონსტანტინე აქტიურად თანამშრომლობდა ამ გაზეთში, იზიარებდა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პრინციპს. მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობას სავაჭროდ არ ხდიდა, მოითხოვდა ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვას, ქვეყნის დაშლის შეჩერებას.

კონსტანტინეს აღშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ "ცისფერყანწელები" მიესალმნენ ბოლშევიკების შემოსვლას. პაოლო იაშვილი თეთრი ცხენით ეახლა XI არმიის ხელმძღვანელობას, ლექსიც შეაგება და ქალაქში წესრიგის დასაცავად იბრძოდა, ხოლო გრიგოლ რობაქიძემ პოსტიც ჩაიბარა, თუმცა რამდენიმე თვის წინათ ნოე სორდანიას განადიდებდა. პაოლო და ტიცციანი ბოლშევიკების მიერ ნაბოძებ ხელოვანთა სასახლეში დაბინავდნენ.

კონსტანტინემ არაერთი წერილი დაწერა გრიგოლ რობაქიძისა და ტიცციან ტაბიძის წინააღმდეგ.

პოლემიკა 1922 წელსაც გაგრძელდა და მეტად დრამატული, მაგრამ პრინციპული სახე მიიღო, რომელშიც მოექცა სამშობლოს თავისუფლებისა და მოდერნისტული ხელოვნების პრობლემები.

კონსტანტინე ლოიალობას იჩენდა მოძალადე ხელისუფლებისადმი – სამშობლოს როგორ დააქცევნო. მაგრამ ილუზია მალე გაეფანტა და მეზრდოლი სულისკვეთება დაეუფლა. იგი ხელოვანთა შორის ყველაზე ნათლად, ყველაზე მძაფრად გამოხატავდა ნაციონალურ, ანტისაბჭოთა სულისკვეთებას.

მწერლის სტატიები – "ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი", "სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს" დარჩება პუბლიცისტური აზროვნებისა და მოქალაქეობრივი სიმამაცის ნიმუშებად. ამის გამო რუსმა ავტორებმა კონსტანტინეს "შოვინისტი", "თეთრგვარდიელი", "კონტრრევოლუციონერი", "ჯადოსანი" და "რეაქციონერი" უწოდეს.

მწერალთა კავშირში

მას შემდეგ, რაც შეწყდა გაზეთ "სოციალისტ-ფედერალისტის" გამოცემა (1921 წლის ივლისი), კონსტანტინემ მწერალთა კავშირისაკენ გადაინაცვლა.

გაზეთი "ტრიბუნა", რომელსაც ბოლშევიკური სული დაეუფლა, იმდენად აღარ აინტერესებდა.

უნდოდა მწერალთა კავშირი – ხელოვნების სასახლე ექცია ეროვნულ ტრიბუნად, იქ გადაეტანა ნაციონალური და ესთეტიური იდეები.

მაშინ, 9 აპრილიდან 23 ოქტომბრამდე მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარეობდა ალექსანდრე აბაშელი, ბოლშევიზმის მოძულე, სურნალ "ხომალდის" რედაქტორი.

კოტე მაყაშვილი 3 მარტს აირჩიეს ხელოვანთა მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედ, მაგრამ 23 ოქტომბრიდან მწერალთა კავშირსაც ხელმძღვანელობდა.

კონსტანტინე მის ერთ-ერთ მოადგილედ აირჩიეს და ლეო ქიაჩელთან და გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად იყო სურნალ და გაზეთ "ლომისის" თანარედაქტორი.

როგორც ცნობილია, დღევანდელი მწერალთა კავშირის შენობა 1921 წლის 28 თებერვალს რევკომის №174 დადგენილებით, შალვა ელიავას ხელმოწერით, ბოლშევიკებმა მწერალთა კავშირს გადასცეს ხელოვანთა სასახლის მოსაწყობად.

არაერთი უბინაო მწერალი და ხელოვნების მუშაკი იქ ჩასახლდა.

ათეული წლების შემდეგაც კი ვერ მოხერხდა მწერალთა კავშირის შენობის მოსახლეთაგან განთავისუფლება და ამის გამო ბრძანებებიც დაიწერა.

ასე რომ, როგორც მწერალთა კავშირმა, ისე ხელოვანთა მთავარმა კომიტეტმა იმ შენობაში დაიდო ბინა (სერგიევის, 1922 წლიდან – მაჩაბლის 13) იმ სახლში, რომელიც ეკუთვნოდა კომერსანტ აკაკი ხოშტარიას, საქართველოდან ემიგრირებულს (დავით სარაჯიშვილისეული, აშენებული 1905 წელს).

დაარსდა მეორე სახელოვნო კომიტეტიც – განათლების სახალხო კომისარიატთან (თავმჯდომარე გრიგოლ რობაქიძე). იგი სახელმწიფო ორგანიზაცია იყო და არა საზოგადოებრივი.

23 ოქტომბერსვე მწერალთა კავშირი ორად გაიყო – "ცისფერყანწელებმა" არ ისურვეს ახალ ხელმძღვანელობასთან მუშაობა, ჩვენ ესთეტიკური ორიენტაციის ხალხი ვართ და პოლიტიკაში არ ვერევიითო.

მთავარი მიზეზი გახლდათ მათი დამარცხება და კონსტანტინეს არჩევა, რომელსაც დაუნდობლად ლანძღავდნენ და ქირდავდნენ.

გაერთიანება მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოხერხდა, როცა კონსტანტინე მწერალთა კავშირის მუშაობას ჩამოსცილდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული ბოლშევიკების ძალაუფლება და თავისუფალი მოქმედება შეიძლებოდა.

ახალი პრეზიდიუმის პირველსავე სხდომაზე, 31 ოქტომბერს, კონსტანტინემ წამოაყენა წინადადება – მწერალთა კავშირში შემოეღოთ "ხუთშაბათობები", წაეკითხათ თვეში ოთხი ლექცია, საათში ჰონორარად გაეცათ 50 ათასი მანეთი, ორ საათში – 100 ათასი.

ეს იდეა ფრიად სასარგებლო გამოდგა.

გაიმართა მრავალი საინტერესო საღამო, წაკითხულ იქნა მოხსენებები აქტუალურ თემებზე, რაც ზრდიდა მწერალთა თვალსაწიერსა და ესთეტიკურ კულტურას.

კონსტანტინეს 1921 წელს მწერალთა კავშირმა ორჯერ მისცა ფულადი დახმარება – 22 ივნისს 50 ათასი მანეთი, 21 ნოემბერს – 100 ათასი მანეთი (ავანსად).

როგორც თავმჯდომარის მოადგილესა და პრეზიდიუმის წევრს, ხელფასიც ჰქონდა. ინფლაციის გამო თანხის ოდენობა იცვლებოდა. მაგ., 25 დეკემბრიდან ჯამაგირად ეძლეოდა 25 ათასი მან. პრეზიდიუმის სხდომაზე ყოველი დასწრებისათვის – 5 ათასი მან.

21 ნოემბერს აირჩიეს მწერალთა კავშირის სარედაქციო კოლეგიის წევრად, 19 დეკემბერს – ხელოვნების მუშაკთა მთავარი კომიტეტის დელეგატად. 5 დეკემბერს დაევალა მოლაპარაკება გერმანიის ელჩ რაუშერთან, რათა გერმანიის ფირმებს მოეწყოთ საგამომცემლო საქმე. ამის შედეგად მწერალთა კავშირმა საბეჭდი ქალაქი შეიძინა.

12 დეკემბერს მწერალთა კავშირმა მისცა მანდატი, რათა მოლაპარაკება გაემართა ჩეკასთან გრიშაშვილის თავდებით განთავისუფლების გამო.

1922 წლის 7 თებერვალს განმეორებით აირჩიეს პრეზიდიუმის წევრად (კოტე მაცაშვილთან და ლეო ქიაჩელთან ერთად) და დაენიშნა ჯამაგირად მილიონი მანეთი.

კონსტანტინე სისტემატურად ესწრებოდა პრეზიდიუმის სხდომებს, მოითხოვდა "რაბის-ში" შესვლას, კაფე "უქიმერიონის" საკითხის მოწესრიგებას, ლიტერატურული საზოგადოების დაარსებას, ხელოვანთა სასახლის ფოიედან ლომვეფხვის ფიტულების მოხსნას, კითხულობდა "ხუთშაბათობებზე" ლექციებს, აგრძელებდა "ცისფერყანწელთა" კრიტიკას...

მიუხედავად ასეთი აქტივობისა, 1922 წლის 29 დეკემბერს ფარული კენჭისყრით აირჩიეს ახალი პრეზიდიუმი – კოტე მაცაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სოლომონ თავაძე.

ზოგიერთი მონაცემით, თავად კონსტანტინემ განაცხადა უარი პრეზიდიუმის წევრობასა და გაზეთ "ლომისში" მუშაობაზე, ხოლო მწერალთა IV კონფერენციამ 1923 წლის 13 აპრილს იგი საბჭოს წევრადაც აღარ აირჩია. მხოლოდ წევრობის კანდიდატობა არგუნეს, თუმც წევრობაზე იყო დასახელებული.

არც მეხუთე, გამაერთიანებელ კონფერენციაზე 1923 წლის ოქტომბერში აურჩევიათ საბჭოს წევრად (წევრთა რიცხვი 33-მდე იყო გაზრდილი), მაგრამ მაშინ საფრანგეთში იმყოფებოდა და შესაძლოა, ესეც იყო მიზეზი.

1925 წლის 27 ნოემბერს დაფუძნდა "აკადემიური ასოციაცია", რომლის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე იყო. ფაქტიურად იგი ადრევე, 1921 წლიდან არსებობდა და წარმოადგენდა ე. წ. ძველი მწერლების კავშირს.

"აკადემიური ასოციაცია", როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის შემადგენელი ნაწილი, ფუნქციონირებდა 1928 წლის დამლევსაც.

იგი დაშლილად გამოაცხადა ალ. აბაშელმა 1930 წლის 15 ნოემბერს საქართველოს მწერალთა ფედერაციის მეოთხე პლენუმზე.

ასე მოითხოვდნენ რაპპელები და ლეფელები.

მათ უკან ხელისუფლება იდგა.

მოდერნიზმის იდეოლოგი

"მე არ ვმალავ: დიდ კულტურაზე ვოცნებობ. კრიტიკულად ვუცქერი როგორც ქართული კულტურის წარსულს, ისე თანამედროვე ევროპას. ჩვენ უნდა გადავლახოთ ქართული კულტურის ეთნოგრაფიული მიჯნები. ძველი ქართული კულტურა პროვინციალური იყო, ახალი მსოფლიო კულტურა ურბანისტულია", – აცხადებდა კონსტანტინე.

მხატვრული აზროვნების განახლებას სჭირდებოდა ევროპის კულტურასთან ზიარება, ახალი იდეების შემოტანა და დამკვიდრება. ამავე დროს ეს იყო ბარიერი, რომელიც მწერალმა დაუხვედრა წითელ იდეოლოგიას.

1921 წლის 24 ნოემბერს ხელოვანთა სასახლეში მოხსენება წაიკითხა სტეფან გეორგეზე, განმეორებით – 1922 წლის 24 სექტემბერს კონსერვატორიის დარბაზში.

1922 წლის 12 იანვარს სიტყვა წარმოთქვა დანტე ალიგიერის საიუბილეო საღამოზე.

თებერვალში დააპატიმრეს როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი, ჩასვეს მეტეხის ციხეში, სადაც მეფის ხელისუფლება რევოლუციონერებს ამწყვდევდა.

5 თებერვალს მწერალთა კავშირმა დაავალა ალექსანდრე აბაშელსა და იოსებ გრიშაშვილს, მიემართათ ჩეკას თავმჯდომარისათვის, რათა კონსტანტინე ციხიდან გამოემვათ.

შუამდგომლობამ გაჭრა. მალე გაათავისუფლეს და ისევ გააგრძელა მოდერნისტული კულტურის პროპაგანდა.

იდეალად რჩებოდა დასავლეთი ევროპა, ევროპის ინტელექტუალური სამყარო, მიზნად – ქართული სულისა და ქართული სიტყვის განახლება.

ციხიდან გამოსულმა 22 მარტს ხელოვანთა სასახლეში წაიკითხა მოხსენება – "ოსვალდ შპენგლერი – დასავლეთის დაღუპვა".

22 ივლისს გამოვიდა სიკო ფაშალიშვილის საღამოზე ქართული კლუბის საზაფხულო დარბაზში.

სექტემბერში სიტყვა წარმოთქვა მთაწმინდაზე, ილია ჭავჭავაძის საფლავთან გამართულ პანაშვიდზე, კათალიკოს ამბროსისთან და მწერალ ვასილ ბარნოვთან ერთად, სადაც განაცხადა:

"მე მიმაჩნია უდიდეს გამარჯვებად რომაელთა გამარჯვება სიკვდილში. ისინი თავიანთ ლეგიონებთან ერთად მწყობრი მარშით ჩავიდნენ სამარეში, როცა მიწაზე მათ ენას, მათ კანონს და მათ ღმერთებს გასავალი აღარ მისცეს. ასეთი სიკვდილი უდიდესი გამარჯვებაა ყველა ერისათვის".

20 ოქტომბერს კონსერვატორიის დარბაზს წარუდგა მოხსენებით – "აქტივიზმი ევროპის ახალ ლიტერატურაში".

9 ნოემბერს დიმიტრი ყიფიანის ხსოვნის საღამოზე თქვა სიტყვა.

შემდეგ მწერალთა კავშირისა და გაზეთ "ლომისის" სახელით მიესალმა იუბილარ პროფესორს – ალექსანდრე ცაგარელს.

დეკემბრის თვეში ფრიდრიხ ნიცშეს საღამო მოაწყო და სიტყვით გამოვიდა. ასევე მონაწილეობდა ტერენტი გრანელისა და ვაჟა-ფშაველას საღამოებზე, როგორც ლექტორი.

ვაჟას კოლუმბი უწოდა, რომელმაც აზროვნების უცნობი კონტინენტი აღმოაჩინა.

მოხსენებებს ესეს ფორმით სწერდა და პრესაში აქვეყნებდა.

კონსტანტინემ ჭაბუკი ტერენტი გრანელი "ილიონში" დაბეჭდა, მაგრამ მადლობის ნაცვლად სიმბოლისტი პოეტი მწერალთა კავშირში ეძგერა უფროს კოლეგას, თავის კეთილისმყოფელს, და ჰალსტუხი ჩამოგლიჯა, პისონი ხარო. კონსტანტინემ მოასწრო და ტროსტი სდრუზა გათავხედებულს. ალბათ ტერენტის ამღვრეულ გონებაში წამიერად გაუელვა, რომ კონსტანტინეს არ უყვარდა "ცისფერყანწელები" და სიმბოლიზმსაც აკრიტიკებდა.

კონსტანტინე მაინც აგრძელებდა ახალი სახელების მიებას, მისტიკისა და ექსპრესიონიზმის პროპაგანდას, დაუცხრომელ მუშაობას.

მრავალწლიანი სისხლისღვრით დაქანცულ ევროპელთა გონებაში რიალებდა პაროლები – "ევროპის დასასრული" (ოსვალდ შპენგლერი), "დაკარგული თაობა" (ჰერტრუდა სტაინი), "სულის კრიზისი" (პოლ ვალერი), "უმითო დრო" (რუდოლფ

კაიზერი), "უნაყოფო მიწა" (თომას სტერნზ ელიოტი), რაც ეხმიანებოდა ქართველთა განწყობილებას.

კონსტანტინეს მზერა ევროპას არ სცილდებოდა.

მისთვის ეს სისხლიანი ეპოქა იყო "მითოსმოკლებული დრო", ე. ი. უსულო და უაზრო. მაგრამ იგი შთაგონებაც იყო, რადგან, თომას მანის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ჯოჯოხეთის ქვაბში ცეცხლის შენთების გარეშე არ იქმნება გენიალური ნაწარმოები".

"ილიონი" და "საქართველოს სამრეკლო"

1922-1923 წლებში კონსტანტინემ გამოსცა სურნალ "ილიონის" ოთხი ნომერი. სახელწოდება შერჩეულ იქნა 1922 წლის 25 იანვარს.

პირველი ნომერი გამოვიდა 12 აგვისტოს.

მასალები უნდა გადაეგზავნათ არჩილ ჯაჯანაშვილთან, ცეკავშირში.

გამოცემა დაგვიანდა რედაქტორის დაპატიმრების გამო.

დაპატიმრებას ასეთი ფაქტი უძლოდა:

პროფკავშირების ერთ-ერთ შეკრებაზე, როცა ორკესტრმა "ინტერნაციონალი" დაუკრა, კონსტანტინე ფეხზე არ ადგა. კომუნისტებმა ურჩი მწერლის დარბაზიდან გაძევება მოითხოვეს. კონსტანტინემ სიტყვა ითხოვა, მაგრამ ტრიბუნას არ გააკარეს და აიძულეს დარბაზი დაეტოვებინა.

"ილიონში" თანამშრომლობდნენ – იოსებ გრიშაშვილი, ტერენტი გრანელი, ილო მოსაშვილი, მარიჯანი, ნინო თარიშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, არისტო ჭუმბაძე, ირაკლი ტატიშვილი, უიარაღო (კონდრატე თათარიშვილი), დიმიტრი უზნაძე, კოკი აბაშიძე, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, დემნა შენგელაია, ალექსანდრე წერეთელი...

1923 წლის 1 იანვრით თარიღდება გაზეთ "საქართველოს სამრეკლოს" პირველი ნომერი.

მეორე ნომერი არ გამოსულა.

როგორც ვხედავთ, ესთეტიკური იდეების პროპაგანდა ეროვნული მრწამსის დაცვასთან განუყრელად წარმოედგინა.

ხელისუფლება მტრულად უყურებდა. გაზეთ "კომუნისტის" რედაქტორმა ვალია ბახტაძემ "ილიონი" გააბიაბრუა და კონსტანტინეს "რეაქციონური პესიმიზმი" დაანათლა.

ებრძოდნენ ცისფერყანწელები.

ებრძოდნენ პროლეტკულტელები.

ებრძოდნენ ფუტურისტები.

ფუტურისტებმა ნიცშესა და ვაჟას სადამოზე დებოში ატეხეს. კონსტანტინემ მათ ხულიგნობა არ მოუწონა და მკაცრად გაკიცხა.

შემდეგ პრესაში წერილი დაბეჭდეს ფუტურისტებმა, კონსტანტინემ ბოდიში მოგვიხადოს, თორემ არ ვიცით რას ვიზამთო.

ასე – მტერთაგან შეიწრებული, ყოველგნით ხელაღუპრობელი კონსტანტინე მაინც მხნეობას ქადაგებდა, მავთულის ნერვებიან თაობას მოუხმობდა და ხვალინდელი დღის იმედს არ კარგავდა.

სნეული ქალაქი

თუმცა კარგი ქვეყნად არაფერი ხდებოდა.

1922 წლის ნოემბერში თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ შექმნა ბიურო პროსტიტუციასთან საბრძოლველად, "რომელმაც თითქმის მასიური ხასიათი მიიღო ტფილისში" ("კომუნისტი", 1922, 1 დეკემბერი).

ხალხი შიმშილობდა. დროდადრო ტიფი და ხოლერა იფეთქებდა...

ბინები ორმოცდაათი წლის შემდეგაც ჭირდა, მაშინ რა იქნებოდა. ამიტომ ბევრი სოფელს დაუბრუნდა.

ქალაქს არ ჰყოფნიდა პროდუქტი, წყალი, შუქი, ტრანსპორტი, ნავთი. დამრწოდნენ მათხოვრები და ქურდები. ხალხს კი უმტკიცებდნენ, კომუნიზმს ვაშენებთო.

დამფრთხალი მოქალაქეები წყევლიდნენ და აგინებდნენ ხელისუფლებას, რომელმაც ქვეყანა დაანგრია, ხალხს მიწიერ სამოთხეს დაჰპირდა, მაგრამ ჯერ ლუკმა-პურიც ვერ მიეცა.

მოწყენილ თბილისს მკვდრისფერი ედო.

მხოლოდ სომხები, რუსები და რუსოფილი ქართველები მხიარულობდნენ, დღეს გვიჭირს, თორემ ხვალ ყველაფერი კარგად იქნებაო...

შავი ჩოხა

ისევ დაულაღავად მუშაობდა, წერდა ესსეებს, გამოდიოდა მოხსენებებით, სცემდა სურნალს, იცავდა "დისტანციის თეორიას", რათა გამიჯნოდა ბოლშევიკებს. ამას იმით ასაბუთებდა, რომ მოვლენების ასახვას სჭირდებოდა გარკვეული დრო, ხელოვნება ფოტოგრაფია არ არისო.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა "კულტურის დიქტატურის" ცნებას. მწერალი ქადაგებდა, რომ როცა ერთ კარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მან კულტურის დიქტატურა უნდა გამოაცხადოს, კულტურის სააღყო წესები შემოიღოს, ნაციონალური ენის ჰეგემონია იქადაგოს, რათა ასე იხსნას ერთი დაცემისა და გადაშენებისაგან. ამიტომ განმარტავდა ექსპრესიონიზმის არსს, მისტიციზმის იდეალებს, დანტეს აცნობდა საზოგადოებას, ნიცშესა და შპენგლერს იშველიებდა, ცდილობდა ჰეროიკული მაგალითებით გაემხნევებინა გულგატეხილი ხალხი.

ეროვნული გლოვის ნიშნად შვიდმა კაცმა – კონსტანტინემ, ალექსანდრე აბაშელმა, პავლე ინგოროყვამ, ვახტანგ კოტეტიშვილმა, გიორგი ნიკოლაძემ და სხვებმა შავი ჩოხა-ახალუხი შეიკერეს, რასაც დროდადრო ბრალად სდებდნენ. ალიო მამაშვილი ასე სწერდა მათზე და მათ თანამოაზრეებზე: "სჩივიან ბედზე და საქართველო გამოიტირეს შავი ჩოხებით".

თეატრი და ექსპრესიონიზმი

1925 წლის 5 ივნისს რუსთაველის თეატრში გამართა თავისი შემოქმედებითი საღამო.

პირველი შალვა ნუცუბიძე გამოვიდა. მან ისაუბრა ოსვალდ შპენგლერზე. თამარ ჭავჭავაძემ წაიკითხა კონსტანტინეს ლექსი "მარია სტელლა", აკაკი ვაჟაძემ – "ბერლინი", აკაკი ხორავამ – "მიზანთროპი".

მსმენელს თავიანთი ლექსებით წარუდგნენ ალექსანდრე აბაშელი და სიკო ფაშალიშვილი. ალექსანდრე სორსოლიანმა წარმოადგინა "სოფლის ფერმალი".

დასასრულ კონსტანტინემ ისაუბრა ექსპრესიონიზმზე.

გრიგოლ რობაქიძის დარად, მაშინ კონსტანტინე თეატრით იყო გატაცებული, რათა ამჯერად სცენა ექცია ეროვნულ ტრიბუნად, ახალ დროსთან მიმართებით აღედგინა ანტიკური ტრაგედია.

1922 წლის 30 ნოემბერს ხელოვანთა სასახლეში, 1923 წლის 26 მაისს რუსთაველის თეატრის სარკეებიან დარბაზში (ა. ფაღვას სტუდია) წაიკითხა მოხსენება თეატრსა და ექსპრესიონიზმზე, 16 იანვარს დაწერა მისტერია "გარსი მარადი". უნდოდა იგი დაედგა კოტე მარჯანიშვილს და ივლისის მიწურულს ბორჯომში წაუკითხა რესისორს ეს დრამა. მაგრამ მარჯანიშვილმა დადგმას თავი აარიდა და ურჩია, ბერლინში მეცელესათვის გადაეცა, რომელიც კოტეს მეგობარი ყოფილა.

კონსტანტინეს თეატრით გატაცებას წერტილი დაესვა.

უნდოდა "გარსი მარადი" ბერლინურ სურნალ "Der Neue Orient"-ში დაებეჭდა.

არც ამ ცდამ გაუმართლა.

პროფესორის კარიერა

ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1917 წლის 26 ნოემბერს პროფესორთა საბჭოს პირველ წინასწარ სხდომაზე კონსტანტინე დაასახელა მათ შორის, რომელთა დატოვება სასურველი იქნებოდა საპროფესოროდ მოსამზადებლად.

მაშინ მწერალმა, ისევე როგორც გერონტი ქიქოძემ, სხვა გზა არჩია.

მაგრამ 1921 წლის 29 იანვარს განცხადებით მიმართა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს, რათა საპროფესოროდ მოემზადებინათ დასავლეთ ევროპის ისტორიაში (იტალიისა და გერმანიის შუა საუკუნეები).

ორი წლით იტალიაში მივლინებას ითხოვდა, ერთი წლით – ინგლისში. დეტალურად უთითებდა თუ სად სწავლობდა, ვინ იყვნენ რექტორები.

წარადგინა დიპლომი, უნივერსიტეტის დამთავრების მოწმობა და დისერტაციის შავი პირი გერმანულ ენაზე.

დასკვნა 1921 წლის 12 თებერვალს დაწერა პროფ. მიხეილ პოლიევქტოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს დიპლომი უდრის რუსული უნივერსიტეტების საკანდიდატოს, მაგრამ შესრულებით მას აღემატებაო.

მისი სახით კარგი სპეციალისტი ემატება ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას და ხელშეწყობა სჭირდებაო.

21 სექტემბერს კონსტანტინემ მიმართა თავის ხელმძღვანელს პოლიევქტოვს და წარუდგინა ექვსი თვის მუშაობის ანგარიში.

ისევ ითხოვა იტალიაში წასვლა, ამჯერად – ერთი წლით, გერმანიაში – ათი თვით. სადოქტორო თემად შეურჩევია "იტალიის რესპუბლიკის პოლიტიკა მე-14 და მე-15 საუკუნეებში".

ექვს თვეში ისე ვისწავლი იტალიურს, პირველწყაროებით სარგებლობას შევძლებო.

იტალიურის სწავლა მაისიდან დაუწყია. უთარგმნია დანტეს "ღვთაებრივი კომედიის" ფრაგმენტები და იტალიური იოანეს სახარების ტექსტი.

ორ წელში სადოქტოროს წარმოვადგენო (ს. ჯორბენაძე, მხოლოდ ფაქტები, "ლიტერატურული საქართველო", 1968, 18 ოქტომბერი).

ამ პერიოდში უნივერსიტეტი აძლევდა დახმარებას.

მაგრამ უცხოეთში სამივლინებო თანხა უნივერსიტეტს არ ჰქონდა და კონსტანტინემაც ხელი ჩაიქნია პროფესორობაზე – მწერალთა კავშირს მიაშურა.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს, ადრე მისთვის უთხოვია, რათა არქეოლოგიის კათედრაზე მიედო. მაგრამ თავად ექვთიმემ დატოვა საქართველო და ეს საქმე ჩაიშალა.

1923 წელს კვლავ დაისვა ეს საკითხი და უნივერსიტეტის რექტორს ივანე ჯავახიშვილს სათანადო შუამდგომლობაც დაუწერია.

კონსტანტინეს გატაცება კარგად იყო ცნობილი, რაც აისახა ერთ პაროდულ ლექსში, რომლის ავტორია ბესან ხლუსტი (გრიგოლ ცეცხლაძე):

"მე მოვიარე გერმანეთი, ცეცხლით მქშინავი,
 ფილოსოფიის დოქტორი ვარ, კათედრას ველი,
 სვიმბოლიური გოეთე მწამს, სხივით მბრწყინავი,
 მაგრამ არ არის, ვიცი, მაინც ჩემი საშველი"
 (გაზ. "ტრიბუნა", 1922, №241)

ასე რომ, ერთი პერიოდი კონსტანტინეს ხიბლავდა ისტორიის პროფესორის კარიერა, ისევე როგორც გენერლისა. მაგრამ ორივეზე უარი თქვა.

სკოლაში ასწავლიდა გერმანულს, უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, მაგრამ წმინდა მეცნიერულ, კვლევით მუშაობას არ შესდგომია.

ახალმა დრომ დიპლომატიასა და პოლიტიკაზე უარი ათქმევინა.

დარჩა შემოქმედების ნარეკლიანი გზა.

ასაკში შესულს მწერლისათვის შეუფერებლად მიაჩნდა ლექციების კითხვა და პროფესორობა.

ერთხელ, საჯარო ბიბლიოთეკაში გამოსვლისას, სინანულით შენიშნა აკაკი გაწერელიას, რად უნდოდა ამ კაცს პროფესორობა, რას გადაჰყვა მეცნიერებასო.

იგი სიცოცხლის უმაღლეს აზრს შემოქმედებაში ხედავდა.

ისევ ევროპაში

1923 წლის ივნისში საშა გეგეჰკორის ინიციატივით კონსტანტინე ევროპას გაემგზავრა. საშა გეგეჰკორი მაშინ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო.

ალბათ ამ ხერხით უნდოდათ მწერლის თავიდან მოცილება, ემიგრაციაში გაშვება, უკან აღარც მობრუნდებაო.

ასე გაასახლეს სამშობლოდან მრავალი არასასურველი პირი.

მწერალს განსაკუთრებით მტრობდნენ მიხეილ კახიანი და ლევან ღოღობერიძე.

კონსტანტინე ყოველთვის პატივისცემით იგონებდა საშა გეგეჰკორს, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ თავი მოიკლა.

იგი იყო ევგენი გეგეჭკორის და ნინა გეგეჭკორის – ლავრენტი ბერიას მეუღლის – ბიძაშვილი. საშას ახლო ნათესავი იყო გოგიტა ფაღავა – 1923 წელს დახვრეტილი.

უკვე დაპატიმრებული ჰყავდათ "ინტერპარტიული კომიტეტის სამხედრო შტაბი". დახვრიტეს 15 კაცი, მათ შორის – კონსტანტინე აბხაზი, გენერალი, მეფის რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ილია ჭავჭავაძის დისწული, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.

ეს ფაქტი დაამთხვიეს 26 მაისს, რათა ხალხი დაეფრთხოთ.

კონსტანტინე ჯერ მიუნხენში გაემგზავრა, შემდეგ პარიზში გადავიდა. სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტში, უსმენდა ანრი ბერგსონს, საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ფილოსოფოსს, ვისაც ადოლფ ჰიტლერმა, მიუხედავად ებრაელობისა, "საპატიო არიელის" წოდება მიანიჭა!

ხვდებოდა ზურაბ ავალიშვილს, ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს, დადიოდა კაფე "როტონდაში". ანტისაბჭოთა პროპაგანდისაგან თავს იკავებდა. არც უცხოეთში დარჩენაზე ფიქრობდა, ეცნობოდა ხელოვნების ნიმუშებს, თანამედროვე მწერლობას, ათვალიერებდა ამ საოცარ ქალაქს, რომელიც მაშინ ხელოვნების მექა იყო. ლუვრი ისე კარგად სცოდნია, რომ ლადო გუდიაშვილიც კი განაცვიფრა.

ნოე სორდანიასთან შეხვედრაზე უარი განუცხადებია.

დაბრუნება თბილისში

1923 წლის დამლევს საქართველოში დაბრუნდა, რაც სერგო ორჯონიკიძეს დიდად გახარებია.

1924 წლის 8 იანვარს კონსერვატორიის დარბაზში წაიკითხა მოხსენება – "ლიტერატურული პარიზი".

კონსტანტინე 1921 წლიდან ცხოვრობდა დედასთან ერთად სოლოლაკში, ჯულაშვილის №13-ში (ადრე რტიშჩევის, შემდეგ – ჯაფარიძის, დღეს – პაოლო იაშვილის ქუჩა). ეს ბინა მას დაუთმო ძმამ – ალექსანდრემ.

თავდაპირველად პირველ სართულზე ეკავა ერთი დიდი, შუმბანდიანი ოთახი (52 კვ. მ.). ჰქონდა ტელეფონი – 14-45.

ოთახის შუაში, გრძელ მაგიდაზე წიგნები და ხელნაწერები ელაგა. მაგიდასთან ყანჩის ფიტული იდგა. იატაკზე დათვის ტყავი ეფინა. კედელზე ეკიდა სურათები, ხანჯლები, სანადირო თოფი, – იგონებს ექიმი ბაადურ რაჭველიშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილის ვასი.

მოგვიანებით, 1934 წლის 1 თებერვალს, გადავიდა მეორე სართულზე სამოთახიან ბინაში, სადაც ცხოვრობდა 1950 წლის 6 ოქტომბრამდე.

ტელეფონი შეეცვალა – 3-08-11.

მეზობელი ჰყავდა სომეხი გინეკოლოგი სამუელ შახპარონიანი.

კონსტანტინე ხუმრობდა, ქალები ჯერ ჩემთან მოდიან და მერე აკითხავენ შახპარონიანსო.

ეს სახლი ადრე ამ სომეხის კუთვნილება ყოფილა და შიგ საავადმყოფოც კი ჰქონია გახსნილი.

"ქვეყანა, რომელსაც ვხედავ"

1924 წელს "კოლეჯია რენესანსმა" გამოსცა მწერლის პირველი წიგნი ქართულ ენაზე, ნოველების პატარა კრებული – "ქვეყანა, რომელსაც ვხედავ".

ეს იყო პროზაში სერიოზული განაცხადი, თუმცა დიდი რეზონანსი არ ჰქონია.

დაიბეჭდა 1.500 ეგზემპლარი.

მწერალმა შეგნებულად შეარჩია მცირე ფორმატი. ასე დასტამბა მომდევნო წიგნებიც. ფართო და განიერ წიგნებს ევროპაში აღარ სცემენო, ამბობდა, წიგნის ტარება უნდა შეგეძლოს და ტრანსპორტში კითხვაო.

ნოველების ამ კრებულს "დიდ მოვლენად" მიიჩნევდა ირაკლი ტატიშვილი, ნიცშეს "ზარატუსტრას" მთარგმნელი.

"კავკასიონი" და "ახალი კავკასიონი"

მონაწილეობდა ანთოლოგიური ტიპის სურნალ "კავკასიონის" მუშაობაში, რომელსაც პავლე ინგოროყვა რედაქტორობდა.

ამ ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა ევროპიდან ახლად ჩამოსული მწერლის ესე – "ახალი ევროპა. ლიტერატურული პარიზი".

მას შემდეგ გავიდა 70 წელზე მეტი, მაგრამ შეფასება, რომელიც დაუსვა ახალგაზრდა ევროპელ მწერლებს, სკოლებსა და მიმდინარეობებს, სავსებით სწორი აღმოჩნდა. და რაც ყველაზე საოცარია – სწორედ ამ ავტორებმა შექმნეს XX საუკუნის დასავლური ლიტერატურა!

1924 წლის 3 ივნისს შედგა მთავლიტის (საბჭოთა ცენზურა) კოლეგიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ მთავლიტის, ჩეკას და ცეკას წარმომადგენლები.

"კავკასიონი" მიიჩნიეს ნაციონალისტურ, შოვინისტურ და კონტრრევოლუციურ გამოცემად და ამიტომ დახურეს (ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივი, ფონდი 6, ან. 2, №2).

პავლე ინგოროყვამ სურნალს მოუძებნა სხვა სახელი – "ახალი კავკასიონი". მაგრამ ერთი წიგნის მეტი ვერ დაბეჭდა.

შემდეგ კონსტანტინეს უნდა გაეგრძელებინა გამოცემა, მაგრამ უეცრად დააპატიმრეს.

მეტეხის ციხეში

მალე საქართველოში სისხლის კალო დატრიალდა. 1924 წლის 28-31 აგვისტოს მთელი საქართველო (აჭარა, გურია, სამეგრელო, იმერეთი, სვანეთი, კახეთი...) აჯანყდა სამულველი ბოლშევიკური ტირანიის წინააღმდეგ, რომელმაც კანონიერი ხელისუფლება განდევნა, ქვეყანა დაშალა და ისიც რუსეთს შეუერთა.

თუ მეამბოხეებს არცერთი ბოლშევიკი სიკვდილით არ დაუსჯიათ, რუსის ჯარის მეშვეობით გამარჯვებულმა ხელისუფლებამ მარტო სამეგრელოში გაუსამართლებლად დახვრიტა 451 კაცი. ამოსლიტეს ქართლისა და კახეთის თავადაზნაურობა. ვაგონებში ჩაცხრილეს აჯანყებული ჭიათურელი მუშები. სოფელ რუისში ამოწყვიტეს ფანიაშვილების ოჯახი – 4 მამაკაცი, 5 ქალი, 15 ბავშვი (ერის ობსტი, საქართველო, სურნ. "კავკასიონი", X, პარიზი, 1965).

დახვრიტეს ცნობილი მენშევიკები – ვალიკო ჯუღელი, ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, გოგიტა ფაღავა (ევგენი გეგეჭკორის დისშვილი), სოციალ-

ფედერალისტი, გენერალი გიორგი ფურცელაძე, გენერალი სოლომონ ყარალაშვილი, მიტროპოლიტი ნაზარი...

დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას, კიტა აბაშიძის, ივანე მაჩაბლის, კორნელი კეკელიძის შვილები, პაოლო იაშვილის ძმა... თავი მოიკლა გიორგი ლასხიშვილის ცოლმა.

აჯანყების ხელმძღვანელი იყო სოციალ-დემოკრატი, დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, მეფის დროს ნაციმბირალი, დამფუძნებელი კრების წევრი კოტე ანდრონიკაშვილი.

ბოლშევიკებმა სასტიკ ანგარიშსწორებას შეუხამეს პროპაგანდისტული ისტორია. დამკომის ხელმძღვანელები (კ. ანდრონიკაშვილი, ი. ჯავახიშვილი, მ. ბოჭორიშვილი, ს. ჯინორია, მ. იშხნელი...) აიძულეს ხალხისათვის განცხადებით მიემართათ, რომ ეს იყო ავანტურა, რომელმაც "უდიდესი უბედურება" მოუტანა ქართველ ხალხს და ბრძოლა შეეწყვიტათ ("კომუნისტი", 1924, 6 სექტემბერი).

განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩეკისტები პეტროსიანი (კამოს ძმა), პანკრატოვი და ათარბეგოვი, ვისი სახელიც დაერქვა თბილისის ცენტრში ერთ-ერთ ქუჩას.

მაგრამ ყველა ჩეკისტი, სამხედრო პირი თუ პარტიული მუშაკი ასრულებდა სტალინისა და ორჯონიკიძის მითითებებს, რომ აჯანყება სასტიკად უნდა ჩახშობილიყო.

რეპრესირებულთა ქონების ნაწილი, როგორც ჯილდო, დამსჯელებს გადაეცათ, დანარჩენი სახელმწიფომ მიითვისა.

რეპრესიების მასშტაბით ბოლშევიკი ლიდერებიც კი შეფიქრიანდნენ. მოსკოვში, პოლიტბიუროს სხდომაზე, სერგო ორჯონიკიძე აცხადებდა, გადაჭარბებას ჰქონდა ადგილი!

აჯანყების ჩახშობის შემდეგ, სექტემბერში, კონსტანტინე დააპატიმრეს და განმეორებით ჩასვეს მეტეხის ციხეში. ეგონა, რომ დახვრეტა არ აცდებოდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ გამოუშვეს, რადგან ცხადი გახდა, რომ არც პოლიტიკურ პარტიებთან და დამკომთან, არც შეიარაღებულ ჯგუფებთან მას კავშირი არ ჰქონდა.

სექტემბერში გაზეთმა "კომუნისტმა" დაბეჭდა ქართველი ინტელიგენციის ელიტის ორი განცხადება (მეცნიერთა და ხელოვანთა), რომლებშიც დაგმოზილია აგვისტოს "ავანტიურა".

კონსტანტინე განცხადებას ხელს არ აწერს.

40-იან წლებში ისინი, რომლებიც 1921 წელს რუსეთის ჯარს შემოუძღვნენ საქართველოში და 1924 წელს მოძმეთა სისხლის ზღვა დააყენეს, თავად გახდნენ მსხვერპლი მათ მიერვე ნაჭედი ბარბაროსული ბოლშევიკური მანქანისა.

დამარცხებამ და რეპრესიებმა გატეხა ქართველი ხალხი და იგი მინებდა ბოლშევიკურ ტირანიას.

"დიონისოს ღიმილის" დაწერის დრო

სამშობლოს ახალი ტრაგედია, ბოლშევიკების სისასტიკე, დაღვრილი სისხლის კომმარი და შემდეგ – გადარჩენის სიხარული მწერალს ექცა უეცარ, ძლიერ შთაგონებად. იგი მართლაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდგა და ციხეში გადაწყვიტა, თუ ცოცხალი გადარჩებოდა, მესამედ დაეწერა ის წიგნი, რომლის შექმნის იდეა მთელი ათი წელი გულში ჰქონდა.

მართლაც, არაადამიანური შრომისა და ტანჯვის ფასად ცხრა თვეში შექმნა მოდერნისტული რომანი – "დიონისოს ღიმილი", დაკარგული თაობის ნაციონალური პესიმიზმით გასჯდენთილი წიგნი.

რომანი გამოიცა შალვა ელიავას მიწერილობით. მაშინ იგი იყო საქართველოს სახკომ-საბჭოს თავმჯდომარე.

ალბათ გამოცემის ნებას არ რთავდნენ, თუ მთავრობის თანხმობა არ ექნებოდათ.

"დიონისოს ღიმილი" გამოვიდა 1925 წლის აგვისტოში (ტირ. 2.000, ფასი 1,5 მან.).

წყობა დამთავრდა 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

რამდენიმე თავი ადრეც ჰქონდა დაბეჭდილი.

რომანს თავდაპირველად ერქვა "ეროსი ბერლინში" და უნდა აესახა "1918-1920 წლების გერმანიის რევოლუციების ეპოქა". როგორც ჩანს, 1924 წელს არ ჰქონდა გააზრებული რომანის სიუსეტური ქარგა.

რომანი დამთავრებული არ იყო არც 1925 წლის მარტის დამლევს. სურნალ "თეატრსა და ცხოვრებაში" (1925, 29 მარტი – 5 აპრილი) დაბეჭდილია წიგნის შინაარსი, რომლის მიხედვით რომანი შედგება 12 ქებისა და 51 თავისაგან (საბოლოოდ – 13 ქება, 52 თავი).

შეიცვალა ქვეთავების სახელწოდებანი – "ფატა მორგანა", "ყვითელჯუბიანი", "ალისქარი", "აპოკალიპსური ზაფხული", "ძვევისაგან მოტაცებული განიმედი", "ნამვენარის ქორალი"...

ფარვიზს თავდაპირველად თამაზი რქმევია.

მწერალს კონსულტაციებს უწევდა ბოლშევიკების მოძულე ცნობილი ელინისტი გრიგოლ წერეთელი, რომელიც დახვრიტეს 1938 წელს. კონსტანტინეს იმდენად უყვარდა იგი, რომ 1940 წელს მოსკოვში ყოფნისას ლავრენტი ბერიას სთხოვა მოხუცის განთავისუფლება, მაგრამ უკვე გვიან იყო.

სავარსამიძის დარად, თავისთავს "გაელინებულ ლაზს" ემახდა. ასეთი წარწერით უჩუქნია წიგნი პეტრე ქავთარაძისათვის.

რომანის პირველ გამოცემას უძლოდა ეპიგრაფი:

"მეფე: "თუ არის ვინმე, ნაგასენა, ამ ქვეყანაზე, ვინც სიკვდილის შემდეგ განპიროვნდება?"

ნაგასენა: "მხოლოდ ცოდვილი განპიროვნდება სიკვდილის შემდეგ, ჰომ მეფეო, და უცოდველი კი არასოდეს".

დიდი მიცვალების სუტრა".

რომანს ინტელიგენცია მოწონებით შეხვდა. ოფიცოზმა მწარე კრიტიკით უპასუხა ("მნათობი", 1925, №5-6), ხოლო მასებში იგი პოპულარული არასოდეს არ ყოფილა.

"დიონისოს ღიმილი" იყო სრულიად ახალი სიტყვა ქართულ პროზაში და შეესაბამებოდა მწერლის მოდერნისტულ კონცეფციას, ნაციონალურ განწყობილებას,

რომელშიც თავს იყრიდა რეალისტური და სიმბოლისტური, იმპრესიონისტული და ექსპრესიონისტული ნაკადები.

საერთოდ, ყველა დროის ხელოვნებაში მთავარია რეალიზმი, ოღონდ გააჩნია როგორია იგი – იმპრესიონისტული თუ სიმბოლისტური, ექსპრესიონისტული თუ დადასტურებული.

1925 წლის 25 სექტემბერს მწერალი ჭიათურაში სწერს ბარათს რებეკა ვაშაძეს, აცნობს თავის მძიმე განწყობილებას, დეპრესიულ განცდებს.

თითქოს სიცოცხლემ აზრი დაკარგა:

"მთელი ჩემი იდეალები დაინგრა. კერძო ცხოვრება და სიხარული მე აღარ შემრჩა. სრულიად უვარგისი გავხდი ამ ცხოვრებისათვის";

"უნივერსიტეტში არ მიშვებენ, საზღვარგარეთ წასვლის ნებას არ მამლევენ, არც ჟურნალისა და გაზეთის გამოცემის ნებას მამლევენ, პირზე ბოქლომი მამევს, ხელ-ფეხი შეკრული მაქვს. მარტო ვარ მილეთის მტრების წინააღმდეგ... ათასწილად მირჩენია ციხეში ვყავდეთ. მინდა გადავვარდე სადმე მოუსავლეთში, მაგრამ ვაჲ რომ დავიღალე ამდენი ყიალით და გული აღარ მერჩის";

"ახლა ისე გამოფიტული ვარ, რომ არ მიჭირდეს კიდევ 6 თვე მომინდებოდა უქმად ყოფნა. ძილი აღარა მაქვს, თვალები მტკივა, ნერვები აღარ მივარგა";

"ამ წიგნის შემდეგ თუ მოვკვდები, აღარ მენაღვლებათ", შენიშნავს სავარსამიძესავით გულმოკლული მწერალი (გაზ. "გრაალი", 1996, №7).

მებრძოლი პესიმიზმი

ანტისაბჭოურ პოზიციას მაინც არ თმობდა.

ზოგჯერ გამომწვევადაც იქცეოდა: ჩოხა-ახალუხს ჩაიცმევდა, ცხენზე შეჯდებოდა და ჭენებით აივლჩაივლიდა იმ ქუჩას, რომელზეც ცეკას დაედო ბინა.

სერგო ორჯონიკიძეს ეცინებოდა, ძალიან გინდა, რომ დაგიჭიროთ, მაგრამ არ დაგიჭერთო.

1925 წლის 27 აპრილს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიმართა დისპუტი – "რევოლუცია და ლიტერატურა".

მოხსენებით რუსულად გამოვიდა ილია ვარდინი-მგელაძე (დახვრიტეს როგორც ტროცკისტი 1937 წელს). მან კონსტანტინეს უწოდა შუა საუკუნეების იდეოლოგი, პოლიტიკოსი, რომელიც პოლიტიკური მეთოდებით არ იბრძვის.

კონსტანტინემ ქართულად ილაპარაკა.

მან თქვა, რომ რასკოლნიკოვი და ლენინი ერთი დედის საშოდან მოდიან, რომ ქართველ კომუნისტებს იმის მეთადიც არ გაუკეთებიათ, რაც რუსებმა შეძლეს რუსეთისთვისო.

თავისი ნაციონალიზმი განსაზღვრა როგორც "ქართული კულტურის ჰეგემონია საქართველოში" ("Варя Востока", 1925, №№871, 877).

მაგრამ ქართული კულტურის ჰეგემონიას, ქართული ენის პრიმატს არ სცნობდნენ ბოლშევიკები. მათ სულ თანასწორობა ეკერათ პირზე. ისინი მოსკოვის თვალებით უყურებდნენ და მოსკოვის ტვინით მართავდნენ თავიანთ ქვეყანას. თუ ოდნავ განსხვავებული აზრი გაუელვებდათ გონებაში, მყისვე დაკარგავდნენ პოსტებსა და თავებსაც.

წითელი სამი არ სცნობდა ოპოზიციურ თვალსაზრისს.

მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმა თუ თავდაპირველად მაინც ხერხდებოდა, 1924 წლის აგვისტოს შემდეგ საბოლოოდ აიკრძალა. რისკის ფასად შესაძლებელი იყო ირიბი თქმა, სიმბოლოსა და ალეგორიის სამოსელში სიტყვის გახვევა. ამას გრძნობდა ოფიცირი და მკაცრად სდევნიდა მოდერნისტულ სტილს, რასაც კონსტანტინე დაუღალავად ქადაგებდა.

ბოლშევიკები მოითხოვდნენ ნათელ, სადა, მარტივ მეტყველებასა და აზრებს, რისი კონტრო-ლიც შეეძლოთ, თავიანთი იდეების მასისათვის გასაგები ენით გადმოცემას, საბჭოეთის პანეგირიკს, ნაციონალური გრძნობების დათრგუნვას.

ახალი რეპრესიების შემდეგ ყველა გზა დაიხშო, რამაც სასო წარუკვეთა მწერალს.

ასეთი პესიმისტური განწყობილებით იწერებოდა "დიონისოს ღიმილი".

უიტმენი – მომავლის პოეტი

"დიონისოს ღიმილის" პარალელურად თარგმნიდა დიდი ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის ლექსებსა და პოემებს.

უიტმენი – თავისუფალი ლექსის ოსტატი, განსაკუთრებული გრძნობით უყვარდათ ექსპრესიონისტებს.

1925 წლის 21 სექტემბერს ჭიათურაში მისწერა რეზეკა ვაშაძეს, წლეულს სახელგამმა უოლტ უიტმენის წიგნი შემიკვეთა, ათასი მანეთი მერგებოდა, მაგრამ იქ ერთი სომეხი – ვირაპიანცი დააყენეს, რუსულად არ დაველაპარაკე და ამიტომ რვა თვის შრომა წყალში ჩამეყარაო.

წიგნის გამოცემა გაჭიანურდა და იგი მკითხველმა მიიღო მაშინ, როცა კონსტანტინე ციხეში იჯდა.

წიგნს უძღვის ესსე, რომელიც აპრილში დაუწერია – "ვოლტ უიტმანი – მომავლის პოეტი".

ალბათ უიტმენის პოეზია ყველაზე უკეთესია კონსტანტინეს თარგმანთა შორის და დღესაც ინარჩუნებს მომხიბვლელობას, როგორც ქართული თავისუფალი ლექსის ჩინებული ნიმუში.

11. კონსტანტინე სავარსამიძის სევდა

ტაია შელია!

ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე შემომალამდა!..

კონსტანტინე სავარსამიძე, "დიონისოს ღიმილი"

როგორც მწერალი მიუთითებს "დიონისოს ღიმილის" ერთ-ერთ ანოტაციაში, მას უნდოდა სამ კულტურულ ცენტრში (პარიზი, რომი, ბერლინი) გაეშალა

მოქმედება. ასე დაეკავშირებინა ევროპა საქართველოსთან, ქართველის თვალთ დაენახა თანამედროვე დასავლეთი.

ამ მხრივ უეჭველად იქონიებდა ზეგავლენას ცოცხალი შთაბეჭდილებანი:

პარიზისათვის – სორბონაში სწავლა და ახალი ინფორმაციის გადმოცემა ესეში – "ახალი ევროპა", რომისათვის – ესე "რომში" (გარდასახვა – თარამ ემხვარის დღიურები), რომლის მიხედვით მწერალმა დაათვალიერა არა მხოლოდ წარმართული და ქრისტიანული რომი, არამედ – ალბანოსაც ეწვია, ისევე როგორც კონსტანტინე სავარსამიძე;

ხოლო ბერლინისათვის შერჩეულია რევოლუციის ხანა, როცა თავად ცხოვრობდა დამარცხებული კაიზერული გერმანიის დედაქალაქში (გავიხსენოთ ესე – "ახალი გერმანია და ევროპის მომავალი").

გოეთეს ქვეყანაზე ადრევე ჰქონდა გამოქვეყნებული ნარკვევები – "მგზავრის შთაბეჭდილებანი. წერილები გერმანიიდან" და "ჩემი ტყვეობა" ("ალპის ყვავილები"), აგრეთვე – ურბანისტული ლექსები.

ასე რომ, გარდა თეორიული სისტემისა, რომელშიც გაერთიანდა ეროვნულ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი, აღმოცენებული სამშობლოს ტრაგიკულ ბედზე ფიქრით, ევროპული ინტელექტუალური თვალთახედვით, მას უკვე ჰქონდა ბელეტრისტული ცდანი, დაკვირვებანი, ფრაგმენტული მონახაზები რომანისათვის.

"დიონისოს ღიმილში" მოქმედება იწყება 1917 წლის შემოდგომაზე და მთავრდება 1919 წლის ოქტომბერში. თითქოს მწერალი არ ეხება ბოლშევიკურ პერიოდს. მაგრამ წიგნში ნათქვამია, ბოლშევიკებმა მამული ხომ არ ჩამოგვართვესო, რომ მოწყვეტილი რკოც იქ უნდა დაეცეს, სადაც ბებერი მუხა წაიქცაო.

კონსტანტინე გამსახურდიამ მოქმედება წარსულში გადაიტანა, ისევე როგორც შალვა დადიანმა ("უბედური რუსი"), ვასილ ბარნოვმა ("არმაზის მსხვრევა"), დემნა შენგელაიამ ("სანავარდო. დიდი უსმური"), გრიგოლ რობაქიძემ ("გველის პერანგი"). თავად დღევანდელი საქართველო იდუმალების ნისლითაა მოცული. ვიცით მხოლოდ, რომ იგი უცხოობს თავის შვილს, რომელსაც შვიდი ენა შეუსწავლია და სამშობლოს სიყვარულით დატანჯულა. მაგრამ ბოლშევიზმისადმი კეთილად განწყობილი არც შვილები არიან – ყინულეთიდან წამოსული გრიგალის მოძულენი.

ოციან წლებში კ. გამსახურდია ქადაგებს აქტივიზმს, განადიდებს ძალასა და ენერგიას, რკინის ნერვებს, გმობს რბილკანიან, აბულით შეპყრობილ თაობას, მელანქოლიასა და დეკადანსს, ნერგავს რწმენასა და იმედს, რათა ჰეროიკული სული დაეუფლოს მასებს. მაგრამ კონსტანტინე სავარსამიძე მელანქოლიკია, მეოცნებე და ნერვებმოშლილი, ცხოვრებისაგან განზე გამდგარი, დიონისოს ნიღბებს შეფარებული. ეტყობა, დაულალავი მტკიცება, გოეთესა და ნიცშეს, მისტიციზმისა და ექსპრესიონიზმის იდეების ქადაგება, ოცნება ძლიერ პიროვნებაზე იყო შინაგანი ეჭვისა და დეპრესიული განწყობილების დათრგუნვის ცდა, რათა ეთქვა სასურველი და არა მხოლოდ რეალური. მაგრამ "დიონისოს ღიმილში" წუხილმა და უიმედობის განცდამ თავი ვერ დაიმალა და გამოავლინა აზროვნების ახალი თვისებანი – პესიმიზმი, დეკადენტური ბოჰემა, სიკვდილის ესთეტიკამდე რომ მიდიოდა, რასაც განადიდებდნენ სიმბოლისტები. ეს იყო 1921 წლის კატასტროფისა და 1924 წლის ტერორის შედეგი, რამაც მომავლის გზები წყვილიადით დაბურა.

"დიონისოს ღიმილი" გვაცნობს დამარცხებულ გერმანიას, ქაოსურ ატმოსფეროს. მთელს წიგნს ფარულ ექოდ გასდევს კატასტროფის მოტივი, რაც გადადის აპოკალიპსის სიმბოლიკაში. აქეთკენ უბიძგებს როგორც გერმანიის სინამდვილე, ისე სამშობლოს ბედი. არადა სავარსამიძისათვის, როგორც თვითონვე გვეუბნება, გერმანია ხომ მეორე სამშობლოა, ე. ი. მისი იდეალები აქაც გამტყუნდა. ხოლო კომპიენის ტყე იგივეა, რაც სტენდალის სულიენისა და ფაბრიციოსათვის ვატერლოო, რადგან საქართველომ 1918 წლის 26 მაისს სწორედ გერმანიის მეშვეობით მიაღწია დამოუკიდებლობას.

ლათინურ-გერმანული სულის ერთობა მსდავნდება რომანის სტილსა და სტრუქტურაში, რაც გამოიხატა ექსპრესიონიზმითა და იმპრესიონიზმით, სიმბოლისტური ესთეტიკით, მისტიკური ჭკრეტიით. მათ დაერთო ფრ. ნიცშეს მოდელი დიონისოსა და ქრისტეზე, ამბივა-ლენტური მიმართება მაცხოვრისადმი, ანტიკური სამყაროს კულტი, შპენგლერისეული ევროპული კულტურის მწუხრის გააზრება. სავარსამიძე პარიზიდან ჯენეტს ბერლინში კი არ წაიყვანს, არამედ – რომში, ქრისტიანობისა და წარმართობის უდიდეს მუზეუმში. ნახავს ვენეციას, იარაღით ხელში იცავს ალმა-მატერს – ბერლინის უნივერსიტეტს.

ყველგან ერთმანეთს თანხვდება ლათინიზმი და გერმანიზმი, რადგან მწერლის ოცნებაა, ევროპის ფაუსტურ სულს მოუძებნოს შინაგანი საყრდენი, როგორც დაკარგული თაობის იმედი და ციტადელი, და ასე დაძლიოს, ერთი მხრივ – უმითოდ ყოფნის კოშმარი (ე. ი. გაუცხოება, ჭარბი ტექნიციზმი), მეორე მხრივ – შპენგლერის რუსულ-აზიური სამყაროსაკენ მიპყრობილი მზერა. ამიტომ არის მინიშნებული

მონდოლური (ე. ი. რუსული) საფრთხე, როგორც აზიის ხელახალი შემოტევა, აპოკალიპსური წარღვნის მომტანი.

ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ უვლიან სლანსკის კომპს ტყეში ჩრდილოეთიდან ჰერბერტი (გერმანია) და სამხრეთიდან – ხალილ-ბეე და სავარსამიძე (კავკასია). ყურადღება უნდა მიექცეს ფრანგულად დაწერილ პრელუდიასაც, თუმცა იგი თეთრფრთიანი ცეპელინის ქებაა და არა ეიფელის კომპისა. ხოლო ამ ერთობის მიღმა, სულისა და ისტორიის სიღრმეში იდგა, როგორც პირველსაწყისი ძალა, ძველი საბერძნეთი, რომელსაც ესაზღვრებოდნენ კოლხური ტომები. მათ აერთიანებდათ ზიარი მითები, მსგავსი ღვთაებანი, ანიმისტური წარმოდგენები, ახალშენები. ხოლო უშორეს დროში ბერძნებს წინ უსწრებდნენ პელაზგები – პროტოქართველური ტომები.

პრელუდიაში ძვეს ნაციონალური სიმბოლიკაც. პირველი ქება დაიწერა წმ. კონსტანტინეს მიცვალების დღეს, რომელიც სავარსამიძის ფიქრთაგან განუყრელია. არგვეთის მთავრები – დავით და კონსტანტინე მხეიძეები არაბებმა აწამეს მეორედ შემოსევის დროს. ასევე მეორედ შემოესია რუსეთი 1921 წელს საქართველოს. დავითისა და კონსტანტინეს ძვლები კომკავშირელებმა ამოყარეს 1923 წელს. ამიტომ ჰგონია სავარსამიძეს, რომ მოელის მისი სეხნიასებრ "გმირული აღსასრული" (არსებობდა რეალური პიროვნებაც – დავით მხეიძე – 1924 წლის აჯანყების მონაწილე).

"დიონისოს ღიმილი" არის თვითრექვიემი, საკუთარი თავის გამოტირება. ამას ნათლად გვიჩვენებს პირველივე ქების პირველი თავი: ლუქსემბურგის პარკში მწვანე სკამზე ზის ფეხებმოჭრილი, სახედამახინჯებული ინვალიდი, რომელსაც ჩიტების გუნდი ასევია, როგორც წმინდანს. მას თავისი ხალხისათვის თავი გაუწირავს, მაგრამ მის სიახლოვეს ყველა ერიდება, არავის ახსოვს იგი. სავარსამიძეს უხარია, რომ თავად მას მსხვერპლი არ გაუღია, ისევე ჯანსაღია და ძლიერი. კონტრასტულად ხვდებიან ერთმანეთს ხეიბარი და ზეკაცი. მაგრამ შემდეგ ვხვდებით, რომ კონსტანტინეც მამულისადმია შეწირული, ისიც მარტოხელაა და ყველა გაურბის. ინვალიდისაგან განსხვავებით, სულის მხნეობა დაჰკარგვია და მელანქოლიით სიცოცხლე მოსწამლვია.

ამიტომ ეტრფის უძველესი ფეოდალური გვარისშვილი თრობისა და შვების მრისხანე ღმერთს – დიონისოს, რათა დაივიწყოს გაუხარელი სინამდვილე, ხოლო მწუხარე გზაზე, როგორც ბაკხანტები და მენადები, მიაცილებენ მიჯნური ქალები (ჯენეტი, მისის ბლუტი, ერიკა, თინა, ლუჩია, ანრიეტე ფონ შაი, ინგებორი). მას ორი

უდიდესი ვნება ჰქონდა სიჭაბუკიდან – "ვნება პოლიტიკისა და ქალისადმი". მაგრამ დრომ პოლიტიკას ჩამოაცილა და დარჩა მხოლოდ ქალები. დედას ვერ გაუგია, თუ რატომ ვერ გახდა კონსტანტინე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. დროდადრო მაინც თავს ანებებს მოგონებებსა და მირასებს და სულის რისხვა სტრიქონებს ამოჰყვება:

"შეგვირყვნეს ენა – ჩვენი მამა-პაპის წმინდათა წმინდა, დაგვიგრეს ოჯახი, გაგვიბახეს შჯული და თავიანთი ჯარების საჯირითოდ გაგვიხადეს ჩვენი ქვეყანა. გვიშველეთ ძმებო, და გავრეკოთ მტრები ჩვენი საქართველოს საზღვრებიდან, ავაფეთქოთ ხიდები, ყაჩაღებივით დავუხვდეთ თემშარაზე, ცეცხლში გავხვიოთ მთელი საქართველო, რადგან ჩვენი საქართველო ან ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, ან და არავის".

არც ამ მოწოდებას ეწერა ახდენა. და შეგნება იმისა, რომ ყოველი გაბრძოლება განწირულია დასამარცხებლად, აძლიერებს სევდასა და დეპრესიას, სამეგრელოს ბნელი ჭაობებიდან წამოყოლილ მელანქოლიას.

"უდროობის გმირი" სავარსამიძე იმეორებს კ. გამსახურდიას ბიოგრაფიულ დეტალებს (ბავშვობის წლები, მოგზაურობა პარიზში, რომსა და ბერლინში, ბერლინის უნივერსიტეტში სწავლა, "საქართველოს განთავისუფლების კომიტეტში" მუშაობა, გერმანიაში ყოფნა რევოლუციის დროს...), სახელს, წარმომავლობას, გარეგნობას, ფსიქიკასა და ტემპერამენტს (მელანქოლია, ჰამლეტიზმი, ნევრასტენია...), პროფესიას (პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი), პოლიტიკურ და ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა სისტემას. ზოგჯერ მწერალს ესეებიდან ცალკეული ფრაზებიც გადმოაქვს, მაგრამ ეს ყოველივე უნდა მიუსადაგოს ელინურ სილამაზეს და დიონისოს კულტს, რათა ჰპოვოს სულის მყარი საყრდენი, ნაციონალური ორიენტირი, უაღლდისებრი ესთეტიური სხივით გარემოსილი.

ტაია შელია მწერლის ავტობიოგრაფიიდან არის გამოსული: მას ბავშვობაში ჰყოლია ერთი მეზობელი, სახელად ტაია, რომლის ცოდნა, ხალხური სიბრძნე ევროპელი ესეისტის ნაწერს დაამშვენებდა. ამ გლეხს სცოდნია საოცარი ანდაზები, არაკები, თქმულებანი. შეკითხვაზე, თუ სად მიდიხარო, ყოველთვის ერთნაირად პასუხობდა – "დაბაში ჩასვლას ვაპირობო", რაც მწერალს გაგებულ აქვს როგორც ცხოვრების გზის ძიება, სიცოცხლის საზრისის პოვნა, რაც ასე აწვალებს კონსტანტინე სავარსამიძეს.

ხოლო მესამე პერსონასი – ჯენეტი საქართველოს ალეგორიული სახეა. იგი მუდამ ქრისტესა და წმ. გიორგის ეტრფოდა, უცხოს გაურბოდა, მაგრამ მაინც სჯულითა და სისხლით მტერს – სპარსელს მითხოვდა. სპარსელი ამ ასპექტში ისევე არის რუსის ალეგორია, როგორც ბიზანტიელი "დიდოსტატის მარჯვენაში".

როგორც ვხედავთ, სამივე პერსონასი წმ. გიორგის ერთგულია, რომლის ირგვლივ იკვრება წარმართული და ქრისტიანული წარმოდგენები. მაგრამ კონსტანტინე მასში დიონისოს ხედავს, ტაია – უძველეს კოლხურ ადათ-წესებს და რწმენას, ჯენეტი – იესო ქრისტეს. ამიტომ ულმოხელი სამი მათი გამთიშველია და არა ერთი მიზნისაკენ წარმმართველი. ნაციონალისტი სავარსამიძე ცდილობს ჯენეტის დაბრუნებას სამშობლოში, ეროვნულ საწყისთან. გაჰყრის სპარსელ ქმარს, მაგრამ დაღუპავს ქართულ-სპარსული სისხლის შეერთების ნაყოფს – ფარვიზს (რაც მის წარმოდგენაში დიონისოსთან არის ასოცირებული) და ამიტომაც ქალს შესძულდება "გაელინებული წარმართი ლაზი".

სავარსამიძისათვის ხომ განუზომლად მნიშვნელოვანია სისხლის მისტერია – გობინოს იდეაფიქსი. ამიტომ ფიქრობს ესოდენ ბევრს თავისი "ზნელი სისხლისათვის", წერს წიგნს – "სისხლისათვის", რადგან მისთვის სისხლი იგივეა, რაც ანიმისტურ წარმოდგენებსა და ბიბლიაში "სული", თანამედროვე ცნებით – "გენი", მისტიკური რწმენით – ბედისწერა, რაც დაუკავშირდა პოლიტიკას. მაგრამ არც ჯენეტისა და კონსტანტინეს სიყვარულია მხოლოდ ხორციელი ტრფიალება. მათ გულში ხომ ტრფობის ალი გააღვივა ნოტრდამში ხილულმა აპოკალიპსურმა სურათებმა. საწყისი უნდა ყოფილიყო დაკარგული სამშობლოს მონატრება, მშობლიური მიწის და სიტყვის იდუმალი ძახილი.

წიგნში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ლაიტმოტივურად დახატული პერსონასი – "ბებერი სატირი" ტაია შელია და "მალისპირიანი" სლანსკი.

ტაია – სავარსამიძის მორდუ – მთვარის მოქცევის მესაიდუმლეა, წარმართი და ქურუმი, ვინც პირველმა უთხრა ყრმა კონსტანტინეს, რომ წმ. გიორგი უფრო ძლიერია, ვიდრე ქრისტე, ვინც მის თვალწინ "ახია ბუნების შვიდბეჭდიანი წიგნის პირველი ფურცელი". ხოლო სლანსკი ემიგრანტი ოფიცერია – ცარისტული რუსეთის სიმბოლო, რომელმაც ზმანებაში ხელიდან ააცალა ჯენეტის მიერ ნაჩუქარი სმარაგდის ბეჭედი – სიყვარულისა და ერთგულების ფარეში.

გულთმისანი ტაიას გახსენებას ყოველთვის ახლავს მაგიური ხიბლი, ხოლო "დათვი პირსისხლიანი", "არყისგან ყელგამოთუთქული ლოთი" სიძულვილის მომგვრელია.

ამიტომ იქცევა იგი ჯოჯოხეთურ ხილვაში, ქვესკნელში ჩასვლისას, ყვითელუკოლეტებიან მონღოლად, თამარის ალმასის ქურდად, რომელსაც "დამპალი კომბოსტოს სუნი" ასდის და ჩრდილოეთის ტახტზე ზის. სავარსამიძემ სწორედ ტაიას ჯადოსნური შელოცვით დაამარცხა სლანსკი, ყელი გამოჭრა და მისი სისხლი დალია. ასე რომ, ცხადში ნაოცნებარს ზმანებაში აღასრულებს. აყვავებულ და ძლიერ საქართველოსაც მხოლოდ სიზმარში ხედავს.

ამბივალენტურია კონსტანტინე სავარსამიძის ქრისტესადმი მიმართება. მართალია, მისი სულის იდეალია და მისი ცხოვრების გზას წარმართავს წმ. კონსტანტინე, წმინდა გიორგივით უშიშარი რაინდი, თავადაც არაერთხელ გვევლინება როგორც ჯვარცმული, მაგრამ საქართველოს უბედურების მთავარ მიზეზად მაინც ქრისტეს ჯვარი მიაჩნია, რადგან ნაზარეველის სახე-ლით დაიმორჩილა რუსეთმა საქართველო, ხოლო ევროპამ დაივიწყა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ქვესკნელშიც მაცხოვრის ლანდს დაეტაკა და წააქცია, რადგან მაცხოვარმა არ მოუწონა სლანსკისთან სააქაოში დაწყებული ანგარიშსწორების საიქიოში გადატანა.

სავარსამიძე ხშირად ახსენებს ქრისტიან მარტვილებს, დადის ტაძრებში, ლოცვებსა და წირვებს ესწრება. მის მელანქოლიურ ხასიათს ძალუმად არყევს ქრისტიანული სათნოება. მაგრამ სწორედ სან ფრანჩესკოს ტაძარში მთელი ღამე ლიტანიობით მუხლდაცვეთილი უკან დაბრუნებისას ასიზის გზაზე ჯვარცმას დალეწავს!

ასე ცვლის უნაპირო სიყვარულს უნაპირო სიძულვილი. ქრისტე მას უყვარს ფარულად, გულის სიღრმეში, როგორც ფრ. ნიცშეს, ხოლო ცნობიერად სძულს, რადგან დიონისური თრობით შთაგონებულს თავი უფლის მეტოქედ მიაჩნია, ახალ ქრისტედ გამოცხადებას ელტვის. ჯვარცმული კი ყოველთვის წინ ეგებება და სიმშვიდისაკენ მოუხმობს. სამაგიეროდ იგი დიონისოს მიმდევარია. ეძებს და ათვალიერებს საყვარელი ღმერთის კოლექციებს, თავდავიწყებით ეწაფება სექსსა და ალკოჰოლს, რათა დაივიწყოს მწარე სინამდვილე. მაგრამ თავაწყვეტილი ცხოვრება უარესად უსუსტებს ნერვებს, უმძაფრებს ნევროზს და დეპრესიას, რასაც მცირე ხნით თავს აღწევს ინდოელი აბსენ ტუნგის შეგონებით (იგივე ფსიქოთერაპია). დიონისო ნიღბებითაც ევლინება ლაზისტანის ძველ აზნაურს. მაგრამ ღიმილისა და სიხარულის სანაცვლოდ ყოველთვის მწუხარება მოაქვს, რადგან იგი მხოლოდ მირასია და არა რეალობა.

ქრისტიანული ღმერთის უარყოფა, ღმერთმბრძოლობა უკავშირდება ქრისტიანი მამის ხატსაც, რადგან უძველეს დროში მამის სახე იქცა ღმერთად, თავისი ყოვლისშემძლეობით, მისადმი შიშითა და სიყვარულით (ა. ბელის აზრით, ყველა ხელოვანი ღმერთმებრძოლია). ამბივალენტურია მამისადმი მიმართებაც. სავარსამიძეს ცნობიერად სძულს მამა და მოსაკლავადაც იწევს. იგი ანდერძის გამტეხი შვილია (ვენახი აჩეხა, მამისეული სახლი დაანგრია, მიწები გაჰყიდა, ხოლო ფული გაფლანგა). რადგან სიკვდილის სარეცელზე მწოლმა მამამ დაწყველა, უნაყოფობა დაანათლა და ეს წყველა, ქრისტიანი მამის პირით ნათქვამი, აუხდა სავარსამიძეს. რადგან მან ტაია შელიას უკუღმართი გზები (წარმართობა, შემდეგ დიონისოს კულტად გააზრებული) არჩია მამის კვალზე სიარულს (ქრისტიანობას). მხოლოდ საიქიოში გალხვა მტრობა გულისმომკვლელი აღსარებით. მაგრამ მამამ მაინც ვერ დალოცა ანდერძის გამტეხი შვილი და გაუჩინარდა.

სავარსამიძეს სწყურია კომმარული სინამდვილის გადალახვა, ეროვნული და პიროვნული არარაობის დაძლევა: ის რაც ვერ შეძლო ქართველმა ერმა, თავად ერთმა, როგორც ზეკაცმა განახორციელოს, მაგრამ ქრისტიანი და ქრისტეს ერთგული ვერ იქნება, რადგან, როგორც ითქვა, მაცხოვრის სახელით დაიპყრო რუსეთმა ქართლ-კახეთი 1801 წელს, ხოლო 1921 წელს იუდაიზმისა და ქრისტიანობის წიაღში წარმოშობილმა ბოლშევიზმმა წალეკა საქართველო.

გარდა ამისა, ქრისტიანობამ გაანადგურა მშობლიური, ელინური სამყაროს თანაზიარი ღმერთები. ხოლო ანტიკურობის უარყოფით, როგორც თვლიდა ფრ. ნიცშე, თანდათან მივიდა ევროპული სულის კრიზისამდე (ბურსუაზია და სოციალიზმი). ამის გამო სდერს ახალი ექსპრესიონისტული პაროლი – უკუქცევა ბუნებისა და ბუნებრივი გრძნობებისაკენ, ძველბერძნული ესთეტიზმის აღდგენა.

ამდენად არის უარყოფილი სავარსამიძის მიერ "უდაბნოს ღმერთი", რადგან კომუნისტების გმობის ნებას ავტორს არ მისცემდნენ. აქაც მოხმობილია სიმბოლო და ალეგორია, რაც მომავალში მწერლის ხელში ჯადოსნურ კვერთხად იქცა. ხოლო ერთ-ერთი მთავარი მოტივია იაკობის უფალთან შერკინება, როგორც ქართველი ხალხის ბედის სიმბოლური გააზრება, ბრძოლა განგების უწყალო ნებასთან.

ამიტომ აირჩია კონსტანტინე სავარსამიძემ დიონისური სულიერი მარტვილობა, რაც შეიძლება ისევე პარადოქსული იყოს, როგორც მწერლის მეტაფორები – "ნაზარეველი ოლიმპზე" ან "ჯვარცმული დიონისო", ნიცშესადმი თქმული, ასე რომ ესადაგება კონსტანტინე სავარსამიძის სევდასა და კაემანს, დამარცხებულ სამშობლოზე ფიქრითა და ოცნებით აღძრულს.

12. სოლოგვის არქიპელაგზე

რანაირი ნაწამები მივალ,

მიმაქვს ჩემი დაკრეფილი ხელები.

ტერენტი გრანელი

დიდ შემოქმედებას დიდი დრო სჭირდება, თავისუფალი სამი, ფიქრი, განსჯა და ოცნება. პოეტი ერთბაშად სწერს ლექსს, სულერთია სად იქნება – მატარებელში, ციხეში თუ თავის კაბინეტში, საწერ მაგიდასთან. მაგრამ პროზაიკოსი, მითუმეტეს რომანისტი, ასე ვერ მოიქცევა. რომანის დასაწერად აუცილებელია გამოცდილება, ცოდნა, ფიზიკური გამძლეობა და პირობები, ერთი სიტყვით, უნარიც და ბიოგრაფიაც.

სატანური ხელისუფლება

კონსტანტინეს სასტიკ ეპოქაში ერგო ცხოვრება. ოპოზიცია არცერთ ხელისუფლებას გულზე არ ეხატება, მაგრამ ბოლშევიკები პიროვნებას სჯიდნენ არა მხოლოდ მოქმედების, არამედ – ფიქრის გამოც.

ძველ საბერძნეთში ყველაფრის დაწერა შეიძლებოდა, თქმა – არა.

საბჭოთა კავშირი თქმასაც კრძალავდა და დაწერასაც, თუ ზედმიწევნით მისი აზრის გამომხატველი არ იყო.

ბოლშევიკებმა დაშალეს და რუსეთს შეუერთეს საქართველო, უარყვეს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საზოგადოება, დაამყარეს დიქტატურა და აკრძალეს თავისუფალი აზროვნება.

ამიტომ ახალ სიტუაციას კონსტანტინე ვერ ეგუებოდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ კარგი არაფერი დაენახა. იგი მიესალმებოდა ხალხთა მეგობრობას, აღმშენებლობას, კულტურის განვითარებას, ჰუმანურ იდეალებს.

ხელისუფლებასთან კონფლიქტში მიიკვლევდა გზას – ხან აკრიტიკებდა, ხანაც – აქებდა. ბოლშევიკებიც ასევე ექცეოდნენ – ცნობდნენ მის დიდ ნიჭსა და განათლებას, მაგრამ ყოველნაირად ცდილობდნენ აღეზარდათ და თავიანთი საქმე ეკეთებინათ.

არავინ იცოდა ეს თამაში როგორ დასრულდებოდა. ყველას თვალწინ ედგა ბოლშევიკური კანიზა-ლიზმის მაგალითები. ისინი არ ინდობდნენ უახლოეს ადამიანებს, ლიდერებს, ჩეკას კო-მისრებს. მსოფლიო ხედავდა – როგორ ეცემოდნენ რევოლუციის მრისხანე ბელადები და მწერალი ან მეცნიერი ვის დაჰკარგვოდა!

აკაკი გაწერელია იგონებდა – 1937 წელს კონსტანტინე სახლში დამეს არ ათევდა, რადგან ჩეკამ დამე იცოდა ხალხის აყვანაო. ხან მე, ხან სხვა ვინმეს სთხოვდა და მთელი დამე ძაღლთან ერთად ტყეში დაეხეტებოდაო.

ნათელა გამსახურდიას უთქვამს – ერთხელ, ნაშუაღამევს მოვიდა მამაჩემი. კარი რომ გავაღე, შევშინდი, ისე იყო გაფითრებულიო...

მოსკოვი, როგორც ნაციონალისტს, უნდობლად უყურებდა. საკავშირო არენაზე არ უშვებდნენ, რათა ზედმეტი რეკლამა არ გამოსვლოდათ.

სუკი (ჩეკა, გეპუ, შინსახკომი)

ხელისუფლებას ჰქონდა მწერლობაზე ზემოქმედების ძლიერი მექანიზმი, რომელიც ძირითადად ხორციელდებოდა სუკისა და მთავლიტის მეშვეობით, პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტებით, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებით.

სუკი, რომელიც შეიქმნა არარუსთა ტვინით და ხელით, მეფის რუსეთის სპეცსამსახურის ტრადიციებზე დაყრდნობით, იყო კომპარტიის დამსჯელი მახვილი, გენერალური მდივნის ნების აღმსრულებელი.

მწერალთა კავშირი, გამომცემლობები, პრესა, სტამბები, რადიო (შემდეგში – ტელევიზია) სუკის კონტროლქვეშ იყო მოქცეული, როგორც ოფიციალური, ისე საიდუმლო (აგენტურული) ხაზით.

იგი იყო ყველგან და არსად ჩანდა.

მნიშვნელოვან პოსტებს ცეკას ბიურო ამტკიცებდა სუკის დასტურითა და სუკის მიერ გაცხრილული და აღზრდილი კადრებით. აგენტურა მოქმედებდა ყველა დაწესებულებაში. თანამდებობის პირი ასრულებდა ცეკასა და სუკის დავალება-მითითებებს, მაგრამ თავადაც კონტროლდებოდა როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან.

შეუსრულებლობას ან ოფიციალური ეტიკეტის დარღვევას ომამდე მკაცრი სასჯელი მოსდევდა (გადასახლება, დახვრეტა), შემდეგ – თანამდებობიდან გადაყენება, საზოგადოებრივი შეზღუდვა, ეკონომიკური სანქციები და დისკრედიტაცია.

ხელისუფლებისათვის მიუღებელი ავტორის წიგნი არ გამოიცემოდა. წიგნის გარეშე მწერალთა კავშირის წევრი ვერავინ გახდებოდა. არაწევრი ბინას ვერ ეღირსებოდა, ვერც ნორმალურ სამსახურსა და პრესის ფურცლებს, უცხოეთში ვერ წავიდოდა (როცა რკინის ფარდა გადაიწია). ჯილდოებსა და სხვა პრივილეგიებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

იგი ყველასათვის და ყველგან ზედმეტი პირი იყო და იძულებული ხდებოდა ლიტერატურას ჩამოსცილებოდა ან პოზიცია შეეცვალა და ხელისუფლების ნებას დაჰყოლოდა, არადა უპატრონო ტალანტს თავად გამგელებული კოლეგები მოუღებდნენ ბოლოს.

ჩვენს ისტორიას ახსოვს ზოგიერთი გამონაკლისიც, ისევ სუკის დასტურით, სათანადო დამსახურების ფასად, როცა პროპაგანდისტული მიზნით აწინაურებდნენ უპარტიო ხელოვანს თუ მეცნიერს.

წიგნის ბოლო ჯებირი იყო მთავლიტი (ცენზურა), რომელიც საბოლოო წერტილს უსვამდა ფილტრაციის ხანგრძლივ პროცესს. მაგრამ აქაც ორმაგი კრიტერიუმი მოქმედებდა – ხელისუფლების ერთგულ პირებს მეტ ნდობას უცხადებდნენ, ახალბედა ან საექვო ავტორებს გულმოდგინედ სწავლობდნენ.

ხელისუფლების პრეროგატივა იყო – რეკლამა, პროპაგანდა, წახალისება, დაჯილდოება, მატერიალური უზრუნველყოფა.

ცეკაზე მეტად მოსკოვი ენდობოდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობასა და სუკს. ასე რომ, ცეკა თავად კონტროლდებოდა და მათგან დამოუკიდებლად ვერ იმოქმედებდა.

დაბეჭდილი ტექსტის შემფასებელი კრიტიკოსი იყო, რომელიც მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით განიხილავდა მას და ხელისუფლების კარნახით

ირჯებოდა. არც შეფასებას ანდობდნენ ყველას, რადგან კრიტიკოსიც გაფილტრული პიროვნება უნდა ყოფილიყო, ისევე შესწავლილი, რენტგენულად გაშუქებული, როგორც მწერალი, რათა შეესრულებინა გამომძიებელ-ინფორმატორის ფუნქცია.

ტექსტის მიღმა ავტორი იდგა, რომლის პიროვნებას, მეგობართა წრეს, ხასიათს, ფსიქიკას, შეხედულებებს, მიდრეკილებებს სუკი სწავლობდა, ეძებდა ან იგონებდა სახელის გამტეხ მასა-ლებს, რათა საჭირო დროს გამოეყენებინა.

ყველა მეტ-ნაკლებად გამორჩეული პირი სუკის კონტროლქვეშ ექცეოდა, რასაც მხოლოდ უარყოფითი შედეგი როდი ჰქონდა, როგორც დღეს წარმოუდგენიათ ხოლმე.

ხოლო ყველა ძაფი თავს იყრიდა მოსკოვში, რომლის წინაშე პირნათელი უნდა ყოფილიყო ცეკა, ჩეკა თუ სამხედრო დაზვერვა. ისინი იმპერიის ცენტრს ინფორმაციებს აწვდიდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ასე რომ, ერთმანეთსაც ამოწმებდნენ.

პროლეტარიატის დიქტატურის სახელით შექმნილ პოლიციურ სახელმწიფოში ხელოვანს ასე უნდა ეცხოვრა.

საქართველოს ჩეკაში დიდ როლს ასრულებდნენ რუსები და სომხები. ისინი უფრო სანდონი იყვნენ, უფრო ულმობელნი ქართველთა მიმართ და გულმოდგინედ ასრულებდნენ ცეკასა და ჩეკას დავალებებს.

ლავრენტი ბერიაც მათ ეყრდნობოდა.

როგორც ზვიად გამსახურდიას უთქვამს, 1990 წელს სუკთან საქართველოში დაკავშირებული იყო 50 ათასი მოქალაქე, ე. ი. მთელი მოსახლეობის თითქმის ერთი პროცენტი!

ასე იყო ყველგან, სადაც კომუნისტებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება.

ამიტომ იყო კონსტანტინე მუდმივი თვალთვალის, დევნის, შესწავლისა და კრიტიკის ობიექტი, რათა მისი დიდი ნიჭი და განათლება სასურველი კუთხით წარემართათ. მისი წიგნები მხოლოდ ცეკას ნებართვით იბეჭდებოდა.

ახლა იოლია წარსულის განსჯა, როცა ყველაფერი დავიწყებას ეძლევა. ბევრს უკვირს, რატომ წერდნენ სატანური პარტიის დითირამებს, როგორ დგებოდნენ მის სამსახურში. მაგრამ წარმოვიდგინოთ მათი მდგომარეობა, ჩავიხედოთ მათ ტანჯულ სულში და ვნახოთ, რა ჯოჯოხეთიც ტრიალებდა.

ხელოვანის თავზე დამოკლეს მახვილი ეკიდა და ყოველ წუთს სიკვდილს ელოდა, თუ სამშობ-ლოს სატკივარი აწუხებდა.

ცხადია, კონსტანტინე მეტი სიყვარულით წერდა "დიდოსტატის მარჯვენას", ვიდრე "ბელადს" ან "ვაზის ყვავილობას". მაგრამ ასე იყო საჭირო, რათა გადაერჩინა თავისი სიცოცხლე და შემოქმედება.

სასტიკი ბომონი მსხვერპლსა და შესაწირავს მოითხოვდა.

უკომპრომისობა სიშლეგე იქნებოდა.

უშიშროების სისტემის, დაზვერვის გარეშე სახელმწიფო არ არსებულა. მაგრამ საბჭოთა კავშირში გაერთიანდა ინფორმაციულ-ანალიტიკური ცენტრი და სადამსჯელო ორგანოები, რათა მოქალაქეები სოციალიზმის სახელით იძულებულყნოთ, რომ მოსკოვის აგენტები ყოფილიყვნენ, ე. ი. სამშობლოს მოღალატენი.

სტალინის ეპოქას პიროვნების დათრგუნვით ადამიანის ახალი ჯიში გამოჰყავდა – მას საბჭოთა ადამიანი ერქვა.

კონსტანტინესადმი ხელისუფლების დამოკიდებულება მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, რაც სტალინი აღარ იყო ცოცხალი და საბჭოეთში განახლების სიომ დაბერა.

მწერალთა პირველ ყრილობაზე

1926 წლის 1 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ხელოვანთა სასახლეში გაიხსნა საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა.

იგი დაამთხვიეს გასაბჭოების მეხუთე წლისთავს.

წარმოდგენილი იყვნენ – "აკადემიური ასოციაცია", ახალი მწერლობის კავშირი ("ცის-ფერყანწელები"), პროლეტარული მწერლების ასოციაცია, ფუტურისტები.

ბოლშევიკებმა ამ ყრილობით დაასრულეს ერთიანი ორგანიზაციის ფორმირების პროცესი, თუმცა ასოციაციები არ გაუქმებულა.

გაათავისუფლეს კოტე მაყაშვილი, ეკატერინე გაბაშვილის სიძე, ვისი ქალიშვილიც XI არმიასთან ბრძოლაში დაიღუპა, და მის სანაცვლოდ აირჩიეს ძველი ბოლშევიკი სილიბისტრო თოდრია, რომელიც შემდეგ მთაწმინდაზე დაკრძალეს.

ძირითადი მოხსენებით გამოვიდა ფილიპე მახარაძე.

ოპოზიციური იყო კონსტანტინე გამსახურდიასა და პავლე ინგოროყვას გამოსვლები.

კონსტანტინემ ილაპარაკა ქართული ენის, ქართული კულტურის ჰეგემონიაზე. განაცხადა, მწერალი ვარ და ხელისუფლების შესაცვლელად არ ვიბრძვიო. სულერთია, საქართველო "წითელყაბალახიანი" იქნება თუ არა, მას მივიღებ, თუ იგი დაიცავს ქართულ ენას, ქართულ კულტურას, ქართულ წიგნსო.

კონსტანტინეს სიტყვა არ მოეწონათ ფილიპე მახარაძეს და ვალია ბახტაძეს. ფილიპეს არ შეიძლება არ ხსომებოდა, რომ ქუთაისის ბაღში, 1913 წელს, სტუდენტებთან კამათში, კონსტანტინე გაცხარებით ამტკიცებდა, ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს და მისი საათი ფილიპე მახარაძესთან აღმოჩნდაო.

იქ მენშევიკებიც ყოფილან და მათ გაზეთ "განთიადში" ამის გამო სასტიკი პროტესტი განუცხადებიათ.

საქმე მაშინ სამედიატორო სასამართლომდე მივიდა.

ვალია ბახტაძემ ჯერ თქვა, კონსტანტინემ გულწრფელად ილაპარაკაო, შემდეგ ბრალად დასდო აპოლიტიკურობა, ე. ი. ჩვენთან არ დგას, დისტანციას იცავს, ამტკიცებს, როცა ზარბაზნები ჰქუხან, მუზები სდუმანო. მაგრამ არ სდუმდა, როცა "ილიონს" სცემდაო.

ხელისუფლებას ყოველთვის მწარედ ახსოვდა "ილიონი".

კონსტანტინე ყრილობაზე საბჭოს წევრად არ აურჩევიათ (არც გალაკტიონ ტაბიძე).

შეიძლება ამიტომაც იგრძნო, რომ ატმოსფერო ცუდად შეიცვალა.

რამდენიმე დღით ძმას ჩაკითხა სკრაში, ნადირობას გულს გადავაცოლებო. იქაც ვერ გაჩერდა.

თბილისში მობრუნდა.

იმავე ღამეს თავზე დაადგნენ.

ჩეკისტები წინა ღამესაც მისულან. მაშინ დედა დახვედრიათ შინ. ლოგინქვეშ შეუხედავთ, აქ ხომ არ იმალება კონსტანტინეო.

ელისაბედი განაწყენებულა, ჩემს შვილს დასამალი არაფერი სჭირსო.

დაპატიმრება

კონსტანტინე დააპატიმრეს 1926 წლის 1 მარტს, აგენტურულ მონაცემთა საფუძველზე, სისხლის სამართლის 66-ე მუხლის თანახმად, შპიონასის ბრალდებით.

კონსტანტინეზე გეპეუს მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული. ყრილობისა და 25 თებერვლის წინა დღეებში აყვანა არ ივარგებდა. მწერალთა ყრილობაზე გამოსვლასაც ელოდნენ, რაც, ცხადია, კრიტიკული იქნებოდა. ეს უფრო განამტკიცებდა აზრს, რომ კონსტანტინე ვერ იქნა და ვერ გამოსწორდა, დროს ალლო ვერ აულო.

ასეც მოხდა.

"დიონისოს ღიმილი" რომ არ დაებეჭდა, ალბათ, არც დააპატიმრებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ამ წიგნის გამოცემის შემდეგ დაიწყო კონსტანტინეს პიროვნების ინტენსიური დამუშავება და შესწავლა, ე. ი. 1925 წლის ზაფხულიდან.

მანამდე იგი ორჯერ ჰყავდათ დაკავებული და შეეძლოთ არც გამოემშვათ, ვინ იყო დამშლელი. არც წიგნს გამოაცემინებდნენ. მაგრამ რომანმა გააღიზიანა ოფიცოზი და დაიწყო მასალების მოძიება.

ბრალდება

კონსტანტინეს ბრალდებოდა გერმანიის გენერალურ საკონსულოსთან ურთიერთობა, რომ სარგებლობდა ყოფილი კონსულის ვეზენდოკისა და ვიცე-კონსულის კეთილგანწყობით.

ეს ფაქტი მწერალმა დაადასტურა, რადგან პროფესორი ვეზენდოკი ქართველოლოგიც იყო და აღმოსავლურ ხელოვნებას აღმერთებდა.

ჩეკაში კონსტანტინეს ურჩიეს, ყველაფერი ივანე ჯავახიშვილისათვის დაებრალეზინა. ხოლო მწერალთა ყრილობაზე კრიტიკული გამოსვლა აეხსნა მენშევიკების წაქეზებით.

თუ ასე მოიქცეოდა – გაანთავისუფლებდნენ.

კონსტანტინემ ჩეკისტების წინადადება არ მიიღო და ციხეში ყოფნა ამჯობინა. მათაც არ დააყოვნეს და სასწრაფოდ, უკვე 29 მარტისათვის განაჩენი მზად ჰქონდათ.

მართალია, შპიონასი ვერ დავამტკიცეთ, მაგრამ ის ხომ გავარკვიეთ, გერმანიის საკონსულოსთან რომ კარგი ურთიერთობა ჰქონდაო, რომ ადრე გერმანიის გენშტაბისათვის მუშაობდაო, რომ გერმანიისაგან უკანონოდ ცდილობდა სტიპენდიის მიღებასო.

საქართველოს ჩეკას სასამართლოს სხდომას თავმჯდომარეობდა ეპიფანე კვანტალიანი, ესწრებოდნენ – პავლუნოვსკი, ივანჩენკო, დოლიძე (იუსტიციის კომისარიატიდან) და ტერ-ვართანოვი (ცეკადან), მდივანი – სტანსკი.

კონსტანტინე, როგორც სოციალურად საშიში პიროვნება, სამი წლით უნდა გაესახლებინათ საქართველოდან.

"საქმე №1318" მოსკოვს გადაეცა.

ლუბიანკა და ბუტირკა

რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში გადააგზავნეს. იქ ე. წ. "საძაღლეში" მოათავსეს, ქურდებისა და ბანდიტების კამერაში. შემდეგ ორკაციან კამერაში ჩასვეს, რომლის თავზე მოტორი გუგუნებდა. იქ თავი მოუკლავს ერთ კორნეტს – სანამ სისხლისგან არ დაიცალა, ექიმი არ გამოიძახეს.

აქედან ბუტირკის ციხეში გადაიყვანეს. იქაც იგივე სურათი დახვედრია – ჩხუბი, ცემა-ტყეპა, ქურდობა, ღამე ერთმანეთზე წაჯდომა. კამერაში თავი მამასახლისად გამოუცხადებია და წესრიგი დაუმყარებია.

კამერის გვერდით იყო სახერხი ქარხანა, რომელიც დღე და ღამ გულის წამლებად ხრიალებდა. იმედის გაცრუებამ, სასტიკმა პირობებმა ფსიქიკა შეურყია.

დაეწყო სიცხეები, სიცხეს მოჰყვა ჰალუცინაციები.

შავით მოსილი დედა ეზმანა, რომელიც დასტიროდა შვილის ცხედარს. შემდეგ გამოჩნდნენ შავ-ჩოხიანი ბერიკაცები, მოვიდა მტირალი მამა. ხან კავკასიონი ეჩვენებოდა, ხანაც – აპოკალიპსური ცხენები.

ექიმი მღვდელი ეგონა, თერმომეტრი – საცეცხლური.

შვიდი დღე გაატარა ასეთ აგონიაში. შემდეგ, როგორც იქნა, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი ბევრს ეცადნენ, მაგრამ მეგობარს ვერაფერი უშველეს.

მახარაძე, კახიანი, ლოღობერიძე და ორახელაშვილი დაინტერესებულნი იყვნენ, რათა კონსტანტინე სასტიკად დაესაჯათ.

კონსტანტინეს საშველად პავლე მათში მოსკოვს ჩავიდა. ინახულა აბელ ენუქიძე (ცაკ-ის მდივანი), ტერ-გაბრიელიანი (ამიერკავკასიის წარმომადგენელი რუსეთში), გეპეუს პროკურორი კატანიანი (რომელმაც ცოლი წაართვა პატიმარ ჭოლა ლომთათიძეს), გიორგი ლორთქიფანიძე, პავლუშა მესხი, კოწია ქავთარაძე, ერთი სიტყვით, ის ხალხი, რომელთაც შეეძლოთ დახმარების აღმოჩენა.

რუბენ კატანიანმა უთხრა, რომ კონსტანტინე უნდა ენახა ბუტირკის საავადმყოფოში. პავლე მივიდა, მაგრამ პატიმარს არ გააკარეს, სპეციალური ორდერის გარეშე ვერ განახებთ, რადგან თქვენს ახლობელს სასამართლოს წესით კი არა აქვს მისჯილი სასჯელი, არამედ ჩეკას მიერო!

ბევრი იწვალა, ვინ არ შეაწუხა, მაგრამ კონსტანტინეს ნახვა ვერ მოახერხა.

ციხეში შეუგზავნა ფული და პირსახოცი, რომელზეც ქეთოს – პავლეს მეუღლეს, ამოექარგა სიტყვები – "დილა მშვიდობისა".

ყოველდღე, როცა გავიღვიძებდი, თითქოს ჩემი ერი მესალმებოდაო, იგონებდა კონსტანტინე.

დაუღლეღმა პავლემ ისე მოახეზრა თავი ჩეკისტებს, რომ ერთმა იყვირა, ან ინგოროყვა დაიჭირეთ, ან გამსახურდია გაანთავისუფლეთო!

მრავალი წლის შემდეგ, როცა ქეთო გარდაიცვალა, კონსტანტინემ სამგლოვიარო სუფრაზე განაცხადა, რომ არა პავლე, მე დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდიო. მთელი ცხოვრება რომ ფუთი ქვებით დატვირთულმა ვიარო, პავლეს ამაგს ვერ გადავიხდიო.

ამასობაში ოგეპეუს VIII განყოფილების კროს რწმუნებულმა ელბერტმა და VIII განყოფილების უფროსმა შტეინბრიუკმა საგანგებო საბჭოს თავიანთი წარდგენით 27 აპრილს გადასცეს "საქმე №37.242".

მათ აღნიშნეს:

კონსტანტინე გერმანიის ყოფილ კონსულ ვეზენდოკს იცნობდა ჯერ კიდევ გერმანიაში, სადაც მწერალმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და მიიღო ფილოსოფიის დოქტორის დიპლომი.

დადგენილად მიიჩნიეს კონსტანტინეს გერმანოფილური ორიენტაცია, რასაც ადასტურებდა "საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი".

ბრალდებულის განცხადებით, მას აფინანსებდა გერმანიის გენერალური შტაბი და მოქმედებდა მისი ხელმძღვანელობით. კომიტეტი ატარებდა პროპაგანდას სამხედრო ტყვეთა შორის, ფარულად მუშაობდა საქართველოში, რათა გერმანელებს შეძლებოდათ საქართველოს ოკუპაცია.

ამისი შედეგი ყოფილა 1916 წლის აჯანყება აჭარაში.

გერმანული იმპერიალიზმის იდეების საპროპაგანდოდ ბერლინში გამოდიოდა "ქართული გაზეთი". მასაც გენშტაბი აფინანსებდა. კონსტანტინე იყო ამ გაზეთის თანამშრომელი.

დასკვნაში მოხსენიებულია კავკასიელის ფსევდონიმით გამოცემული გერმანული ბროშურა "კავკასია მსოფლიო ომში".

კონსტანტინეს განცხადებით, იგი აგებული ყოფილა მიხეილ წერეთლის იდეებზე.

ბროშურა ამტკიცებდა, რომ საქართველო შეძლებდა დამოუკიდებელ არსებობას გერმანიის მხარდაჭერით.

ამ მიზნით თითქოს კონსტანტინეს კავშირი ჰქონდა ჯაშუშ ფონ ნორმანთან, ელჩ რაუშერთან, რომელსაც ხვდებოდა მას შემდეგაც, რაც გერმანიის ჯარმა დატოვა საქართველო.

როგორც ვიცით, კონსტანტინე მენშევიკურმა მთავრობამ დანიშნა ქართველ სამხედრო ტყვეთა ევაკუაციის რწმუნებულად გერმანიაში, მუშაობდა საქართველოს

ბერლინის საელჩოში და თუნდაც ამიტომ უნდა ჰქონოდა კონტაქტები გერმანელ დიპლომატებთან.

ბრალდებოდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობაც. მას თავის ბინაში დაუმალავს ახლო ნათესავი მიხეილ ხოფერია, რომელიც ჩეკამ დახვრიტა. თავად კონსტანტინეც იყო დაკავებული აჯანყების ჩახშობის შემდეგ.

ამბოხების შესახებ ინფორმირებული ყოფილა გერმანიის საკონსულო თბილისში და მას ცნობებს კონსტანტინე აწვდიდა.

კონსტანტინეს მეშვეობით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიუმართავს თბილისის უნივერსიტეტის რექტორისათვის – ივანე ჯავახიშვილისათვის, რათა წარედგინათ კანდიდატურა ჰუმბოლდტის სტიპენდიის მისაღებად, რაც გამიზნული იყო სწავლის გასაგრძელებლად ან სამეცნიერო მუშაობისათვის.

ივანე ჯავახიშვილმა კონსტანტინეს კანდიდატურა წამოაყენა. ეს თურმე კონსპირაციულად მომხდარა. გარდა ამისა, განათლების კომისარიატი საზღვარგარეთ მივლინებას არ იძლეოდა. საზღვარი მტკიცედ იყო დახშული საბჭოთა მოქალაქეებისათვის.

ალბათ ამიტომაც იწვევდა ეს ფაქტი ხელისუფალთა დაეჭვებას.

ივანე პატივს სცემდა კონსტანტინეს. ერთ-ერთ გამოკვლევაში დიდი მეცნიერი მადლობას უხდის მას ზოგიერთი ტერმინის განმარტების გამო.

სასამართლოს გარეშე

ბრალმდებელთა აზრით, სტიპენდია იყო ჯილდო, გერმანიის მთავრობისადმი დახმარების საზღაური. კონსტანტინემ აღიარა, რომ ხელს უწყობდა გერმანული კულტურის გავრცელებას საქართველოში. მაგრამ ამ ფაქტით ასკვნიდნენ, რომ მას არ ჰქონდა გაწყვეტილი კავშირი გენშტაბთან და სტიპენდია ეძლეოდა შპიონასისთვის, ხოლო სამეცნიერო მოღვაწეობა იყო ამ მოქმედების შირმა!

კონსტანტინემ ჯაშუშობა უარყო და თავი დამნაშავედ არ სცნო.

ამ დოკუმენტის საფუძველზე 1926 წლის 2 ივნისს გრიფით "სრულიად საიდუმლოდ", 222.713 ნომრით, ოგეპეუს კონტრდაზვერვის განყოფილება იუწყება:

ოგეპეუს კოლეგიის საგანგებო საბჭომ 28 მაისს დაადგინა, რათა შევიდეს სსრკ ცაკში წინადადებით – კ. გამსახურდიას საქმეზე გამოიტანოს განაჩენი გასამართლების გარეშე!

ხელს აწერენ – ოგეპეუს უფროსის თანაშემწე სტირნე და VIII განყოფილების უფროსი შტიინზბრიუკი.

ეს თხოვნა 28 ივნისს ცაკმა დააკმაყოფილა.

თითქოს ორჯონიკიძე და ენუქიძე მხარს უჭერდნენ კონსტანტინეს. ითხოვა ძერსინსკისთან შეხვედრა, მაგრამ "რკინის ფელიქსი" მეორე დღეს გარდაიცვალა და მწერალს ისევ ძველ კამერაში მოუხდა დაბრუნება.

თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1927 წლის 15 მაისის დადგენილებით (№343.264/1699) ოგეპეუს კოლეგიამ, ცაკის ნებართვის საფუძველზე, კონსტანტინე გამსახურდიას საბოლოოდ გამოუტანა განაჩენი – საკონცენტრაციო ბანაკი 10 წლის ვადით.

ხელს აწერს კოლეგიის მდივანი ოგეპეუს ოცრის უფროსი შანიანი.

მანამდე კი, მიუხედავად განაჩენის არარსებობისა, როცა ცოტათი მოიკეთა, ლენინგრადში გადააგზავნეს "სტოლიპინის ვაგონით". ასეთ ვაგონში არც დაჯდომა შეიძლებოდა, არც ფეხზე დადგომა.

გზაში კარგად ეპყრობოდა ახალგაზრდა ლეიტენანტი ფადეევი, ძალმილეულ პატიმარს ჩუმად აძლევდა წამლებსა და მახორკას.

სიცხე და თავის ტკივილი მაინც ვერ მოიცილა.

სოლოვკის ციხე-მონასტერი

მეცხრე დღეს მიაღწიეს კარელიის ქალაქ კემს, საიდანაც გადაიყვანეს თეთრ ზღვაში მდებარე სოლოვკის (სოლოვეცკის) არქიპელაგზე, რომლის კუნძულები ცხრა თვე ყოფილა ყინულით გაერთიანებული ("ლანდებთან ლაციცი").

ციხე-მონასტერი დაუარსებიათ XV საუკუნის 20-30-იან წლებში. მას არტყია რვაკომპიანი გალავანი – სიმაღლე 8-11 მეტრი, სიგანე – 4-6 მეტრი.

კონსტანტინეს იქ დახვდა 40-მდე ქართველი. ერთად იყვნენ თავმოყრილი ქურდები, ბანდიტები, მკვლევები, ბანკის მმარცველები, პოლიტპატიმრები – ესერები, მონარქისტები, შერისხული ბოლშევიკები.

კონსტანტინეს თბილად ეცვა. ჰქონდა ჩოხა, ჩექმები, ფაფახი, ნაბადი, მაგრამ სიცივე მაინც ძვალში ატანდა.

"იჭმუხნება დაწყველილი ჩრდილოეთი და სისხლს მიყინავს მარღვებში", – სწერდა სიმონ ჯანაშიას.

პატიმრებს ტილები და ბაღლინჯოები ეხვეოდა, სურავანდი მუსრს ავლებდა. ზაფხულში კოლოები იკლებდნენ იქაურობას, ზამთარში – ყორნები. დახოცილებს საერთო ორმოში ყრიდნენ, რადგან გაყინული მიწა არ ითხრებოდა. მძვინვარებდა ქარბუქი, რომელსაც ზოგჯერ ადამიანიც მიჰქონდა ხოლმე.

თავის ტკივილი ვერც იქ მოუცილებია. ერთხანს ავადაც ყოფილა. პატიმრები ტყის საჭრელად გაჰყავდათ. კონსტანტინე ჯერ ღამის გუშაგად გაამწესეს, შემდეგ ძროხები ჩააბარეს. წიგნის საკითხავად დრო საკმაოდ ჰქონდა.

წიგნებს სიმონ ჯანაშია, ალექსანდრე აბაშელი და პავლე ინგოროყვა უგზავნიდნენ.

ნოველა "ჯამუ" იქ დაწერა, ქრისტეფორე და ნინო რაჭველიშვილებს გამოუგზავნა ურითმო პოემა "ლოცვა სატანისადმი სოლოგვის მონასტერში".

ჩაკირკიტებდა ბიბლიას, მის თარგმანებს ერთმანეთს უდარებდა. მაგრამ დეპრესიასა და მელანქოლიას ვერც მუშაობა უქარვებდა.

1926 წლის 13 ნოემბერს სასოწარკვეთილი სწერდა ელენე ბაქრაძეს (დარიანს), პაოლო იაშვილის მიერ მისტიფიცირებულ ასულს:

სიკვდილი სანატრელი გამიხდა, არა მგონია ქართულ ლიტერატურას დავუბრუნდეთ. "რა დამრჩა მე მონასტრის გადაღმა. მოხუცებული დედა, ერთად ერთი ჩემი საწუხარი და ორი-სამი ძმა, რომელთათვისაც მე ზედმეტი ტვირთი ვარ ცხოვრებაში. მე მათ მხოლოდ მწარე სიტყვით მივმართავდი, სხვა არაფერი. დანარჩენი მირასი და მოგონებებია..."

ერთ-ერთი ასეთი "ძმა" იყო იოსებ გრიშაშვილი, რომელიც ლექსს უძღვნოდა გადასახლებულ მეგობარს:

"თუ შენ მარტო ხარ სამშობლოს გარედ,

ჩემს სამშობლოში მე აქ მარტო ვარ"...

ხელისუფლებისგან განწირულ მწერალს ზოგი ზედამხედველი კეთილად ექცეოდა. მაგალითად, ლატვიელი ეიხმანსი, რომელმაც შეიწყალა ბანაკიდან გაქცეული ერთი ქართველი – გვარად უბილავა.

მწერალი პატიმართაგან სიყვარულით იგონებდა ბაქოელ დოცენტს, პანთურქისტ რაჰიმ ვექილოვს, მოხუც გენერალ ბურსინსკის, რწმენით ტოლსტოველს, ყოფილ პროკურორ პოკროვსკის.

აქ პატიმარმა თავადმა ვადბოლსკიმ რუსულად გადათარგმნა "დიონისოს ღიმილი".

ბანაკში ყველას პირზე ეკერა სავარსამიძის სახელი. ტუსაღები მწერალს შველოდნენ, ზოგი ფანქარს აწვდიდა, ზოგი შესატყვისს ეძებდა. მემანქანეს თავზე ედგა მთარგმნელი და ტექსტს ჰკარნახობდა.

ეროტიული პასასების ბეჭდვისას ქალი წითლდებოდა.

ხელნაწერი ივნისში ადმინისტრაციული ნაწილის გამგეს სტეპანოვს ჩააბარა, რომელსაც ქართული სცოდნია. მას უნდა გადაეგზავნა შალვა ელიავასთვის, შალვას კი რეკომენდაცია გაეწია განათლების კომისარ ანატოლი ლუნაჩარსკისთან.

როგორც ჩანს, ეს ასეც მოხდა.

კონსტანტინე გახალისდა, საგრძნობლად მოკეთდა. გადიოდა ზღვისპირზე, ბანაობდა და ნაპირზე წვებოდა, ჩრდილოეთის უძალო მზეს ეფიცებოდა. მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა.

ლუნაჩარსკიმ "დიონისოს ღიმილი" სარეცენზიოდ მაქსიმ გორკის კი გადასცა, მაგრამ პროლეტართა მწერალი აღშფოთდა, ასეთი აბდაუბდის თარგმნა როგორ შეიძლებაო!

კონსტანტინეს გული გაუტყდა და ისევ დეპრესიამ დარია ხელი.

განთავისუფლება

ახლობლები და მეგობრები ისევ ცდილობდნენ კონსტანტინეს გამოხსნას.

1927 წლის 31 მარტს დედამ წერილით მიმართა მამია ორახელაშვილს და სთხოვა, ეპატიებინათ მისი შვილისათვის თუ რამ დანაშაული ჰქონდა, ავადმყოფია, დასუსტებული, სოლოვკის ჰაერს ვერ აიტანს და დაილუპებო.

არც ეს ვედრება იღო ყურად ვინმემ.

ბოლოს, როგორც იქნა, მოღბა ოფიცოზის კერპი გული:

კონსტანტინე ავადმყოფობის გამო პირობითად გაანთავისუფლეს 1927 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს ცაკის შუამდგომლობით, სსრკ ცაკის გადაწყვეტილებით. მაგრამ ეს არ უთხრეს, ორი კვირის შემდეგ ისევ ჩაიყვანეს კემში. ეგონა, დასახვრეტად მიჰყავდათ. ეიხმანსაც ასე ჰგონებია, რომელიც თან გააყოლეს.

კემში დაადასტურეს, რომ პატიმარი ნამდვილად კონსტანტინე გამსახურდია იყო, თითქოს აქამდე არ იცოდნენ, ვინ ჰყავდათ გადასახლებული!

1928 წლის იანვარში თბილისში დაბრუნდა, მაგრამ ჯანმრთელობის ბრალდება მოეხსნა მხოლოდ 1958 წელს, 30 წლის შემდეგ!

ტუსალობის პერიოდი ასახულია ნოველებში – "ჯამუ" და "მტრების მეგობრობა", მემუარების წიგნში – "ლანდებთან ლაციცი".

გადასახლებამ ხალხის თვალში გაზარდა და განამტკიცა მწერლის ავტორიტეტი, მოუტანა პოპულარობა, რაც ადრე არ ჰქონდა.

ასე განვლო ჯოჯოხეთის ერთი გარსი, ადრე რომ დანტეს ზმანებით წარმოედგინა.

13. კონსტანტინე გამსახურდიას

პიროვნება

ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა.

შექსპირი

ჩვენ არა ვართ მიჩვეული მწერლის პიროვნებაზე მსჯელობას.

თითქოს ავტორი და წიგნები ცალ-ცალკე არსებობენ.

მაშინაც, როცა ბიოგრაფიულ ფაქტებს გადმოვცემთ, თვალს ვხუჭავთ ყოველდღიურ წვრილმანებზე, თითქოს ავტორი ქვის ქანდაკება იყოს, რომელსაც სული არ უდგას.

გარეგნული ხმაური, დეღვა და აღტაცება მწერალს არ სჭირდება.

ლიტერატურას ქმნის სულიერი მიმოქცევის სისტემად გამოტანა. ამისათვის აუცილებელია ტექნიკა, უნდა იცოდე, თუ როგორ თქვა.

კონსტანტინე წერდა, პიროვნება ისე ქრება, როგორც ქვიშაზე გადავლილი ქარის ნაკვალევი, რჩება მხოლოდ შემოქმედებაო.

რა თქმა უნდა, ქმნილების შეფასებისა და ღირებულების გასაგებად მნიშვნელობა არა აქვს ავტორის ბიოგრაფიას, წარმომავლობას, ფსიქიკას ან გარეგნობას, პოლიტიკურ ან რელიგიურ მრწამსს.

ეს ფაქტორები მოქმედებენ მხოლოდ თანამედროვეებზე და ინტერესს აღგვიძრავენ ან გვიკარგავენ.

ჩვენ რა ვიცით, ვინ იყვნენ ჰომეროსი ან რუსთაველი!

მაგრამ ავტორი ქმნის ნაწარმოებს და შექმნის პროცესში აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მის ნიშანთვისებებს, როგორც შვილისათვის – მშობლის გენებს.

ფსიქიკა და ტემპერამენტი

კონსტანტინეს შემოქმედებაში ჭარბობს მელანქოლიური, მწუხარე ფერები, ტრაგიკული სიუსეტები, ჰეროიკული მასალა. უჩვეულო, განსაკუთრებული ბედი და ბუნება აქვთ პერსონაჟებს. ისინი მწერლის ფანტაზიიდან იშვნიენ, სულის სიღრმიდან ამოვიდნენ და გამოიყოლეს ავტორის პიროვნული ხატი.

კონსტანტინე იყო გამხდარი, ასთენიკური აგებულებისა, საშუალო ტანისა, ოდნავ შემელოტებული, ჰქონდა ენერგიული გამომეტყველება, მკაცრი პროფილი. ადრე თუ ჯანის სიმრთელეს უჩიოდა, შემდეგ სპორტითა და ნადირობით

გამოიწრთო სხეული. შავგვრემანი, შავთმებიანი და შავთვალა მუდამ ცისფერთვალა, ქერათმიანი, თეთრი სახის პერსონას ქალებს ეტროფდა.

ცისფერი და ქერა ბესტია რომანტიკული დასავლეთის ემბლემაა, გერმანიის ცივი ლანდშაფტებიდან წამოსული.

კონსტანტინეს სულში ორი საწყისი ებრძოდა და ერწყმოდა ერთმანეთს, რომელთაც შეიძლება ეწოდოს როგორც აღმოსავლური და დასავლური, ისე აპოლონური და დიონისური. ატარებდა ხან კავკასიურ ჩოხა-ახალუხს, ხან ევროპულ კოსტუმს, ხან ცილინდრსა და ხელჯოხს, ხან – ბოხოხსა და ხანჯალს. უყვარდა როგორც ცხენი, ისე ავტომანქანა, როგორც თანამედროვე ტექნიკა, ისე ძველი ხუროთმოძღვრება. ხან აღმაფრენა ეწვეოდა, ხანაც – დეპრესია. იყო ურჩი და მორჩილი, გულდია და გულჩახვეული. მაგრამ ზომიერების დაცვას მუდამ ცდილობდა.

სიგარეტს სიჭაბუკის წლებიდან ეწეოდა, ეწეოდა მთელი სიცოცხლე.

გადაჭარბებით სმა, წრეგადასული ქეიფი, დიონისური ვაკხანალია არ უყვარდა, თუმცა დიონისოს კულტს დიდი ყურადღებით ექცეოდა.

ალკოჰოლით მოგვრილი შთაგონება არ სწამდა.

არაყს არ ეკარებოდა, ვისკისა და კონიაკს არჩევდა.

სვამდა ცოტ-ცოტას, მაგრამ ხშირად.

უყვარდა ქართული სადღეგრძელოები, სიმღერები.

ამბობდა, მთვრალი კაცი საზოგადოებაში არ უნდა გამოჩნდესო. სიმთვრალე სირცხვილად მიაჩნდა.

ცნობილი თამადა არ ყოფილა, როგორც, ვთქვათ, პაოლო იაშვილი ან გიორგი ლეონიძე, არც გურმანი, ნაირფერი საჭმელების მოყვარული.

სუფრაზე ტაქტს, ტრადიციულ წესებს უფრთხილდებოდა.

მწერლის ასთენიკურ აგებულებას შეესაბამებოდა შიზოთიმისური (ქოლერიკულ-მელანქოლიური) ტემპერამენტი.

ჰქონდა ძლიერი, უჩვეულო ნებისყოფა. შეეძლო დეპრესიის დაძლევა, რაც დრამატული ცხოვრების ვრცელ მანძილზე ხშირად ეწვეოდა. თვითმკვლელობაზე

ფიქრიც გულს უხრავდა ხოლმე. მაგრამ სასოწარმკვეთ წუთებში თავს სძლევდა და მხნეობას ინარჩუნებდა.

შველოდა ძლიერი, განსაკუთრებული პიროვნების კულტი, მარადიული, ზეკაცური იდეალებისაკენ სწრაფვა, ცხოვრების წარმავლობის შემეცნება და სულის ძალმოსილების განცდა, საკუთარი პერსონის გამითება.

მაგრამ ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომა, აზროვნება, დევნა და შერისხვა, მუდმივი შიშის ატმოსფეროში ცხოვრება არღვევდა ცნობიერ-არაცნობიერის სინქრონიას. მირასი რეალობად იქცეოდა, რეალობა ლანდებად იშლებოდა...

1918 წელს წერდა, ნევრასტენიით ვიყავი ავად, შოპენჰაუერი წავიკითხე და კინაღამ თავი მოვიკალიო (შდრ. – სავარსამიძის ავადმყოფობა).

დრამატული სამი კიდეც უფრო აწყვეტდა ნერვებს და სულს უფლეთდა. მაგრამ შინაგანი ტკივილების გამოტანა, მისი ხატვა, მწვავე განცდების სახეებად გაშლა უკვე განკურნება იყო, დამძიმებული სულის შემსუბუქება, საკუთარი ღირსების შეგრძნება, პიროვნული მთლიანობის განმტკიცება.

სიმონ ჯანაშიას სწერდა, დეპრესიასა და მელანქოლიას მუშაობით ვებრძვიო. ექიმებს პატივს სცემდა, მაგრამ წამლებს არ ენდობოდა. ყველა ავადმყოფობის სათავედ ფსიქიკურ ტრავმას მიიჩნევდა, რომელიც ნებისყოფითა და თვითშთაგონებით უნდა დაეძლია.

ამდენად, შემოქმედებითი წარმატება ფსიქოთერაპია იყო, სულის ჭრილობათა დაამება. მაგრამ გამარჯვებას ვერ ჰპოვებდა, თუ ყოველმხრივ გაწონასწორებული იქნებოდა, რადგან შინაგანი ღელვა, გადაცთომა და დაცემა იძლევა ახალ-ახალ იმპულსებს.

მელანქოლია, დეპრესია და პესიმიზმი შემოქმედების უშრეტი წყაროა.

ოპტიმისტები ცუდად წერენო, ამბობდა ერთი დიდი მწერალი.

ტრაგიკულია თავად სიცოცხლე, რომელიც წამიერად ქრება მარადისობის ღამეში.

კონსტანტინეს შემოქმედებით იმპულსსა და სტიმულს უძლიერებდა დიდ რომანტიკოსთა და მოდერნისტთა მსგავსი "ჯანსაღი ავადმყოფობა", "გმირული სიკვდილისთვის მზადება", "სიკვდილისადმი სიმპათია", ნორმიდან გადახრა.

ხასიათი

ფსიქიკასა და ტემპერამენტს ეფუძნება ხასიათი, რომელიც ვლინდება ადამიანთა წრეში. მას წარმართავს გონება, მაგრამ ყალიბდება არაცნობიერად.

კონსტანტინე იცავდა ადამიანთაგან დისტანციას. მასთან ჭირდა დაახლოება. გარეგნულად ზვიადი და ქედმაღალი, უკარება და უხეში ჩანდა. ზვიად გამსახურდია შენიშნავს თავის ავტობიოგრაფიაში: "მამას მძიმე ხასიათი ჰქონდა, ფიცხი, მკვახე, ირონიული". მაგრამ მეგობართა და ახლობელთათვის იყო გულჩვილი და გულისხმიერი.

მისი პუნქტუალობა და გერმანული წესრიგი, სიზუსტე და დისციპლინა ქართული გარემოსათვის უცხო და უცნაური ჩანდა. აქ სიტყვის გატეხვა და ინტრიგა, დაგვიანება და გადავადება, ქაოსი და ანარქია ჩვეულებრივი მოვლენაა. თითქოს ხელოვანს არც ევალება წესრიგის დაცვა, თითქოს იგი უნდა იყოს წრეგადასული და დაფანტული, ლოთი და უსისტემო, ე. ი. ის, რაც შემოქმედს სულის საუფლოში უნდა გააჩნდეს, გარეთ არის გამოტანილი, შიგნით კი სუფევს სიცარიელე.

ყველაფერს ზომავდა ხელოვნებისა და სამშობლოს სახელით. ეს იწვევდა ახალ გაუგებრობას ახლობელთა წრეშიც. ხელისუფლება ხელს უწყობდა, რომ იგი მასას უცნაურ პიროვნებად წარმოედგინა. ამიტომ მკითხველთა ერთ ნაწილს ფანატიკურად უყვარდა, მეორე ნაწილს – ფანატიკურად ეჯავრებოდა.

ყველას გვახსოვს, როგორ ლანძღავდნენ გრამატიკოსები და ქართულს უწუნებდნენ. ხოლო მოძულენი აქილიკებდნენ მის მანერებს, ენას, ცხოვრების სტილს, პერსონასებს.

მაგრამ თავის გემოვნებას, თავის წიგნებს არავის აძალებდა.

აკაკი გაწერელია იგონებდა, არ გეკითხებოდა წაკითხული გქონდა თუ არა მისი რომანები, ან თუ მოგწონდაო. მაგრამ მაგებას ვერ იტანდაო.

არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ხშირად უთქვამს, "დავით აღმაშენებლის" მხოლოდ პირველი წიგნი მაქვს წაკითხულიო.

ომის დროს ჯავახელ მწყემსებს პლექსანოვზე რესტორანში მიუწვევიათ ახლად გაცნობილი კონსტანტინე და აკაკი. მწყემსებმა აქეს კონსტანტინე, კარგადაც გაუმასპინძლდნენ, ტოლსტოის შეადარეს. მაგრამ რომ შეთვრნენ, ერთს უთქვამს, "დიდოსტატის მარჯვენა" მიყვარს, მაგრამ ლაზს ფხოვში რა უნდოდაო?..

კონსტანტინეს მდუმარედ გაუგრძელებია პურის ჭამა.

მთვრალი სხვა წიგნებსაც გადასწვდა.

კონსტანტინემ არც ახლა თქვა არაფერი და ჭამას უმატა.

მაგრამ როცა მწყემსმა რჩევა-დარიგება არ მოიშალა და ქართული დაუწუნა, უცებ წამოდგა, ღმერთმა თქვენც შეგარცხვინოთ და თქვენი პურ-მარილიცო.

წავიდეთ, კაკო, ამ ხეპრეებთან რამ მოგვიყვანაო!..

კონსტანტინეს მძლოლის – ავექსენტი წოწორიას მძახალი იყო ყაზბეგელი ბესო ჩოფიკაშვილი. მწერალს უყვარდა მასთან მასლაათი. მაგრამ კონსტანტინე თუ ჰკითხავდა მოხევეს, მე ვჯობივარ თუ ალექსანდრე ყაზბეგო, რა თქმა უნდა, ალექსანდრეო, მშვიდად მიუგებდა ბესო. კონსტანტინეს ბრაზი მოერეოდა და სუფრასთანაც რომ მსხდარიყვნენ, ადგებოდა და შინ წავიდოდა.

აკაკი გაწერელია ჰყვებოდა, ოციან წლებში კაციჭამია ბოლშევიკებს არ ეპუებოდა, როცა არც არაფერი იყო. მაგრამ ასაკში რომ შევიდა და აღიარებული მწერალი გახდა და ბოლშევიკებიც ჰკუას მოეგნენ, სწორედ მაშინ არ ედავებოდა მთავრობასო. უცნაურია, მაგრამ სიჭაბუკეში აბა რა ჰქონდა დასაკარგი და ალბათ იმიტომო.

მეტწილად დაღვრემილი დადიოდა, ნათელა ეტყოდა ხოლმე, რატომ ხარ ასე, შუბლი გახსენი, გაიცინეო. მამა პასუხობდა ქალიშვილს – რა ვქნა, ჩემო ნათელიკო, ასეთი ცხოვრება მარგუნა ბედმაო.

რუსი მწერალი მიხეილ ლოხვიცკი იგონებდა:

ერთი პერიოდი თითქმის ყოველ დილით ვერის ხიდზე ერთმანეთს ვხვდებოდითო. მე "მერანში" სამსახურში მივიჩქაროდი, ის – "საბჭოთა საქართველოში" ტომეულებს აკითხავდაო.

ყოველ შეხვედრაზე ხელს მაგრად ჩამოართმევდა ლოხვიცკის, რომელიც წარმოშობით ლეკი თუ ჩერქეზი იყო, და ეტყოდა: არ დაგავიწყდეს, ჩვენი წინაპრები ერთად ებრძოდნენ პირსისხლიან რუსთ ხელმწიფესო.

ერთ დღეს კონსტანტინემ ლოხვიცკის თვალი აარიდა და განზე გაუხვია. ლოხვიცკი გაოცდა და გული დასწყდა.

სამსახურში რომ მივიდა და გაზეთი გაშალა, მიზეზს მიხვდა – "კომუნისტი" იუწყებოდა კონსტანტინეს ლენინის ორდენით დაჯილდოებას!

ზეპირ გამოსვლებში, წერილებში ხშირად ქებით იხსენიებდა პარტიულ ლიდერებს.

ეს იყო მცირეოდენი, დროით გამოწვეული ხარკი.

მაგრამ დაწესებულ ეტიკეტს ზოგჯერ თავად არღვევდა:

ერთ ოფიციალურ საღამოზე სიტყვით უნდა გამოსულიყო.

გზაში აკაკი გაწერელისას უთხრა, ერთი რესტორან "თბილისში" შევიდეთ, ას-ასი გრამი ვისკი დავლიოთო (სოდიან არაყს ვისკის ეძახდა).

მე ვიცოდი, როცა რაღაც უცენზურო ან ანტისაბჭოური უნდა ეთქვა, ცოტა უნდა დაელიაო, იგონებდა აკაკი.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა კონსტანტინემ.

აბა, ეს რასა ჰგავს, დავით აღმაშენებელს ძეგლი არ უდგას, მაშინ როცა კამო აგერ ბაღში გამოჰიმულაო. ბოლოსდაბოლოს, რა დამსახურება აქვს კამოს? მან ხომ ჩვენი სათაყვანებელი ბელადის – ლენინის მეუღლეს სიფილისი შეჰყარაო!

დარბაზში ატყდა ჩოჩქოლი, ხმაური, სიცილი.

კონსტანტინემ სიტყვა დაამთავრა, მაგრამ არეულ ხალხს რომ გადახედა, შეკრთა და ვასილ მჯავანაძესთან მივიდა:

– ვასილი პავლოვიჩ, ხომ არაფერი გადავაჭარბე?

– არა, არაფერი, – დაამშვიდა მჯავანაძემ შეფიქრიანებული მწერალი.

– ჰო, კარგი, გეთაყვა, – მიუგო კონსტანტინემ და თავის სავარძელს დაუბრუნდა.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს მისი გამოსვლების შიშით სისხლი ჰქონდათ გამშრალი. ყოველ სიტყვაში რაღაც ბასრსა და მოულოდნელს გაურევდა, რაც მათ უტაქტობად ეთვლებოდათ და ცეკას თვალში რეპუტაციას უფუჭებდათ.

კონსტანტინეს არაფერს ეუბნებოდნენ, მათ კი ჰკიცხავდნენ.

მთავრობაში დასარეკად მწერალთა კავშირის რომელიმე მდივნის კაბინეტში შედიოდა, მეტწილად – იოსებ ნონეშვილთან, რომელიც ყველა უცნობ-ნაცნობს უანგაროდ ეხმარებოდა.

კონსტანტინეს თავისუფალი საუბარი სჩვეოდა და არავინ უწყობდა, როდის რას გამოურევდა.

ერთხელ ცეკას რომელიღაც მდივანს დაურეკა, რა უნდა ამ ტიკჰორასავით გაბერილ ინაურს, რატომ არ უშვებს ზვიადს უცხოეთში, ბავშვობაში რაღაც შეეშალა და ეს რად ვერ დაივიწყაო.

დამფრთხალი იოსები კონსტანტინეს აწყნარებდა, ყველაფერი გასაგებია, ყველაფერი კარგად იქნება, რაღაც გინდა მეტი ლაპარაკიო.

სიტყვით გამოსვლა უყვარდა – მწერალთა კავშირში, აკადემიაში, უნივერსიტეტში, რაიონებში, შეხვედრებზე, საიუბილეო საღამოებზე.

იგი არ იყო ისეთი ორატორი, როგორც, ვთქვათ, შალვა ნუცუბიძე.

სჩვეოდა ასოციაციური მეტყველება, პათეტიკური და მგზნებარე. ერთ საკითხზე ვერ ჩერდებოდა. ხან ინტონაციას იცვლიდა, ხმას აუწევდა, მეტაფორულ ფრაზას გადმოისროდა, თამამ, უეცარ აზრს მოიშველიებდა, არც მეტოქეს დაერიდებოდა.

ხან პირიქით – იყო უაღრესად თავაზიანი, მორიდებული, მაგრამ ყოველთვის საინტერესოდ მოლაპარაკე. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა დაშტამპული, უსიცოცხლო მოხსენებების ფონზე.

დოგმებს ეურჩებოდა. ცდილობდა ყველაფერზე საკუთარი აზრი ჰქონოდა. ეს აღიზიანებდათ. ამიტომ ზოგ კოლეგას არ უყვარდა, მეტწილად – თანატოლებს.

ზოგჯერ წვრილმანებზე რეაგირებდა, ტრაგიკულად განიცდიდა:

ნიკო აგიაშვილს მოუყვლია:

მაჩაბლის ქუჩაზე მივდიოდი. უცებ გვერდით მანქანა შეჩერდა. ვილაცამ ხელი მკლავზე ჭანგივით ჩამავლოო. შევხედე, კონსტანტინე იყოო. ხვალ ჩემთან აღვნიშნავთ "ვაზის ყვავილობის" ბეჭდვას "მნათობში" და შენც უნდა მოხვიდე "კოლხურ კომპშიო".

გახარებული ნიკა დათქმულ დროზე გამოცხადდა.

მისულან ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, გიორგი ნატროშვილი, სხვა ცნობილი მწერლები.

რატომღაც ნიკამ მღელვარება ვერ დაიოკა.

მირანდამ სუფრაზე შემოიტანა ორი განსხვავებული სასმისი.

ნიკასთან რომ ალავერდს გადავიდნენ, წამიერად გაუელვა გონებაში, არ გამიტყდესო.

ეს გაიფიქრა და ბროლის სასმისი ხელიდან გაუვარდა და დაიმსხვრა!

მირანდამ დაამშვიდა შემფოთებული და შეწუხებული სტუმარი. მაგრამ კონსტანტინეს კოპები შეუკრავს და მთელი სადამო მოღუშული მჯდარა. ზოგჯერ მტრულადაც გადმომხედავდაო, მრავალი წლის შემდეგ სიცილით ჰყვებოდა ნიკა აგიაშვილი.

ნიკა ვერ მიხვდა – კონსტანტინეს ჭურჭლის ბედი კი არ ადარდებდა, არამედ – მისი სიმბოლიკა!

კრიტიკოსებს ლმობიერად ეპყრობოდა, იცოდა სად იყო მტრული აზრების სათავე. მაგრამ პოლემიკაში არავის ინდობდა, ფიცხდებოდა და თავს ვერ იკავებდა. ირონიით ამბობდა, ბესო სლენტი და შალვა რადიანი ჩემთან ბრძოლაში დავასკაცდნენო.

ცდილობდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა ქვეყნის პირველ პირთან, ხშირად იხსენიებდა და აქებდა (სერგო ორჯონიკიძე, იოსებ სტალინი, ლავრენტი ბერია, კანდიდ ჩარკვიანი, ნიკიტა ხრუშჩოვი, ვასილ მჯავანაძე, ედუარდ შევარდნაძე).

სხვებს ანგარიშს არ უწევდა, აკრიტიკებდა და აქილიკებდა კიდეც. მაგრამ პირველი პირი რომ შეიცვლებოდა, მას მყისვე ივიწყებდა.

თავის განსაკუთრებულ მისიას კარგად გრძნობდა და ხაზს უსვამდა, რაც თანამედროვეებს აღიზიანებდათ. მათ უჭირდათ კონსტანტინეს აღიარება.

1920 წელს მენშევიკურმა ხელისუფლებამ გერმანიაში სასწავლებლად გააგზავნა ახალგაზრდები. მათ ბერლინის საელჩოში შეხვდა კონსტანტინე და სუფრაზე ასეთი რამ განაცხადა – წლების მანძილზე ტყუილად როდი ვხეტილობ ევროპაში. როცა სამშობლოში დავბრუნდები, ჩემზეც ისე ალაპარაკდებიან, როგორც პეტერბურგიდან მოსულ ილია ჭავჭავაძეზეო.

ნიკოლოზ ქოიავა, მომავალში ეკონომიკის პროფესორი, აღშფოთდა და იქვე მიახალა, თქვენს ნაწერებს არასოდეს არ წავიკითხავო. ეს აღთქმა დაუცავს კიდევ 1953 წლის მისამდე, როგორც გადმოგვცემს დავით ფაშტიანი, ვიდრე მეუღლემ არ დაარწმუნა, რომ კონსტანტინე ჩინებული მწერალი იყო!

ყოველთვის წვერგაპარსული, კოხტად ჩაცმული დადიოდა.

დეკადენტური ბოჰემა სძაგდა.

მცირეხანს ბლანსეს ატარებდა, დიდხანს – ჩაპლინისებურ უღვაშს და შემდეგ ესეც მოიპარსა.

როცა კოსტუმი ეცვა, ჰალსტუხს იკეთებდა, ცილინდრს იხურავდა, როგორ ევროპელი. როცა ჩოხა-ახალუხში გამოეწყობოდა, ხანჯალს ატარებდა, აზიურ ჩექმებს იცმევდა, ბოხოხს იხურავდა, როგორც კავკასიელი.

ხშირად კითხულობდა ძველქართულ ტექსტებს, ქართულ ბიბლიას, განსაკუთრებით ძილის წინ, რათა მშობლიური არქაიკის სურნელებას გაესლინთა ფსიქიკა.

სიბერეში მეგრული აქცენტი გაუძლიერდა, მრავალი ენის მცოდნეს.

სხვა ენებზე დიდხანს ლაპარაკს ერიდებოდა.

საჩვენებელ თითზე ირმის გემმიანი ბეჭედი ეკეთა, როგორც რომაელ პატრიციუსს, რაც ბედისწერის სიმბოლიკა იყო.

ქართული ტრადიციული უანგარიშო ხელგამლილობა, მფლანგველობა არ უყვარდა. ხელმომჭირნე იყო, რასაც ბევრი სიძუნწედ უთვლიდა, მაგრამ სახლში სტუმარს გულდიად ხვდებოდა, სუფრას გაუშლიდა, ღვინოს შესთავაზებდა, თუნდაც უდროოდ დროს სწვეოდა.

იგი აზროვნებით, ცხოვრების წესით ნამდვილი ხელოვანის ტიპი იყო. მაგრამ უნდოდა თანამედროვეთა თვალში ჰქონოდა არა კეთილი მწერლის, არამედ – დემონური პიროვნების იმიჯი.

დღეს ზოგი ავტორი წერს სტალინთან და ხრუმჩოვთან კონსტანტინეს შეხვედრებზე, ბევრი თხზავს ლეგენდებს. სტალინს არასოდეს არ გამოუთქვამს კონსტანტინეს ნახვის სურვილი. ნიკიტა ხრუმჩოვს კიევში შეხვედრია, როცა იგი უკრაინის ცეკას პირველი მდივანი იყო, ომამდე, ერთ-ერთ ბანკეტზე.

როცა ნიკიტას უთხრეს, სუფრაზე ქართველი მწერალიაო, გაეხარდა და არყით სავსე ყანწი გაუგზავნა კონსტანტინეს!

ზეშთაგონება

როგორც ითქვა, კონსტანტინეს ტალანტი გვიან გამოვლინდა, მაგრამ არა ერთბაშად, არამედ – თანდათან. ასაკი, ცოდნა, გამოცდილება უვითარებდა წარმოსახვის უნარს. ინტელექტის გიმნასტიკას ერწყმოდა ინტუიციური აღმაფრენა, სინამდვილის მიერ მოგვრილი მელანქოლიისა და დეპრესიის პოეტიზება.

მწერალმა ეპოქის დრამატიზმი საკუთარ ტრაგედიად აღიქვა. სამყაროს ჭკრეტდა არა თავისთავად არსებულს, არამედ – სულის სიღრმეში მოქცეულს.

ასთენიკური აგებულება, შიზოთიმიკური ტემპერამენტი განაწყობდა პათეტიკური, გმირული ცხოვრებისათვის, რომელმაც აუმოძრავა სულის არაცნობიერი ფენები, გაუმახვილა სინამდვილისა და საკუთარი მდგომარეობის აღქმის ნიჭი.

საერთოდ, ტალანტის განვითარებას ხელს უწყობს პოლიტიკური კატაკლიზმები, კულტურის ცენტრებთან სიახლოვე, აზრისა და სიტყვის თავისუფლების წყურვილი, ძლიერი შინაგანი ღელვა, სპეციფიკური აგებულება და ტემპერამენტი.

ძველი ბერძნები ზეშთაგონებას ნევროზთან და ფსიქოზთან აკავშირებდნენ, პოეტი ღვთაებრივი სიშმაგით უნდა ყოფილიყო შეპყრობილი, საღი გონება არც უნდა ჰქონოდა.

ჩეზარე ლომბროზო, იტალიელი ფსიქიატრი, გენიალობას შემლილობასთან ანათესავებდა.

სიღრმის ფსიქოლოგიაში (ფროიდი, იუნგი, ადლერი...) შემოქმედება კომპენსაცია და სუბლიმაციაა, ხანაც – ფსიქოთერაპია და თვითდამკვიდრება.

ნიცშე გენიალობას ღვთაებრივ ავადმყოფობად მიიჩნევდა, თომას მანი – თავის ტვინის ავადმყოფურ აგზნებად, ალექსანდრ ბლოკი – ღვთაებრივ სიგისედ.

კონსტანტინეს მთელი შემოქმედება – ეს არის პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მისტერია.

შრომის დისციპლინა

კონსტანტინეს აზროვნება გერმანულ გარემოში ჩამოყალიბდა. ამიტომ ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას წესრიგს, დისციპლინას, სიზუსტეს. დრო მუდამ გამოზომილი და განაწილებული ჰქონდა – დღე, საათი და წუთებიც კი. მხოლოდ ცოდნასა და ფანტაზიას არ ენდობოდა. გულმოდგინედ ეძებდა ახალ მასალას. ისე განეწყობოდა, რომ თხზვა გაიოლებოდა.

ზოგჯერ ხელოვნურ კონფლიქტებსაც იქმნიდა.

სამსახურს თავს არიდებდა. მხოლოდ ერთი პერიოდი ასწავლიდა სკოლაში გერმანულ ენას, უნივერსიტეტში ატარებდა სემინარებს, ომის წლებში კითხულობდა ლექციებს.

წერდა, კითხულობდა, მოგზაურობდა, ნადირობდა, ეცნობოდა ბუნებასა და ხალხის ცხოვრებას, ციხე-ტაძრებს. საქართველოს ყოველი კუთხე მრავალგზის ჰქონდა დავლილი.

დადიოდა ჯერ ცხენით, შემდეგ – ავტომანქანით.

ყველაფერს თხზვის პროცესს უმორჩილებდა.

თავად შენიშნავდა, როცა ინტენსიურად ვმუშაობ, ქალს არ ვეკარებო, სვანი მონადირეც ასე იქცევაო.

მუშაობით რომ დაიღლებოდა, გვიანი ღამით ქუჩაში გავიდოდა, ძაღლს გაასეირნებდა.

წერდა ტკიცინა ფურცელზე, ხშირად – სანთლის შუქზე, კარგი კალმით, მეტწილად გვიან ღამით, თითქმის განთიადამდე, "საშინელის სისწრაფით". შემდეგ ნაწერს გულმოდგინედ ასწორებდა.

დაბეჭდილს არ უბრუნდებოდა, თითქმის არაფერს ცვლიდა.

დემნა შენგელაია და კონსტანტინე ლორთქიფანიძე სულ თავიანთი ნაწერების შესწორება-გადაკეთებით იყვნენ დაკავებული. ამგვარი გარჯით გაუკეთესება ვერ შეძლეს, რადგან მთავარია პირველწრთობის სიმხურვალე.

კონსტანტინემ სწრაფად დაწერა "დიონისოს ღიმილი", "მთვარის მოტაცება", "ხოგაის მინდია", "დიდოსტატის მარჯვენა", "ბელადი", "დავით აღმაშენებლის" პირველი წიგნი.

იმარჯვებდა მაშინ, როცა შთაგონებით წერდა, ძალთა უეცარი მობილიზებით. ხოლო დინჯი, მშვიდი, ნელი თხზვა უძნელდებოდა.

მხედარი და მონადირე

სჩვეოდა ფაქტის გაზვიადება, უჩვეულო ამბების შეთხზვა, ოცნების სინამდვილედ წარმოდგენა, ანდა – ნამდვილის დავიწყება.

ასე, მაგალითად, "ლანდებთან ლაციცში" ჭირს გარჩევა, სად იწყება სინამდვილე ან ოცნება. განსაკუთრებით უყვარდა ტრაბახი ნადირობაზე, თითქოს ბევრი შველი, მგელი და დათვი დაეხოცა, მაგრამ იმასაც შენიშნავენ, ტრაბახი ყველა მონადირეს სჩვევიაო. დეპრესიის მოძალების სამს ან დაღლილობის გასაქარვებლად თავის მეძებარ ძაღლთან ერთად სანადიროდ მიდიოდა.

ერთხელ სვანეთში დათვი მოუკლავს და გახარებულს თბილისში დეპეშა გამოუგზავნია.

ჰყავდა მეძებარი ძაღლები, ზოგს გერი ერქვა, ზოგს – ნამი.

ალიო ადამია იგონებდა:

ოცდაათიან წლებში კომკავშირელ პოეტს კონსტანტინესთან ერთად უმგზავრია.

მატარებელი ზესტაფონში გაჩერებულა და გამოუცხადებიათ, რამდენიმე საათი ვერ დავიძვრებითო.

კონსტანტინეს მაშინვე სანადირო ტანსაცმელი ჩაუცვამს, თოფი აუღია და ალიოსთვის უთქვამს, მე წავალ, კურდღლებზე წავინადირებო.

ერთი საათის შემდეგ ვაგონში ამოსულა ვიღაც ტანსაცმელდაფლეთილი, სახედაფხაჭნილი კაცი.

ეს კონსტანტინე იყო!

მას სოფლის ორღობეში ძაღლები დახვეოდა და კინაღამ დაეგლიჯათ.

შეწუხებულმა კონსტანტინემ დაანამუსა ალიო, ეს ამბავი არსად თქვაო.

რამდენიმე წლის შემდეგ მწერალთა კავშირში, განხილვაზე, ნადირობის სცენას შეეხნენ და ეს ეპიზოდი მწერალს დაუწუნეს.

შენიშვნა მტკივნეულად განიცადა, მე როგორი მონადირეც ვარ, ეს ხომ მთელმა ქვეყანამ იცისო. თუ გნებავთ, ჰკითხეთ აგერ ალიოს, ერთ საათში რამდენი კურდღელი დავხოცეო.

მოწმედ დაასახელა ალიო ადამია, რომელიც პირველ რიგში დამჯდარიყო.

მაგრამ კომკავშირელი პოეტი გაფიცხდა, წამოხტა და იუარა, რა კურდღლები დახოცე, დაგავიწყდა, ძალებმა კინაღამ რომ დაგგლიჯესო?

კონსტანტინე შეცბა, გაიცინა, ხელი ჩაიქნია და ტრიბუნიდან ჩამოვიდა.

40-იანი წლებიდან ჰყავდა ამერიკული "ვილისი", რომელსაც მძლოლი ატარებდა. თვითონ კი ამბობდა, პარიზში საშოფროზე ვსწავლობდიო. მაგრამ მანქანის საჭესთან არ ჯდებოდა, აზროვნებას აქვეითებსო!

შემდეგ "პოზედა" შეიძინა. მას უფრო ზვიადი ატარებდა. ერთხელ გადაუბრუნდა და მანქანაში მსხდომი ექვსი კაცი ძლივს გადარჩა.

"პოზედა" "ვოლგამ" შეცვალა, მაგრამ "ვილისიც" დაიტოვა.

სიბერეში, გარდა მძლოლისა, ჰყავდა პირადი მდივანი, მეზალე და მოსამსახურე, რომელიც "კოლხურ კოშკში" ცხოვრობდა.

გამორჩევით უყვარდა მიმინო და გველი, როგორც ნიცმეს.

არცერთი მათგანი შინ არ მყავსო, ირწმუნებოდა.

მაგრამ მახსოვს მიხეილ კვესელავას ნათქვამი, ოთახში გველები დასრიალებდნენ და კონსტანტინესთან მისვლისა მეშინოდაო (ჯაფარიძის ქუჩაზე).

კონსტანტინე გერმანულს ასწავლიდა მიხეილ კვესელავას, ისევე როგორც გიორგი ჯიბლაძეს.

ასევე უყვარდა ირემი და მგელი.

ირემი სილამაზის სიმბოლოდ წარმოედგინა, მგელი – სიმამაცისა, გველი – სიბრძნისა.

როგორც ითქვა, იყო გატაცებული მონადირე.

შეიძლება ეს ჩვევა აზნაური წინაპრებისაგან შემორჩა. მან კი თავის პერსონასებს გადასცა.

შენიშნავდა ხოლმე, ნადირობის დროს წინაპართა ველური სისხლი იღვიძებს ჩვენშიო.

როგორც მონადირეს შეჰფერის, კარგი ცხენოსანიც იყო.

ნადირობა ხიფათსა და ფათერაკს უკავშირდება.

ხან ცხენი წაეცეოდა, ხანაც – გაცივდებოდა.

ასეთი შემთხვევაც ყოფილა: კონსტანტინემ და ალიო მამაშვილმა ჰიპოდრომიდან ცხენები გამოიყვანეს და ბეთანიის გზას დაადგნენ. კონსტანტინეს ფიცხი და ფეხმარდი ცხენი შეხვდა, თავი წაართვა და მხედარი გადმოაგდო. კონსტანტინეს ფეხი ეღრძო, მთელი თვე ლოგინში იწვა და შემდეგ კარგა ხანს კოჭლობდა.

ერთხელ ნადირობისას თათარი ბანდიტი თავს დაესხა, სამჯერ ესროლა. იძულებული იყო თავი დაეცვა და მომხდური შემოაკვდა.

ეს ფაქტი მაშინვე ხელისუფლებას განუცხადა, მაგრამ არაფერი უთქვამთ.

ნოველა "ქალის რძე" ამ ამბავზეა აგებული.

ცხენზე ამხედრებული ჩოხა-ახალუხიანი, ქამარ-ხანჯლიანი და ბოხოხიანი კონსტანტინე, რომელსაც უკან მეძებარი მისდევდა, მართლაც აზნაურს ჰგავდა.

იგი ამ ჩვეულებას ვერ ელეოდა, რაც ასე სძულდათ ბოლშევიკებს.

ნადირობისთვის საგანგებოდ ემზადებოდა, იცვამდა სპეცტანსაცმელს, როგორც პროფესიონალი. თითქოს კოლეგებს უმტკიცებდა, რომ ის მათზე მეტი იყო არა მხოლოდ მწერლობით!

ნადირობის დროს ეცნობოდა ადამიანებს, უბრალო, მშრომელ ხალხს, მათ მეტყველებას, ადათ-წესებს, თქმულებებს, ბუნებას, ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს, რათა ქალაქს, ჭვრეტასა და აზროვნებას ცხოვრებისაგან არ მოეწყვიტა.

თავის ძაღლებს მეტწილად გერის არქმევდა, რაც მეგრულად მგელს ნიშნავს. ალბათ იმიტომ, რომ თავის ტოტემად მიაჩნდა.

შენიშნავდა ხოლმე, ჩემთვის ბევრს უთქვამს – მგელს წააგავხარო.

ქართული ხალხური ლექსი ამბობს:

"კაი ყმა, მგელი, არწივი

არცერთ არ გაიწურთნება".

კონსტანტინეც ბევრი გემეს გერმანელმა ნაციონალისტებმა, აწამეს და ტანჯეს რუსმა და რუსოფილმა ბოლშევიკებმა, მაგრამ სამშობლო ვერ გადაავიწყეს, საქართველოს თავისუფლების სიყვარუ-ლი ვერ ამოგლიჯეს მისი გულიდან.

უცნაური ქორწინება

აკაკი გაწერელიას უთქვამს, კონსტანტინეს უყვარდა ტყუილების მოყოლა, მაგრამ რაშიც მართალი იყო, ეს რომანული ამბებიაო. მასზე არც ასაკი მოქმედებდა, არც მდგომარეობაო.

მრავალ პიკანტურ ისტორიას თავად გადმოგვცემს "ლანდებთან ლაციცში". შეიძლება ბევრი რამ არც იყოს მართალი, მაგრამ ადელჰაიდე ლენცი ნამდვილად უნდა არსებულებო, რომელსაც მრავალი წლის შემდეგაც შეხმიანებია, როგორც თარაშ ემხვარი სვანეთიდან ელლენ რონსერს.

უცხოელი მწერლების ბიოგრაფიები კარგადაა შესწავლილი. ვიცით, ვინ უყვარდათ გოეთეს, ბაირონს, ბალზაკს, ბლოკს, მაიაკოვსკის, ესენინს, ცვეტაევას, ახმატოვას. მაგრამ ქართველ ავტორებზე ამას ვერ ვიტყვით.

შეიძლება მიზეზი ქართული პურიტანიზმიც იყოს, არა მხოლოდ ფილოლოგიური დაუდევრობა.

კონსტანტინეს გიმნაზიაში დონჯუანს ეძახდნენ.

სტუდენტობის შემდეგაც, უკვე ცნობილ მწერალს, არაერთ ქალთან ჰქონია რომანი. ზოგი ქვრივი იყო, ზოგი ახალგაზრდა ან ქმარ-შვილიანი, მისი ტალანტის თავყვანისმცემელი. რამდენიმე მათგანის სახელიც ცნობილია, მაგრამ ალბათ მომავალი ბიოგრაფიები იმსჯელებენ მათზე...

წლების მანძილზე თავდავიწყებით უყვარდა რებეკა ვაშაძე.

ასევე სიყვარულით შეირთო მირანდა ფალავანდიშვილი.

მაგრამ ცნობილია ერთი უცნაური ქორწინებაც:

კონსტანტინემ სიონის ტაძარში ჯვარი დაიწერა შემდეგში ცნობილ მსახიობ ქალზე – მეგი წულუკიძეზე, როცა მირანდა და ბავშვები თბილისში არ იყვნენ.

მეგის სილამაზით მოხიბლული მწერალი თავის განცდებს უფროს ქალიშვილსაც უზიარებდა, მაგრამ იგი მამის გატაცებას უცხოობდა და კონსტანტინეს გული სწყდებოდა.

ნათელა იმ დღეს შინიდან გაუშვა, როცა დაგირეკავ, მაშინ მოდიო.

ნათელამ გაკიცხა მამა, მაგრამ ამ შეგონებიდან არაფერი გამოვიდა.

მეჯვარე იყო აკაკი გაწერელია.

კონსტანტინემ სახლში სუფრაც გაშალა, მაგრამ აკაკიმ თამალობაზე უარი თქვა, მე ამას როგორ ვიკადრებო, თითქოს მეჯვარეობა ნაკლები ცოდვა იყო, და ნადიმს არც დასწრებია!

სამაგიეროდ შალვა ნუცუბიძე დათანხმდა და კარგადაც მოულობინა.

საქორწილო ტრაპეზს უსხდნენ ალექსანდრე აბაშელი, შალვა ნუცუბიძე, ჯოდოლი თოფურიძე, მეგის ნათესავი ქალები, რომლებიც უზარმაზარი თაიგულით შემოვიდნენ სიძის ბინაში...

კონსტანტინემ ჯვარდაწერილი ქალი მალე გააძევა, უნდა წახვიდე, ცოლ-შვილი ჩამომდისო. შემფოთებულმა ნათელას დაურეკა, რა მართალი ყოფილხარ შენ, ვინ ოხერი შემომიშვია შინო!

ნათელამ დეპეშა გაუგზავნა მირანდას, მამაჩემი აქ ერთ ამბავშია, უნდა ჩამოხვიდეო. სასოწარკვეთილმა მირანდამ ვაგზლიდან დაურეკა ნათელას, სახლში მივიდე თუ არაო, ხომ მარტოა კონსტანტინეო.

ცოლ-ქმარი კარგა ხანს ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს.

კონსტანტინეს თუ რამე ჰქონდა სათქმელი, წერილს დაწერდა და გადასაცემად ნათელას აძლევდა.

ეს ამბავი გახმაურდა და მწერალი ცეკაში დაიბარეს.

კონსტანტინემ თავი იმართლა – "დავით აღმაშენებელში" ჯვარისწერის სცენა მაქვს აღსაწერი და რეალისტურად რომ გამომსვლოდა, მიტომ მოვიქეცი ასეო.

ეკლესიის მოძულე ბოლშევიკები რეალიზმს დიდ პატივს სცემდნენ და მწერლის პასუხი მოეწონათ.

ნათელა აღარ ესალმებოდა შალვა ნუცუბიძეს.

შალვა გაოცდა, განაწყენდა და კონსტანტინეს შესჩივლა, ნათელა მე რას მემდურის, ვერ გამიგიაო.

... შემდეგ მეგი სიკო დოლიძემ შეირთო, ცნობილმა კინორესისორმა.

ერთ-ერთ თათბირზე კონსტანტინემ გააკრიტიკა რესისორი.

სიკო დოლიძე განცვიფრდა, რას გადამეკიდა კონსტანტინე, რა მაკავშირებს მასთანო.

– მეგი, მეგი წულუკიძეო, – ვიღაცამ რეპლიკა წამოისროლა, რასაც სიცილი მოჰყვა და ყველას გაახსენდა ერთი ძველი, უცნაური ქორწინება.

მეგობართა წრე

კონსტანტინე 1917 წელს უცხოეთიდან რებეკას სწერდა: ჩემი კლასის ამხანაგებში მეგობარი არ მყავდაო. საერთოდ, მამაკაცებში არ მყავს მეგობარიო, ყველა შურიანობას იჩენსო.

1931 წელს გრიგოლ ვაშაკიძეს სწერდა:

"ვუბრუნდები ისევ მარტოობის სამყაროს, რომელშიც ჩემი სიჭაბუკე და მამაკაცობის დიდი ნაწილი ჩამოყალიბდა და რომ შესაძლო იყოს დავსწერდი წიგნს: "მარტოობისათვის".

მართლაც, 1904 წლიდან 1935 წლამდე თითქმის სულ მარტო ცხოვრობდა.

ასე გაიარა გიმნაზიის პერიოდმა, სტუდენტობის ხანამ.

იშვიათად ხვდებოდა დედას, მეუღლეს, და-ძმებს, სიყმაწვილის ამხანაგებს.

შემდეგ ციხეში იჯდა.

რომ ჩამოვიდა, დედა გარდაცვლილი დახვდა.

კონსტანტინეს გმირებიც სულ მარტოხელანი არიან, არ ჰყავთ მეგობრები. მწერლის პროზაში ფრაგმენტულად, ან სულ არ არის ნაჩვენები ოჯახური ცხოვრება, ურთიერთობა მეუღლესთან, შვილებთან, და-ძმებთან.

ოცდაათწლიანი მარტოობა ასე აირეკლა შემოქმედებაში.

ოციანი წლებიდან საკმაოდ ჰყავდა მეგობრები, რომლებიც შველოდნენ, ეხმარებოდნენ, მძიმე ცხოვრებას უმსუბუქებდნენ.

მწერლის მეგობრები იყვნენ ცნობილი მოღვაწენი – ალექსანდრე აბაშელი, პავლე ინგოროყვა, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, აკაკი გაწერელია, გერონტი ქიქოძე, გიორგი ნიკოლაძე, თედო სახოკია, სიმონ ჯანაშია (იგი ბერიას დიდი ნდობით სარგებლობდა და ამას ჰქონდა მნიშვნელობა), კონსტანტინე ჭიჭინაძე, მოგვიანებით – ვიქტორ გაბესკირია, პაატა გუგუშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ნატროშვილი, გიორგი წერეთელი...

თედო სახოკიაზე ხუმრობდა, ბერად არის ნაკურთხი, მაგრამ რად გინდა, ამ ქრისტეს მოციქულმა წარყვანა ქართველი ერი, ბოკაჩიოს ყოვლად უწმინდური "დეკამერონი" თარგმნაო.

კოლეგებიდან გამორჩევით აფასებდა – გალაკტიონ ტაბიძეს (გალაკტიონთან მეგობრობას ვერ ვახერხებო, წუხდა ხოლმე), იოსებ გრიშაშვილს (40-იან წლებამდე), ალექსანდრე აბაშელს, გიორგი ლეონიძეს, ვასილ ბარნოვს (30-იან წლებამდე), სიმონ ჩიქოვანს (1947 წლამდე), კონსტანტინე ჭიჭინაძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, ლეო ქიაჩელს, ნიკო ლორთქიფანიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, შალვა დადიანს, აკაკი ბელიაშვილს (50-იან წლებში)...

უმცროსი კოლეგებიდან მოსწონდა ლადო ასათიანის, მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძის, შოთა ნიშნიანიძის პოეზია. პროზაიკოსთაგან ასახელებდა რევაზ ჯაფარიძეს, ალბათ უფრო პირადი კონტაქტების გამო... პატივს სცემდა გაბრიელ ჯაბუშანურს.

კონფლიქტებიც საკმაოდ ჰქონდა, რომელთა მეტი წილი ხელისუფლების მიერ იყო ინსპირირებული – ტიცინ ტაბიძესთან, გრიგოლ რობაქიძესთან, პაოლო იაშვილთან, ვახტანგ კოტეტიშვილთან, ბესარიონ სდენტთან, ირაკლი აბაშიძესთან,

სიმონ ჩიქოვანთან, გიორგი ჯიბლაძესთან, გრიგოლ აბაშიძესთან, გერონტი ქიქოძესთან...

პროლეტარული მწერლები არ სწამდა, არც ფუტურისტები.

ორივე ჯგუფი გააფთრებით ებრძოდა კონსტანტინეს.

1921 წლის კატასტროფის ფონზე სამართლიანად აკრიტიკებდა გრიგოლ რობაქიძეს. მოგვიანებით აზრი შეიცვალა "გველის პერანგის" ავტორისადმი, ისევე როგორც გრიგოლმა – კონსტანტინესადმი.

1945 წელს, როცა საბჭოთა არმიები ბერლინს მიადგნენ, მწერლები მიიყვანა ილია თავაძესთან, სახალხო კომისართან, გრიგოლ რობაქიძე და მიხაკო წერეთელი ჩარჩნენ ბერლინში და უშველეთო. ხოლო 1947 წლის ზაფხულში, როცა გრიგოლის სენევიდან გამოგზავნილი წერილის გამო სუკში დაჰკითხეს მწერლები, კონსტანტინემ განუმარტა მინისტრს, თუ რას ნიშნავდა "საქართველოს გენია" და "მესამე ნაპირი". ამით დაპატიმრებისაგან იხსნა ემიგრანტი მწერლის და – ნინა.

კონსტანტინე იყო ერთადერთი მწერალი, რომელმაც აღუსრულა გრიგოლს ანდერძი: როცა გაიგო მისი გარდაცვალება, წავიდა მცხეთაში და სვეტიცხოვლის ტაძარში სანთელი დაუნთო უცხოეთში მიცვალეული მწერლის სულს.

ასეთი იყო იგი – ელადა და შუასაუკუნეებგამოვლილი ქართველი გერმანელი.

14. სამშობლოში დაბრუნება

მხოლოდ მაშინ, როცა ყველანი ხელს აიღებთ ჩემზე, მე დავბრუნდები თქვენთან.

ჩემო ძმებო, მართლაც სხვა თვალთ მოგძებნით ჩემთვის დაკარგულთ,

სხვა სიყვარულით შეგიყვარებთ თქვენ.

ფრიდრიხ ნიცშე

კონსტანტინე 1928 წლის იანვარში საქართველოში დაბრუნდა.

პრესაში მისი სახელი გამქრალიყო.

დედა გარდაცვლილი დახვდა, ჩრდილოეთის თოვლში შავით მოსილი რომ ეზმანებოდა.

აუხდა თავისივე სიტყვა:

"ველარ ვნახე შენი სახე, ველარ მოგისწარი"...

კონტროლი და შემოქმედება

29 იანვარს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მატერიალური დახმარება აღმოუჩინა: ორ მწერალთან ერთად მასაც მისცა ასი მანეთი.

ინიციატორი იყო ალექსანდრე აბაშელი.

25 მარტს "კომუნისტმა" დაუბეჭდა წერილი – "ქართული მართლწერის კონფერენციისათვის", რომლითაც მიესალმა ქართული მართლწერის შემმუშავებელ კონფერენციას, ქართული ენის მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდაო.

ეს იყო იმ პოზიციის გადაფასება, რომელსაც ადგა 1926 წლის თებერვალში, დაპატიმრებამდე.

ხელისუფლებას ხელთ ჰქონდა საბუთი, როგორ შეიცვალა მწერლის თვალსაზრისი. იცოდნენ, რომ ევოლუციას დრო სჭირდებოდა. ამიტომ მუშაობის ნება დართეს.

გერმანულ ენას ასწავლიდა სკოლაში.

იბეჭდებოდა სურნალ "ქართულ მწერლობაში", თანაც ხშირად.

გამოაქვეყნა რეცენზიები, ნოველები – "ჯამუ", "ქოსა გახუ", "ტაბუ", "დიდი იოსები", თარგმნა გოეთეს "ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი", ერიხ მარია რემარკის "დასავლეთის ფრონტი უცვლელია" (უ. ურდოელის ფსევდონიმით), ვიქტორ შკლოვსკის "სენტიმენტალური მოგზაურობა" (ვ. კოტეტიშვილთან ერთად), შექსპირის "ჰამლეტის" ფრაგმენტები...

ზოგ მათგანს გამომცემლობის შეკვეთით მოჰკიდა ხელი.

ამ დროს უთარგმნია ლენინის ნაწერების ერთი ტომი. ჰონორარი მისცეს, მაგრამ თარ-გმანი დაკარგეს. ალბათ ვიღაცამ ეჭვი გამოთქვა, როგორ შეიძლება ამ ნაციონალისტმა და რეაქციონერმა ჩვენი ბელადი თარგმნოსო.

შემდეგ თარგმნა მარქსის "კლასთა ბრძოლა საფრანგეთში". როცა ოფიციალური მიერ წაქეზებული კრიტიკოსები თავს დაესხმოდნენ, მათ იფარებდა ხოლმე.

ერთხანს დემონსტრაციულად დადიოდა ჩრდილოელი პატიმრის ქურთუკით. ეს შენიშნეს ჩეკისტებმა და შემოუთვალეს, თუ ეს ფორმა ძალიან მოგწონს, ისევ იქ გაგაგზავნითო!

კონსტანტინემ სიფრთხილე არჩია და ქურთუკი გადააგდო.

1928 წელს ოთხი წიგნი გამოსცა – "ტაბუ" (ამ ნოველას დიდად აფასებდა ივანე ჯავახიშვილი), "გოეტე", გოეთეს "ვერტერი" და ესეების წიგნი "ახალი ევროპა".

გადარჩენის სიხარული ძალასა და ენერგიას ჰმატებდა.

პუბლიკაციებს არ უკრძალავდნენ, მაგრამ არ თვლიდა კრიტიკა – ბოლშევიკების თვალი და ყური ლიტერატურაში. მოუბრუნდნენ და შავი დღე აყარეს, კონტრრევოლუციონერი და მავნებელი უძახეს, თანამგზავრის ეპითეტი ვერ გაიმეტეს.

ვერც მუშის ცხოვრების აღწერამ უშველა, ვერც ოდამ ზაჰესზე.

ერთხანს იფიქრა, ისევ საჯარო ლექციების კითხვას მივყოფ ხელსო.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს სთხოვა, ნება მიეცათ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში ქართული პროზის პოეტური საღამოს ჩატარებისა.

საამისოდ სესხად ითხოვა ასი მანეთი.

გეგმა შეთანხმებული იქნებოდა ფედერაციის თავმჯდომარე სილიბისტრო თოდრიასთან.

ბოლშევიკებს ახსოვდათ მისი ლექციების პათოსი და ცივი უარი მიახალეს.

არც ასი მანეთი მისცეს.

მხოლოდ ლევ ტოლსტოიზე ათქმევინეს სიტყვა, რადგან დიდი რუსი მწერლის საიუბილეო წელი იდგა.

ერთი წლის შემდეგ, 1929 წლის 8 მარტს, ალიო მამაშვილმა, ალბათ კონსტანტინეს წინადადებით, მთავლიტისაგან ითხოვა ნება პოეტური პროზის საღამოს გამართვისა.

გამომსვლელთა შორის კონსტანტინე იხსენიებოდა.

ხოლო "ქართულმა მწერლობამ" მკითხველს ინფორმაცია მიაწოდა, რომ ხელოვანთა სასახლეში კონსტანტინე წაიკითხავდა ლექციებს ქართულ მართლწერაზე, ესთეტიკასა და პოეტიკაზე.

არც ეს ლექციები არ წაკითხულა.

"ქართული მწერლობა" იმასაც იუწყებოდა (1928, №4), რომ კონსტანტინემ თარგმნა "ვერტერი", წერს რომანს "უმანგ ურდოელი", ამუშავებს მოთხრობას – "ევროპა გალიაში" ანუ "საოცარი ავანტიურები ვნებისა, შიმშილისა და სიყვარულისათვის".

უ. ურდოელის ფსევდონიმით ბეჭდავდა რეცენზიებს, რემარკის თარგმანს.

მხატვარი ურდოელი, ოღონდ ვახტანგი, არის დაუმთავრებელი რომანის "ევროპა გალიაში" მთავარი პერსონაჟი (შდრ. – გურამ ბივრიტიანი იყო გიორგი ლეონიძის ფსევდონიმი. 30 წლის შემდეგ მან ეს სახელი დაარქვა პოემა "სამგორის" ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს).

კონსტანტინეს აუდიტორიის წინაშე გამოსვლის ნებას არ აძლევდნენ, რადგან ზეპირი სიტყვის კონტროლი შეუძლებელი იყო. ხოლო ბეჭდვით სიტყვას მთელი ქსელი უნდა გაეგლო და საბოლოოდ ცენზურა (მთავლიტი) ამოწმებდა.

როგორც კოლონია და გადასახლება ვითომ პიროვნების გამოსასწორებლად იყო შექმნილი, ასევე ბეჭდვითი სიტყვის სისტემა მიზნად ისახავდა მწერლის ბოლშევიკურ მოაზროვნედ მოქცევას.

საერთოდ ბოლშევიკები გულმოდგინედ ზრუნავდნენ ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარებისათვის, რათა თავიანთი მიზნის მსახური ყოფილიყო თითოეული მათგანი.

დამყოლთ ანებივრებდნენ, ურჩებს სასტიკად სჯიდნენ.

მწერალთა მეორე ყრილობა

დადგა ახალი ყრილობის მოწვევის სამი. ბოლშევიკებს უნდა ეჩვენებინათ თავიანთი წარმატებები ლიტერატურაში.

საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა გაიმართა 1928 წლის 6-14 მარტს.

იგი გახსნა თავმჯდომარე სილიბისტრო თოდრიამ.

მოხსენებები წაიკითხეს – ფილიპე მახარაძემ, სილიბისტრო თოდრიამ, პაოლო იაშვილმა, ბარონ ბიბინეიშვილმა, სეონ თოხაძემ, ლევან მეტრეველმა...

მონაწილეობდნენ – პროლეტკულტელები, ფუტურისტლექტელები, ცისფერყანწელები, აკადემიური ასოციაციის წევრები, არიფიონელები.

კონსტანტინეს სიტყვა არ უთხოვია.

შეიძლება თავად მოერიდა გამოსვლას, რათა ხელისუფლება ხელმეორედ არ გაელიზიანებინა.

საბჭოს წევრად აირჩიეს.

დუმილი ასე დაუფასეს.

მწერალთა კავშირს მწერალთა ფედერაცია ეწოდა.

მსოფლიოს დაპყრობაზე მეოცნებე ბოლშევიკები ყველგან ფედერაციის მოდელს ნერგავდნენ.

თავმჯდომარედ ისევ სილიბისტრო თოდრია დატოვეს, მოადგილედ გრიგოლ რობაქიძე აირჩიეს.

1931 წლის 14 ნოემბრიდან, მცირე ხანს, მწერალთა სასახლე ეგნატე ნინოშვილის სახელს ატარებდა.

ეგნატე ნინოშვილი კარგი მწერალი და ტანჯული პიროვნება იყო, მაგრამ მისი სახელის გაზვიადებას, ფილიპე მახარაძისა და პროლეტკულტელების გარდა, ყველა ზედმეტად მიიჩნევდა.

კონსტანტინეს არ მოსწონდა "გოგია უიშვილის" ავტორის პროზა, მაგრამ შენიშნავდა, ეგნატეს მსგავს ვასკაცს ბევრს ვერ ვხედავ ჩვენს გარშემო.

"ახალი ევროპა" (1928)

ამ წიგნის გამოცემა ჯერ კიდევ 1924 წელს ჰქონდა ჩაფიქრებული და იბეჭდებოდა კიდევ, რო-გორც იუწყებოდა გაზეთი "კომუნისტი".

უნდა დარქმეოდა "AURORA", განთიადის ღმერთქალის სახელი, რადგან მას უნდა მოეტანა ახალი სინათლე ქართულ ლიტერატურაში.

ესეებსაც ასახელებდა, რომლებსაც ამ წიგნში შეიტანდა.

ამ ესეებით მკვიდრდებოდა ქართული მოდერნიზმი.

შემდეგ უნდოდა მეორე წიგნი დაეწერა. "უკრაინის თემიდს" გეგმაც დაურთო, მაგრამ როგორც სხვა მრავალი ჩანაფიქრი, ვერც ეს განახორციელა.

საინტერესოა, რომ ახალ წიგნში შეჰქონდა ესეც – "ზიგმუნდ ფროიდი".

მაშინ იგი "მთვარის მოტაცებაზე" მუშაობდა და ფსიქოანალიზის იდეებს იყენებდა.

ცხადია, კომკავშირელებს "ახალი ევროპა" არ მოეწონათ და არაერთი მწარე წერილი დაბეჭდეს.

"მარცხენა თვალით" (1930)

კონსტანტინე მემარჯვენე მწერლად მიიჩნეოდა. მემარჯვენეებს მკაცრად გამობდნენ. ხოლო მემარცხენეობა, ე. ი. რევოლუციონერობა მისაბამი იყო. ალბათ ამიტომაც დაარქვა ნოველების კრებულს "მარცხენა თვალით".

მაგრამ ბენიტო ბუაჩიძემ, ქართველ რაპუელთა ლიდერმა, წიგნის გამოცემა მაინც შეაჩერებინა. კონსტანტინემ ლავრენტი ბერიას მიმართა, რომელიც იყო საქართველოს პოლიტსამმართველოს (გეპუე) უფროსი.

წიგნი გამოიცა.

მაგრამ რაპულები არ ცხრებოდნენ – მარცხენა თვალით კი არა, ორივე თვალთ რეაქციისაკენ იყურება ავტორიო.

კრიტიკის მარწუხებში

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ სალიტერატურო კრიტიკა მძლავრი სადამსჯელო ბერკეტი აღმოჩნდა.

გამარჯვებულმა ხელისუფლებამ რეპრესიებს მიმართა არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების, არამედ – კრიტიკის იარაღითაც.

ტონს იძლეოდნენ პარტიული ლიდერები.

ცეკასა და გეპუუს კონკრეტული გეგმით მოქმედებდნენ კრიტიკოსები.

კრიტიკა ლიტერატურის წარმმართველად გამოცხადდა.

ჯერ კიდევ 1925 წელს კონსტანტინეს იდეოლოგიური ნიშნით აკრიტიკებდნენ ილია ვარდინი-მგელაძე, პლატონ ქიქოძე, ბენიტო ბუაჩიძე, ნიკოლოზ შენგელაია.

ეს მოხდა დისპუტზე – "რევოლუცია და ლიტერატურა", სადაც წარმოთქვა "რეაქციული" სიტყვა – რასკოლნიკოვი და ლენინი ერთი საშოდან მოდიანო, ე. ი. ორივენი მკვლელები არიანო.

როგორც კი "დიონისოს ღიმილი" გამოიცა, "მნათობში" დაიბეჭდა შ.დ-ს ღვარძლიანი რეცენზია, რათა წიგნი არ გაყიდულიყო.

შემდეგ კონსტანტინე დააპატიმრეს და მისი სახელი მიივიწყეს, მაგრამ როცა გამოუშვეს და ზედიზედ ოთხი წიგნი გამოსცა, ისევ ასისინდნენ ავსიტყვა კრიტიკოსები, ეგ გამოსწორებულა კი არა, მთლად წასულა ხელიდანო.

ადრეულ წლებში კეთილად იხსენიებდნენ – ა. პაპავა, ტ. ტაბიძე, დ. ყიფშიძე, კოკი აბაშიძე, ლ. ქიაჩელი, ი. გრიშაშვილი, ალ. წერეთელი, ენდრი არაბული, დ. ცაგარელ-რონდელი, აქებდა ირაკლი ტატიშვილი, აკრიტიკებდნენ – ტ. ტაბიძე, გრ. რობაქიძე, ს. ჩიქოვანი, ვ. კოტეტიშვილი, მ. ბოჭორიშვილი (მირზახ – დააპატიმრეს 1924-ში და ციხეში გარდაიცვალა 1943 წელს).

მაგრამ ეს იყო ლიტერატურულ აზრთა სხვადასხვაობა.

1925 წლის 18 ივნისის საკავშირო ცეკას რეზოლუციის შემდეგ დაიწყო მემარჯვენე მწერლების სწრაფი შეზღუდვა და იდეური რეპრესიები, თუმცა ფორმალურად დაუშვეს შემოქმედებითი კონკურენცია.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები აკრიტიკებდნენ კონსტანტინეს (ფ. მახარაძე, მ. კახიანი, ვ. ბახტაძე, ლ. ბერია, ს. მამულია, გ. ყურულაშვილი, ვ. ორაგველიძე, მ. ტოროშელიძე, დ. დემეტრაძე...), ხოლო რაპპელები ამდაგვრებდნენ და აკონკრეტებდნენ ცეკადან და ჩეკადან მიღებულ ინფორმაციებს.

"პროლეტარული მწერლობა" და "ახალგაზრდა კომუნისტი" რუსი ნაპოსტოველების მიზაძვით, სოციალიზმის სახელით, გაბოროტებით ებრძოდნენ მთელს ლიტერატურას, პირველ რიგში – კონსტანტინეს.

1927-1932 წლებში მათ შეურისხავი არ დარჩათ არცერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მწერალი.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას ხელმძღვანელობდა ლეოპოლდ ავერბახი, სვერდლოვის დისშვილი, იაგოდას ცოლის ძმა, რომელიც ჯალათს ჰგავდა (დახვრიტეს 1939 წელს).

მან მოადგილედ წაიყვანა ბენიტო ბუაჩიძე, ამიტომ მას "ავერბახის მეაბჯრეს" უწოდებდა "Литературная газета".

ლიტერატურაში წითელი ტერორი გამეფდა.

ხელისუფლება ჯერჯერობით ამგვარი რეპრესიებით კმაყოფილდებოდა.

რაპპელებს ჰყავდათ კრიტიკოსთა გამოკვეთილი ჯგუფი (ბ. ბუაჩიძე, პლ. ქიქოძე, შ. რადიანი, ვ. ლურსამიძე, ალ. სულავა, ვ. მელაძე), რომელსაც მიემხრნენ "ცისფერყანწელთა" ყოფილი მეგობარი ალი არსენიშვილი (იგი ტიცციან ტაბიძეს ღორს ეძახდა!) და ფუტურისტ-ფედერალისტი ბესარიონ სლენტი, მიემატნენ კომკავშირელები – დიმიტრი ბენაშვილი და გიორგი ნატროშვილი.

მათი მთავარი სამიზნე, კრიტიკის ობიექტი იყო კონსტანტინე.

საჯარო გამოსვლებსა და მრავალრიცხოვან სტატიებში ქართულად და რუსულად, თბილისსა და მოსკოვში თავს ესხმოდნენ "დიონისოს ღიმილის" ავტორს.

არც სხვები აკლებდნენ ხელს (ალ. ჭეიშვილი, გრ. ხავთასი...).

მათი წერილების ხსენება ან ციტირება სავსებით ზედმეტია. ვიტყვი მხოლოდ, რომ მწერალს უწოდებდნენ – რეაქციონერს, შოვინისტს, მავნებელს, თავადაზნაურობის იდეოლოგს, იდეალისტსა და მისტიკოსს, ყალთაბანდსა და უმეცარს, კლასობრივ მტერსა და კონტრრევოლუციონერს, პორნოგრაფსა და ფსიქოპატს, ნაცარქექიასა და დიპლომის ფალსიფიკატორს...

გველის, ბაყაყის და მგლის ქების გამო ხომ მთლად ჭკუას ჰკარგავდნენ. მგელს ძმა როგორ უწოდაო, მისი ნაწერები პატრიარქალობითა და მეგრული სიტყვებით ჰყარსო. გამსახურდიას შოვინისტური სისინი უნდა აღიკვეთოსო.

ალბათ ეგონათ, ამგვარი ფსიქოლოგიური შტურმი, განუზომელი ლანძღვა-მაგება გულს გაუხეთქავდა ან წერაზე ხელს ააღებინებდა.

მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას ისევე დაუნდობლად და დაურიდებლად ექცეოდნენ, როგორც მრავალი წლის შემდეგ დისიდენტ და პოლიტიკოს ზვიად გამსახურდიას.

კრიტიკოსთა მსგავსად რაპველ პოეტებსაც დაბინდვოდათ გონება:

"მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე

არც მიმაჩნია ადამიანად",

ამაყად წერდა ჭაბუკი კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

მეორეგან გულლიად აცხადებდა – "ჩემთვის ერთია დღეს ერეკლე და მამად-ხანი" (როცა გონს მოეგო, კონსტანტინეს "ქართული პროზის მამაღმერთს" უწოდებდა).

ფრიდონ ნაროუშვილი ხოტბას აღუვლენდა გეპეუს (სუკს):

"ვაშა, გ. პ. უ. შენი განაჩენი

ბოლშევიკურად არის დაწერილი".

ხოლო კალე ფეოდოსიშვილი (ვეკუა) პავკა მოროზოვზე კარგა ხნით ადრე ქადაგებდა:

"მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას,

რევოლუციამ თუ კი მიბრძანა".

ბედის ირონიით, ფრიდონი და კალე რევოლუციამ გაიყვანა გილიოტინაზე და არავინ იცის მათი თავები სად დაგორდა.

... ასეთ მოშხამულ ატმოსფეროში ძნელი იყო ნამდვილ ლიტერატურაზე ფიქრი. ხოლო თავისუფალ საქართველოზე ოცნება უეჭველ სიკვდილს ნიშნავდა.

სევდამორეული მწერალი 1928 წლის 1 აგვისტოს სიმონ ჯანაშიას სწერდა:

"საშინელი დეპრესია მაწუხებს, განსაკუთრებით შედამებულზე", "მე მეშინია, ამ საშინელმა მელანქოლიამ და კაცთმძულვარებამ ენტუზიაზმი არ დამიშრიტოს. ვგრძნობ, გამეცალა სიხარული და ხალისი", "ხანდახან ვგრძნობ აშკარად სიკვდილის გემოს", "ვიცოდე ნეტავ, რა დავუშავე ამ გათახსირებულ ხალხს"...

ასეთივე მძიმე განწყობილებით სწერდა 1931 წლის 15 ივლისს გრიგოლ ვაშაკიძეს:

"რაც დრო გადის, მე და ადამიანები უფრო და უფრო ვშორდებით ერთიმეორეს".

"ქალის რძეში" თამაზ ვარდანიძეს ათქმევინებს: "რაც უფრო ახლოს ვეცნობი ადამიანებს, მით უფრო იზრდება ძაღლისადმი სიყვარული ჩემში".

მარტოობაში რომ იცხოვრო, უნდა იყო ცხოველი ან ღმერთი, ამბობდა არისტოტელე.

ნუგეშს ისევ დანტეს "ჯოჯოხეთის" თარგმნაში ჰპოვებდა და ფიქრობდა, რომ უდიდესი იტალიელიც გააძევეს ფლორენციიდან.

ბოლშევიკური სინამდვილეც ხომ ჯოჯოხეთს აგონებდა სიმბოლოთა და ალეგორიათა მოყვარულ მწერალს.

ასე გაგრძელდა 1932 წლის აპრილამდე, სანამ ხელისუფლებამ არ დაშალა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.

კონსტანტინეს ლანძღვა, იდეოლოგიური დამუშავება არც მერე მოუშლიათ, მაგრამ აღარ ახლდა ვულგარული, გაავებული ტონი.

23 აპრილს სტალინის სიცოცხლეში იგი ყოველთვის კეთილად ახსენებდა. შდრ. – "მთვარის მოტაცებაში" მოქმედება 23 აპრილს – გიორგობა დღეს იწყება. ასე რომ, მწერალს ეს თარიღი სიმბოლურადაც ჰქონდა აღქმული, როგორც გამარჯვების სიმბოლიკა.

გარიცხვა მწერალთა კავშირიდან

კონსტანტინე – მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი, "დიონისოს ღიმილისა" და ჩინებული ნოველების ავტორი, საუკეთესო ესსეისტი, გოეთეს, უიტმენისა და რემარკის მთარგმნელი კოლეგებმა 1931 წლის 17 აპრილს მწერალთა კავშირიდან გარიცხეს.

ეს ასე მოხდა:

რაპკელთა მძვინვარე კრიტიკის პასუხად საქართველოს კომუნისტების ხელმძღვანელმა მიხეილ კახიანმა, ცეკას III პლენუმზე, 1930 წელს განაცხადა – კონსტანტინე აზნაურულ-ფეოდალური საქართველოს ნამდვილი წარმომადგენელია და "დღემდის დაყიალობს საქართველოშიო", ასეთი წევრებისაგან მწერალთა ფედერაცია უნდა განთავისუფლდესო.

როგორც ვნახეთ, 1928-1930 წლებში კონსტანტინე თავისუფლად იბეჭდებოდა. მას მისცეს საგამოცდო ვადა, რათა ჩამდგარიყო სოციალიზმის მშენებელთა რიცხვში. მაგრამ, ხელისუფლების აზრით, მწერალმა არაფერი ისწავლა და არც არაფერი დაივიწყა. ამიტომ იგი უნდა დასჯილიყო.

ცეკას მითითებით მწერალთა კავშირში 1930 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა წმენდის კომისია (თავმჯდომარე შალვა რადიანი, წევრები – არისტო ჭუმბაძე, სიმონ წვერავა, სიმონ ჩიქოვანი, ტიციან ტაბიძე, მდივანი – ნინო კლდიაშვილი), რომელსაც ურჩი და შემთხვევითი პირებისაგან უნდა გაენთავისუფლებინა ეს გაერთიანება.

კომისიამ სათითაოდ კენჭი უყარა მწერალთა კავშირის ყველა წევრს.

კონსტანტინე ერთხმად გარიცხეს.

17 აპრილს სიმონ ჩიქოვანის თავმჯდომარეობით გაიმართა მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა (მაშინ ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა შალვა რადიანი), რათა ემსჯელათ გარიცხულთა ბედზე.

მოისმინეს სიმონ წვერავას ინფორმაცია მწერალთა რიგების გადახალისების შესახებ (იგი მწერალთა კავშირში ნაგანით დადიოდა).

მწერალთა რიგებიდან გაირიცხნენ სამი დებულების თანახმად:

1. პოლიტიკურად მიუღებელი მწერლები,

2. პასიური წევრები,

3. მექანიკურად შემოსული პირები.

პრეზიდიუმმა გარიცხვის ყველა კანდიდატს ცალ-ცალკე უყარა კენჭი.

პირველი დებულებით პირველი გარიცხეს კონსტანტინე და თანაც – ერთხმად (ლიტ. და ხელ. ცენტრ. არქივი, ფონდი 8, აღ. 1, საქმე 238).

პარალელურად კონსტანტინეს წიგნები ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს.

ასე რომ, მიხეილ კახიანის მითითება აღასრულეს. მალე ეს მგზნებარე ლენინელი შუა აზიაში გადაიყვანეს, ხოლო 1937 წელს დახვრიტეს.

პროლეტკულტელები ხომ გააფთრებით ებრძოდნენ, არც თავად კონსტანტინე რჩებოდა ვალში. იგი ისევ გამომწვევად იქცეოდა, თუმცა პოლიტიკაზე მსჯელობას თავს არიდებდა.

ერთხელ რაპპელთა პლენუმზეც გამოვიდა და თქვა, თავადაზნაურობა ახლა საბრალო წოდებაა და სიმკაცრე არ არისო საჭირო, ხოლო ბურსუაზია არ გვყავსო. პასუხად პლატონ ქიქოძემ მის გამოსვლას "მატრაკვეცული" უწოდა.

შემდეგ, როცა რაპპელებმა მოინდომეს საჯაროდ დაეწვათ ილია ჭავჭავაძის სურათი, გიგო გაბაშვილის მიერ შესრულებული, რომელიც ამშვენებს მწერალთა კლუბს, კონსტანტინემ ხანჯალი იმიშვლა და დაემუქრა კომკავშირელებს, დაგზოცავთ თუ სურათს ხელს ახლებთო.

მათ თურმე ილიას ნეშტის ამოთხრაც უნდოდათ, მაგრამ საწადელს ვერ ეწივნენ. სამაგიეროდ, 1939 წელს, დავით სარაჯიშვილის ძვლები ამოყარეს საფლავიდან, იმ კაცისა, ვინც ააშენა მწერალთა კავშირის შენობა, დაიწყო ქართული კონიაკის წარმოება და უზარმაზარი თანხა ანდერძით დაუტოვა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას!

მწერალთა კავშირიდან როცა გააძევეს, ორი კვირით ერევანში წავიდა. გაეცნო დერენიკ დემირჭიანს და სხვა სომეხ მწერლებს, დაათვალიერა ეს უძველესი ქვეყანა.

თბილისში რომ დაბრუნდა, ესაუბრა კომპარტიის ლიდერებს – ლავრენტი ქართველიშვილს, ერიკ ბედიას, გიორგი ყურულაშვილს, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას.

აღდგენა

1931 წლის 23 ივლისს განცხადებით მიმართა მწერალთა ფედერაციას გარიცხვის გამო, განმარტა თავისი მოქმედება, ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი.

წერილი გაუგზავნა ცეკას მდივანს გიორგი ყურულაშვილს.

16 დეკემბერს მიმართა ცეკას განყოფილების გამგეს კარლო ორაგველიძეს.

სამართლიანად შენიშნავდა, მომავალი თაობები ვერ გაიგებენ იმ კაცთმძულვარე დამოკიდებულებას, ჩემდამი რომ იჩენენო.

ბოლშევიკები განსაკუთრებული აგებულების ხალხი იყო. მათ არ აინტერესებდათ მომავალი თაობების აზრი, არც საიქიო სწამდათ.

სხვათა შორის, ყველა მათგანი, ვისაც კონსტანტინემ მაშინ თავის საქმეზე მიმართა, რამდენიმე წლის შემდეგ "დიდ ტერორს" შეეწირა.

უკვე იბეჭდებოდა "უკრაინის თემიდი", რომელსაც ინტერესით შეხვდა ოფიცოზი. ამიტომ ლავრენტი ბერიას სთხოვა, რათა კავშირში აღედგინათ.

არც აქედან გამოვიდა არაფერი.

სულზე მოუსწრო საკავშირო ცეკას 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ, რომელმაც მკვეთრად შეცვალა მდგომარეობა.

კონსტანტინე მწერალთა ფედერაციის წევრად აღადგინეს 1932 წლის 16 ივნისს (ლიტ. და ხელ. ცენტრ. არქივი, ფ. 8, აღ. 1, საქ. 285), მას შემდეგ, რაც რაპში დაიშალა.

მალე ცოტათი "დააწინაურეს" კიდევ:

1932 წლის სექტემბერში მწერალთა კავშირში მოაწყვეს სამხედრო წრე და ტირი. ტირის ხელმძღვანელად კონსტანტინე დანიშნეს!

1934 წლის აპრილში ყველას შეავსებინეს ფორმულარი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრობაზე. კონსტანტინემაც შეავსო და ანკეტას შენიშვნები დაურთო! მაგრამ არ დაამტკიცეს და მისი გვარი არ არის გამოქვეყნებულ სიაში.

20 ივნისს ამის გამო მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს მიმართა, შეახსენა თავისი დამსახურებანი, კრიტიკის დევნა, მისდამი უნდობლობა.

7 ივლისს, როცა მწერალთა კავშირში სამართალი ვერ ჰპოვა, ცეკას სამდივნოს გაუგზავნა წერილი – 25 ფორმიან რომან "მთვარის მოტაცებას" ვწერ, განუწყვეტლივ მდევნიანო და პროტესტი განაცხადა მიმღები კომისიის დადგენილების გამო.

7 აგვისტოს ორგკომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა დავით დემეტრაძე, ბოლოსდაბოლოს კონსტანტინე წევრად სცნო!

15. მოგზაურობა ხარკოვსა

და კიევში (1930)

ხარკოვში ჩემი ჩამოსვლის მიზანია: მოვძებნო დავით გურამიშვილის საფლავი (ის ჩემი სულიერი პაპაა და მე ეს უნდა გავაკეთო), დავრჩე თუნდაც რამდენიმე თვით ხარკოვში და შევუდგე უკრაინული ენის შესწავლას.

კონსტანტინე პავლო ტიჩინასადმი

1930 წლის სექტემბერში, სანამ მწერალთა კავშირიდან გარიცხავდნენ, კონსტანტინემ იმოგზაურა ხარკოვსა და კიევში, გაიცნო უკრაინელი მწერლები.

ეს ადრევე ჰქონია განზრახული.

თითქმის ერთი წლით ადრე, 1929 წლის 7 დეკემბერს, მწერალთა ფედერაციას სთხოვა, მიეცათ მივლინება დავით გურამიშვილზე წიგნის დასაწერად, რომელზეც ოთხი წელია ვმუშაობო. იგი ჩაფიქრებული ჰქონდა ჯერ კიდევ 1925 წელს. ხოლო 1923 წლის 28 მაისს რუსთაველის თეატრში სიტყვა წარმოთქვა "დავითიანის" ავტორზე.

კონსტანტინეს თხოვნა დააკმაყოფილეს.

იწყებოდა რესპუბლიკების მწერალთა დაახლოება. ასეთი კონტაქტებით ხელისუფლება იყო დაინტერესებული, რათა "საერთო ოჯახს" ლიტერატურაც ერთიანი ჰქონოდა. იმართებოდა შეხვედრები, თათბირები, სიმპოზიუმები, ბანკეტები. მოქალაქეებში ბოლშევიკური სული უნდა განმტკიცებულიყო. მწერლის ემოციური სიტყვა ამას მშვენივრად შეძლებდა, ხოლო ალკოჰოლი და სექსი კიდევ უფრო "ადულაბებდა" ამ ერთობას.

ხელისუფლება თარგმნასაც ხელს უწყობდა, ოღონდ ლიტერატურა ყოფილიყო კომუნისტური, რაც მალე "სოციალისტური რეალიზმის" სახელით მოინათლა.

ნათლია სტალინი იყო.

ცხადია, კონსტანტინეს მოგზაურობას ასეთი პროპაგანდისტული მიზანი არ ჰქონდა. მას უნდოდა "დიონისოს ღიმილი" და ნოველები ეთარგმნათ. ეს პოპულარობას შემატებდა და საარსებო თანხასაც შესძენდა. წინასწარ მიწერ-მოწერაც ჰქონდა ზოგიერთ უკრაინელ მწერალთან.

უცხოეთზე ფიქრი უკვე მავნებლობად ითვლებოდა.

უკრაინაზე იმიტომ შეაჩერა არჩევანი, რომ იქ სწავლობდა ერთი ქართველი ჭაბუკი – ორთქლმავლის მემანქანე გრიგოლ ვაშაკიძე (1908-1978). იგი მწერლობით იყო გატაცებული, პატივს სცემდა კონსტანტინეს. გრიგოლის ნათესავი, ბესო ვაშაკიძე, კონსტანტინესთან ერთად იხდიდა სასჯელს სოლოვკაზე. იქ ბესოსთან და ვახტანგ ბარათაშვილთან (რებეკას ბიძაშვილი, მწერალ მარიკა ბარათაშვილის ძმა) სურათიც გადაუღია.

იგი დგას წვერმოშვებული, ნაბადმოხურული, შავი ფაფახით.

გარდა ამისა, უკრაინაში მოღვაწეობდნენ ლიტერატორები – კონსტანტინე ცაგარელი და გიორგი ნამორაძე, რომელთაც იცნობდა.

ცაგარელი ერთ დროს ნიცშეანელობდა და წიგნიც კი გამოსცა რუსულად – "ასე იტყოდა ზარატუსტრაშვილი", როგორც ნიცშეს გაგრძელება, რაც სასაცილოდ არ ჰყოფნიდა გრიგოლ რობაქიძეს.

გრიგოლ ვაშაკიძე 30-იან წლებში რეპრესირებული იყო. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა დიდ ჯიხაიშში, წერდა მოთხრობებს, მოგონებებს.

ერთი მათგანი, რომელიც ეხება უკრაინას, პავლო ტიჩინას (გრ. ვაშაკიძე ერთი წელი ქართულს ასწავლიდა დიდ პოეტს), 1977 წელს მე მომიტანა გამოსაქვეყნებლად, მაგრამ სურნალ "ცისკრის" რედაქტორმა გურამ ფანჯიკიძემ დაიწუნა (დაბეჭდა "ლიტერატურის მატრიანემ" 1992 წელს).

მწერალს გრიგოლისათვის უჩუქნია ახლად გამოსული წიგნი "მარცხენა თვალით": "ძღვნად გრიგოლ ვაშაკიძეს, ძმას და მეგობარს. კონსტანტინე გამსახურდია".

კონსტანტინემ თბილისიდან გასვლის წინ გრიგოლს დეპეშა გაუგზავნა: "Еду курьерским двенадцатого. Константин".

შინ დაბრუნებულმა ასევე აუწყა: "Приехал. Целую. Константин".

ხარკოვში, რომელიც მაშინ უკრაინის დედაქალაქი იყო, მოსკოვის მატარებლით გაემგზავრა. მატარებელი ბაქოს გავლით მიდიოდა. ჯერ წასასვლელი ფული ვერ იშოვა და მთელი თვე დაყოვნდა, სანამ ქრისტეფორე რაჭველიშვილმა არ ასესხა.

კალოშები გრიგოლისაგან ითხოვა, მაგრამ ვაგონში მოპარეს. სამაგიერო ვერ მისცა და ამიტომ შემდეგ პალტო ათხოვა.

2 სექტემბერს ხარკოვის ვაგზალზე ვაშაკიძე დაუხვდა. იგი გაოცდა, როცა "დიდი ბრიტანეთის ელჩივით" მორთული კონსტანტინე საერთაშორისო ვაგონიდან გადმოვიდა: ეცვა შავი ჩოხა, თეთრი ახალუხი, ვიწრო აზიური ჩექმები, თავზე ბოხობი ეხურა, წელზე ხანჯალი ერტყა. კოხტად წვერგაპარსულს მოკლე, ჩაპლინისებრი ულვაში დაეტოვებინა.

კონსტანტინეს ერთადერთი მსუბუქი ჩემოდანი მეზარგულს მოჰქონდა!

ბაქანზე დახვდნენ უკრაინელი თანამოკალმენიც – პავლო ტიჩინა, მიკოლა ბასანი, მაქს ლებედი, იანოვსკი.

სტუმარი დააბინავეს გიორგი ნამორაძის ბინაში. გიორგი შუა აზიაში ყოფილა წასული. მეორე დღეს გადავიდა აფხაზ ბოლშევიკ სამსონ კარტოზიასთან, რომელიც ოთხოთახიან ბინაში მარტო ცხოვრობდა.

სამსონი იყო უკრაინის მეტალურგიული წარმოების უფროსი, ცეკას წევრი. მან ნიკოლოზ აქირთავასთან ერთად, როგორც აფხაზური მხარის რწმუნებულმა, ხელი მოაწერა 1921 წლის ცნობილ სამოკავშირეო ხელშეკრულებას საქართველოსთან.

მესამე დღეს ბანკეტი გაუმართეს რესტორან "უკრაინაში". თამადობდა მაქს ლებედი, რომელიც ცრემლმორეული იგონებდა ვერიკო ანჯაფარიძეს.

ხარკოვიდან კიევში წავიდა. იქაც გაეცნო კოლეგებს. დამე, როცა ქალაქის ქუჩებში ხეტიალობდა, საჰაერო განგაში დაიწყო. კონსტანტინემ ნაბიჯს აუჩქარა. სადღაც რკინის ლობეზე აძვრა, გადახტა და ეკლესიის ეზოში ჩაფრინდა. მაგრამ ჩოხის კალთა რაღაცას გამოსდო და გაეხა. ჯერ საფლავებს შორის იხეტიალა, შემდეგ ეკლესიაში შევიდა და დაათვალიერა. სამრეკლოზე ხვეული კიბით აძვრა, ქალაქს

გადახედა და ფიქრებს მიეცა ("უკრაინის თემიდის" ეს ეპიზოდი არის პირველ-მონახაზი "მთვარის მოტაცებაში" ილორის ზარების ჩამოყრისა).

დღისით ქალაქის ქუჩებში ჩოხით რომ გაივლიდა, ხან პოლიციელი აჩერებდა, ხანაც – ბავშვები აეკიდებოდნენ. მასპინძლებმაც დიდი ინტერესით გასინჯეს მისი ხანჯალი, თითქოს პუშკინისა და ლერმონტოვის თანამედროვე კავკასიელი მდგარიყო მათ თვალწინ.

გრიგოლმა მწერალი უკრაინელ კოლეგებთან ერთად დაპატისა სამწვადე "ვესნაში".

იქ მაშინ მრავლად ყოფილან ქართველები, ზოგი რა ოცნებით, ზოგი რა მიზეზით ჩარჩენილნი ამ ქალაქში.

ერთ საღამოს კონსტანტინემ და გრიგოლმა ბაღში გაისეირნეს. უკვე შებინდებული იყო და ყავის დასალევად კაფეში შევიდნენ. მოუტანეს სქელი ჭიქები. კონსტანტინე აღშფოთდა, ამ უმნო ჭიქით ყავას როგორ დავლევო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო, იგონებს გრიგოლ ვაშაკიძე.

მეორე კაფეს მიადგნენ, მაგრამ დაკეტილი აღმოჩნდა და ისევ პირველ კაფეში დაბრუნდნენ. ამასობაში შუალამემაც მოაწია და ესეც დაკეტილი დახვდათ.

ასე დარჩნენ იმ ღამეს მშიერი!

უკრაინაში მწერალმა თორმეტი დღე დაჰყო. ამიტომაც ერქვა ნარკვევს თავდაპირველად "12 დღე უკრაინაში". შემდეგ ისევ მითოსური თემიდი არჩია.

წამოსვლისას სადგურზე ჩეკამ გააჩერა, საბუთები მოთხოვეს, ალბათ უთვალთვალებდნენ. ეს თოფ-ხანჯალი რად გინდაო.

კონსტანტინეს ქრისტეფორესათვის გეკო ეყიდნა და ხელჩანთიდან ლულა მოუჩანდა.

ჩეკისტს მწერალთა კავშირის ცნობა აჩვენა, რომელშიც ეწერა, რომ იგი მივლენილი იყო მირგოროდში დავით გურამიშვილის საფლავის მოსამებნად, თუმცა მირგოროდში არ ჩასულა.

ბოლოს, როგორც იქნა, გაუშვეს და დაძრულ მატარებელს შეახტა.

ტამბურიდან გრიგოლს მიაძახა – ინგლისელები ბედნიერი ხალხია, ყოველ ინგლისელს პასპორტში უწერია, ამ პასპორტის წარმომდგენის შეურაცხმყოფელი პასუხს აგებს დიდი ბრიტანეთის არმიისა და ფლოტის წინაშეო!

ყოველ შემთხვევისათვის – ერთი ჯაშუში მაინც გააყოლეს.

უკრაინაში ხელშეკრულებები დაუდეს – უნდა გამოეცათ "დიონისოს ღიმილი" და "მარცხენა თვალით". ავანსად ფულის გამოგზავნას შეპირდნენ.

ეს წიგნები უკრაინაში არ გამოცემულა. მთავარი დაბრკოლება ის უნდა ყოფილიყო, რომ კონსტანტინე რამდენიმე თვეში მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. შერისხული კაცის წიგნებს ვინ დაბეჭდავდა. მაგრამ როგორც კი აღადგინეს, 1933 წლის 11 იანვარს მწერალთა კავშირის მდივანი ბესარიონ სლენტი შუამდგომლობას უგზავნის უკრაინის გამომცემლობას, რათა გამოეცათ კონსტანტინეს წიგნები.

მანამდე კი, თბილისში რომ დაბრუნდა, გრიგოლს შეატყობინა, დაპირებული თანხა არ მომსვლია, არც პასუხს მწერენო, ფული არა მაქვს და მოსკოვში ვერ წავსულვარო.

ეტყობა, თანხის ნაწილი მაშინვე მიუციათ, რადგან მეგობარს გეკო უყიდა, ბილეთი მასპინძლებს მხოლოდ მინერალურ წყლებამდე ააღებინა, საქართველოში სამხედრო გზით უნდა დავბრუნდეო, თუმცა მატარებელს გაჰყვა ბოლომდე.

გრიგოლს უთხრა, როგორც კი თბილისში ჩავალ, ვალებს გავისტუმრებ და ცოლს შევირთავო.

უკრაინელი კოლეგების გაცნობით, მათთან შეხვედრით დიდად კმაყოფილი დარჩა.

ამ მოგზაურობის შედეგად დაწერა ვრცელი ნარკვევი "უკრაინის თემიდი", რომელიც ჯერ "მნათობმა" დაბეჭდა, ხოლო 1933 წელს ცალკე წიგნად გამოიცა.

"უკრაინის თემიდში" გრიგოლ ვაშაკიძე ინიციალებით იხსენიება – "გ. ვ.".

კონსტანტინეს მეორეჯერაც, 1935 წლის ივნისში, მისცეს მივლინება, რათა წასულიყო უკრაინაში და მოეგვარებინა თავისი ნაწერების პუბლიკაციის საქმე.

აღბათ შედეგი ის იყო, რომ 1936 წელს "რადიანსკა ლიტერატურა" ბეჭდავდა "მთვარის მოტაცე-ბის" თარგმანს, პირველ კარს.

ერთი პერიოდი ხელისუფლება ცდილობდა, რომ კონსტანტინე, როგორც გერონტი ქიქოძე, მხოლოდ მთარგმნელი და ესსეისტი ყოფილიყო, უხვად სთავაზობდა სათარგმნ მასალას, რათა პროზისათვის ვერ მოეცალა.

მაგრამ "უკრაინის თემიღმა", 23 აპრილის დადგენილებამ შეცვალა ოფიციალის თვალსაზრისი.

კრიტიკა ამ ნარკვევს თვლიდა სოციალიზმისკენ მობრუნების პუნქტად, აღიარებდა, რომ ავტორი სტოვებდა ოცნების ქვეყანას.

მაგრამ ბენიტო ბუაჩიძეს არც "უკრაინის თემიღი" მოეწონა და მას "სამრეკლოდან დანახული ქვეყანა" უწოდა.

ისე, კაცმა რომ თქვას, ამ ნარკვევში არც არაფერია ბოლშევიკური, თუ არ ჩავეჭიდეთ ორიოდე უხერხულ ფრაზას.

ალბათ ამიტომაც შეკვეცეს და დაამახინჯეს "უკრაინის თემიღის" რუსული თარგმანი, როგორც ეს ცხადყო გურამ ალექსანდრიამ, გაზეთ "ახალი ქუთაისის" რედაქტორმა.

16. 23 აპრილის შემდეგ

კონსტანტინე გამსახურდია მხატვრულად ლესავს თავის საბრძოლველ იარაღს მზარდი სოციალიზმისა და პროლეტარული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

მალაქია ტოროშელიძე, მოხსენება სსრკ მწერალთა პირველ ყრილობაზე 1934 წლის 20 აგვისტოს.

1932 წლის 23 აპრილის ცეკას დადგენილებით დაშალეს ვოაპი და რაპი და სასტიკად გააკრიტიკეს, ხოლო არაერთი აქტიური წევრი დახვრიტეს 1937-1938 წლებში.

ასე აფასებდა პარტია თავის ერთგულ შვილებს.

დაიწყო მზადება მწერალთა ერთიანი საკავშირო ორგანიზაციის შესაქმნელად. უპარტიო, შერისხული ინტელიგენცია სიხარულით შეხვდა ამ ახალ დადგენილებას. იმედი მიეცათ, ეგებ აწი მაინც დაგვანებონ თავიო.

ცხადია, ბოლშევიკებს ლიტერატურა პარტიული საქმის ნაწილად მიაჩნდათ და თავის ნებაზე არ მიუშვებდნენ. მაგრამ თვითმარქვიათა განუკითხავ თარეშს ბოლო მართლაც მოელო.

პარტიამ უფრო ზომიერი, თავდაჭერილი და ზუსტი კონტროლი დააწესა.

არსი არ შეცვლილა, ფორმა დაიხვეწა. მწერალმა უკვე ის მაინც იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

მწერალთა მესამე ყრილობა

1932 წლის 27 ივნისს მწერალთა სასახლეში გაიხსნა საქართველოს მწერალთა მესამე (საგანგებო) ყრილობა.

იგი გახსნა პანტელეიმონ ჩხიკვაძემ.

კამათში გამოსული კონსტანტინე სხვებთან ერთად მიესალმა 23 აპრილის დადგენილებას. მაგრამ 47 კაციან საბჭოში, რომელიც ყრილობამ აირჩია, მისთვის ადგილი არ აღმოჩნდა!

მწერალთა კავშირს ახალი თავმჯდომარე მოევლინა – მალაქია ტოროშელიძე, ძველი ბოლშევიკი და პარტიული მუშაკი.

მან შექმნა ის სტრუქტურა, რომლითაც ბოლომდე იარსება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა.

მანამდე კი, სილიბისტრო თოდრიას წასვლის შემდეგ, მწერალთა კავშირს ხელმძღვანელობდნენ რაპპელები – შალვა რადიანი, სიმონ წვერავა, პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

ისინი თითქოს მორიგეობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

მწერალთა "ფედერაცია" ისევ "კავშირად" აქციეს.

მსოფლიო რევოლუციის ანუ ფედერაციის იდეა ოცნებაში რჩებოდა. ამიტომ მოჩვენებითი დემოკრატიზმი შეცვალეს მკაცრი ცენტრალიზმით, ვერტიკალური სისტემით.

ასოციაციები ადრევე გააუქმეს და დაგმეს.

რაპუელთა კრაზი

23 აპრილისადმი მიძღვნილი პლენუმი მწერალთა კავშირმა 25-31 დეკემბერს გამართა.

გამოვიდა კონსტანტინეც.

მან ხელისუფლებისადმი უნდობლობის მთავარ მიზეზად პროლეტკულტელები დაასახელა. გაიხსენა ზაფხულში სამეგრელოში ყოფნის დღეები. გააკრიტიკა ისაკ სვანია და სხვები, რომლებიც მოითხოვდნენ მეგრულის სამწერლო ენად ქცევას.

მაშინ რამდენიმე გაზეთი გამოდიოდა მეგრულ ენაზე. ზოგიერთებს სურდათ სამეგრელოს ავტონომიის გამოცხადება, მაგ., ისაკი სვანიას – ზუგდიდის რაიკომის მდივანს (დახვრიტეს "დიდი ტერორის" წლებში).

საქართველო უკვე დანაწევრებული იყო ავტონომიებად. ახლა მათ უნდა დამატებოდა ახალი ერთეული, რაც მწერლის აღშფოთებას იწვევდა.

ამის გამო ისაკი სვანია კონსტანტინეს ფაშისტს უწოდებდა.

კონსტანტინე დარბაზშიც ბობოქრობდა, გამომსვლელებს რეპლიკებით საშველს არ აძლევდა. ერთს შეუძახა, მე სწავლა გავათავე, აწი უნდა ვწეროო...

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ რომ მსჯელობა წამოიწყო სოციალისტურ რეალიზმზე, მას იქვე "ტროიანული ცხენი" უწოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სოციალისტური რეალიზმი შემოპარებული იყო ლიტერატურის დასაღუპავად.

ახალი პერსპექტივა

მწერლის მხნეობის საფუძველი, გარდა 23 აპრილის დადგენილებისა, იყო ისიც, რომ კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საქართველოს ცეკას ჰყავდა ახლი ხელმძღვანელი – ლავრენტი ბერია, რომელიც, როგორც ჩეკას თავმჯდომარე, კარგად იცნობდა კონსტანტინეს წარსულს და უსაფუძვლო ბრალდებებს არ წაუყენებდა.

მას მწერალმა 1929 წელს წერილით მიმართა ქართული ენის მდგომარეობის გამო, თან შესჩივლა, კრიტიკით სული ამომხადესო.

ბერიას დაუმშვიდებია მწერალი, მაგათ სიტყვას რა ძალა აქვს, შენი საქმე გააგრძელო.

კონსტანტინე გერმანული ენის მასწავლებელი იყო მე-14 საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობდა ბერიას ვასი – სერგო (1934 წელს როგორც პედაგოგმა სიმონ ყაუხჩიშვილის თანაავტორობით გამოსცა გერმანული ენის VIII კლასის სახელმძღვანელო). ლავრენტი ბერია, როგორც საქართველოს ჩეკას თავმჯდომარის მოადგილე, იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი ინტერპარტიული ჯგუფისა და აგვისტოს აჯანყების განადგურებისა, რის გამოც სერგო ორჯონიკიძე საჯაროდ მადლობას უხდოდა და იძახდა – "გაუმარჯოს ბერიასო". მაგრამ ისიც მართალია, რომ ბერიას არ უნდოდა აჯანყება მომხდარიყო, რადგან იცოდა, რომ ჩაახშობდნენ, ხალხი კი ამოდ დაიღუპებოდა. ამიტომ ცდილობდა შეიარაღებული ჯგუფების შემორიგებას.

კონსტანტინე თარგმნიდა დანტეს, წერდა "გოეტეს ცხოვრების რომანს", გამოდიოდა მწერალთა კავშირის სხდომებზე (მაგ., სიმონ ჩიქოვანის პოეზიის, ქუთაისის გაზეთ "სიტყვა და საქმის" განხილვებზე და სხვ.).

პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა ახალი ძალით აღავსებდა, უნერგავდა მომავლის იმედსა და რწმენას.

1933 წელს გამოიცა კონსტანტინე ჭიჭინაძესთან ერთად თარგმნილი დანტეს "ჯოჯოხეთი". მაგრამ შემდეგ მეგობრები ერთმანეთს დაეუბრნენ და კონსტანტინემ მარტო გააგრძელა "ღვთაებრივი კომედიის" თარგმნა. განაწყენებულ კონსტანტინეს გადაკრულად უთქვამს კოლეგისათვის: – ზოგჯერ ბაირონს თარგმნის და მიკვირს,

ამის შემდეგ საკუთარი ლექსების წერას როგორ ბედავსო. ჭიჭინაძე ბაირონის მთარგმნელიც იყო.

– შენ და ლეო ხომ კითხულობთ სტენდალსა და ტოლსტოის, მოთხრობებისა და რომანების წერას რატომ არ ანებებთ თავსო, – ვალში არ დარჩა "რიონის აპოლოგიის" ავტორი.

ამის გამო ლადო ასათიანმა პაროდია დაწერა:

"სამიდან სამზე გულმოდგინედ ვთარგმნიდით დანტეს

ქართულ კულტურის მოამაგე ბერი კოწონი,

ვიმაჯაგანეთ, ვიმოდვაწეთ, ერთად დავანთეთ

დიდებულისა ქართულისა სიტყვის კოცონი.

მარჩბივთა ესე განვლეთ ბჭენი ჯოჯოხეთისა,

გვსურდა ერთობლივ აღმოგვეთქვა ანი და ჰოე,

გარნა ზნე ჩვენი ურთერთყოფნას ვერ შეეთვისა

და ნეტარება მარტოულად თარგმნაში ვპოვე".

კინოდრამა "ვარძიის საიდუმლო"

1925 წელს სიმბოლისტი ვანლერ დაისელი სატუსალოდან უთვლიდა კონსტანტინეს – "დიონისოს ღიმილი" კინორომანად გადააკეთეო.

კონსტანტინემ უპასუხა პოეტს, თუ იგი სცენარს დაწერდა, მოელაპარაკებოდა რესისორ ალექსანდრე წუწუნავას, თუმცა პირადად არ იცნობდა.

დაპატიმრებამ ეს საქმეც ჩაშალა.

1932 წელს განცხადებით მიმართა კინოფაბრიკას, რათა მისი სცენარის მიხედვით გადაეღოთ ფილმი – "ვარძიის საიდუმლო".

წარადგინა სცენარის გეგმა და განათლების სახალხო კომისრის ერიკ ბედიას სარეკომენდაციო ბარათი.

13 სექტემბერს სამხატვრო საბჭომ ჩოჩუას თავმჯდომარეობით გეგმა განიხილა და მოიწონა.

15 სექტემბერს ხელშეკრულება გაუფორმეს.

ჰონორარად განუწესეს ექვსი ათასი მანეთი.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს კინოფაბრიკის დირექტორმა ხაჩიძემ, მხატვრული განყოფილების გამგემ მიხეილ მგალობლიშვილმა და ავტორმა.

მაგრამ 1933 წლის 5 იანვარს ბესარიონ სლენტმა რამდენიმესიტყვიან დასკვნაში "ვარძის საიდუმლოს" უწოდა პოლიტიკურად მიუღებელი და ყოვლად გაუმართლებელი ნაწარმოები (ლიტ. და ხელ. ცენტრ. არქივი, ფ. 52, ად. 2, საქმე 122).

საინტერესოა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ, 11 იანვარს, ბესარიონ სლენტმა უკრაინის გამომცემლობას მიმართვა გაუგზავნა, რათა კონსტანტინეს წიგნები გამოეცათ.

უნდა ვიფიქროთ, რომ კრიტიკოსმა გულწრფელად დაიწუნა "ვარძის საიდუმლო".

კინოდრამას წერტილი დაესვა.

იგი შესულია ატომეულის X ტომში.

ასახავს ძველისა და ახლის ჭიდილს.

აქ უკვე გვხვდება სახელი შორენა, ქორსატეველას ნასოფლარი, მხატვარი.

ასე რომ, "ვარძის საიდუმლო" შეიძლება ჩაითვალოს "დიდოსტატის მარჯვენის" პირველმონახაზად.

კინოს გზა დახშული აღმოჩნდა.

"დიონისოს ღიმილის" მეორე გამოცემა

მწერლისათვის 23 აპრილის დადგენილების ერთ-ერთი სასიკეთო შედეგი ის იყო, რომ ცეკვას მხარდაჭერით მეორედ გამოსცა "დიონისოს ღიმილი".

მაგრამ ტირასის გავრცელება შეაჩერეს: გამომცემლობაში წერილი გამოგზავნა ბენიტო ბუაჩიძემ, ფაშისტური რომანი გამოგიციათ, სასწრაფოდ უნდა დაწვათო.

მეორე დღეს ცეკას განყოფილების გამგემ კარლო ორაგველიძემ დარეკა, ტირასი მთლიანად უნდა განადგურდესო.

გამომცემლობის დირექტორი ბარონ ბიბინეიშვილი, სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე ლიდა გასვიანი, ლიტერატურის განყოფილების გამგე ნიკოლო მიწიშვილი (სამივენი დახვრიტეს 1937 წელს) შემფოთდნენ.

მაგრამ ნიკოლომ გამოიჩინა მხნეობა, მივიდა ბერიასთან და მისგან განკარგულება მოიტანა რომანის გავრცელების შესახებ.

ბერიას რჩევით, წიგნს წარემძღვარა პლატონ ქიქოძის პასკვილი, რომელიც "მნათობში" იყო დაბეჭდილი, რათა გამომცემლობისა და ავტორის პოზიცია ერთმანეთისაგან გამიჯნული ყოფილიყო.

1933 წლის 16 დეკემბერს კონსტანტინემ წერილი გაუგზავნა კარლო ორაგველიძეს, ისევ მდევნიან, "კომუნისტიც" აგრძელებს უმართებულო კამპანიას, მუშაობის საშუალება არა მაქვსო.

ორაგველიძემ მკაცრად უპასუხა. მაგრამ კონსტანტინემ არც ეს ფაქტი მიაჩუმათა და ვრცელი წერილით გამოეხმაურა.

"დიონისოს ღიმილი" გამოვიდა.

ახლა ჰონორარი არ მისცეს.

მწერალმა თხოვნა დაწერა ცეკას მეორე მდივნის პეტრე აღნიაშვილის სახელზე და კუთვნილი თანხა აიღო.

რომანის ტექსტი არსებითად არ განსხვავდება 1925 წლის გამოცემისაგან.

ამოღებულია "პრელუდია", რომელიც შემდეგ ისევ აღადგინა ავტორმა, შეტანილია მცირეოდენი სტილისტური შესწორებანი.

"გოეტეს ცხოვრების რომანი"

1932 წელს, მარტის თვეში, მთელმა მსოფლიომ აღნიშნა უდიდესი გერმანელის – იოჰან ვოლფგანგ გოეთეს გარდაცვალების ასი წლისთავი.

არც საბჭოთა კავშირი ყოფილა გამონაკლისი.

კონსტანტინეს გულში ახალი ძალით აღდგა სიყვარული "ფაუსტის" ავტორისადმი, ვისი ვარსკვლავიც მთელი ცხოვრების მანძილზე მისი გზაგამკვლევია იყო.

სიჭაბუკიდანვე ესეებში სულ მის სახელს ახსენებდა.

1915 წელს თარგმნა ფრაგმენტი ტრაგედია "ფაუსტიდან".

"ილიონში" დაბეჭდა ესეე – "გოეთე თუ მისტიკოსი".

1928 წელს გამოსცა მონოგრაფია "გოეტე". მას წერდა სოლოვკის არქიპელაგზე. ხელნაწერი თბილისში გამოაგზავნა, მაგრამ გზაში დაიკარგა. ალბათ ჩეკამ ჩააგდო ხელი.

თბილისში რომ დაბრუნდა, განმეორებით დაწერა.

თარგმნა "ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი".

1932 წელს სახელგამმა შეუკვეთა ბიოგრაფიული რომანი გოეთეს ცხოვრებაზე (ჯერ თომას მანს არ დაეწერა "ლოტე ვაიმარში").

სახელმწიფოს ინტერესი და მწერლის გატაცება ერთმანეთს დაემთხვა.

წერა დაიწყო 1932 წლის მარტში. დაამთავრა მომდევნო წლის ივლისში. დასასრული დაიბეჭდა "მნათობის" VIII-IX ნომერში, ე. ი. ვიდრე მთელი ძალით გაშლიდა "მთვარის მოტაცებაზე" მუშაობას.

რომ არა გოეთე, ბიოგრაფიულ რომანს დროსა და ძალას არ შეაღებდა, თუმცა ამ სანრის უკეთესი ნიმუში ქართულად არ შექმნილა.

წიგნი ჩინებული სტილითაა დაწერილი.

სტილს კონსტანტინე ბედისწერას უწოდებდა.

ავტორი ირჩევს ესეისტურ მეტყველებას, რათა რომანულ თხრობას შეუერთოს დაკვირვება და მსჯელობა.

წიგნი დოკუმენტურ მასალას ემყარება, გოეთეს ბარათებს, თხზულობებს, სამეცნიერო გამოკვლევებს, საუბრებს ეკერმანთან.

რომანი ცალკე წიგნად, აკაკი ჭყონიას წინასიტყვიით, 1934 წელს გამოიცა (აკ. ჭყონია 1937 წელს კაბინეტში მოკლეს).

მწერალმა ახალი ნაშრომი ბარათთან ერთად ლავრენტი ბერიას გაუგზავნა, რომელსაც აინტერესებდა გერმანიის ისტორია და კულტურა (მისი ვასის აღმზრდელი იყო ბოლნისელი გერმანელი ქალი ელა ალლმენდინგერი).

მივლინება აფხაზეთში

1933 წლის 13 მაისს რომანის დასაწერად აფხაზეთში მიავლინეს. მწერალთა ხელმძღვანელობამ წერილიც გაატანა, რათა ადგილობრივ ორგანიზაციებს დახმარება აღმოეჩინათ.

მანამდე კი, 1931 წელს, სვანეთი მოიარა.

განმეორებით, 1934 წლის 14 თებერვალს ერთი თვით ისევ ითხოვა მივლინება აფხაზეთში და 1.500 მანეთი.

9 მარტს მისცეს ერთკვირიანი მივლინება და 1.000 მანეთი.

ეს მაშინ, როცა სავსებით უცნობ ავტორებს მწერალთა კავშირი გულუხვად ეხმარებოდა.

უკვე პროფესიონალი მწერლის ცხოვრებით ცხოვრობდა, თავს ჰონორარითა და ნადირობით ირჩენდა.

როგორც იმსამინდელ ერთ ანკეტაში უთითებს, თვეში დაახლოებით 500 მანეთი ჰქონია შემოსავალი, რაც საშუალო ხელფასს აღემატებოდა.

აფხაზეთიდან დაბრუნების შემდეგ, 16 ივნისს მწერალთა გაზეთში დაბეჭდა "მთვარის მოტაცების" დასაწყისი – "ერგვაშვა".

სინამდვილის პირისპირ

კონსტანტინე არ შეჰყავდათ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში, რედკოლეგებში, საგამომცემლო სისტემაში, მომხსენებლად არ ნიშნავდნენ.

მაგრამ შეეძლო თავისი ნაწერებისა და თარგმანების ბეჭდვა, დისკუსიებში მონაწილეობა, დროდადრო – წიგნის გამოცემა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, უთქვამს ჩვენს წინაპარს.

ასე მეტი დრო რჩებოდა ფიქრისა და ოცნებისათვის, სამოგზაუროდ და საწერად.

უსულო საბჭოთა სისტემაში ჩართვა მასაც მანქანად აქცევდა.

ოპოზიციონერობა აღარ შეიძლებოდა.

მწერალს უნდა დაენახა სოციალისტური ცხოვრების სიკეთე და "მოეკლა წარსულ დროებზე დარდი".

არადა – ქვეყანა მართლაც შენდებოდა.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი და განმტკიცდა ბოლშევიკური ხელისუფლება, პარტიის პროგრამის შესაბამისად დაიწყო ელექტროფიკაცია, სოფლის გარდაქმნა, კოლხეთის ჭაობების ამოშრობა, ინდუსტრიული ცენტრების მშენებლობა, გაგრძელდა განათლების პროპაგანდა, კულტურული მუშაობა, ცხოვრების პირობების მოწესრიგება, რასაც სოციალიზმის აშენებას ეძახდნენ.

მხოლოდ ამ კალაპოტში, ამ ასპარეზზე შეიძლებოდა მოქმედება.

კონსტანტინე გამოდიოდა მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიებზე (მიხეილ ჯავახიშვილის "არსენა მარაბდელის", სიმონ ჩიქოვანის პოეზიის, "ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ფინალის, მწერლობის, პროზის, თეატრის, ფორმალიზმისა და ნატურალიზმის საკითხების განხილვებზე).

წერდა სოციალისტური გარდაქმნის ამსახველ ნარკვევებს – "მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა" (სომხეთზე), "ნატახტარი", "თბილისის ზოოპარკი"...

ებრძოდა ისაკი სვანიას...

ეხმიანებოდა მიმდინარე მოვლენებს – "მეტეხი-ათენიუმი", "დავიცვათ კულტურის ძეგლები", "წელი მეთხუთმეტე", "ხორცშესხმული მისწრაფებანი"...

1936 წლის 8 სექტემბერს აირჩიეს პროზის ბიუროს წევრად (თავმჯდომარე მიხეილ ჯავახიშვილი).

დაუცხრომლად მუშაობდა, რათა თავისი პროზისათვის გზა გაეკაფა. მართალს ამბობდა ერთ პირად ბარათში, მე ალბათ სამარეში თუ მოვისვენებო!

ენობრივი რეფორმის გეზი

კონსტანტინე აგრძელებდა ბრძოლას ქართული ენის სიწმინდისა და სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვისათვის, რასაც ფორმალურად ცნობდნენ ბოლშევიკები.

"ქართული კულტურის დიქტატურაზე" უარი ათქმევინეს. ამიტომ ერთადერთი ენა შერჩა, კონსტიტუციურად აღიარებული, და "ენის დიქტატურა" გამოაცხადა.

თავგამოდებით იცავდა ქართულ ენას, მეტყველების სიწმინდეს, მოითხოვდა საქართველოში ქართულად ემეტყველათ, ქართული სიტყვისათვის მიენიჭებინათ მოდერნული, უნივერსალური სღერადობა.

სწუხდა, აფხაზეთის მეგრელი დელეგატი ქართველებს რუსულად გველაპარაკებო, ქართული მეტყველება კვლავ მახინჯდებო, ქართულ რაიონს რუსი პოეტის სახელს არქმევენო.

1934 წელს თავად ჩამოაყალიბა ენობრივი კონცეფცია, რომლის ერთგული ადრევე იყო, მაგრამ თეორიულად არ ჰქონდა წარდგენილი მკითხველისათვის ("ქართული ენის მაგისტრალური ხაზი", "სალიტ. გაზეთი", 1934, 24 მაისი).

მალაქია ტოროშელიძეს დისკუსია წამოეწყო ქართული ენის გამო.

მწერალმა ამ ვითარებით ისარგებლა.

გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ 1929 წელს მან და მიხეილ ჯავახიშვილმა დაიწყეს ბრძოლა ენის სიწმინდისა და დახვეწისათვის.

საერთოდ ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ენასა და სტილს, ებრძოდა სარგონულ და ჯურნალისტურ მეტყველებას. ენაც მიაჩნდა ნაციონალურ ბარიერად, რომელსაც დაცვა სჭირდებოდა. ხოლო მდიდარი და ძალმოსილი ენა ერის ღირსებასაც გადაარჩენდა.

მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილის ენობრივი გეზი უარჰყო, როგორც არაუნივერსალური. იგი იხევეს შორეული წარსულისაკენ, მერჩულეს იხსენებს და თვლის, რომ თანამედროვე მეტყველების ფუძე ძველქართული ენაა.

მწერლის აზრით, ქართული ენა წარმოშვა "ქართველურ და ლაზურ-მეგრულ კილოკავების შედეგებამ". ამიტომ მხოლოდ ქართლურ დიალექტზე მსჯელობა ზედმეტად და არასწორად მიიჩნია. იგი მიუთითებს შორეულ ძირებზე, კილოკავებსა და დიალექტებზე.

"მე აბსოლუტურად ვეწინააღმდეგები იმ რეფორმას, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ეწოდა. ასევე ვეწინააღმდეგები ენის გაიმერლების ტენდენციებს", შენიშნავს მწერალი.

იმერიზმების გამო აკრიტიკებს ნიკო ლორთქიფანიძესა და დავით კლდიაშვილს (რომელსაც "საყვარელ მწერალს" უწოდებს), ქართლიზმების გამო – სოფრომ მგალობლიშვილს, ნიკო ლომოურსა და მიხეილ ჯავახიშვილს, ხელოვნურობის გამო – გრიგოლ რობაქიძეს.

ასევე მცდარად მიიჩნევს ნეოლოგიზმების გავრცელებას (ელსმენი და სხვ.), რუსული სინტაქსით გატაცებას.

ენის ინტერნაციონალური სდერადობისათვის აუცილებლად თვლიდა ბერძნულ-ლათინური ძირის სიტყვების შემოშვებას, რომელზეც დაშენდა ევროპის კულტურა და ცივილიზაცია.

ამრიგად, თავისი მეტყველების საფუძვლად გამოაცხადა ძველქართული ენა, მეგრულ-ლაზური კილო და ანტიკური ლექსიკა, რომელთაც დაერთვოდა ცალკეული მარჯვე დიალექტური სიტყვები და ნეოლოგიზმები, თხზვის პროცესში სტიქიურად გაჩენილი.

მხოლოდ ასე შეიძლებოდა, ქართული ენა გამკლავებოდა რუსული ენისა და აზროვნების მოძალებას.

რა თქმა უნდა, კონსტანტინეს კონცეფცია ოფიცოზს არ ეპიტნავა და იმავე ნომერში უარჰყო იგი დავით დემეტრაძემ.

კონსტანტინემ ყური არ უგდო ხელისუფლების სიგნალებს, ცალკეულ მომურნეებს თუ უვიცებს – თავისი ენობრივი კონცეფცია კიდევ უფრო დააზუსტა და

გაშალა, არაერთხელ დაასაბუთა. ხოლო პრაქტიკულად განახორციელა "მთვარის მოტაცებამ", "ხოგაის მინდიაშ", "დიდოსტატის მარჯვენამ", "დავით აღმაშენებელმა".

მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად იტვირთებოდა ძველქართული ლექსიკითა და სინტაქსით, მეტად შემოჰქონდა მეგრული სიტყვათწყობის, წინადადებათა აგების წესი, რაც აღიზიანებდა ხელისუფლებას.

მოგეხსენებათ, გაღიზიანებული ბოლშევიკები როგორ იქცეოდნენ...

კონსტანტინეს ენობრივ პოზიციას არ იზიარებდა მიხეილ ჯავახიშვილი. იგი ეჭვით ეკიდებოდა ძველქართულ ლექსიკას, მეგრულ სიტყვებს, დასავლურ დიალექტებს. არც ენის სტილიზება მოსწონდა, როგორც რეალისტ მწერალს. თუმცა ორივენი ქართული ენის განახლებისათვის იბრძოდნენ, ფერშეცვლილი ქართული სიტყვის მოდელი სხვადასხვაგვარად წარმოედგინათ.

მიხეილს კონსტანტინეს ერთ წერილზე მიუწერია – "ქართული ენის მწვალებელი"!

ბიუროკრატის კედელი

მიუხედავად ხელისუფლებისადმი თანადგომისა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს ვერ ეგუებოდა და დისპუტებზე სამართლიანად ებრძოდა კიდევ.

მაშინ მწერალთა კავშირს განაგებდნენ პარტიიდან მოვლენილი ბოლშევიკები – მალაქია ტოროშელიძე, აკაკი თათარიშვილი, დავით დემეტრაძე, კანდიდ ჩარკვიანი, რომელთაც ნაკლებად ესმოდათ ლიტერატურის სპეციფიკა.

"როგორც კი ტოროშელიძე გადაათრის, სამდივნოს მართებდა დაუყოვნებლივ გადაეხალისებინა პრეზიდენუმისა და სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობა", ამბობდა მწერალი.

მალაქია ტოროშელიძე იყო ძველი ბოლშევიკი, 1928-1931 წლებში უნივერსიტეტის რექტორი, სხვადასხვა დროს – სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, იმელის დირექტორი, განათლების სახალხო კომისარი, 1932-1935 წლებში – მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

დახვრიტეს 1937 წელს.

"თუ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას... მწერალთა ორგანოები უკონტროლოდ ჩავაბარეთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ისევ ის ცხენები მოიგებენ დოღს, ვისაც ტოროშელიძე და პ. ქიქოძე ქოქავდნენ", აფრთხილებდა კოლეგებს.

პლატონ ქიქოძე იყო კრიტიკოსი, ფანატიკოსი რაპპელი, კონფლიქტური პიროვნება, რომელიც ერთხანს სალიტერატურო გაზეთს რედაქტორობდა.

დახვრიტეს 1937 წელს.

"სამწუხაროდ, ვერც ამხანაგმა თათარიშვილმა და ვერც სამდივნომ ახალი კვალიფიკაცია ვერ დაადგინეს და ბრალი იმისა არამართო მათ ედებათ, არამედ იმ უპრინციპო მწერლებსაც, რომელნიც პურმარილს, ძმაბიჭობას, "ჯგუფობრივობას" და ინტერესთა თამაშს აყოლილნი გადმოდგებიან ხოლმე ახალი ნაწერების კითხვის დროს და გუნდრუკს უკმევენ ხალტურას, უკეთუ იმისი ავტორი რომელიმე "საჭირო" პოსტზეა. სამარცხვინოა და სასაცილო ზოგიერთი ფაქტი კრიტიკოსების შესყიდვისა, მწერლის მიერ გამართულ ბანკეტებზე მისი ქება და მეორე დღეს მწერალთა კავშირის კულუარებში ჩურჩული და ღრეჭა", თითქოს დღევანდელობას ხედავსო, ისე ამბობდა.

აკაკი თათარიშვილი იყო განათლების სახალხო კომისარი, 1935-1937 წლებში მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

დახვრიტეს 1937 წელს.

"დ. დემეტრაძე ვიდრე პოსტიშევზე ლაპარაკობდა, მოსაწყენი ტონით ლაპარაკობდა, მაგრამ როგორც კი ჩემს დამუშავებაზე გადავიდა, უცებ გალამაზდა, თუმცა დემეტრაძე ისედაც "ლამაზია".

"არსად თქმულა, რომ სადაც წავალ ყველგან ვატარო დემეტრაძის აზრები", – სარკასტულად შენიშნავდა.

დავით დემეტრაძე იყო მწერალთა კავშირის პირველი მდივანი 1934-1937 წლებში.

დახვრიტეს 1937 წელს.

ცხადია, ნორჩი საბჭოთა ბიუროკრატიზმი მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა.

ცალკეულ პირებს იცილებდა ხელისუფლება, მაგრამ უკეთესნი არ მოდიოდნენ, რადგან ერთი სისტემა და იდეოლოგია ყველას ერთმანეთს ამგვანებდა.

ცეცხლოვანი, მგზნებარე გამოსვლებით კონსტანტინე არა მხოლოდ უნიჭოებსა და მედროვეებს ამხელდა, არამედ – იცავდა თავის თავსა და შემოქმედებით პრინციპებს. მისი გამოსვლის საფუძველი ყოველთვის იყო მწერლობა და ერის ბედი.

არცერთ ქართველ მწერალს არ გადაუტანია ამდენი თავდასხმა.

აღბათ, ბესო სლენტის გარდა, არცერთი ქართველი მწერალი არ მდგარა ასე დიდხანს ტრიბუნასთან. ასე იცავდა ქართული სიტყვის პრესტისს და საკუთარ ინდივიდუალობას.

პოლემიკური პათოსი

კონსტანტინეს გამოსვლები მეტწილად კრიტიკულია და პოლემიკური სულით აღსავსე. იგი მრავალ საკითხს ეხებოდა, მრავალ პრობლემას წამოჭრიდა, მაგრამ ბოლშევიკებს სხვისი ნათქვამი, თუნდაც სრული სიმართლე ყოფილიყო, არ სწამდათ.

მხოლოდ შემდეგ გაირკვეოდა, რომ კონსტანტინე არ სცდებოდა.

დღეს, როცა ვეცნობით მისი გამოსვლების სტენოგრამულ ჩანაწერებს, გოცება გვიპყრობს, რა უღმობელ რუტინას ებრძოდა იგი და როგორი ჭეშმარიტება არ ესმოდათ, ან სად ჰქონდა ამდენი ძალა...

სასოწარკვეთას მაინც არ ეძლეოდა.

"როცა თალაკვაძის "რომანებმა" წალეკეს ჩვენი ლიტერატურა, მე ერთი რეპლიკით გამოვიყვანე იგი სააშკარაოზე, არავინ დამიჭირა მხარი, სამაგიეროდ როცა თალაკვაძე დაიჭირეს, მხოლოდ მერმე აღმოაჩინეს, რომ იგი ხალტურისტი ყოფილა თურმე".

სევასტი თალაკვაძე წერდა რომანებს რევოლუციურ თემებზე.

იყო მწერალთა საბჭოს წევრი, სსრკ მწერალთა I ყრილობის დელეგატი.

დახვრიტეს 1937 წელს.

არც ცნობილი ოსტატების მიმართ იყო ლმობიერი, როცა საქმე პრინციპულ საკითხს ეხებოდა:

"მე თქვენ, პირადად ჩემო მიხეილ, პატივსა გცემთ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ თქვენ მეოცე საუკუნის ლიტერატურაში ცდილობთ შემოიტანოთ მეცხრამეტე საუკუნის ხალხოსნობის ნარჩენი. თქვენ უეჭველად დიდი დამსახურება გაქვთ ქართულ მწერლობაში, მაგრამ ხშირად ცდებით როგორც ოსტატი", უტევდა მიხეილ ჯავახიშვილს.

"ეხლა უნდა მოგახსენოთ კონსტანტინე ჭიჭინაძის ცხენოსნობისა და დემნა შენგელაიას მწერლობის გამო. მე დოღის ცხენზე ვჯდები. შეიძლება წამექცეს, მაგრამ ჭიჭინაძე ბელინსკის ქუჩამდის ვერ მივა ამ ცხენით. დემნა შენგელაია ვერ შეწვდება იმ ცხენს, რომელზედაც მე ვზივარ ქართულ ლიტერატურაში", – განაგრძობდა ჰეროიკულ სიტყვას.

პოლემიკურ გამოსვლებში ცნაურდება მისი უტეხი და ბობოქარი სული. პოლემოს ბერძნულად ომს ნიშნავსო და ისიც ომობდა.

ცხადია, კაცს, რომელსაც გამოვლილი ჰქონდა ჩეკას ციხეები, მუქარა და კრიტიკა ვერ შეაშინებდა.

მაგრამ ბოლშევიკური პრაგმატიზმი ხელოვნებას ესთეტიკური ან ნაციონალური კრიტერიუმებით არ აფასებდა. ბოლშევიკები, ლენინის მოძღვრების თანახმად, ლიტერატურას პარტიული საქმის ნაწილად თვლიდნენ. მწერალი ხელისუფლების იდეების ილუსტრატორი და პროპაგანდისტი უნდა ყოფილიყო. ამას ვინც რამდენად ნიჭიერად შეძლებდა, იმდენად აფასებდნენ.

სსრკ მწერალთა I ყრილობა

ამიტომ ნუ გაგვიკვირდება, რომ კონსტანტინე არ დასწრებია სსრკ მწერალთა პირველ ყრილობას (1934 წლის 17 აგვისტო – 1 სექტემბერი).

იგი დელეგატად არ აირჩიეს, არც გალაკტიონი, რევოლუციური ლექსებისა და პოემების ავტორი, უდიდესი პოეტი.

საქართველოდან მოსკოვს გაემგზავრა 30 მწერალი, მათგან 26 იყო ქართველი.

სტალინის ინიციატივით ყრილობამ წარმოაჩინა ქართული ლიტერატურა.

ქართველ მწერალთა სახელით მოხსენება წაიკითხა მალაქია ტოროშელიძემ.

ტექსტი ძირითადად ქართველი მეცნიერების მიერ იყო დაწერილი.

მალაქიამ კონსტანტინე რეაქციონერად გამოაცხადა, ძველი საქართველოს აპოლოგეტია, არისტოკრატიის დეგენერაციას აიდეალებსო, არქაისტული სტილი აქვსო. მაგრამ ახლა ცდილობს ჩვენსკენ შემობრუნებასო.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი სსრკ მწერალთა კავშირის ნაწილად იქცა, როგორც ეს ადრევე მოხდა პარტიულ იერარქიაში.

რესპუბლიკებს ნაციონალური ენის მეტი ყველაფერი წაართვეს და მოსკოვს დაუქვემდებარეს.

ნაციონალისტ მწერალს წითელი იმპერიის ცენტრში როგორ გაუშვებდნენ.

კონსტანტინე ასეთ იგნორირებას არაფრად აგდებდა.

დელეგატობა ისეთი რა იყო, რომ ყურადღება მიექცია.

იგი უფრო დიდ საქმეს აკეთებდა, ვიდრე საბჭოთა მწერლების კავშირად წოდებული ახალი დროის ბაბილონის გოდოლის მშენებლობაში მონაწილეობა იყო.

იგი წერდა "მთვარის მოტაცებას".

"მთვარის მოტაცების" დაწერის დრო

ახალ რომანზე 1926 წლიდან ფიქრობდა. მაგრამ არ იცოდა, როგორი სახე მიეცა. ჯერ ეს იყო კონსტანტინე სავარსამიძის ცხოვრების გაგრძელება, შემდეგ იგი შეცვალა "უშანგ ურდოელმა". ბოლოს "ევროპა გალიაში" დაარქვა. ესეც არ მოეწონა და თავი მიაჩნებდა. ამ თემას 1937 წელს დაუბრუნდა, მაგრამ წერა ისევ შეწყვიტა.

გადასახლებიდან ჩამოსვლის შემდეგ ნოველები გამოაქვეყნა. აგროვებდა მასალებს, რაც რომანისათვის გამოადგებოდა. მაგრამ ფული რომ ეშოვნა, თარგმანს მოჰკიდა ხელი.

ხალტურას ერიდებოდა.

შედეგების თარგმნას დიდი დრო და ენერგია სჭირდებოდა, რაც ქანცავდა, თითქოს სათქმელი არაფერი რჩებოდა.

სიცოცხლეს უწამლავდა გესლიანი კრიტიკა. ეს ჯერ თითქოს მართლაც კრიტიკა იყო, თუმცა მძულვარე და ღვარძლიანი, მაგრამ არავინ უწყოდა, კრიტიკის

სიგნალებს როდის იღებდა ყურად ხელისუფლება და მოიქცეოდა ისე, როგორც რაპპელები მოითხოვდნენ.

მხოლოდ 1933 წლიდან დაიწყო ახალი წიგნის წერა, რომელსაც "მთვარის მოტაცება" დაარქვა. უკვე თარგმნილი ჰქონდა დანტეს "ჯოჯოხეთი", ამთავრებდა "გოეტეს ცხოვრების რომანს".

ხანგრძლივ მზადებას, გადავადებას, ყოყმანს წერტილი დაუსვა რებეკა ვაშაძის დაღუპვამ. ფანტაზიაში ცოცხალ ლანდებად ამოძრავდნენ გარდასული დღეები, მოხდა ძალთა კონცენტრირება და დაწერა პირველი თავი – "ერგეაშვა", რომელიც 1933 წლის 16 ივნისს დაბეჭდა "სალიტერატურო გაზეთში".

1933 წლის 13 მაისს, როცა იგი მიავლინეს აფხაზეთში, ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ახალ რომანს "მთვარის მოტაცება" ერქმეოდა.

"გოეტეს ცხოვრების რომანის" პუბლიკაცია "მნათობმა" დაასრულა აგვისტო-სექტემბრის ნომერში და დაიწყო "მთვარის მოტაცების" ბეჭდვა.

რომანი როგორც იწერებოდა, ისე ქვეყნდებოდა "მნათობის" ფურცლებზე 1933 წლის შემოდგომიდან 1935 წლის მიწურულამდე.

საერთოდ არცერთი რომანის დასრულებული ტექსტი რედაქციისთვის არ წარუდგენია.

პუბლიკაცია დამთავრდა 1935 წლის №11-12-ში.

ასე რომ, მართლაც არ იცოდა, რას იზამდნენ მისი გმირები, როგორ დაამთავრებდნენ ცხოვრების გზას, როცა პირველ კარს სწერდა.

მეორე კარის დასრულების შემდეგ "მნათობი" გაგრძელებას ვეღარ აქვეყნებდა, რადგან ავტორს დაწერილი არ ჰქონდა.

უნდა გამოეჩინა მართლაც სატანური ნებისყოფა, რათა ასეთ რისკზე წასვლა შესძლებოდა.

შეუდარებელია სწორედ მესამე კარი, რომელიც რამდენიმე თვეში დაიწერა, მართლაც ზემთაგონებით.

ქართული პროზის ეს უდიდესი ძეგლი მწერალს ოთხჯერ გადაუწერია.

პარალელურად ბეჭდავდა ესეებს, ნარკვევებს, დადიოდა მივლინებებში, გამოდიოდა მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიებზე, კითხულობდა თავისი წიგნების კორექტურას, ეცნობოდა ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებას.

ხახმატელი ხევსური

1934 წლის აგვისტოში გიორგი გამყრელიძესთან და პაატა გუგუშვილთან ერთად ხევსურეთში იმოგზაურა, სადაც მთელი თვე დაჰყო.

დუშეთამდე გერმანე მგალობლიშვილის მიერ ნათხოვარი მანქანით ავიდნენ. სასადილოდ რესტორანს მიაკითხეს.

მაგრამ ერბო-კვერცხის მეტი არაფერი ჰქონდათ.

კონსტანტინემ 50 ერბოკვერცხი შეუკვეთა!

რესტორანში ატყდა მითქმა-მოთქმა, სამ კაცს ამდენ ერბო-კვერცხს რა აჭმევსო, ალბათ ბევრი ფული აქვთო.

დუშეთიდან ბარისახოსაკენ გზა ცხენებით გააგრძელეს.

კონსტანტინე ჯერ თავად გასინჯავდა ცხენს, შეჯდებოდა, გააჭენ-გამოაჭენებდა და შემდეგ შესთავაზებდა გიორგისა და პაატას.

მაგრამ გზაში ფათერაკი მაინც შეემთხვათ: მეგზური ლიქოკელი ჩაჩაური, ზორბა ვასკაცი, ტანმორჩილ ხევსურულ ცხენზე ამხედრებულიყო. ცხენი ცალთვალა აღმოჩნდა და ბილიკიდან არაგვში გადაიჩეხა.

მეგზური ძლივს გადარჩა.

კონსტანტინე ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა, ინიშნავდა, იწერდა ხევსურთა მეტყველებას.

ხახმატში, პურობაზე, გული გაუწყალა მასპინძელს, ამას რა ჰქვია, იმას რას ეძახითო.

ხევსურმა ვეღარ მოითმინა, რაც სუფრაზე ალაგია, ყველაფერს ერთად საჭმელ-სასმელი ჰქვიაო.

მოგზაურობა კონსტანტინეს ახარებდა, შუასაუკუნეების საქართველოში მივდივართო.

იარაღასხმული, ჯაჭვპერანგოსანი ხევსურები გაოცებით ათვალიერებდნენ ქალაქელებს. მოდიოდნენ ქალები, ბავშვები, მოხუცები.

ახალგაზრდებმა კეჭნაობა დაიწყეს.

კონსტანტინემ სურვილი გამოთქვა, მომეცით ხმალი და ფარი და ვინმესთან მაკეჭნავეთო.

ხევსურებს მოეწონათ ქალაქელის გულადობა.

მყისვე გადასცეს საუკეთესო ხმალი და ფარი, შეიძლება სულაც ჯვაროსნების ხელში ნაქონი.

სტუმართან ფარიკაობას ყველა ერიდებოდა. მაგრამ ბოლოს წიქამ წარსდგა ნაბიჯი.

წინა ღამეს იგი ლექსში გაჯიბრებოდა კონსტანტინეს და ახლა უნდოდა ხმალშიაც დაემარცხებინა.

ჯერ დაიჩოქეს, შემდეგ წამოხტნენ და ხმალდახმალ ეკვეთნენ ერთმანეთს.

აწკრიალდა ფოლადი.

დაისღრიალეს ფარებმა.

გარსმოჯარული სოფლელები იცინოდნენ. მაგრამ თანდათან გაფიცხდა, გაბრაზდა წიქა, საშიშრად შემოუტია.

მაშინ კონსტანტინემ მძლავრად შემოუქნია ხმალი და წიქას ფარი გააგდებინა.

ბავშვებმა სიცილი დააყარეს სირცხვილნაჭამ წიქას.

ხახმატელმა ეს იუცხოვა. ნაცვლად იმისა, რომ ფარიკაობა შეეწყვიტა, უცებ დასჭექა:

– გამაგრდი, ჯაბანო კახო!

ხევსური გახელებულ ვეფხვს ჰგავდა.

საფრთხე გარდაუვალი იყო.

კონსტანტინემ სწრაფად ამოიღო რევოლვერი და შესძახა:

– წიქა, გაჩერდი, თორემ გაგათავე!

პაატას ხელშიც იელვა რევოლვერმა.

შმაგი ხევსური ერთბაშად დაცხრა. შეიძლება მართლაც მასპინძლის ინსტიქტმა იმძლავრა მასში. ან იქნებ შეშინდა კიდეც.

სადამოს სტუმარ-მასპინძლები ერთად სცლიდნენ ლუდით სავსე ყანწებს, როგორც იხსენებს პაატა გუგუშვილი.

სჩანს, ხევსურეთში მოგზაურობამ მისცა ბიძგი "ხოგაის მინდიას" დასაწერად. ხოლო უფრო ადრე, როგორც კი თბილისში დაბრუნდა, გააგრძელა "მთვარის მოტაცების" წერა, სადაც ხევსურულ შთაბეჭდილებებს შეუნაცვლა სვანური გარემო.

ტრიუმფი

"მთვარის მოტაცება" 1936 წელს გამოსცა გამომცემლობა "ფედერაციამ" სამ წიგნად (პირველი წიგნის ტირასის ნაწილს აწერია 1935 წელი), ხუთი ათასიანი ტირასით.

პირველი წიგნი წარმოებას გადაეცა 1935 წლის 10 მარტს.

მხატვრობა ეკუთვნოდა ელენე ახვლედიანს.

იმავდროულად რუსულად ითარგმნა და სამივე კარი ერთ ტომად გამოიცა თბილისში (მთარ-გმნელი ბოდლო ემხვარი).

ამხელა წიგნის დაბეჭდვა "მნათობში", რომლის რედაქტორი იყო ცეკას მდივანი გიორგი ყურულაშვილი, შემდეგ ერთდროული გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე, მწერლის სახელის დიდი პროპაგანდა იყო.

როგორც ზვიად გამსახურდიასგან მსმენია, სამსახურიდან შინ მისულ ლავრენტი ბერიას მეუღლე – კონსტანტინეს პერსონასი ქალებივით ცისფერთვალა და ქერათმიანი ნინა გეგეჭკორი – უკითხავდა სურნალში დაბეჭდილ რომანს. თურმე ამ ურჩხულივით სასტიკ და ულმობელ პიროვნებას სიამოვნებდა რომანული ამბების, მეგრული და აფხაზური სახელებისა და ლეგენდების მოსმენა, ბავშვობის სამყაროსთან დაბრუნება.

თარაშის ბავშვობის მეგობარია გეგი ბერია, ლავრენტის მოგვარე.

სასიკვდილო გზაზე, ენგურისაკენ მიმქროლავ ემხვარს ახსენდება მზეგადასული ვასკაცები, მათ შორის – თემრაზ ბერია.

რომანის ფინალში ხომ პენსნიანი, ტანმორჩილი ცეკას ახალი მდივანიც გამოჩნდება.

ეს ხდება 1932 წლის აპრილში, როცა ბერია უკვე ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანიცაა.

წიგნი საყოველთაო აღტაცებას იწვევდა. მას სულმოუთქმელად კითხულობდნენ, ცალკეულ მონოლოგებს და ბარათებს იზეპირებდნენ. კოლეგებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ.

ეს ყოველივე ცნობილი იყო ბერიასათვის.

მან იცოდა, რომ "მთვარის მოტაცება" დიდი წიგნი იყო, თუმცა თავად არ წაუკითხავს და მხოლოდ მოსმენითა და ინფორმაციებით დაკმაყოფილდა.

რომანი იდეოლოგიურად გამართული ჩანდა – ასახავდა კოლექტივიზაციის პერიოდს, ძველისა და ახლის ჭიდილს, ძველი სამყაროს კვდომას, ბოლშევიკურ-ჩეკისტური ძალების გამარჯვებას.

ამიტომ აირჩიეს "რეაქციონერი მწერალი" საქართველოს კომპარტიის IX ყრილობის დე-ლეგატად 1934 წელს.

შეიძლება დიდი არა, მაგრამ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმასაც, რომ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე გერმანე მაგალობლიშვილი კარგად იცნობდა კონსტანტინეს.

ისინი ერთად სწავლობდნენ გერმანიაში, ლაიპციგში.

მაგალობლიშვილსაც მოსწონდა რომანი. ერთხელ სხდომაზე დაგვიანებია და მიზეზად "მთვარის მოტაცება" დაუსახელებია!

გერმანე მაგალობლიშვილი და გიორგი ყურულაშვილი დახვრიტეს 1937 წელს.

1936 წლის 13 ივლისს კონსტანტინე მიიღო ლავრენტი ბერიამ, რომელმაც სრული მხარდაჭერა აღუთქვა მწერალს. საუბარს ესწრებოდა ავესენტი რაფავა, შინსახკომის მოადგილე.

ამ ფაქტს კი ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა "მთვარის მოტაცების" აღიარებისათვის.

ტრიუმფალური იყო რომანის საჯარო განხილვა მწერალთა კავშირში, რომელიც ოთხი დღე გრძელდებოდა – 1936 წლის 27 და 29 სექტემბერს, 1 და 3 ოქტომბერს, ე. ი. მთელი კვირა.

სხდომა იწყებოდა საღამოს 8 საათზე და გვიან ღამით მთავრდებოდა. სასახლეში უსაშვოდ არავის უშვებდნენ. დასწრების უამრავი მსურველი მაჩაბლის ქუჩაზე იდგა და იქ იგებდა რა ხდებოდა დარ-ბაზში.

დისკუტი მოაწყო პროზაიკოსთა სექციამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა მიხეილ ჯავახიშვილი.

როგორც ითქვა, კონსტანტინე იყო ამ სექციის წევრი. მაგრამ უარი განაცხადა მუშაობაში მონაწილეობაზე, მწერალთა კავშირის მდივნები ჩემს იზოლაციას აგრძელებენო და ეს წერილობით აცნობა "ჯაყოს ხიზნების" ავტორს.

განხილვაზე მოხსენებით გამოვიდა ბესარიონ სლენტი.

იგი დიდ პროპაგანდას უწევდა ახალ რომანს:

ჯერ "მნათობის" პროზის განხილვისას ვრცლად იმსჯელა დაუსრულებელ "მთვარის მოტაცებაზე" (1935 წელი, 3 დეკემბერი), შემდეგ სტატიები დაბეჭდა "მნათობსა" და "ლიტერატურულ საქართველოში", წერილი დაურთო რუსულ თარგმანს, რომელიც "ზაკვიზმა" გამოსცა.

ახლა მოხსენებით წარუდგა საზოგადოებას.

ბესო სლენტს, როგორც ადრე, ისე გვიან, ბევრჯერ უთქვამს კონსტანტინესთვის ხან საქებარი, ხან სალანძღავი სიტყვა.

ზოგჯერ გიძნელდება კიდევ – მათ ავტორად ერთი კაცი მიიჩნია!

მაგრამ ალბათ ეშინოდა თავისი ფედერალისტური და ფუტურისტული წარსულისა, მფარველ ძალთა დაკარგვისა.

მას ჰქონდა კარგი მეხსიერება, გემოვნება, სხარტი აზროვნებისა და ზეპირმეტყველების უნარი, სიტუაციაში გარკვევის ალღო. ამიტომ ხელისუფლების ყოველ დირექტივას უყოყმანოდ ასრულებდა – კარგსაც, ცუდსაც.

სიბერეში თავად ამბობდა, რა ვქნა, ასე რომ არ მოვიქცე, მანქანას წამართმევენ, უმანქანოდ კი ვერ დავდივარო!..

მოგეხსენებათ, ბესო სლენტს ცუდი მხედველობა ჰქონდა.

ამჯერად, დისპუტზე, მისი გამოსვლა სავსებით ობიექტური იყო.

კამათში მონაწილეობდნენ – ლეო ქიაჩელი, ალექსანდრე ჭეიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ტიცინ ტაბიძე, კალე ბობოხიძე, დემნა შენგელაია, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, აკაკი გაწერელია, სერგო კლდიაშვილი, კარლო მელაძე, სიმონ ჩიქოვანი, მიხეილ ჯავახიშვილი, ალიო მაშაშვილი, დავით დემეტრაძე, ე. ი. ქართული მწერლობის თითქმის მთელი ელიტა.

კოლეგებმა ვრცლად ისაუბრეს რომანის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე. ზოგი წვრილმანებს ჩაეძია. ზოგმა ხაზი გაუსვა ავტორის ნიჭიერებას, ცოდნას, ხატვის უნარს. მთავარი მაინც იდეოლოგიური შეფასება იყო, რაც მრავალ ეჭვს აღძრავდა. მაგრამ ერთხმად აღნიშნეს, რომ მწერალი სტოვებდა ძველ პოზიციებს და საბჭოთა ცხოვრებას უახლოვდებოდა.

გამოვიდა თავად ავტორიც.

კათედრასთან იდგა სიცოცხლით აღსავსე მწერალი. იგი 45 წლისა იყო, მაგრამ თავის ასაკთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდა ჩანდა. ვერ გაეტეხა ვერც დევნასა და გადასახლებას, ვერც ჯოჯოხეთურ შრომასა და ღამეების თევას.

დისპუტის შეჯამების უფლებას ავტორს ხომ არ მისცემდნენ.

სიტყვა ისევ ბესო სლენტმა აიღო.

მან ლამის მეორე მოხსენება წაიკითხა, ისე ვრცლად ისაუბრა გამომსვლელებზე, დაგმო რომანის ხელალებით ქება. ამის გამო ალიო მაშაშვილი გააკრიტიკა. მოითხოვა დადებითი ასპექტის აღნიშვნა, მაგრამ კრიტიკული პათოსის შენარჩუნება.

ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი და სულ ბოლოს იმსჯელა აკაკი თათარიშვილმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ.

მან "იდეურ სიწმინდეზე" გაამახვილა ყურადღება.

დისპუტს დიდი გამოძახილი ჰქონდა. დამსწრეთა ნაკადს ისედაც ვერ იტევდა კავშირის მცირე კლუბი. ამიტომ 23 ოქტომბრის გაზეთის ორი გვერდი დაეთმო დისკუსიის მასალებს და დაერთო მწერლის პორტრეტი.

დისპუტის შემდეგ

ეტყობა, გაზეთის რედაქტორს დავით დემეტრაძეს ესეც ეცოტავა და დაბეჭდა აკაკი თათარიშვილის ვრცელი სტატია, რომელიც ოფიციალური თვალსაზრისის გამოხატავდა.

ხელისუფლება ისეც გულდასმით სწავლობდა რომანს, როგორც ღია, ისე ფარული ხერხებით. განხილვის პროცესში, გარდა მწერლებისა და კრიტიკოსებისა, ჩართეს მკითხველები, სტუდენტები, მოსწავლეები, საზოგადოების სხვადასხვა ფენები, რათა შეუმჩნეველი არაფერი დარჩენილიყო.

ამავე დროს სუკი აგროვებდა ინფორმაციებს, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო, და საბოლოო აზრს იმუშავებდა.

სჩანს, რაღაც სერიოზული ეჭვი ვერ დაემლიათ.

არავინ უარყოფდა, რომ "მთვარის მოტაცება" დიდი მოვლენა იყო. მაგრამ ხელისუფლებას აინტერესებდა იდეოლოგიური ახსნა, რამდენად მიესადაგებოდა იგი სოციალისტურ სინამდვილეს და შეიძლებოდა თუ არა ნიმუშად დასახვა.

ცხარე კამათს იწვევდა ის ფაქტი, რომ ბოლშევიკი და ჩეკისტი არზაყან ზვამბაია კლავს მამას.

მოგვიანებით მწერალი აიძულეს, რომ ეს ეპიზოდი შეეცვალა, მამისმკვლელობა უარეყო.

ოფიციალური დასკვნა ასეთი იყო:

მწერალი კარგად იცნობს მასალას, წერს ჩინებულად, სწორად აქვს შერჩეული თემა და გარემო. მაგრამ სიმპათიით უყურებს ძველ სამყაროს, ახალს კარგად ვერ გამოხატავს, ახალი ადამიანების სახეები მკრთალია.

"ნიანგმა" დაბეჭდა საინტერესო მეგობრული შარსი – კონსტანტინეს სურათი, რომლის ერთი ნახევარი აზიელი არზაყანია, მეორე ნახევარი – ევროპელი თარაში

(1936, №19), ე. ი. ავტორის ცნობიერება გაიყო ორ პერსონასად, რაც ამავე დროს გაორების გამომხატველიც იყო.

მართლაც – კონსტანტინე ძველ ჩვეულებებს ცხოვრებაში ვერ ელეოდა, მხოლოდ ხელისუფლების ინიციატივა არ აკმაყოფილებდა:

1937 წლის 13 იანვარს კონსტანტინეს მონაწილეობით მწერლებმა დააარსეს წიგნების შემსყიდველ-გამყიდველი არტელი "წიგნი". ამ გაერთიანებას მყისვე ეჭვის თვალით შეხედეს, ალბათ ნეპი თუ გაახსენდათ და ერთ კვირაში დაშალეს.

უნივერსიტეტში

"მთვარის მოტაცების" გარშემო დისპუტები გრძელდებოდა.

კონსტანტინე მიიწვია უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრემ, რომელსაც ვახტანგ კოტეტიშვილი ხელმძღვანელობდა.

დარბაზი აღტაცებით, ფეხზე მდგარი შეხვდა მწერალს.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ პროფესორები და სტუდენტები.

კითხულობდნენ ნაწყვეტებს რომანიდან.

შეხვედრა, ქართული წესისამებრ, ბანკეტით დასრულდა.

დიდება სტალინს!

ცეკას მიზნად ჰქონდა, კონსტანტინე თავისი იდეების რუპორად და მხატვრად ექცია. ეს ჯერჯერობით მიღწეული არ იყო. ამიტომ ისევ აკრიტიკებდნენ, ოღონდ ამხანაგურად, არა მტრულად, ასწავლიდნენ – რა სჯობდა, რა იქნებოდა უკეთესი, რომანი როგორ დაეწერა!

აძლევდნენ მივლინებებს (მაგ., კოლხეთის ჭაობის დაშრობაზე ნარკვევის დასაწერად – 1936 წლის 8 სექტემბერს), ფულად დახმარებას (12 დეკემბერს მისცეს ათასი მანეთი), წიგნებს უცემდნენ.

კონსტანტინე მეტს მოითხოვდა:

1935 წლის 6 ოქტომბერს მწერალთა კავშირს მიმართა – გამოეცათ მისი შვიდტომეული და გეგმაც წარუდგინა: I ტომი – ნოველები, II – "დიონისოს ღიმილი", III – "გოეტეს ცხოვრების რომანი", IV – "მთვარის მოტაცება", V – კრიტიკა, VI – გოეტეს "ვერტერი" და სხვა თარგმანები, VII – დანტეს "ჯოჯოხეთი".

მაგრამ მწერლის იდეა არ მოიწონეს.

შვიდტომეულის გამოცემა დაიწყო 10 წლის შემდეგ.

კონსტანტინე მხოლოდ დევნას და დამცირებას იყო მიჩვეული ხელისუფლებისაგან. ასეთი აღიარება, თანაც საყოველთაო, მას არ რგებია. ამიტომ ცოტა დაბნეულიც კი ჩანს საბოლოო სიტყვით გამოსვლისას, როცა პასუხს აძლევს მოკამათებებს მწერალთა კავშირში.

პატივისცემა, თანადგომა, პროპაგანდა გულქვა ადამიანსაც მოაღბობს.

მათრახისა და თაფლის პოლიტიკას ყველა ეპოქაში შედეგი მოჰქონდა.

თავადაც შენიშნავდა, პოლიტიკოსების წინაშე გენიოსებიც იდრიკებოდნენო.

კონსტანტინე მიესალმა სოციალისტურ გარდაქმნებს, გასაბჭოების ტრაგიკულ თარიღს ("წელი მეთხუთმეტე", "ლიტ. საქ.", 1936, 25 თებერვალი), სტალინური კონსტიტუციის პროექტს ("ხორცშესხმული მისწრაფებანი", იქვე, 2 აგვისტო), "ტროცკისტულ-ზინოვიევიური" ბლოკის განადგურებას ("მხოლოდ სიკვდილი გამოასწორებს", იქვე, 27 აგვისტო), განადიდებდა დიდ სტალინსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ლიდერს – ბერიას, "ნაცად ხელმძღვანელს", სხვებთან ერთად ხელს აწერდა მიმართვებს სტალინისა და ბერიასადმი, რომ სოციალიზმის მტრები უნდა გაცამტვერებულიყვნენ.

შეიძლება მაშინ ეს პათოსი გულწრფელი იყო, რადგან სტალინმა, ამ ქართველი მეჩექმის შვილმა, შეძლო შეუძლებელი, რკინით და სისხლით შეკრა უდიდესი იმპერია, დაიკავა რომანოვების ტახტი, შეცვალა საუკუნოებრივი ცხოვრების წესი.

სტალინი განასახიერებდა იმ ზეკაცს, რომელსაც მოელოდა გერმანელი ნიცშე და ეტრფოდა ქართველი მწერალი.

ბოლშევიკების საზარელ საქმეთა გამო ბევრი რამ უცნობი იყო. სტალინი მჩაგვრელთა რისხვად და ჩაგრულთა მამად ცხადდებოდა.

გარდა ამისა, არც სტალინს, არც ბერიას ჯერ არ ჩაედინათ თავიანთი უმთავრესი დანაშაულობანი.

ჯერ 1936 წელი იდგა.

სტალინის ხოტბას უკვე წაელეკა მთელი საბჭოთა კავშირი.

სტალინის განდიდებაში დიდი და პატარა ერთმანეთს ეჯიბრებოდა.

საყოველთაო დითირამბი, რომელსაც ჰქონდა საფუძველი, ურწმუნო თომასაც დააჯერებდა, რომ ქვეყანას კეთილი სასწაული მოევლინა.

მაგრამ ხელოვნებაში ბევრი რამ სტიქიურად, არაცნობიერად ვლინდება და "მთვარის მოტაცება" არ აღმოჩნდა სოციალიზმის აპოლოგია.

17. "მთვარის მოტაცება" –

ეპოქის დოკუმენტი

და შორს, ძლიერ შორს, ჭიუხებში,

ჰყივის ისევ შავი მამალი.

თარაშ ემხვარი, "მთვარის მოტაცება"

ერგეაშვას მღერის კაც ზვამბაია – ასე იწყება "მთვარის მოტაცება". ერგეაშვა მიქელგაბრიელის სიმღერაა. მას მღერიან "მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წყალში გაჭირვებულთა გასაგონად". იგი დალუპვის წინ აღმოხდება გულს, როგორც მოახლოებული განსაცდელის ამონაკვნესი. მაგრამ თურმე ეს გოდება მთელი ეპოქის კატასტროფის სიგნალიც ყოფილა, არა მხოლოდ ერთი თაობისა ან წოდებისა.

მოხდა ისე, რომ ოფიციოზი და მკითხველი საზოგადოებრიობა მეტი ინტერესით ეკიდებოდა ჯერ "დიდოსტატის მარჯვენას", შემდეგ – "დავით აღმაშენებელს". მაგრამ 70-იანი წლებიდან შეიცვალა დამოკიდებულება "მთვარის მოტაცებისადმი". დაიწერა ესეები და გამოკვლევები, დაიდგა სპექტაკლი, გადაიღეს ორსერიიანი ფილმი, შეიქმნა ოპერა. მაშინაც, როცა "დიდოსტატის მარჯვენა"

საზღვარგარეთ იცემოდა, მწერალი მთარგმნელებს სთავაზობდა "მთვარის მოტაცებას".

ოცნებას აღსრულება არ ეწერა – რომანი უცხოურად არ თარგმნილა. საქმის გამოსწორება უკვე გვიანია – წიგნი თავისი ეპოქის შვილია და ყოველ დროში როდი ექნება შესაფერი რზონანსი. დღევანდელი მკითხველი სხვა ინტერესით ცხოვრობს, სხვა იყო 30-იანი წლები, რომლის სული ქართულ მასალაში მოაქცია მწერალმა, ქართული განწყობილებითა და სევდით შემოსა. ახლა ამ რომანს უხდება არა მხოლოდ ენობრივი და ნაციონალური, არამედ – დროის ბარიერის დაძლევა. ეს შეუძლებელია იმ რუსული თარგმანით, რომელიც დიდად შორდება ორიგინალს და მის მშვენიერებას ოდნავადაც ვერ გვაგრძნობინებს.

"მთვარის მოტაცება" სკოლაში არ ისწავლება, ტომეულების გარეშე ცალკე წიგნად არ იცემა, თანაც – საზოგადოებრიობა ეცნობოდა შესწორებულ ტექსტს. 30-იანი წლების ქართულ სინამდვილეზე მსჯელობისას მოსწავლეები იფარგლებოდნენ ლეო ქიაჩელის "გვადი ბიგვათი" და კონსტანტინე ლორთქიფანიძის "კოლხეთის ცისკრით". მაგრამ თუ რეალურად როგორი იყო "სოციალისტური სოფელი", ამის გასაგებად სჯობდა "მთვარის მოტაცების" წაკითხვა. იგი არა მხოლოდ დიდი კულტურით, გემოვნებითა და ოსტატობით დაწერილი წიგნია, არამედ ტრაგიკული ეპოქის მატთანეცაა. შეიძლება გავოცდეთ კიდევ, როგორ დაიბეჭდა ეს რომანი მაშინ, როცა ინგრეოდა კულტურა და ეროვნული შეგნება. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ წიგნში ასახულ მეგრულ და აფხაზურ გარემოს, სახელებსა და გვარებს, სიმღერებს, ლეგენდებს, ადათ-წესებს იცნობდა ლავრენტი ბერია და იქნებ ამ გულქვა პიროვნებასაც ადამიანური გრძნობანი გაუღვიძა ბავშვობის დღეების გახსენებამ.

"მთვარის მოტაცების" ლირიკული და პათეტიკური ინტონაცია, რომელსაც კვებავდა ძველქართული მეტყველება, ნიცმეს სტილი, მეგრული სიმღერების სილბო, უახლოვდება გალაკტიონ ტაბიძის დიონისურ-აპოკალიპსური ეფემერების რკალს. რომანი აღსავსეა კონკრეტული და მშობლიური რეალიებით. მათ ზმანების ნისლეული ახვევიათ, რომელსაც ჩვენამდე მოაქვს უძველესი მითები, ლეგენდები და რიტუალები.

რომანის სიუსეტურ ღერძს და იდეურ პლანს ქმნის თარაშ ემხვარისა და არზაყან ზვამბაიას ურთიერთობა და ფარული კონფლიქტი, როგორც ორი მსოფლმხედველობის, ორი ძალის სიმბოლოთა შეჯახება. ისინი იბრძვიან ერთი ქალის – თამარ შარვაშიძის დასაუფლებლად. შემდეგ მას შეენაცვლა მეორე ქალი – ლამარია. ამ გარეგნული ფაქტების მიღმა და შიგნით ბობოქრობს მთელი ცხოვრება,

სასტიკი და მშვენიერი, დროის ულმობელი ტვიფრით აღბეჭდილი. ანტიკური ბედისწერა აქ პოლიტიკად არის ქცეული და იგი განაგებს ადამიანთა ცხოვრებას, მიჰყავს ისინი გამარჯვებისა და დაღუპვისაკენ.

თარაში (თავადი) და არზაყანი (გლეხი) ერთად გაიზარდნენ, ერთი ქალის ძუძუს სწოვდნენ. მაგრამ სწორედ დედის ძუძუსთან წაიკიდნენ. სატანურმა დრომ ისინი არათუ შეარიგა, არამედ კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს. ორივენი სულში გაფოთლილ ძალაუფლების ნებას, ამ ფარულ ძალას ემორჩილებიან. ოღონდ ერთი თუ ღელვას გზას ვერ უძებნის და შინაგანად იფიტება, ჰკარგავს სიცოცხლის უნარს, მეორე – ახდენს მის რეალიზებას. ერთი ამთავრებს გვაროვნული ისტორიის სახელოვან მატთანეს, მეორე – იწყებს და საერთოდ – თარაში და არზაყანი ერთი გეოგრაფიული და ფსიქიკური გარემოდან ამოზრდილი კონტრასტული წყვილია. ამიტომ ერთმანეთისაგან ცნობიერად დიდად განირჩევიან, ხოლო არაცნობიერად – ემსგავსებიან.

არზაყანის უნდობლობა მამისადმი გამოიწვია ახალმა სოციალურმა გარემომ, თარაშისადმი – შარვაშიძის ქალის ტრფიალმა. თამარი ხომ მღვდლის ასულია, რომელიც ახალ ძალას უნდა ერგოს, როგორც ნადავლი. არზაყანი არის შურისმაძიებელი, დამმორჩილებელი, რომელიც თვითდამკვიდრებას ელტვის და ეს ვლინდება სიყვარულშიც. არზაყანს მეომრის მამაცი სული უდგას, ტყვიასავით პირდაპირია და უშიშარი. ინცესტით (კაცის სიზმარი) და მამის მოკვლით მან საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ძველ ცხოვრებასთან, თავისი რუბიკონი გადალახა. ხოლო თარაში ინტელიგენტია, მჭვრეტელი და მეოცნებე, ფიზიკურად ჯანსაღი, მაგრამ მელანქოლიით სნეული, "უდროობის გმირი".

თარაშის შორეული წინაპარი – ვარდან ჰემუხვარი ხმლით იპყრობდა კარნუ-ქალაქს, რისთვისაც თამარ მეფემ უბოძა სამკვიდრო ეგრის წყლიდან კილასურამდის. მაგრამ იგივე ვარდანი დაწყევლა კათალიკოსმა ფსალმუნის ასდამერვე ლექსით, ისევე როგორც 700 წლის შემდეგ ტარიელ შარვაშიძემ – ვარდანის უკანასკნელი შთამომავალი. ასე რომ, ემხვარების დასაბამი და დასასრული წყევლით არის დადაღული. მათ გვარს საუკუნეების მანძილზე სდევს არა მხოლოდ მეომრული სული, არამედ – წყევლით მოგვრილი ნევროზი და მელანქოლიაც. თარაშის იდეალია ბიძამისი – მარტოღმთენილი ერამხუტი, ვინც შამილს შველოდა და ხმლით ებრძოდა რუსთ ხელმწიფეს.

თარაშ ემხვარის სული წარმართული სიხარულითაა აღვსილი, ეტრფის წმ. გიორგის, რომლის სახელქვეშ ძველქართული მთვარის ღვთაება იგულისხმება. წმ.

გიორგი იყო გამოსახული ფეოდალური საქართველოს დროშებზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბზე, მის სახელზე აშენდა უამრავი ეკლესია. მთვარის მოტაცება იმასაც ნიშნავს, რომ ენგურმა (ერთის მხრივ – რევოლუცია, მეორეს მხრივ – აქერონტი) ჩანთქა მთვარე – წმ. გიორგი, ე. ი. ემხვარმა დაკარგა დამოუკიდებელი საქართველო, წარმართულ-ქრისტიანული წარმოდგენებით აღსავსე – სიცოცხლის მთავარი მიზანი.

თარაშმა თითქოს აირჩია "გზა სტალინისა". მაგრამ ბოლოს აღიარებს, რომ ვერც ფაშისტებს მიემხრო და ვერც კომუნისტებს, ალბათ იმიტომ, რომ ორივენი ბარბაროსები იყვნენ (თარაშიც შორეული ძირებისაკენ ილტვის, მაგრამ მისი იდეალია ელინური კულტურა და ცხოვრების წესი). ცნობიერი მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ უნივერსიტეტმა დაუწუნა გამოკვლევა – "კოლხური ფეტიშიზმისათვის", როგორც თანადროულობისათვის მიუღებელი, ე. ი. მისი ცოდნა, კულტურა სოციალისტურ სახელმწიფოს არ სჭირდებოდა. ემხვარს უხარია, რომ ძლიერდება საბჭოთა საქართველო (თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ რადიოინფორმაციას ისმენს მას შემდეგ, რაც ყელგამოჭრილი ბიძამისის – ნოშრევან ფარჯანიანის ბინა დატოვა, ე. ი. ერთმანეთს ერთვის სისხლი და აღმშენებლობა). მაგრამ ცივილიზაციის ეშინია, ფიქრობს, რომ ეს არის დიდი ერის ექსპანსიის ნიღაბი, რომ ცივილიზაცია გაასწორებს მთასა და ბარს, წაიშლება ეროვნული ნიშან-თვისებანი, არა მხოლოდ საზღვრები და ის, რაც ვერ გაკეთდა ცარიზმის მიერ, აღსრულდება რუსი კომუნისტების ხელით.

ამიტომ ეტრფის პატრიარქალობას, სვანეთის პირველყოფილ ბუნებას, ადათ-წესებს, ლეგენდებს, ქორა მახვშის კლანს. მაგრამ ლალუმების გრიალით მოდის სისხლისფერი სამი და თარაში სვანეთშიც ვერ ჰპოვებს შვებას. ის ყველგან ზედმეტია, ყველგან მესამე. ცოლი არ შეურთავს, ვერც ერთმა ქალმა მისგან ჩასახული ბავშვის შობა ვერ შეძლო, სამეცნიერო ნაშრომი დაუწუნეს და ცეცხლს მისცა და მესამე – სიკვდილის გზას დაადგა (იგი ხომ ყოველთვის უარყოფდა კაპიტალისტურ სამყაროს).

თარაშს უსაზღვროდ უყვარს ქართველი ხალხი, ძველი საქართველო. ამიტომ იხევს შორეული წარსულისაკენ, წმინდა და ძლიერი ძირებისაკენ. ახარებს ბერძნულ კულტურაზე მუსაიფი, პლატონს ეტრფის მისი წარმართული სული, გმობს ქრისტიანობას, ქრისტეს ჯვარს. კოლხური ფეტიშიზმის კვლევით მსოფლმხედველობრივ საწყისებსაც იმაგრებს, რაც ანიმისტურ, მითოსურ, პაგანისტურ წარმოდგენებს ეფუძნება.

თარაშს ორი ძლიერი ვნება აქვს – პოლიტიკა და ქალი, რაც არაცნობიერ ფსიქიკაში ერთდება, როგორც ძალაუფლების ნება. ადრე ელლენ რონსერს ეტრფოდა, ხიბლავდა ამ ქალის სიმშვენიერე და არისტოკრატიზმი. მაგრამ მათ შორის ჩადგა სამშობლო და დედა. შემდეგ თამარ შარვაშიძე შეუყვარდა. მაგრამ თუ თარაში ევროპას გამოექცა და ცივილიზაციით იყო მოქანცული, თამარი ახლა უნდა ზიარებოდა თანამედროვე ცხოვრებას. ემხვარი მას წარსულისაკენ ეზიდება. მაგრამ თამარს ისტორია არ უყვარს, არ ესმის გარდასული დროის რომანტიკა. ამდენად – დრომ და საგნებმა გათიშეს ისინი.

ბოლოს თარაშმა სვანი ქალის – ლამარიას შერთვა მოინდომა. მაგრამ ლამარია ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლიკაა და იგი უხეშ, მტკიცე არზაყანს აირჩევს და არა ცივილიზაციით გაფაქიზებულ, ე. ი. დასუსტებულ ემხვარს, რომელსაც სწყურია ხელახალი გაბარბაროსება. უკანასკნელ გზაზე იგი მისმა პუძუმტემ – არზაყანმა გაამგზავრა, თავისივე საყვარელი არაბიათი.

ამ ორი პიროვნების შუღლი, განსხვავებული ფსიქიკა და ტემპერამენტი, ცნობიერება და ხასიათი ნაჩვენებია ნაირგვარი ხერხებით. მწერალი თავის თვალსაზრისს გვისაბუთებს მითოსური და ისტორიული ალუზიებითა და პარალელებით, სიუსეტის ლოგიკური მდინარებით, არქეტიპების, ტოტემებისა და ჰიპოსტასების სისტემათა თხზვით, რითაც ცნობიერის ფსიქოლოგიზმს ერთვის არაცნობიერის ფსიქოლოგიზმი, ხატვა იქცევა აზროვნებად.

მწერალმა სწორად გაიაზრა ბოლშევიკ არზაყან ზვამბაიას ხასიათი, ძლიერი ნებისყოფა, ფანატიკური ერთგულება პარტიისა და სტალინისადმი, სისასტიკე და პირდაპირობა, სწრაფვა ცივილიზაციისა და განათლებისაკენ. მაგრამ არზაყანი აღმშენებელი არ არის. იგი დამანგრეველია. მისთვის ჯერ ძველი ყოფის დასამარებაა მთავარი. ამიტომ მსახურობს ჩეკაში, დასდევს და ხოცავს ყაჩაღებს, ჰკლავს მამას და წილს დაიდებს ქორა მახვშის, თამარისა და თარაშის დაღუპვაში. ასეთი მტკიცე, ძლიერი და თავზეხელაღებული კომუნისტები იცავდნენ პარტიის ინტერესებს, მაგრამ აშენება უჭირდათ. მისთვის ისტორია დღევანდელიდან იწყება, თარაშისათვის კი დღეს მთავრდება. ამიტომ ძველ მორალსა და ზნეობასაც უარყოფს. შემზარავია შიშველი იდეის კულტი, ადამიანურ ღირსებათაგან განმარცვა, ტოტალური ეგოიზმი. სვანეთიდან ჩამოიტანა თავის მიერ "დევის ქვაბში" მოკლული მამის ძვლები, სახლში შევიდა, ხურჯინი დააგდო და ძაბული ძალათი დაიმორჩილა. არ შეაკრთო იმან, რომ იქვე ხურჯინში მამის ძვლები ეწყო.

ლუკაია ევედრება არზაყანს, რათა ახალგაზრდებს აუკრძალოს ღმერთის გამასხარავება, ისე ევედრება "თითქოს არზაყან სტალინი ყოფილიყო". "ქრისტეს მიერ რეგენი" ლუკაია ყველაზე კარგად მიხვდა, რომ არზაყანი არა მხოლოდ სტალინის ერთგული მიმდევარია, არამედ – პატარა სტალინიც არის, რომლის გზა დიქტატორობისაკენ მიდის, ამიტომ გადაჰყავს იგი "ცეკას ახალ მდივანს" (იგულისხმება ლ. ბერია) ცენტრში, ე. ი. ცენტრალურ კომიტეტში. არზაყან ზვამბაიას წინაშე ახალი პერსპექტივა გადაიშალა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი კიდევ უფრო ფანატიკოსი სტალინისტი გახდება და თავის წვლილს შეიტანს მომავალ ტრაგედიაში. ჭაბუკი ზვამბაიასათვის ხომ მიზანი ამართლებს საშუალებას და ძალა განსაზღვრავს სიმართლეს!

ჯერჯერობით კი არზაყანის ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ მოკლა თავისი ღმერთი – მამა, ძველი სამყაროს სიმბოლო, პატრიარქალობის მოძულემ სტიქიურად გაიმეორა ბარბაროსული წესი (შდრ. – სტალინის სიძულვილი მამისადმი), ე. ი. არაცნობიერად ის უფრო ახლოა უძველეს სამთან, ვიდრე თარაში! თარაში უფრო გლოვობს კაც ზვამბაიას, ვიდრე არზაყანი, რადგან თარაში მამის ერთგული შვილია, ხოლო არზაყანი – ახალი ღვთაების ხატება, რომელმაც ძმების სახელით გასწირა მამა (შდრ. – სოციალ-დემოკრატების მიერ ილია ჭავჭავაძის მოკვლა, ბოლშევიკების მიერ ნიკოლოზ II-ის ოჯახის ამოწყვეტა).

ინცესტიც ძალაუფლების სიმბოლიკაა, აკრძალულის გადალახვა, გზა მშობელი დედის დაუფლებიდან მშობელი მიწის დაუფლებამდე (გავიხსენოთ იულიუს კეისრის შემზარავი სიზმარი რუბიკონის გადალახვის წინა ღამეს და მას შევუფარდოთ საქართველოს 1921 წლის ტრაგედია).

მეზირის მოკვლას თარაშიც ესწრება და თავისი პასიურობით მკვლელობის მონაწილე ხდე-ბა. ამიტომ ისიც გარბის სვანეთიდან. მოშულლარი ძმები ერთად ჩაიდენენ დანაშაულს, რადგან მითოლოგიურად მამის წინააღმდეგ ძმები ერთად იბრძვიან. მაგრამ როგორც კი მამას მოცილებენ, შემდეგ ერთმანეთს დაერევიან, რადგან მამის ადგილი უნდა რამდენიმე ძმას. ძმათა შუღლი ტრაგიკულად უნდა დამთავრდეს და ერთმა შეცვალოს მამაღმერთი. თანასწორთა შორის იწყება ბრძოლა ერთის გამოსავლენად, ახალი ბელადის, მამის, უფალის დასამკვიდრებლად (შდრ. – სტალინის ბრძოლა აბსოლუტური ძალაუფლებისათვის, ძველ თანამებრძოლთა და თანამოაზრეთა განადგურება). თარაშიც მაშინ გაამგზავრა სასიკვდილო გზაზე არზაყანმა, როცა კაც უკვე აღარ იყო ცოცხალი. ასპარეზი დარჩა არზაყანს, რომელმაც გაიმარჯვა, ცოლი შეირთო და ცხოვრების წარმმართველ ძალად იქცა.

დამარცხდა თარაში, ელინური მზის მოტრფიალე, მრავალი ენისა და კულტურის მცოდნე, 1921 წელს ევროპაში გადახვეწილი, დამარცხებულ სამშობლოზე დარდით გულმოკლული. გაიმარჯვა არზაყანმა, ვინც მაუზერით ამკვიდრებს ახალ ცხოვრებას, უარყოფს მრავალსაუკუნოვან ადათ-წესებს, მორალს, ზნეობას, სამშობლოს გრძნობას, ვისთვისაც მთავარია ძალაუფლება, ხოლო განათლებას შემდეგ ეზიარება (შდრ. – არზაყანის მაუზერი, ჩექმები, ცხენი, გიმნასტურა, თარაშის – კალამი, კოსტუმი, მელონის ქუდი, ჰალსტუხი).

არზაყან ზვამზაია არის კომუნისტის (ბოლშევიკის) სიმბოლური და კრებადი სახე. ამიტომ არის იგი კომკავშირელი, პარტიის წევრი, ჩეკისტი (ლენინის ერთი თეზისის თანახმად, ყველა კომუნისტი უნდა ყოფილიყო ჩეკისტიც და ეწერა "დანოსები"). ხოლო სიმბოლურად განასახიერებს კენს, ოიდიპოსსა და კეისარს, ე. ი. თავის ბუნებაში აერთებს მათ ცოდვასა და უმძიმეს დანაშაულს.

კულტურასა და ეროვნულ შეგნებას სპობს მოზეიმე ბარბაროსული ძალა – კომუნისტური იდეოლოგია. ასეთია რომანის მთავარი იდეა. ეს არის წიგნის ძირითადი პათოსი.

მწერალმა იგრძნო აპოკალიპსური კატასტროფის მოახლოება, ამიტომ როცა ეს ნამდვილად მოხდა, მოითხოვეს რომანის კორექტირება. ამოიღეს კაცის ინცესტური სიზმარი, მამისმკვლელობის სცენა, სტალინის შედარება ნაპოლეონთან და ასე დაბეჭდეს 1947 წელს (შდრ. – ს. ეიზენშტეინის ფილმი "ბესას მდელო" გაანადგურეს, რადგან მთავარი გმირის პროტოტიპად პავკა მოროზოვი დაინახეს). შემდეგ ეს ტექსტი დაკანონდა. ლიტერატორთა მოთხოვნა ყურად არავინ იღო.

გარდა არზაყანისა, რომანი სხვა კომუნისტებსაც გვაცნობს. ესენია – არლან არენბა, ჩალმაზი და როსტომ ლიჩელი. არლანი ძველი ბოლშევიკია, რომელიც წარსულით თავმომწონეობს. იგი მკაცრია და უხეში. სწორედ მისი ბრძანებით გადასწვეს დურიპშის ხუთასწლოვანი მუხა, მოსპეს ტოტემი და ამით სიმბოლურად მშობელი ხალხის განადგურებაც დაიწყეს. არლანიც უბედურების მომტანია მომმეთათვის, არც იგი ერიდება სისხლსა და ნგრევას. მაგრამ თუ არზაყანმა არ იცის კომპრომისი, არლანი პირად კეთილდღეობაზე ზრუნავს, ინტრიგების ქსელს ხლართავს, ცოლად ირთავს ნათავადარ გვანჯ აფაქიძის ასულს. მას უკვე დავიწყნია თავისი რევოლუციური წარსული, ის იდეალები, რისთვისაც თავს სწირავდა. ამიტომ ებრძვიან არლანს არზაყანი, ჩალმაზი და როსტომი. თუ 30-იანი წლების პოლიტიკურ ტერმინოლოგიას გავიხსენებთ, მაშინ არლანი უნდა მიეკუთვნოს ე. წ. "ტროცკისტულ-ზინოვიევიურ ბლოკს", ხოლო ჩალმაზი და როსტომი – ლენინელებად

მივიჩნით. სუბიექტურად ისინი თავიანთი ცხოვრების წესით, მოქმედებით, შეხედულებებით სიკეთესა და რწმენას ემსახურებიან. სხვა საკითხია – რამდენად ადამიანურია იდეალები, რომელთაც ფანატიკურად ერთგულობენ.

როსტომი ნიკოლოზი დროს გადასახლეს, მენშევიკებმა დაიჭირეს, დენიკინთან ბრძოლაში მარჯვენა დაკარგა, ახლა არლანმა მოხსნა. ამიტომ ამბობს გულგატეხილი დედა: "მე არ ვიცი, ჩვენი დრო რომელია, ნანასქუა?" ეს კითხვა, ისევე როგორც სხვა მრავალი, უპასუხოდ რჩება. მაგრამ თავად მკითხველმა უნდა შეაფასოს მოვლენები, გამოიტანოს დასკვნა, თუ რა ნაყოფი გამოიღო ვითარების დრამატიზებამ, რეპრესიამ და შიშმა, ადამიანის ფსიქიკისა და ცნობიერების გადაკეთების პროგრამამ.

კონსტანტინე გამსახურდიასათვის კომუნისტი ერთმნიშვნელოვანი ცნება არ არის. იგი ამჩნევს განსხვავებულ ტენდენციებს (თუმცა 1933-1935 წლებში ჯერ კიდევ სრულად არ იყო გამოვლენილი ბოლშევიზმის სატანური არსი და ინტელიგენციასაც ყალბი წარმოდგენა ჰქონდა მასზე). იმასაც ხედავს, რომ ტროცკისტ არლანისა და კოლექტივის მოძულეთა დათრგუნვის შემდეგ ძალაუფლებისაკენ ერთად მიიწევენ ლენინელი ჩალმაზი და სტალინელი არზაყანი. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი სხვადასხვა თაობას ეკუთვნიან. მალე "ტანმორჩილი, პენსნიანი" კაცი საქართველოში აღასრულებს ბელადის ნებას და გაანადგურებს ლენინურ გვარდიას, მათ, რომლებიც 1921 წლის თებერვალში წითელი რუსეთის ჯარებს შემოყვნენ, ე. ი. არზაყანმა უნდა მოკლას ჩალმაზი ანუ ერთ ბოროტებას მოსპობს მეორე ბოროტება, უფრო სასტიკი და საზარელი.

"მთვარის მოტაცებაში" მოქმედება იწყება 1931 წლის აპრილში და მთავრდება 1932 წლის აპრილში. დასაწყისი და დასასრული უკავშირდება 23 აპრილს, წმ. გიორგობას. ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული მთლიანი კოლექტივიზაცია. კოლექტივის წინააღმდეგი არიან ძმები ტარბები, გვანჯ აფაქიძე, ლომკაც ესვანჯია, კაც ზვამზაია, ფაქტიურად საზოგადოების ყოველი ფენა, ცხადია, გარდა კომუნისტებისა. წიგნი კომუნისტებისადმი სიძულვილი და ტერორი ამ ფაქტსაც უკავშირდება. გავიხსენოთ კაც, არზაყანის მამა: "ბლუზიანი და კეპიანი ხალხი უნდა ამოწყდეს"; "ორივენი გადით ჩემი სახლიდან, წადით კოლექტივის ძროხები მწყემსეთ, იცოდეთ ნემსსაც არ გაგატანთ"; "ტფილისი საერთოდ სძაგდა კაცს. გაზეთები და წიგნები იქედან მოდისო, სოციალისტები, აჯანყება და ტიფიც იქ იწყებო პირველად, ტფილისში არიანო უღმერთოები და საკატორლო ხალხი", "სოციალისტები და ქვეყნის დამცველები". კაც არასოდეს ახსენებდა "ბოლშევიკს", ე.

ი. "ბოლშევიკი" მისთვის ტაბუირებულია, როგორც უხსენებელი (შდრ. – გვანჯის, ტარიელის, ქორა მახვშის სიტყვები).

არზაყანი მაინც შევიდა კოლექტივში. ამ ამბავმა მამაშვილი გაჰყარა. "არზაყანს სამზადი ერგო და ეზოს ნახევარი". ცხენის წასაყვანად მისული მილიციელი ასე ეუბნება ზვამბაიას: "მებრალეზიო, სულო, მე კარგად ვიციო ცხენისადმი სიყვარული როგორ მწარეა, მაგრამ მე პატარა კაცი ვარ, მე ვინ მკითხავსო საქვეყნო ამბავს", ე. ი. ხელისუფლების წარმომადგენელზეც მბრძანებლობს უცხო და უღმობელი ძალა.

პროტესტის ნიშნად კაცმა იმავე საღამოს დახოცა თავისი ხარები, ძროხა და ფურ-კამეჩი. მოხუცი მთელი ღამე შფოთავდა, ბორგავდა, ვერ იცილებდა დახოცილი საქონლის ღიად დარჩენილ თვალებს და თხისრქებიან ეშმაკს.

რომანში ნაჩვენებია, თუ როგორ ნადგურდება პატიოსანი და მშრომელი გლეხობა, როგორ გამოცოცხლდა ნათავადარი და მღვდელყოფილი, როგორ განახლდა საპასუხო ტერორი და შეთქმულება ხელისუფლების წინააღმდეგ. მწერალი არ თანაუგრძნობს კოლექტივიზაციას, იგი სიყვარულით ხატავს დამარცხებულ სამყაროს, გლეხსა თუ თავადს. მაგრამ ითვალისწინებს ობიექტურ რეალობას, მოვლენათა განვითარების პერსპექტივას.

გლეხობის ვანდების საშინელება თავიდანვე აშკარა იყო. სტალინის გვიანდელი შეფასებით, 1933 წელს სსრკ-ში შიმშილობდა 25-30 მილიონი კაცი. დაიღუპა მილიონობით ადამიანი. თითქოს ეს იყო აუცილებელი მსხვერპლი ინდუსტრიალიზაციისათვის, რაც წინ უსწრებდა 1937-1938 წლების გრანდიოზულ კაცთშეწირვას ბოლშევიკური სოციალიზმისადმი.

1929-1933 წლებში განადგურდა და დაიხოცა 17,7 მლნ ცხენი, 25 მლნ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის 10 მლნ ძროხა (რამდენიც 1990 წელს ჰყავდა აშშ-ს!), 10 მლნ ღორი, 71 მლნ ცხვარი და თხა... სტალინის წერილი "თავბრუდახვევა წარმატებებისაგან" (1930 წ.) შეცდომის სხვათათვის გადაბრალებისა და მოსახლეობის დამშვიდების ცდა იყო. მაგრამ ტოტალური და ანტიჰუმანური სოციალური ექსპერიმენტის დამღუპველი ძალა იწვნია არა მხოლოდ 30-იანი წლების გლეხობამ, არამედ – შთამომავლობამაც, და იქნებ არანაკლებ მწვავედ.

ტარიელ შარვაშიძე, ლუკაია ლაბახუა, ლომკაც ესვანჯია დრომ ფიზიკურ გაქრობამდე მიიყვანა. ხუცესს სამარეც სანატრელი გაუხადეს ბოლშევიკებმა. შეუბრალებლად ისპობა რელიგიური – ქრისტიანული და წარმართული სამყარო. არეულმა დრომ ღვთის მსახური ტარიელი ღვთისმკვლელად აქცია. ახალი

ანტირელიგიური ფსიქოზის საფუძველი: 1929 წელს ლაზარ კაგანოვიჩის მითითებით დაიგზავნა დირექტივა, რომლის თანახმადაც რელიგიური ორგანიზაციები ერთადერთ ლეგალურად მოქმედ კონტრევოლუციურ ძალად მიიჩნეოდა. ეს იყო ადმინისტრაციულ-რეპრესიული ბრძოლის ბრძანება. თუ ადრე ინგრეოდა ეკლესიები და მონასტრები, იკრძალებოდა რელიგიური წიგნები, ამჯერად ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. მთავარი იყო არა მხოლოდ რწმენის აღმოფხვრა, არამედ – რწმენის ქადაგთა, რწმენის მტარებელთა ფიზიკური მოსპობა. როგორც სტალინი აცხადებდა, თუ არის ადამიანი – არის პრობლემა, არ არის ადამიანი – არ არის პრობლემა!

როგორც ითქვა, თარაშ ემხვარის სახით იღუპება ძველი კულტურა, არა მხოლოდ არისტოკრატიული, არამედ – ინტელიგენტურიც. ძველი არისტოკრატიული გვარები – შარვაშიძე, ემხვარი, აფაქიძე, ორბელიანი, ბაგრატიონი, ფარჯანიანი დრომ ჯერ გლეხებსა და მუშებზე დაბლა დააყენა. ეს თავისთავად იყო მტკივნეული პროცესი. მაგრამ სტალინის დიქტატურამ ესეც არ იკმარა და მათი ფიზიკური ლიკვიდაციაც დაიწყო. გამარჯვებული რევოლუცია უარს ამბობს დასავლურ კულტურაზეც, რომელიც ბურსუაზიულად მიიჩნევა. იგი ანადგურებს პატრიარქალობასაც. თარაშისათვის ესეც ტრაგედიის ნაწილია. ხოლო ობიექტურად თითქოს პროგრესს ნიშნავს. ბოლშევიზმი ცივილიზაციის პაროლით გამოდის, ცივილიზაციის სახელით გაჰყავს გზა სვანეთში, არღვევს უძველეს კლანს, აარსებს კომკავშირს და კოლექტივს, კლავს პატრიარქალობის სიმბოლოს მეზირს. როცა ვიცით ბოლშევიკური სოციალიზმი არსი, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ამგვარი ფერისცვალება ბედნიერების მომტანი ვერ იქნება. მთაშიც გაბატონდება შიში და ქაოსი, შუღლი და სიძულვილი, დაიღვრება მამებისა და ძმების სისხლი.

ასე რომ, კონსტანტინე გამსახურდიას რომანი გვიჩვენებს, თუ როგორ ტოტალურად ითრგუნება არისტოკრატია, ინტელიგენცია, სამღვდლოება, გლეხოება; თუ როგორ მზადდება ატმოსფერო დიდი კატასტროფის – აპოკალიპსური წარღვნის მოსავლენად (რომლის მხედრები ეზმანებათ თამარს და თარაშს) და ვინ იქნება მისი წარმმართველი ძალა.

რომანში არაერთხელ იხსენიება სტალინი. საინტერესოა თარაშის აზრი ბელადზე, მისდამი ამბივალენტური მიმართება.

უძველესი არისტოკრატიული გვარისშვილი სტალინს განადიდებს, კეისარზე, პეტრე დიდსა და ნაპოლეონზე მაღლა აყენებს. არა იმიტომ, რომ სტალინის პოლიტიკა მოსწონს ან უყვარს. მან კარგად იცის, რომ სწორედ სტალინის წყალობით დაენგრა ოჯახი, გააქციეს უცხოეთში, ჩასვეს ციხეში, აუწერეს მამული, დაუწუნეს

ნაშრომი და მოუჭრეს მომავლის გზა, ხოლო საქართველოს ხელახლა დაადგეს ჩაგვრის უღელი. მაგრამ თარაშს ყველაზე მეტად ხიბლავს "ძლიერება და მშვენიერება", როგორც რომანტიკოსსა და მჭვრეტელს, არაპრაქტიკულ პიროვნებას. ძლიერი თავისთავადაც არის მშვენიერი, რადგან იგი ბედისწერის ურჩია ან თავად არის ბედისწერა.

Amor fati-სადმი ინტერესი ვლინდება ძლიერი პიროვნების კულტით, რასაც ერთის მხრივ, მივყავართ ნიცშეს ზეკაცთან, მეორეს მხრივ – ბერძნულ ესთეტიზმთან. საერთოდ, XX საუკუნის პირველ ნახევარში მრავალი ერი შეიპყრო ოცნებამ ახლად მოვლენილ მესიაზე, უძლეველ პიროვნებაზე, ვისაც ადამის მოდგმისათვის არნახული, სხივმოსილი გზა უნდა გაეკვალა, ქრისტიანობის სამოთხე მიწაზე გადმოეტანა. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ნაპოლეონი და სტალინი რევოლუციის გმირები იყვნენ. მაგრამ შინა და საერთაშორისო რეაქციასთან ბრძოლის მიზეზით თუ საბაბით, აკვიატებული იდეებით შეპყრობილნი, დიქტატორებად იქცნენ. თითქოს თარაში აქ ხედავს მათ შორის განსხვავებას. სტალინს მიიჩნევს "უხმოლო გმირად", რომელიც უმძიმეს ბრძოლებს იხდის თავის მარტივად მოწყობილ კაბინეტში.

გავიდა რამდენიმე წელი და ნაპოლეონის დარად სტალინმაც ხელთ მახვილი აიღო, ოღონდ ჯერ მოძმეთა და თანამოაზრეთა შესამუსრად. თარაში ერთმანეთს უპირისპირებს ნაპოლეონის პოზას და სტალინის სისადავეს. მაგრამ მალე ისიც ნათელი გახდა, რომ სტალინის უბრალოებას მეტი სისასტიკე და განდიდების მანია ახლდა, ვიდრე ნაპოლეონის ლაშქრობებს, სიტყვებსა და სესტებს. ასე რომ, ძლიერი პიროვნების არსი იგივე დარჩენილა, შეცვლილა მხოლოდ ნიღბები.

თარაშის აზრით, სტალინი "ბუნების სტიქიონია", რომლის "ვულკანის ერუპცია" მომხიბვლელია შორიდან საყურებლად. მაგრამ მის მიერ აღძრული გრიგალები მეტწილად ყველა თანამედროვეს ეჯახება: "ზოგს ცეცხლის თქეში ანადგურებს, ზოგსაც ვეება ბელტები ეცემა, ზოგი ისრისება, ზოგი ნადგურდება. ამიტომ მრავალთაგან მრავალს მისი ეშინია, მრავალზე უმრავლესს უყვარს იგი", ე. ი. სტალინი წარმოდგენილია როგორც ბოროტისა და კეთილის მიღმა მდგარი ძალა, ზეკაცი, ნიცშეს სიტყვებით რომ ვთქვათ – ურჩხული ანგელოსის ფრთებით.

თარაში თვლის, რომ თანამედროვე მოქალაქეს აქვს ორი გზა – მუსოლინისა (ფაშიზმი) და სტალინისა (სოციალიზმი). იგი გონებით ირჩევს სტალინის გზას, მაგრამ გულით ვერ ღებულობს, როგორც მისი ბუნებისა და წარმომავლობისათვის უცხოს. თარაშ ემხვარი, მეფის გენერლის ვასი, ყოფილი ემიგრანტი და ნაციონალისტი, თვლის, რომ "ჭკვათმყოფელი" ქართველები იამაყებენ სტალინის

სახელით, უფრო მეტიც: "ერთი დიდი კაცი მთელს ერს უდრის ხანდახან და ისტორიაში ისეთი მომენტიც დგება, რომ იმ კაცის გამარჯვებაზე ჰკიდია მთელი ერის პრესტისი".

ეს იყო ჰიპერტროფირებული ოცნება ქართული სულის ძლიერებაზე, რაც სტალინის სახით გამოვლინდა. მაგრამ ნიცშე ამბობს, ყოველი კაცი თავისი ღმერთის რისხვისაგან უნდა დაიღუპოსო. ასე აურევს ცხოვრების გზას კონსტანტინე სავარსამიძეს დიონისო, არზაყანს – სტალინი, ე. ი. ცნაურდება ბელადის დემონური ძალა.

ისიც საინტერესოა, რომ თარაშმა ვერ დალია სტალინის სადღეგრძელო. ხოლო მთვრალ ჩალმაზს ჰგონია, რომ ნათავადარი და ვიღაც გერმანელი ქალი უკეთურად ახსენებენ პარტიის ბელადს, ე. ი. მისი არც ამ კონტექსტში ესმის მმართველ ძალას.

1933-1935 წლებში, როცა რომანი იწერებოდა, არავინ იცოდა საბოლოოდ თუ რა სახეს მიიღებდა რევოლუცია. მაგრამ ველური ვაკხანალია, ფანატიზმი, ძველის ნგრევა, განახლების პათოსი და სისხლიანი ექსპერიმენტები თუ, ერთის მხრივ, ჰეროიკას აღვივებდა, მეორეს მხრივ, იწვევდა შიშსა და დეპრესიას პატიოსან მშრომელთა გულში.

კონსტანტინე გამსახურდიას შთაგონება იყო იანუსივით ორსახოვანი დრო, საქართველოს ბედი, ეპოქის სულის გამოკვეთა ადამიანთა სახეებად. ამიტომ არის "მთვარის მოტაცება" არა მხოლოდ დიდი წიგნი, არამედ სასტიკი სინამდვილის მართალი დოკუმენტიც.

18. კაცთშეწირვა სოციალიზმისადმი

ახლა მარტოდმარტო ვარ,

როგორც მთის ეკლესია.

გალაკტიონი

თითქოს დასრულდა ტანჯვით აღსავსე 15 წელი. მწერალი საყოველთაო სიყვარულით გარემოსილი ჩანდა. ხალხიც აფასებდა და ხელისუფლებაც. ამიერიდან სიტუაცია რაღას უნდა შეეცვალა: ქვეყანაში სოციალიზმი გამარჯვებულად

გამოცხადდა, მიიღეს ახალი კონსტიტუცია, დაინიშნა არჩევნები, საქართველომ მიაღწია იმ სტატუსს, რაზეც ოცნებობდნენ ფედერალისტები, რაც შემდეგ ეწადათ ე. წ. ნაციონალ-უკლონისტებს. ხოლო რაც შეეხება დამოუკიდებლობას, ამის ნებაც კონსტიტუციით განუსაზღვრეს, თუმცა ფიქრს ვინ გაბედავდა.

გამარჯვებული ქვეყანა ემზადებოდა რუსთაველის, პუშკინის, ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ.

მაგრამ თურმე ეს სიმშვიდეც მოჩვენებითი ყოფილა.

... მთელი ქვეყანა ჩირაღდნებით იყო განათებული.

უკრავდა ფლეიტა, ბრაგუნობდა დოლი.

სახეშეშლილი ბრბო ყისინით გლეჯდა ტომის ბელადს, სისხლს სვამდა და ხორცს ჭამდა. სამსხვერპლოზე კივილით და გოდებით მიჰყავდათ მოძმეები, ხორხოცით ანაკუწებდნენ მათ სხეულს და ერთმანეთს შორის ინაწილებდნენ.

შემდეგ წითლად აელვებული, სისხლით მოთხვრილი სახეები კოცონების გარშემო როკავდნენ, ტაშსა სცემდნენ და ყისინებდნენ.

ასე ადიდებდნენ უფალს. ამიტომ იყო იგი დღესასწაული.

ეს ხდებოდა ოდესღაც, ჩვენი ველური წინაპრების ეპოქაში. მაგრამ ქვეყნად არაფერი იკარგება. მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების დანალექი რჩება ფსიქიკის სიღრმეში ისე, რომ ჩვენ არაფერი ვიცით.

სახელმწიფო ტერორი

სამი დგება და მხეცური ინსტინქტები გარეთ გაიჭრება, გონებას იმორჩილებს და ადამიანის ნებას განაგებს სისხლის წყურვილი, კაცთშეწირვის მონატრება – პიროვნების სულში იღვიძებს ბარბაროსი, კულტურის, ეთიკის, ზნეობის ხუფი რომ ეხურა ათასეული წლების მანძილზე.

ასე მოხდა 1937 წელს, როცა კომუნისტების საკავშირო ცეკას პლენუმზე, 3 მარტს, "პროლეტარიატის ბელადმა" სტალინმა გადმოისროლა შიზოფრენიული

ლოზუნგი: სოციალიზმის გზაზე წინსვლა იწვევს კლასთა ბრძოლის გააფთრებას. ამიტომ მოწინააღმდეგეებთან ზედმეტია დისკუსია – ისინი უნდა განადგურდნენ.

გამოცხადდა სახელმწიფო ტერორი, რომლის მსგავსი არ იცის ადამის მოდგმამ. დაიღვარა მილიონობით ადამიანის სისხლი, მათ შორის – გამოჩენილი მეცნიერებისა, პოლიტიკოსებისა, ხელოვანთა და, რაც ყველაზე საოცარია, განადგურდა ის ხალხი, რომელმაც რევოლუცია მოახდინა, ის ხალხი, მარქსისა და ლენინის სახელებს რომ ფიცულობდა.

დაიწყო გრანდიოზული კაცთშეწირვა სოციალიზმის ბომონისადმი.

1937 წლის 15 მაისს, საქართველოს კომუნისტების X ყრილობაზე გამოვიდა ლავრენტი ბერია. მან ქართული მასალით შეავსო ბელადის თეზისები და თავს დაესხა ტროცკისტებს, ცისფერყანწელებს, აკადემიურ ჯგუფს, ლეფელებს, არიფიონს...

კონსტანტინე დაახასიათა როგორც "ფაშისტური ელფერის მებრძოლი" ნაციონალისტი. თუმცა ისიც თქვა, რომ იგი ცდილობს ძველი პოზიციის დატოვებას და საჭიროა მისი "დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობების" ხალხის სამსახურში ჩაყენება.

დაასახელა ის პირები, რომლებიც ხელს უშლიდნენ სოციალიზმის მშენებლობას. მწერლობიდან ესენი აღმოჩნდნენ – კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშილი, გიორგი ლეონიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, პლატონ ქიქოძე, მალაქია ტოროშელიძე, რასდენ კალაძე, ბენიტო ბუაჩიძე, სევასტი თალაკვაძე და სხვ.

X ყრილობას ესწრებოდა 634 კაცი, მათგან დახვრიტეს ან გადაასახლეს 425 კაცი!

ყრილობის შემდეგ კონსტანტინემ წერილი გაუგზავნა ბ. გორდელაძეს, ცეკას განყოფილების გამგეს.

30 მაისს გამოვიდა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე, განმარტა თავისი პოზიცია, აქო სტალინი, ბერიასთან მისვლა გაიხსენა. სტალინზე თქვა, სამი სი-ცოცხლე რომ მქონდეს, მისთვის არცერთ არ დავიშურებდიო. მე დავიცავ მისი და ჩემი ქვეყნის ხელმძღვანელის (ე. ი. ბერიას) პრესტისსო.

10 ივნისს მწერალთა კავშირმა კიდევ ერთხელ განიხილა X ყრილობის შედეგები, დაამუშავეს ურჩი და საექვო მწერლები. გაკრიტიკებული ავტორები აიძულეს გამოსულიყვნენ თვითგვემით, ელიარებინათ არარსებული დანაშაული, ეთქვათ საჭირო აღსარება.

გამოვიდა კონსტანტინეც.

"ინდივიდუალისტური კულტურის ყანებში ვარ ნაბალახევიო", გამოუტყდა ავად აჯაგრულ კოლეგებს. მაგრამ ჩუმჩუმი მისვლა-მოსვლა ტროცკისტებთან არა მქონიაო, აღნიშნა, ზოგჯერ თავის მოკვლაც კი მინდოდაო. გაიხსენა, რომ ერთ დროს მეგობრობდა ლიდა გასვიანთან (ეს ლამაზი ქალი იყო სახელგამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ბრალად ედებოდა ინტელიგენციის ჩათრევა ტროცკისტულ დივერსიებსა და ჯაშუშურ ქსელში, ს. ს.). მაგრამ ჰონორარს ცეკას შუამდგომლობით ვიღებდიო. ყველა ჩემი წიგნის ბედი ზემდგომ ორგანოებში წყდებოდაო.

აღიარა, რომ ადრე არ იდგა სწორ პოზიციაზე, არ აფასებდა რუსულ კულტურას.

თვითკრიტიკა საკმარისად არ ცნეს და კონსტანტინე კიდევ უფრო გააშავეს.

20 ივნისს "ლიტერატურულ საქართველოში" ცნობილ მწერალთა ჯგუფმა დაბეჭდა მრისხანე წერილი – "დაუზოგავად მოვსპოთ სამშობლოს მოღალატეები და ჯაშუშები".

მას ხელს არ აწერს კონსტანტინე (არც გალაკტიონი).

შეიძლება არც მოაწერინეს, როგორც განწირულ კაცს.

სახელმწიფოს განაგებდა არა ცეკა, არამედ ჩეკა (შინსახკომი). მაგრამ კონკრეტულად არავინ იცოდა, ვის რის გამო სჯიდნენ.

მთელს საბჭოთა კავშირში, რობერტ კონკვესტის სიტყვებით რომ ვთქვათ, "დიდი ტერორი" მძვინვარებდა. იდგა ბოლშევიკური განკითხვის სამი.

ცნობილ ქართველთაგან დახვრიტეს:

პარტიული მუშაკები – ბუდუ მდივანი ოჯახთან ერთად (მისი ძმა – ფედერალისტი სიმონ მდივანი ემიგრაციაში გარდაიცვალა), მამია ორახელაშვილი და მარიამ ორახელაშვილი, აბელ ენუქიძე, ლავრენტი ქართველიშვილი, შალვა ელიავა, გერმანე მგალობლიშვილი, ხუთი ძმა ოკუჯავა (მიხეილი, ვლადიმერი, ალექსანდრე,

ნიკოლოზი, შალვა) – გალაკტიონის ცოლისძმები, მალაქია ტოროშელიძე, ლევან ლოლობერიძე, პეტრე აღნიაშვილი, მიხეილ კახიანი, კარლო ორაგველიძე, თედო ლლონტი, ალექსანდრე სვანიძე (სტალინის პირველი ცოლის ძმა), პაპულია ორჯონიკიძე (სერგო ორჯონიკიძის ძმა), საქართველოს ჩეკას ყოფილი თავმჯდომარე ეპიფანე კვანტალიანი...

მხედართუფროსები – თედორე ბუაჩიძე, გიორგი ქუთათელაძე (ალექსანდრე ქუთათელის ძმა).

ხელოვნების მუშაკები – სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე (ორახელაშვილების სიძე), სერგო ამაღლობელი, დიმიტრი შევარდნაძე...

მეცნიერები – ვახტანგ კოტეტიშვილი, გიორგი ელიავა, ციხეში ჩაკლეს გრიგოლ წერეთელი...

მწერლები – მიხეილ ჯავახიშვილი, ტიცინ ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი, ბენიტო ბუაჩიძე, პლატონ ქიქოძე, ვალერიან ლუარსაძე, ფრიდონ ნაროშვილი, პავლე საყვარელიძე, სევასტი თალაკვაძე, ალი არსენიშვილი, კარლო მელაძე, დია ჩიანელი (ჩხეიძე)...

მწერლობის ორგანიზატორები – აკაკი თათარიშვილი, დავით დემეტრაძე...

დახვრიტეს უნივერსიტეტის ყველა ყოფილი რექტორი, გარდა ივანე ჯავახიშვილისა (თ. ლლონტი, მ. ტოროშელიძე, ი. ვაშაყმაძე, კ. ორაგველიძე, ლ. აღნიაშვილი, ა. ერქომაიშვილი).

როგორც ისტორიკოსი გიორგი ციციშვილი წერს, ჩეკისტები პატიმრებს აწამებდნენ გაუფონარი სისასტიკით, სახეში აფურთხებდნენ, თავს კედელზე არტყმევინებდნენ, სცემდნენ რეზინის ჯოხებით, საბურავის ნაჭრებით, სკამის ფეხით, სილაქებით, დაწნული მავთულით, ბუღის ასოსაგან გამოყვანილი მათრახით, ურტყამდნენ მთელ სხეულზე, მაგრამ სახეზე – იშვიათად, უჭეჭყავდნენ თითებს...

საწამებლად ჰქონდათ ცხელი და ცივი მიკროსაკნები. ცხელ საკანში ტემპერატურა 60 გრადუსს სცილდებოდა. ცივ საკანში ყინვის დროს წყალს ასხამდნენ, თოვლს ყრიდნენ. პატიმარს მხოლოდ საცვალი და ფეხსაცმელი უნდა სცმოდა, თუმცა ზოგჯერ შიშველსაც აგდებდნენ. გარდა ამისა, შინსახკომის ციხეს ჰქონდა საოპერაციოს მსგავსი სხვა საწამებელი ოთახიც, რათა პატიმრებისაგან მიეღოთ სასურველი ჩვენება...

რეპრესიების მსხვერპლი გახდა მრავალი ჩეკისტიც – მთელს საბჭოთა კავშირში 20 ათასი კაცი. თვით ბერიაც კი ძლივს გადაურჩა ნიკოლაი ესოვის კლანჭებს: 1938 წლის მარტში გაიკა ბერიას დაპატიმრების ორდერი, რომელიც სტალინმა გააუქმა.

ლავრენტის ივლისშიც მოუხდა ესოვთან შეჯახება.

ფილიპე მახარამის გარდა ცოცხალი არ დატოვეს არცერთი აქტივისტი, რომლებიც საქართველოს დასაქცევად მოუძღოდნენ და მოჰყვებოდნენ XI არმიას. მასაც ბერიამ სიცოცხლე ისე გაუმწარა, რომ მოხუცმა კინაღამ თავი მოიკლა.

მხოლოდ ბუდუ მდივანს დასცდა მწარე სიმართლე, როცა მას "სამეულმა" (тройка) სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა:

"ჩემთვის ცოტაა დახვრეტა, მე ტყავი უნდა გამაძრონ!

ეს მე, მე მოვუძღოდი XI არმიას, მე გავყიდე ჩემი ხალხი. მე ვეხმარებოდი ამ გადაჯიშებულ სტალინსა და ბერიას საქართველოს დასაპყრობად"...

კონსტანტინეს წესად ჰქონდა – პოლიტიკაზე არ ემსჯელა. სხვათა საუბარს უსმენდა, მაგრამ თვითონ არაფერს იტყოდა.

როდესაც ანდრე სიდი საქართველოში ჩამოვიდა, ფრანგ მწერალს მცხეთაში გაჰყვა. მათი საუბარი ჩაწერილი აღმოჩნდა. მაგრამ გაირკვა, რომ კონსტანტინეს პოლიტიკაზე არ უსაუბრია.

ჯოჯოხეთის მანქანა მთელი ძალით მუშაობდა...

მოქალაქეებს ევალეობდათ, ბრალდებულის სამხილებლად და დასაკავებლად დახმარებოდნენ შინსახკომის მუშაკებს.

განსაცდელი

აგენტურის მასალები უხვად მისდიოდა შინსახკომს. მაგრამ დაპატიმრებულთა ჩვენებები თითქოს უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი იყო:

თურმე სხვებთან ერთად კონსტანტინეც იზიარებდა ფაშისტურ იდეებს!

ეს წამებით ათქმევინეს შინსახკომის ჯურღმულებში ლიდა გასვიანს (1937, 27 მარტი, 3, 9, 10 აპრილი), ბუდუ მდივანს (21 მაისი), ნიკოლო მიწიშვილს (14 ივნისი), დავით წერეთელს (20 ივნისი, დაპატიმრებამდე ლიტფონდის დირექტორის მოადგილე), არჩილ მიქაძეს (28 ივნისი, დაპატიმრებამდე საქართველოს "წითელი ჯვრის" ცეკას თავმჯდომარე), დავით ლომინაძეს (2 აგვისტო, ბესარიონ ლომინაძის ძმა), გერმანე მგალობლიშვილს (4 ოქტომბერი, დაპატიმრებამდე საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე), ტიციან ტაბიძეს (10 დეკემბერი), მიხეილ ჯავახიშვილს (საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, საგამომიებო ნაწილი. საქმე №10.817) და სხვებს.

როგორც იგონებს კომკავშირის ცეკას იმსამინდელი პირველი მდივანი ალექსანდრე მირცხულავა, ბერიას მოსკოვიდან მიუღია კონსტანტინეს დაპატიმრების განკარგულება, მაგრამ დავალება არ შეასრულა. როცა მოსკოვში ჩავიდა, სტალინს აუხსნა, კოწია უკუღმართი კაცია, მაგრამ მის დაპატიმრებას შთამომავლობა არ გვაპატიებსო.

სტალინმა დაუჯერა.

შეიძლება ასე არც იყო. მაშინ არავინ ფიქრობდა, თუ მომავალი რას იტყოდა ამა თუ იმ მოქმედებაზე. მაგრამ ბერიას მფარველობის გარეშე კონსტანტინე განწირული იყო.

როგორც სერგო ბერია იგონებს, ლავრენტიმ ორჯერ იხსნა კონსტანტინეს სიცოცხლე. იგი არ აზუსტებს, მაგრამ ალბათ იგულისხმება 1927 და 1937, ან 1937 და 1947 წლები.

მწერალი მათი ოჯახის სასურველი სტუმარი ყოფილა (Мой отец - Лаврентий Берия, М., 1994, с. 36).

კონსტანტინე ხშირად ამბობდა, ესოვს ჩემი დაპატიმრება უნდოდა, მაგრამ ბერიამ გადამარჩინა და მე ამისათვის მისი დიდი მადლობელი ვარო.

ამას ადასტურებენ სუკის აგენტებიც – "ქვიშხეთი", "აგვისტო", "კონსული", "იურიანი", "მაიაკოვსკი", "შმიდტი", "მიხაილოვსკი"...

მაგრამ ცნობილი პიროვნების გადარჩენა, თუ ეჭვმიტანილი არ დაიცავდა არსებულ წესებს და აქტივობას არ გამოავლენდა, არც ლავრენტი ბერიას შეეძლო: მოსკოვი მასაც ამოწმებდა.

... მთელი ქვეყანა ჩირადდნებით იყო განათებული.

უკრავდა ფლეიტა, ბრაგუნობდა დოლი.

სახეშეშლილი ბრბო ყისინით გლეჯდა ტომის ბელადს, სისხლს სვამდა და ხორცს ჭამდა. სამსხვერპლოზე კივილითა და გოდებით მიჰყავდათ მოძმეები, ხორხოცით ანაკუწებდნენ მათ სხეულს და ერთმანეთს შორის ინაწილებდნენ.

შემდეგ წითლად აელვებული, სისხლით მოთხვრილი სახეები კოცონების გარშემო როკავდნენ და ყისინებდნენ.

ასე ადიდებდნენ უფალს – დიდ სტალინს.

დაუცხრომლად მუშაობდა აგენტურა, ჩეკას მანქანა.

დღეს რომ კაცი საიმედო აგენტი იყო, ხვალ ხალხის მტრად ცხადდებოდა. დღეს ვინც ბერიასთან ერთად ნადირობდა, ხვალ ჩეკას სარდაფში ეგდო. დღეს ვინც ხელს აწერდა სასიკვდილო განაჩენს, ხვალ ისიც იხვრიტებოდა.

მტყუან-მართალის გარჩევა არავის შეეძლო სისხლის ნისლით დაბურულ ქვეყანაში.

სერგო კლდიაშვილი სახლში არ დახვდათ ჩეკისტებს. გზაში ვიღაც მას მიამსგავსეს, სტაცეს ხელი და დახვრიტეს!..

დახვრიტეს კონსტანტინეს ძმები – ალექსანდრე და ვიქტორი, გიორგი ლეონიძის ძმა ლევანი, მიხეილ ჯავახიშვილის ძმა სპირიდონი (ფიდო), კარლო კალაძის მამა – ძველი ბოლშევიკი რასდენ კალაძე.

მწერალთა კავშირში სანადირო თოფით თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა.

ხელმეორედ გადაასახლეს და შემდეგ დახვრიტეს გალაკტიონის მეუღლე ოლია ოკუჯავა, ქვისლი ალიოშა კოსტინი; დააპატიმრეს კარლო კალაძისა და ლადო ასათიანის დედები, გალაკტიონის კიდევ ერთი ცოლისძმა, კონსტანტინეს ძმისწული ბაჯუ, ცნობილი მეცნიერები – ალექსანდრე წერეთელი, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვუკოლ ბერიძე, გიორგი წერეთელი; დახვრიტეს რაფიელ ერისთავის ორი შვილიშვილი...

დამფრთხალი ხალხი თათბირებზე ერთმანეთს ეჯიბრებოდა პარტიის ქებაში.

მოღალატეთა დასჯას ყველა ერთხმად მოითხოვდა და თანაც – მთელი სისასტიკით!

ორგანიზაციებში დგებოდა გასაწირთა სიები. წმენდის გეგმა დროულად უნდა შესრულებულიყო, რადგან ესეც დიადი ხუთწლედის ნაწილი იყო.

"სამეული" ელვის სისწრაფით წყვეტდა ტანჯულთა ბედს. განაჩენი შაბლონური იყო – დახვრეტა ან გადასახლება ათი წლით, მიწერ-მოწერის გარეშე ან ნებართვით.

პირველი დახვრეტას ნიშნავდა, მეორე – მართლაც გადასახლებას: სოციალიზმს უფასო მუშახელი სჭირდებოდა!

ქვეყანა ერთიანი საკონცენტრაციო ბანაკი იყო და ხელისუფლებისათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა – ეს კაცი თბილისში იმუშავებდა თუ მაგადანზე!..

ესოვისა და ვიშინსკის მსგავსად, უჩვეულო ფანტაზიას ავლენდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გოგლიძე და პროკურორი ტალახაძე, რათა უსაზღვრო უკანონობისათვის კანონიერი სახე მიეცათ.

მაგრამ სტალინურ რეპრესიებს საქართველოში ხელმძღვანელობდა ლავრენტი ბერია, დაპატიმრებათა ოქმს ამტკიცებდა ცეკას ბიურო. შემდეგ, ბერიას ხელმოწერით, დაშიფრული დეკრეტა ეგზავნებოდა სტალინს.

ბერია ღამით, 23 საათისათვის მიდიოდა შინსახკომში, გოგლიძესთან, და შეკრებილ ჩეკისტებს გადასცემდა ახალ ინფორმაციებს.

ზოგჯერ დაკითხვებსა და წამებებსაც ესწრებოდა. ხან თავადაც სცემდა პატიმარს...

ბერიას მითითებებს სანიმუშოდ ასრულებდნენ ქართველი ხალხის ჯალათები – გოგლიძე, რაფავა, ქობულოვი, სავიცკი, კრიმიანი, ლაზარიანი, ხაზანი, პარამიამონოვი...

პატიმრებს ხვრეტდნენ ქალაქგარეთ, სოფელ სოდანლულთან არსებულ მიუვალ ადგილებში.

ჯალათ შამურკინს წინასწარ არაყს ასმევდნენ...

მას ხშირად ეხმარებოდა სომეხი მეთევზე ბუღდანა. პატიმარს თუ კამერიდან ვერ გამოიყვანდნენ, მოჭიდავე არსენ მეკოკიშვილს დაიხმარებდნენ, როგორც იგონებს ბერიას მძღოლი კოლია მელიქიშვილი.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, 1921-1953 წლებში მთელს საბჭოთა კავშირში რეპრესირებული ყოფილა 3.777.380 მოქალაქე. მათგან დაუხვრიტავთ 642.980.

ეს არის ნათქვამი 1954 წლის 1 თებერვალს ხრუმჭოვისათვის წარდგენილ დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერენ გენერალური პროკურორი რუდენკო, შინაგან საქმეთა მინისტრი კრუგლოვი, იუსტიციის მინისტრი გორშენინი.

მაგრამ ალექსანდრ იაკოვლევის, პერესტროიკის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორის განცხადებით, მხოლოდ 1937-1938 წლებში რეპრესირებული იყო ოთხ მილიონზე მეტი მოქალაქე!

მათგან დახვრიტეს 800 ათასი!

იაკოვლევი ხომ რეპრესირებულთა სარეაბილიტაციო კომისიის თავმჯდომარე იყო და ყველაზე უკეთ იცის, თუ რა ხდებოდა ბოლშევიზმის ეპოქაში.

1935-1938 წლებში რეპრესირებული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის 48 წევრი.

მათი უმრავლესობა დახვრიტეს (ლიტ. და ხელ. ცენტრ. არქივი, ფონდი 8, აღ. 26, საქმე 80 ს).

ლავრენტი ბერიამ 1937 წლის 31 ოქტომბერს ბელადს უდებუმა, რომ ათი თვის მანძილზე საქართველოში დააპატიმრეს 12 ათასი ადამიანი.

ბრალდებულ სერგო გოგლიძის ცნობით, ქართულმა "სამეულებმა" განიხილეს 30 ათასი პატიმრის საქმე. მათგან 10 ათასი დახვრიტეს...

გადარჩენა

"მთვარის მოტაცებას" ისევ სასარგებლო წიგნად სცნობდნენ. მაგრამ ავტორის კრიტიკამ იმატა.

კონსტანტინე დახვრეტის უპირველესი კანდიდატი იყო.

"მთვარის მოტაცება" კი არა, ბოლშევიკებს თავიანთი ხელისუფლების გუშინდელი მესამირკველენი და დღევანდელი მესვეურნი არ სჭირდებოდათ.

მას შემდეგ, რაც სტალინმა გასწირა უახლოესი ადამიანები, შეწყალების იმედი არავის უნდა ჰქონოდა.

ქვეყანა ველურმა ვაკხანალიამ მოიცვა.

ახლა ძნელია თქმა, ვისი რჩევით, იქნებ სულაც საკუთარი ალლოთი, კონსტანტინემ რამდენიმე სწორი სვლა გააკეთა და არ მიეცა სასოწარკვეთას:

სასწრაფოდ, 28 მაისს გაიმეორა, როგორც 10 მაისს ამბობდა მოხსენებაში – "კონსტიტუცია და მწერლობა", რომ წერდა ანტიფაშისტურ რომანს – "ევროპა გალიაში", რომელიც დამთავრდებოდა მადრიდისათვის ბრძოლით. პირობას იძლეოდა, რომ "მთვარის მოტაცების" ნაკლს ამ წიგნში გამოასწორებდა.

მაშინ ესპანეთის თემა უაღრესად აქტუალური იყო. მსოფლიო რევოლუციის ბედი ესპანეთში წყდებოდა.

ახალი რომანის ნაწყვეტები დაბეჭდა კიდეც (მაგ., "წვიმა", "ლიტ. საქ.", 1937, 30 ივნისი).

როგორც ითქვა, ამ წიგნის დაწერას 20-იანი წლების მიწურულს აპირებდა. მაშინ გადაიფიქრა. მაგრამ ახლა მიუბრუნდა და შეეცადა შეემინა რევოლუციური აქტუალობა.

ეს ფაქტი ხელისუფლებამ იცოდა.

კონსტანტინე არ მეგობრობდა ტროცკისტად წოდებულ პარტიულ ლიდერებთან და "ცისფერყანწელებთან".

ბერიას მათთან პირადი ინტერესი ჰქონდა.

ისინი ვერ იტანდნენ უეცრად აღზევებულ ახალგაზრდა ჩეკისტს.

ისინი სერგო ორჯონიკიძეს განადიდებდნენ.

მაგრამ მოჰქროდა ახალი ურჩხული საქართველოდან და ძველი კერპები იმსხვრეოდა.

31 ივლისს "ლიტერატურულმა საქართველომ" დაბეჭდა ბესო სლენტის კიდეც ერთი წერილი – "კ. გამსახურდიას შემოქმედებითი გზა". იგი უარყოფითად აფასებდა

მწერლის ძველ ნაწერებს, იწონებდა მხოლოდ "მთვარის მოტაცებას", ცხადია, სათანადო კრიტიკით.

თქმა არ უნდა, ბესო სლენტი თავისი ინიციატივით ამ სტატიას არ დაწერდა. რომც დაეწერა, ვინ დაბეჭდავდა. მაგრამ იგი "მთვარის მოტაცების" ტრუბადური იყო, როგორც მოგვიანებით იტყვის კონსტანტინე, და აიძულებდნენ, რომ დაეცვა თავისი პოზიცია. არადა ექვექვემ დადგებოდა მისი გულწრფელობა და შეფასების სისწორე. ამიტომ იმეორებს კრიტიკოსი თავის დებულებებს, განმარტავს წიგნს მარქსისტული თვალსაზრისით და აჩვენებს, რომ მწერალი მტკიცედ დადგა ახალი ცხოვრების მხარეს.

"მთვარის მოტაცების" დაცვით ბესო სლენტი თავის სიცოცხლესაც იცავდა (1937 წლის ნოემბერში იგი ძლივს გადაურჩა დაპატიმრებას). მაგრამ რატომღაც ათვალწუნებული ჰქონდა "ლიტერატურნაია გაზეტაში" დაბეჭდილი კონსტანტინეს სტატია – "ქართული პროზის სათავეები".

ამის გამო მწერალმა 1937 წლის 4 ივნისს განცხადებით მიმართა ილია ჭავჭავაძის საიუბილეო პლენუმს და იქვე ზეპირადაც გაეკამათა კრიტიკოსს.

მაგრამ ბესო თავისას არ იშლიდა და ერთი წლის შემდეგაც გაიმეორა იგივე ბრალდება.

განწირულთა ხმები რომ ჩაეხშოთ, მთელს კავშირში ზარზეიმით აღნიშნავდნენ რუსთაველის, პუშკინის, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღებს.

კონსტანტინე მიჰყვა მდინარეებს.

31 ივლისს გამოხს აკაკი თათარიშვილს, როგორც ხალხის მტერსა და მოღალატეს, თუმცა ორიოდე თვის წინათ ქებით იხსენიებდა;

17 ოქტომბერს გამოდის უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ კრებაზე;

5 ნოემბერს ბეჭდავს წერილს – "სინამდვილემ გაუსწრო ოცნებას", სადაც გააგრძელა სტალინისა და ბერიას ქება და ქვეყანას დაჰპირდა, რომ 1938 წელს დაბეჭდავდა რომანს "სტალინი" და დანტეს "ღვთაებრივი კომედიის" სამივე წიგნის თარგმანს.

"ევროპა გალიაში" აღარ უხსენებია.

იგი დავიწყებას მიეცა.

ღამეს სახლში არ ათევდა ან გვიან ბრუნდებოდა, პოლიტიკაზე არ მსჯელობდა, არავის ეკამათებოდა, ხალხს ნაკლებად ხვდებოდა, კრებებზე არ აქტიურობდა, მხარს უჭერდა ხელისუფლების მოქმედებას.

ძმების დაპატიმრების გამო ხმას ვერ იღებდა.

როცა 1937 წლის დეკემბერში მეორე ძმა – ვიქტორიც დააპატიმრეს, ძმისშვილმა, რვა წლის ბიჭუნამ გააგებინა ეს ამბავი.

შემდრწუნებული მწერალი ფეხზე წამოიჭრა, ხმა ვერ ამოიღო, შემდეგ სკამზე დაემვა, რაც ჯიბეში ფული ჰქონდა ბავშვს მისცა და უთხრა, წადი სახლში, დედასთან, მე შემდეგ მოვალო...

ბერიას არ მოეწონა "ევროპა გალიაში", თუმცა ჩანაფიქრს მიესალმა. მან მწერალს ურჩია – დაეწერა წიგნი სტალინზე.

როგორც სერგი ჭილაიას უთქვამს ჩემთან საუბარში, ბერიამ დაიბარა მიხეილ ჯავახიშვილი და სტალინზე რომანის დაწერის იდეა შესთავაზა.

მიხეილი დათანხმდა, მაგრამ მოითხოვა სათანადო პირობების შექმნა, რაც მუშაობას გაუიოლებდა.

ბერიამ არაფერი უთხრა და კონსტანტინე გამოიძახა, გააცნო თავისი აზრი და ჰკითხა – რა დასჭირდებოდა ამ დავალების დროული აღსრულებისათვის.

კონსტანტინემ მხოლოდ საწერ-კალამი და სუფთა ქაღალდი მოითხოვა.

ნათელა გამსახურდიას თქმით, კონსტანტინეს არ უნდოდა რომანის დაწერა, ყოყმანობდა, მაგრამ ამბობდა, სხვა გამოსავალი არ არისო. ხელისუფლებას კი უცხადებდა, ასეთ დიდ თანამედროვეზე წიგნის დაწერას როგორ შევძლებო.

შემდეგ, როცა მსოფლიო ომი დამთავრდა, ხშირად ამბობდა, სტალინი გენიოსია, რანაირად შეძლო ჰიტლერის დამარცხებო.

რომანი სტალინზე, სტალინის ღირსეული დითირამბი თავად ბერიას სჭირდებოდა, რათა ბელადის თვალში ავტორიტეტი უფრო აემალლებინა. მას ხომ ჰქონდა გამოქვეყნებული ნარკვევი სტალინზე, სადაც წამოსწია კობას როლი ამიერკავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში.

ხოლო სტალინი რომ თავად დაინტერესდა თავისი კავკასიური წარსულის გაშუქებით, ეს ვიწრო წრისათვის ცნობილი იყო. ამიტომ გამოვიდა წიგნი ბერიას ხელმოწერით, რის-თვისაც ლენინის პრემია მიენიჭა.

ბერიამ ამჯერადაც ამ იდეას ჩაავლო ხელი.

თუ წარსულის მეცნიერული გაშუქება ბელადს სიამოვნებდა, მითუმეტეს უნდა გახარებოდა პოეტური პანეგირიკი, სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატების მიერ თქმული.

საბჭოთა პოეზიაში მკვიდრდებოდა სტალინის კულტი.

შემოდგომაზე ცნობილი გახდა, რომ კონსტანტინე წერდა რომანს – "სტალინი", გიორგი ლეონიძე პოემას – "სტალინი", დემნა შენგელაია მოთხრობას – "ყრმობა", შალვა დადიანი პიესას – "ნაპერწკლიდან".

სტალინის თემაზე მუშაობა ცეკას საპატიო დავალება იყო. მას ყველას როდი ანდობდნენ. ნდობის ფაქტორზე არანაკლები ყურადღება ექცეოდა ტალანტს.

უნდა შექმნილიყო ბელადზე ეპოქალური ძეგლები.

კონსტანტინეს რომ "მთვარის მოტაცება" არ დაეწერა, მას სტალინის თემას არავინ ანდობდა და არც დახვრეტა აცდებოდა.

1937 წლის 1 სექტემბერს გამოვიდა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ერთობლივ სხდომაზე, რომელიც მიემდგვნა მიკოლა ბასანის "ვეფხისტყაოსნის" უკრაინულ თარგმანს.

მიკოლა ბასანი უკრაინაში გაიცნო. ჰქონდათ მიწერ-მოწერა. უკრაინელი პოეტი სახ-ლშიაც ეწვეოდა ხოლმე კონსტანტინეს.

5 ნოემბერს სიტყვა მისცეს ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

გამომსვლელთა სია შეთანხმებული იქნებოდა ცეკას პირველ მდივანთან ან იქნებ სულაც მისგან მოდიოდა იგი.

არცერთ გამომსვლელს რეპრესია არ შეხებია.

ასე რომ, გამოვიდნენ ისინი, ვინც ხელისუფლებამ შეიწყალა, ვისაც პარტია ენდობოდა. თუმცა დრო იყო ისეთი, კაცმა არ იცოდა ხვალ რა მოხდებოდა, ვისი თავი დაგორდებოდა.

ყოველ შემთხვევაში – ბერიას მმართველობის ამ ეტაპზე გამომსვლელებს სიცოცხლე და ნორმალური პირობები გარანტირებული ჰქონდათ.

9 დეკემბერს ლ. ბერიამ სიტყვა წარმოთქვა წინასაარჩევნო კრებაზე – ისევ თავს დაესხა ინტელიგენციას, დაასახელა აგენტები, რომლებიც დააპატიმრეს, შეაჯამა კანონიერებისათვის ბრძოლის შედეგები.

კონსტანტინე საერთოდ არ უხსენებია.

30 დეკემბერს კონსტანტინეს ადგილი მისცეს ოპერის თეატრში გამართულ რუსთაველის საიუბილეო პლენუმის პრეზიდიუმში, რომელიც ქალაქის საბჭომ მოაწყო.

1934 წელს იგი იყო პირველი საიუბილეო კომიტეტის წევრი, მაგრამ შემდეგ გამოიყვანეს, როცა მოხდა ხელახალი ფორმირება.

პრეზიდიუმში ისხდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, სტუმრები, მეცნიერებისა და ხე-ლოვნების ცნობილი მოღვაწენი.

ეს უკვე იმისი დასტური იყო, რომ "მთვარის მოტაცების" ავტორს ხელისუფლება ხელს არ ახლებდა. თუმცა აღზრდა გრძელდებოდა და მწერალთა კავშირის ახალმა ხელმძღვანელმა, ცეკას მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა ისევ გაუხსენა რასობრივი თეორია, ნიცშეს ამორალიზმი, მისტიკა, წვრილბურსუაზიული ნაციონალიზმი...

"მთვარის მოტაცება" დადებითად მოიხსენია, მაგრამ თარაში და არზაყანი არ მოიწონა. მისაღებად მიიჩნია დანტეს თარგმანი.

კონსტანტინე განაწყენდა; კანდიდს მიმართა, ამას თქვენგან არ მოველოდიო, თქვენზე ასაკით უფროსი ვარ და ალბათ დანტესაც ჩემი თარგმანით გაეცანიო.

კანდიდ ჩარკვიანმა მკვახე, ბოლშევიკური პასუხი გასცა.

... 1937 წელს ცალკეული "ბანდების", "ბლოკებისა" და "ხროვების" განადგურებას აღფრთოვანებით ესალმებიან – შ. დადიანი, ალ. მაშაშვილი, დ. შენგელაია, ს. ეული, რ. გვეტაძე, შ. რადიანი, ს. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, ალ. აბაშელი, ს. შანშიაშვილი, ბ. სდენტი, ალ. ჭეიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, ირ. აბაშიძე, ი. მოსაშვილი, გ. ლეონიძე, ვ. გაფრინდაშვილი, მ. ჯავახიშვილი, გ. ნატროშვილი, ანუ თითქმის მთელი ქართული მწერლობა.

ამ ვაკხანალიაში მონაწილეობა არ მიუღია კონსტანტინეს, ისევე როგორც გალაკტიონ ტაბიძეს.

... სოციალიზმის ბომონისადმი კაცთშეწირვა გრძელდებოდა.

სასიკვდილო "მოხსენებითი ბარათი"

მწერალს აღარ აფრთხილებდნენ და არც აგრძნობინებდნენ, მაგრამ თვალთვალი და ფარული შესწავლა გრძელდებოდა.

შედეგი ის იყო, რომ 1938 წლის 2 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა სერგო გოგლიძემ ესოვსა და ბერიას გაუგზავნა ვრცელი მოხსენებითი ბარათი №47.298.

კომისარი აღმოჩენილად მიიჩნევდა ახალ "კონტრევოლუციურ-ფაშისტურ ორგანიზაციას" და მისი ლიდერების, მათ შორის – კონსტანტინეს, როგორც ჯაშუშისა და ფაშისტის დაპატიმრების სანქციას ითხოვდა.

გოგლიძის აზრით, თურმე მხოლოდ ახლა იწყებოდა "კონტრევოლუციურ-ფაშისტური საქმის გამოძიება". მაგრამ სტალინი ასე არ ფიქრობდა, იგი უკვე ამთავრებდა სახელმწიფო ტერორს და ესოვის დღეებიც დათვლილი იყო, ხოლო მის აყვანილ ქალიშვილს ბავშვთა თავშესაფარი ელოდა.

ამიტომ "მოხსენებითი ბარათის" მსვლელობა ლავრენტი ბერიამ შეაჩერა. იგი სტალინს არ მიუღია.

ასე გადარჩა ცნობილ ქართველ მოღვაწეთა სიცოცხლე (გიორგი ახვლედიანი, პავლე ინგოროყვა, მიხეილ ზანდუკელი, კოტე ფოცხვერაშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია...).

19. მირანდა ფალავანდიშვილი

(1914-1970)

მე შენთან ერთად ვათენებდი ღამეს და დილას,

დღეს შენთან ერთად ველოდები უფსკრულის ხილვას...

ალექსანდრ ბლოკი

კონსტანტინე ისევ უცოლო იყო, როცა წერდა "მთვარის მოტაცებას".

მარტო ცხოვრობდა და მხოლოდ თავის გმირთა ლანდებს ეხმიანებოდა, რომლებიც ღამის სიბნელეში მთვარესთან ერთად ეწვეოდნენ.

თავისუფალ გონებას ცოლი არ უნდა ჰყავდესო, ფრინველი მარტო უნდა ფრენდესო, – ამბობდა ფრიდრიხ ნიცშე, იმეორებდა კონსტანტინე და მისი გმირებიც ეულ ცხოვრებას არჩევდნენ ოჯახურ შფოთსა თუ სიმყუდროვეს.

იგი უკვე 44 წლისა იყო, ბაირონის ასაკს საკმაოდ გადაცილებული.

რომანტიკული აღტკინების სამი დასრულდა, იგი სტრიქონებს გააყოლა და ოჯახს მოეკიდა, შერთო ცოლი.

ეს იყო მირანდა ფალავანდიშვილი, სრულიად ახალგაზრდა, გამორჩეული სილამაზისა და ბუნების ასული.

ფალავანდიშვილები ქართლის ძველი ფეოდალები იყვნენ. ეს გვარი მოხსენიებულია ჯერ კიდევ XIV საუკუნის სიგელში.

მირანდას ქალიშვილობაში მათიკო ერქვა. ბავშვობაში იადასაც ეძახდნენ. მირანდად კონსტანტინემ მონათლა, ალბათ შექსპირის მიხედვით.

მწერალი მას გაეცნო გერმანულ სკოლაში, სადაც ასწავლიდა.

მირანდა რეპრესირებული ოჯახის შვილი იყო.

მამა – ნიკოლოზ ფალავანდიშვილი დახვრიტეს 1924 წელს, როგორც თავადი. მაშინ ხომ სასტიკად გაუსწორდნენ თავადაზნაურთა კლასს.

დედა – თამარ აბდუშელიშვილი ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა.

ძმა მეორე მსოფლიო ომში დაელუპა, უკრაინის ფრონტზე.

ძველი ტრადიციისამებრ, კონსტანტინე ხელის სათხოვნელად ეახლა მირანდას ბებიას – მაშო ზედგინიძეს. მაგრამ გაწბილებული დარჩა.

– შე წუწკო, ლამის ჩემი ასაკისა ხარ და ამ ანგელოსს როგორ გაგატანო, – მკაცრად უპასუხა ქალბატონმა და ოჯახის წევრებს მიმართა – სტუმარი გააცილეთო!

კონსტანტინე და მირანდა მაინც დაქორწინდნენ. ეს მოხდა 1935 წელს.

ცოლ-ქმარს შორის მეტისმეტად დიდი იყო ასაკობრივი სხვაობა – მთელი ოცდასამი წელი. მიუხედავად ამისა, მათი ქორწინება ბედნიერი გამოდგა.

კონსტანტინე, როგორც ყოველი დიდი ხელოვანი, არ იყო იოლი და მარტივი ხასიათის კაცი. საშინელი დრო, რომელიც მარყუსივით ყელზე ეხვეოდა, კიდევ უფრო უწეწავდა ფსიქიკას. მაგრამ მირანდა მფარველ ანგელოსად მოევიწყა მის მძიმე და დრამატულ ცხოვრებას.

ერთხანს კონფლიქტიც ჰქონდათ, რასაც კონსტანტინე მირანდას მამიდას – ოლღა ფალავანდიშვილ-კობიაშვილს აბრალებდა, რომელიც ლამის ჩაუსახლდა.

ამის გამო კონსტანტინემ 1946 წელს ცეკას მდივანს პეტრე შარიასაც კი მიმართა, ოჯახი დამინგრიაო, უმტკიცებდა, ამ ქალის იზოლირებაა საჭიროო. შემდეგ მწერალმა ეს ქალი ბიძია ვარას სახელით გამოიყვანა "ვაზის ყვავილობაში", რომელმაც არია ვახტანგ კორინთელის ოჯახი.

1936 წელს შეეძინათ ქალიშვილი – თამარი, 1939 წელს – ზვიადი, საქართველოს მომავალი პრეზიდენტი.

ისინი ცხოვრობდნენ ჯაფარიძის (ადრე ჯულაშვილის) ქუჩაზე.

კონსტანტინე ახალი დაოჯახებული იყო, როცა საშუალო სკოლა დაამთავრა და ჭიათურიდან ჩამოვიდა უფროსი ქალიშვილი ნათელა.

ნათელა და მირანდა თითქმის ტოლები იყვნენ.

მათ ერთმანეთი პირველად ნახეს ქვიშხეთში, სადაც კონსტანტინე მეუღლესთან ერთად ისვენებდა.

მირანდა ატირდა, როცა ნახა უდედოდ და უმამოდ გაზრდილი ასული.

ნათელასაც ცრემლები მოეძალა. მაგრამ მირანდამ მხნეობა მოიკრიბა და ანუგეშა იგი, რას გავაწყობთ, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედით.

კონსტანტინემ ოთახი დატოვა და ეზოში გავიდა.

მირანდა ყოველნაირად ცდილობდა, რათა ნათელას უდედობა არ ეგრძნო, სადილსაც არ ამზადებინებდა, შრომა მაშინაც გეყოფა, როცა გათხოვდებიო.

კონსტანტინესა და ზვიადს დღესაც მრავალი უხიაგი ჰკილავს, მაგრამ მათაც კი აუგი არ დასცდებათ მირანდაზე.

ყველანი ერთხმად ამბობენ, რომ იგი იყო დიდბუნებოვანი, სათნო და კეთილშობილი ქალბატონი.

ნათელას უთქვამს, ფული რომ მჭირდებოდა, მამაჩემს ვერ ვეტყვოდი, მირანდას ვთხოვდი ხოლმეო. ერთხელ ეს კონსტანტინეს გაეგო და ცოლზე გაჯავრებულა, ვერ გავიგე, ნათელა შენი შვილია თუ ჩემიო.

კონსტანტინეს თავისებური აზრი ჰქონდა ქალის განათლებაზე. არც ის მოსწონდა, მირანდა რომ უნივერსიტეტში სწავლობდა, ეუბნებოდა, სჯობია ოჯახს მიხედოო.

მირანდამ ეკონომიური ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ არსად უმსახურია. მეუღლეს ეხმარებოდა ლიტერატურულ მუშაობაში, თარგმნიდა, უვლიდა ოჯახსა და შვილებს, მასპინძლობდა სტუმრებს (რომლებიც ხშირად ეწვეოდნენ "კოლხურ კოშკს"), თამარისა და ზვიადის მეგობრებს, როცა ნება დაირთო – მოგზაურობდა საზღვარგარეთ.

მხოლოდ ერთხელ, 1967 წელს იყო მეუღლესთან ერთად უცხოეთში, გერმანიაში.

მანამდე კონსტანტინეს არც აძლევდნენ უცხოეთში წასვლის ნებას.

როგორც ითქვა, მარტობამ, შემოქმედებითმა პროცესმა, ეპოქის კომმარმა კონსტანტინეს მკაცრი ხასიათი ჩამოუყალიბა. ეს თავს იჩენდა ცხოვრებისეულ წვრილმანებში, ხელმომჭირნეობაში, პედანტურ სიზუსტეში, ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში, რასაც თავდაპირველად კონფლიქტებიც მოსდევდა...

ახალგაზრდა მირანდა ეჭვიანობდა, კონსტანტინეს ალბათ საყვარლები ჰყავს და მიტომ მოდის სახლში ასე გვიანო.

ნათელა ამშვიდებდა და მამას სთხოვდა, რომ ერთად წასულიყვნენ თეატრში. მაგრამ კონსტანტინე უარობდა, ყველა სპექტაკლი 3-4-ჯერ მაქვს ნანახი და უეჭველად ჩამეძინებაო.

როგორც იგონებს ზვიადი, დედამ მას ჩაუნერგა მუსიკისა და ხელოვნების სიყვარული, რაინდული თაყვანისცემა ქალისადმი.

მირანდა 56 წლისა იყო, როცა ამქვეყანას განშორდა.

მას სიმსივნე აღმოაჩნდა, უკვე მესამე სტადიაში გადასული.

ერთხანს ლენინგრადში სხივებით მკურნალობდა. ამაოდ.

საშვილოსნოს სიმსივნით დაღუპულან მირანდას დედა და დეიდა.

ავადმყოფს თავზე ადგა თამარი, ხშირად აკითხავდნენ ნათესავეები – ნატო აბდუმელიშვილი და ლოლა აბაკელია.

ტკივილებს უხმოდ იტანდა სწეული.

სვიმონმა, კონსტანტინეს ძმისწულმა, ანუგემა ბიცოლა, მალე გამოკეთდები, კარგად გახდებო.

– არა, მე არ გამოკეთდები, ყველაფერი დასრულდა, – სევდიანად მიუგო მირანდამ.

მწუხარებამ დაიბუდა "კოლხურ კომპში", რომლის ეზოში დაკრძალეს 1970 წლის 12 თებერვალს იგი, ვისაც უძღვნა მწერალმა თავისი მრავალწლიანი შრომის ნაყოფი – "დავით აღმაშენებელი".

რომ არა მირანდას ავადმყოფობა და გარდაცვალება, კონსტანტინე დაასრულებდა დაწყებულ რომანს – "თამარ".

მირანდა დილით გარდაიცვალა.

ზვიადი რუსეთში იყო წასული ექიმის ჩამოსაყვანად.

ეგონათ, კონსტანტინეს ჯერ კიდევ ეძინა. მაგრამ იგი საწერ მაგიდასთან იჯდა და წერდა.

როცა მირანდას სიკვდილი აუწყეს, ფეხზე წამოიჭრა და კალამი გაუვარდა ხელიდან. ქანცმილეული სკამზე დაეშვა და დიდხანს იყო გარინდული.

შემდეგ მეუღლის ცხედართან მივიდა და ცხარედ ატირდა.

მირანდა აქ, ეზოში უნდა დაიმარხოლო, უთხრა ახლობლებს.

მთაწმინდის პანთეონი უხსენეს.

ჩემი პანთეონი იქ არის, სადაც დავიმარხებო.

... მირანდას დაღუპვის შემდეგ ისევ დეპრესიამ დარია ხელი, შინიდან არ გამოდიოდა, არავის ნახვა არ ეწადა, მდუმარედ იჯდა საწერ მაგიდასთან, სიგარეტს ეწეოდა, დროდადრო წერდა და კითხულობდა, ან ფანჯრიდან გაჰყურებდა გამრცვილ ხეებს...

20. მითოსისა და ისტორიის წიაღში

უნდა დავიბრუნოთ წარსული,

როგორც პომპეი და ჰერკულანუმი.

ვალერიან გაფრინდაშვილი

დადგა 1938 წელი.

საქართველოში რეპრესიების ტალღა დაცხრა. მაგრამ მთელს საბჭოეთში ისევ გიზგიზებდა ჯოჯოხეთის ცეცხლი. გადარჩენილი ხალხი ფარულად უფალს მადლობას სწირავდა და მხნეობას იკრებდა, განადიდებდა პარტიასა და ხელისუფლებას.

"დიდება დიდ სტალინს", ჰქუხდნენ მილიონები.

"შიში შეიქს სიყვარულსა", ბრძანებდა რუსთაველი ბნელ საუკუნეთა მიღმა.

შემინებული, დამფრთხალი ხალხი მაინც ფიქრობდა, რომ ეს იმას სჯიდნენ, თორემ თვითონ მართალი და უბრალო იყო. სალამოს პარტკომი დასაჭერთა სიას ადგენდა. ღამით ამ სიას მისი გვარიც ემატებოდა. დღისით ჩეკისტი თავისთან იბარებდა მწერალს. სალამოს თავად უკვე ტუსალი იყო. დღეს სახალხო კომისარი პარტიისა და ხალხის სახელით ანათემას გადასცემდა ხალხის მტრებს – ზინოვიევსა და კამენევს, ბუხარინსა და რიკოვს, ღამით ისიც ავსებდა განწირულ პატიმართა რიგებს.

გრძელდებოდა "სტალინური ფოლადით ნაჭედი" ესოვის ქება.

ამ საზარელ კარუსელში კონსტანტინეს მხსნელი მხოლოდ თავისი ნიჭი და ინტელექტი იყო, რაც პარტიის ინტერესებისთვის უნდა მოემართა.

ისტორიის კარუსელი

1936 წლის თებერვალში კონსტანტინე აცხადებდა, ისტორიული რომანი მთავარი როდიაო. ერთმანეთს უპირისპირებდა ისტორიულ და თანამედროვე რომანს.

ამ თეორიიდან გამომდინარე წერდა წიგნს – "ევროპა გალიაში", აქტიურად მონაწილეობდა მწერალთა კავშირის მუშაობაში, თავის ხმას უერთებდა კოლეგებს, ხალხის მტერთა შემრისხველებს. სუბიექტურად მართალიც იყო, ორივე მხარე ბოროტებასა და სიკვდილს თესავდა, უბრალოდ – ერთი მოერია მეორეს.

1937 წლის 10 მაისს მწერალთა კავშირში იმეორებდა, დღევანდელიობას მივხედოთ, ისტორიული რომანი მთავარი როდიაო.

ისტორიული რომანის იდეა რომ ჰქონოდა, ამ სანრს არ გაკილავდა.

შემდეგ ალოგიზმი რომ შეერბილებინა, ისტორიული პროზის ცნება უარყო.

1938 წელსაც აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში:

19 თებერვალს მწერალთა საერთო კრებაზე მსჯელობს თავისი გეგმების შესახებ, რა გააკეთა და რას გააკეთებს;

5 მარტს საუბრობს მწერლთა კავშირის მუშაობაზე;

4 აგვისტოს აკრიტიკებს იაპონელ იმპერიალისტებს;

29 სექტემბერს პრეზიდიუმს თავისი აზრი გააცნო კრებულ "ახალი თბილისის" შესახებ;

28 ნოემბერს რუსთაველის თეატრში გაიმართა ინტელიგენციის საპროტესტო კრება გერმანიაში ებრაელთა რბევის გამო. გერმანელი ფაშისტების კრიტიკით გამოვიდა კონსტანტინე და სტალინის ქება მიაყოლა.

სიტყვა წარმოთქვა "ლიტერატურული საქართველოს" რედაქციის თათბირზე;

სხვებთან ერთად ხელი მოაწერა ვალერი ჩკალოვის ნეკროლოგს;

21 დეკემბერს მწერალთა კავშირის კლუბში წაიკითხა ნაწყვეტი "დიდოსტატის მარჯვენიდან"...

1938 წელს კონსტანტინეს შემოქმედებას პრინციპულად ახლებური შეფასება მისცეს დიმიტრი ბენაშვილმა ("მნათობი", №8) და ლევან ასათიანმა, რომელმაც აღნიშნა მწერლის "მძლავრი შემოქმედებითი პოტენცია, მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატობა".

ხოლო 1939 წელს აკაკი გაწერელიამ კიდევ უფრო დაასაბუთა კონსტანტინეს პროზის ღირსებანი ("მნათობი", №7).

1946 წლამდე ეს შეფასებანი არ შეცვლილა.

მაგრამ ხელისუფლება თვლიდა, რომ კონსტანტინე თანამედროვე მასალას ისე ვერ ამუშავებდა, როგორც საჭირო იყო. მის დიდ ტალანტს შეეძლო სხვა სარბიელზე მეტი სარგებლობა მოეტანა. დანტეს თარგმანს ამიტომაც აქებდნენ. აქ იდეოლოგიური ბარიერი მოხსნილი იყო. კონსტანტინე ვერ იძლეოდა ბოლშევიკის სანიმუშო სახეს. სულ ჭიდილის თემა ხელისუფლებას არ აინტერესებდა. მას ახალი ცხოვრების ზეიმი, ახალი ჰეროიკა უნდოდა ეხილა ლიტერატურაში. ამიტომ კონსტანტინე ნელ-ნელა გადაიყვანეს ისტორიის სამყაროში. აქ იდეური ლაფსუსები გამორიცხული უნდა ყოფილიყო. ნაციონალიზმსაც გამართლება მიეცემოდა.

ორი ციკლი

ასე გამოეყო თანამედროვეობას მითოსური და ისტორიული ასპექტები, რაც ახლდა "მთვარის მოტაცებას", უფრო სწორად – სინთეზურად იყო მოცემული ამ ტრილოგიაში.

"ქართული მითოსის" ციკლის პირველი ნაწარმოები იყო "ხოგაის მინდია", "ქარ-თლის ცხოვრებისა" – "დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა".

"ხოგაის მინდია"

"ხოგაის მინდია" დაიწერა 1937 წელს, დაიბეჭდა 1938 წლის "მნათობის" მეექვსე ნომერში. გამოიყენა ხევსურეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, სამეცნიერო მასალები.

პერსონასთა მეტყველება რომ სწორად დაეფიქსირებინა, დაუახლოვდა ხევსურ სტუდენტებს – გაბრიელ ჯაბუშანურსა და მის მეგობრებს.

მაგრამ ყველაზე მთავარი იყო ექიმ გიორგი თედორაძის ჩანაწერი – "ხოგაის მინდიას" თქმულების ახალი ვერსია, რომელიც ითხოვა ჩამწერისაგან. იგი თავისი ნოველის საფუძვლად აქცია და სურნალში აღნიშნა კიდეც. მაგრამ ექიმი გაგულისდა, ჩემი მასალა მიითვისაო. კონსტანტინეც განაწყენდა და ის შენიშვნაც მოხსნა.

ეს ისტორია გვაგონებს თომას მანის "დოქტორ ფაუსტუსის" მერმინდელ ამბავს. თომას მანმა რომანის ბოლოში აღნიშნა, თანამედროვე კომპოზიტორის არნოლდ შონბერგის მუსიკალურ-თეორიული მასალები გამოვიყენეო. მაგრამ ავანგარდისტული, ატონალური მუსიკის ფუძემდებელი აღშფოთდა, შეშლილ მუსიკოს ადრიან ლევერკიუნს რა მიგავსო, მომავალი გაარკვევს – ვინ ვისი თანამედროვე იყო!

ნოველის წერა რომ დაამთავრა, ხევსურებთან მუსაიფს თავს არიდებდა. სტუდენტები გაოცდნენ, კონსტანტინე ნაწყენი ხომ არ არისო და განდგომის მიზეზი ჰკითხეს. რა მიზეზი უნდა მქონდეს, "ხოგაის მინდია" დავამთავრე, ახლა სხვა წიგნზე ვმუშაობო, მიუგო შეცბუნებულ ხევსურებს.

"დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა"

1938 წლის 10 სექტემბერს "ლიტერატურული საქარველო" იუწყებოდა, რომ კონსტანტინემ დაასრულა ნოველა – "დიდი ოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა".

სჩანს, ეს რომანი თავიდან ნოველად იწერებოდა, როგორც "ხოგაის მინდიას" თემის გაგრძელება ისტორიის სივრცეში. მაგრამ თხზვის პროცესში რომანად იქცა.

წიგნი იწერებოდა და პარალელურად იბეჭდებოდა "მნათობში" (ნაწყვეტები გამოაქვეყნეს "ჩვენმა თაობამ" და "ლიტერატურულმა საქართველომ").

1938 წლის მეცხრე ნომრიდან "მნათობი" იწყებს ამ რაინდული რომანის პუბლიკაციას.

მწერალს მასზე მუშაობა უნდა დაეწყო 1938 წლის ზაფხულში. ხოლო პირველკონტურები, როგორც ითქვა, ჩანს 1932 წელს დაწერილ კინოსცენარ "ვარძის საიდუმლოში".

1937 წლის 18 ივნისის ანკეტაში დასაწერ თხზულებათა შორის იგი არ იხსენიება.

ხოლო 1939 წლის გაზაფხულისათვის წიგნი დაწერილი ჰქონდა.

"დიდოსტატის მარჯვენა" უფრო სწრაფად შეითხზა, ვიდრე "მთვარის მოტაცება".

თავად ხომ შენიშნავდა, დედანს საშინელი სისწრაფით ვწერ, სასვენ ნიშნებსაც გადავახტებიო.

რომანის ბეჭდვა "მნათობმა" დაასრულა 1939 წლის მეოთხე ნომერში და გამოიცა ნოველების კრებულთან ერთად – "თვალთაჲ".

კონსტანტინე ისტორიული რომანების წერას არ აპირებდა, მაგრამ როცა საამისო სიტუაცია შეექმნა, სწრაფად მოერგო ახალ მასალას: ჩინებულად იცნობდა ძველქართულ სამყაროს, ძველქართულ ენას, ბიბლიას, ელადას, იყო კარგი ცხენოსანი, მონადირე, იარაღის მცოდნე, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა გარდასულ დღეთა აღდგენის სამს; დღევანდელი სულს უხუთავდა, ოცნებობდა თავისუფალ და ძლიერ საქართველოზე...

1925 წლის 6 თებერვალს კოკი აბაშიძეს მწერლისათვის უჩუქნია ანა ნატროშვილის წიგნი "მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი", რომელსაც ასახელებს რომანის კომენტარებში.

ასე რომ, ადრევე კარგად იცნობდა იმ მასალას, რომელიც ახალ მითად გაშალა. ხოლო თუ რატომ მოექცა თვალთახედვის არეში მცხეთა და სვეტიცხოველი, ამ ფაქტს აქვს ახსნა: 1937 წლიდან სიმონ ჯანაშიასა და ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო არქეოლოგიური გათხრები არმაზსა და ბაგინეთში. ხელისუფლება ამ ძიებას დიდ პროპაგანდას უწევდა, რათა ხალხს დღევანდელიაზე

არ ეფიქრა, დღევანდელი არ განეხილა და ჰეროიკული, რომანტიკული წარსულით ეამაყა, პარტიის პატრიოტული ინტერესიც ერწმუნა.

ძველი არმაზი პოეტებისა და მეცნიერების შთაგონება გახდა. დაიწერა სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლი "არმაზის აჩრდილები", კონსტანტინე ჭიჭინაძის სონეტი "სერაფიტი", გიორგი წერეთლის გამოკვლევა "არმაზის ბილინგვა".

"დიდოსტატის მარჯვენის" გამოჩენა გამოაგნებელი ფაქტი იყო. არავინ ელოდა, "მთვარის მოტაცების" შემდეგ, ასე სწრაფად, ამ დონის წიგნს თუ დაწერდა. თანაც ჯერ ვერც მოესწროთ "ხოგაის მინდიას" შეფასება. კონსტანტინეს ნაწერებს ხომ ყველა ინსტანციაში გულმოდგინედ სწავლობდნენ, სინჯავდნენ დეტალების სიმაგრესა და გამძლეობას, მწერლის იდეურ პოზიციას იჭვნეულად ჩაკირკიტებდნენ. ისიც ცნობილი იყო, რომ "ბელადს" წერდა. ვერ წარმოედგინათ, თუ ამ თემას განზე გადადებდა და ნოველისა და რომანისათვის მოიცლიდა!

ამ წიგნს მთელი ქართული მწერლობა აღტაცებით შეხვდა. ვალერიან გაფრინდაშვილი 1939 წელს, მწერალთა ყრილობაზე, კონსტანტინეს ჯადოქარს უწოდებდა და განადიდებდა ახალ რომანს.

მაგრამ ოფიცოზი არ ჩქარობდა და დუმილს არჩევდა.

საქართველოს კომპარტიის XIII ყრილობაზე, 1940 წლის გაზაფხულზე, კანდიდ ჩარკვიანი ახსენებდა მხოლოდ "ბელადს", "დიდოსტატის მარჯვენას" – არა.

წინდახედული ირაკლი აბაშიძეც ასევე მოიქცა: გაიმეორა ის, რაც რესპუბლიკის ხელმძღვანელმა თქვა!

ოფიციალურ აღიარებას მოსკოვის დასტური სჭირდებოდა.

1938 წლის აგვისტოში ლავრენტი ბერია მოსკოვში გადაიყვანეს. ჯერ დანიშნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ნიკოლაი ესოვის მოადგილედ, ხოლო სამ თვეში – კომისრად.

საქართველოში ბერიას ადგილი დაიკავა კანდიდ ჩარკვიანმა.

მან მალე დატოვა მწერალთა კავშირი, რაც შეთავსებით ებარა.

მწერალთა ხელმძღვანელი გახდა ალიო მაშაშვილი (მირცხულავა), "დამკვრელი ბრიგადების" ავტორი, რომელიც ადრე აღტაცებით აქებდა "მთვარის

მოტაცებას", რის გამოც ბესო სლენტის შენიშვნა დაიმსახურა. მაგრამ როცა თავად გახდა მწერალთა ოჯახის მეთაური, ყრილობაზე ძველი ეპითეტები აღარ გაიხსენა.

"დიდოსტატის მარჯვენა" არც დაასახელა, რადგან ჯერ ოფიცოზი დუმდა.

ალბათ თავის მდგომარეობას გაუფრთხილდა.

სამაგიეროდ დახმარებაზე უარი არ უთქვამს.

კონსტანტინემ 1940 წლის 27 აპრილს ლენინგრადში წასასვლელად ათასი მანეთი ითხოვა.

ალიომ მეორე დღესვე დააკმაყოფილა მისი თხოვნა.

სტალინის ეპოქაში მეფის მიერ ხელოვანის დასჯა, ე. ი. სისასტიკე, ხელისუფლების სიმკაცრის იდეა, მოსაწონი იყო, სტალინის სიკვდილის შემდეგ – ტირანიის მხილებად აღიქმებოდა.

მთავარი პერსონასი არსაკიძე არ ატარებდა ფეოდალის მანტიას.

მაგრამ, რაც მთავარია, რომანი აღმშენებლობის აპოლოგია იყო.

შეიძლება ამიტომაც მოეწონა იგი ბელადს, რომელსაც ბერიას რჩევით 40-იან წლებში გადასცა ეს რომანი სიმონ ჯანაშიამ.

სტალინმა ერთ ღამეში წაიკითხა "დიდოსტატის მარჯვენა" და, როგორც ბრალდებული პეტრე შარია ამბობს თავის ჩვენებაში, მაშინვე გააღვიძა ბერია, გამსახურდია შესანიშნავი მწერალი ყოფილა და ეს მე არ ვიცოდიო!

მალე რომანი ჩაითვალა საბჭოთა ისტორიული პროზის მიღწევად, არა მხოლოდ ქართული მწერლობის ან ავტორის გამარჯვებად.

"დიდოსტატის მარჯვენის" მიმართ ოფიცოზს აზრი არ შეუცვლია. ამიტომ მისცეს უცხოეთის ვიზა, როცა ოდნავ გადაიწია რკინის ფარდა.

ხელისუფლებასთან ერთად

კონსტანტინე ცდილობდა ხელისუფლების პოზიცია დაეკავებინა, მონაწილეობა მიეღო აღმშენებლობის პროცესში, საქართველოს აღორძინება თავადაც შეეგრძნო და განეცადა. თვლიდა, რომ განზე განდგომა არა მხოლოდ სიკვდილს ნიშნავდა, არამედ – ვერც სარგებელს მოიტანდა.

ბოლშევიკურმა რესიმმა და პროპაგანდამ დათრგუნა და გააბრუა ხალხი. ამიტომ ისევ ხელისუფლების თანადგომით შეიძლებოდა ქვეყნის სამსახური, რაც უნდა სატანური ყოფილიყო იგი.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ბოლშევიზმის ნამდვილი არსი, ჩადენილი ტოტალური დანაშაული მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ გახდა ცნობილი.

კონსტანტინემ ხელი მოაწერა ქართველ მწერალთა მიმართვას საკავშირო კომპარტიის XVIII ყრილობისადმი.

13 აპრილს მონაწილეობს ლეო ქიაჩელის რომან "გვადი ბიგვას" განხილვაში, მაგრამ ავტორის ენობრივი გეზი არ მოიწონა.

19 აპრილს სიტყვა წარმოთქვა ინტელიგენციის საქალაქო შეკრებაზე.

4 მაისს კოლეგებთან ერთად მიავლინეს კიევში, შევჩენკოს იუბილეზე.

"მნათობი" აგრძელებდა "დიდოსტატის მარჯვენის" ბეჭდვას.

10 ივლისს "ლიტერატურული საქართველო" იუწყებოდა, რომ კონსტანტინე ქართული ქრონიკების საფუძველზე წერდა რომანების სერიას.

პირველი იყო "დიდოსტატის მარჯვენა", მეორე იქნებოდა ტრილოგია "დავით აღმაშენებელი".

30 ივლისს დაიბეჭდა ბესარიონ სლენტის წერილი "დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა", რომელშიც კრიტიკოსმა ხაზი გაუსვა რომანის "უდიდეს ღირსებას", დიდ ხელოვნებას, მაგრამ შენიშნა, არსაკიდის სახე მკრთალიაო.

26 სექტემბერს "ლიტერატურულმა საქართველომ" გამოაქვეყნა ტრილოგია "ბელადის" პირველი წიგნის პირველი თავი – "უფლისა არაბული".

მაგრამ კონსტანტინეს პროზას კოლეგები უკრიტიკოდ როდი ღებულობდნენ. ზოგს ყოველგვარი იდეოლოგიური ახირების გარეშე არ მოსწონდა მწერლის ენა და სტილი.

ჩაშლილი დუელი

დანტეს "ჯოჯოხეთის" თარგმანი სასტიკად გააკრიტიკა პოეტმა იოსებ მჭედლიშვილმა.

მჭედლიშვილი წერდა ლექსებს, თარგმნიდა რუს პოეტებს.

ნიჭიერებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ თავს სდებდა ვასკაცობაზე, კარგი მონადირის სახელი ჰქონდა, დადიოდა ჩოხა-ახალუხით, ქამარ-ხანჯლით.

მუშაობდა "ახალი თაობის" რედაქციაში.

ამიტომ კონსტანტინე თავს არიდებდა იქ შესვლას, კარებიდან დაუძახებდა ნიკა აგიაშვილს, შენთან დიდი საქმე მაქვსო.

ჩაიყვანდა მწერალთა კავშირის ბაღში ნიკას და დინჯად ჰკითხავდა, შენი რედაქტორი ირაკლი როდის უნდა მოვიდესო!

ერთხელ "ახალმა თაობამ" "დიდოსტატის მარჯვენის" ნაწყვეტი დაბეჭდა.

ეს რომ წაეკითხა იოსებს, ერთიანად გადაეხაზა, კოწიას არც ქართული სცოდნია და არც ისტორიაო.

კონსტანტინემ ჟურნალის 15 ეგზემპლარი მოითხოვა.

ნიკას შეეშალა და გადახაზული ცალიც გააყოლა ავტორს!

მეორე დღეს აღშფოთებული კონსტანტინე მიადგა რედაქციის კარებს, ნიკას მოუხმო, ისევ ჩაიყვანა ბაღში და მტკიცედ უთხრა, ხვალ იოსები აქ მოვიდეს, დუელს ვუნიშნავო. მაგან რომ ბაზარში ნაყიდი მგლის ტყავი თავის ნანადირევად გაასაღა, ჰგონია, რომ არ ვიციო...

ნიკა შეწუხდა, თავის შეცდომას რომ ასეთი დიდი უბედურება უნდა მოჰყოლოდა.

მეორე დღეს ორივე დუელიანტი გამოცხადდა მწერალთა კავშირში.

კონსტანტინეს თეთრი ახალუხი, სღალი ჩოხა და მწვანე შარვალი ჩაეცვა, შავი კრაველის ბოხობი დაეხურა.

იოსები შავ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილიყო.

ისინი მეორე სართულზე, ლომ-ვეფხვის ფიტულთან შეხვდნენ ერთიმეორეს.

ცოტა წაილაპარაკეს და ბრაგუნით დაემზვნენ კიბეზე.

ნიკა დაფრთხა, კინალამ გული წაუვიდა, ირაკლის მივარდა, ეგენი ერთმანეთს დახოცავენო, ვუშველოთ რამეო.

ირაკლი მოკვდა სიცილით, რას ამბობ, ნიკა, ოცი წელია ასე იმუქრებიან და მათი მოკ-ლული კი არა, დაჭრილიც არავინ მინახავსო!

აივნიდან გადახედა ნიკამ და მართლაც – კონსტანტინე ცხარედ ლაპარაკობდა, მაგრამ იოსები იცინოდა, თუმცა ორივეს ხანჯალზე ედო ხელი.

ცოტა ხნის შემდეგ კონსტანტინე მშვიდად ამოვიდა. ნიკა, ხომ იცი, მე რაპირებით ვვარჯიშობდი, შემეცოდა იოსები, მაგის სისხლით ხომ არ გავსვრიდი საქართველოს მტრების სისხლით განბანილ ჩემს ხანჯალსო...

იგონებდა ნიკა აგიაშვილი.

ვაჟის დაბადება

ცნობილ ქართველ მწერალთა მეტი ნაწილი უშვილო იყო, ან თითო ასული ჰყავდათ. ასე – შვილი არ ჰყოლიათ გალაკტიონ ტაბიძეს, შალვა დადიანს, სიმონ ჩიქოვანს, ტერენტი გრანელს, თითო ასულის ამარა დარჩნენ ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ლადო ასათიანი. ერთი შვილი ჰყავდა და ისიც ადრეულ ასაკშივე დაეღუპა გრიგოლ რობაქიძეს...

ხევსურული ტრადიციით, ერთი კი არა, ხუთი ქალიც კი შვილთა სათვალავში არ შედიოდა, რადგან მთავარი იყო ვასი.

მიხეილ ჯავახიშვილს ორი ასული ჰყავდა. ასევე – კონსტანტინესაც.

ცხადია, კონსტანტინეს უნდოდა ვასი ჰყოლოდა, რადგან ქალთა ინტელექტუალურ უნარზე ერთობ სკეპტიკური აზრისა იყო, რომც დავანებოთ თავი მამაკაცურ ოცნებას.

მირანდა ფეხმძიმედ იყო, როცა კონსტანტინე წერდა "დიდოსტატის მარჯვენას". რომანის ბეჭდვა დამთავრებული არც ჰქონდა, როცა ვასი შეეძინათ – 1939 წლის 31 მარტს.

შვილს ზვიადი დაარქვა, გიორგი პირველის სპასალარის ზვიად დადიანის სახელი და ძეს მომავალი ბრძოლების სარდლობა დაანათლა.

27 ივლისს აკაკი გაწერელიას სწერდა გახარებული მამა:

"ზვიადს ორი კბილი ამოუვიდა. დიდი მხეცი იქნება. ტირილი წესად არა აქვს, არის გაბულუნებული, ჭამს, სძინავს და ხითხითებს და კიდევ სძინავს"...

აკაკი გაწერელიამ მონათლა ზვიადი, რასაც ნაჩუქარ წიგნებში ხაზგასმით აღნიშნავდა ხოლმე.

"ქართულ კლასიკურ ლექსს" აწერია: "მვირფას მირანდას და კ. გამსახურდიას ძმური სიყვარულით ზვიადის ნათლიისაგან. აკაკი გაწერელია. 13. 10. 1953. ტფილისი".

ხოლო გრიგოლ ორბელიანის ნაწერების სრული კრებული ზვიადისათვის დაბადების დღეზე უჩუქნია: "მვირფას ზვიად გამსახურდიას სიყვარულით მისი ნათლიისაგან. აკაკი გაწერელია.

31. 03. 1959. თბილისი".

მძიმე სამს ნათლია თავისი ნათლულის გვერდით იდგა და მის ღირსებას იცავდა...

ჩეჩნეთში ლტოლვილი ზვიადი იგონებდა:

"გულჩათხრობილი, მგრძნობიარე, ნაადრევად ტრავმირებული ბავშვი ვიყავი: უსაშველოდ აწოწილი, გრძელი ცხვირი; გრძელი ხელები დამთრევდა, მწყობრში მუდამ ფეხი მერეოდა, სკოლაში აშკარად მწყინდებოდა, მაგრამ კეთილსინდისიერად ვსწავლობდი. მასწავლებლებს მაინცადამაინც არ ვუყვარდი"...

ასეთი თვითდახასიათება სწორი არ უნდა იყოს.

ზვიადი ყოველთვის იწვევდა ქალთა აღტაცებას. თუმცა ყველაზე ლამაზი და მშვენიერი პრეზიდენტობის სამს იყო, როცა იგი ფანატიკურად უყვარდათ და ასევე ფანატიკურად სძულდათ...

ასეთი გულწრფელი, უანგარო და მასობრივი სიყვარული იშვიათად თუ რგებია რომელიმე ქარ-თველს.

მწერლური შურისძიება

31 იანვარს, 1939 წელს, 12 ქართველი მწერალი ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მოსკოვმა.

კონსტანტინე არავის გახსენებია.

სხვადასხვა ინსტანციაში აირჩიეს დეპუტატები.

არათუ მაშინ, დეპუტატი კონსტანტინე არასოდეს ყოფილა. თანამდებობას ვინ ანდობდა, თუმცა სიჭაბუკეში რამდენიმე გამოცემის რედაქტორიც იყო.

არც რედკოლეგიებში შეჰყავდათ, არც საიუბილეო კომიტეტებში. მათ შემადგენლობას ხომ ცეკვას ბიურო ამტკიცებდა.

ასეთ იგნორირებას განიცდიდა. მომწყინდა სულ სხვების ზურგის ყურებაო. დაურიდებლად გამოდიოდა, არც უფროსებს ეპუებოდა, მაგრამ ხელისუფლებას აქებდა, დიდი საქმეები კეთდებო. არადა ქვეყანაში მართლაც ბევრი რამ იცვლებოდა – შენდებოდა ქალაქები, ჰესები, აშრობდნენ ჭაობებს, გაჰყავდათ გზები, იბეჭდებოდა წიგნები, განათლების მიღება სავალდებულო გახდა, გაიხსნა მრავალი უმაღლესი სასწავლებელი, მეცნიერებასა და ხელოვნებაში მოვიდა ახალი თაობა. ძველი, ბოლშევიკური ნიჰილიზმიც შეიზღუდა.

1939 წლის 25-29 სექტემბერს გაიმართა საქართველოს მწერალთა IV ყრილობა.

მოხსენებით გამოვიდა ალიო მამაშვილი, მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი.

კონსტანტინემ სიტყვა წარმოთქვა მეორე დღეს, 26 სექტემბერს.

დაიწყო სტალინისა და ბერიას ქებით, მოიწონა პარტიის "რკინის ცოცხი", ილაპარაკა მწერლობაზე, პრაქტიკულ საკითხებზე.

მოითხოვა მწერალთა კავშირის წევრთა ათჯერ შემცირება!

ამან კოლეგები გააგულისა და პირი შეკრეს:

კონსტანტინე გამგეობის 27 კაციან ჯგუფშიც კი ვერ მოხვდა, თუმცა ყრილობის პრეზიდიუმში ჰყავდათ არჩეული და ერთ-ერთ სხდომას თავმჯდომარეობდა.

მერე რა, რომ იყო "მთვარის მოტაცებისა" და "დიდოსტატის მარჯვენის" ავტორი!

ხელისუფლება, თუმცა ჯილდოს არ აძლევდა, კეთილი თვალთ უყურებდა, შეუზღუდავად უთმობდა პრესის ფურცლებს, უცემდა წიგნებს. ასე რომ, საბჭოთა მწერლის პირობაზე მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო. განებივრებული და მდიდარი არც სიბერეში ყოფილა, როცა ჰყავდა მანქანები, ჰქონდა "კოლხური კოშკი", აგარაკი აფხაზეთში, აკადემიკოსის ხელფასი, უმაღლესი ჰონორარი, როცა იბეჭდებოდა უცხოეთში.

... ყრილობაზე ცეკას მდივანი ილია თავაძე ქებით იხსენიებდა "დიდოსტატის მარჯვენას" და საზოგადოებისათვის უცნობ რომანს "ბელადს", რომელსაც ხელისუფლება დაბეჭდვამდე გაეცნო.

IV ყრილობამ, ალექსანდრ ფადეევის წინადადებით, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელად აირჩია ახალგაზრდა პოეტი ირაკლი აბაშიძე.

ალიო მაშაშვილი, სოციალიზმის მგზნებარე მომღერალი, გამგეობაშიც ვერ მოხვდა!

მეორე მსოფლიო ომი ახალი დაწყებული იყო, მაგრამ მისი სუსხი ჯერ არ იგრძნობოდა.

საბჭოთა კავშირი ჰიტლერულ გერმანიასთან ერთად ინაწილებდა ევროპას. ამის გამო მას ერთა ლიგა დაატოვებინეს. მაგრამ ამას ხალხისათვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა.

"თვალთაჲ"

1939 წელს კონსტანტინემ ახალი წიგნი გამოსცა. მას "თვალთაჲ" ერქვა, რაც ძველქართულად თორმეტ თვალი პატიოსანს ნიშნავს.

ქართულ მწერლობაში ცნობილია ბიზანტიელი ეპისკოპოსის ეპიფანე კვიპრელის თხზულების თარგმანი "თვალთაჲ", რომელსაც შეიცავს "შატბერდის კრებული", X საუკუნის ძეგლი.

12 თვალი პატიოსანით სიმბოლიზებულია ბიბლიური იაკობის 12 ძე.

წიგნში შევიდა "მნათობში" დაბეჭდილი "დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა" და თერთმეტი, მკითხველისათვის კარგად ცნობილი ნოველა.

ტრილოგია "ბელადი"

რადგან ხელისუფლებამ სტალინზე რომანის დაწერა კონსტანტინეს მიანდო, ეს ნიშნავდა ოფიციალურ თვალში მწერლის პრესტიჟის ამაღლებას.

რომანის გამოცემის დრო დაამთხვიეს 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღეს. მაგრამ ამჯერად ეს თარიღი დიდმნიშვნელოვანი იყო – ბელადს სამოცი წელი უსრულდებოდა.

როგორც ჩანს, ამ წიგნს წერდა 1939 წელს, სულ რამდენიმე თვე, "დიდოსტატის მარჯვენის" დამთავრების შემდეგ, თუმცა დავალება ადრე მისცეს.

ორი წელი გარანტირებული ჰქონდა თავისუფალი შემოქმედებისათვის.

რომანი საიუბილეოდ უნდა მოესწრო.

ამიტომ ისარგებლა სიტუაციით და დაწერა "ხოგაის მინდია" და "დიდოსტატის მარჯვენა".

ტრილოგიას უნდა აესახა სტალინის ცხოვრების წლები დაბადებიდან 1913 წლამდე, სანამ ხანგრძლივი ვადით გადაასახლებდნენ ტურუხანის მხარეში.

მწერალს მიზნად დაუსახეს ბელადის ქართული და კავკასიური პერიოდების პოეტიზება.

რომანი წარმოებას ჩაბარდა 1939 წლის 2 ნოემბერს.

დასაბეჭდად 9 დეკემბერს მოეწერა ხელი.

სასიგნალო ეგზემპლარები მზად იყო 15 დეკემბერს.

მაგრამ ტირასი (5.000 ეგზ.) გვიან გავიდა წიგნის ბაზარზე. ალბათ ელოდნენ ხელისუფლებისა და კრიტიკის საბოლოო განაჩენს.

რედაქტორი იყო ილია თავაძე, ცეკას მდივანი, მხატვარი – ლადო გრიგოლია.

ილია თავაძე ესწრებოდა ბერიას საუბარს კონსტანტინესთან, როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მწერალს სტალინზე რომანის დაწერის იდეა შესთავაზა.

წიგნი წითელ ყდაში იყო ჩასმული, მდიდრულად გაფორმებული და საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი.

"ბელადი" სახელგამმა გამოსცა.

მეორედ 1940 წელს დაბეჭდა საბლიტგამმა.

"ბელადის" განხილვა

მწერალთა კავშირში სასწრაფოდ დაინიშნა დისპუტი.

იგი მოეწყო 1940 წლის 7-9 იანვარს.

მოხსენებით გამოვიდა დიმიტრი ბენაშვილი, რომელიც წლების მანძილზე დიდ პროპაგანდას უწევდა მწერალს.

კამათში მონაწილეობდნენ – პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი, ლევან ასათიანი, დავით სულიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალიო ადამია, ბესო სდენტი.

წიგნს საუკეთესო შეფასება მიეცა. იდეურ საკითხებზე არ შედავებიან. გამოთქვეს ცალკეული, არაარსებითი შენიშვნები. მაგრამ გამომსვლელთა სიტყვებს აკლდა მგზნებარე პათოსი, თითქოს ყველა სავალდებულო რიტუალს ასრულებდა.

ბოლოს სიტყვა წარმოთქვა კონსტანტინემ.

"ბელადი" ოსტატის მიერაა დაწერილი, მაგრამ აკლია აღმაფრენა, შთაგონება. კარგია ენა, სტილი, ცალკეული პერსონაჟები (მაგ., ხელმოცარული ნაციონალისტი მწიგნობარი მიხა ქილიფთარი), პეიზაჟები, ისტორიის წარმოსახვა...

14 იანვარს დისკუტი ვრცლად გააშუქა "ლიტერატურულმა საქართველომ".

9 მაისს ესტაფეტა უნივერსიტეტს გადაეცა.

ეს უფრო მწერალთან შეხვედრას ჰგავდა, რომელიც გახსნა პროფ. არჩილ ხარაძემ.

მომხსენებელი აქაც დიმიტრი ბენაშვილი იყო.

სიტყვით გამოვიდნენ და გულთბილად ისაუბრეს პროფ. მოსე გოგიბერიძემ, პროფ. კონსტანტინე კაპანელმა, დოც. ვ. კაკაბაძემ, დოც. სერგო ჭილაიამ.

იმსჯელა თვით კონსტანტინემაც.

ოფიცოზი ხელს უწყობდა მწერლის სახელის პროპაგანდას, რათა იგი მასების ცნობიერებაში საბჭოთა მწერლად დამკვიდრებულიყო, ეჩვენებინა მათთვის, რომ გუმინდელი ურჩი ნაციონალისტიც კი დღეს სტალინს განადიდებდა, როგორც, ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილი და შალვა დადიანი.

სხვათა შორის, გრიგოლ რობაქიძეს "ბელადი" არარაობად მიაჩნდა, ისევე როგორც "დიონისოს ღიმილი". არც "დიდოსტატის მარჯვენა" მოსწონდა (გრ. რობაქიძე, სულის დაშლა, გაზ. "საქართველო", ბერლინი, 1944 წელი, 18 დეკემბერი). მხოლოდ ნოველა "ტაბუს" მიმართ გამოიჩინა ინტერესი. ხოლო "დავით აღმაშენებლის" პირველი წიგნით აღფრთოვანდა (1956 წ.).

შველზე მონადირენი

ინტენსიურ შრომას ზოგჯერ თავს ანებებდა.

ნადირობა იყო დასვენება, ფიზიკურ ძალთა აღდგენა.

ასე უფრო კარგად ეცნობოდა ბუნებას და ადამიანებს.

სახელოვან მწერალს ფოთმა მოუწყო შეხვედრა. თან იახლა აკაკი გაწერელია და ვიქტორ გაბესკირია.

კონსტანტინეს სანახავად და მოსასმენად უამრავი ხალხი მოვიდა.

მწერალს მქუხარე ტაშით შეეგებნენ, უთხრეს მრავალი გულწრფელი სიტყვა.

თაყვანისმცემლები ოჯახებში ეპატისებოდნენ, სუფრებს უშლიდნენ.

ერთ დღეს რატომღაც შეიცვალა, მბრძანებლობა დაიწყო – აბა, ცივი წყალი მომიტანეთ, აბა, პაპიროსის კოლოფი მომაწოდეთო.

ვიქტორი და აკაკი შეცბუნდნენ, მაგრამ არაფერი თქვეს.

თურმე კონსტანტინეს ფოთელი მონადირენი სწვეოდნენ და შეეთავაზებინათ, პალიასტომის ტყეში შველზე სანადიროდ წავიდეთო!

არც ვიქტორს, არც აკაკის სანადირო თოფი ხელში არ აეღოთ.

ხოლო კონსტანტინე ნადირობაზე თავს სდებდა.

დილით უთენია წამოჰყარა უმცროსი მეგობრები.

აკაკი ადრე ეუბნებოდა ვიქტორს, ორი დათვი ჰყავს ერთად მოკლულიო. მაგრამ ახლა ეჩურჩულებოდა – ორი კი არა, ერთიც არ მოუკლავსო, ტყუილად ბაქიბუქობსო.

მაგრამ კონსტანტინე მათ გასაოცრად ტყავის სანადირო ტანსაცმელში გამოეწყო, ჩაიცვა მაღალყელიანი წითელი წალები, გაშალა ზაურის სამლულიანი სანადირო თოფი, აიღო ჭრელტარიანი დანა.

აკაკისა და ვიქტორსაც უშოვეს მონადირის ტანსაცმელი, მაგრამ არა ასე საზეიმო.

მოტორიანი ნავით პალიასტომის ტბაში გავიდნენ, გადაჰკრეს სანთლის არაყი და სანადიროდ გაემზადნენ.

კონსტანტინემ ერთი ყმაწვილი აითვალწუნა, რომელსაც ცალღულიანი თოფი წამოეღო. ცალღულიანი თოფით ნადირობა ვის გაუგიაო, ეგ სადაური წესიაო.

მაგრამ სწორედ ამ ბიჭმა მოკლა ერთადერთი შველი!

კონსტანტინემ, მონადირის რეპუტაცია რომ არ შელახოდა, თავი იმართლა: ის შველი ჩემსკენ მორბოდა, მაგრამ ისეთი უმანკო თვალელები ჰქონდა, ხელი ამიკანკალდა. ამან კი, შეხედეთ, რა ქნაო...

შატბერაშვილების ქორწილში

სამი ძმა შატბერაშვილი თვალადში, კასპის რაიონში ქორწილს იხდიდა.

გიორგი შატბერაშვილს გულით უნდოდა კონსტანტინე დაეპატისებინა. მიღება თხოვა. კონსტანტინემ უთხრა, საღამოს მოდიო. მაგრამ იმ საღამოს ღვინოს შეჰყვნენ ახალგაზრდა პოეტები – გიორგი შატბერაშვილი, გრიგოლ აბაშიძე და ლადო ასათიანი. ცხრა საათის სანაცვლოდ მხოლოდ თერთმეტის ნახევარზე დაურეკა.

კონსტანტინემ დატუქსა გიორგი და მიიპატისა, კალმახი უნდა გაჭამო.

შატბერაშვილმა ყოყმანით გაუმხილა, ჩემთან გრიშა და ლადო არიანო.

კონსტანტინემ მკაცრად უპასუხა, ახლავე დატოვეთ ეგ ბინძური რესტორანი და ჩემთან გაჩნდითო.

მთვრალმა ჭაბუკებმა სმა კონსტანტინეს სახლში გააგრძელეს.

კონსტანტინემაც დალია და ლექსების თქმა დაიწყო.

იგი განუწყვეტლივ, გულაჩუყებული კითხულობდა საკუთარ ლექსებს დედაზე.

გიორგიმ კონსტანტინე დაპატისა თავის ქორწილში, თვალადში.

მწერალი დათანხმდა.

ქორწილი უნდა შემდგარიყო 1939 წლის 12 ნოემბერს.

უკვე დაწერილი ჰქონდა "ბელადი". რომანს სტამბაში აწყობდნენ და მალე ცალკე წიგნად გამოიცემოდა. ქართლში, ქორწილში წასვლა ხელს არაფერში შეუშლიდა. მაგრამ იმ დღეს თავსხმა წვიმა მოვიდა. სიტყვა მაინც არ გატეხა. ჩაიცვა წაბლისფერი კოსტუმი, მარცხენა გულის ჯიბეში ფერადი ცხვირსახოცი გაიკეთა და ქუთაისის მატარებელს გაჰყვა. მატარებელი კავთისხევში არ გაჩერდა, ამიტომ კონსტანტინე კასპში ჩამოვიდა. იქ რამდენიმე საათს ელოდა მატარებელს, რომელიც კავთისხევამდე მიიყვანდა. ამასობაში დაღამდა კიდეც.

კავთისხევიდან თვალაღამდე ცხრა კილომეტრი ყოფილა.

აქაც წვიმდა, ბნელ ორლობეებში ტალახი დამდგარიყო.

კონსტანტინე ლაფს მიაჩვენებდა და კითხვა-კითხვით იგნებდა გზას.

შუაღამე გადასული იყო, როცა მექორწილებთან გამოჩნდა.

მთვრალი სუფრა ტაშისცემით შეხვდა მწერალს, გმირი უწოდეს და სათითაოდ დალიეს მისი სადღეგრძელო.

კონსტანტინე კმაყოფილი იყო, სვამდა, მღეროდა, მხიარულობდა.

განთიადისას მოვიდა თამარ ჭავჭავაძე, ვალერიან გაფრინდაშვილის ცოლისდა, ისიც ერთიანად გალუმპული.

გრიგოლ აბაშიძე და კარლო კალაძე ახითხითდნენ, კონსტანტინეს შეაცქერდნენ, მაგრამ კონსტანტინემ მათ ქირქილს ყური არ უგდო და თამარის სადღეგრძელო პირველმა დალია.

მეორე დღეს, დილით, ღამენათევი, ნამთვრალევი კონსტანტინე და გიორგი შატბერაშვილი ფეხით გაუყვნენ გზას კავთისხევისაკენ.

ორი საათის შემდეგ მატარებელი ჩამოდგა და მწერალი თბილისში დაბრუნდა.

მოსკოვში (1940)

მას შემდეგ, რაც იდეოლოგიური პოზიცია განიმტკიცა, შეიძლება ფიქრი თარგმნაზე. რუსულად თარგმნას, სსრკ ხალხთა ურთიერთდაახლოებას, თავის მიერვე აღიარებული წიგნების რეკლამასა და პროპაგანდას პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა.

1939 წლის მაისში კონსტანტინე კიევსა და მოსკოვში გაემგზავრა.

იგი თვლიდა, რომ გადარჩენილი იყო, არა მხოლოდ გადარჩენილი – გამარჯვებულიც. ამიტომ წერდა 27 ივლისს აკაკი გაწერელიას:

"მე პირად ჩემ ეპოქასთან დაუცხრომელი პოლემიკა მქონდა და პირუკუ, მაგრამ ეს საცოდავები ჩოხის კალთებზე მებლაუჭებოდნენ მხოლოდ, ეპოტინებოდნენ ჩემს მწვერებს, ჩემს მიმინოს და ისეთ ტრივიალურ და ფატალურ ამბებს, რომელთაც მათი უნიათო გონება შესწვდებოდა. ახლა ისინი აღარ არიან, მაგრამ აქა-იქ კიდევ სისინებენ შურიანი მეშურნეები, რომელთაც ორგანულად ვერ ავუტანივართ" (გაზ. "გრაალი", 1996, №2).

1940 წლის თებერვალში კონსტანტინე ისევ ეწვია საბჭოეთის დედაქალაქს, დაბინავდა სასტუმრო "Москва"-ს მეექვსე სართულზე.

მოსკოვში უკვე თარგმნიდნენ "დიდოსტატის მარჯვენასა" და "ბელადს".

საშინლად ციოდა, ყინვა 30-40 გრადუსამდე ეცემოდა. ქურქი არ ჰქონდა, დემისეზონური პალტო ეცვა და ამიტომ დღეში ერთხელ გადიოდა ქუჩაში. თარგმანს ჩაკირკიტებდა, ბიბლიას კითხულობდა, ინგლისურს იმეორებდა.

მიუხედავად ამისა, ავარიაში მაინც მოჰყვა.

მანქანა, რომელშიც იჯდა, მეორე მანქანას შეეღეწა, მოყინულ ასფალტზე გასრიალდა. მოვიდა მილიცია. შოფერი გაიქცა. კონსტანტინემაც თავს უშველა, მოწმედ არ ამიყვანონო.

რუს ქალებს არ ეკარებოდა, აკაკი გაწერელიას სწერდა – "მეშინია ვენერის სახელის ავადობისაო".

უჩიოდა ფულის ნაკლებობას, დღეში ასი მანეთი მეხარჯება, მივლინებისა კი სამოცი მანეთი მეძლევაო. არ ვიცი, ძაღლის ჯიშისა ვარ თუ მგლისაო.

თავადაც მონაწილეობდა თარგმნის პროცესში, ეძებდა შესაბამის რუსულ სიტყვებს, ხვეწდა სტილს, რამაც რუსებიც გააოცა.

რედაქტორად ჰყავდა ალექსანდრ ტიხონოვ-სერებროვი.

პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში შველოდნენ პეტრე შარია და შალვა წერეთელი, ბერიას ახლობელი პირები. პირველი ცეკას მდივანი იყო, მეორე – შინსახკომის გენერალი.

შალვა ნუცუბიძის მისამართი გაიგო და ინახულა. იგი "ვეფხისტყაოსნის" თარგმანის დასასრულებლად ციხიდან გამოემავა და სოკოლნიკში – ციხესა და საგისეს შორის ჩაესახლებინათ.

კონსტანტინეს წიგნების თარგმნა სახელმწიფოებრივი საქმე იყო. ამიტომ მისი მოს-კოვში ჩასვლა იცოდა ლავრენტი ბერიამ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ამჯერად თავად გამოიძახა ქართველი მწერალი.

აი, რას წერდა ამის გამო 10 მარტს ალექსანდრე აბაშელს:

"ლავრენტიმ გამომიძახა, ხანგრძლივად მესაუბრა, ძალიან მეგობრულად, თავაზიანად. გამაოცა თავისი ფენომენალური მეხსიერებით და ინტერესების სისავსით. მერმე ჩემს საქმეებს თავისებურად მაგრად შეეწია. გუშინ მიხმეს და ყოველივე გამიკეთეს. დიდის ყურადღებით მექცევია" (გაზ. "გრაალი", 1996, №3).

მართლაც, ორივე წიგნის ტირასი გაზარდეს, რაც ჰონორარის მომატებას ნიშნავდა.

"პრავდის" რედაქტორმა პიოტრ პოსპელოვმა "მთვარის მოტაცება" სთხოვა.

კონსტანტინემ იშოვა და აჩუქა.

მიიწვიეს უკრაინასა და ბელორუსიაში. "ხოგაის მინდია" დაბეჭდეს "Дружба народов"-ის მეხუთე ნომერში.

1941 წელს უკრაინულადაც თარგმნეს და გამოაქვეყნეს "რადიანსკა უკრაინაში".

უკვე დაარსებული იყო სტალინური პრემია და მწერლებს მოუწოდებდნენ – ებრძოლათ ამ საპატიო ჯილდოს მოსაპოვებლად.

ირჩეოდა ლაურეატობის კანდიდატები.

ალბათ კონსტანტინეს წიგნებიც უნდა წარედგინათ. ამიტომ ჩქარობდნენ მათ თარგმნას და გამოცემას, მწერლის გარშემო ქმნიდნენ გულთბილ ატმოსფეროს.

მხოლოდ "დიდოსტატის მარჯვენის" წარდგენა შესაძლოა ნაციონალიზმად მოსჩვენებოდათ. ხოლო ქართველს რომ სტალინის ყრმობაზე წიგნი დაეწერა, ეს ვის უნდა გაკვირვებოდა, მითუმეტეს, რომ მისი ავტორი დღეს "გამოსწორებული" გუშინდელი "რეაქციონერი" იყო.

ასეთი ფაქტები ხელისუფლებას პროპაგანდისათვის სჭირდებოდა, შეხედეთ, რა კეთილად შეცვალა ახალმა ცხოვრებამ ანტისაბჭოთა მწერლის მსოფლმხედველობაო.

თებერვალი და მარტი დაჰყო მოსკოვის ყინულებში და თბილისში გამოემგზავრა. მაგრამ საქმე ვერ გაესრულებინა და ჩრდილოეთს ისევ მალე უნდა სწვეოდა.

განსხვავებით ევროპის დიდი კულტურული ცენტრებისაგან, მოსკოვი აღტაცებას არ ჰგვრიდა. არაფერს წერს პირად ბარათებში ამ ქალაქის ისტორიაზე, მუზეუმებსა და სასახლეებზე. არც კრემლს ახსენებს სადმე, არც წითელ მოედანს.

მაისის თვეში კვლავ მოსკოვშია. ამჯერად დაბინავდა სასტუმრო "Москва"-ს მეშვიდე სართულზე. აუტანელი სიძვირის გამო ცხოვრება ჭირდა. მე მოლას ვირივით გადავეჩვიე ჭამასო, წერდა ალექსანდრე აბაშელს.

სიტუაცია უცნაურად შეცვლილი დახვდა.

"ბელადზე" პროფ. კრამოლნიკოვის რეცენზია არ იკმარეს, ვიღაცებმა კიდევ უნდა წაიკითხონო.

თარგმნილი წიგნები გამომცემლობას ხომ უნდა შეეფასებინა. ის, რაც მისაღები და ნაცნობი იყო ქართველი მკითხველისათვის, რუსულ საზოგადოებას შეიძლება ვერც გაეგო.

"დიდოსტატის მარჯვენის" რეცენზენტი ვერ იშოვნეს. ოთხმა კაცმა უარი თქვა, ზოგმა ქართულის, ზოგმაც საქართველოს ისტორიის არცოდნა მოიმიზეზა.

მწერალი გულისტკივილით შენიშნავდა, აქ ისევ ოდიოზური სახელი მაქვსო.

პეტრე შარია გამოქომაგებია, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ბოლო იმედი ალიო მაშაშვილი იყო, ეგებ მას ეშოვნა ავტორიტეტული რეცენზენტი.

დადებითი რეცენზია დაიწერა ერთი წლის შემდეგ, 1941 წლის 6 მაისს. ავტორი იყო ლევან ასათიანი.

კონსტანტინე ხედავდა, რომ მდგომარეობა მოულოდნელად გართულდა, თუმცა რატომ მოხდა – არაფერს ამბობს:

"აქაური დირექტორი წავიდა, ახალი ჯერ არა ჰყავთ, ერთი სიტყვით, არეულია მათი თავი და ტანი", წერდა აბაშელს.

მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ სტალინს არ მოეწონა "ბელადი". მე ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავიო. კონსტანტინეს ენასა და სტილსაც ამრეზით უყურებდა. მაგრამ მწერლის ნიჭს აფასებდა, ძირითადად "დიდოსტატის მარჯვენის" გამო.

კანდიდ ჩარკვიანის თქმით, სტალინს ეგზავნებოდა ყოველი ახლად გამოსული მნიშვნელოვანი ქართული წიგნი.

ცხადია, ბელადის აზრმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია.

კონსტანტინეს რომანებს პრემიაზე ვერ წარადგენდნენ. სასწრაფო არაფერი იყო, ამიტომ გამოცემაც სამერმისოდ გადაიდო. ამას ავტორს არავინ ეტყოდა და ამიტომ სხვადასხვა მიზეზებით შეიქცის.

მხოლოდ ბერიას ავტორიტეტი საქმეს ვერ შველოდა.

სტალინურ პრემიებს სტალინი ამტკიცებდა.

პირველი სტალინური პრემიები ქართველ მწერალთაგან ერგოთ ლეო ქიაჩელსა და გიორგი ლეონიძეს.

მწერალს უნდა ჰქონოდა სტალინური პრემია და ლენინის ორდენი, რათა იგი მოსკოვს სათანადოდ დაეფასებინა.

კინოსცენარი "დავით აღმაშენებელი"

ჯერ "ბელადი" არ დაემთავრებინა და უკვე ფიქრობდა ახალ წიგნზე. ეს უნდა ყოფილიყო "დავით აღმაშენებელი" – "დიდოსტატის მარჯვენის" თემის გაგრძელება და გავრცობა.

ამას ატყობინებდა აკაკი გაწერელიას 1939 წლის 27 ივლისს.

"ბელადის" ბოლო, სარეკლამო ფურცელზე იუწყებოდა, რომ ამზადებდა ტრილოგიას – "დავით აღმაშენებელი".

ინტენსიურმა შემოქმედებითმა ცხოვრებამ იგი ვერ მოქანცა.

წარმატებებით ფრთაასხმული სწერდა კინოსცენარს დავით აღმაშენებელზე, როგორც ერთ დროს "ვარძიის საიდუმლო" შეთხზა.

თეატრისაკენ გზა ვერ გაიკვლია.

ახლა ისევ კინოში სცადა ბედი, არა თავისი ინიციატივით – ცეკას წინადადებით. მაშინ ქართული კინოსტუდია კრიზისს განიცდიდა. დაიწერა ისტორიულ მასალაზე სხვა სცენარებიც, მაგ., გიორგი სააკაძეზე. ერთი ანა ანტონოვსკაიასა და ბორის ჩორნისა, მეორე – გიორგი ლეონიძისა.

ჩვენს პროზაიკოსებს გულით უნდოდათ თავიანთი გმირები ეკრანზე ეხილათ, მაგრამ ხელისუფლება მათ ოცნებას ფრთებს აკვეცდა. მიხეილ ჯავახიშვილმა მრავალი სცენარი დაწერა, მაგრამ კინოფილმი მათ მიხედვით არავინ გადაიღო – შეიძლება ეს ბოლშევიკების პოლიტიკაც იყო, რათა მწერლის პერსონასები ხალხის ცნობიერებაში არ დამკვიდრებულიყვნენ, ზედმეტი პოპულარობა არ შეეძინათ. ამიტომ დარჩნენ სტალინის ეპოქაში ეკრანის მიღმა თარაშ ემხვარი და კონსტანტინე არსაკიძე, გიორგი პირველი და დავით აღმაშენებელი, ბონდო ჭილაძე და ბათა ქექია, კვაჭი კვაჭანტირაძე და ჯაყო ჯივაშვილი, ბესიკ გაბაშვილი და მექი ვაშაკიძე...

მწერლები მაინც ოცნებობდნენ და ეკრანისკენ მიიწევდნენ...

1939 წლის 17 დეკემბერს კონსტანტინემ სცენარის პროექტი წარუდგინა კინოსტუდიას. თან დირექტორს სთხოვა, დირექციის წევრებისა და კონსულტანტების გარდა ხელნაწერი არავის წაეკითხა (ლიტ. და ხელ. ცენტრ. არქივი, ფონდი 52, აღ. 2, საქმე 310).

გიორგი ცაგარელმა 1940 წლის 21 თებერვალს დავით რონდელს გადასცა და სცენარის პროექტს წააწერა, რომ ავტორის თხოვნა შეესრულებინათ.

პროექტი წარდგენილი იყო ქართულ და რუსულ ენებზე.

1940 წლის 3 ივლისს სახკინმრეწვში მოისმინეს და განიხილეს კინოსცენარი.

დისკუტში მონაწილეობდნენ – ნიკოლოზ შენგელაია, შალვა აფხაიძე, სიმონ ჩიქოვანი, ნატო ვაჩნაძე, სიკო დოლიძე, ვანო წულუკიძე, აკაკი გაწერელია, გიორგი ცაგარელი, პლატონ კემელავა, სახკინმრეწვის დირექტორი არჩილ გიგომვილი.

მოიწონეს და აღნიშნეს, რომ საინტერესო ფილმი იქნებოდა.

მწერალი შეპირდა გამომსვლელებს, შენიშვნებს გავითვალისწინებო.

15 აგვისტოს დაიწერა დასკვნა, რომელსაც ხელს აწერენ გიგომვილი, ცაგარელი და მაყაშვილი.

სცენარი დადებითად შეფასდა, მაგრამ გამოითქვა შენიშვნები, რაც ავტორს უნდა შეეტანა ტექსტში.

კინოსტუდია თანახმა იყო, რომ მწერალს ავანსად მიეღო ჰონორარის ნახევარი.

მაგრამ კონსტანტინემ შენიშვნები არ მიიღო და ვრცელი პასუხით მიმართა კინოსტუდიას, პროტესტი განაცხადა, სცენარის რუსული ვარიანტი მოსკოვში წაგილიათ დასამტკიცებლად.

11 სექტემბერს მწერალს პასუხი გამოუგზავნეს.

5 ოქტომბერს კინოსცენარი მწერალთა კავშირში წაიკითხა.

აქ გამოვიდნენ აკაკი ბელიაშვილი, ბესო სლენტი, სიმონ ჩიქოვანი, სიმონ ჯანაშია, არ-ჩილ გიგომვილი.

სცენარში გამოყვანილია ის პირები, რომლებიც ტეტრალოგიაში მოქმედებენ. ჯერ არ ჩანან – მახარა, ჯონდი ერისთავი, გვანცა, შერგილ ლიპარტიანი და სხვ.

სიმონ ჯანაშიას აზრით, დედისიმედი მეფის ქვეშევრდომი იყო და დავითი მას ვერ შეირთავდა.

შენიშნეს, რომ ავტორი კინოს სპეციფიკას არ იცნობდა.

ამის შემდეგ, 23 ოქტომბერს, არჩილ გიგომვილმა აცნობა – თუ გამოთქმულ შენიშვნებს მიიღებდა, ჰონორარს მთლიანად გადაუხდოდა.

კონსტანტინე დათანხმდა.

29 ოქტომბერს დასკვნა დაიწერა. სცენარი ისევ დადებითად შეფასდა. მიუხედავად შენიშვნებისა, ტექსტი მიიჩნიეს მომავალი სცენარის კარგ საფუძვლად.

თითქოს აქაც წარმატებას მიაღწია. მაგრამ მალე დიდი ომის ქარიშხალი ამოვარდა და ამ კინოსცენარისათვის ვის სცხელოდა.

იგი დავიწყებას მიეცა, ან იქნებ ავტორმა შესწორება არ ისურვა და ამიტომ რომანის ფორმას მიმართა.

70-იან წლებში კონსტანტინე თხოვდა ვახტანგ ტაბლიაშვილს, "დიდოსტატის" შემდეგ "დავით აღმაშენებელი" გადაეღო, მაგრამ მოშურნე რესისორების თუ ხელისუფლების წყალობით ამ ოცნებას ახდომა არ ეწერა.

ტაბლიაშვილი სცენარს გააფუჭებს და მეორედ გადაღებას ჩვენ ვერ შევძლებთო, აცხადებდა ელდარ შენგელაია.

კონსტანტინემ სცენარი არქივს მიაბარა და შეუდგა ვრცელი რომანის წერას დავით აღმაშენებელზე.

მან უკვე იცოდა "ბელადზე" სტალინის აზრი და აშკარა იყო, რომ მეორე და მესამე წიგნებს არავინ მოსთხოვდა.

* * *

ხელისუფლება ხედავდა, რომ კონსტანტინეს მეტი "გარდაქმნა" ჯერჯერობით შეუძლებელი იყო.

აგრძელებდა თავისი მხატვრული პრინციპების რეალიზებას, მაგრამ ისე, ბოლშევიკებთან რომ კონფლიქტი არ მოსვლოდა.

მისი დასვენება ნადირობა, მკითხველებთან შეხვედრა, მეგობრებთან სტუმრობა იყო. თავისუფალი დრო ნაკლებად ჰქონდა.

ზაფხულობით ოჯახი ქვიშხეთში ისვენებდა.

თვითონ იჯდა და წერდა.

ნათელაც თბილისში რჩებოდა და მამა-შვილი სასადილოდ "ინტურისტის" რესტორანში დადიოდნენ ხოლმე.

ოცნებასა და მყუდროებას არავინ ურღვევდა.

თითქოს ვერც ხედავდა თანამედროვეთა სახეებს, ჭვრეტითა და წარმოსახვით მითოსისა და ისტორიის წიაღში გადასული, ვერც ხედავდა როგორ მოიწევდა ევროპის მიწაზე ამომტყდარი სამუმი...

21. ლეგენდა სვეტიცხოვლის

აღმშენებლისა

ხელახლა გამოჩნდა ის ვარსკვლავი მახვილის სახისა.

"დიდოსტატის მარჯვენა"

"შუბლით ვეხლებით ახალ დროს; მისი საუკეთესო ეპიტაფიაა: მითოსს მოკლებული დრო", წერდა კონსტანტინე გამსახურდია 1924 წელს.

მწერლის ფანტაზიას აღაგზნებდა გველისპირიანი, გველის გვირგვინებით შემკული ღმერთი დიონისო, თრაკიის ველებიდან თუ კრეტის კუნძულიდან გადასული ელადის მიწაზე, შემდეგ – გველეშაპის მიერ შთანთქმული მთვარე და გველის ხორცის მიერ მოგვრილი სიბრძნე.

მითისმთხზველ ხელოვანს უნდა დაეძლია "უმითოდ ყოფნა" და "სულის კრიზისი", უღმერთო და სამშობლოწართმეული ხალხისათვის შეექმნა ახალი მითოსი, როგორც რწმენის ციტადელი.

"დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა" გველისმჭამელი ხოგაის მინდიას მითის გავრცობაა ისტორიაში, ამ ნოველის ჰეროიკული სულის კრისტალიზება, უფალთან და ბედისწერასთან შერკინება.

* * *

რომანს რამდენიმე ლეგენდური საწყისი აქვს.

ერთი მათგანია ხალხური ლექსი სვეტიცხოვლის აღმშენებელზე, საუკუნეთა ბნელ წიაღში ნამღერი ხელოვანის დუხჭირ ხვედრზე:

"ხეკორძულას წყალი მისვამს,

მცხეთა ისე ამიგია,

დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,

რატომ კარგი აგიგია".

მეორეა გადმოცემა, რომელიც ეძღვნება ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობას, მარადიულ კონფლიქტს მასწავლებელსა და მოწაფეს, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის.

იგი ვარიაციაა "მამათა" და "შვილთა" ბრძოლისა, მათი მუდმივი მეტოქეობისა.

ეს ხაზი გასდევს "დიდოსტატის მარჯვენასაც" (გიორგი პირველი – ბაგრატ მესამე, გიორგი პირველი – ბაგრატ უფლისწული, ფარსმან სპარსი – არსაკიძე), როგორც დასაბამი ფასეულობათა მუდმივი ცვლისა, შექმნისა და დამხობისა.

რომანი კიდევ ორი საიდუმლოს გაშიფრვა და ამოხსნაა:

ერთია ტაძრის კედელზე ამოტვიფრული მარჯვენა, რომელიც თურმე მის აღმშენებელს ეკუთვნის, მეორე – გაქვავებული ქალის ლოდი.

მწერალმა ოთხივე ლეგენდური საწყისი, სიუსეტური არქეტიპი შეაერთა, როგორც "ნათელი მითი, საუკუნოთა არმურიდან გადმონასონი", არსებითად აღადგინა და გაამთელა ხალხის მეხსიერებაში მიმოფანტული ერთი დიდი თქმულების ნამსხვრევები.

მაგრამ "დიდოსტატის მარჯვენა" აღმოჩნდა 1937 წლის ტრაგედიის ალეგორიული გადატანა შორეულ წარსულში, კატასტროფულ მოვლენათა მარადიული მოდელის განცდა და გამოხატვა, მისი წაკითხვა უძველესი სამის ფონზე.

რომანის ერთ-ერთი ღერძია დატყვევებული ხელოვანისა და გულბოროტი მეფის პარადიგმა, რომელიც მთავრდება ხელოვანის დასჯით.

შეიძლება ეს არაცნობიერადაც მოხდა, რადგან მწერლის ფანტაზიას ბიძგს აძლევდა, ძალას ჰმატებდა საბედისწერო მოვლენათა კარნავალი, სუსხიანი დღეების ექო.

რომანს კიდევ ერთი სიუსეტური მოდელი აქვს, ოღონდ არა ლეგენდური, არამედ თავად მწერლის მიერ შეთხზული: ეს არის შეყვარებული მეფის (გიორგი პირველი), განდგომილი ფეოდალისა (თალაგვა კოლონკელიძე) და მისი ქალიშვილის (შორენა კოლონკელიძე) კონფლიქტური სამკუთხედი.

ეს სამკუთხედი გადადის "დავით აღმაშენებელში" (მეფე დავითი, ლიპარიტ ორბელიანი და დედისიმედი).

ორივეგან ერთმანეთს ეჯახება მეფე და ფეოდალი, აბსოლუტიზმი და პარტიკულარიზმი. ერთგან შუღლის საწყისია რელიგია, მეორეგან რელიგიას ერთვის ძალაუფლების ნება. ორივეგან კი ბრძოლის ცენტრში დგას ქალწული, მემბოხის ასული, ვისთვისაც იბრძვის ჭაბუკი მეფე, მაგრამ მიზანს ვერ ეწევა, თუმცა ორივეგან "მამა" მარცხდება და სასტიკად ისჯება (თვალეზი ამოსწევს კოლონკელიძეს, ლიპარიტ ბაღვაშს ქონება ჩამოართვეს და პაპამისის დარად საქართველოდან გაასახლეს).

თალაგვას თავისი ასული განუზრახავს წარმართი ჭიბერისთვის, ლიპარიტს – მუსლიმან ბარქიაროვისათვის. გიორგის ჰყავს მეუღლე და ერთადერთი ვასი, ასევე – დავითსაც. გიორგი ებრძვის თავკერძა ფეოდალებს – თალაგვაჯა და მამამზეს, აგრეთვე – ბიზანტიას, მისი ბადიში დავითი – ასევე ურჩ ერისთავს, ლიპარიტს და ბიზანტიაზე უფრო ძლიერ და სასტიკ სელჯუკიანთა სამყაროს.

სიყვარული ორივეგან მარცხდება, ორივეგან მამის მიზეზით.

შორენას სძულს მამის თვალთა სინათლის დამშრეტი მეფე.

დედისიმედი იმ ღამესვე გადაიკარგა, როცა ყური მოჰკრა, რომ მამა სამშობლოდან გაუძევეს, ხოლო დავითს ყივჩაღთა უმთავრესის ასულის ცოლად შერთვა გადაუწყვიტა დარბაზისერთა საბჭომ.

"ხომ ომის ამტეხი დიაცია თავად, მაგრამ ყველაზე მეტად მასვე სძაგს ომი", – ფიქრობს დავითი.

მართლაც, ქალისათვის, სიყვარულის სახელით, იბრძვიან გიორგი და დავითი, ხოცავენ თანამომხმეთ და სისხლს ღვრიან. სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს, ყველაზე მძიმე შესაწირავს, რადგან სიყვარული და სიკვდილი ერთნი არიან და ყველაზე წაგებული ამ ომიდან ქალები გამოდიან, არესისა და სიკვდილის აღმძვრელნი, ცისფერთვალა, ქერათმიანი აფროდიტები.

მაგრამ არც შორენა ერიდება ხიფათსა და სისხლისღვრას:

"მე სიტყვა მივეცი ხევისბერებს უკვე, წყაროსთვალის წმ. გიორგის დღეობაზე ფხოვში ვიქნები და იქ დაველოდებიმეთქი ზვიადის ლაშქარსა და სიკვდილს".

* * *

გიორგი მეფე, მელქისედეკ კათალიკოსი, კონსტანტინე არსაკიძე, ფარსმან სპარსი, შავლეგ ტოხაისძე – აი, ხუთი პერსონასი, ხუთი დამოუკიდებელი კონცეფციის მტარებელი.

ერთი პოლიტიკოსია, გულბოროტი მეფე, მეორე – ქრისტეს მოსაყდრე, ასკეტი და ფანატიკოსი, მესამე – ხელოვანი, ხუროთმოძღვარი და მხატვარი, მეოთხე – ავანტიურისტი, პოლიტიკასა და ხელოვნებას შორის მოთამაშე, თითქოს ამ ორი ძალის მაერთებელი, არსებითად – გამთიშველი, მეხუთე – მთიელთა განდგომის ქადაგი, წარმართი, ბიზანტიონისა და ქრისტეს მოძულე.

ხოლო ყველა კონფლიქტური ხაზი უკავშირდება ქალს – შორენა კოლონკელიძეს, მოღალატე ფეოდალის ასულს, მის ირგვლივ განლაგდება. იგი ბედისწერის ლანდივით გასდევს სტრიქონებსა და გმირთა ცხოვრებას, თესავს სიყვარულსა და სიძულვილს, მოაქვს სულის ლხენა და უნაპირო მწუხარება, ანგელოსური სინათლე და ავაზასებური მძვინვარება.

ასეთია რომანის აზრობრივი და სიუჟეტურ-კომპოზიციური ბირთვი.

ნაციონალური დამოუკიდებლობის, მთლიანობისა და თავისთავადობის პრობლემა ქართველი ხალხისათვის მუდამ აქტუალური, მუდამ მტკივნეული იყო. ისტორიულად ყოველი კუთხე განკერძოებისაკენ მიისწრაფოდა, ყოველი ერისთავი მთავრად იწოდებოდა, მთავარი – მეფედ, მეფე კი – მეფეთმეფედ.

ამიტომ ისტორიული რომანების მთავარ მოტივად სწორედ ეროვნული მთლიანობის იდეა იქნა გააზრებული.

"დიდოსტატის მარჯვენა" აღმავალ საქართველოს გამოხატავს. დაშლილი ქვეყნის გაერთიანება ძირითადად დამთავრებული იყო. მაგრამ შინაშუღლი ვერ დაეთრგუნათ, გიორგი მეფეს უხდებოდა ერთდროული ბრძოლა გარეშე და შინაურ მტრებთან.

ერთმორწმუნე ბიზანტიამ, რომელსაც ეთაყვანება მელქისედეკ კათალიკოსი, ბასიანის მხარე წარიტაცა. უფრო სწორად – დავით III კურაპალატმა თავისი სამფლობელო ბიზანტიას დაუტოვა და ასე გამოისყიდა თანადგომა მეამბოხე ბარდა ფოკასადმი.

მეფე ემზადება გადამწყვეტი ომისათვის. დრო ბიზანტიის საზიანოდ მუშაობს, როცა ახლად გაერთიანებული საქართველო ძალას იკრებს.

მწერალი საგანგებო ყურადღებას აქცევს პარტიკულარიზმის საკითხს, რადგან ფეოდალური საქართველო დალუპა უმთავრესად შინა რეაქციამ, მეამბოხე ერისთავების ამბიციამ.

"დიდოსტატის მარჯვენაში" კონსტანტინე გამსახურდია მთელი სიმწვავეით გვაგრძნობინებს სამხრეთ საქართველოს ტრაგიკულ ხვედრს.

მკითხველს მოეხსენება, ჯერ ბიზანტიამ, შემდეგ ოტომანთა იმპერიამ დედასამშობლოს მოსწყვიტა ლაზეთი, შავშეთერუშეთი, ტაო-კლარჯეთი, ბასიანის მხარე. არც არაბებს, არც სპარსელებს, არც მონღოლებს, არც რუსებს ამდენი ვნება არ მოუტანიათ ქართველთათვის. თურქმა ყაჩაღებმა მიიტაცეს საქართველოს ისტორიული ტერიტორიის თითქმის ნახევარი, წაართვეს რჯული, ენა და ეროვნება ამ მიწაზე მცხოვრებ ქართველებს.

ტაო-კლარჯეთი ქართული ქრისტიანული კულტურისა და ფეოდალური სახელმწიფოს აკვანია. ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლამ, ტაო-კლარჯეთის სამთავრომ, სპერელ ბაგრატიონთან დინასტიამ დასაბამი მისცეს ქართული მიწების გაერთიანების იდეას და აღასრულეს კიდეც.

ამ კუთხემ წარმოშვა სამშობლოს უდიდესი პოლიტიკოსი დავით აღმაშენებელი და უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი.

ამიტომ მონაწილეობენ კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში ლაზები.

კონსტანტინე სავარსამიძე ხშირად უწოდებს თავის თავს "ლაზისტანის ძველ აზნაურს". ერთხელ სიზმარში ნახა, ვითომ საქართველოს ძველი ოცნება ამხდარა, ლაზისტანი დაბრუნებია დედასამშობლოს; სვეტიცხოველის ამშენებელი კონსტანტინე არსაკიძეც ლაზია. სხვებთან ერთად ლაზებიც აშენებენ ამ ტაძარს, ე. ი. მთლიანი და განუყოფელი სამშობლოს აღშენებაში წილს იღებენ.

გიორგი I, გიორგი II, დავით IV, ლიპარიტ ბაღვაში ამ მრავალტანჯული მხარის შვილები არიან.

ბაღვაში ლაზური სიტყვაა და ქართულად უდრის "ბავშვაძეს".

მეცნიერთა დიდი ნაწილი, მათ შორის ნიკო მარი, ფიქრობს, რომ ბაგრატიონები ლაზები იყვნენ, სპერის პროვინციიდან. მწერალი იზიარებს ამ

თვალსაზრისს. სიკვდილის წინ გიორგი იტყვის: "სიყრმე და სიჭაბუკე საქართველოს შევალე, მაგრამ ქართლები "აფხაზს" მეძახდნენ, ხოლო აფხაზები – "ქართლების მსტოვარს" მიწოდებდნენ ბაგრატივანს, ლაზს".

მკითხველის წარმოსახვაში ცოცხლდება და ხორცს ისხამს ოცნება გაღმა დარჩენილ მიწებსა და ძმებზე. მწერალი ნაციონალურ ძირებს ეძებს. თომას სტერნზ ელიოტის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, კონსტანტინე გამსახურდია იმიტომ ეშვებოდა როგორც საკუთარი, ისე ქართველი ხალხის ბავშვობის ფსკერზე, რომ მომავლისკენ გზა გაეკვეთა.

თუ მთავარ პერსონასად არა, რომანის რიგით მონაწილედ ყოველი კუთხის შვილები გამოჰყავდა. მაგალითად, სვანი (ქარიმან სეტიელი), თაკვერელი (შამან, გვანცა და ჯონდი ერისთავები), ლაზი, არტანუჯელი, ფხოველი, ინგილო (გიორგი მეფეს ავაზები მიჰგვარა), ხევსური (ხოგაის მინდია)... ხოლო ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და აფხაზეთი კი გმირთა სამოქმედო არეალია, საქართველოს ხერხემალი.

რომანში ეროვნული იდეალების ჯვარისმტვირთველია გიორგი მეფე. იგი ეომება ერთის მხრივ, განდგომილ ფეოდალებს, მეორეს მხრივ – ბიზანტიასა და სარკინოზებს. გარეშე და შინაურ მტრებთან ერთდროული ბრძოლა ქართული სინამდვილის მუდმივი პარადიგმაა.

გიორგი აქტიური, მებრძოლი სულის პიროვნებაა, ბოროტიცაა და კეთილიც, არსებითად ამ ცნებათა მიღმა მდგარი, ვითარცა დიონისური ბუნების ადამიანი, ყოფიერების მძვინვარე სტიქიონის განმცხადებელი, დაუნდობელი როგორც უცხოთა, ისე ახლობელთა მიმართ, უმაღლესი მიზნისაკენ ფანატიკურად მსწრაფი.

თვითონაც აღიარებს თავის გაორებას:

"მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ვასკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარის ფესვებისა. გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც".

იგი ხედავს მთავარს და არა დეტალებს.

ეს "დეტალები" ხშირად ადამიანებია, ხოლო მთავარია საქართველოს მთლიანობის და ძლიერების იდეა.

ასეთი მისიის შესრულება ძალუძს დიდ და განსაკუთრებულ პიროვნებას, რადგან იგი აძლევს აზრსა და გამართლებას სიცოცხლის ქაოსურ მდინარებას.

ამიტომ წერდა 1921 წელს:

"ჩვენ დღეს განვიცდით დიდი ადამიანების ნახვის წყურვილს. მიტომაც გვეჩვენება ჩვენი თანამედროვეობა ეფემერულად, ერთფეროვნად, უსისხლოდ და უგენიოდ" ("გოეთე, ნიცშე, ნაპოლეონი", გაზ. "სოციალისტ-ფედერალისტი", 18 ივლისი).

მაგრამ სამმა ცეცხლის ეტლით გადაიარა ქართველთა ზურგზე, ბევრი რამ შეიცვალა რეალობასა და მწერლის შემეცნებაში და მან მიაკვლია გმირებს, რომელთაც თავისი ოცნებანი და იდეები გააყოლა.

* * *

დიდი პიროვნება აწესრიგებს სტიქიურ მოძრაობას, ფორმას ანიჭებს და ერთი მიზნისაკენ წარმართავს; ინსტინქტებს ერთ მთელად კონავს და ამიტომ აწყდება სასტიკ წინააღმდეგობას.

ანტაგონიზმი ერთსა და სიმრავლეს შორის წარმოშობს დიქტატორს. ისევ ისახება ერთისა და სიმრავლის დილემა, მრავლის ერთში დაღუპვა და ერთის სიმრავლეში გაქრობა.

დიდი პიროვნება მუდამ დიქტატორული ბუნებისაა, ფანატიკურად ლამობს თავის სწრაფვას დაუმორჩილოს და ათაყვანოს რიცხვთა უსასრულო სიმრავლე, ე. ი. მარადისობის სახით ანგრევს არსებულს და ახალ წყაროთა ელვას აჩენს, ვით სიცოცხლის სასტიკი ნების უმაღლესი გამცხადებელი.

ასეთი ნებელობის გამომხატველია გიორგი, რომელიც გულმხეცია და ცოდვილი, როგორც ადამიანი, მაგრამ – გმირი და ალამდარი, როგორც ერის წინამძღოლი.

მელანქოლიით შეპყრობილი მეფე პირად სურვილთა აღსრულებას ვერ ახერხებს, რასაც ტრაგიკულად განიცდის. იგი ხომ ისეთ პედესტალზე დგას, საიდანაც ყოველი ზადი თვალნათლივ ჩანს. ამიტომ თავს აფარებს გლახუნა ავშანისძის ნიღაბს, რათა ასე მაინც ეზიაროს ადამიანურ ცხოვრებას. მეფის გვირგვინი ლოდვიით დააწვა და, ნაცვლად შვებისა, სიმძიმისი მოჰგვარა. თორმეტი წლისა მეფედ აკურთხეს. ასევე სრულიად ბალდი დააქორწინეს. ისე უნდა ეცხოვრა, როგორც

სახელმწიფოსა და რელიგიის კანონები მოითხოვდა, დაეთრგუნა ყოველივე პირადული. ამის გაკეთება გაუძნელდა და ამიტომაც "კაცთმძულვარება შეეპარა მის გულს", რადგან "ძლიერს უფრო უჭირს ამქვეყნად. მიტომაც მუდამ დაღრენილნი დადიან ლომები, ვეფხვები და ავაზები, ხოლო თრითინები, თაგვები და ციყვები მუდამ მხიარულად დაცუნცულობენ".

მთელი სიცოცხლე ყურში ჩაესმის მზრდელის, შემდეგ მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის შეგონებანი:

"მეფე ხარ და ხამს... მეფე ხარ და გმართებს... მეფე ხარ და გევალება"...

ერთხელ, სრულიად შემთხვევით ნახა თალაგვა კოლონკელიძის ასული შორენა და მისდამი ტრფიალებით აღენტო. მასზეც გადმოვიდა შორეული წინაპრის – აშოტ კურაპალატის ბედი (შდრ. "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" და "ტრფობა წამებული").

ბაგრატიონთა დინასტიის ფუძემდებელმა თითქოს დასწყევლა შთამომავლობა, თავისი გვარი, რომ ყველას ცხოვრება სიყვარულს მოეწამლა.

გიორგის მსგავსად იტანჯება მისი ბადიშიც – დავით აღმაშენებელი. მაგრამ მას აღმოაჩნდა მეტი შინაგანი ძალა და შეძლო ხორციელ ინსტინქტთა დამორჩილება.

დამარცხებულ გიორგის ეს არ ძალუძს. ამიტომ ცდილობს, სიყვარულში მაინც იყოს გამარჯვებული. ჩამოიცილა ჭიაბერი, მამამზე ერისთავის ვასი და შორენას საქმრო, შემდეგ გირშელი, თავისი დეიდაშვილი, ყველისციხის პატრონი.

ბოლოს არსაკიმეც შეეწირა ზღვისფერთვალა შორენას სიყვარულს.

ფხოველი ქალის "ხოხბისყელისფერ საწმერთულს" ისეთივე საბედისწერო ფუნქცია აკისრია, როგორც დეზდემონას ცხვირსახოცს "ოტელოში".

გიორგის სწრაფვას შორენასადმი უსაზმნო სისხლი და სიკვდილი მოჰყვება.

ჭიაბერი თავად მოაწამლვინა, ხოლო დაკრძალვის დღეს გულწრფელად ატირდა; თალაგვას ლალისთვლიანი ბეჭედი წამოაცვა ცერზე, უხვად დაასაჩუქრა, საერისთაოს "სრული შეუვალობა" უბოძა, ხოლო მეორე დღეს მასპინძელს თვალები დასთხარა; გირშელი შორენას საქმროდ შეარჩია, ე. ი. თავიდანვე გასწირა, რადგან ჯიბრში გამოიწვია.

არც ისაა შემთხვევითი, რომ გოდერძი ქალუნდაურმა სწორედ გიორგის მიერ ნაჩუქარი მახვილით გადაუჭრა გირშელს ხმალი და თორიანად გააპო.

მთელი ღამე არ სძინებია მეფეს, გული სწყდებოდა, თანაც უხაროდა დედის დისწულის დაღუპვა. შემდეგ კი ასო-ასოდ აკუწული გირშელის ცხედარი, წესისამებრ, სამთავროში დაფლეს, კანკელის წინ, მეფეთა, კათალიკოსთა და ერისთავთა გვერდით.

შული, ქიშპი, ურთიერთმტრობა ეგოისტური ლტოლვის საფუძველზე იშლება.

ამ ფაქტით ავტორი მიანიშნებს ქართული ხასიათის ინდივიდუალიზმისა და განკერძოებისაკენ მიდრეკილებას, რაც წარმოშობს პარტიკულარიზმს, რადგან პიროვნების სტრუქტურა არის სახელმწიფოს სტრუქტურის მიკრომოდელი.

გიორგის პიროვნულ კაემანს აძლიერებს ქვეყნის გამგებლის სევდა. გაღვიძებული ქართული ენერჯია ეტოქება ქრისტიანობის ფორპოსტს. კულტურაში დაიწყო და პოლიტიკაში გადმოვიდა ბიზანტიასთან ნაციონალური გაჯიბრების იდეა (გავიხსენოთ "ქება და დიდება ქართულისა ენისა").

გიორგის სძულს ბასილი კეისარი, რომელმაც ბასიანის მხარე წაგლიჯა საქართველოს:

"ბასილი კეისარს ეს უნდა: ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე. სანამდის პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ბასილი კეისარი".

ამიტომ ვერ ითმენს დედოფლისა და კათალიკოსის ბრმა ერთგულებას ბიზანტიის მიმართ:

"მე ყველაფერი მეზიზღება ბიზანტიური".

სახელმწიფოებრივმა კონფლიქტმა ბერძნული ენაც შეაძაგა.

თუმცა ბერძნულიც იცოდა და არაბულიც, სასახლეში მხოლოდ ქართულად მეტყველებდა.

მეფის ღრმა რწმენით, "საერთოდ ქურდებია ბიზანტიელები, სჯული ებრაელებს მოპარეს, ენა – ძველბერძნებს, ბულგარელებს – ცეტინიუმი, სომხებს –

ანისი, ბასიანს გადაღმა ქვეყნები – ქართველებს, ხოლო სინდისი ვერავის წაგლიჯეს, რადგან ასეთი რამ არა სჭირიათ ჯერაც".

როგორც ვხედავთ, მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა დავით მესამის შეცდომის შედეგი, რომელმაც ქართველობას ერთადერთი მფარველი დააკარგვინა და ტერიტორიის საგრძნობი ნაწილიც, რომელიც ვანის ტბამდე აღწევდა!

გიორგიმ პოლიტიკის სფეროში პირველმა აიღო ანტიბიზანტიური კურსი, რაც ნიშნავდა ეროვნული თავისთავადობის გამოკვეთას, რომლის სიმბოლოდ წარმოედგინა სვეტიცხოვლის ტაძარი.

მხოლოდ ასეთი აზრი თუ გაამართლებს მეფის სისასტიკეს: მისი ბრძანებით ოლთისში ათასობით დამარცხებულ ბიზანტიელ მონასპას თვალები დათხარეს, ორიათას ტყვეს თავი წააცალეს, ხოლო სამასი ცოცხლად დამარხეს!..

ჰიბრიდული ბიზანტიის ცნებაში ალეგორიულად იგულისხმება რუსეთი, რომელიც ჯერ ქრისტიანობის, შემდეგ – სოციალიზმის სახელით ცდილობდა უძველესი ქართული რასის გარუსებას.

ქრისტიანული სიმბოლიკით რუსეთი ხომ თავს თვლიდა ბიზანტიის მემკვიდრედ.

სვეტიცხოვლის ტაძრის აგების იდეა ეკუთვნის მელქისედეკ კათალიკოსს. ამით მინიშნებულია რელიგიის როლი, რომელსაც ხელთ უპყრია კულტურა. ხოლო ყოველი ნაციონალური იდეა, რომლის განხორციელებას ცდილობს გიორგი, როგორც ითქვა, ჯერ კულტურაში ჩაისახა და შემდეგ აიტაცა პოლიტიკამ.

ასე ყოფილა ყოველ დროში.

პოლიტიკურ ექსპანსიას აღძრავენ და წინ მიუძღვიან კულტურაში ჩასახული იდეები. ოღონდ უნდა გამოჩნდეს უმაღლესი ერთი, ვინც მათი მეშვეობით მასებს ამოძრავებს.

მაგრამ გიორგის ნაკლებად ჰყავს თანამდგომნი, რაც უძლიერებს ურვაჯა და წუხილს. ეს ორიენტაცია ჯერჯერობით დამარცხდა. წაგებულებს მკაცრად განიკითხავენ. მეფემ იცის, რომ მომავალი ეკუთვნის იმ თაობას, რომელიც ქრიზოტრიკლინის ოქროს დარბაზიდან სიკეთეს არ მოეღის.

მეფის იდეალები წინ უსწრებენ თავის დრო-ჟამს.

ის ხვალინდელი დღის ნაადრევი იდეოლოგია, მაგრამ სიყვარულსა და პოლიტიკაში ხელმოცარული.

გიორგიც "ზედმეტი ადამიანია", ოღონდ ისეთი, რომლის აზრები მერმისისკენ არიან მიმართული. ამიტომ მისი ნაღველი და მწუხარება "ქართული სევდაა".

გიორგის ნამდვილი მემკვიდრე იქნება ის, ვინც აიღებს და ხალხს წაუძმღვარებს იმ ჩირაღდანს, რომელიც მას ხელიდან გაუვარდა.

ასეთი პიროვნება აღმოჩნდა დავით აღმაშენებელი.

* * *

მხოლოდმობილი კონსტანტინე არსაკიძე, ვინც მოვლო ბიზანტიის იმპერია, სიცოცხლის ბოლომდე გულგრილი დარჩა გარემოვლენათა მიმართ, როგორც ხელოვნებას შეწირული, როგორც ხელოვნების მსხვერპლი. ყოველივე მშობლიური, რელიგიური, ცხოვრებისეული, რაც მისი სულის სიღრმეში ფარულად იყო დაქსელილი, გამსღავნდა შორენასა და სვეტიცხოვლისადმი მიმართებით. მაგრამ ქალი ცხოვრებისეული საწყისია, მიწიერი ძალა, ხოლო ხელოვნება ოცნებაა, ზეცის საკუთრება!

ამიტომ ისინი ერთმანეთს ეჯახებიან. შორენა კიდეც ეჭვიანობს, რომ ჭაბუკს მასზე მეტად შეჰყვარებია ეს უსულო ქვის კედელი (ეროსის და შემოქმედების კონფლიქტი: ორფეოსი დიონისოს კულტს განუდგა, ორგებში მონაწილეობა არ მიიღო და გახელებულმა მენადებმა დაგლიჯეს).

არსაკიძე დაუფიქრებლად უარყოფს ქალის სინიანობას, რადგან სვეტიცხოველი უკვე თავად სიცოცხლეა, ხელოვანის სულიდან გადმოსული და ქვაში გაცხადებული. მაგრამ არჩევანი უნდა მომხდარიყო და აგონიაში მყოფი, მკლავმოკვეთილი ხუროთმოძღვარი მაინც უფლის მეტოქედ რჩება, უარყოფს ღმერთს, ქალს და მხოლოდ თავის პირმშოს – ზეცისკენ აჭრილ სვეტიცხოველს სწირავს სულსა და უკანასკნელ ამოსუნთქვას.

ასეთია კონსტანტინე არსაკიძე, ჭეშმარიტი ხელოვანი, ძალაუფლებისაგან, ამ უფსკრულივით ბნელი და მარად მიმზიდველი ნებისაგან შორს მდგომი, არსებითად კი მისი ნაწილი, გულის სიღრმიდან წამოსული, მისი უჩინარი ძახილის ოცნებით შემოსველი.

არსაკიძის პიროვნება რომანში ვლინდება მეფესთან, შორენასთან და ფარსმან სპარსთან მიმართებით, სვეტიცხოვლის აგების ფოკუსში.

* * *

ფარსმანი ხელოვანის სულის კრიზისის მაუწყებელია. იგი მრავალგვარ ცოდნას ფლობს, დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ნიჭსა და ჭკუას. თითქოს გააჩნია ყველა ის თვისება, რაც უნდა ჰქონდეს შედეგის შემქმნელ ხელოვანს.

შედეგრი მარადიულის კონკრეტული ფორმაა და ნიღაბი. ხოლო მარადიული ღვთაებრივს უდრის, როგორც დაუსაბამო და უსასრულო. ამიტომ შედეგრის შექმნა უფლის მეტოქეობაა, მასთან ბრძოლა, მისთვის წართმეული ძალა, კონკრეტულ საგნად და ხატად ქმნილი. იგი ერთდროულად მოითხოვს როგორც საკუთარი სულის სიღრმიდან წამოსულ ენერგიას, ისე აზრის მიმართულების განსაზღვრას.

ფარსმანი კი ხელმოცარული ხელოვანია, რომელმაც ვერ შექმნა შედეგრი, ხელოვნების უჭკნობი ძეგლი, რადგან სწორედ სულის საუფლოში არა აქვს ის ენერგია, რომელიც ადამიანს აიძულებს მიზანს შეეწიროს, შეებას ლოდებს, მეფესა და ღმერთსაც, გასწიროს ან დაივიწყოს საყვარელი არსებანი.

ამ დროს ხელოვანის სულში დემონი ისადგურებს, რომელსაც იგი დაღუპვის გზით მიჰყავს უკვდავებისაკენ. ფარსმანის უნარი კი ცნობიერ სფეროშია გაშლილი, გონების დონეზე და არა ფსიქიკის სიღრმეში, როგორც დაუძლეველი რწმენა. იმიტომ, რომ იგი უსამშობლოა, გადაგვარებული ქართველი, ვისაც დაჰკარგვია როგორც პატრიოტის, ისე პარტიკულარისტის ნიჭი, ე. ი. განსაკუთრებული სასიცოცხლო ძალა.

ბავშვობის გახსენებალა აუმოდრავებს სულში იდუმალად არსებულ ფაქიზ სიმებს და ისიც მხოლოდ მოახლოებული განსაცდელისა და სიკვდილის წინ. იგი ხომ ბაქარ ჩორჩანელის ვასია, ჭაბუკობაში ერთიან საქართველოზე რომ ოცნებობდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბაგრატ მესამემ თავი მოჰკვეთა პაპამისს – სუმბატს, იგიც მამის დარად განუღდა მეფეს, გახდა ეგოისტი და ავანტურისტი.

სამშობლოს კულტი, ნაციონალობის მისტერია მისთვის უცხოა. არც რელიგიური ფანატიზმით არის შეპყრობილი. ამიტომ თავისუფლად აერთებს ერთმანეთთან ქრისტიანულ, მუსლიმანურ, ქართულ და ძველბერძნულ წარმართულ საწყისებს, ე. ი. არცერთი არ სწამს.

ფარსმანი საკმაოდ ხანდაზმულია, როცა ვეცნობით, მაგრამ არც სიჭაბუკეში ყოფილა ეროსისადმი შეწირული, როგორც გიორგი მეფე და არსაკიძე. მისთვის გაუგებარია სიყვარული, როგორც ბედისწერა, როგორც სიკვდილთან ერთობა, ყოფიერების მრისხანე ძალა.

ფარსმანი შინაგანად ცარიელია, გულგამოჭმული პიროვნება. ამიტომ ეკიდება პრაგმატულად რელიგიას, სამშობლოს, სიყვარულს, რომელშიც მხოლოდ სექსს ხედავს. ხოლო ამ ძალთა ტრაგიკული განცდის, მათდამი სიცოცხლის შეწირვის, საკუთარ თავზე ამაღლებით უფალთან გაჯიბრების გარეშე არ იქმნება უკვდავი ძეგლი.

ფარსმანის ამორალურ ბუნებაში მეტყველებს არა დემონური, არამედ – სატანური ძალა, რომელიც ეგოისტურ ვნებათა დაცხრომას ლამობს სხვათა ტანჯვით, საკუთარი უძლურების დაძლევის – სხვათა მოსპობის სიხარულით.

შური სულის კრიზისის ნიშანია, საკუთარი თავისადმი უნდობლობის განცდა. ამიტომ მოითხოვს ფარსმანმა – დაენგრიათ სვეტიცხოველი, რადგან ეს უფრო მძიმე სასჯელი იქნებოდა ტყვე ხელოვანისათვის, ვიდრე მარჯვენის მოკვეთა.

ფარსმან სპარსი არის კონსტანტინე არსაკიძის ანტითეზა.

* * *

თალაგვა კოლონკელიძე და მამამზე ერისთავი ხატებს შემუსრავენ, აღადგენენ მამა-პაპათა უძველეს სალოცავებს, ბერებსა და ხუცებს სამრეკლოებზე დაჰკიდებენ.

ლუდით გაღეშილი ბრბო როკავს მუხოვანებში აღმართული ბომონების წინაშე. უნდა შემოეწყონ მცხეთას, დაამხონ გიორგი მეფე და დააკლან ქართლოსის საფლავს, ტახტზე ჭიაბერი აიყვანონ, აღადგინონ არმაზი და ზადენი.

წარმართული, ანტიქრისტიანული მოძრაობა პარტიკულარისტულია. იგი ეწინააღმდეგება საქართველოს მთლიანობას, აბსოლუტურ მონარქიას. ამიტომ მწერლის სიმპათია ეკუთვნის მეფესა და კათალიკოსს, რადგან სამშობლო რელიგიაზე მაღლა დგას.

თალაგვას თვალეზი ამოსწევს, მამამზეს თავი მოჰკვეთეს, ხოლო ტოხაისძეს ყელზე საბელი მოჰხვიეს, ორ ცხენს მიაბეს საბლის თავები და ისე წააწყვიტეს თავი.

თავიანთი ჩანაფიქრით, განდგომილი ფეოდალები საქართველოს დასაშლელად არ იბრძვიან. გამოცალკეება კი არ სურთ, არამედ რელიგიისა და

მმართველობის შეცვლა. მაგრამ ასეთ დაპირისპირებას მხოლოდ ზიანი მოაქვს. მამამზე ერისთავი არ არის უფრო პროგრესული პიროვნება, ვიდრე გულბოროტი მეფე გიორგი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის თავკაცია. მის ხელშია თავმოყრილი უმაღლესი ძალაუფლება და ის მიმართულია ორგულთა დასასჯელად. მამამზეს კი ჯერ ხელისუფლების დაპყრობა სწადია და რწმენის შეცვლა, რაც ერის ღალატს ნიშნავს.

მეფემ სვეტიცხოვლის აშენება ქართველს მიანდო, თუმცა იგი ტყვეა და უცნობი ხუროთმოძღვარი, რადგან მკვეთრდება ქართული ყოფის ნაციონალიზების პათოსი. საქართველო უნდა ამხედრებოდა ბიზანტიის იმპერიას, რომელიც ჯვარის სახელით ცდილობდა ქართულისა და ბერძნულის გაიგივებას – ერთი რელიგია ქმნიდა დამსგავსების საფრთხეს. ბიზანტიისათვის ქრისტიანობა ეროვნულ რელიგიად იყო გარდაქმნილი, რომელიც იმპერიალისტურ ზრახვებს ნიღბავდა და მას წინ მიუძღოდა.

ეს ვერ გაეგოთ გურგენ მაგისტროსს, ბაგრატ III კურაპალატს, მელქისედეკ კათალიკოსს. ამიტომ არ უყვარდა გიორგის არცერთი მათგანი და სიკვდილის წინ შვილსაც წაეკიდა.

ბიზანტიის მიერ ბოძებული ხარისხები – სევასტოსი, მაგისტროსი, კურაპალატი, – იმას ნიშნავდა, რომ მეფე სხვა ქვეყნის საქმეს აკეთებდა. ამიტომ ერთი იყო საქართველოს გაერთიანება, მეორე – დამოუკიდებელი სახის მოპოვება.

* * *

"წარმართი ფხოველი" არსაკიძე აგებს სვეტიცხოველს, ქრისტიანულ საქართველოს ერთობის სიმბოლოს. იგი ასრულებს მეფის დაკვეთას, ხელისუფლების ნებას. გიორგიმ თავად შეარჩია ხელოვანი, ხალხის ფენებიდან გამოსული პიროვნება, ქართული ტრადიციების დამცველი, ბიზანტიურ კულტურას ნაზიარები, წინააღმდეგ კათალიკოსის სურვილისა, რომელსაც უნდოდა, რომ სვეტიცხოველი ბიზანტიელ ოსტატებს აეგოთ.

მაგრამ მეფემ ყველაზე უკეთ იცოდა, რომ ეროვნული ერთიანობისა და რწმენის სიმბოლო ქართველს უნდა აეშენებინა. მეფისა და ხელოვანის ინტერესები თითქოს ერთმანეთს დაემთხვა, მაგრამ ეს იყო მათ თვალსაზრისთა დროებითი შეხვედრა და არა მუდმივი ერთობა.

მეფისათვის ხელოვნება საშუალებაა მიზნის მისაღწევად, ერთ-ერთი იარაღი, თავისთავადობას მოკლებული. არსაკიდე მისთვის ერთი ჩვეულებრივი ტყვეა, რომლის ნიჭი და უნარი უნდა გამოიყენო. მაგრამ თვით მისი პიროვნება მეფისათვის ზედმეტია. მას მხოლოდ შედეგი აინტერესებს, გარჯისა და შრომის ნაყოფი.

მეფესა და ხელოვანს შორის სუფევს მარადიული კონფლიქტი, რადგან ერთი დიქტატორი, ამქვეყნიური წესრიგის დამდგენია, ღმერთის მონაცვლე, ძალთა მპყრობელი, მეორე – თავად უფლის მეტოქე, სულის ზეობის გამცხადებელი, თავისი ქვეყნის ოცნებაში მომხაზველი.

ორივე მათგანი კი ერთი წერტილიდან – ძალაუფლების ნებიდანაა წამოსული. ამიტომაც – ურთიერთსაპირისპირო ბუნებისა. მათ შორის კი ამჯერად ქალი ჩადგა. ქალთან მიმართება მამაკაცებს კი არ აერთიანებს, არამედ თიშავს, მითუმეტეს, როცა ერთი მეფეა და მეორე – მისი ტყვე.

არსაკიდე ქართული ყოფის შვილია, მისი ჭირ-ვარამის მოზიარე, ზღვისა და მთის რო-მანტიკის მაერთებელი (ლაზისტანი და ფხოვი), მარადიული მარტვილი და არა განცხრომის ძე, სიამოვნებისა და ლაღობისათვის შობილი. სვეტიცხოველი მისთვის არის, პირველ ყოვ-ლისა, ხელოვნების ძეგლი, ღმერთთან ბრძოლაში მოპოვებული, გიორგი მეფისთვის – საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის სიმბოლო, კათალიკოსისათვის – ქრისტიანული რწმენის ტაძარი, შორენასათვის – ქვის უბრალო კედელი, ფარსმანისათვის – შურის, ღვარძლისა და მტრობის შესაკრებელი.

ბევრ ენაში თურმე "მარჯვენის" სემანტიკური არსიდან იღებს სათავეს "მართლისა" და "კანონიერების" ცნებები, ე. ი. მარჯვენის მოკვეთა ნიშნავს სიმართლის დამხობას.

ქრისტიანული რელიგია, როგორც თავისთავადი ფენომენი, რომანში არ ასახულა. იგი მნიშვნელობას იძენს სამშობლოსთან, პატრიოტულ იდეალებთან მიმართებით. ქრისტეს ჯვარი არის გამაერთიანებელი კოლხ-იბერთა ტომებისა, რადგან ისტორიულად სამშობლო და რელიგია განუყოფელია, ენა და რწმენა – განუთიშველია. მაგრამ თანდათან იწყება ამ დიდი ცნებების დაშორიშორება და ამას პირველის სჩადის გიორგი მეფე.

უფრო ნათლად რომ გამოჩნდეს, თუ როგორ ისახება რენესანსული განწყობილება ადამიანთა შეგნებაში, მწერალი ადგილს უთმობს ერესსა და სკეპტიციზმს, რომლებიც თანდათან იქცნენ რელიგიური დოგმატიზმის გამაღბობელ

ძალეზად, ხოლო წარმართული მოტივების სიუხვე – ანტიკისკენ მიბრუნების სიგნალეზად.

შდრ. – სასაფლაოზე გადასვლისას ფიქრობს ხუროთმოძღვარი: "ნუთუ ცოცხალთა ღმერთი უნდა იყოს იგი, ვისაც ეს მზეგადასული თაობები შეჰღალაღებენ? თუ სიკვდილის უფალია, ჩრდილეთის ქვეყნისა და შავეთის თავადი?"

ამიტომ რელიგიურ ფანატიზმს (ტაძარში, კათალიკოსის ქადაგების შემდეგ, აღტკინებულმა ბრბომ მთავარდიაკვნის კათედრა წააქცია და თოთო ბავშვს თავი გაუსრისა) სცვლის გულგრილი მიმართება ნაზარეველისადმი, ან კიდევ – მსუბუქი ირონია მღვდელმსახურთა მიმართ (ბერი გაიოზი, იშხნელი და მაწყვერელი, მიტროპოლიტი რასდენი, ეზოსმოძღვარი ამბროსი, დიაკონი ზნაურა, ბიზანტიელი ეპისკოპოსები).

გარდა ამისა, ბასილიც ხომ ქრისტეს სახელით ლამობს ჩაგვრის უღელი დაადგას საქართველოს და თავის სატელიტად აქციოს. ამიტომ ამბობს მემამოხე შავლეგ ტოხაისძე:

"ქრისტეს ჯვარი იყო ჩვენი ხალხის უბედურების მიზეზი მთავარი. ამ ბოროტების სათავე ბიზანტიონია".

წარმართობა-ქრისტიანობის ოპოზიციურ სისტემას, გულგრილ მიმართებას მაცხოვრისადმი მივყავართ აღორძინებისაკენ – კულტურის, მორალის, პოლიტიკის სფეროში, რომელიც გაარღვევს ფანატიზმს, ორთოდოქსულ, დოგმატურ წარმოდგენებს და ქვეყანას აზიარებს ნამდვილი, პირველადი ქრისტიანობის სინათლეს.

ხელოვანის ქმნილება თავად არის ბრძოლა, ტანჯვა და სიყვარული. ის არა მხოლოდ ასახავს ან აჩვენებს, არამედ იქცევა იმ ნივთად თუ მოვლენად, რომლის არსის წვდომა სულს აღეძრა.

მოვიგონოთ მარტინ ჰაიდეგერისეული ახსნა ტაძრის მიწიერი დანიშნულებისა, რომ ტაძარი არის უზენაესის მყოფობა, მიწიერი განსხეულება, ადამიანის მზერის მიმართულების განსაზღვრა, იდუმალის ხილულ ფორმად შენახვა. ის ღმერთის გამომეტყველებას კი არ ასახავს, არამედ – თავად არის ღმერთად ქმნილი.

სვეტიცხოველის აშენებაც – ეს იყო ღვთაების იდეის გამიწიერება, რომელსაც უნდა შეეკრა ერთი რწმენითა და სულით, ქართული ენითა და ქრისტეს მცნებით, ქართლოსის შთამომავალნი.

და ეს ტაძარი, ღმერთად ქმნილი, უნდა ყოფილიყო მწუხარე და სისხლიანი სამის გადამტანი უსასრულობაში, საუკუნეთა მანძილზე ფიქრთა და ოცნებათა ერთად შემკრები და შემკონველი. ამიტომ მოგვესმის არა თითქოს ტაძრის მრუმე გუმბათიდან ან სუროსფერი წიგნის ფურცლებიდან, არამედ – ზესკნელიდან, ხელოვანის ხმა, ლაზისტანის ზღვის დელვაჯავით იღუმალი და გულისშემძვრელი:

"მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი..."

ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მეზობელი იაკობი"...

22. "ფაშიზმი – კაცობრიობის მტერი"

ხალხის გმირული სული თავგანწირვის, სისხლის ნიაღვრისა
და მკვდრების ჰეკატომბებისაგან იბადება.

ადოლფ ჰიტლერი

მსოფლიო ომი გრძელდებოდა. ევროპა ირყეოდა. ჰიტლერის დივიზიები ზედიზედ იპყრობდნენ სუვერენულ სახელმწიფოებს. საბჭოთა კავშირი გერმანიის მოკავშირედ გამოდიოდა და თავადაც მონაწილეობდა ევროპის გადანაწილების პროცესში. ამიტომ მას თითქოს საფრთხე არ ემუქრებოდა და ხალხი მშვიდად ცხოვრობდა, შეგუებული ბოლშევიკურ რესიმსა და ქანცგამწყვეტ შრომას.

"ღვთაებრივი კომედია"

1941 წელს გამოიცა კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი დანტე ალიგიერის "ღვთაებრივი კომედია", რომელსაც ვრცელი კომენტარები დაურთო.

დანტესადმი ინტერესი ადრე აღეძრა.

ჯერ კიდევ გერმანიაში ყოფნისას აკაკი ჩხენკელმა ურჩია, დანტე თარგმნეო.

1921 წელს იტალიურს სწავლობდა, დანტესა და იტალიურ იოანეს სახარებას თარგმნიდა.

1922 წელს, როცა მისტიციზმმა გაიტაცა, უდიდეს ფლორენციელზე ესეე დაწერა და მოხსენებად წაიკითხა.

როცა გაავეებული კრიტიკოსები სიცოცხლეს უმწარებდნენ, სულს დანტეს "ჯოჯოხეთის" თარგმანით იბრუნებდა და ფიქრობდა, რომ თანამედროვეობა მუდამ უღმობელი იყო თავისი შვილების მიმართ.

არჩევდა, ხალტურა არ ეთარგმნა, მხოლოდ ფული არ ეკეთებინა. მაგრამ შედეგების ამეტყველება დიდ ჯაფას, დროსა და ფანტაზიის ხარჯვას მოითხოვდა, ღლიდა და ფიტავდა.

ამიტომ ერთგვარ თვითმკვლელობად მიიჩნევდა.

პოეზიის თარგმნა შემოქმედებითი პროცესია, თითქოს ტექსტი ხელახლა იწერება. მაგრამ აჩლუნგებს მწერლის უნარს და თავს ახვევს მზა სქემას.

"ღვთაებრივი კომედიის" ლექსად თარგმნა, კომენტირება, დანტეზე მონოგრაფიის დაწერა თავისთავად გამირობა იყო.

"ჯოჯოხეთს" კონსტანტინე ჭიჭინაძესთან ერთად თარგმნიდა, თავისივე ბჭკარედით, ნახევარიც თვითონ გალექსა.

"ჯოჯოხეთი" 1933 წელს გამოიცა.

შემდეგ თვითონ გააგრძელა თარგმნა.

მუშაობის პროცესში დანტეზე მონოგრაფიაც დაწერა. ესეე არ იკმარა.

გულდასმით შეისწავლა გენიალური პოეტის შემოქმედება, მასზე დაწერილი გამოკვლევები, დახლართული ეპოქა, რომელშიც იგი ცხოვრობდა.

ეს თარგმანი პოპულარული არ ყოფილა, როგორც, ვთქვათ, მაჩაბლისეული შექსპირის ტრაგედიები. მასალასაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა: შექსპირი ტრაგიკოსია, დანტეს არ გააჩნია მძაფრი სიუსეტი, რაც მკითხველს იტაცებს.

ამიტომ ამბობდა პოლ ვალერი – ყველამ იცის, რომ დანტე გენიოსია, მაგრამ მას არავინ კითხულობსო.

"გავანადგუროთ ვანდალები"

1941 წელს, შალვა ნუცუბიძის წინასიტყვიით, მოსკოვში "გოსლიტიზდატს" უნდა გამოეცა "დიდოსტატის მარჯვენა".

შალვა მოსკოვიდან იტყობინებოდა, "დიდოსტატის მარჯვენა" გამოსაცემად მიიღეს, მაგრამ წიგნის აწყობაზე არავინ ფიქრობსო. გლეჯს კოწია წერილებით ყველაფერს, ჩვენც ვიბრძვით, მაგრამ ჯერ არაფერი შეცვლილაო.

22 ივნისს ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ქვეყანას უდიდესი საფრთხე დაემუქრა და რომანის პუბლიკაცია სამერმისოდ გადაიდო.

კონსტანტინე გერმანული ნაციონალიზმის ატმოსფეროში განისწავლა. ამ ატმოსფეროს ქმნიდნენ პოლიტიკოსები, მხედართმთავრები, მწერლები, ფილოსოფოსები, მეცნიერები და მუსიკოსები.

"Deutschland über alles", ქადაგებდნენ ისინი და ამ სულით წვრთნიდნენ მოსახლეობას. ამიტომ უთხრა კენიგსბერგში კონსტანტინეს ერთმა უბრალო თერძმა, მე არავის ენას არ ვისწავლიო, იმიტომ, რომ გერმანელი ვარო.

ადოლფ ჰიტლერმა, პირველი მსოფლიო ომის უსახელო ეფრეიტორმა, ნაციონალიზმი შოვინიზმად აქცია, სახელმწიფო იდეოლოგიად გამოაცხადა და პოლიტიკაში გადაიტანა.

კონსტანტინე იმ იდეების სამყაროდან მოდიოდა, რომელიც საფუძვლად დაედო, რომლიდანაც ამოიზარდა ნაციონალ-სოციალიზმი. მაგრამ როგორც ანტისემიტიზმი, ისე ფაშიზმი ადრევე მიუღებლად მიაჩნდა. ამიტომ უყოყმანოდ და აქტიურად უჭერდა მხარს ბოლშევიკებს ამ გიგანტურ ბრძოლაში.

ეს ომი კონსტანტინესათვის ფსიქოლოგიურად ძნელი გადასატანი იქნებოდა. ერთ მხარეს იდგა საბჭოეთი, რომლის ნაწილი იყო საქართველო. საბჭოეთის ლიდერი იყო ქართველი, მისი რომანის პერსონაჟი ჯუღაშვილი. მეორე მხარეს იდგა გოეთესა და კანტის, ნიცშესა და ვაგნერის ქვეყანა, "ევროპის ინტელექტუალური დირისორი". რომელიმე მათგანის განადგურება გარდაუვალი იყო, რაც ადამიანური აზროვნების, კულტურის ტრაგედიას მოასწავებდა.

ეს დილემა ალბათ არსებობდა სულის სიღრმეში, მაგრამ კონსტანტინემ არჩევანი უყოყმანოდ გააკეთა.

3 ივნისს ათასი მანეთი შეიტანა ობლიგაციების შესაძენად.

23 ივნისს, ომის დაწყების მეორე დღესვე, მიტინგზე მოწოდებით გამოვიდა, ებრძოლათ ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ, დაეცვათ სოციალისტური სამშობლო. იგივე გაიმეორა 4 ივლისის მიტინგზე, რომელიც გაიმართა სტალინის ცნობილი რადიოგამოსვლის მეორე დღეს.

2 აგვისტოს თავდაცვის ფონდში მთლიანად შეიტანა "ფედერაციის" მიერ გამოსაცემი ბროშურის – "ფაშიზმი – კულტურის მტერი" – ჰონორარი.

შემდეგ "ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდა სტატია – "რას გვიქადის ფაშიზმი", "კომუნისტში" – "ფაშისტი კანიბალები", 1942 წელს – "ბოლშევიკის", "კომუნისტისა" და "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე – "უკუვაქციოთ და გავანადგუროთ ვანდალები".

1942 წლის 23 აგვისტოს რუსთაველის თეატრში გაიმართა ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგი.

ქართველ მწერალთაგან სიტყვით გამოვიდნენ კონსტანტინე გამსახურდია და გერონტი ქიქოძე.

მაშინ ყველაზე დრამატული დღეები იდგა. გერმანელები კავკასიონს მოადგნენ და შეიძლებოდა რამდენიმე დღეში თბილისიც ისევე ნაცარტუტად ექციათ, როგორც მინსკი და კიევი.

კონსტანტინე მოახლოებულ სიკვდილს თვალეზში უყურებდა და აღზნებულ დარბაზს ომის სულით აღანთებდა.

ქალაქში სამხედრო პატრული დადიოდა, შემოიღეს შუქმენილბვა, პროდუქტის ნორმირებული განაწილება.

მწერალთა კავშირში სააგიტაციო ბრიგადები ჩამოყალიბდა, დაიწყო მწერალთა სამხედრო წვრთნა, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი პოეტები და პროზაიკოსები, მიემგზავრებოდნენ ფრონტზე, სამხედრო ნაწილებში.

კონსტანტინე ჭაბუკი აღარ იყო და ამ აქციებში არ მონაწილეობდა.

იგი როგორც პუბლიცისტი და გერმანისტი, ებრძოდა ფაშიზმს, ხალხს სამშობლოს დასაცავად მოუწოდებდა და ამხელდა ჰიტლერელთა კანიბალისტურ ზრახვებს.

ამავე დროს წერდა "დავით აღმაშენებელს", რომელსაც ომის დღეებმა დიდი აქტუალობა შესძინა. წინაპართა გმირობის მაგალითები, ომის ჰეროიკა, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა მხნეობასა და სიმამაცეს ჰმატებდა ხალხს, გამარჯვების რწმენით აღავსებდა თანამემამულეებს.

ის გერმანია, რომელსაც თაყვანს სცემდა და რომლის დამარცხება სიჭაბუკეში გულს უკლავდა, ფენიქსივით აღმდგარიყო და აპოკალიპსური წარღვნით ემუქრებოდა ადამის მოდგმას.

გერმანელებმა დაანგრეს ძველი რომი, აუმხედრდნენ რომის პაპს.

ახლა მათი შთამომავლები მესამე რომის დასაქცევად მოიჩქაროდნენ და ისტერიულად ყიჯინებდნენ – "Drang nach Osten!"...

ორი უძლიერესი იმპერია ერთმანეთის მოსასპობად აღმდგარიყო და პატარა საქართველო მათ ჭიდილში კოზაკივით იჭყლიტებოდა.

1942 წელს კონსტანტინეს სასტუმრო "ინტურისტში" შეხვდნენ ქართველი ჩეკისტი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გენერალი საჯაია (რომელიც მალე დაიღუპა) და მოსკოვის სუკის სპეცდავალებათა საიდუმლო სამმართველოს უფროსი, გენერალი სუდოპლატოვი (რომელიც, როგორც ბერიას თანამოაზრე, შემდეგ დიდხანს იჯდა ციხეში).

სუკს გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ გერმანია საქართველოში შემოიჭრებოდა, კონსტანტინე ყოფილიყო ანტიგერმანული მოძრაობის ხელმძღვანელი (II. Судоплатов, Разведка и кремль, 1995).

მაგრამ მწერალმა პოლიტიკისადმი დიდი ინტერესი არ გამოამსლავნა. იგი უფრო ისტორიაზე, ლიტერატურაზე, "მთვარის მოტაცებასა" და თავის რომანებზე საუბრობდა.

სუდოპლატოვს არ მოეწონა კონსტანტინეს კანდიდატურა.

მას მეზრძოლი ფანატიკოსი, ტერორისტული სულის პიროვნება სჭირდებოდა და არა ხელოვანის ტიპი.

ასე რომ, როგორც გიორგი გაჩეჩილაძე წერს, კონსტანტინემ მოხერხებულად აიცილა ლავრენტი ბერიას მძიმე დავალება.

"დავით აღმაშენებლის" პირველი წიგნი

როგორც ითქვა, 1939 წლის ზაფხულში კონსტანტინეს უკვე ჩაფიქრებული ჰქონდა ახალი რომანი – ტრილოგია "დავით აღმაშენებელი".

ჯერჯერობით ეპოქას ეცნობოდა, მასალებს აგროვებდა.

წერა ვერ დაიწყო, რადგან "ბელადის" პირველი წიგნი სტალინის საიუბილეოდ მზად უნდა ჰქონოდა, ან იქნებ ეგონა, რომ ხელისუფლება დავალებას აღარ გაუხსენებდა.

ალბათ ამიტომ განაცხადა, "დავით აღმაშენებელზე" ვმუშაობო.

იფიქრა, ლიტერატურული პრობლემებით დატვირთულს ხელს არ შემოიშლიანო.

მაგრამ ხელისუფლებამ სიტყვის განაღდება მოითხოვა.

1940 წელს, "ბელადის" გამოქვეყნების შემდეგ, დავით მეფეზე კინოსცენარი დაწერა, რასაც საკმაოდ დრო მოანდომა.

ახალ რომანს მხოლოდ 1941 წელს დაუბრუნდა და 4 აპრილს "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე დასტამბა ტრილოგიის პირველი თავი – "ორხმალიანი სპარაზენი", 9 მაისს მეოთხე თავი – "წაღვლისთავი".

"მნათობის" მეოთხე ნომრიდან დაიწყო "დავით აღმაშენებლის" პუბლიკაცია.

მანამდე მეორე ნომერში დაბეჭდა "ხუთასი ბოლნისელის ამბავი", მესამეში – "მშვენიერება".

ტრილოგიის პირველი თავები რომ მზად ჰქონოდა, ნოველებს სურნალში არ გამოაქვეყნებდა და მკითხველს ახალ რომანს გააცნობდა.

უდიდესი ომის გრიგალმა, დრამატულმა ცხოვრებამ ახალი ჰეროიკით აღავსო. თითქოს თავად იქცა სპასალარად და ომის ცეცხლი მასაც შემოეფვნო.

ევროპის მიწაზე ისევ იქცეოდა მილიონების სისხლი.

ისევ იბრძოდნენ იმ მიწისთვის, "რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან".

ვერც კულტურამ, ვერც რელიგიამ, ვერც რევოლუციებმა ადამიანის აგრესიული ინსტინქტები ვერ დათრგუნა, რადგან აგრესია არის თავად სიცოცხლე.

1942 წელს "დავით აღმაშენებელი" ორჯერ გამოიცა:

მარტში დაბეჭდა "ფედერაციამ", ნოემბერში – სახელგამმა.

1942 წელს რუსულად ითარგმნა და შემდეგ "Новый Мир"-მა დაიწყო გამოქვეყნება.

"დავით აღმაშენებლის" მეორე წიგნი

ჯერ პირველი წიგნი არ შეეფასებინა ოფიცოზს, კონსტანტინე უკვე მეორე წიგნს წერდა.

1942 წლის 1 აგვისტოს დაბეჭდა პირველი თავები – "თრიალეთის ქარი" და "სიტყვაი ქორა", 1 ოქტომბერს – "ეპისტოლე სინანულისა" ("ლიტ. საქართველო").

მაგრამ შემდეგ მოვლენები ისე წარიმართა, რომ მეორე წიგნი მხოლოდ 1948 წელს გამოიცა.

"დავით აღმაშენებლის"

პირველი წიგნის განხილვა

დისკუტი გაიმართა მწერალთა კავშირში, 1942 წლის 27-30 დეკემბერს.

შესავალი სიტყვით გამოვიდა ირაკლი აბაშიძე, ქართველ მწერალთა მეთაური.

მოხსენებით დარბაზს წარუდგა ბესარიონ სლენტი.

მას უკვე ჰქონდა ამ რომანზე ვრცელი, კეთილგანწყობილი რეცენზია გამოქვეყნებული ("ლიტ. საქ.", 10 ივლისი).

როგორც გამომსვლელები, ისე ბესო სლენტი, უფრო ნაკლზე ამახვილებდნენ ყურადღებას, თუმცა ყველანი ხაზს უსვამდნენ რომანის დიდ მნიშვნელობას.

ბესო სლენტი ედავებოდა ენობრივი პოზიციისა და დედისიმედის გამო.

აკად. კორნელი კეკელიძემ შენიშვნები გამოთქვა მწერლის ენაზე, ცალკეულ ისტორიულ უზუსტობებზე მიუთითა.

აკად. ნიკო კეცხოველმა აღნიშნა ავტორის დიდი ერუდიცია, მაგრამ ფლორისა და ფაუნის ასახვაში შეუსაბამობანი შეამჩნია.

სერგო კლდიაშვილმა ისტორიულისა და გამონაგონის შეზავება სწორად მიიჩნია.

პროფ. ალექსანდრე ბარამიძეს საეჭვოდ მოეჩვენა დედისიმედთან ურთიერთობის სიუსეტი.

ბორის ჩხეიძეს მწერლის არქაული ენა არ მოეწონა.

აკად. სიმონ ჯანაშიამ რომანი თვალსაჩინო მიღწევად მიიჩნია. მაგრამ აღნიშნა, ძველ საქართველოში მეფე ქვეშევრდომის ასულს ვერ შეირთავდაო. ცალკეულ ლაპსუსებზეც მიუთითა.

აკაკი გაწერელიამ სიუსეტური ტავტოლოგიები აღნუსხა და პრინციპულად მიუღებლად ცნო მწერლის ენობრივი პოზიცია.

სიმონ ჩიქოვანმა თქვა, დავითი კარგად არ ჩანსო. მაგრამ არქაიზება მისაღებიაო და დაასახელა არაერთი მაღალმხატვრული სცენა, რაც მალე დაივიწყა.

ლეო ქიაჩელმა კონსტანტინეს სტილიზებული ენა დაიწუნა. ასევე გააკრიტიკა მეორე გამოცემისთვის დართული ბოლოსიტყვა.

ვანო წულუკიძის აზრით, რომანში ეპოქის სული არ ჩანდა, მაგრამ შეუდარებლად იყო ასა-ხული მეფის გარემოცვა და არისტოკრატია.

ვლადიმერ მაჭავარიანმა შეუძლებლად მიიჩნია მორფოლოგიურ-სინტაქსური ფორმების აღ-დგენა. რომანული ამბები კი არა, ისტორიული ფაქტებია მთავარიო.

კონსტანტინემ საბოლოო სიტყვაში დამაჯერებელი პასუხი გასცა ოპონენტებს ისტორიული რეალიების გამო. ჩემზე ნუ დარდობთ, ჩემს წიგნებს წაიკითხავენო. მე ჩემი გზა მაქვს და გადახვევას არ ვაპირებო.

დისკუსია შეაჯამა ბესარიონ სლენტმა.

დისპუტის მონაწილეთათვის ცხადი იყო, რომ კონსტანტინემ გამოავლინა ქართველი მწერლისათვის უჩვეულო შრომის უნარი და ეს შეუხამა დიდ ერუდიციას, ოსტატობასა და მხატვრულ ფანტაზიას:

1936 წელს გამოიცა "მთვარის მოტაცება",

1938 წელს დაიბეჭდა "ხოგაის მინდია",

1939 წელს – "დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა",

1939 წელს – "ბელადის" პირველი წიგნი,

1941 წელს – დანტეს "ღვთაებრივი კომედიის" თარგმანი,

1942 წელს – "დავით აღმაშენებლის" პირველი წიგნი.

"იქნებ მე სულ მალე მოვკვდე"

1943 წლის 23 ივნისს ჭლექმა ბოლო მოუღო ლადო ასათიანს, სრულიად ახალგაზრდა, ბრწყინვალე ნიჭის პოეტს.

კონსტანტინე ხელს აწერს ნეკროლოგს, სხვა ცნობილ მწერლებთან ერთად (მათ შორის არ ჩანს ირაკლი აბაშიძე).

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ინახულა ლოგინად ჩავარდნილი ჭაბუკი, რომელსაც ფეხები დასიებოდა და სისხლს ახველებდა.

– აღსდექ, ვასკაცო, ებრძოლე სიკვდილს, სალმობამ არ დაგაძაბუნოს, – შესძახა ავადმყოფს.

კონსტანტინეს ჰეროიკულმა პათოსმა, ხალისიანმა საუბარმა ისე იმოქმედა, რომ ლადოს ხველება შეუწყდა და მცირე ხნით მოიკეთა.

შემდეგ მეუღლისთვის უთქვამს, კონსტანტინეს ნახვამ მომარჩინა, ვერცერთი ექიმი ასე ვერ მიშველიდაო, იგონებდა ნიკა აგიაშვილი.

ერთ-ერთ ეპიგრამაში ასე სწერდა ლადო:

"იმ ჩვენ იოსებ მჭედლიშვილს, იცნობ, რომ კრიტიკოსია?"

ქართულს უწუნებს მარტივად გამსახურდია კოწიას.

გაჩუმდეს, თორემ კოწიამ ხალხი თუ მისწი-მოსწია,

გადაავიწყებს ოსეფას ნადირთ საკლავად წოწიალს".

როგორც გვახსოვს, მჭედლიშვილს კონსტანტინეს არც თარგმანი მოსწონდა და არც რომანი.

"მთვარის მოტაცება" გრანდიოზული რომანია, – წერდა მომაკვდავი ჭაბუკი.

სიტყვით და საქმით

მძიმე ჯაფით ქანცგაწყვეტილი მწერალი არც საზოგადოებრივ აქტივობას თმობდა, მონაწილეობდა თათბირებსა და დისკუტებში, ასწორებდა თავისი წიგნების კორექტურებს, ხელს აწერდა ნეკროლოგებს, კოლექტიურ წერილს უკრაინელი კოლეგებისადმი, ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს (მაგ., "ხარისხისათვის"), სიტყვით მიმართავდა გენერალ-მაიორ ნიკოლოზ თავართქილაძეს.

არ გამოსტოვებდა აქტივის კრებებს, მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმებს, საბჭოთა ჯარისკაცებს ესალმებოდა წითელი არმიის შექმნის 24-ე წლისთავზე, სიტყვას ამბობდა ბერიას წიგნზე, აბაშელის პოეზიაზე, განიხილავდა თანამედროვე რომანისა და სალიტერატურო ენის საკითხებს.

იმავდროულად წერდა "დავით აღმაშენებელს".

ზოგჯერ მივლინებითაც დადიოდა რაიონებში. ასე, მაგალითად, მწერალთა კავშირმა გააგზავნა ახალციხეში და მისცა ათასი მანეთი.

თავისი წიგნების თარგმნისა და გამოცემის პროცესში აქტიურად იყო ჩარეული.

1943 წლის 10 დეკემბერს ნათელას სწერდა ჭიათურაში:

"ეს მეორე თვეა დიდოსტატის მარჯვენის ქართული და რუსული გამოცემა მზადდება, 600-ზე მეტი გვერდის კორექტურა გავასწორე, თვალის სინათლე დავკარგო ლამისაა, მშველელი არავინ მყავს. ცალკე უნივერსიტეტის ლექციები მაწუხებდა, ახლა ამოდენა ოჯახისათვის ზრუნვა. პირდაპირ გაწყვეტილი ვარ წელში.

ჩემოდენა პროდუქციის ავტორებს სამი მდივანი ჰყავს თვითეულს. ყოველ წვრილმანისათვის მე უნდა ვიტეხო თავი. კორექტურა, წიგნის გაფორმება და სხვა მისთანანი. ფეხი მტკივა, დაქანცული ვარ და შესვენების უფლებაც არა მაქვს.

ისე დაქანცული ვარ, დილას თამრიკო და ზვიადი დამახტებიან თავზე და ძლივს მაღვიძებენ..."

ამგვარი ჯაფა არა მხოლოდ ფიზიკურად ღლიდა, არამედ სულიერადაც ფიტავდა.

პრაქტიკულ საქმეთა მოძალემა შთაგონებას ახშობდა.

ომის პერიოდში უნივერსიტეტი სპეციალისტებისაგან დაიცალა. ცნობილ და ასაკოვან მეცნიერთა გარდა, ყველა ფრონტზე გაიწვიეს.

კონსტანტინე ისევ კითხულობდა უნივერსიტეტში ლექციებს, აგრძელებდა თავის სემინარებს. ეს მწერლისათვის მატერიალური დახმარების ფორმაც იყო, რადგან ჰონორარის გარდა არავითარი შემოსავალი არ გააჩნდა. ხუთსულიანი ოჯახის რჩენა ომის მძიმე წლებში, როცა ყველაფერს ცეცხლის ფასი ედო, მხოლოდ ჰონორარით შეუძლებელი იყო.

ოფიცოზი ხელს უწყობდა მწერლის პოპულარობას.

"დავით აღმაშენებელს" დიდად აფასებდა, როგორც გმირული სულის დამამკვიდრებელ წიგნს.

ორდენი მაინც არ არგუნეს. დამსახურება და თანადგომა ორი მედლით აღუნიშნეს – "კავკასიის დაცვისათვის" და "შრომითი მამაცობისათვის".

სამაგიეროდ, ქართულ და რუსულ ენებზე მრავალათასიანი ტირასით გამოუცეს რომანები – "დიდოსტატის მარჯვენა" და "დავით აღმაშენებლის" I წიგნი, როგორც თბილისში, ისე მოსკოვში.

სურენ ავჩიანმა სომხურად თარგმნა "ბელადი". "დავით აღმაშენებელიც" ამეტყველდა დავით სასუნცის ენაზე.

1943 წლის ბოლოსათვის, როცა გერმანელთა იერიშები საბოლოოდ იქნა მოგერიებული, როცა ქვეყანას შეეძლო კულტურაზე ფიქრი, კონსტანტინეს წინაშე ისევ საკავშირო სარბიელი გამოჩნდა.

მას ორი მიზანი დაუსახეს – აკადემია და სტალინური პრემია, რაც უნდა ყოფილიყო მწერლის აზროვნების ევოლუციისა და დიდი ქართული რომანების შექმნის საზღაური.

ომის პერიოდში იდეოლოგიური კრიტიკისათვის არ ეცალათ – საკმარისი იყო თანად-გომა და ხარისხი.

როგორც "დიდოსტატის მარჯვენას", ისე "დავით აღმაშენებლის" I წიგნს ქართული პროზის მიღწევად მიიჩნევენ.

ტროსტის მუშტარი

1944 წელს კონსტანტინე მოსკოვში წარგზავნილ ქართველ მწერალთა დელეგაციის წევრი იყო.

ცხოვრობდა სასტუმრო "Москва"-ში.

ერთ დღეს ვიქტორ გაბესკირიას შეხვდა.

კონსტანტინეს გაეხარდა პოეტის ნახვა, შენთან აუცილებელი საქმე მაქვსო, უთხრა, ხვალ ცხრას რომ ჩარეკი დააკლდება, ჩემთან იყავი, არ დაგაგვიანდესო. ოთახის ნომერი ჩაიწერე, თორემ დაგავიწყდებაო.

ვიქტორს ღამე ცუდად ეძინა, ოცნებებს თავს ვერ ართმევდა. კონსტანტინე რედაქციებში წამიყვანს, ჩემს ლექსებს ათარგმნინებსო, როგორი გულისხმიერი კაციაო.

მაგრამ დილით რომ მიაკითხა, კონსტანტინემ კარი ძლივს გაუღო, ეტყობა, ვიქტორი არც ახსოვდა.

პოეტმა გული მაინც არ გაიტეხა.

მთელი ქალაქი ფეხით მოიარეს.

გზაში კონსტანტინემ უთხრა, ერთ საქმეში მჭირდება შენი დახმარება, მხოლოდ შენს გემოვნებას ვენდობიო.

თურმე ტროსტის ყიდვა უნდოდა!

ალბათ თავისი სტუდენტობა გაახსენდა, როცა ტროსტით დადიოდა მიუნხენის ქუჩებში.

ვიქტორმა მოიწყინა და უხალისოდ მიჰყვა მწერალს.

კონსტანტინემ სამი მაღაზია დაათვალიერა, სხვადასხვა ფიგურებიანი ტროსტები გადმოაღებინა, დიდხანს სინჯა, მაგრამ არცერთი არ მოეწონა და ბოლოს შეწუხებულ ვიქტორს შეუძახა:

– რა დროს ჯობებია, ხალხს ავტომატები უჭირავს ხელშიო!

ასე იგონებდა მრავალი წლის შემდეგ თავის ჩაფუშულ ოცნებას ვიქტორ გაბესკირია.

"ვილისით" ზუგდიდში

1944 წლის 8 ნოემბერს "დავით აღმაშენებლის" განხილვა მოეწყო ზუგდიდის თეატრში.

თბილისიდან კონსტანტინე დილაადრიან გაემგზავრა თავისი ახალი ამერიკული "ვილისით", რომელიც ჯიპივით ძლიერი და ყველგანმავალი იყო.

ეს მანქანა – ГY-62-10 ბერიამ გამოუგზავნა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადასცა. მაგრამ იგი საჩუქრად არ მიუღია, თუმცა მაშინ მანქანის ყიდვის უფლება იყო მთავარი.

კონსტანტინე მოსკოვში ბერიას წინადადებით შეხვდა სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარს ანასტას მიქოიანს, რომელმაც მწერალს "ვილისი" გამოუყო. იგი შეიძინა ნაღდი ანგარიშსწორებით.

მწერლები შურით აღინთნენ. აქამდეც ხომ დიდგულობდა, ახლა რაღას იზამსო, მწერალს მანქანა რად უნდა, ბურსუა ხომ არ არისო. მაგრამ თავად მწერალი სხვაგვარად ფიქრობდა და ეთანხმებოდა ფლობერს – უნდა იაზროვნო როგორც ღმერთმა და უნდა იცხოვრო როგორც ფრანგმა ბურსუამო.

ზუგდიდში მიმავალს თან ახლდა სერგო ჭილაია, ცეკას თანამშრომელი.

საჭესთან იჯდა კონსტანტინეს მძღოლი ავქსენტი წოწორია.

ზესტაფონთან შეეგება ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი გრიგოლ ჩაჩიბაია, შემდეგში "მეგრელთა საქმის" გამო წამებული.

ცაიშში ზღაპრული სუფრა გაიშალა, სკოლის დირექტორის ოჯახში.

ზუგდიდი ტრიუმფით შეხვდა კონსტანტინეს.

თეატრის მოედანი ხალხს დაეფარა.

ხალხი გუგუნებდა, ტაშსა სცემდა და ვაშას იძახდა.

თითქოს ქალაქი დავით აღმაშენებლის გამოჩენას მოელოდა.

მწერალს ფერხთით ყვავილებს უყრიდნენ მოსწავლეები და სტუდენტები.

თეატრის წინ მრავალსამიერს მღეროდა გუნდი.

როგორც კი დარბაზში გამოჩნდა მწერალი, ყველა ფეხზე ადგა და მხურვალე ოვაცია გაუმართა.

ითქვა მრავალი გულწრფელი სიტყვა. აჩუქეს თეთრი ნაბადი, ჩოხა-ახალუხი, ქამარ-ხანჯალი, შვლის ნუკრი და ციკანი.

ასეთი მიღებით კმაყოფილი და გახარებული კონსტანტინე მეორე დღეს დაბრუნდა თბილისში. განსაკუთრებით ის სიამოვნებდა, რომ დიდი და პატარა დავით აღმაშენებლის სახელს ფიცულობდა, რომ ხალხი ჩაწვდა მის ჩანაფიქრს.

"სული ომებით ბოდავს"

აგრესიული ომების იდეას იცავდნენ და ასაბუთებდნენ არა მხოლოდ იმპერატორები და სარდლები, არამედ – კულტურის მოღვაწენიც. ომების გარდაუვალობას ქადაგებდნენ, ომებს სიცოცხლის განახლებას უკავშირებდნენ ნიციშე და ფროიდი, ჩემბერლენი და შპენგლერი, რასელი და მოემი, იასპერსი და ტოინბი...

"სული ომებით ბოდავს,

სული სავსეა სისხლით", – წერდა გალაკტიონი.

ბოლშევიკებს მსოფლიო რევოლუციის ხანძარი ეზმანებოდათ.

ჰიტლერს დედამიწის მწვანე ბურთი გარდამავალ თასად ეჩვენებოდა და მის ასაღებად დაძრა თავისი არმიები.

ომების მიწისძვრანი არღვევენ რელიეფს და აჩენენ ახალ მთებსა და წყაროებს, მაგრამ მოაქვთ განუზომელი სისხლი და ნგრევა, კატასტროფა მთელი თაობებისა და ქვეყნებისათვის.

კონსტანტინე წერდა "დავით აღმაშენებელს", აღიდგენდა საბედისწერო სამს, რბევისა და აოხრების, ხოცვა-ჯლეტის სურათებს. მაგრამ მის თვალწინ ამოტყდა ჯოჯოხეთის გრიგალი და გაწყდა იმდენი ქართველი, რამდენიც არ დაცემულა არც არაბებთან, არც მონღოლებთან, არც სპარსელებთან და თურქებთან ბრძოლებში.

მაგრამ ომი ჰეროიკულ სულს უღვიძებდა და თავგანწირვის სინით მუხტავდა სამშობლოს დიდებაზე მეოცნებე მწერალს.

23. აკადემია და სტალინური პრემია

დე, ბრწყინავდეს დროშად თვითეულისა

საქართველოს მკერდი ორდენოსანი.

გალაკტიონი

აკადემიაში არჩევა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა 1941 წლის თებერვალში, გასაბჭოების ოც წლისთავზე. მანამდე საქართველოში არსებობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი.

სტალინი ერთხანს თავს იკავებდა, ქართველებს რომ აკადემია მოგცეთ, ვერც სხვა რესპუბლიკებს ვეტყვით უარსო.

უმტკიცებდნენ, რომ ჩვენ ძლიერი სამეცნიერო პოტენციალი გვყავდა, გვყავდა საკავშირო აკადემიის აკადემიკოსები, რომ ახლოვდებოდა ბოლშევიკური საქართველოს საიუბილეო თარიღი – ოცი წლისთავი.

სტალინი პოზიციას არ იცვლიდა. მაგრამ როგორღაც ბალტიისპირეთის ერთ-ერთ რესპუბლიკას მისცეს აკადემია, ალბათ დამოუკიდებლობის წართმევის სანაცვლოდ.

მაშინ სტალინმა თანხმობა განაცხადა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას 15 წევრი უნდა ჰყოლოდა. მაგრამ კანდიდ ჩარკვიანს ძალიან უნდოდა, მათ რიცხვში ყოფილიყო რევოლუციური მოძრაობის ერთი მემბრანეც.

ასეთი აღმოჩნდა გიორგი ხაჭაპურიძე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რომელსაც კონსტანტინე მკაცრად აკრიტიკებდა.

მაგრამ იგი თხუთმეტულში არ აირჩიეს. მაშინ რესპუბლიკის ლიდერმა ლიმიტი გაზარდა და მეთექვსმეტე წევრად გააყვანინა.

აკადემიკოსთა შორის არცერთი მწერალი არ იყო.

კონსტანტინე სიხარულით ადავსო აკადემიის დაარსებამ. იგი აღიქვა, როგორც ძველი ტრადიციების აღორძინება და გაგრძელება (საქართველოს სსრ აკადემია, "ლიტერ. საქ.", 1941, 7 მარტი).

1943 წლის 23 დეკემბერს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაასახელა აკადემიკოსობის ახალი კანდიდატები – კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი.

მწერალთა კავშირის გამგეობას მათგან ორი კანდიდატი უნდა შეერჩია.

არჩევნების წინაღობებში 1944 წლის 21 იანვარს "ლიტერატურა და ხელოვნებამ" დაბეჭდა გივი გაჩეჩილაძის რეცენზია "დიდოსტატის მარჯვენაზე". კრიტიკოსმა რომანს დიდი აზრებით, დიდი ვნებებით დამუხტული წიგნი უწოდა, სანიმუშოდ მიიჩნია მწერლის მიერ წარსულის აღდგენა და გაცოცხლება.

ომის წლებში ლიტერატურაზე თითქმის არაფერი იწერებოდა, მაგრამ ამ წერილს პრაქტიკული მიზანი ჰქონდა.

22 თებერვალს კონსტანტინე, გალაკტიონ ტაბიძესთან და გიორგი ლეონიძესთან ერთად, აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

მწერალს დაენიშნა სოლიდური ხელფასი.

აკადემია კომუნისტებმა შექმნეს როგორც მძლავრი იერარქიული ორგანიზაცია, რომლის წევრები ხელისუფლების დიდი ნდობით სარგებლობდნენ.

წევრობა იყო საპატიო თანამდებობა, წევრთა რიცხვი – შეზღუდული.

სხვა ქვეყნების აკადემიებს ჩვეულებრივი საზოგადოების სტატუსი აქვთ და პრივილეგიები არ გააჩნიათ. არც რაოდენობაა შეზღუდული, გარდა საფრანგეთის "უკვდავთა აკადემიისა", რომლის წევრი მუდამ ორმოცია.

ნიუ-იორკის აკადემიას ჰყავს 50 ათასი წევრი. ღებულობენ ყველას, ვინც წლიურად 105 დოლარს გადაიხდის!

კონსტანტინეს არჩევა ნიშნავდა ხელისუფლების მიერ მწერლის ღვაწლის ოფიციალურ აღი-არებასა და დაფასებას.

სტალინური პრემიის მარათონი

აკადემიკოსობა ნაციონალურ ფარგლებში რჩებოდა. საკავშირო აღიარება სტალინურ პრემიას მოჰქონდა, სტალინური პრემია მაინც სხვა იყო.

ზოგ მწერალს იგი შვიდჯერ არგუნეს. ქართველთაგან სამგზის მიანიჭეს გიორგი ლეონიძეს.

როგორც გვახსოვს, კონსტანტინე 1940 წელს პრემიაზე არ წარუდგენიათ. შემდეგ ომი დაიწყო. რუსული თარგმანები ვერ დაიბეჭდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიწყო გერმანელთა უკუქცევა, ისევ დადგა პრემიის საკითხი კონსტანტინეს წინაშე.

"დიდოსტატის" რუსულ თარგმანზე ლევან ასათიანმა დადებითი რეცენზია დაწერა 1941 წლის 6 მაისს, ე. ი. ომის წინააღმდეგში.

ამიტომ გადაიდო წიგნის გამოცემა.

მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1943 წლის 21 სექტემბერს განიხილა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ამ რომანის რუსულად გამოცემის საკითხი.

დაიწუნეს დიმიტრი ბენაშვილის წინასიტყვა, როგორც პანეგერიკული. "მთვარის მოტაცება" კლასიკური წიგნი როგორ არისო, საჭიროა მეტი შენიშვნებიო. არც ავტორის ბოლოსიტყვა მოეწონათ. ბევრი რამ გულუბრყვილო და არასწორიაო.

წიგნი გამოსცა "Заря Востока"-მ ალ. ტიხონოვის რედაქციით.

რომანი თარგმნა ფატი თვალთვაძემ.

ქართულ ენაზე ხელმეორედ, ილია თავაძის რედაქტორობით, 1943 წელს გამოვიდა.

უკვე "მნათობში" ქვეყნდებოდა "დავით აღმაშენებლის" მეორე წიგნი.

მწერალი მივლინებით დადიოდა კოლხეთსა და ფლოტის ნაწილებში, სიტყვას ამბობდა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომებზე.

ერთხელ საყვედურიც დაიმსახურა – მიუხედავად არაერთგზისი გაფრთხილებისა, სხდომაზე არ გამოცხადდა (1943 წლის 8 სექტემბერი).

1944 წლის 4 იანვარს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა სტალინურ პრემიაზე წარადგინა – კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, შალვა დადიანი, გრიგოლ აბაშიძე.

რეკომენდაცია მისცეს "დავით აღმაშენებლის" I და II წიგნებს. მაგრამ საბოლოოდ წარუდგენიათ "დავითის" I წიგნი და "დიდოსტატის მარჯვენა".

5 იანვარს, მეორე დღესვე, სათანადო მიმართვა გაეგზავნა სტალინური პრემიების კომიტეტს.

8 თებერვალს მწერალთა კავშირმა გადაწყვიტა, 25 თებერვალთან დაკავშირებით, მწერალთა დიდი ჯგუფი, მათ შორის კონსტანტინეც, მიევლინებინა მოსკოვში ლიტერატურული სადამოების ჩასატარებლად.

ირაკლი აბაშიძემ, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა, სახკომსაბჭოს სთხოვა, რათა შესაფერისად შეემოსათ მივლენილი მწერლები.

ალბათ ძველი ტანსაცმელი შემოაცვდათ, ახალი კი არ იშოვებოდა.

მივლინების ვადა უნდა ყოფილიყო 45 დღე. მოსკოვის შემდეგ გადავიდოდნენ ლენინგრადში, უკრაინასა და ბელორუსიის ფრონტებზე.

თითოეულისათვის უნდა მიეცათ 4 ათასი მანეთი.

მოსკოვში წასვლის ნებართვას იძლეოდა სახკომსაბჭო და მილიციის სამმართველო.

12 აპრილს სიმონ ჩიქოვანმა, მწერალთა ახალმა მეთაურმა, თხოვნით მიმართა უნივერსიტეტის რექტორს აკად. ალექსანდრე ჯანელიძეს, რათა კონსტანტინესთვის სექტემბრამდე უხელფასო შვებულება მიეცა.

მწერალთა მივლინება გაჭიანურდა. მიღებულ იქნა არაერთი გადაწყვეტილება და ბოლოს, 29 აპრილს, საქმე მოგვარდა.

კონსტანტინე, უკვე როგორც მწერალი-აკადემიკოსი, მოსკოვს გაემგზავრა და მონაწილეობა მიიღო იქ გამართულ საღამოებზე (მწერალთა კავშირის კლუბში, კრემლის სვეტებიან დარბაზში).

სტალინურ პრემიაზე რეკომენდაციას აძლევდნენ – ცეკას მდივანი პეტრე შარია და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი.

მაგრამ სტალინური პრემიის 29 წევრიდან ხმა არ მისცა 19-მა.

მაშინ მწერალმა დახმარება სთხოვა სერგო ქავთარაძეს, სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოლოტოვის მოადგილეს.

ქავთარაძემ სარეკომენდაციო ბარათი გაუგზავნა ლავრენტი ბერიას, რომელსაც შინაგან საქმე-თა სახალხო კომისარმა ასეთი რეზოლუცია წააწერა:

"Т. Маленкову Г. М

Прошу заинтересоваться

Л. Берия.

16. V. 44"

14 მაისს სასტუმრო "Москва"-დან კონსტანტინემ თავადაც გაუგზავნა წერილი ლავრენტის, აუხსნა თავისი მდგომარეობა, რომ იანვარში უნდა ჩამოსულიყო მოსკოვში წიგნების გამოსაცემად. მაგრამ არ ჩამოვიდა იმიტომ, რომ იტყოდნენ – საქმე ლავრენტისთან ჩააწყო.

შემდეგ განმარტა, რომ პრემიის მინიჭება უკავშირდება საქართველოს ისტორიის უდიდეს გმირს და არა ავტორის პატივმოყვარეობას ან მატერიალურ უზრუნველყოფას.

კონსტანტინე თხოვდა, დაინტერესებულიყო ლავრენტი მისი წიგნების ბედით, საქმეში ჩარეულიყო მანამდე, სანამ კომისიის გადაწყვეტილებას ხელს მოაწერდა სტალინი.

ცეკას მდივანი გიორგი მალენკოვი მართლაც დაინტერესდა კონსტანტინეს წიგნებით და რეცენზია დააწერინა აგიტაციისა და პროპაგანდის სამმართველოს

უფროსს, ფილოსოფოს გიორგი ალექსანდროვს (შემდეგში – აკადემიკოსი, სსრკ კულტურის მინისტრი).

ალექსანდროვმა არასწორად მიიჩნია კომიტეტის გადაწყვეტილება და ქართველი მწერლის შემოქმედება ქებით მოიხსენია.

მიუხედავად ამისა, კონსტანტინეს სტალინური პრემია არ მისცეს.

შეიძლება ჩარევა დაგვიანებულიც იყო.

25 ოქტომბერს სიმონ ჩიქოვანმა მიმართა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს მ. ჯაშს – ნება დაერთო კონსტანტინესათვის, რათა ერთი თვით მოსკოვს გამგზავრებულიყო.

კონსტანტინე ისევ ჩავიდა იმპერიის დედაქალაქში.

პიოტრ პოსპელოვის (შემდეგში – ცეკას მდივანი და პრეზიდენტის წევრი) მხარდაჭერით 1944 წელს მოსკოვში დაიბეჭდა "დიდოსტატის მარჯვენა", 25 ათასიანი ტირაჟით, ხოლო 1945 წელს – "დავით აღმაშენებლის" I წიგნი (მთარგმნელი ელიზბარ ანანიაშვილი), აკად. სიმონ ჯანაშიას ბოლოსიტყვით.

1944 წლის X ნომრიდან "Новый Мир" ბეჭდავდა "დავით აღმაშენებელს".

ეს დიდი რეკლამა და აღიარება იყო. მაგრამ რედაქციას ანონიმური წერილები გაუგზავნეს საქართველოდან, კაიზერის კარზე ელჩი იყო ეგ ნაციონალისტი, როგორ არ იცითო!

მოსკოვში გაეცნო ალექსანდრ ფადეევსა და ალექსეი ტოლსტოის. ტოლსტოიმ თავის ვილაშიც მიიწვია ქართველი მწერალი და დიდხანს ესაუბრა.

1945 წლის თებერვალში საქართველოს მწერალთა კავშირმა განმეორებით წარადგინა სტალინურ პრემიაზე.

მასთან ერთად ლაურეატობის კანდიდატები იყვნენ – გალაკტიონ ტაბიძე, შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, სანდრო შანშიაშვილი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, გრიგოლ აბაშიძე.

1945 წლის იანვარში კონსტანტინე კვლავ მოსკოვშია.

"Советский писатель"-ს უნდა გამოეცა "დავითის" I წიგნი.

იგი იბეჭდებოდა "Новый Мир"-სა და "Полымя"-ში.

ა. დროზდოვი "მთვარის მოტაცების" რუსულ ტექსტს ასწორებდა და ხვეწდა.

კონსტანტინეს პროპაგანდა უფრო გამლიერდა.

მოსკოვიდან ალექსანდრე აბაშელს სწერდა:

"აქ დიდის ყურადღებით მექცევით. რუსებმა გამიცნეს და დამიმეგობრდნენ. ვერ წარმოიდგენ, როგორის გულისხმიერებით მექცევა ყველა, დირექტორიდან დაწყებული უკანასკნელ ცეხის უფროსამდის".

"პრავდის" რედაქტორმა პოსპელოვმა შესთავაზა რამდენიმე თვით გაზეთის კორესპონდენტად ირანში წასვლა, ხრაპჩენკომ (სსრკ ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე) – "დავით აღმაშენებელი" სამხატვრო თეატრში დავდგათო.

თანამშრომლად მიიწვია სურნალ "Октябрь"-მა.

ანასტას მიქოიანმა ინგლისური ლიტერატურა გამოუწერა.

სტალინისა და ბერიას თანამემამულეს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ.

შეიქმნა საოცრად გულთბილი ატმოსფერო, რაც ვერ შეცვალა სანდრო შანშიაშვილის პასკვილმა ("მნათობი", 1944, №6). ეს წერილი სასწრაფოდ მოსკოვში გადააგზავნეს, ცეკაში წააკითხეს, რათა კონსტანტინესათვის სახელი გაეტეხათ.

შანშიაშვილი ნიკოლაი ტიხონოვის მეგობარი იყო, ხოლო ტიხონოვი – სსრკ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

კომუნისტების ეპოქაში ცნობილ პირთა კრიტიკა ცეკასთან და ჩეკასთან შეუთანხმებლად არ იბეჭდებოდა.

სანდრო შანშიაშვილი კრიტიკოსი არ იყო, არც ესეისტი. იგი უჩვეულო ამპლუაში წარმოსდგა და ეს მითითების ან დასტურის გარეშე ვერ მოხდებოდა.

ჩანს, კონსტანტინეს ხელისუფლებაში ისევ ჰყავდა მოთვალთვალენი, რაც დრომ დაადასტურა, თუმცა არც მფარველები აკლდა.

1945 წლის თებერვალში "Литературная Газета"-მ დაბეჭდა პროფესორ ბ. ზახოდერის სტატია (გადმობეჭდა "ლიტერატურა და ხელოვნებამ"), რაც განამტკიცებდა ქართველი მწერლის რეპუტაციას რუსი ინტელიგენციის თვალში.

1 მარტს კონსტანტინემ ბერიას გაუგზავნა "დავითის" რუსული გამოცემა და ბარათიც გააყოლა:

"გთხოვთ მიიღოთ ეს წიგნი როგორც დიდი განცვიფრების, პატივისცემისა და სიყვარულის მცირე ნიშანი".

გაახსენა, რომ "მთვარის მოტაცებაში" შენიშნა მისი "ვარსკვლავის გამოჩენა".

ახლა ბერია ნაპოლეონს აგონებდა, თავისი თავი – გოეთეს.

სტალინურ პრემიაზე სიტყვა არ დაუძრავს.

მაგრამ მოხდა სასწაული და კონსტანტინე არც ახალ ლაურეატთა შორის აღმოჩნდა!

სრულიად ნათელი იყო, რომ პრემიას სტალინი არ აძლევდა.

გარდა სტალინისა, ვისაც გადამწყვეტი ხმა ჰქონდა, ყველა მხარს უჭერდა (მალენკოვი, ბერია, ალექსანდროვი, პოსპელოვი, ხრაპჩენკო, ფადეევი, ტოლსტოი...).

ასე დაამთავრა კონსტანტინემ სტალინური პრემიის მარათონი.

არადა ვის არ მისცეს და რამდენჯერ ეს პრემია!

არათუ ნაწარმოები, ბევრი ავტორიც დაივიწყა ულმოზელმა ისტორიამ.

მაგრამ კომუნისტურ ეპოქაში მხოლოდ მორჩილებისა და ერთგულების კრიტერიუმი არსებობდა, თორემ რუსთაველის პრემიას – ოქროს მედალს როგორ მისცემდნენ ურაგან ფხაკაძეს, ხელისუფლების მიერ პოეტად წოდებულს, ვრცელი და უნიჭო პოემის "შრომადღეების" ავტორს.

კრიტიკოსების ალღუმი

კრიტიკოსებმა ყური ცქვიტეს. რადგან პრემია არ მისცეს, რაღაც ხდება კონსტანტინეს გარშემო. თურმე შანშიაშვილი არ სცდებოდაო. კონსტანტინე ახირებულ აზრებს იცავსო. ამიტომ მოსდის შეცდომებიო.

კონსტანტინე წერილების სერიას ბეჭდავდა თანამედროვე რომანის პრობლემაზე.

მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გიორგი ჯიბლაძემ სწორედ იგი ამოიღო ნიშანში და მწერალს თავს დაესხა პლენუმსა და გაზეთ "კომუნისტში" (1945, 27 ივლისი). "ანტრაქტების ფილოსოფია" უწოდა მწერლის მსჯელობას.

გერონტი ქიქოძემაც დაჰკარგა წონასწორობა. კონსტანტინეს პროზა არქაიზმისა და მოდერნიზმის ნაზავიაო, თუმცა მისი მთავარი თხზულებები არ წამიკითხავსო.

დავა დაუწყეს შალვა რადიანმა და გიორგი ნატროშვილმა.

კონსტანტინე გაკრიტიკებას გადაჩვეოდა და ამიტომ გაუკვირდა კრიტიკოსების ერთობლივი შემოტევა. გიორგი ჯიბლაძის წერილის გამო გაზეთ "კომუნისტის" რედაქციას მიმართა, "მომავალი თაობები შემიცოდებენ ალბათ ასეთ გოლიათებთან ბრძოლისთვისაც რომ დამიკარგავს ძვირფასი დროო".

ცხადია, დაცინვით ეძახდა კრიტიკოსებს "გოლიათებს".

შემდეგ მივიდა მწერალთა კავშირში და სიმონ ჩიქოვანს სთხოვა, მოხსენების წაკითხვა მინდა და სხდომა დანიშნეთო. თემა არ დაუსახელებია, არც სიმონი ჩაძიებია.

კონსტანტინემ ლიტერატურით დაიწყო, გადავიდა გიორგი ჯიბლაძის წერილზე და შავი დღე აყარა გათამამებულ ახალგაზრდა კრიტიკოსს.

ამას არც სიმონი, არც გიორგი არ მოელოდნენ.

შუა მოხსენების დროს დარბაზში სანდრო შანშიაშვილმა იყვირა – ხალხნო, მე ამ კაცმა ვირი მიწოდაო, – ხელი კონსტანტინესაკენ გაიშვირა, რასაც სიცილ-ხარხარი მოჰყვა.

კონსტანტინემ სიტყვა დაასრულა, კათედრიდან ჩამოვიდა და დარბაზი დატოვა. როცა სიმონმა და გიორგიმ მიაძახეს, დარჩი, ჩვენც ხომ გვაქვს სათქმელიო, – რაც გინდათ ის ილაპარაკეთ, თქვენი აზრი არ მაინტერესებსო, მიუგო შეცბუნებულ კოლეგებს და შინ აუხვია.

ამ ფაქტის გამო პრეზიდიუმის სხდომაზე დაიბარეს, რათა პასუხი მოეთხოვათ. კონსტანტინე არ მივიდა, მხოლოდ წერილი გააგზავნა – პრეზიდიუმის სხდომაზე რომ მეძახით, ადრე უნდა გამაფრთხილოთ, მე მოცლილი კი არა ვარო. ჩემი მოხსენების გამო კამათი ჩემთან შეუთანხმებლად დაინიშნაო. ჯიბლაძისათვის არაფერი დამიბრალებია. თუ არა გჯერათ, აგერა მაქვს ჩემი სიტყვის ანაბეჭდი და წაგაკითხებთო.

ქართველმა კრიტიკოსებმა ვერაფერი დააკლეს. სამაგიეროდ მოსკოვმა გასცა მწარე პასუხი, თუ რა წიგნი იყო "დავით აღმაშენებელი".

რინგზე გამოიყვანეს ცნობილი ლიტერატორი, ყოფილი "ოპოიაზელი" და ფუტურისტების მეგობარი ვიქტორ შკლოვსკი და ამ ავტორიტეტის პირით უთხრეს სტალინის სათქმელი ("Знамя", 1945, №9).

თურმე კონსტანტინეს ისტორია არ სცოდნია, რუსები ვერ შეუნიშნავს, ხალხი და შრომის პროცესები არ აუსახავს!

საქმე ისე წარიმართა, პრემიაზე ფიქრი კი არა, თავი უნდა დაეცვა, რათა ისევ ნაციონალისტად არ მოენათლათ. აქ კვლავ ოფიცოზი დაეხმარა: 1946 წლის 7 თებერვალს დაიბარეს კანდიდ ჩარკვიანმა და ვალერიან ბაქრაძემ, საათნახევარი ესაუბრნენ. გადასცეს სტალინისა და ბერიას ნაბრძანები. თითქოს სტალინს სწყენოდა შკლოვსკის კრიტიკა.

რესპუბლიკის ორივე ხელმძღვანელი გაგულისებულნი იყო. მწერალს სრული ნდობა გამოუცხადეს, მისცეს საკავშირო პრესაში გამოსვლის ვიზა და მოსკოვს გააგზავნეს.

12 თებერვალს კონსტანტინე საბჭოეთის დედაქალაქში გაემგზავრა. მივიდა მწერალთა კავშირში. შეხვდა ხელმძღვანელებს და თავისი პასუხი გააცნო. ცხადია, ისინი საქმის კურსში იყვნენ.

კონსტანტინეს პასუხი ერთდროულად დაიბეჭდა როგორც ცენტრალურ ("Новий Мир"), ისე რესპუბლიკურ პრესაში ("Заря Востока", "მნათობი").

ქართველ მწერალს რუსი კოლეგები არ გამოქომაგებიან, ე. ი. არსებითად დაეთანხმნენ ვიქტორ შკლოვსკის, მაგრამ ჯერჯერობით დუმილი არჩიეს.

სამხედრო ოლქში

კონსტანტინეს შეხვედრას კანდიდ ჩარკვიანთან წინ უძღოდა ასეთი ფაქტი:

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთი "Ленинское знамя" მართავდა ლიტერატურულ ხუთშაბათობებს.

IV ხუთშაბათობა კონსტანტინეს მიემღვნა.

იგი 1946 წლის 24 იანვარს გაიმართა.

შეხვედრა გახსნა პოდპოლკოვნიკმა მურაშევმა.

მკითხველთა წინაშე მოხსენებით წარდგა კონსტანტინე. იგი რუსულად ლაპარაკობდა. გააკრიტიკა ვიქტორ შკლოვსკის თვალსაზრისი და თავისი პოზიცია დაიცვა.

კონსტანტინეს პატივსაცემად გაიმართა კონცერტი.

ჩანს, რუს სამხედროებს მოეწონათ მწერლის გამოსვლა და ეს აუწყეს მოსკოვს, რამაც სიტუაცია მის სასარგებლოდ შეცვალა.

"Ленинское знамя " მოსკოვის ყველაზე საიმედო დასაყრდენი გაზეთი იყო ამიერკავკასიაში. ამიტომ მის პოზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართველოს ფარგლებში

1946 წლის ოქტომბერში ვიქტორ შკლოვსკიმ თავაზიანი პასუხი გასცა კონსტანტინეს. მწერალმა არც ეს გამოსვლა დასტოვა უკომენტაროდ.

მაგრამ შკლოვსკის კრიტიკამ მიზანს მიაღწია – კონსტანტინე რუსებმა არ მიიღეს და საქართველოს ფარგლებში დასტოვეს იგი.

სტალინს დიდად მოსწონდა შალვა ნუცუბიძის მიერ თარგმნილი "ვეფხისტყაოსანი". ამ წიგნის არაოფიციალური რედაქტორიც იყო. მაგრამ მთარგმნელისათვის სტალინური პრემია არ მიუციათ. სამაგიეროდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში აირჩიეს.

სტალინის სურვილისამებრ კონსტანტინესაც ასე მოექცნენ.

ბელადის ნებას წინ ვინ აღუდგებოდა.

შრომის წითელი დროშის ორდენი

კონსტანტინეს დამსახურება ხალხისა და ქვეყნის წინაშე აღუნიშვნელი მაინც არ დარჩენილა: 1946 წლის თებერვალში, გასაბჭოების 25 წლისთავზე, ხელოვნების მუშაკთა დიდ ჯგუფთან ერთად მოსკოვში მყოფი მწერალი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

აკადემიკოსობა და ორდენი ოფიციალური აღიარების დასტური იყო.

დღევანდელი მკითხველისათვის შეიძლება ეს ბევრს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ კომუნისტურ ეპოქაში, მითუმეტეს სტალინ-ბერიას დროს, ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

თუ სახელმწიფო ჯილდო არ გქონდა, მწერლად ვინ ჩაგთვლიდა!

სტალინის თვალსაზრისი

სტალინზე უამრავი ლექსი დაიწერა, შეიქმნა შედეგებიც. მაგრამ პროზა სხვაა. შეიძლება ითქვას, კონსტანტინეს მიერ მასალა არასწორად იქნა არჩეული, როცა დაიწყო ბელადის ცხოვრების მთლიანი აღწერა და არა ერთი რომელიმე ეპიზოდისა. სტალინს სძულდა მამა, რასაც მწერალი ვერ აჩვენებდა. თვით სოსოს ბავშვობა, დედა ეკატერინე, ცხადია, არ იყო რეალურად წარმოსახული. შემდეგ – რომანს ნაციონალისტურ ელფერს სძენდნენ არარსებული პირები – მიხა ქილიფთარი და უფლისა არაბული. მეორეს მხრივ – რუსი ლავროვის გაშარსება, მისი სიძულვი-ლი ქართველებისადმი, აძლიერებდა ნაციონალისტურ განწყობილებას.

გამარჯვებული მთავარსარდალი ცუდად ერკვეოდა ახალი ლიტერატურის სპეციფიკაში. მაგრამ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის შემქმნელთაგანი თავად იყო და ნაციონალიზმს ვერ მოიწონებდა. ხოლო ფაქტების შეფერადება, თავისუფალი წარმოსახვა რეალისტ და მატერიალისტ ბელადს აღიზიანებდა. ამიტომ სტალინი "ბელადის" გამო გაჩუმდა, მაგრამ ომის შემდეგ, როცა საამისოდ მოიცალა, კონსტანტინეს სხვა წიგნებს გამოუძებნა ნაკლი. ეს იცოდნენ რაფავამ და რუხაძემ, საქართველოს შინსახკომის ხელმძღვანელებმა, და პირნათლად ასრულებდნენ მოსკოვიდან მიღებულ დავალებებს. მაგრამ სტალინი კონსტანტინეს დაპატიმრების ნებას არ იძლეოდა.

კიკეთის გზაზე

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა.

ბავშვები იზრდებოდნენ. მწერალს საზრუნავი ემატებოდა. ზაფხულობით ოჯახს აგარაკზე ისტუმრებდა და თვითონ მარტოობაში აგრძელებდა მუშაობას, ფიქრსა და ოცნებას, რასაც ამჟღავნებდა ისტორიებიც ახლდა. ამჯერად მისი გატაცების საგანი იყო ქმარდახვრეტილი, გადასახლებიდან დაბრუნებული ერთი ლამაზი ქალი...

იმ ზაფხულს კონსტანტინესა და კარლო კალაძის ოჯახები კიკეთში ისვენებდნენ. მწერლები შაბათ-კვირას ადიოდნენ ხოლმე ცოლ-შვილის სანახავად.

კონსტანტინე კარლოსთან მეგობრობდა, მოსწონდა მისი იუმორი, ხალისიანი ბუნება. კარლოს პირველი ცოლი – თამარ აბაკელია მირანდას ნათესავი იყო და ამან კიდევ უფრო დაახლოვა ისინი.

ერთხელ კონსტანტინემ თქვა, რად გვინდა ავტომანქანა, მოდი, ცხენებით ავიდეთო. კარლო შეცბა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

გენერალმა კაპიტონ ნაჭყებიათ ცხენსაშენიდან გამოუყვანა ცხენები და ისინი კიკეთის გზას დაადგინა. დამფრთხალ კარლოს სული ელეოდა, ცხენი არ გამიჭენდეს და არ ჩამომადოსო. მაგრამ აგარაკს რომ მიუახლოვდნენ, იწყინა, მე სანჩო პანსა კი არა ვარო. მოულოდნელად სწყვიტა ცხენს მათრახი, კონსტანტინე უკან მოიტოვა და პირველი შევიდა ეზოში.

კონსტანტინე მოიღუშა, ასე როგორ შეიძლებაო, არ გცოდნია უფროსი კაცის პატივისცემაო.

კონსტანტინემ მეორე კვირასაც ცხენებით გასეირნება მოინდომა, ალბათ იფიქრა, სადმე ტყეში ჩავტოვებ ამ თავხედსო. მაგრამ კარლომ დაასწრო და გენერალი გააფრთხილა, ცხენები გადამალე, არ შემიძლია ყოველკვირა ცხენით მუნძულიო.

კონსტანტინემ ნაღვლიანად შესჩივლა კარლოს, ცხენები ავად გამხდარან, მანქანით მოგვიწევს ასვლაო.

კარლომ სული მოითქვა. მაგრამ გზაში უარესი ხიფათი ელოდა. იმ დანჯღრეულ საბარგოზე, რომელსაც გაჰყვნენ, ისხდნენ ფრიად შემზარავი

გარეგნობის ახალგაზრდები. უკვე ღამდებოდა და კარლო შიშმა აიტანა, ესენი ნამდვილად ბანდიტები იქნებიანო.

კონსტანტინემ შეატყო, რომ კარლომ ფერი დაჰკარგა. ხანჯალი ამოსწია და თვალები დააბრიალა, ამ სატევრით წავაცალე თავი ერთ ასეთ არამზადასო და თანამგზავრებს გადახედა.

ბიჭები შეშინდნენ, მანქანა გააჩერებინეს და ძირს ჩაცვივდნენ.

კონსტანტინე კმაყოფილი დარჩა, ცხენოსნობაში ვერა, მაგრამ ვასკაცობაში რომ აჯობა კარლოს!

პირველი შვილიშვილი

1945 წლის 19 მაისს ნათელა ცოლად გაჰყვა ნევროპათოლოგ ამილო ახობაძეს. ადრე კონსტანტინე ეუბნებოდა ქალიშვილსა და სასიძოს, თქვენი ქორწინება მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ უნდა მოხდესო.

ეს დღეც დადგა.

კონსტანტინე ჩავიდა ზუგდიდში, წამოიღო პურ-მარილი და სუფრა მეგრულ ყაიდაზე გაშალა თავის სახლში, ჯაფარიძის ქუჩაზე.

საქორწილო სუფრაზე იყვნენ ალექსანდრე აბაშელი, პაატა გუგუშვილი, აკაკი გაწერელია, ჯოდოლი თოფურიძე, გია გამყრელიძე...

1946 წლის 18 თებერვალს კონსტანტინეს, როცა იგი მოსკოვში იყო, შეეძინა პირველი შვილიშვილი.

ნათელას უნდოდა ქალიშვილისათვის ვიოლეტა დაერქმია.

იგი მეგობრობდა ვიოლეტა ცისკარიძესთან (შემდეგში ცნობილი პროფესორი, რომელსაც დედა ფრანგი ჰყავდა) და მისი სახელი მოსწონდა. მაგრამ კონსტანტინემ ყური არ უგდო და შვილიშვილს შორენა დაარქვა, კოლონკელიძის ქალის სახელი.

ნათელა და ამილო წყალტუბოში გადავიდნენ, სადაც დაჰყვეს მთელი ათი წელი. შემდეგ კონსტანტინემ მათ დაუთმო თავისი ბინა გრიბოედოვის ქუჩაზე (№21), დღევანდელი იუსტიციის სამინისტროს გვერდით.

მწერალს დაბადების დღეების აღნიშვნა არ უყვარდა, ეს რუსული ჩვეულებააო. მაგრამ შორენას დღეობებს ესწრებოდა, სუფრის თავთან დაჯდებოდა და თამადაობდა.

ტაშის ტალღა

40-იან წლებში კონსტანტინეს სახელი ჰქუხდა.

ჯერ არ მოხვეოდა მშვიდი კლასიკოსის ოქროსფერი მანტია.

წერდა, ბობოქრობდა, აქებდნენ, აკრიტიკებდნენ, არავის არაფერს უთმობდა.

ახალი თაობის მეხსიერებაში ასეთი დარჩა იგი – გულზვიადი და შეუპოვარი.

ტელევიზია ჯერ არ არსებობდა, პრესას და წიგნებს მცირე ტირასი ჰქონდა.

ამიტომ ყველა როდი სცნობდა კონსტანტინეს, ქვეითად მოსიარულეს თუ ცხენზე ამხედრებულს.

მაშინ იერარქიული დისციპლინა მკაცრად იყო დაცული.

თაყვანისმცემლებს დიდი მწერალი ლამის ღმერთკაცად წარმოედგინათ.

ამიტომ მასთან შეხვედრას ისე მოელოდნენ, როგორც კინოვარსკვლავის გამოჩენას.

ხოლო როცა სცენაზე თვალს მოჰკრავდნენ კონსტანტინეს მკაცრ პროფილს, ტაშისცემით ინგრეოდა დარბაზი.

არც ხალხის სიყვარული აკლდა, არც ოფიციალის დაფასება, თუმცა სტალინური პრემიის ნიშანი არ ბრწყინავდა მის მკერდზე.

24. "დავით აღმაშენებლის"

ნაციონალურ-პოლიტიკური არსი

თორნი გაიხადა. გვერდს იცვლიდა, ფიქრობდა, რომელი მტრისთვის მოექნია მოშიებული ბაგრატიული მახვილი

პირველად?..

"დავით აღმაშენებელი"

კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგია "დავით აღმაშენებელი", პირველ ყოვლისა, რომანია, დაწერილი დიდი კულტურით, ცოდნითა და ოსტატობით. მაგრამ ეს წიგნი რომანზე მეტია ქართველი კაცისათვის, როგორც ნაციონალური ეპოსი, მისი ისტორიის, ჰეროიკული სულის ქცევა სახეებად. ამდენად აქვს მას ნაციონალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა.

კონსტანტინე გამსახურდია თანამედროვე მწერალი იყო, თანამედროვე მოვლენათა ქაოსის აღმქმელი და მჭვრეტელი, პერსპექტივის მაძიებელი, ეროვნული სულის დამცველი და იდეოლოგი. ამ რწმენითა და განწყობილებით იწერებოდა ესეები, ნოველები, "დიონისოს ღიმილი", "მთვარის მოტაცება". მაგრამ თანდათან ესეც შეუძლებელი გახდა. სატანური ეპოქა მხოლოდ აპოლოგეტებს ცნობდა, რომელთაც დანაშაულსა და სისხლზე აგებული ტოტალიტარული სისტემის ფოსტალიონობა ევალებოდათ. კ. გამსახურდიას უარი უნდა ეთქვა თანამედროვეობის ასახვისათვის და ისტორიაში გადასულიყო. საბედნიეროდ, იგი ამისათვის მზად იყო. ამიტომ დაიწერა ესოდენ სწრაფად, ესოდენი გზნებით "დიდოსტატის მარჯვენა" – დიდი ქართული რომანი. მაგრამ ეს სწორედ რომანი იყო, ისტორიაში გადატანილი 1937 წლის მოდელი. ხოლო მწერალს ეწადა ნაციონალური ეპოსის შექმნა.

როგორც ვიცით, ოციან წლებში კ. გამსახურდია მისტიკამ გაიტაცა და ცდილობდა ხელოვნება რელიგიად წარმოედგინა, რამაც კიდევ უფრო გაუმძაფრა ინტერესი ანტიკისა და დიონისოს კულტისადმი. შემდეგ მითოსმა გადასძალა და ხელოვნება გაიაზრა როგორც მითისქმნადობა. დროულში ზედროულის პოვნის

შემდეგ, თანამედროვეობა-მითოსის გადაჯვარედინების შემდეგ დგება შუალედური მოვლენა – ისტორია. და ისტორია უნდა ქცეულიყო ნაციონალურ ეპოსად, როგორც მითი და ლეგენდა, დათრგუნვილი ეროვნული შეგნებისა და მოზეიმე უღმერთობის სამს – მომავლის ფუძედ და ფუნდამენტად.

ამდენად არის "დავით აღმაშენებელი" უფრო მეტი, ვიდრე რომანი.

ინტერვალი "დავით აღმაშენებლის" III და IV წიგნებს შორის საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. IV წიგნი 1962 წელს გამოიცა. ამ დროს მწერალი უკვე 71 წლისა იყო. ესეც არის ერთი მიზეზი, რომ ამ წიგნს ახლავს ლაპსუსები და ხარვეზები (მათი გასწორება აუცილებელია). მაგრამ კონცეფციურად მაინც ამთავრებს ტეტრალოგიას. განსაკუთრებით ძლიერია ბოლო თავი – "უკანასკნელი ომი" (როგორც მწერლის სიტყვიდან ჩანს, იგი ადრევე უნდა ჰქონოდა დაწერილი).

სტალინის ეპოქაში დავით აღმაშენებელი იდეალი ვერ იქნებოდა. არც მისი მეხოტბე უნდა ყოფილიყო ჯეროვნად დაფასებული. ხუთწლედები, სოციალისტური სოფელი, სოციალისტური შეჯიბრება, მანქანა და ტრაქტორი, კომუნისტური იდეალები, კლასობრივი ბრძოლა, ხალხთა მეგობრობა – აი, ხელისუფლების მიერ ნაკარნახევი სავალდებულო თემები და მასალა. მწერალსაც ამ სფეროში უნდა ეცადა ბედი, თანაც გაეაზრა ისე, როგორც ოფიციალურ სურდა. დავით IV, როგორც მე-ფე, ანაქრონული მოვლენა იყო სტალინის ეპოქისათვის. მართალია, ალექსეი ტოლსტოიმ დაწერა "პეტრე I", მაგრამ ის რუსი მწერალი იყო, ხოლო დავითის წარმოდგენა XII საუკუნის ქართული ნაციონალური სახელმწიფოს აღმდგენად – მოწონებას არ იწვევდა. მწერალს სწამებდნენ ბაგრატიონების აპოლოგიასა და წარსულის იდეალიზებას. რუსულმა კრიტიკამ არ მიიღო "დავით აღმაშენებელი" (განსხვავებით "დიდოსტატის მარჯვენისაგან"), როგორც ნაციონალისტური წიგნი.

რომანში ასახული ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მოსკოვისათვის მიუღებელი იყო. განა იმიტომ დაადგა საქართველოს ბოლშევიკური უღელი და დააქუცმაცა ქვეყანა, რომ აღდგენის აპოლოგია მოესმინა!

მაგრამ "დავით აღმაშენებელი" ისევე სჭირდებოდა საქართველოს, ქართველ ხალხს, როგორც ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძისა და გ. ჩუბინაშვილის ნაშრომები, პ. ინგოროყვას "გიორგი მერჩულე", რათა თავისი არსებობა ოცნებით განემტკიცებინა, გაეღვივებინა ნაციონალური სიამყის ცეცხლი. ეს განსაკუთრებით სჭირდებოდა 1921 წლით წელგატეხილ, ანექსირებულ და სტალინის დიქტატურით დათრგუნვილ ქვეყანას. თანამედროვეობასთან მუდმივ კონფლიქტსა და პოლემიკაში იწერებოდა

რომანი დავითზე. ამიტომ ცალკეული ხარვეზები გამოწვეულია ეპოქისმიერი ვითარებით, დროში გაფანტვით. მაგრამ იყო ზოგიერთი ისეთი ტენდენცია, რაც ხელს უწყობდა, რომ მწერალს მუშაობა განეგრძო. ეს იყო შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია – ომი ჰიტლერულ გერმანიასთან და მოსალოდნელი თურქული აგრესია. "დავით აღმაშენებელი" სწორედ ანტითურქული რომანია. დავითი ებრძვის თურქ-სელჯუკებს საქართველოს დამოუკიდებლობის და ტერიტორიული გამთლიანებისათვის.

ამ განწყობილებას აძლიერებდა მოსალოდნელი ხელახალი ინტერვენცია. ჩანდა, რომ XII საუკუნიდან დღევანდებლობამდე გადაუჭრელი იყო, ისევ იდგა თურქთა პრობლემა. ამასვე ერთვოდა საყოველთაო მოწოდება ლაზეთისა და ტაო-კლარჯეთის გასანთავისუფლებლად, რათა სამშობლოს დაბრუნებოდა ოთხასწლოვანი განშორების შემდეგ ქართული ქრისტიანული კულტურისა და ბაგრატიონთა დინასტიის კერა, გრიგოლ ხანძთელისა და შოთა რუსთაველის მიწა. არც ის უნდა ყოფილიყო შემთხვევითი, რომ მწერალს ადრევე სდევდა სამხრეთ საქართველოს მწარე ბედი. ამიტომ გამოჰყავდა თავისი წიგნების მთავარ გმირებად ლაზი კონსტანტინე სავარსამიძე და ლაზი კონსტანტინე არსაკიძე. საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური და კულტურული ერთობის სიმბოლო სვეტიცხოველი მწერალმა სწორედ ლაზ ჭაბუკს, თავისუფლებადკვეთილ ხელოვანს ააგებინა, რათა თანამედროვე მოქალაქეს არ დავიწყებოდა თურქეთის მიერ მიტაცებული ლაზეთი და ტაო-კლარჯეთი, მითუმეტეს, რომ, როგორც ითქვა, ორმოციან წლებში რეალურად დაისვა საქართველოს ტერიტორიული გაერთიანების საკითხი (რასაც, სამწუხაროდ, აღსრულება არ ეწერა).

მეფე დავითი იბრძვის, ერთის მხრივ, საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების მოსაპოვებლად, მეორეს მხრივ – ტერიტორიული გამთლიანებისათვის, რაც ეხმიანებოდა მწერლის ოცნებას. ამიტომ XII საუკუნის ხატვით იმ იდეალებსაც სულს უდგამდა, რაც უნდა ყოფილიყო არსებობის მიზანი სატანური დროიდან მომავლისაკენ გართხმულ გზაზე. ამგვარი ანალოგია მხოლოდ შეფარვით თუ ითქმოდა. კომუნიზმის მშენებელ ქვეყანას ამგვარი იდეალები არ აწუხებდა. სამაგიეროდ, სტალინსა და ბერიას ხელს აძლევდათ ჩვენება, რომ ისინი უძველესი ქვეყნისა და კულტურის შვილები იყვნენ. რომ საქართველოს ჰყავდა არა მხოლოდ უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ილია ჭავჭავაძე, არამედ – უდიდესი მონარქიც დავით IV ბაგრატიონი. თუ ივანე მრისხანე და პეტრე პირველი ახალი დროის ხელმწიფენი

იყვნენ, დავითი XI საუკუნეში გამეფდა. ქრონოლოგიასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ზოგჯერ – საბედისწეროც.

კონსტანტინე გამსახურდიას თავისი კონცეფციის გასაშლელად სჭირდებოდა ისტორიის აღდგენა და შევსება. აღდგენა იმიტომ, რომ დაეწერა სწორ ფაქტებსა და რეალიებზე აგებული თხზულება. წარსულისადმი რომანტიკული მიმართებით, გარდასული დღეების იდეალიზებით შეიძლება შეიქმნას შედეგრი როგორც თავისუფალი პოეტიზების ნაყოფი. მაგრამ ეს არ იქნება სინამდვილის ობიექტური სურათი და ამდენად – ნაციონალური რწმენისა და გრძნობის ფუნდამენტი. კ. გამსახურდიამ არა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლა და გააცოცხლა ქართული სინამდვილე XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე, არამედ – ბიზანტიის, მახლობელი აღმოსავლეთის, კიევის რუსეთის, ყივჩაღების ყოფა-ცხოვრებაც წარმოგვიდგინა. მხოლოდ ასე შეიძლებოდა ეპოქის კონტექსტის გააზრება, დავითის როლის ჩვენება დრამატულ მოვლენათა რკალში.

შინააშლილობა სელჯუკიანთა იმპერიაში, ჯვაროსანთა ლაშქრობანი, ბიზანტიის იმპერიის რღვევა, კიევის რუსეთის გაძლიერება და ყივჩაღების უკუქცევა სამხრეთისაკენ მწერალმა საქართველოს ბედთან დააკავშირა. ისტორიულად ეს ასეც იყო. რომანის გმირები (ჯონდი ერისთავი, ნიანია ბაკურიანი, სტეფანოზ წილკნელი, გვარამ ერისთავი, მახარა, დედოფალი მარიამი, მაგისტრი იოანე) ცხოვრობენ და მოგზაურობენ ამ სამყაროში. მაგრამ უმთავრესი მაინც ქართული გარემოს ჩვენებაა, რომელსაც აზრსა და მიმართულებას აძლევს მეფე. სწორედ მეფე იყო იმსამად ეროვნული მოძრაობის ლიდერი და დამცველი. ამიტომ ბაგრატ III, ბაგრატ IV, გიორგი I, დავით IV უბრალო მონარქები კი არა, ეროვნული გმირები იყვნენ. მათდამი მწერლის მიმართება სრულიადაც არ არის უკრიტიკო, მაგრამ ეს არ ეხება მათს ეროვნულ მრწამსს. ავტორი სიყვარულით ხატავს ბახუსის მსახურ, გულმოწყალე და გულჩვილ მეფე გიორგი მეორესაც: მან ერთხელ მაინც დაამარცხა თურქ-სელჯუკები (ფარცხისის ბრძოლა), ხოლო მეორე ბრძნული ნაბიჯი ის იყო, რომ დროულად დაუთმო ტახტი უფლისწულ დავითს.

ქართველ მეფეთა სამშობლოსადმი ერთგულება და თავდადება უეჭველია. მაგრამ სხვაგვარია მიმართება ფეოდალებისადმი. ერთის მხრივ, მწერალს გამოჰყავს მეფის ერთგული ფეოდალები (შერგილ ლიპარტიანი, შამან ერისთავი, შტორა მორკნეველი, ნიანია ერისთავი), მეორეს მხრივ – ორგულნი და ქვეგამხედვარნი (ლიპარიტ და რატი ბაღვაშები, ძაგან ერისთავი, იოანე დუკისძე). ამდენად – ავტორის წინაშე იდგა ამოცანა – რეალობად ექცია ფეოდალური საქართველოს მუდმივი პარადიგმა – ცენტრალიზმი და პარტიკულარიზმი, რომლის დაძლევას ცდა არ

დააკლეს ბაგრატიონებმა, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს (ზოგი ხელსაც უწყობდა, მაგ., ალექსანდრე, ე. წ. დიდი, ხოლო ზოგმა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის მთელი თავისი სამფლობელო ბიზანტიას უანდერძა – დავით III კურაპალატი).

ასევე დიფერენცირებულია ღვთისმსახურთა მასა. თუ ერთნი თავს სწირავენ დავითისა და სამშობლოსათვის (გიორგი ჭყონდიდელი, სტეფანოზ წილკნელი, ბერი გოდოლია, მესვეტე სერაპიონი), მეორენი ღალატობენ ან განცხრომას ეძლევიან (კოზმან ბერი, ევტიხი ბერი, ანტონი ქუთათელი, კირიონ მანგლელი, მაქსიმე დირბელი). ამასთან ერთად, მწერალი ხედავს, რომ ისევ ცხოვლად შემორჩენილა წარმართული წარმოდგენები. ამიტომ არა მხოლოდ ქრისტეს მსახურნი, არამედ – წარმართებიც არიან მეფის ახლობელი პირნი, ხოლო მახარა (ხარჭისნაშობი, ქოსა, საჭურისი, ბნედიანი, ე. ი. ქრისტიანული თვალსაზრისით ეშმაკეულის განსახიერება) ჭყონდიდელთან ერთად უფლისწულის აღმზრდელია. ამით მწერალი მიგვითითებს რწმენის ფაქტორის მნიშვნელობაზე, რასაც იწვევდა, აგრეთვე, ანტიკური ტრადიციების აღორძინება და მუსლიმანობის შემოტევა. ხოლო ბაგრატი მეოთხისა და დავითის სკეპსისი, სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და კულტურული აღმავლობის კვალდაკვალ, რენესანსის დილას აახლოებდა. ამიტომ წიგნში ნაკლებად იგრძნობა რელიგიური ფანატიზმი (რამდენიმე გამონაკლისი – გოდოლია, ათანასე, ევტიხი, სერაპიონი). ხოლო გიორგი ჭყონდიდელსა და სტეფანოზ წილკნელს მწერალი განადიდებს, პირველ ყოვლისა, სწორედ საერო საქმეთა გამო.

მართალია, "დავით აღმაშენებელი" მეფეთა და ფეოდალთა ცხოვრებას ასახავს, მათ, რომლებიც გეზს აძლევდნენ პოლიტიკას, მაგრამ გლეხებსაც საკმაოდ გვაცნობს. ეს აუცილებელი იყო არა მაინცდამაინც კონიუნქტურული თვალსაზრისით. მიუხედავად ოფიციოზის მკაცრი საყვედურისა, ზომიერება არ დარღვეულა. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ უფლისწულ დავითს მეფე პირველად უწოდა დიღმელმა გლეხმა გაბრიელ ხორგაიმი, ე. ი. მკოდოვანთა და გლახაკთა მეფე არის არა მხოლოდ არისტოკრატის, არამედ უპირველესად, ხალხის რჩეული. ამ კონცეფციის გასაშლელად, ისტორიული სიმართლისა და კოლორიტის გადმოსაცემად საჭირო იყო ისტორიის შევსებაც, მასზე წარმოდგენის გავრცობა, შესაძლებელ პირთა გამოყვანა. რეალურად არ არსებულან დედისიმედი, გვანცა, მახარა, ნიანია, ჯონდი. მაგრამ "დავით აღმაშენებელი" არის არა დოკუმენტირებული ისტორია, არამედ – ნაციონალური ეპოსი, რომელშიც ისტორიულ პირთა სამოქმედო სარბიელი, სული და გონება ფანტაზიით ცოცხლდება, როგორც სავსებით შესაძლებელი.

ასეთი თვალსაზრისი კონფლიქტსაც იწვევდა, რადგან ისტორიულ ფაქტებზე აღზრდილ პიროვნებას უჭირს გამოგონილ სახელებთან შეგუება, მათი ჩართვა

პოლიტიკურ პერიპეტიებში. მეორეს მხრივ, თავად მწერალსაც იტაცებს ისტორიული მასალა. რომანი თანდათან იტვირთებოდა და ივსებოდა კონკრეტული ფაქტებით, საგნებით, რეალიებით. მათ ჭარბ წარმოდგენას მომხიბვლელობაც ახლდა. აჩრდილებთან სტუმრობაც აღვივებდა მიძინებულ ეროვნულ შეგნებას. ხოლო დავითის და დედისიმედის რომანტიკული წყვილი, რომელსაც მტრობა ორ საგვარეულოს შორის სიყვარულით უნდა წაერეცხა, თანდათან ადგილს უთმობდა ისტორიულ მოვლენათა ლოგიკას, ე. ი. რომანულ თხრობას ცვლიდა კონცეფცია. რომანული თხრობა ნაკლებად მტკივნეული იყო ოფიცოზისათვის, ხოლო კონცეფციის დაფუძნება ნაციონალურ მასალაზე და მრწამსის შეფარვით ქადაგება მომავლისაკენ გზის გაკაფვაჯაც ნიშნავდა.

დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და რელიგიურ-კულტურული ერთიანობა – ეს არის დავით აღმაშენებლის ბრძოლისა და მოღვაწეობის მიზანი. ეს არის ერის სულისკვეთებაც. XI საუკუნის საქართველო დამარცხდა თურქ-სელჯუკებთან ბრძოლაში და შუა აზიიდან ამ ახლად მოვლენილი გრიგალის მოხარკე გახდა. საერთოდ, მუსლიმანობასთან და მომთაბარე ტომებთან ბრძოლაში დაიშალა და დაილია საქართველო. განსაკუთრებით საბედისწერო აღმოჩნდა ქრისტიანული ბიზანტიის მიწაზე დამკვიდრებული ოტომანთა იმპერია. თურქებმა მიიტაცეს საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი, ენა, ეროვნება და რჯული წაართვეს ამ მიწის მკვიდრ მოსახლეობას.

1918 წელს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის წყალობით თურქეთის ხელში გადავიდა სამხრეთი საქართველო, რომლის დათმობა მალევე მოუხდა, მაგრამ 1921 წელს კვლავ საჩუქრად მიიღო ართვინი და არტაანი, სპერი და ოლთისი, ხოლო II მსოფლიო ომის დროს ახალი ინტერვენციისათვის ემზადებოდა. ამდენად, როგორც ითქვა, თურქული აგრესია ისევ აქტუალური იყო. ამასთან ერთად მწერალი თხზავდა მომავალი საქართველოს ხატს. საამისო მოდელად მიაჩნდა დავით მეფე, ვინც პირადი ცხოვრება გაწირა სამშობლოს ინტერესების დასაცავად. პირადულისა და საზოგადოებრივის დაპირისპირება, პირველის დათმობა მეორისათვის სტალინიზმის პრინციპიც იყო, მაგრამ საფუძველი ჰქონდა ყალბი. ხოლო კ. გამსახურდიამ კონკრეტული და სასიცოცხლო პრობლემა გაიაზრა და არა უტოპიური და აბსტრაქტული იდეალები.

დავით მეფე, ვისაც აღმაშენებელი მხოლოდ XV საუკუნეში უწოდა შთამომავლობამ, გაუხარელი პირად ცხოვრებაში (გაურბის ამა ქვეყნიურ სიამეთ, გაეყარა პირველ მეუღლეს, დაკარგა დედისიმედი და გვანცა, შერთო ყივჩაღთა მეფის ასული – გამომდინარე ეროვნული აუცილებლობიდან), მახვილით

აღასრულებს ქართველთა მრავალსაუკუნოვან ოცნებას, დამოუკიდებლობას აღუდგენს სამშობლოს. დამოუკიდებლობა ერის სასიცოცხლო ნიშანთვისებაა, ბიოლოგიურადაც განსაზღვრული, არა მხოლოდ ცნობიერად. დამოუკიდებლობა და თავისთავადობა სიცოცხლის ნების გამოხატულებაა. ის, ვინც უცხო ძალის მორჩილია, განწირულია დასაღუპავად. ხოლო ყველა არსება იბრძვის თავისი ჯიშის დასაცავად და მოდგმის გასაგრძელებლად. თუ დავითის მამაპაპანი ქრისტიანულ ბიზანტიას ეტოქებოდნენ, რათა რელიგიის ერთიანობას არ გამოეწვია ეროვნული ერთგვარობაც, ამჯერად ნაზარეველი მოკავშირეა მაჰმადის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეროვნული და რელიგიური ინტერესები გაერთიანდა.

დამოუკიდებლობა ტერიტორიული მთლიანობის გარეშე ფიქციაა. თავისთავადობა რომ რეალობად ქცეულიყო, დავითს უნდა დაეთრგუნა ურჩი ფეოდალები (მაგ., ბაგრატიონების მუდმივი მოშულლარი ბაღვაშები), გაენთავისუფლებინა არაბთა და თურქთაგან მიტაცებული პუნქტები, დაებრუნებინა სეპარატულ განდგომას დაჩვეული კახეთ-ჰერეთი. ქართულ კუთხეთა და ტომთა ტერიტორიული გაერთიანება, სამშობლოს გაწმენდა უცხოთაგან მეფისაგან მოითხოვდა სიბრძნეს, ძალას, პოლიტიკურ მოვლენებში ზუსტი ორიენტირების უნარს. დავითს მხარში უდგანან საქართველოს ყოველი კუთხის შვილნი – გიორგი ჭყონდიდელი, შერგილ ლიპარტიანი, ჯონდი ერისთავი, ნიანია ბაკურიანი, გვარამ ერისთავი, ქარიმან სეტიელი, ბემქენ ჯაყელი, ვალანგ ერისთავი. ისინი არიან არა რომანის უბრალო პერსონაჟები ან ინტიმური პერიპეტეების მონაწილენი, არამედ მეფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ხმლითა და სიტყვით, ფიქრითა და მოქმედებით აღმსრულებელნი. კ. გამსახურდია ამიტომაც წარმოგვიდგენს როგორც აღმა-შენებელ, ისე მოიერიშე მეფეს, მხედარსა და მეომარს.

"დიდოსტატის მარჯვენაში" ეროვნული მთლიანობის სიმბოლოა სვეტიცხოველი. "დავით აღმაშენებელში" მას ენაცვლება თბილისი. სიმბოლო რეალობად იქცევა. დავითი ხომ ეუბნება დედას, სამი სიცოცხლე რომ მქონდეს, სამივეს თბილისის განთავისუფლებას შევწირავდიო. მაგრამ ისიც უნდა დავძინოთ, რომ დავითის ექსპანსია მხოლოდ ქართული მიწების გაერთიანებისაკენ არ იყო მიმართული. მისი მიზანი საერთო კავკასიური სახელმწიფოს შექმნაც იყო. ამიტომ განავრცო საქართველო ორ ზღვას შუა (ისევე როგორც ბაგრატ მესამემ) – ნიკოფსიიდან (მდებარეობდა 47 კილომეტრზე ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით) დარუბანდამდე (ძვ. ჩორი, დღევანდელი დერბენდი), ხოლო სამხრეთით მის საზღვრებში მოექცა სომხეთი, რომელსაც პირველს გადაუარა თურქ-სელჯუკთა ტაიფუნმა. კ. გამსახურდია გვიჩვენებს, თუ როგორ გადადის დავითის ხელში

ციხეები, ქალაქები, საერისთაოები. ამ ბრძოლების გვირგვინია თბილისის დაბრუნება და ანისის აღება. ხოლო ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მუსულმანთა კოალიციის ლაშქარი ძლეულ იქნა დიდგორთან.

ტერიტორიული ერთიანობა, დამოუკიდებლობის მიღწევა, გვეუბნება კ. გამსახურდიას რომანი, კიდევ არ ნიშნავს ერის კრისტალიზებას. საჭიროა რელიგიურ-კულტურული მთლიანობაც, რათა ხალხი არ დაემსგავსოს ერთ მიწაზე მცხოვრებ განსხვავებულ წარმოდგენათა ადამიანების კრებულს. იმპერიების დანგრევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიცაა, რომ რელიგიურ-კულტურულად, ე. ი. ფსიქიკურად დიფერენცირებული დარჩა, ხოლო რელიგიის განმტკიცება შეუძლებელი იყო განწმენდის გარეშე. ამიტომ მოიწვია მეფემ რუის-ურბნისის კრება და ეკლესიიდან განასხა ქვაბ-ავაზაკნი, განკვეთა ქრისტეს უღირსნი მსახურნი. საქართველოს ერთობის ახალ სიმბოლოდ აშენდა გელათი. მაგრამ, ამასთანავე, რელიგია და კულტურა სახელმწიფოს დაუმორჩილდა, რაც გამოიხატა გიორგი ჭყონდიდელის ვაზირთ უპირველესობით (დღევანდელი ტერმინოლოგიით – პრემიერ-მინისტრი).

აქ კიდევ ერთ ფაქტს ჩავუკვირდეთ: რომანის ერთ-ერთი პერსონაჟია დავითის მამიდა, ბიზანტიის დედოფალყოფილი მარიაში. მისი მემკვიდრით მწერალი გვიჩვენებს ქართველი ქალის სილამაზეს, მართლმადიდებლობის ცენტრს – კონსტანტინოპოლს, იმპერიის ძველ ბრწყინვალეებასა და ახალ დაისს, რათა მკითხველმა ირწმუნოს, რომ თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლის დროშა ჯვაროსნებთან ერთად დავითსაც გადმოეცა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობანი ავანტურა იყო, ხოლო დავითი ერკინება მშობელ მიწაზე შემოჭრილ მტერს. რომანი იწყება თურქთა წინააღმდეგ უფლისწულის პირველი ლაშქრობით და მთავრდება ტაოსკარს მომდგარ თურქთა სიკვდილისწინა მოლანდებით.

ეს არის არა მხოლოდ რომანის მთავარი გმირის, არამედ – ავტორის გაფრთხილებაც – გვახსოვდეს მტერი!

ქართველური ტომებისათვის არასოდეს მდგარა არჩევანი (იქნება ეს არისტოკრატია, სამღვდელოება თუ გლეხობა), თუ რომელ ენაზე ემეტყველათ, რომელი ენა დაემკვიდრებინათ. ენის პრობლემას განსაკუთრებული სიმწვავეით განიცდიან დაჩაგრული და ანექსირებული ერები, რათა არ დაკარგონ ნაციონალობის განმსაზღვრელი, სხვათაგან გამომყოფი ერთი უმთავრესი ნიშან-თვისება, რადგან ენას განსაზღვრავს ერი (და არა პირიქით). დავითის მიერ შექმნილ სახელმწიფოში

თავისთავადაც იგულისხმებოდა, რომ მონარქია და რელიგია ქართულ ენაზე ფუნქციონირებდა. სამაგიეროდ ეს პრობლემა იდგა მწერლის წინაშე, რათა მრავალგვარი შემოტევისაგან დაეცვა იგი, არათუ დაეცვა, არამედ – მიენიჭებინა უფრო წმინდა და ნაციონალური სახე, როგორც ძველი, ისე ახალი სამის შესაფერი.

პათეტიკა, ლირიზმი, ძველქართული ინტონაცია, აღდგენილი ლექსიკა, სტილიზებული სინტაქსი სპეციფიკური ელფერით აღბეჭდავს მწერლის ენას და მკვეთრად გამოარჩევს თანამედროვეთა მეტყველებისაგან.

"დავით აღმაშენებლის" ერთი პერსონასი ამბობს, მშვიდობა უომრად ვერ იქნებაო. ნიცშეს ზარატუსტრაც ქადაგებს, მშვიდობა უნდა გიყვარდეს, როგორც ახალი ომის საშუალებაო, ომმა და ვაჟკაცობამ უფრო დიდი საქმეები აღასრულეს, ვიდრე მოყვასისადმი სიყვარულმაო.

მართლაც, დავითი დღემუდამ ან ომისათვის ემზადება ან ლაშქარს ბრძოლაში მიუძღვის. ეს შუასაუკუნეების მონარქის თანამდევნი მოვლენა იყო. საქართველოც მშვიდობას ეტრფოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამშობლოს აღადგენდა, დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, ხოლო ყველა სადავო საკითხი, მითუმეტეს ძველ დროში, მახვილს უნდა გადაეჭრა.

ამდენად – ომი არის საშუალება და არა მიზანი.

ყოველ ბრძოლას მოსდევს დიდი მსხვერპლი, სისხლი, ცრემლი და ნგრევა. მაგრამ ეს ხდება უკეთეს დღეთა სახელით. მწერალი განსაკუთრებული ძალითა და შთაგონებით გადმოსცემს ბატალურ სურათებს, ომის სულს. იგი თითქოს თავადაც გარდაისახება ხმალშემართულ მხედართუფროსად, რომლის წინაშეც ეცემიან მეომრები, დროშები, ციხეები, ქალაქები. მაგრამ ომის ექსტაზი, თუ მიზნად სიკეთე და სიმართლე არ იგულვა, გისურ გახელებად, უაზრო სისხლისღვრად იქცევა. ამიტომ ზრუნავს დავითი ხალხზე, ციხეებისა და ქალაქების განახლებაზე, კულტურასა და მშენებლობაზე. ჩრდილოეთიდან გადმოჰყავს ყივჩაღთა ოჯახები, რათა განმტკიცდეს ქვეყნის მხედრული ძლიერება. ამდენად რომანში ერთმანეთს ავსებს და აძლიერებს ომის სული და აღმშენებლობის პათოსი.

როგორც შენიშნავდა ოსვალდ შპენგლერი, მსოფლიოს ისტორია სახელმწიფოთა ისტორიაა, ხოლო სახელმწიფოთა ისტორია – ომების ისტორიაა.

ბუნებრივია, წიგნში მთავარია დავითის პიროვნება, მისი პირადი ცხოვრება, ვნებები, ხასიათი, მისწრაფებანი და შეხედულებანი, ღირსებანი და სისუსტენი.

ავტორი პირველ რიგში გვიჩვენებს დავითს როგორც ადამიანს, რომლის მტკიცე ბუნებაში იკვეთება ის იდეები, რომელთაც მოქმედებითა და ბრძოლით ხორცი შეესხა. ამიტომ წარმოგვიდგება იგი როგორც ქართველი კაცის ნიშან-თვისებათა ეტალონი, მისი სულისკვეთების უმაღლესი გამომხატველი, რომლის პირადი ცხოვრება დათრგუნვილია სახელმწიფოს ინტერესებით.

"დავით აღმაშენებლის" ბოლოსიტყვაში ნათქვამია: "მრავალი ერი, მრავალი ტომი შეეწირა არსებობისათვის უსწორო ბრძოლას. მართალია, ჩვენს ხალხს აბჯარი შემოაცვდა პერმანენტულ ომებში, მაგრამ მისი შეუდრეკელი სული თავგამეტებით იბრძოდა და იბრძვის დღესაც".

ეს წიგნიც ერთი ჩირაღდანია, რომელიც ქართველობას მომავლის ნისლიან გზებს უნათებს.

25. სდანოვშიჩინა

დღის სინათლეზე გამოვიდნენ ყველა ჯურის სიმბოლისტები, იმასინისტები, დეკადენტები, რომლებიც უარჰყოფდნენ ხალხს, რომლებიც ჰქადაგებდნენ თეზისს "ხელოვნება ხელოვნებისათვის", უიდეობას ლიტერატურაში, რომლებიც თავიანთ იდეურ და მორალურ გახრწნილებას ჰფარავდნენ უშინაარსო ლამაზი ფორმისადმი გამოდევნებით.

ანდრეი სდანოვი,

მოხსენება სურნალების "ზვეზდასა" და "ლენინგრადის" შესახებ

კონსტანტინე შკლოვსკისთან პოლემიკას მოგებულად თვლიდა.

ლიტერატურული თვალსაზრისით ეს ასეც იყო, მაგრამ ყველაფერს წყვეტდა ბოლშევიზმის წითელი მანტიით მოსილი რუსული ნაციონალიზმი.

სიმართლე არავის სჭირდებოდა.

კონსტანტინემ მოუხშირა მოსკოვში ვიზიტებს. ჩავიდა 1946 წლის ზაფხულშიც. მას უკვე საკმაოდ კარგად იცნობდნენ რუსი კოლეგები. იბეჭდებოდა საბჭოთა კავშირის მთავარ სურნალ "ნოვი მირში". მოსკოვში ახალი გამოსული იყო მისი

წიგნები. მთელი ფრონტით ილაშქრებდა რუსეთის უპირველესი ლიტერატორის ვიქტორ შკლოვსკის წინააღმდეგ.

წერდა ჭაბუკური შთაგონებით. რუსთავის ახალმშენებლობაც ინახულა და ნარკვევი გამოაქვეყნა. მანამდე კანდიდ ჩარკვიანს ეახლა და შესჩივლა, ეს გიგანტური მშენებლობები რად გვინდა, სად გვყავს ამდენი მუშახელიო. მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელმა არ გაიზიარა ჰუმანიტარის შემფოთება და მწერალი დაჰყვა ხელისუფლების ნებას. თუმცა ინდუსტრიის მოძალეხას კვლავაც ეჭვით უყურებდა, ფიქრობდა, ეს ცუდად იმოქმედებს ერის დემოგრაფიასა და ფსიქიკაზეო, ტრადიციული დარგების განვითარებასა საჭიროო.

სიმონ ჯანაშიასთან ერთად მცხეთას ეწვია, არქეოლოგიური გათხრები დაათვალიერა, კიდევ ერთხელ იხილა მიწიდან ამოსული ძველი საქართველო.

55 წლის მწერალი თავის ასაკთან შედარებით ისევ ახალგაზრდა ჩანდა. აი, ჩემს წინაა ფოტო, რომელშიც იგი ვერმახტის ოფიცერს ჰგავს, აცვია გალიფეს შარვალი და აზიური ჩექმები, სიმონ ჯანაშია უდგას გვერდით, ესაუბრება არქეოლოგებს.

ურედაქტორა ხარიტონ ვარდოშვილის მიერ თარგმნილ გოეთეს ლირიკას. ადრე თავად უნდოდა ეთარგმნა დიდი გერმანელის ლექსები. ხელშეკრულებაც კი ჰქონდა გაფორმებული გამომცემლობასთან, რომელიც 1940 წელს გაუუქმეს.

ავანსად ფულიც აიღო – 3 ათასი მანეთი.

ეს ვალი ამ წიგნის რედაქტორობით დაფარა.

არც ყოველდღიური საზრუნავი აკლდა.

თამარი და ზვიადი სკოლაში დადიოდნენ.

თავად "დავით აღმაშენებელზე" მუშაობას აგრძელებდა.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. უდიდესი ნგრევისა და არნახული სისხლის ღვრის შემდეგ ყოველ დილას სიხარული მოჰქონდა.

მაგრამ საბჭოეთს ახალმა ვაკხანალიამ გადაუარა და ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა.

შვიდტომეული და ოთხტომეული

კონსტანტინეს ნაწერები დაუბრკოლებლად იბეჭდებოდა.

წიგნებს რედაქტორობდნენ ხელისუფლების ნდობით აღჭურვილი პირები.

1946 წელს თბილისში, ათიათასიანი ტირასით გამოიცა "დავით აღმაშენებლის" პირველი წიგნის რუსული თარგმანი, 1947 წელს – "დიდოსტატის მარჯვენისა".

1946 წლის 10 აგვისტოს "ლიტერატურა და ხელოვნება" აცხადებდა, რომ გამოიცემოდა კონსტანტინეს თხზულებათა შვიდტომეული ქართულ ენაზე, ოთხტომეული რუსულ ენაზე.

მართლაც, 1947 წელს გამოვიდა ქართული პირველი ტომი, რომელშიც შევიდა "მთვარის მო-ტაცება".

რომანში ადრე არ იხსენიებოდა ლავრენტი ბერია. ახლა მისი სახელიც გამოჩნდა. ენგურისკენ მიმქროლავი თარაში ფიქრობს, რომ უნდა მივიდეს ბერიასთან და უთხრას, რომ არის მხოლოდ "სტალინის გზა".

ცეკას მითითებით ამოიღეს მამისმკვლელობის ეპიზოდი.

წიგნს რედაქტორობდა სერგო ჭილაია, ცეკას თანამშრომელი.

მეორე ტომში დაიბეჭდა "დიდოსტატის მარჯვენა" და "დავით აღმაშენებლის" პირველი წიგნი (1948 წ.).

რუსულადაც გამოვიდა I და II ტომი, 1947 წელს.

მათშიც იგივე რომანებია შეტანილი.

1946 წლის 31 მაისს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ კონსტანტინეს ნოველების კრებულებს გამოეცათ (იგი წინა წლის 17 აპრილს იყო დამტკიცებული).

რეცენზენტი და რედაქტორი იყო დიმიტრი ბენაშვილი.

წიგნი სწრაფად დაიბეჭდა.

კრებულში თავმოყრილია ის ნოველები, რომელთაც მკითხველი იცნობდა პრესის ფურცლებიდან და წიგნებიდან – "მარცხენა თვალი" და "თვალთა×", სულ 13 ნოველა.

ომი ახალი დამთავრებული იყო. გამარჯვებული ქვეყანა ჭრილობებს იშუშებდა. თითქოს ყველა კომმარი უკან დარჩა. არნახული ომის მოგება, მტრის დამარცხება ყველა მოქალაქეს სიამაყის გრძნობით აღავსებდა, გულში შრომის ჰეროიკას უღვივებდა.

მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

ახალი იდეოლოგიური ომი

სტალინს მოეჩვენა, რომ ინტელიგენცია თვითკმაყოფილებამ შეიპყრო, კამერულ მოტივებს შეეფარა, მოადუნა პოლიტიკური სიფხიზლე.

ალბათ იმიტომ, რომ მწერლებს კარგა ხანია ხელისუფლება აღარ ედავებოდა.

ახალი იდეოლოგიური ლაშქრობის ინიციატორი იყო სდანოვი.

14 აგვისტოს ცეკამ მიიღო მკაცრი დადგენილება ლენინგრადის სურნალების "ზვეზდასა" და "ლენინგრადის" შესახებ (მას მოჰყვა დადგენილებათა მთელი სერია).

ცეკას მდივანი ანდრეი სდანოვი სასტიკი კრიტიკით გამოვიდა ამ საკითხზე.

ცინიზმითა და სიძულვილით იმსჯელა ახმატოვაჯა და ზოშჩენკოზე – თითქოს ქვეყანა იქცეოდა.

ყველა რესპუბლიკა ვალდებული იყო, გამოევლინათ თავიანთი ახმატოვები და ზოშჩენკოები.

საქართველო რაღა გამონაკლისი იქნებოდა.

მაგრამ ინტელიგენციის რეპრესირებას ციხე და კატორღა არ მოჰყოლია.

სტალინს კარგად ახსოვდა ომის წლებში ინტელიგენციის თანადგომა და თავგანწირვა. ამიტომ მხოლოდ გამათრახება, შეზღუდვა და ანათემა აკმარა.

მაშინვე კონსტანტინეს "ნოველებს" ჩაავლეს ხელი. ცეკამ იგი დაიწუნა. გამომცემლობის დირექტორი რასდენ გვეტაძე და წიგნის რედაქტორი დიმიტრი ბენაშვილი კინაღამ პარტიიდან გარიცხეს.

მოსკოვიდან ალექსანდრ ფადეევიც გადმოწვდა უთარგმნელ ნოველებს, ალბათ ქართველი კოლეგების ინფორმაციის საფუძველზე.

"კომუნისტმა" მწერლის კრიტიკას მწვანე შუქი აუნთო – "ნაბიჯი უკან – ძველი პოზიციებისკენ" (1946, №231), რაც ოფიციალური მითითებით მოხდა.

კონსტანტინემ სწრაფად იგრძნო სიტუაციის შეცვლა. ცეკას არ შედავებია, კრიტიკა მართებულად მიიჩნია. თუმცა განმარტა თავისი პოზიცია, გადალლილი ვიყავი და წინასიტყვა ვერ დავწერეო. თანაც ყველა ნოველა ხომ ადრევე იყო დაბეჭდილიო.

ზოგიერთებს აფრთხილებდა, თუ ამინებდა, ბრძოლა კავკასიონს იქეთ არ გადამატანინოთო.

მიუხედავად ამისა, სულ მალე დაიბეჭდა კიდევ ორი მწარე წერილი – გიორგი ჯიბლაძის "ნოველები თუ ანაქრონიზმები" ("მნათობი", 1946, №9-10) და ბესარიონ სლენტის "მავნე წიგნი" ("ლიტ. და ხელ.", 24 ნოემბერი).

მწერალთა მეხუთე ყრილობა

1946 წლის 7-10 სექტემბერს გაიმართა საქართველოს მწერალთა მეხუთე ყრილობა, რომელსაც ჰყავდა ორი მომხსენებელი – სიმონ ჩიქოვანი და პეტრე შარია.

პირველი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, მეორე – ცეკას მდივანი.

9 სექტემბერს კონსტანტინემ წარმოთქვა სიტყვა, თავისი ხმა შეუერთა ახმატოვაჯა და ზომჩენკოს კრიტიკას და ვიქტორ შკლოვსკიც ზედ მიაყოლა.

გამოვიდა სანდრო შანშიაშვილი და კონსტანტინეს ლანძღვას მოჰყვა, "დიდოსტატის მარჯვენა" არ იკმარა და სხვა რომანებსაც გადასწვდა, კონსტანტინემ გარყვნა და გადააგვარა ქართველი მკითხველიო.

მაგრამ ეს არ ყოფილა ყრილობის პათოსის განმსაზღვრელი.

კონსტანტინეს პატივისცემით ეკიდებოდნენ.

სსრკ სახალხო არტისტმა აკაკი ხორავამ იქვე, მოშურნეთა გულის გასახეთქად, უწოდა "დიდი, ბუმბერაზი კონსტანტინე გამსახურდია".

კონსტანტინე არც ყრილობის რეზოლუციაში გაურიტიკებიათ, თუმცა სიმონ ჩიქოვანმა და პეტრე შარიამ არაერთი ნაკლი აღმოუჩინეს.

კონსტანტინემ მაინც მოიწონა თავმჯდომარის მოხსენება.

ისინი ერთი კუთხიდან, აბაშიდან იყვნენ. კონსტანტინე აქებდა და აქეზებდა ახალგაზრდა პოეტს, ურჩევდა ფუტურიზმისაგან ჩამოშორებას. თავად პოეტიც გამოდიოდა უფროსი კოლეგის წიგნების განხილვებზე. მაგრამ მშობლიური პარტია ვის არ აუბნევდა თავგზას. სიმონ ჩიქოვანიც ეპოქის კონიუნქტურას ემორჩილებოდა, იმ ეპოქისა, რომელსაც განადიდებდა ("ქართლის გულში მღერის გორი და სოხუმთან მერხეული") და რომელმაც ბოლოს მაინც შეიწირა იგი.

სიმონ ჩიქოვანი მალე აღმოჩნდა კონსტანტინეს მტერთა ბანაკში, იმიტომ, რომ მის უკან ხელისუფლება იდგა, როგორც რესისორი.

კონსტანტინე სიმონ ჩიქოვანს ბრალად სდებდა, რომ რუსული პრესა მან აუმხედრა.

ყრილობა კუროზულად დამთავრდა – მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები სიმონ ჩიქოვანი და გიორგი ჯიბლაძე გამგეობაშიც აღარ აირჩიეს!

ცხადია, სიმონ ჩიქოვანის მიმართ ეს დიდი უსამართლობა იყო.

ბესო სლენტიც გააშავეს.

გამგეობის პლენუმზე კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მოითხოვა, რომ 35-კაციან სიას კიდევ სამი წევრი დამატებოდა – სიმონ ჩიქოვანი, ბესო სლენტი და გიორგი ჯიბლაძე.

პეტრე შარიამ განმარტა, გამგეობის რიცხვი კენტი უნდა იყოსო და ორი გვარი იკმარა – ჩიქოვანი და სლენტი. ჯიბლაძეს ჩვენთან გადავიყვანთო. შემდეგ კი აიძულა მწერლები, რომ თავმჯდომარედ ისევ სიმონ ჩიქოვანი აერჩიათ.

კონსტანტინე ცხრაკაციანი პრეზიდიუმის წევრი გახდა, რომლის შემადგენლობა ასეთი იყო – სიმონ ჩიქოვანი (თავმჯდომარე), ალექსანდრე გომიაშვილი (მდივანი), ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი

ლეონიძე, ილო მოსაშვილი, გიორგი ნატროშვილი, დავით სულიაშვილი, ლეო ქიაჩელი.

1922 წლის შემდეგ კონსტანტინე პირველად აღმოჩნდა მწერალთა პრეზიდიუმში, რომელსაც ალისფერი დასდებოდა.

ისტერია

საკავშირო დადგენილების "შუქზე" ყველგან მავნებელს ეძებდნენ. დამნაშავე ავტორთა წრე გაფართოვდა. კრიტიკის თვალი მთელს ხელოვნებას გადასწვდა. თურმე მწერლობას რამდენი ნაკლი ჰქონია და ვერავინ ამჩნევდა!

ბესო სლენტი თავს დაესხა კონსტანტინესა და გერონტი ქიქოძეს, გიორგი ნატროშვილი – აკაკი ბელიაშვილს, გიორგი ჯიბლაძე – კონსტანტინეს, გიორგი ლომიძე – სერგო კლდიაშვილს...

შეურისხავი არ დარჩათ ალიო მაშაშვილი, კოლაუ ნადირაძე, იაკინთე ლისაშვილი, ანა კალანდაძე.

არავინ იცოდა ვინ იყო მტყუანი, ვინ – მართალი, ან კრიტიკას რა სასჯელი მოჰყვებოდა.

რამდენიმე თვის წინათ ბესო სლენტი კონსტანტინეს რომანებს "უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს" უწოდებდა. ახლა ამისი გახსენება არ ღირდა.

მოსკოვიდან ცივი ქარი ქროდა...

კრემლის ინტრიგების ექო

კრემლის ინტრიგები ცნობილ პირთა ბიოგრაფიაში ტრაგიკულად ირეკლებოდა, რადგან ყველაფერს წყვეტდა ერთი კაცი.

1946 წელს მალენკოვისა და სდანოვის მეტოქეობა სდანოვის გამარჯვებით დამთავრდა. იგი ომის წლებში გმირი ქალაქის – ლენინგრადის პარტიული ლიდერი იყო. ახლა ბურსუაზიული რეციდივები ამხილა, გამოაფხიზლა ლიტერატურა და ხელოვნება, რასაც სტალინი მოწონებით შეხვდა.

მეტოქეობის საგანი იყო მემკვიდრის სახელო.

მალენკოვს ყოველთვის მხარს უჭერდა ლავრენტი ბერია, მაგრამ იგი უკვე აღარ იყო კომისარი, თუმცა გახდა პოლიტბიუროს წევრი და დარჩა სტალინის მოადგილედ.

მალენკოვს კრემლი დაატოვებინეს და შუა აზიაში გადაიყვანეს.

სდანოვი, როგორც ცეკას მდივანი, პარტიის ხაზით სტალინის მოადგილედ ითვლებოდა და იდეოლოგიასთან ერთად კურირებდა უშიშროებასა და შეიარაღებულ ძალებს.

ბერიაც იყო პოლიტბიუროს წევრი და სტალინის მოადგილე, ოღონდ მთავრობის ხაზით და კურირებდა სუკსა და შინსახკომს. მაგრამ სდანოვს მეტი ნდობა ჰქონდა და მან ბერიას გარეშე ჩაატარა თავისი საშეფო სამინისტროების წმენდა.

საბჭოთა კავშირში მძვინვარებდა სდანოვმჩინა და ახალ 37-ს მოელოდნენ.

მაგრამ 1948 წელს გულის დამბლით გარდაიცვალა სდანოვი და მალენკოვი კრემლში დაბრუნდა. ბერიას პოზიცია კიდევ უფრო განმტკიცდა, ოღონდ მას უკვე ლიტერატურისათვის არ ეცალა: იგი საბჭოთა ატომის შექმნას ხელმძღვანელობდა!

ასე რომ, სდანოვის მიერ აღდგენილი ეჭვისა და უნდობლობის ატმოსფერო არ შეცვლილა, რამაც საბოლოოდ დასცა საბჭოეთის ლიტერატურა.

26. ცეკას ჭანგები

პირი აქვთ დაღირებული ჩემზე,

მაგინებენ და სახეში მცემენ,

ხროვად შეთქმულან ჩემს წინააღმდეგ.

ძველი აღთქმა, წიგნი იობისა

"კოლხური კოშკი"

ვიდრე ახალი იდეოლოგიური შინაომი ატყდებოდა, ვერის განაპირას, ყიზლარის ქუჩაზე, კონსტანტინემ სახლის მშენებლობა წამოიწყო. მას ქალაქის საბჭომ მისცა მიწის ნაკვეთი, რომლის ნაწილი დაუთმო თავის მძღოლს – ავქსენტი წოწორიას.

თავიდან საბურთალოზე გამოუყვეს ადგილი, რომელიც, ალბათ, ეშორა.

მთის ფერდობი, ოღრო-ჩოღრო ადგილი კონსტანტინემ და მისმა ძმისწულმა სვიმონმა პირველად ერთად დაათვალიერეს.

სვიმონს ადგილი არ მოეწონა.

ბიძა არ დაეთანხმა, ალბათ იმიტომ, რომ აქვე, ხუთასიოდე მეტრში, ვერის ძველ სასაფლაოზე დედის სამარე ეგულებოდა.

მშენებლობის პროექტი შეადგინა ინსინერმა ფრიდონ გუჯეჯიანმა. მან ნავარაუდევ კომკსა და ოთხ ოთახს კიდევ ორი ოთახი მიუმატა. ეზოს ქონგურებიანი აგურის კედელი შემოავლო, რომლის ნაწილი შემდეგ დაიქცა.

სახლს, რომელსაც "კოლხური კომკი" უწოდა, გერმანელი ტყვეები აშენებდნენ. მშენებლობა გაჭიანურდა, წლების მანძილზე გაგრძელდა, მაგრამ ძირითადი ნაწილი 1947 წელს დასრულდა, ხოლო კეთილმოწყობა დიდხანს ვერ შეძლო.

ოფიცოზმა გამოუყო მიწა და სახლის აშენების ნება დართო. მაგრამ სიტუაცია როცა შეიცვალა, ეს ფაქტი სანანებლად გაუხდა: კერძო სახლი და ეზო ბოლშევიკების თვალში დამოუკიდებლობის სიმბოლოდ მიიჩნეოდა.

სახლის შენება რომ დაასრულა, თუმცა საცხოვრებლად არ იყო გადასული, დაპატიისა შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი და პავლე ინგოროყვა.

ბუხარში მწვადები შეწვეს. კონსტანტინეს ხელით დაყენებული ღვინოთი ეზო-კარი დალოცეს.

"კოლხურ კომკში" გადასვლამდე ერთი პერიოდი გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრობდა, №21-ში, მეორე სართულზე, რომელიც შემდეგ უფროს ქალიშვილს ნათელას ეკავა, 1950 წელს აქ გადმოცვალა ჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე ბინა და დამატებით ფული აიღო, რათა ოჯახი შეენახა.

"ნოველების" აკრძალვა

1946 წლის 18 ნოემბერს რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ცნობილ მოღვაწეებთან ერთად ადგილი ეკავა ალექსანდრე ჭავჭავაძის საიუბილეო პრეზიდიუმში.

მაგრამ ჯოჯოხეთის მანქანა მუშაობდა.

"ნოველების" წიგნი აკრძალა, ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს და სპეცფონდში მოათავსეს. იგი დატყვევებული იყო 90-იან წლებამდე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევებამდე.

შეწყდა "ნოველების" ხსენება, თითქოსდა არც გამოცემულა. არადა, ყველა ნოველა რამდენიმეჯერ უცვლელად იყო დასტამბული. მაგრამ თბილისს მოსკოვისთვის უნდა ეპატაკა, რომ ურჩი მწერალი სანიმუშოდ დასაჯა.

გამომცემლობამ "ნოველების" ღირებულება ჩამოწერა.

განადგურდა გაუყიდავი 221 ცალი (3.757 მანეთისა).

ეს ინფორმაცია მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს მიაწოდა 1947 წლის 21 იანვარს გამომცემლობის დირექტორმა რასდენ გვეტაპემ.

კონსტანტინემ იგრძნო, რომ საავდრო ღრუბლები შეიკრიბა მის თავზე. შეწყვიტა "დავით აღმაშენებელზე" მუშაობა, მოსწყდა ტომეულებს და 17 თებერვალს მწერალთა კავშირს სთხოვა სამთვლიანი მივლინება კოლხიდმშენში.

წინადადება მოუწონეს და მისცეს რვა ათასი მანეთი (თუმცა ზოგმა ოცი ათასიც მიიღო).

კოლხეთში ერთი თვე დაჰყო, შემდეგ ორი თვე იმუშავა და გამოაქვეყნა ანტიფაშისტური ნოველა "ვერცხლის ბეჭედი" და ნარკვევი "კოლხეთში".

ხელისუფლების კრიტიკა რომ აეცილებინა, ცდილობდა ეაქტიურა:

მწერალთა კავშირს განცხადებით მიმართა, რომ გამოეცათ ქართული პროზის ანთოლოგია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ეს წინადადებაც მოუწონეს.

მაკეტი თავად შეადგინა და რედაქტორებიც დაასახელა: – ძველი მწერლობისა – პავლე ინგოროყვა, XIX საუკუნისა – გერონტი ქიქოძე, XX საუკუნისა – დიმიტრი ბენაშვილი და ალექსანდრე ქუთელია.

ამ წამოწყებას გაგრძელება არ მოჰყოლია, თუმცა პრეზიდენტმა დასტური მისცა.

გერონტი ქიქოძესთან ერთად შეადგინა "დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ქრესტომათია", რომელიც ორ წიგნად გამოიცა.

არც მოსკოვი დაივიწყა:

15 მაისიდან 15 ივლისამდე აკადემიამ მივლინება მისცა, რათა საბჭოეთის დედაქალაქში ემუშავა, "დავითისათვის" ახალი მასალები შეესწავლა.

დრამატული პლენუმი

მთელი წელი მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი არ მოწვეულა.

ამ უჩვეულო ფაქტზე კონსტანტინეც წუხდა.

ეტყობა, სიმონ ჩიქოვანი, რომელიც ყრილობამ გააშავა, ერიდებოდა სხდომის მოწვევას.

ბოლოს, როგორც იქნა, პლენუმი გაიმართა.

ეს იყო 1947 წლის 5-7 სექტემბერს.

სიმონ ჩიქოვანი ამჯერად უფრო კრიტიკულად შეეხო კონსტანტინეს პროზას. იგი ყოფილი ფუტურისტი იყო, მოდერნისტებსა და დეკადენტებს ადრეც ებრძოდა. ახლა თავად ხელისუფლებამ გამოაცხადა ჯვაროსნული ლაშქრობა რეალიზმიდან გადახრის გამო. ეს სიმონ ჩიქოვანის მრწამსს ემთხვეოდა.

პოეტი აცხადებდა, ფაშიზმი დამარცხდა, მაგრამ მისი ნამსხვრევები მწერლობაში მიმოიფანტა და დროულად უნდა გამოვამკარავოთო. როგორც პარტია მიგვითითებს, დასავლეთისადმი მონურ მორჩილებას ბოლო უნდა მოეღოსო.

სამწუხაროდ, სიმონ ჩიქოვანი, ეს დიდი პოეტი და ერუდიტი, მაშინ კონსტანტინეს მტრულად ექცეოდა. იგი ხელისუფლების დავალებას ასრულებდა, მაგრამ ასრულებდა დიდი გადაჭარბებით, ერთგვარი შთაგონებითაც კი, რაც მის ბიოგრაფიას ნამდვილად არ ამშვენებს.

ბესო სლენტმაც ცხარედ ილაპარაკა, ფადეევი დაიცვა, თუმცა ქართველი კრიტიკოსის დასაცავი რა სჭირდა მწერლების გენერალურ მდივანს.

კონსტანტინე გაფიცხდა, რამდენიმეჯერ სიტყვა გააწყვეტინა ორატორს და მას პროვოკატორი უწოდა.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა, რომელიც დაწერილი ჰქონდა, რაც ნაკლებად სჩვეოდა.

სიმონ ჩიქოვანის მოხსენება დაიწუნა. კითხულობდა და თან პაპიროსს ეწეოდა. ეს პეტრე შარიას ეხამუშა და შენიშვნა მისცა.

კონსტანტინეს სიტყვა გააწყვეტინეს, რეგლამენტი ამოიწურაო. მაშინ დროის დამატება მოითხოვა, თუ არ გინდათ, სულ არ ვილაპარაკებო.

სიტყვა ნახევარი საათით გაუგრძელეს.

კონსტანტინემ უარყო სიმონ ჩიქოვანის თეზა – ქართული პროზა მოისუსტებსო. მას არა აქვს ცნობები წიგნის პალატიდან, ბიბლიოთეკებიდან, გამომცემლობებიდან და ეს დასკვნა როგორ გააკეთაო.

შემდეგ აღნიშნა, განათლება მასებში შეიჭრა, რაც არაა დასავლეთშიო.

გამოსვლა მეტისმეტად მწვავე გამოდგა.

გაკრიტიკა მოსკოვის მწერალთა კავშირი, მოსკოვის გამომცემლობა, იქ ყურადღება არ ექცევა ეროვნულ ლიტერატურას, აქედან აწვდიან ცნობებს და იმას იმეორებენო. იქ ვიღაც კანცელარიის ვირთხა ზისო.

არც ფადეევი დაინდო. ადრე სხვაგვარად მელაპარაკებოდა, ასე ქედმაღლურად როგორ მომმართავსო.

ქართული თეატრი და კინო ერთი მესამედიტაც არაა ქართულიო.

თეატრი ეროვნულ დრამატურგიას არ ემყარებაო. ლიტფონდი ცუდად მუშაობსო.

ზოგიერთებმა სდანიოვის მოხსენება წაიფარეს შუბლზე, მწერლის პიროვნება არაა დაცული, ფუტურისტები და რაპელები ისევ გამოცოცხლდნენო. პოეტების ტირასი უნდა შემცირდესო, წიგნი ჯერ მცირე ტირასით გამოიცეს, როგორც დასავლეთში არის მიღებულიო.

"ნოველების" დაბეჭდვა არასწორად მიიჩნია. მაგრამ ეს ხომ უკვე დაბეჭდილი ნაწერების ხელახალი გამოცემა იყოო.

რსფსრ-ს თავისი მწერალთა კავშირი უნდა ჰქონდესო.

შემდეგ ქართული მწერლობის თავისთავადობას გაუსვა ხაზი. ეს ტრადიციები ჩვენ უნდა გავაგრძელოთო, საბჭოთა ლიტერატურა კი არა, უნდა ვთქვათ საბჭოური ლიტერატურებო. გაიხსენა 1801 წელი, "ებრაელი კრიტიკოსი" შკლოვსკი, რომ ჩიქოვანმა მიაწოდა მოსკოვს ყალბი ინფორმაცია მისი ნოველების გამო (სიმონი ადრევე კარგად იცნობდა შკლოვსკის).

ბოლოს მსაჯულად მკითხველი და დრო გამოაცხადა, და არა ცეკა, როგორც იყო მიღებული.

კონსტანტინეს სიტყვას დიდი გამოხმაურება მოჰყვა – ეტყობა, ყველა გაკრიტიკებულმა პირმა და ორგანიზაციამ ცეკაში თუ ჩეკაში უჩივლა. ან იქნებ სულაც ელოდნენ მწერლის მძაფრ გამოსვლას, როგორც 1926 წლის თებერვალში.

ასეთ მომენტს ხელიდან ვინ გაუშვებდა.

ცეკას მდივანმა პეტრე შარიაშვილმა, რომელიც მფარველობდა კონსტანტინეს, ამჯერად მცდარად მიიჩნია მისი გამოსვლა, არც დასავლეთის ხშირი ხსენება მოუწონა.

შერისხვა

სასწრაფოდ მოიწვიეს პრეზიდიუმის სხდომა.

იგი 10 სექტემბერს გაიმართა.

მანამდე მწერალთა კავშირმა მიიღო კონსტანტინეს განცხადება – სულ ვცდილობ შეცდომების გამოსწორებას, მაგრამ "იმ დასაწვავ ნოველებს"

გადამაყოლესო. კოლხიდმშენში წავედი, ნარკვევი და ნოველა "ვერცხლის ბეჭედი" დავწერე, მაინც დეკადენტობას მწამებენო.

მე ვცდილობ გავამართლო ბერიას, ჩარკვიანის და შარის ნდობაო.

ფადეევმა ფაშისტ სელინს შემადარა და ამიტომ დავკარგე წონასწორობაო. გამოსვლა მე თავად არ მომწონსო.

ეს იყო სასოწარკვეთილი კაცის წერილი, რომელსაც სასტიკი განაჩენის მოლოდინი ჰქონდა.

ბოლშევიკებს ვინ რას დაუშლიდა.

პრეზიდენტზე სიმონ ჩიქოვანმა დაიცვა ფადეევი. კონსტანტინეს სიტყვა ჩრდილს აყენებს საბჭოთა კულტურასო. უნდა ვთქვათ "საბჭოთა ლიტერატურა" და არა "საბჭოური ლიტერატურები", როგორც გამსახურდია გვთავაზობსო.

კონსტანტინეს გამოსვლა დაგმეს ალ. გომიაშვილმა, გ. ნატროშვილმა, დ. სულიაშვილმა, ირ. აბაშიძემ, ი. მოსაშვილმა, ლ. ქიაჩელმა, ცეკას წარმომადგენელმა გ. ჯიბლაძემ.

კონსტანტინეს სიტყვა პოლიტიკურ გამოსვლად შეფასდა. ნოველებს "ნაციისტური კონცეფცია" აქვსო, შკლოვსკის ებრაელი როგორ უწოდაო. მთელ კულტურას ხაზი გადაუსვაო, პარტიის წინააღმდეგ გამოვიდაო, ფადეევი მართალი იყოო.

თავად კონსტანტინემ აღიარა, რომ იდეოლოგიური შეცდომა დაუშვა, მაგრამ აღელვების მიზეზად ფადეევის სიტყვა მიიჩნია, "ბანდიტ სელინს" როგორ შემადარაო, ეს დიდი შეურაცხყოფააო.

სიტყვას ვიძლევი, პატიოსნად ვიმუშაებო.

"მე ვცხოვრობ გარასების რკალით შემორტყმულ ბინაში. მე ვწვები ღამის ოთხნახევარ საათზე. ამის გამო ძალიან ნერვებაშლილი ვარ", განაცხადა მწერალმა.

დასასრულ პრეზიდენტიდან გამოყვანა ითხოვა.

თხოვნა ყურად არ იღეს. იგი თვეების მანძილზე რჩებოდა პრეზიდენტის წევრად და სხდომებს ესწრებოდა.

გაგულისებულმა კონსტანტინემ სიმონ ჩიქოვანის "სიმღერა დავით გურამიშვილზე" მიწასთან გაასწორა. წერილი არ დაბეჭდილა.

პრეზიდიუმიდან გამოყვანა

სიტუაციას სხვაგვარი მომზადება სჭირდებოდა, რათა კონსტანტინე პრეზიდიუმიდან გაეძევებინათ.

28 მარტს შალვა რადიანმა გაზეთ "ლიტერატურასა და ხელოვნებაში" "მთვარის მოტაცებაზე" რეცენზია დაბეჭდა, ერთობ უფერული სტატია. ეტყობა, გაკრიტიკება დაავალეს. მაგრამ დავალება ვერ შეასრულა, რაპკული სისასტიკე ვერ გამოიჩინა. ამიტომ არენაზე ისევ მწერალი გამოიხმეს. იცოდნენ, იგი სადავო საკითხებს წამოჭრიდა და ოფიციალური უფრო ეფექტურად იმოქმედებდა.

ასეც მოხდა.

1948 წლის 4 აპრილს "ლიტერატურასა და ხელოვნებაში" დაბეჭდა შკლოვსკისადმი საპასუხო მეორე წერილი – "ავტორის რეპლიკები", რომლის დასტამბვას თვეების მანძილზე რედაქცია თავს არიდებდა.

სიმონ ჩიქოვანმა, სტალინური პრემიის ახალმა ლაურეატმა, არ დააყოვნა და 22 აპრილს, მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, ვრცლად განიხილა კონსტანტინეს შემოქმედება, ისტორიული პროზა, მინიმუმამდე დაიყვანა მისი მნიშვნელობა.

გაკრიტიკა "დავით აღმაშენებლის" მეორე წიგნი. ავტორს ისტორიული მასალა ჭარბად შემოაქვსო, ქრონიკები გადმოუწერიაო, არც ხალხი ჩანს, არც ქართული კულტურაო.

"ავტორის რეპლიკები" ხელზე დაიხვია, ცალკეული ლაფსუსები გულმოდგინედ აღნუსხა.

"მთვარის მოტაცება" მწერლის საუკეთესო წიგნად მიიჩნია, მაგრამ არც ეს რომანი დაინდო, იდეოლოგიურად მიუღებლად სცნო. მამისმკვლელობა გაუმართლებელიაო, ეს ჯერ კიდევ 1936 წელს შევნიშნეო.

თარაშს ავტორის ორეული უწოდა, გააკრიტიკა მისი სწრაფვა წარმართული სამყაროსკენ. ავტორს არ მოუწონა, რომ პერსონასთა მეტი წილი რევოლუციის მტერია. მისტიური ხილვები გაკილა, ცხოველთა სახით ადამიანების სიმბოლიზება მტრულ ჩანაფიქრად მონათლა.

სინანული გამოთქვა, რომ მწერალმა "დიდი პოეტური ენერგია" დაახარჯა ისეთ წიგნს, როგორცაა "მთვარის მოტაცება"...

თვითონ არ სთქვა, არც არავინ შეახსენა, რომ სამიოდე წლის წინათ კონსტანტინეს რეკომენდაცია მისცა სტალინური პრემიის მისაღებად და ყველა მისი რომანის განხილვაზე საქებაარ სიტყვას ამბობდა!

კომუნისტ სიმონ ჩიქოვანის არსებაში თითქოს ისევ აღმდგარიყო მებრძოლი ფუტუ-რისტი, რომელსაც სძულდა მთვარე, მუზეუმი და წარსულის რომანტიკა.

პლენუმს ესწრებოდა სსრკ მწერალთა კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე ნიკოლაი ტიხონოვი.

ცხადია, კონსტანტინე მას არ გამორჩენია და აღნიშნა, გამსახურდიას პოზიცია ჩვენი ეპოქისათვის უცხოაო.

მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ალექსანდრე გომიაშვილმა წინადადება შემოიტანა, რადგან კონსტანტინე გამსახურდია არ ესწრება სხდომებს, რადგან მისი თვალსაზრისი ხშირად არ შეესაბამება 1946 წლის 14 აგვისტოს ისტორიულ დადგენილებას, გამოყვანილ იქნეს პრეზიდიუმის შემადგენლობიდანო.

გიორგი ჯიბლაძემ მიუთითა, კონსტანტინე ისევ ძველ აზრებს იმეორებსო.

ლეო ქიაჩელმა ხელები დაიბანა – კონსტანტინე ხომ თავად ითხოვდა პრეზიდიუმიდან გამოყვანასო.

მწერალმა პლენუმს მოახსენა, რომ სიტყვა შეგნებულად არ აიღო.

ილაპარაკა თავაზიანად, კოლეგიალურად.

გაიხსენა სიმონ ჩიქოვანთან ურთიერთობა, რომელსაც პატივს სცემდა. მაგრამ იგი გაურბოდა დიალოგს, დროზე არ ატყობინებდა სხდომის თარიღს, ყველაფერზე კი, კიო, ეუბნებოდა, მაგრამ არაფერს უკეთებდა, მის წინადადებებს არ ლებულობდა.

იქ, სადაც უპატივცემლოდ მექცევიათ, ყოფნა მეც არ მინდაო, დასძინა ბოლოს.

კონსტანტინე ერთხმად გამოიყვანეს პრეზიდიუმიდან.

როცა თავად ითხოვა განთავისუფლება, ყური არ უგდეს. ახლა შკლოვსკის გაკრიტიკების გამო, რომელსაც სწორი პასუხი გასცა, შავი დღე აყარეს.

ეს ფაქტი დაამთხვიეს "მნათობში" "დავითის" მეორე წიგნის ბეჭდვის დასრულებას (1948, №3), რათა მისი წამოწევის პრეტენზია არ ჰქონოდა.

"ბელადზე" კრინტი არ დაძრულა. ამ რომანს ტაბუ ედო.

"ფაშისტური ორგანიზაციის" წევრი

რა იყო შერისხვის ნამდვილი მიზეზი?

თურმე შინსახკომს "აღმოეჩინა" კიდევ ერთი იატაკქვეშა ფაშისტური ორგანიზაცია, რომლის ყველაზე აქტიურ წევრად კონსტანტინე მიაჩნდათ.

პატიმრების ლევან გოთუასა და გიორგი გოზალიშვილის ჩვენებით, თუ საქართველო დამოუკიდებლობას მიაღწევდა, კონსტანტინე საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა ყოფილიყო!

როგორც ავქსენტი რაფავა აღნიშნავს თავის ჩვენებაში 1954 წლის 26 მაისს, მან და კანდიდ ჩარკვიანმა გაგრაში მიაკითხეს სტალინს და ითხოვეს კონსტანტინეს დაპატიმრების სანქცია! ბელადმა ნება არ დართო, მაგრამ მოხუცს გუნება როდის შეეცვლებოდა, ვინ უწყოდა. ამიტომ დღედღეზე მოელოდნენ კონსტანტინეს დაპატიმრებას.

კონსტანტინეს საქციელს ერთხმად ჰგმობდნენ და ჰკილავდნენ კოლეგები. მაგრამ ყველა ისე იქცეოდა, თითქოს მართლაც ლიტერატურულ საკითხებზე ედავებოდნენ. შინსახკომს ხელთ არ ჰქონდა დაპატიმრების სანქცია.

ტომეულების გამოცემის შეწყვეტა

წიგნის გამოცემას დიდი დრო სჭირდება. მაშინ კიდევ უფრო ძნელი იყო, 40-იან წლებში. ხელისუფლება სწრაფად ვერ აკრძალავდა თავის მიერვე აღიარებულ რომანებს. საჭირო იყო მიზეზი, რათა ტომეულების გამოცემა შეეწყვიტა.

ეს მიზეზიც გამოჩნდა.

ხელისუფლებას საბუთები უხვად ჰქონდა – კონსტანტინეს ერთხმად აკრიტიკებდნენ სსრკ მწერალთა კავშირის გენერალური მდივანი ალექსანდრ ფადეევი, მოადგილე ნიკოლაი ტიხონოვი, საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი პეტრე შარია, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი, "მნათობი", "კომუნისტი", "ლიტერატურა და ხელოვნება", მოსკოვური პრესა.

მხარს არავინ უჭერდა, არავინ იცავდა, ე. ი. კრიტიკა თითქოს სამართლიანი ჩანდა. მაგნე და მიუღებელი რომანები რატომ უნდა გამოსცენო, – იფიქრებდა დაბნეული მკითხველი. თანაც – მწერლის საუკეთესო წიგნები – "მთვარის მოტაცება", "დიდოსტატის მარჯვენა", "დავითის" პირველი კარი, უკვე იყო ტომეულებში შესული. დანარჩენი ცეკას არც სჭირდებოდა: მათი დაბეჭდვა ახალ გაუგებრობას აღძრავდა.

ჩიქოვანისა და ჯიბლამის კრიტიკას მხარი აუბა "კომუნისტმა" – დაიბეჭდა ანონიმური "ავტორის რეპლიკები თუ განდიდების მანია?"

ეს უდიერი კრიტიკა "ლიტერატურასა და ხელოვნებას" გადმოაბეჭდინეს.

ძველი ბრალდებანი გაუხსენეს – "დავით აღმაშენებელში" ხალხი არ ჩანსო, ეს წიგნი გადმოწერილია სამეცნიერო გამოკვლევებიდანო, შკლოვსკი ძირითადად მართალიაო.

გამომცემლობის დირექტორმა ნიკო კიკნაძემ თათბირზე განაცხადა, "მთვარის მოტაცება" "Литературная газета"-მ გააკრიტიკა და როგორ მოვიქცეთო.

ასე რომ, ცეკამ კონსტანტინეს ჯერ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი დაატოვებინა, შემდეგ – ქართული და რუსული ტომეულების გამოცემა შეუწყვიტა.

სტამბამ ანაწყობი ჩაშალა.

ეს ის დრო იყო, როცა სასტიკად აკრიტიკებდნენ კორნელი კეკელიძეს, შალვა ნუცუბიძეს, არნოლდ ჩიქობავას, გერონტი ქიქოძეს, გიორგი ჩუბინაშვილს, ივანე ბერიტაშვილს, გიორგი ლეონიძეს, ქართული კულტურის სხვა კორიფეებს.

ბესო სლენტმა და შალვა რადიანმა იმდენი ამაგეს კონსტანტინე, რომ ძველ ბრალდებათა აღორძინების სურვილი ნაკლებად ჰქონდათ. ზოგი ამ ლაშქრობაში მონაწილეობაზე უარს აცხადებდა (აკაკი გაწერელია, დიმიტრი ბენაშვილი). რაპელი

მოიერიშეები ამქვეყნად აღარ იყვნენ, სამაგიეროდ გამოჩნდნენ ახალი კრიტიკოსები – სიმონ ჩიქოვანი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ჯიბლაძე.

თავის გამოჩენის სურვილით იწვოდა ახალგაზრდა გიორგი ჯიბლაძე, რომელიც ხელმოუწერელ წერილებსაც ათავსებდა "კომუნისტში", არ კმაყოფილდებოდა პლენუმებზე კონსტანტინეს უკეთური ხსენებითა და პასკვილების ბეჭდვით. ხოლო მოგვიანებით "ჩემს უსაყვარლეს მწერალს" უწოდებდა, თავის მიერ ათვალწუნებულ "დავით აღმაშენებელს" – ქართული მწერლობის "ერთ უდიდეს ძეგლს", რომელიც საუკუნეებს გადაწვდებაო...

სიტუაცია რომ განემუხტა, 1948 წლის ივლისის მიწურულს ისევ მოსკოვში გაემგზავრა. წასვლის წინ თავის კარის მეზობელს, ავდიდ ჩარკვიანს, ჯანსუღ ჩარკვიანის მამას, წერილი გადასცა – ჩემო ავდიდ! მივდივარ ძაღლების ქვეყანაში. გთხოვ ცოტაოდენი თუთუნი მომცეო.

თუთუნი მოიმარაგა, წიგნები აიღო, ჩაჯდა მატარებელში და ჩრდილოეთის გაუთავებელ გზას გაუყვა. 2 აგვისტოს სიძეს, ამილო ახოზამეს ატყობინებდა, აქ კარგი საქმეები გავაკეთეო. უნივერსალი გაცლილია, წინდაც კი არ იშოვებაო. "პობედის" ხუთი საბურავი იყიდა კამერიანად. ნოემ-ბრისათვის "პობედას" დამპირდნენ, საბურავები დამჭირდებაო.

ავქსენტი მანქანას გაუფრთხილდესო.

თითქოს გადაევილო მორიგ ჭექა-ქუხილს, ისე ხალისიანად წერდა.

მაგრამ კონსტანტინეს კრიტიკა და შეზღუდვა სტალინის მიერ იყო სანქცირებული, როგორც შენიშნავდა ზვიად გამსახურდია, და ბერიას თანადგომა არ კმაროდა.

1948 წლის ზაფხულში, გაგრაში, პარტორგანიზაციის კრებაზე ბელადმა განაცხადა, გამსახურდია უნდა ავლაგმოთო. მაგრამ ბერია გააფრთხილა, ოღონდ არა თქვენებურადო.

საქართველოს ხელისუფლება, სუკი და მისი აგენტურა ასრულებდნენ ბელადის ბრძნულ მითითებებს, თუმცა ისე იქცეოდნენ, თითქოს თავიანთ აზრს გამოხატავდნენ.

კონსტანტინეს ამბიციები რომ დათრგუნეს, შემდეგ მიეფერნენ – გულში ცუდი არაფერი გაივლო. კი არ გდევნით, შეცდომებზე თვალი აგახილეთ, თორემ შენი ტალანტისა როგორ არა გვჯერაო.

8 სექტემბერს ალ. გომიაშვილის (და არა სიმონ ჩიქოვანის) სახელზე განცხადება დაწერა, რუსთავში მივლინება ითხოვა, წიგნს ვწერ რუსთავზე, 5 ათასი მანეთი მომეცითო.

10 სექტემბერს ალექსი გომიაშვილმა მწერლის თხოვნა დააკმაყოფილა.

მწერალთა გაზეთის ოქტომბერ-დეკემბრის ნომრებში დაბეჭდა რამდენიმე თავი "დავითის" მესამე წიგნიდან – "დაუბრუნე ირმები ტყეებს", "წერილი იერუსალიმიდან", აგრეთვე – ესსეები.

პრეზიდიუმის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა, ჯერ გამომცემლობა "Заря востока"-ს მუშაობაზე, შემდეგ – საბავშვო მწერლობაზე.

ნეკროლოგებზე ისევ აწერდა ხელს. მაგრამ აღარ მონაწილეობდა საიუბილეო საღამოებში, მაგ., ალექსანდრე ყაზბეგისა, სადაც ადრე სიტყვით გამოსვლა დაავალეს.

1949 წლის 27 თებერვალს პრეზიდიუმზე განაცხადა, მუშათა კლასზე უნდა ვწეროთო.

ბოლშევიკებისათვის ეს საინტერესო სიმპტომი იყო.

მოსკოვის მუქარა

თბილისში რომ ვითარება დაშოშმინდა, მოსკოვმა შემოუტია: "Советский Писатель"-მა საჩივარი გამოგზავნა, ავტორმა "დავით აღმაშენებლის" მეორე წიგნი დროზე ვერ ჩაგვაბარა, ფული კი 5 ათასი მანეთი 1944 წელს აიღო, ფული უნდა დაგვიბრუნოსო.

ეს მოხდა სსრკ მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის პოლიკარპოვის მოთხოვნით.

კონსტანტინე იძულებული გახდა ავანსი დაებრუნებინა.

შემდეგ "Дружба Народов" სავსებით არამეგობრულად თავს დაესხა (1949, №4).

აღმფოთებულმა კონსტანტინემ მწერალთა კავშირს განცხადებით მიმართა.

სანამ პასუხს გასცემდნენ, სურნალმა "Знамя"-მ კიდევ ერთხელ გამოილაშქრა (1949, №10). რეცენზიის ავტორი იყო ა. ტარასენკოვი.

ტარასენკოვს "დავითის" პირველი წიგნი არ მოსწონებოდა.

მწერალთა კავშირში უკვე იყო განხილული "დავითის" მესამე წიგნი და იგი იბეჭდებოდა "მნათობის" ფურცლებზე.

ამიტომ სასწრაფოდ მოსკოვი ჩაერია საქმეში – როგორმე უნდა შეეფერხებინათ რომანის ბეჭდვა.

1950 წლის 5 იანვარს ტარასენკოვის წერილის გამოც მიმართა მწერალთა კავშირს.

შემდეგ სტილისტმა ა. ფოკინმა, სავსებით უსაფუძვლოდ, აიკლო სასამართლო და მწერალთა კავშირი, კონსტანტინემ ფული უნდა გადამიხადოსო.

კონსტანტინე "ბელადის" დაწერით ბერიას კლანჭებს გადაურჩა, მაგრამ სტალინს ჩაუვარდა ხელთ. სტალინს თავისი ბავშვობის აღწერა აღიზიანებდა და ამიტომ საკავშირო სარბიელზე არ უშვებდა.

რუსებს არ ექაშნიკათ, რომ მწერალმა განადიდა XII საუკუნის დიდი მოღვაწე, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ფუძემდებელი. ეს მაშინ, როცა პეტრე პირველი XVIII საუკუნეში მეფობდა.

"დავით აღმაშენებელი" ალექსეი ტოლსტოის "პეტრე პირველის" ალტერნატივად აღიქმებოდა.

რუსები განადიდებდნენ დიმიტრი დონელსა და ივანე მრისხანეს, სუვოროვსა და კუტუზოვს.

ქართველებს სამაგალითოდ კონდოტიერი გიორგი სააკაძე დაგვიტოვეს.

რუსი ლიტერატორები სწუხდნენ, "დავით აღმაშენებელში" რუსები არა სჩანანო. თუნდაც ასე ყოფილიყო, რა შავდებოდა. მაგრამ სულაც არ აინტერესებდათ, ჰქონდა თუ არა კონტაქტი მაშინდელ საქართველოს რუსეთთან – თურმე მწერალს ეს მაინც უნდა ეჩვენებინა, შეექმნა უძველესი ერთიანობის ილუზია, რომ ქართველი ისტორიულად რუსის ხელის შემყურე იყო.

მაგრამ XII საუკუნეში მხოლოდ კიევის რუსეთი არსებობდა.

მოსკვა რეჩკას ნაპირებზე ჯერ უსიერი ტყეები შრიალებდნენ.

საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის დითირამბი რუსეთის გეგმაში არ შედიოდა. მათ თავისთავადი, დამოუკიდებელი საქართველო ვერ წარმოედგინათ, რომელსაც რუსეთის გავლენა არ განეცადა, რუსეთზე დიდი ხნით ადრე რომ შექმნა კულტურა და სახელმწიფო.

ცხადია, ეს ფაქტი იყო და ვერ უარყოფდნენ, მაგრამ ხსენებას ერიდებოდნენ, თითქოს ვრცელ, ძლევამოსილ რუსეთს ჩრდილი ადგებოდა.

უნდოდათ, "ბელადის" მსგავსად, არც ეს წიგნი დაესრულებინა, ან მწერალს დაეთრგუნა ნაციონალური სული და რუსული თვალთახედვით ეაზროვნა.

ასე, კინოფილმ "გიორგი სააკაძეში", მარტყოფის ბრძოლის სცენაში, რუსული ჰანგები ჩართეს, სპარსელებს ეგონებათ, ქართველებს რუსები შველიან და შეეშინდებათო, თითქოსდა რუსის ხსენებაც კმაროდა, რათა ქართველს გაემარჯვა!

ძველ ბრალდებებს ახალიც ემატებოდა – ისტორიაში ემიგრირება, არქაული, გაუგებარი ენით მეტყველება, რაც თითქოს მასებს არ ესმოდათ.

კონსტანტინესათვის გული რომ ეტკინათ, გაავრცელეს თეორია, ქართული პროზა მოისუსტებოსო, თითქოს რომანი-შედევერი ყოველწლიურად იქმნებოდეს.

აკრიტიკებდა ანა ანტონოვსკაია, ვისაც კონსტანტინემ თავისი ბინა დაუთმო, რათა მას ხელი არ შეშლოდა "დიდ მოურავზე" მუშაობაში; აკრიტიკებდა ვიქტორ გოლცევი, ვინც ქართულ კულტურას კურიერებად მოსკოვში, "Дружба Народов"-ის რედაქტორი;

აკრიტიკებდა სერგეი პეტროვი, "საბჭოთა ისტორიული რომანის" ავტორი.

არც ქართველები აკლებდნენ ხელს და "Литературная Газета"-ში გიორგი ლომიძე და გია მარგველაშვილი თავიანთ ახალგაზრდულ ხმებს უერთებდნენ კონსტანტინეს დევნის კამპანიას. ჰაინრიხ ჰაინეს წიგნის წინასიტყვა დაწერა – დაუწუნეს, ჰაინე არ სცოდნიაო.

ერთი სიტყვით, ყველა მხრიდან მოუჭრეს გზა.

ერთწლიანი რეაბილიტაცია

საბჭოთა კავშირი სტაბილური ქვეყანა იყო, მსოფლიო ომში გაიმარჯვა, აღმოსავლეთი ევროპა გააწითლა, ატომი შექმნა, მაგრამ კულტურის ფრონტზე სიტუაცია ელვისებურად იცვლებოდა.

გუშინ რომ ნაციონალიზმს ებრძოდნენ, დღეს კოსმოპოლიტებს დასცხეს, ევროპოცენტრიზმი გააკრიტიკეს, რაც ძირითადად ებრაელთა წინააღმდეგ აღმოჩნდა მიმართული.

სტალინს არ უყვარდა ებრაელები. როგორც ცნობილია, ლენინური გვარდიის ბირთვი ებრაელებისაგან შედგებოდა. ებრაელი იყო ლენინის დედა და თვით ლენინიც მშვენივრად ლაპარაკობდა იდიშზე.

ებრაელები იყვნენ რევოლუციის ბელადები – ტროცკი (ბრონშტეინი), ზინოვიევი (რადომილსკი), კამენევი (როზენფელდი).

შემდეგ ებრაელებმა სტალინის ირგვლივ შეკრეს წრე – ებრაელები იყვნენ სტალინის რძალი, სიძე, პოლიტბიუროს წევრები – კაგანოვიჩი, შვერნიკი, ვოზნესენსკი და სხვ.

ებრაელი იყო ვიქტორ შკლოვსკი და კოსმოპოლიტების კრიტიკის ჯოხი მასაც დასცხეს.

კოსმოპოლიტების კრიტიკა ნაციონალისტების ნაწილობრივ რეაბილიტაციას ნიშნავდა. სტალინმა თქვა დიდი რუსი ერის სადღეგრძელო და ამით ბოლო უნდა მოღებოდა სხვა ერებისადმი მიბაძვაჯა და მორჩილებას. მარქსიზმის სამშობლო – გერმანია განადგურებული იყო. სხვა ქვეყნები, კაპიტალისტური ქვეყნები, ბოლშევიკებს ისედაც სძულდათ. რუსი ხალხი – "უფროსი ძმა" სანიმუშო უნდა ყოფილიყო მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, მთელი მსოფლიოსათვის.

საქართველოს კომპარტიის XIV ყრილობაზე 1949 წლის 25 იანვარს კანდიდ ჩარკვიანი ისევ თვალსაჩინო ნაწარმოებად მიიჩნევა "დავით აღმაშენებელს".

ყრილობაზე სიმონ ჩიქოვანმა ეს რომანი ვეღარ გააკრიტიკა, რადგან ცეკას პირველმა მდივანმა ქებით მოიხსენია. თავად ვერ მოიწონებდა – გუშინ რომ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ეს ყველამ იცოდა. ამიტომ მხოლოდ დაასახელა.

29 მარტს, მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, კონსტანტინე ძველებური სიფიციხით გამოვიდა. იგი კარგად გრძნობდა, რომ დევნის პერიოდი

დასრულდა, შკლოვსკი გაიხსენა. კიდევ ერთხელ გააკრიტიკა და უწოდა "დიდი რაბინი".

ადრე ებრაელად რომ მოიხსენია, ამის გამო ლამის სული ამოხადეს, ახლა რაბინობაზეც გაჩუმდნენ. მორიელი რომ უწოდა – არც ეს გაუკვირდათ.

ისაუბრა სანრობრივ და პიროვნულ ეგოცენტრიზმზე. არც თავისი თანამოკალმენი დაინდო. მამია დუდუჩავას დაემუქრა, ყურებს აგახევო. შემდეგ განაცხადა, "ბელადი" უნდა დავასრულო, თუმცა იქნებ არც იყოს "ჩვენი დიდი, საყვარელი ბელადის" შესაფერიო (ახლოვდებოდა სტალინის იუბილეს).

ახალი ვალდებულებაც აიღო – "ჩვენი საამაყო გიგანტის რუსთავის" შესახებ რომანი უნდა დავწერო.

ამ რომანს უნდა რქმეოდა "რუსთაველი მჭედელი".

კონსტანტინეს სასარგებლოდ კანდიდ ჩარკვიანმა ახალი თეორია წამოაყენა – დღეს მთავარი პროზაა და ამ სანრის განვითარებას ხელი უნდა შევუწყოთ.

სიმონ ჩიქოვანს ამჯერად არაფერი უთქვამს, ისე მოქმედებდა, როგორც ცეკა კარნახობდა, ხოლო დემნა შენგელაიამ დადებითად შეფასა "დავით აღმაშენებელი".

მწერალი გულდაწყვეტით აცხადებდა, "კედრინას, შკლოვსკის და მათ მიმყოლთ სწადიათ ორი ათასწლიანი ტრადიციის მატარებელი ქართული მწერლობა "ობლასტნაია ლიტერატურად" აქციონ. თუ ყველა ქართველ მწერალში ვინმეს მიმბაძველი მწერალი არ დაინახეს, უკვე აქვთ ეპითეტი "ნაციონალიზმიო".

კოსმოპოლიტიზმის კრიტიკის ნიშნით მოხდა ნაციონალურ გრძნობათა რეაბილიტაცია. ისევ გაიხსენეს თურქეთის მიერ მიტაცებული (ანუ ბოლშევიკების მიერ ჩაბარებული) მიწებიც, რომელთა დაბრუნებას მოითხოვდა აკად. სიმონ ჯანაშია. მაშინ ამ საკითხზე შეწყდა მსჯელობა. ახლა ისევ გაისდინთა პრესა ანტითურქული სულისკვეთებით. იწერებოდა ლექსები საინგილოზე, ლორე-ტაშირზე, ოშკსა და ბანაზე.

ომის შემდეგ საქართველოს გადმოეცა ქლუხორის რაიონი.

თითქოს ქვეყანა იბრუნებდა დაკარგულ ტერიტორიებს.

1944 წელს გაასახლეს ე. წ. თურქი მესხები.

გრძელდებოდა მცირემიწიანი ქართული ოჯახების ჩასახლება მესხეთში, აფხაზეთში, კახეთში.

რეპრესიებისა და კომუნისტური პროპაგანდის პარალელურად ლავრენტი ბერია ცდილობდა შელახული ნაციონალური ღირსების აღდგენას.

"დავით აღმაშენებელი" ისევ გახდა საჭირო, როგორც ანტითურქული რომანი. თუ ომის დროს ამ წიგნის ჰეროიკა, პატრიოტული და გმირული სული მკითხველს გამარჯვებისთვის განაწყობდა, იგი დღეს ხალხს ეუბნებოდა, რომ საუკუნეთა მანძილზე თურქული საფრთხე ვერ იქნა აცილებული და ქართული სახელმწიფოს უძველესი პროვინციები ისევ ოსმალთა ხელში იყო.

როგორც XII საუკუნეში დავით აღმაშენებელს, ისე XX საუკუნეში იოსებ სტალინს უნდა ებრძოლა თურქული ბნელეთის დასამხობად და სამშობლოს მთლიანობა აღედგინა!

კონსტანტინე პოლიტიკურ წერილებსაც აქვეყნებდა, მხარს უბამდა ანტითურქულ პროპაგანდას. ასე დაიწერა "ჯონ ბული, იანკი და სტამბოლელი ავადმყოფი", რომელიც მწერალთა გაზეთმა 1949 წლის 27 მარტს დაბეჭდა.

1949 წელს, 1950 წლის გაზაფხულზე "ლიტერატურა და ხელოვნება" აგრძელებდა 1948 წლიდან დაწყებულ "დავითის" მესამე წიგნის პუბლიკაციას ("დამასკური ხმალი", "შავი ობობა" და სხვ.).

"დავით აღმაშენებლის" მესამე წიგნის აკრძალვა

მოსკოვი არ თვლემდა და, როგორც ითქვა, ცენტრალურმა პრესამ კონსტანტინეს ისევ გაჰკრა კბილი.

სტალინის დაბადების 70 წლისთავი დიდი ზარზემით აღინიშნა, დაიწერა უთვალავი ლექსი, გამოიცა მრავალი წიგნი, ბელადი მზეს და მთვარეს გაუტოლეს, კიდევ ერთხელ გააღმერთეს. მაგრამ კონსტანტინეს "ბელადი" არავინ გაიხსენა და არც არავინ გამოსცა. არც მეორე და მესამე წიგნების დაწერა უთხოვია ვინმეს.

საიუბილეო დღეებში კონსტანტინეს სახელი არ ჩანს პრესის ფურცლებზე.

"ლიტერატურა და ხელოვნება" დროდადრო შენიშვნებს აქვეყნებდა მწერლის ენაზე, არასწორად მიიჩნევდა ცალკეულ ტერმინებს (კ. ნაჭყებია), სიტყვათა მნიშვნელობას (დ. შენგელაია).

თურმე ეს მორიგი თავდასხმის სიგნალები ყოფილა.

1950 წლის 27 აპრილს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე სიმონ ჩიქოვანი თავშეკავებით ახსენებდა "დავით აღმაშენებელს".

კონსტანტინე მოდერნისტულ-დეკადენტური მოტივებისაგან ვერ განთავისუფლდა, რეალიზმი ვერ აითვისაო.

შემდეგ პასუხი გასცა გოლცევსა და ტარასენკოვს, მათი ბრალდებებისაგან დაიცვა მწერალი, თუმცა ისიც თქვა, მათი დიდი ნაწილი სწორიაო. რომანი ჯერ არაა დამთავრებული და ჯვარის დასმა ნაადრევიაო. მაშინ – რუსეთ-საქართველოს შეხების წერტილები არ ჰქონდათო. რომანს ხალხურობა აკლია, მაგრამ მესამე წიგნში გამოასწორებსო. ავტორს უნდა დავეხმაროთ, ხელი შევუწყოთ, რათა საოცარი არქაულობა წიგნს მოსცილდესო.

რომანი უნდა გადამუშავდეს და ხელახლა გამოიცესო.

გადამუშავებას დრო სჭირდებოდა.

ასეთი "თანადგომა" და "დახმარება" შემპარავი ხერხი იყო, მწერლის აზროვნების წინააღმდეგ მიმართული.

მრავალფეხა ხელისუფლება აქტიურად ერეოდა "დავით აღმაშენებლის" წერის პროცესში, ლამის თანაავტორი გამხდარიყო.

სჩანს, შინსახკომმა და ცეკამ შეიმუშავეს ახალი თვალსაზრისი კონსტანტინეს პროზაზე და ეს გადმოიცა გაზეთ "კომუნისტში" დაბეჭდილ ანონიმურ წერილში – "ქართული სალიტერატურო ენის დამახინჯების წინააღმდეგ" (1950, 28 მაისი).

არსებითად ეს იყო 1942 წელს, I წიგნის განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების მკაცრი ფორმით განმეორება.

კონსტანტინეს ქართული ენის რეფორმატორად მოაქვს თავი, ნამდვილად კი ენას უკან ეწევა, საფრთხეს უქმნის ენის განვითარებასო. სადად არ წერს და

ხელოვნური სინტაქსით, არქაული სიტყვებით ანაგვიანებს მეტყველებასო. წიგნს ლექსიკონის დართვა რად უნდაო.

დროა საზღვარი დაედოს კონსტანტინეს ჯირითს პრესის ფურცლებზეო, მითითებას იძლეოდა "კომუნისტი", ე. ი. ნუ დაბეჭდავთო.

"კომუნისტის" პირით თავად ხელისუფლება მეტყველებდა.

ამიტომ იგი სასწრაფოდ გადაბეჭდა "ლიტერატურა და ხელოვნებამ".

თუ "დავით აღმაშენებელი" გაუგებარი ენით იყო დაწერილი, მასებზე მზრუნველ ხელისუფლებას რატომ უნდა გამოეცა იგი, მით უმეტეს არ უნდა დაეთმო გაზეთის ფურცლები.

დაივიწყეს, რომ მწერალი ცუდად იცნობდა ისტორიას, რომ ქრონიკები გადმოიწერა, რომ რუს-ქართველთა ურთიერთობა მიჩქმალა, რომ ქართული კულტურა ვერ წარმოაჩინა, რომ დავითის სახე ფერმკრთალია...

თურმე კონსტანტინე ვერ ფლობს ქართულს, წერს ცუდი, ხელოვნური ენით!

საზოგადოებას უნდა ეფიქრა, რომ მესამე წიგნი მართლაც საჭიროებდა გადამუშავებას და გამოცემა ნაადრევი იყო.

სიმონ ჩიქოვანი და "კომუნისტი" ლიტერატურულ გამართლებას უძებნიდნენ ვანდალურ ფაქტს – "სახელგამის" მიერ გამოცემული მესამე წიგნი რომ დაჭრეს და დაწვეს.

განადგურდა მთელი ტირასი – 10 ათასი ცალი.

რედაქტორი იყო სერგი ჭილაია – ცეკას ლიტერატურისა და ხელოვნების სექტორის გამგე.

მაგრამ ხელი არ ახლეს მეორე წიგნის ავტორიზებულ რუსულ თარგმანს, რომელიც 1949 წელს 15-ათასიანი ტირასით გამოსცა "Заря Востока"-მ.

ალბათ იმიტომ, რომ აპრობირებული და სათანადოდ შესწორებული იყო.

შეშფოთებულმა მწერალმა სტალინს წერილი მისწერა, აუხსნა თავისი ენობრივი პოზიცია.

ტექსტი უკარნახა თავის ძმისწულს – სვიმონ გამსახურდიას.

ცხადია, პასუხი არ მოსვლია.

თურმე, სტალინის განრისხების მიზეზი ის იყო, რომ მიხეილ ჭიაურელს ეთქვა ბელადისათვის, კონსტანტინე იძახის, სტალინმა პოლიტიკას მიხედოს, მწერლობის საქმეში ნუ ერევაო!

1956 წლის სექტემბერში მწერალთა ერთ-ერთ სხდომაზე ამბობდა, გაუგებარი იყო "ამოდენა იმპერიის პრემიერ-მინისტრი" როგორ იცლიდა, რომ ჩემთვის თავში ჩაეკრაო.

იძულებული გახდა, მესამე წიგნი განზე გადაედო და საჯაროდ ეთქვა, კრიტიკას ვღებულობ, გამოქვეყნებულ თავებს გადავამუშავებ, მეტყველებას გავამარტივებო.

ცეკას მიზანი მიღწეული იყო – "დავით აღმაშენებლის" მესამე წიგნის გამოცემის დრომ საგრძნობლად გადაიწია.

იგი მკითხველმა მიიღო მხოლოდ 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, თუმცა 1950 წლის გაზაფხულზე დასრულებული ჰქონდა.

მაშინ "დავით აღმაშენებელი" ტრილოგია იყო, მესამე წიგნით მთავრდებოდა. ამიტომ იყო თავდასხმის ობიექტი.

გამოქვეყნებულ ახალ თავებს უწოდა მესამე წიგნის პირველი ნაწილი.

მაგრამ რომანის მოცულობა იზრდებოდა და იგი ტეტრალოგიად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკა წერდა, "ეს წლები ტრილოგიებით და ტეტრალოგიებით გატაცების პერიოდიაო".

მარტოობა

ისევ ეწვია მარტოობის ნაღველი.

განუწყვეტელი კრიტიკა, დევნა და შევიწროება მძიმედ მოქმედებდა ოჯახურ ატმოსფეროზეც, არა მხოლოდ მწერლის განწყობილებაზე.

თუ ერთხანს ცდილობდა ხელისუფლების თანადგომას, ახლა მის გულში სიძულვილი ღვიოდა.

სიტუაცია ყოველწლიურად უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა.

სტალინური პრემია კი არა, ბეჭდვის უფლება ჰქონდა მოსაპოვებელი.

ზვიადი ხედავდა მამის უსასოო მდგომარეობას, როგორ უსამართლოდ ეპყრობოდნენ მას პარტიული ლიდერები და კოლეგები და ბავშვის არსებაში ყალიბდებოდა სიძულვილი ბოლშევიზმისადმი.

მძლოლი ავექსენტი დაფრთხა, ვისთვისაც თავისი ეზოს გვერდით მიწა გამოაყოფინა, რაღაც უბედურებას გადავეყრებო და თავს უშველა, მიატოვა თავისი კეთილისმყოფელი.

კონსტანტინემ ახალი მძლოლი აიყვანა – სომეხი სურენა, რომელიც გიორგი ერისთავის პერსონას მიკირტუმ გასპარიჩივით ლაპარაკობდა.

შემდეგ სომეხი ქართველმა შეცვალა.

ბოლოს კი, როცა საფრთხემ გაიარა, ავექსენტი დაიბრუნა.

ხელისუფლების მიერ შერისხულ კონსტანტინესთან სიახლოვეს და მეგობრობას თავს არიდებდნენ.

1951 წელს რესპუბლიკის სუკში უჩივლეს, "ვილისით" ძაღლები დაჰყავს და შეგვაწუხაო. თურმე კონსტანტინეს "ვილისში" მწერლის ერთი ნათესავი ძაღლებს სვამდა და მათი წკაფწკავი მეზობლებს ძილს უფრთხობდა...

როცა "გიორგი რუსის" ("უბედური რუსი") გამო შალვა დადიანი გააკრიტიკეს, ადგა და დაიცვა უფროსი კოლეგა.

შეწუხებულმა შალვამ განზე გაიყვანა კონსტანტინე. შენი ჭირიმე, თავი დამანებე, შენი ქება ჩემი ძაგებააო!

იძულებული იყო მარტობას შეგუებოდა, თავის კომპში ჩაკეტილს განდევნილივით ეცხოვრა და მოვლენათა ცვალებადობას დალოდებოდა.

მაგრამ ზოგჯერ ნაღველს უკუიყრიდა და თავად ჩაერთვოდა ცხოვრების ფერხულში.

იაკინთე ლისაშვილის ვაჯას, ოთარს, ცოლი მოჰყავდა.

იაკინთე ეხმარებოდა კონსტანტინეს, როცა გამომცემლობის დირექტორი იყო, სათარგმნ მასალას აძლევდა და მწერალიც კეთილად იყო მისდამი განწყობილი.

გაიშალა დიდი სუფრა, მაგრამ კონსტანტინე არ დაჰატისეს.

მაშინ კონსტანტინე და მირანდა თავად მივიდნენ ენგელსის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობდა იაკინთე, მიიტანეს დიდი ტორტი.

შეღვინიანებული ხალხი აღტაცებით შეხვდა მათ გამოჩენას.

მირანდამ იცეკვა, კონსტანტინემ იმღერა, თქვა სიყვარულისა და ძმობის სადღეგრძელოები.

არავის ემდუროდა, არც ჭმუნვას იმჩნევდა.

... რას ფიქრობდა იგი, დევნილი და შერისხული, როცა ადიოდა თავის კოშკში და ღამეულ ქალაქს გასცქეროდა. იქნებ დანტეს იგონებდა ან რუსთაველს, რომლებიც კაცთა უმადურობამ მშობლიური მიწიდან შორს გადახვეწა. ეგებ ძველ ოსტატებს იხსენებდა, ლუკმაპური რომ ენატრებოდათ, თანამგრძნობი და ხმის გამცემი, ან უმწეო თანამოკალმეებს, ბოლშევიკებმა რომ წამებით ამოხადეს სული...

27. მრავალსახოვანი იანუსი

ჩვენ კომუნიზმის ვაგებთ ნიადაგს...

ალიო მირცხულავა

"უსამშობლო კოსმოპოლიტი"

ცოცხალ მოღვაწეებს სიცოცხლეს უმწარებდნენ ბოლშევიკები. მაგრამ არც მიცვალებულებს ასვენებდნენ. 1951 წელს ნიკო მარი სასტიკად გააკრიტიკეს.

როგორც ჩანს, სტალინი დიდხანს ფიქრობდა ენის საკითხებზე.

შეიძლება ეს ინტერესი კონსტანტინეს ენობრივმა პოზიციამ აღუძრა, და უარყო კიდევ.

მაგრამ თავისი შეხედულება ბელადმა ოფიციალურად მხოლოდ აკად. ნიკო მარის მიმართ გამოთქვა.

ნიკო მარი უდიდეს ლინგვისტად და ფილოლოგად იყო მიჩნეული, მაგრამ მისი კონცეფციები დრომ არ გაამართლა. მარს მრავალი გამოჩენილი მოწაფე ჰყავდა და ისინი თავიანთი მასწავლებლის "ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას" მარქსისტულ თვალსაზრისს უწოდებდნენ.

მათ მართლაც დიქტატურა დაამყარეს ენათმეცნიერების სფეროში.

სტალინის კრიტიკა, მისი ანტიმარქსისტული წერილები მართებული იყო, მაგრამ ახალ პერსპექტივას არ სახავდა.

ენათმეცნიერების საკითხებში მას კონსულტაციებს უწევდა არნოლდ ჩიქობავა.

კონსტანტინეს სტილიზებული ენის საკავშირო მასშტაბით დაგმოზა გაუგებარი იქნებოდა. ხოლო მარი რუსულად წერდა, იყო თეორეტიკოსი, კოლეგების მიერ დიდად დაფასებული.

მისი ურიცხვი ნაშრომი კრიტიკისათვის უხვ მასალას იძლეოდა.

მთელს საბჭოთა კავშირში დაიწყო ენობრივი ვაკხანალია.

ნიკო მარის ზოგადთეორიული კონცეფციების დაგმობით რუსებმა მარჯვედ ისარგებლეს – თავიდან მოიცილეს საქართველოდან წამოსული და საბჭოთა ლინგვისტიკის ლიდერად აღიარებული მეცნიერი.

მარის ლინგვისტიკასთან ერთად მისი ქართველოლოგიური შრომებიც დამარხეს.

კონსტანტინემ მხარი დაუჭირა მარის კრიტიკას, სიტყვით გამოვიდა არნოლდ ჩიქობავას მოხსენების განხილვაზე, რომელიც აკადემიაში გაიმართა, თუმცა ამ დიდი მეცნიერის დამსახურებას აღიარებდა. ხოლო მწერალთა კავშირში "უსამშობლო კოსმოპოლიტი" უწოდა, რო-მელსაც "ხშირად ავიწყდებოდა გურიაში გამომცხვარი ნაცრიანი გლეხური პურის გემო".

ვაჟა-ფშაველას ანათემა

ბელადი არ ისვენებდა. კონსტანტინესა და მარის კრიტიკის შემდეგ ვაჟა-ფშაველას დაადგა თვალი. გერონტი ქიქოძის ორი, რადიკალურად განსხვავებული წერილი ახსენა და თქვა, მე მგონია ქიქოძე მართალი ადრე იყო, როცა ვაჟა ჩამორჩენილ კაცად მიაჩნდაო.

ბელადმა ესტაფეტა კანდიდ ჩარკვიანს გადასცა.

ვაჟას ენა ქართული მოვლენა იყო, ისევე როგორც კონსტანტინესი. ამიტომ კრიტიკაც საქართველოთი უნდა ყოფილიყო შემოფარგლული, მაგრამ სხვებისთვისაც მოესინჯათ კბილი.

1951 წლის 10 იანვარს თბილისის XX პარტკონფერენციაზე კანდიდ ჩარკვიანმა მიუღებლად სცნო ვაჟას ენა და მსოფლმხედველობა, ილიასა და აკაკის მიერ შექმნილ სალიტერატურო ენას ეწინააღმდეგებო.

კონსტანტინე, გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანიც გააკრიტიკა.

შემდეგ ცეკამ დააარსა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი კომისია, რომლის პრინციპები გადმოსცა აკად. ვარლამ თოფურიამ.

მწერლობა ენობრივადაც უნდა შეეზღუდათ. ინდივიდუალიზმი აქაც აიკრძალა.

კონსტანტინე პროტესტს აცხადებდა, მწერლობას ხუნდები დაადესო.

სიმონ ჩიქოვანის ფიასკო

თითქოს კონსტანტინე ისევ ჯვარზე უნდა ეცვათ. მით უმეტეს, რომ პარტია კრძალავდა ილიასა და აკაკის ენობრივი ნორმებიდან გადახრას.

მწერალი ხომ ყოველთვის აცხადებდა, ილიას ენობრივ კონცეფციას არ ვიზიარებო.

მართლაც, სერგი ჭილაიამ დაგმო "ფუტურისტების, სიმბოლისტების და გამსახურდიას სარგონი" ("ლიტ. და ხელ.", 1951, 21 იანვარი).

სასწრაფოდ, 22-23 თებერვალს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი მოიწვიეს.

მომხსენებელი სიმონ ჩიქოვანი, როგორც ყოველთვის, ჩარკვიანს დაეთანხმა – ვაჟას არც ენა უვარგოდა და არც მსოფლმხედველობაო. ილიასა და აკაკის როლი წამოსწია, რომლებიც ებრძოდნენ როგორც ანტონ პირველის არქაისტულ სტილს, ისე ვაჟას ფშავ-ხევსურულ დიალექტს.

თავისი თავიც გააკრიტიკა, არც გალაკტიონი და გრიშაშვილი გამორჩა.

დემნა შენგელაიამ კონსტანტინეს ძველი ლექსიკა უსარგებლოდ მიიჩნია.

აკაკი გაწერელიამ კონსტანტინეს სტილი, როგორც კლასიკიდან, ისე თანამედროვე სალიტერატურო ენიდან გადახვევად ჩათვალა.

შალვა რადიანი კონსტანტინეს არ გამოდავებია.

მაგრამ მოხდა საოცრება და თბილისის ქალაქკომის მდივანმა გიორგი ჯიბლაძემ კრიტიკის ქარცეცხლი თავს დაატეხა არა კონსტანტინეს, არამედ – სიმონ ჩიქოვანს!

სიმონ ჩიქოვანი სიჭაბუკეში ქართველ ავანგარდისტთა ლიდერი იყო და ენის სფეროში ყველაზე მეტად სცოდავდა.

კონსტანტინემ ფრთხილად და თვითკრიტიკულად იმსჯელა, 30-იან წლებში მოვითხოვდი დაგვეხია გიორგი მერჩულისკენო. კანდიდი მართალია როგორც არქაიზმის, ისე ევროპული ბარბარიზმების საკითხშიო. ჩემი ენობრივი პოზიცია მცდარიყო. მაგრამ გაიხსენა ფრანსი, ბალზაკი, ჯოისი, რომლებმაც ძველი ლექსიკა, ძველი ენა აღადგინეს. ხოლო ჯოისმა უჩვეულო ენობრივი ჰიბრიდიც შექმნა.

ნიკო მარი გააკრიტიკა, თუმცა მისი ღვაწლიც აღიარა.

მე ადრევე მოვითხოვდი, შეგვესწორებინა დიალექტებზე მეტყველი მწერლების ენაო.

პლენუმზე სიმონ ჩიქოვანმა მოინანია შეცდომები და პირობა დადო, რომ გამოსწორდებოდა.

მანამდე კი სიმონი გაანთავისუფლეს. ძველი დამსახურება ქარს გააყოლეს. თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი ლეონიძე. ალბათ ცეკა გრძნობდა, ასეთი კამპანიის დროს უხერხული იქნებოდა თავმჯდომარედ ანუ მისაბამ მაგალითად სიმონ ჩიქოვანის დატოვება.

პლენუმის შემდეგ გიორგი ლეონიძემ ჩარკვიანის იდეა განავრცო, პროზა უნდა განვითარდეს, პროზას ხელი შევეუწყოთო, ეგ ხომ ლიტერატურის მთავარი საწარმოა. არ უხსენებია, რომ კონსტანტინე არქაული და სტილიზებული ენით წერდა.

კონსტანტინეს აუხსნეს, რომ მესამე წიგნი უნდა გადაემუშავებინა, საამისოდ დრო მისცეს და ამიტომ კრიტიკისაგან თავი შეიკავეს.

სჩანს, ასეთი იყო სტალინის მითითება, რომელიც გაცნობილი იქნებოდა კონსტანტინეს წერილს.

კრიტიკის მახვილს ვერც იოსებ გრიშაშვილი გადაურჩა, სტალინის მეხოტბე და ახალი თბილისის მომღერალი: იგი სასტიკად გააკრიტიკა გიორგი ნატროშვილმა.

კონსტანტინემ ისარგებლა მისდამი დუმილის პერიოდით და ნარკვევი გამოაქვეყნა – "სამგორის ველზე" ("ლიტ. და ხელ.", 1 და 23 აპრილი).

საერთოდ, როცა კრიტიკული სამი დაუდგებოდა, იღებდა მივლინებას და სასწრაფოდ წერდა ნარკვევს აღმშენებლობით პროცესებზე.

ცეკა მწერლის უეცარი ფერისცვალებით კმაყოფილი რჩებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზეპირ გამოსვლებში, პუბლიცისტურ წერილებში ხელისუფლების თვალსაზრისს იზიარებდა, შემოქმედებით პრაქტიკაში ჯიუტი, პრინციპული და თანმიმდევრული იყო.

ენობრივი ციტადელი

როგორც ათასი წლის წინათ იოანე ზოსიმე, ისე წერდა კონსტანტინე ქებას "დიდებულისა ქართულისა ენისაჲს". ქართულ ასონიშნებს შეტრფოდა, ზოგი შრომის იარაღს აგონებდა, ზოგი – ბრძოლისას, ზოგი კიდევ – "მესოპოტამიიდან ომითა და ზათქით წამოსული" ცხენოსანი ერის ცხენის ნალს. ქართული სიტყვა, "ეს უფსკრული თვალშეუდგამი", აზავთებული ზღვის დარად მიაქანებდა.

ხოლო ღამეები მიჰქროდნენ, როგორც ნაბდით დაჭედული ბედაურები.

ენის სპეციფიკას ქმნის სიტყვათწარმოქმნის, სიტყვათწარმოთქმის, ბრუნების, უღლებისა და წინადადების წევრთა შეთანხმების წესები, რომელთა ფორმირება მოხდა სტიქიურად, საუკუნეთა ბნელ წიაღში, ათასწლეულთა მიღმა, ტოტემისა და ტაბუს ეპოქაში. მათ ვერ არღვევს ლექსიკური შემოტევა, სხვა ენობრივი კოლექტივის სიახლოვე ან გავლენა. ხოლო თუ დაირღვა – ენა კვდება. მაგრამ ჯერ ნადგურდება ერი, ენის შემოქმედი. სხვა ტომებთან აღრევის შედეგად ყალიბდება ახალი სისხლის ხალხი, რომელიც მეტყველებს განსხვავებული ენით.

ძველბერძნულ და ლათინურ ენებზე შეიქმნა უდიდესი კულტურა. მაგრამ მოკვდნენ იმიტომ, რომ ამ ენებზე მეტყველნი დამარცხდნენ და აღირივნენ სხვა ტომებთან.

ახალმა სინთეზმა შვა ენის ახალი მოდელი.

"ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას" – წერდა რუსეთის გენერალი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

მან კარგად იცოდა, რომ საქართველოს ერთგულებას სასჯელი მოსდევდა, ღალატსა და კომპრომისს – ჯილდო.

ერეკლე მეორის შთამომავალმა სასჯელს ჯილდო არჩია!

"რა ენა წარხდეს, ერიც დაეცეს", – ამასაც გრიგოლი ბრძანებდა და ეს ფრაზა ძალიან მოეწონათ კომუნისტებს. მათ ენა დააყენეს ერზე მაღლა, თუმცა თავიდან არც ერები ეპიტნავებოდათ და არც ნაციონალური ენები. მაგრამ არც ერთ ქვეყანაში ენა ერზე უწინ არ გადაშენებულა. ერის დაცემა, სხვა ტომებში ათქვეფა იწვევს ენის მოსპობას ან რადიკალურ შეცვლას.

ასე მოხდა არა მხოლოდ ელადასა და რომში, არამედ – მესოპოტამიაში, მცირე აზიაში, ეგვიპტეში, ისრაელში, სლავურ სამყაროში, მეზობელ ალბანეთში...

"ენა დედაა ერისა", – აბსურდს ქადაგებს ჩვენი ტელევიზია: ენა არ ქმნის ხალხს, ერს, ქვეყანას, პირიქით – ენის შემოქმედი არის ხალხი. სტალინის განმარტებითაც ენა არის ერის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი.

კონსტანტინე ხედავდა, რომ დაპყრობილ ქვეყანას დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრივი ფუნქცია. ამიტომ ქართული სიტყვა, ამ ენაზე შექმნილი კულტურა, მითოსური და ისტორიული სახეებით შემოსალტული და

ამეტყველებული, უნდა ქცეულიყო ციტადელად, რომელიც შეკრავდა და გააერთიანებდა უღმერთო სამს ქართველ ხალხს, საქართველოს კუთხეებს. ენაში მოქცეული ნაციონალური ცნობიერება თუ გადაარჩენდა სამშობლოს სოციალიზმის სახელით გარუსებისაგან.

ამიტომაც აქცევდა ესოდენ დიდ ყურადღებას ენის მისტერიას, სიწმინდესა და სღერადობას, ლექსიკურ სიმდიდრეს, დიალექტებს, ძველქართულ მეტყველებას, საერთაშორისო სიტყვებს, სიტყვათწარმოქმნასა და სიტყვათწყობას, ექსპრესიასა და ასონიშანთა მოხაზულობას.

მაგრამ ბოლშევიკებს არ ეძინათ და კონსტანტინესაგან მოითხოვდნენ ამ ციტადელის დანგრევას, ოფიციალური ენისადმი მორჩილებას, რომლის გაგება მათ იოლად შეეძლოთ.

ამიტომ ებრძოდნენ "დავით აღმაშენებლის" ნაციონალურ-პოლიტიკურ კონცეფციასა და ენობრივ მოდელს.

"რუსთაველი მჭედელი"

დევნისათვის რომ თავი დაეღწია, კარგა ხანს იმეორებდა, ვწერ ახალ რომანს, რომელსაც ჰქვია "რუსთაველი მჭედელი". იმეორებდა, მაგრამ პრაქტიკულად მაინც "დავითზე" მუშაობდა, წერდა ესეებს, "ცოდნის" ხაზით კითხულობდა ლექციებს გოგოლის შემოქმედებაზე თბილისსა და რაიონებში, განხილვებსა და თათბირებს არ აკლდებოდა. მაგრამ საიუბილეო საღამოებზე პრეზიდენტში აღარ უხმობდნენ, არც ნეკროლოგებზე აწერინებდნენ ხელს, წიგნებს არ უცემდნენ: ხელისუფლება მწერლისაგან საქმით მოითხოვდა თანადგომას. ამიტომ თავი მიახებდა "დავითზე" მუშაობას და მივლინება ითხოვა:

"საქართველოს საბჭოთა მწერლების გამგეობის თავმჯდომარეს

ამხანაგ გიორგი ლეონიძეს

კარგა ხანია ვწერ რომანს "რუსთაველი მჭედელი". გთხოვთ მომცეთ ორი თვის მივლინება რუსთავში.

პატივისცემით

კონსტანტინე გამსახურდია

თბილისი, 1951, 26. III"

მეორე დღესვე, 27 მარტს, შესაშური ოპერატიულობით, მწერალთა კავშირმა რუსთავეში მიავლინა მწერალი, არა ორი, არამედ – სამი თვით.

დღეში ეძლეოდა ასი მანეთი.

ხელისუფლებას დიდად გაეხარდა, რომ თანამედროვეობას დაუბრუნდა და დავით აღმაშენებელი დაივიწყა. ეგებ "ბელადის" მსგავსად აღარც ეს წიგნი დაასრულოს, თვითონაც დაისვენებს და ჩვენც გვეშვე-ლებაო.

მაგრამ "რუსთაველი მჭედელის" წერა არც დაუწყია, ეს ისე, დამცავ ქოლგად სჭირდებოდა.

მან ახალ თემას ჩაავლო ხელი.

"ვაზის ყვავილობის" დასაწყისი

რამდენიმე თვის შემდეგ, 1951 წლის "ლიტერატურა და ხელოვნების" 15 და 29 ივლისის, 5 აგვისტოს ნომრებში გამოჩნდა ახალი რომანის "ვაზის ყვავილობის" პირველი თავი, შემდეგ პროლოგად წოდებული – "ბერმუხა".

იგი ასახავდა სოფელ ბერმუხის ლავრენტი ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სინამდვილეს.

2 ოქტომბერს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ აქტივთან ერთად მოეწყო "ვაზის ყვავილობის" კითხვა-განხილვა. შემდეგ დისკუტი მომდევნო წლის მეორე კვარტლისათვის გადაიტანეს. მაგრამ ძველებური ენერგიით წერა ვეღარ გააგრძელა და რომანი ელვისებური შტურმით ვერ დაამთავრა. მაინც ეგონა, რომ ახალ წიგნს მომავალ, 1952 წელს გამოაქვეყნებდა "მნათობის" ფურცლებზე.

ამიტომ შეიტანა იგი "საბჭოთა მწერალმა" 1952 წლის საგამომცემლო გეგმაში.

დადიოდა კახეთის რაიონებში, ეცნობოდა ადგილობრივ მოსახლეობას. ხელისუფლება მხარს უჭერდა მწერლის ჩანაფიქრს. განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდა თელავის რაიკომის მდივანი, რომლის გვარიც ერთ კეთილ პერსონასს დაანათლა (ნიკო მირიანაშვილი).

თელავის რაიონის სოფელ ლალისყურში საგანგებოდ ვენახი გამოუყვეს, რომელსაც თავად უვლიდა.

არც მწერალთა პლენუმებს აკლდებოდა. აქაც სიტყვით გამოდიოდა, ლაპარაკობდა მწვავედ, დაურიდებელი ტონით: მოითხოვა გაზეთი მთლიანად მწერლებს გადმოსცემოდა, ბათუმისა და ქუთაისის ფილიალები გაუქმებულიყო, ან ავტორიტეტული მწერლები გაეგზავნათ იქ, განეხილათ "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", რომელსაც სცემდა აკადემია არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით (თვითონ დაბეჭდა რეცენზია), შეეზღუდათ დიქტატორი რესისორები. არ გაიზიარა პანტელეიმონ ბერაძის ჰიპოთეზა, თითქოს ძველბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის რიტმი ქართული ყოფილიყო.

ასეთი აქტივობა დაუფასეს და ეს მოუცლელი, გადატვირთული კაცი 23 ოქტომბერს წყნეთის საგარაკო კომისიის წევრად შეიყვანეს!..

ნოემბრიდან "მნათობი" ბეჭდავდა "ვაზის ყვავილობას".

"მნათობს" ირაკლი აბაშიძე რედაქტორობდა. იგი დაყვავებითა და მოფერებით, ხან ხუმრობით აიძულებდა მწერალს ტექსტში ცვლილებები შეეტანა. მაგრამ შოთა ძიძიგურს, რომელიც ჟურნალის სტილისტი იყო, არაფერს უთმობდა.

შიძლეს ვაზის კულტურამ იმიტომ დააინტერესა, რომ იმსამად "კოლხური კოშკის" ეზოში ვენახი გააშენა. ვაზს თავს ევლებოდა. ეუბნებოდნენ, ამდენი წვალეების ფასად ერთ რომანს დაწერდიო. მაგრამ კონსტანტინე სავარსამიძე, დავით აღმაშენებელი ხომ ოცნებობდნენ "პატარა ვენახის" გაშენებაზე, ახლა ამ ნაოცნებარს თავად ასრულებდა, შემდეგ მას განავრცობდა და სხვა გარემოში გადაჰქონდა. ვახტანგ კორინთელის დარად ისე გაიტაცა ვაზმა, რომ დიღმის საცდელ მეურნეობას ეწვია და სპეციალისტები მოიყვანა.

იდეურად "ვაზის ყვავილობა" ამთავრებდა დიონისური რიტუალების ტრანსფორმაციას მწერლის აზროვნებაში, თანამედროვე რომანების რკალს.

ეს იყო ისტორიიდან უკუქცევა და "დაბრუნება მიწასთან".

ასე რომ, ეს რომანი შემთხვევით არ დაწერილა.

ლიტრიანი დოქები

"ვაზის ყვავილობის" ბეჭდვა რომ დაიწყო, ოფიციალურმა ისევ კეთილი თვალით შეხედა, შეუქმნა მუშაობის პირობები, გულითადობის ატმოსფერო.

წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა მიხეილ ციხისთავმა გოგოლის იუბილეზე მიიწვია მწერალი და ლექციის წაკითხვა სთხოვა.

აღმასკომის თავმჯდომარე იყო დავით ნატროშვილი – გიორგი ნატროშვილის უმცროსი ძმა.

კონსტანტინემ იახლა "ლიტერატურა და ხელოვნების" რედაქტორი და "ვილისით" წავიდნენ წითელწყაროში.

ლექციამ დიდი ინტერესი აღძრა.

ბანკეტი ციხისთავის ოჯახში გაიმართა.

მიხეილმა სუფრის ყველა წევრს ლიტრიანი დოქით დაუდგა ღვინო, ეს მამა-პაპური ტრადიციაო და თამადა რომ სიტყვას იტყვის, ყველამ თავისი დოქიდან უნდა მოსვასო.

სუფრაზე კონსტანტინესა და გიორგის გარდა ფხიზელი არავინ დარჩენილა. თურმე სტუმრებს ქალები სანახევროდ უვსებდნენ დოქებს!

მწერალი კმაყოფილი და იმედით აღსავსე დაბრუნდა თბილისში.

"ა გდე რუსსკიე?"

1952 წლის 1-2 აპრილს გაიმართა ქართველი კომუნისტების ცეკას პლენუმი. გაანთავისუფლეს კანდიდ ჩარკვიანი და აირჩიეს აკაკი მგელაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა ლავრენტი ბერია.

მთლიანად შეიცვალა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

მწერალთა კავშირსაც ხომ ახალი თავმჯდომარე ჰყავდა – გიორგი ლეონიძე.

კონსტანტინე ბეჭდავდა "ვაზის ყვავილობას" და ეგონა, რომ დადგა მისი საბოლოო რეაბილიტაციის დრო.

მწერალთა კავშირში 3, 5 და 7 მაისს იხილავდნენ 1951 წლის პროზასა და პოეზიას.

პროზაზე მოხსენებით გამოვიდა დიმიტრი ბენაშვილი.

დისკუტზე კონსტანტინეს სიტყვა მისი ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლაა, მწვავე, მძაფრი, პატრიოტული. გააკრიტიკა როგორც ჩარკვიანი, ისე ჩიქოვანი და შადური, ცეკას ყოფილი მდივანი. პროზის ჩამორჩენის ლოზუნგი ხომ კანდიდ ჩარკვიანს ეკუთვნოდა.

ისიც გაიხსენა, როგორ უმართებულოდ გასწირეს "უბადლო დიდოსტატი" ვაჟა-ფშაველა, რასაც მქუხარე ტაში მოჰყვა.

ერთხანს სიტყვა გააწყვეტინეს, დისკუსიის საგანს გადაუხვიეთო.

კონსტანტინე გაცხარდა, თუ დამაცდით ყველაფერს ვიტყვი, არადა სხვას მიეცით სიტყვაო. აქ ისეთ ხალხს ალაპარაკებთ ურეგლამენტოდ, ვისაც სათქმელი არაფერი აქვსო.

ნელ-ნელა რუსებსაც შეუტია. "მორიელი" შკლოვსკი მოიგონა. გოლცევი, ტარასენკოვი და ანტონოვსკაია ცინიკურად იმახდნენო – "ა გდე რუსსკიე"?

"თუკი სისხლისმსმელი ჩინგის-ხანის შესახებ შეიძლება იწერებოდეს სქელტანიანი რომანი, დავით აღმაშენებელმა და ერეკლე მეორემ რა დააშავეს?" "ვიღაც გაზეთის ქარხვეტია მჯღაბნელი, რომელსაც თავისი სიმბოლისტური ცოდვების მიჩქმალვა სწადია, მე მიწოდებს "ნაციონალისტს", მხოლოდ იმიტომ, რომ მე ტალახი არ ვესროლე ქართულ სახელმწიფოს ფუძემდებელს – დავით აღმაშენებელს".

მწერლის სიტყვაში ფოლადი წკრიალებდა და იგი ისევ ჰგავდა ხმალშემართულ მეომარს.

უნდოდა ესარგებლა იმ დაპირისპირებით, რაც წარმოიშვა ცეკას ძველ და ახალ ლიდერებს შორის. მაგრამ ორივე მოსკოვის დანიშნული იყო და ორივე მოსკოვის მითითებით მოქმედებდა.

იგი წერდა "ვაზის ყვავილობას" და ფიქრობდა, რომ ხელისუფლების სრული თანადგომა ექნებოდა.

ბესო ჟღენტი ამ დისპუტზე "ვაზის ყვავილობას" აქებდა, მწერალმა არქაიზმი დაძლიაო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ "Лит. Газета"-ში გალანძდა კონსტანტინე.

ალბათ უთხრეს, ახლა ასე სჯობიაო!

22-23 მაისს გაიმართა მწერალთა თათბირი რუსი კოლეგების – ალექსეი სურკოვისა და ვიქტორ გოლცევის მონაწილეობით.

ალექსეი სურკოვი იმსამად გენერალური მდივნის მოვალეობას ასრულებდა, ფადეევის მოადგილე იყო.

იგი აცხადებდა, "დავით აღმაშენებელში" წარსულის იდეალიზებას ვხედავო.

მაშინ რუსული პრესა აკრიტიკებდა ისტორიული რომანების სხვა ქართველ ავტორებსაც – შალვა დადიანს, აკაკი ბელიაშვილს, ალექსანდრე ქუთათელს.

შეურაცხყოფილმა ქუთათელმა განცხადებით მიმართა მწერალთა კავშირს, ცეკას, კანდიდ ჩარკვიანს. მაგრამ რომ არაფერი გამოუვიდა, აქ, თათბირზე მოითხოვა კომისიის გამოყოფა.

ბესო სლენტმა ისევ უსაყვედურა კონსტანტინეს, გადაჰყევი ისტორიულ პროზასო.

კონსტანტინე რეპლიკებს რეპლიკებზე იძლეოდა. ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდა.

შენ იანუსი ხარო, დაუძახა ბოლოს.

თათბირი რუსულად წარიმართა და კონსტანტინემაც რუსულად ისაუბრა.

მისი გამოსვლა თავაზიანი და საქმიანი იყო. სურკოვი შეაქო, მაგრამ განუმარტა, მე მხოლოდ ორი ისტორიული რომანის ავტორი როდი ვარო. ჩამოუთვალა თავისი წიგნები, დარბაზს აუხსნა ხელისშემშლელი მიზეზები, როგორ არ უბეჭდავდნენ წიგნებს, აკრიტიკებდნენ ტენდენციურად, როგორ ებრძოდა რუსული პრესა.

შემდეგ ისევ სურკოვს მიმართა, შეახსენა, რომ იგი არ იცნობდა ქართველი მწერლების ნაწერებს, არ წაეკითხა მათი წიგნები, ეყრდნობოდა მცდარ ინფორმაციებს და ამიტომაც ცდებოდა.

რუსულ პროზას მხოლოდ სულელი ქართველები გამოჰყავსო.

გერონტი ქიქოძე შეცბა და ქართულად მისცა რეპლიკა, ეს რა შუაშიაო.

– ძალიან შუაშია, – უპასუხა გაცხარებულმა კონსტანტინემ.

გერონტიმ გაფრთხილების ნიშნად ისევ გაუმეორა რეპლიკა. მაგრამ ორატორმა სიტყვა გააგრძელა – მე გამომყავს არა სულელი, არამედ მეომარი, პროგრესული ქართველები და ეს ცუდი რატომ არისო.

განსაკუთრებით აღაშფოთა ბესო სლენტის წერილმა. ბესო უნივერსიტეტის კარს შეადარა, რომელიც იქეთ იღება, საითაც მიაწვებიან.

სწორად გიწოდა შენ 1937 წელს, საჯაროდ, ლავრენტი ბერიამ უსინდისო კაციო. მე გთხოვთ შეიტანოთ სტენოგრამაში შესწორება, ბესო ორსახოვანი კი არა, მრავალსახოვანი იანუსიაო.

ბესომ რეპლიკა ესროლა, თქვენს თავხედობას საზღვარი არა აქვსო.

– ხმა ჩაიწყვიტე, თორემ... – დაემუქრა კონსტანტინე.

საბოლოო სიტყვაში მოსკოვის ემისარმა სურკოვმა კონსტანტინეს შენიშნა, მხოლოდ თქვენს თავს ხედავთ, სხვას არაფრად აგდებთო, ილაპარაკა გულგრილი, მაგრამ კორექტული ტონით.

საქებარი სიტყვა, ცხადია, არ დასცდენია.

ქვეტექსტი ასეთი იყო – თქვენი პროზა არც მხატვრულად არის მოსაწონიო. ანუ, როგორც იტყოდა ტერენტი გრანელი:

"ისევ ციდან ველოდები მერცხალს,

მაგრამ ციდან ქარიშხალი მოვა..."

მეორე დღეს კონსტანტინემ კაცი გააგზავნა ბესოსთან და ბოდიში მოუხადა.

მაგრამ ბესო კი არა, თავად დრო იყო მრავალსახოვანი, 365 თითიანი იანუსი – დასაწყისისა და დასასრულის ღმერთი ანუ ბოლშევიკური სისხლისფერი სამი. ბესო მისი მხოლოდ ქურუმი გახლდათ.

"მეგრელთა საქმის" გამოძახილი

კონსტანტინეს გაბრძოლებას შედეგი არ მოჰყოლია.

მოსკოვი ისევ აგრძელებდა განქიქებას. "ლიტერატურნაია გაზეტა" "ბურსუაზიულ ნაციონალიზმს" არ ეშვებოდა. სხვა რომელიმე მწერალს გააკრიტიკებდნენ, კონსტანტინეს გვარსაც ჩააკერებდნენ.

როცა ზოია კედრინამ გამოილაშქრა, სტატიის ტონი არ ეპიტნავათ ქართველ მწერლებს. მაგრამ გაჩუმება არჩიეს, კონსტანტინეს გამო საქმეს ხომ არ გაირთულებდნენ.

სჩანს, კონსტანტინეს სიტყვა შეაფასეს როგორც ანტირუსული გამოსვლა და პასუხი გაეცა ცეკას პირველი მდივნის პირით, ისიც "მეგრელ ნაციონალისტად" აკურთხეს.

დედით მეგრელი აკაკი მგელაძე ბელადის ახალ მითითებას ასრულებდა, ხსნიდა და იჭერდა მეგრელ პარტიულ მუშაკებს, რომელთა კვალი საბოლოოდ უნდა მისულიყო ბერიამდე. "მეგრელთა საქმის" სულის ჩამდგმელი ხომ სტალინი იყო. დააპატიმრეს ასზე მეტი პარტიული ხელმძღვანელი. მათგან რამდენიმე იყო არამეგრელი – მათ შორის, ილია თავაძე, ცეკას ყოფილი მდივანი, მწერლის კეთილისმსურველი და მისი წიგნების რედაქტორი.

ახლა საშუალება ეძლეოდათ კიდევ ერთი "მეგრელი" – კონსტანტინე გამსახურდია ემხილებინათ, როგორც გამოუსწორებელი ნაციონალისტი.

მაშინ შალვა დადიანსაც ტყავს აძრობდნენ, "უბედური რუსი" როგორ დაბეჭდო.

1952 წლის 15 სექტემბრის საქართველოს კომუნისტთა XV ყრილობაზე, როცა შეეხო ლიტერატურას, მგელაძემ მხოლოდ ორი მწერალი გააკრიტიკა – გამსახურდია და დადიანი.

კონსტანტინეზე ვრცლად, დეტალურად და ცინიკურად იმსჯელა.

შეიძლება ახალთაობისათვის ამას მნიშვნელობა არც ჰქონდეს, მერე რა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი გაკრიტიკებსო. მაგრამ მაშინ, კომუნისტების ეპოქაში, არათუ ასეთ თავდასხმას, პირველი პირის ოდნავ შენიშვნასაც კი საბედისწერო შედეგი მოსდევდა.

ახალმა პარტიულმა ლიდერმა გულისწყრომით შენიშნა, კონსტანტინე წარსულში იჭრება და თანამედროვეობა ავიწყდებაო, პროგრესულსა და რეაქციულს ვერ ანსხვავებსო.

ენას ანაგვიანებს არქაიზმითა და მოგონილი სიტყვებითო.

ბერიას სიტყვები დაიმოწმა, 1937 წელს თქმული, კონსტანტინეს ნაციონალისტობისა და ფაშისტური ელფერის გამო.

თურმე მწერალს დღემდე ვერ გაეკეთებინა საჭირო დასკვნები!

არც კრიტიკას აქცევს ჯეროვან ყურადღებასო.

მაგალითად ასეთი ფაქტი მოიყვანა:

უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის კათედრას განუხილავს კონსტანტინესა და გერონტი ქიქოძის მიერ შედგენილი ქრესტომათია. იქ შენიშვნები გამოთქმულა. მაგრამ კონსტანტინე გაბრაზებულა, თქვენ ვინ ხართ, რომ მაკრიტიკებთო, რა დაგიწერიათო.

ჯერ ტომები უნდა დააწყოთო.

მგელაძის აზრით, კონსტანტინე ანგარიშს არ უწევდა ინტელიგენციის, მუშის, კოლმეურნის აზრს.

"გამსახურდიას, როგორც ჩანს, სურს ლიტერატურაში "დიდკაცი" იყოს. მაგრამ ხალხს ესაჭიროება არა დიდკაცები, არამედ მშრომელი მწერლები", ქადაგებდა აკაკი მგელაძე და ასკვნიდა: "კონსტანტინემ ძირეულად უნდა გარდაქმნას თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა", წეროს ხალხის გასაგებად, არა და "ხალხი მას არ იცნობსო".

დარბაზი იცინოდა და ტაშს უკრავდა პარტიულ ლიდერს, სწორია, სწორიო.

ასე ამბობდა რესპუბლიკის ახალგაზრდა ხელმძღვანელი სამოცს გადაცილებულ მწერალზე, რომელსაც დაწერილი ჰქონდა "მთვარის მოტაცება", "დიდოსტატის მარჯვენა", "დავით აღმაშენებელი"...

სამწუხაროდ, აკაკი მგელაძის კრიტიკული პათოსი მთლიანად გაიზიარა გიორგი ლეონიძემ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ. გამოვიდა და მკაცრად შენიშნა, "გამსახურდიამ უნ-და გაიხადოს ბურსუაზიულ-ნაციონალისტური ბუტაფორიული ჯავშანი" და "მავნე რეციდივები" აღკვეთოსო.

აკადემიის პრეზიდენტმა ნიკო მუსხელიშვილმაც კვერი დაუკრა ცეკას პირველ მდივანს, კონსტანტინეს ნაწერები "ბურსუაზიულ-ნაციონალისტურია" და დიდ ზიანს აყენებენ ხალხთა მეგობრობასო!

კონსტანტინესათვის რომ გული ეტკინათ, ანა ანტონოვსკაიას შემოქმედებითი საღამო გამართეს მწერალთა კლუბში – აი ვინ არის ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი, ჭეშმარიტი ისტორიული რომანის ავტორიო.

რუს მწერალს მიესალმნენ სერგი ჭილაია, ბესო სლენტი, გერონტი ქიქოძე, აკაკი ბელიაშვილი, მიესალმნენ და "დიდი მოურავი" შეუქეს.

პარალელურად სერგი ჭილაიამ განავითარა მგელაძის აზრი – სხვებთან ერთად კონსტანტინეც "დაამუშავა". ბერია სწორად აკრიტიკებდაო. კონსტანტინე შენიშვნებს ითვალისწინებდა, მაგრამ ბერია მოსკოვში გადავიდა, ხოლო ცეკას ახალმა ხელმძღვანელობამ თავის ნებაზე მიუშვაო, ბოდიშის მოხდითა და რბილად აკრიტიკებდა მწერალსო ("ნაციონალისტურ ცრურწმენათა ნაშთების შესახებ", "ლიტ. და ხელ.", 1952, 12 დეკემბერი).

ახლა ახალ რომანს წერს, მაგრამ ჯერ სასიკეთო პირი არ უჩანსო, უარყოფითი პერსონაჟები ბევრს ლაყბობენო!..

იმავე ნომრის მოწინავე სტატია კრიტიკულად შეეხო კონსტანტინეს, მაგრამ ზომიერად, თავშეკავებით.

ჩვეულებრივ, მწერალთა გაზეთი დისკუსიების ვრცელ ანგარიშს ბეჭდავდა. ამჯერად კონსტანტინეს მხოლოდ იხსენიებდა, ხოლო გამოსვლის შინაარსს არ გადმოსცემდა.

გიორგი ნატროშვილი, "ლიტერატურა და ხელოვნების" რედაქტორი, დიდ პატივს მიაგებდა, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ცეკადან მოდიოდა.

მწერლის ენის კრიტიკა, რომელიც კარგა ხნით ადრე დაიწყო, ლამის "მეგრელთა საქმეს" დაუკავშირეს. პირდაპირ არ უთქვამთ, მაგრამ ქვეტექსტით იგრძნობოდა, რომ "მეგრელი" კონსტანტინე "ანაგვიანებდა" ქართულ ენას! არქაული და გაუგებარი სიტყვებით გატაცება – ეს "მეგრელი ნაციონალისტის" შენიღბული ანტიქართული და ანტისაბჭოური ქმედება იყო!

ბერიას კონსტანტინეს მფარველობაზე ხელი აეღო. ჩარკვიანი შერისხული იყო. შარია ციხეში იჯდა. ჯანაშია მთაწმინდაზე განისვენებდა. მარტოდშეთენილს ვისი დახმარების იმედი უნდა ჰქონოდა – მხოლოდ საკუთარი ლავირებისა.

აკაკი მგელაძეს მწერლის დაპატიმრებაც უნდოდა, მაგრამ მოსკოვიდან დასტური ვერ მიიღო.

"მეგრელ ნაციონალისტთა" ლიდერად ცეკას მეორე მდივანს ბარამიას მიიჩნევდნენ. მაგრამ მოსკოვიდან ჩამოსული სსრკ სუკის მინისტრის მოადგილე, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამომძიებლო განყოფილების უფროსი გენერალი რიუმინი პატიმრებს აიძულებდა ლიდერად ბერია დაესახელებინათ.

ნაწამები პატიმრები ყველაფერზე ხელს აწერდნენ.

ერთადერთი ალექსანდრე მირცხულავა გაჯიუტდა და ბარამია იყო, ბარამია, ჩვენი ხელმძღვანელიო, გაიძახოდა!

ბერიამ ეს დაუფასა და დრო რომ დადგა, პირდაპირ ციხიდან გამოუშვა საქართველოს ცეკას პირველ მდივანად, მაგრამ ბერია რომ დაამხეს, მირცხულავა გადააყენეს, ხოლო რიუმინი დახვრიტეს!

საბჭოური ცხოვრება აბსურდის თეატრს ჰგავდა...

ესტაფეტა "Заря Востока"-ს

აკაკი მგელაძის კრიტიკის შემდეგ "Литературная Газета"-მ შვება იგრძნო. როგორც იქნა, საქართველოს ხელმძღვანელობამ ყურად იღო მოსკოვის რჩევა. ამიტომ თავისი მისია გაზეთ "Заря востока"-ს გადააბარა.

გაზეთმა მთლიანად დაბეჭდა აკაკი მგელაძის, ნიკო მუსხელიშვილისა და გიორგი ლეონიძის სიტყვები, რომლებშიც კონსტანტინე გამოუსწორებელ რეაქციონერად და მებრძოლ ნაციონალისტად იყო წარმოდგენილი.

ისტორიკოსებიც აქტიურობდნენ, კონსტანტინეს ისტორია ცუდად სცოდნიაო. თუ ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია მხარს უჭერდნენ მწერალს, ეს არ ითქმის ნიკო ბერძენიშვილზე.

კომუნალური მეურნეობის მინისტრს ბარიგიანს არ მოსწონებოდა კონსტანტინეს პროზა და მწერალს თავს დაესხა.

"კომუნისტმა" მისი წერილი არ გამოაქვეყნა.

"Заря востока"-მ გადმობეჭდა, თუმცა შემოკლებით.

ვერც სტალინის სიკვდილმა შეაცვლევინა ამ რუსულ გაზეთს პოზიცია:

გიორგი ჯიბლაძე გააკრიტიკა, კონსტანტინე ჭარბად რად შეგიქიაო.

კონსტანტინე მივიდა გაზეთის რედაქტორ ირაკლი ჩხიკვიშვილთან და დაცვა სთხოვა, თუ უარს იტყვით, საკავშირო მთავრობას მივმართავო.

ჩხიკვიშვილმა კარგად იცოდა, მოსკოვი როგორი თვალთ უყურებდა კონსტანტინეს. ამიტომ უარესად გადაეკიდა.

კონსტანტინე წუხდა, სულ ჩვენ კი არ უნდა ვიძახოთ დრუსბა, დრუსბა, ერთხელ სხვაჯაც წამოცდეს ეს სიტყვაო.

"მე ჩემს აზრს ვამბობ, თუმცა ვინ უგდებს ყურსო", გულდაწყვეტით შენიშნავდა.

კონსტანტინეს ათეული წლების მანძილზე უთვალთვალეობდა და გულმოდგინედ სწავლობდა სუკი, მოსკოვის საიმედო დასაყრდენი რესპუბლიკაში.

კომპარტიისა და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები, პროლეტარული მწერლები, ცალკეული კოლეგები როგორც თბილისში, ისე მოსკოვში სიტყვას რომ დასძრავდნენ, კონსტანტინე ნაციონალისტად, მისტიკოსად, რეაქციონერად არ გამოეცხადებინათ, არ იქნებოდა.

ასე ჩამოყალიბდა რუსთმოდულე ქართველი მწერლის ხატი.

ამიტომ არ სჯეროდა მოსკოვს კონსტანტინეს გულწრფელობისა.

სიცოცხლემოდულეებულმა წერილით მიმართა აკაკი მგელაძეს. ცეკას ყველა მდივანი მე მაკრიტიკებს, არ ვიცი, როგორ ვიმუშაო, თავი უნდა მოვიკლა, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავო.

აკაკი მგელაძემ მწერლის განცხადება "კომუნისტის" რედაქტორს გიორგი მერკვილაძეს აჩვენა და თავისი პასუხიც გადასცა, ჩვენ გვინდა ხელისუფლებასთან ითანამშრომლო ისე, როგორც დღევანდელიობას შეეფერება, თვითმკვლელობაზე ფიქრი როგორ შეიძლებაო.

მან იცოდა, რომ დეპრესიის მოძალების სამს კონსტანტინეს შეიძლება მართლაც ტრაგიკულად დაემთავრებინა სიცოცხლე.

ბოლშევიკები და ნაციონალ-სოციალისტები თვითმკვლელობას კრძალავდნენ.

კონსტანტინემ მიიღო მგელაძის თავაზიანი პასუხი.

შეიძლება ცეკას პირველი მდივანიც გრძნობდა, რომ მეტისმეტი მოუვიდა, რადგან მოსკოვმა მხარი არ დაუჭირა.

კიდევ კარგი, რომ "ვაზის ყვავილობა" სამეგრელოს ცხოვრებას არ ასახავდა. მაშინ ხელმოსაჭიდი მასალა ექნებოდათ, მაგრამ ასეთ მოწამლულ ატმოსფეროში ძნელი იყო კომპრომისული წიგნის წერა და ახალი რომანი ვერც 1952 წელს დაამთავრა...

28 ნოემბერს, პასუხის მიღების შემდეგ, საბავშვო მწერლობისადმი მიძღვნილ პლენუმზე ცეკას ახალ მდივანს აქებდა, მისი მოსვლა სასიკეთოდ დაეტყო ჩვენს ცხოვრებასო...

1953 წლის 16 იანვარს შალვა რადიანი საყვედურობდა მწერალს, ძველ ენას ეყრდნობი, გასაგებად წერას გაურბიხარო. მაგრამ რადიანის წერილს ამჯერადაც აკლდა ბოლშევიკური სიფიცხე.

21 თებერვალს გარდაიცვალა ექვთიმე თაყაიშვილი. ღრმად მოხუც მეცნიერს ფაქტიურად შინაპატიმრობა ჰქონდა მისჯილი. ამიტომ მის გასვენებას მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცი დაესწრო. კონსტანტინე სიმონ ყაუხჩიშვილთან ერთად მივიდა და თავისი მხრებით ატარა დიდი მამულიშვილის ნეშტი უკანასკნელ გზაზე...

ხელისუფლება ამგვარ პატივისცემას ვერ მოიწონებდა, "Заря востока" უეჭველ ნაციონალიზმს აღმოაჩენდა. მაგრამ ათიოდე დღეში ისეთი ამბავი მოხდა, რომ მთელი მსოფლიო შეიძრა და კონსტანტინესათვის ვის ეცალა...

ბოლშევიზმის აღსასრული

საკავშირო კომპარტიის XIX ყრილობაზე, 1952 წლის ოქტომბრის თვეში, პარტიას ჩამოსცილდა მეორე სახელი – ბოლშევიკებისა.

ფორმალურად დასრულდა ბოლშევიზმის ეპოქა. მაგრამ თურმე იგი ფაქტიურადაც წარსულს ჩაბარდა.

ქართველი ემიგრანტები 1921 წლის მარტიდან მოყოლებული ყოველდღე მოელოდნენ ბოლშევიზმის აღსასრულსა და საბჭოთა კავშირის დაშლას, მაგრამ მათ ვარაუდს დრო არ ამართლებდა და მოკლული ოცნებით ჩადიოდნენ სამარეში.

1953 წლის 11 იანვარს, პარიზში, გარდაიცვალა ღრმად მოხუცი ნოე სორდანი, 5 მარტს მოსკოვში, თავის აგარაკზე – იოსებ სტალინი, რომელმაც არნახული სისასტიკით შექმნა უდიდესი და უძლიერესი წითელი იმპერია. მილიონები გულწრფელად დასტიროდნენ ბელადს, რომელშიც ხედავდნენ არა ბოლშევიკს, არამედ – უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეს, კაცობრიობის მხსნელს გერმანული ფაშიზმისაგან.

საყოველთაო მწუხარებასა და გლოვას გამოხატავდა კონსტანტინეს წერილიც – "უკვდავი სტალინი". მაგრამ უკვე მის კუბოსთან გაისმა სიტყვები, რაც მომავალში ბელადის კრიტიკისა და ანათემის საფუძველი გახდა.

ეს გახლდათ "პიროვნების კულტი".

იგი წარმოთქვა ლავრენტი ბერიამ, რომელმაც სასწრაფოდ შეადგინა ახალი მთავრობა.

მისივე წინადადებით უმაღლესმა საბჭომ გიორგი მალენკოვი დაამტკიცა სტალინის პოსტზე, როგორც ქვეყნის პირველი პირი.

თავად ბერია გახდა მალენკოვის პირველი მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელსაც შეუერთდა სუკი.

სტალინის სიკვდილით ფაქტობრივად დასრულდა ბოლშევიზმის ეპოქა.

ბერიამ წამოაყენა ლოზუნგები, რომლებიც მოასწავებდა სოციალისტური ბანაკისა და იდეოლოგიის დემონტაჟს, პარტიის დაქვემდებარებას მთავრობისადმი, აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლებას, რუსული ფაქტორის შესუსტებას მოკავშირე რესპუბლიკებში.

ბერიას მოთხოვნით მილიონზე მეტი პატიმარი გაანთავისუფლეს.

შეწყდა სტალინური პრემიების გაცემა.

ბერიას უნდოდა დიქტატურის გზით ქვეყნის დემოკრატიზება. ამიტომ სვამდნენ მის სადღეგრძელოს ქართველი ემიგრანტები.

მაგრამ ასეთი რეფორმები ნაადრევი იყო და იგი სწრაფად შეეწირა თავის იდეებს. იდეოლოგიის მანქანამ ისიც ისე გადათელა, როგორც ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი – ბოლშევიზმის ძველი ბელადები.

მხოლოდ სამი ათეული წლის შემდეგ დაუბრუნდა ამ პოზიციას მიხეილ გორბაჩოვი. ხოლო ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინის სახელი დააცილა სისტემას და იდეოლოგიას და მარტოოდენ პიროვნება გააკრიტიკა.

ბოლშევიზმთან ერთად შეწყდა მოქალაქეთა რეპრესიები. აღარც კონსტანტინეს განქიქება გაგრძელდებოდა.

28. პოლიტიკური რეაბილიტაცია

თუ ჩემს ცხენს შეშველება დასჭირდა,

დე იგი ნურც მისულა ჰელომდის.

კონსტანტინე გამსახურდია

სტალინის სიკვდილის შემდეგ

ქვეყანაში მოვლენები ელვისებურად იცვლებოდა. სტალინის გარდაცვალებამ ხალხი გააოგნა. ბელადის უკვდავება თითქმის პირდაპირი აზრით ესმოდათ, იგი მზესავით მარადიული ეგონათ.

სტალინის სიკვდილისთანავე შეიცვალა რესპუბლიკის ლიდერი აკაკი მგელაძე. ასე რომ, მუქარას კონსტანტინესადმი შედეგი არ მოჰყოლია.

ცეკას შენობაში ეტლით შემოაგორეს "მეგრელთა საქმის" გამო ნაწამები ალექსანდრე მირცხულავა. იგი ციხიდან გამოიყვანეს და ცეკას პირველ მდივნად დანიშნეს ლავრენტი ბერიას წინადადებით.

მაგრამ იდეოლოგიურად ჯერ არაფერი იცვლებოდა.

ბელადის სიკვდილს შესაძლოა მოჰყოლოდა ქვეყნის რღვევაც, როგორც ფიქრობდნენ სოვეტოლოგები.

კონსტანტინე ვერ აგრძელებდა "ვაზის ყვავილობაზე" მუშაობას. მისთვის ახლა აღარც ეცალათ. რომანის რედაქტორად დაინიშნა აკად. ნიკო კეცხოველი. მან ოცი ფორმა წაიკითხა, ავტორს მისცა ცალკეული შენიშვნები. კონსტანტინეს დაწერილი ჰქონდა კიდევ ორი ფორმა და რომანის დასამთავრებლად საჭირო იყო სამი ფორმის დამატება. მაგრამ თავისი "დისტანციის თეორია" გაახსენდა და შეწყვიტა რომანის წერა, დაელოდა მოვლენების კრისტალიზებას. ბელადები ერთიმეორის მიყოლებით ხელიდან ეცლებოდა და გაუგებარი იყო, ვისზე ღირდა ყურადღების შეჩერება.

"საბჭოთა მწერლიდან" ავანსად აღებული ჰქონდა 40 060 მანეთი, "ვაზის ყვავილობისა" და კიდევ სხვა სამუშაოს ანგარიშში. ხოლო წიგნს გამომცემლობას ვერ აბარებდა. გეგმაში უკვე შეტანილი იყო "დიდოსტატის მარჯვენა". ამიტომ ითხოვა, აღებული ფული "დიდოსტატის მარჯვენის" ჰონორარად არ ჩაეთვალოს.

კონსტანტინეს ხომ 1948 წლის შემდეგ ქართულ ენაზე წიგნი არ გამოეცა. "ნოველები" და "დავითის" III წიგნი ხელისუფლებამ აკრძალა.

ეს პერიოდი ფსიქოლოგიურად მართლაც ძნელი ასატანი იყო.

ფულიც აკლდა, მხოლოდ აკადემიკოსის ხელფასი ოჯახის ხარჯებს თუ გასწვდებოდა. ამიტომაც გაუჭიანურდა "კოლხური კომპის" კეთილმოწყობა და იქ დამკვიდრება. ჟურნალიდან და გაზეთიდან, საზოგადოება "ცოდნიდან" აღებული ჰონორარი არ იყო დიდი თანხა. ესეც ყოველდღიურ ხარჯებსა და მანქანის შენახვას მიჰქონდა. რას იზამდა, ვითარებას უნდა შეგუებოდა და ეცხოვრა უკეთესის მოლოდინში.

ხუთწლიანი მტკიცე პარტიული პრესის შემდეგ იგრძნო ოდნავი თავისუფლება, როცა "დიდოსტატის მარჯვენა" გეგმაში შეუტანეს. ახლა იმას

ედავებოდნენ, დაუბეჭდავი რომანის ჰონორარი ვალად დაგედო და უნდა გადაიხადო. ალბათ "დიდოსტატსაც" იმიტომ უცემდნენ, რომ "ვაზის ყვავილობისათვის" აღებული თანხა გამოეყვითათ.

1953 წლის 3 აპრილს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა განიხილა კონსტანტინეს განცხადება და დაადგინა, რომ დაქვითვოდა "დიდოსტატის" ჰონორარიდან 10 000 მანეთი "ვაზის ყვავილობის" ვალის დასაფარავად, დანარჩენი კი მიეცათ, ხოლო ახალი რომანი ორ თვეში ჩაებარებინა გამომცემლობისათვის.

წინააღმდეგობაში მწერალთა კავშირში გაიმართა დისკუსია ტიპიურობის პრობლემებზე და მერი იანქოშვილმა მთლიანად დაიწუნა "ვაზის ყვავილობა" და რომანის პერსონაჟები.

კონსტანტინე აგრძელებდა პუბლიცისტურ აქტივობას:

დაბეჭდა წერილები ქართულ საბჭოთა არქიტექტურაზე, მოძალადე თურქ იმპერიალისტებზე, განადიდებდა ლევ ტოლსტოის, რომელსაც დაბადების 125 წელი შესრულებოდა.

ასეთ ვითარებაში, ივნისის შუა რიცხვებისათვის, დღის სინათლე იხილა "დიდოსტატის მარჯვენის" ახალმა გამოცემამ, რომელსაც სერგი ჭილაია რედაქტორობდა.

ბერიას დამხობა

დამფრთხალ და დაბნეულ საბჭოთა მოქალაქეებს კიდევ ერთი სასწაული დაატყდათ თავს: უეცრად დასრულდა მრისხანე ლავრენტი ბერიას სიცოცხლე და პოლიტიკური კარიერა.

ახლა იგი შესწირეს ძმებმა სოციალიზმის ბომონს.

გიორგი მალენკოვმა, ვინც სტალინის ადგილზე დასვა ბერიამ, ხრუმჩოვის ჩაგონებით გაწირა თავისი პირველი მოადგილე.

ბერიას სახელის ხსენება აიკრძალა. მთელს კავშირსა და სოციალისტურ ბანაკში გამოცხადდა აუტოდაფე – ბერიას სურათები და წიგნები დაწვეს, ძეგლები დაანგრეს, სახელი წიგნებიდან ამოშალეს, სახელწოდებანი შეცვალეს, ცოლშვილი,

და და სიძე დააპატიმრეს, დედა და სიდედრი ბინიდან გამოაგდეს, შვილს გვარი წაართვეს...

ბერიას დამხობა ფაქტიურად სახელმწიფო გადატრიალება იყო.

13 და 18 ივლისს მწერალთა კავშირში გაიმართა საერთო და პარტიული კრებები. მორჩილმა მწერლებმა ერთხმად დაგმეს გუშინდელი კუმირი, დღეს კი პირსისხლიანი, საბჭოეთის "უბოროტესი მტერი" ლავრენტი ბერია. ძველი მეხოტბენი ლაფს ასხამდნენ, გინებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ტყუილ-მართალს ერთმანეთში ურევდნენ.

მხოლოდ ძველი მეწისქვილე სანდრო შანშიაშვილი შეყოყმანდა მცირე ხნით:

– ბერია მოღალატეაო?! რაღაც არ მჯერა! ბერია თუ მოღალატეა, მაშ მე ამ კაცის რა უნდა მწამდეს, – ინსტინქტურად ხელი გაიშვირა შალვა ამისულაშვილისაკენ.

გულგახეთქილი შალვა სკამიდან წამოხტა, ჩემგან რა გინდა, მე არაფერი დამიშავებიაო.

კონსტანტინეს კრებებზე სიტყვა არ უთქვამს.

გენერალ სუდოპლატოვის ცნობით, ბერიასთან სიახლოვის გამო მწერალს საფრთხე დაემუქრა, ისევე როგორც არაერთ ცნობილ მოღვაწეს (მაგ., შალვა ნუცუბიძესა და სიმონ ყაუხჩიშვილს).

სექტემბერში კიდევ ერთხელ შეიცვალა საქართველოს პარტიული ლიდერი.

ალექსანდრე მირცხულავა ზღვისპირეთში გაისტუმრეს, რასაც იგი კმაყოფილებით შეხვდა. მისი ადგილი დაიკავა მოსკოვის მიერ მოვლენილმა გენერალმა ვასილ მსავანაძემ, რომელიც რესპუბლიკას 19 წელი მართავდა.

შემდეგ მოსკოვში დაიწყო ჩეკისტების სასამართლო პროცესი.

ვითომ პოლიტიკური არაფერ შუაში ყოფილა.

დახვრიტეს ბერიას თანამებრძოლები, რომელთაც დიდი სახელმწიფო პოსტები ეკავათ, ძირითადად – კავკასიელები (მერკულოვი, ბაგიროვი, დეკანოზოვი, ქობულოვი, ცანავა, გოგლიძე, მილშტეინი, მეშიკი).

თბილისში მიმდინარე ჩეკისტების სასამართლო პროცესზე სამხედრო ტრიბუნალმა კონსტანტინე არაერთხელ გამოიძახა, როგორც მოწმე. მწერალი

მოითხოვდა რეპრესირებული მწერლების რეაბილიტაციას, მათი ნაწერების გამოცემას.

დახვრეტასა და დაპატიმრებას გადარჩენილ ქართველებს დაატოვებინეს პოსტები და მოსკოვი.

რუსული ნაციონალიზმი შურს იძიებდა...

ამის შემდეგ კონსტანტინე არ ყოფილა ოფიციალურად დამუშავების ობიექტი. დაიწყო პოლიტიკური რეაბილიტაცია, რომლის ერთ-ერთი ნიშანსვეტი იყო "დავითის" მესამე წიგნის გამოცემა.

მაგრამ რეაბილიტაცია ერთბაშად არ მომხდარა და მიმდინარეობდა სტალინ-ბერიას სახელთა გმობის პირდაპირპროპორციულად.

სწორად ამბობდა შეცბუნებული მწერალი, ბოლო წლები მე ფაქტიურად მწერლობისაგან მოწყვეტილი ვიყავიო.

"დავით აღმაშენებლის" მესამე წიგნი

მაშ ასე – 1953 წელს გამოიცა "დიდოსტატის მარჯვენა" და "დავით აღმაშენებლის" მესამე წიგ-ნი, შესწორებული და გადამუშავებული.

ისევ აუნთეს მწვანე შუქი, მაგრამ საქართველოს ფარგლებში.

ეს ასე მოხდა:

კონსტანტინეს გაეხარდა აკაკი მგელაძის განთავისუფლება. ბელადის სიკვდილის შემდეგ მოსკოვშიც და თბილისშიც ხელისუფლება რადიკალურად შეიცვალა. ამიტომ განცხადებით მიმართა ცეკას ახალ პირველ მდივანს, ალექსანდრე მირცხულავას, რათა "დავითის" მესამე წიგნი გამოეცათ.

მირცხულავამ განცხადება გადასცა ვიქტორ ჩხიკვაძეს, მდივანს იდეოლოგიის დარგში. იგი მოსკოვიდან იყო მოვლენილი და მკაცრად იქცეოდა.

ვიქტორ ჩხიკვაძემ დაიბარა სახელგამის დირექტორი გიორგი მერკვილაძე, რომელიც მაშინ მივიდა, როცა მოსაცდელში ბოლთას სცემდა გაალმასებული კონსტანტინე.

მწერალი პასუხის გასაგებად მისულიყო.

კონსტანტინეს გაზეთ "კომუნისტში" ანტითურქული წერილი მიეტანა, რომლის დაბეჭდვაზე მაშინდელ რედაქტორს – გიორგი მერკვილაძეს უარი ეთქვა.

ამიტომ განაწყენებულა და ახლა რომ ნახა იგი – სახელგამის დირექტორად ახლად დანიშნული, კიდევ უფრო აიღეწა და ზურგი შეაქცია.

ჩხიკვაძემ გააცნო დირექტორს განცხადება.

გიორგი მერკვილაძეს, როგორც ლიტერატორს, კარგად ესმოდა ამ რომანის მნიშვნელობა და სიტუაციასაც გრძნობდა. ამიტომ უყოყმანოდ მხარი დაუჭირა მესამე წიგნის გამოცემას.

დაუძახეს კონსტანტინეს.

როცა უთხრეს, წიგნი დაიბეჭდებაო, შეცბა, ხმა ვერ ამოიღო. საჩხუბრად იყო მისული და ასეთ თანადგომას როგორ მოელოდა!

მაგრამ ჩხიკვაძემ გააფრთხილა დირექტორი, მოსკოვიდან საყვედური არ მიიღოთო.

გიორგიმ უპასუხა, რედაქტორი იქნება სერგი ჭილაია და მან იცის როგორ მოიქცესო.

ჭილაია არ ვიცი მე, პირადად თქვენ, პარტილეთით აგებთ პასუხს, ეს იცოდეთო, მკაცრად მიუგო ვიქტორ ჩხიკვაძემ. გაცეზულმა კონსტანტინემ კორიდორში უთხრა მერკვილაძეს, რაინდი ყოფილხარ, ამას არ ველოდი შენგანო.

მაგრამ ერთი პრობლემა იყო გადასაჭრელი:

კონსტანტინეს მიღებული ჰქონდა აკრძალული მესამე წიგნის ჰონორარი – 40 ათასი მანეთი. ეს იცოდა ვიქტორ ჩხიკვაძემაც. მაგრამ კონსტანტინე ფულს არ წუხდა, წიგნი გამოვიდეს, მეტი არაფერი მინდაო.

მოსკოვში მაინც დარეკა, "ვეჩეთი" დაუკავშირდა პეტრე შარიას, ბერიას თანაშემწეს. ტირასი და ჰონორარი გამიორმაგონო.

შარიამ უარი უთხრა, მაგრამ თხოვნა ზუსტად გადასცა თავის შეფს, ვაითუ ბერიასთანაც დარეკოს კონსტანტინემო.

ლავრენტი დაემუქრა მწერალს, გაჩერდეს, თორემ კიდევ ერთხელ დავაპატიმრებთო. მაგრამ თხოვნა მაინც შესრულდა.

გიორგი მერკვილაძემ წიგნი გამოსცა ორი ტირასით – 20 ათასი ეგზემპლარი.

ასე გადაფარა ძველი ხარჯი და ავტორს ჰონორარიც არგუნა.

მაშინ ორი ტირასით არავინ იცემოდა, ცხადია, ქართველ მწერალთაგან. მაგრამ დაბეჭდილი წიგნი რომ აიკრძალა, ეს რა მწერლის ბრალი იყო.

ამ წიგნის გამოცემა და ჰონორარის გადახდა ხელისუფლების მიერ ბოდინის მოხდასაც ნიშნავდა იმ ტანჯვის გამო, რაც ავტორს უსამართლოდ მიაყენეს.

ამ გამოცემასაც, ისევე როგორც აკრძალულს, სერგი ჭილაია რედაქტორობდა.

რომანი ორ დღეში გაიყიდა.

მრავალი მკითხველი ამაოდ დაეძებდა წიგნს. ოცი ათასი ცალი საკმარისი არ აღმოჩნდა.

გახარებულმა ავტორმა დირექტორი მეუღლესთან ერთად მიიწვია "კოლხურ კომპში", მაგრამ გიორგის მოერიდა და არ მივიდა. კონსტანტინე განაწყენდა, ხელმეორედ დაპატიჟა, მე სხვათაშორის კი არ მითქვამსო.

მაშინ დაყაბულდა და "კოლხურ კომპში" ავტორმა და გამომცემელმა ერთად ასწიეს ახალი წიგნის სადღეგრძელო.

მოსკოვი მაინც ეჭვის თვალით იმზირებოდა.

ამიტომ აცხადებდა ირაკლი ახაშიძე მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობაზე, კონსტანტინე გამსახურდიამ რუსების სახეები მოგვცაო, შენიშვნები მიიღო, კრიტიკას ანგარიში გაუწიაო.

ძველ ბრალდებათა გაბათილება აუცილებელი იყო.

1954 წელს კიდევ ერთხელ გამოიცა "დავითის" პირველი წიგნი, 1955 წელს – მეორე წიგნი. 1954 წელს "Заря востока" -მ მიაწოდა რუს მკითხველს მესამე წიგნი.

ამრიგად, გამოცემული იყო სამივე წიგნი როგორც ქართულად, ისე რუსულად. მაგრამ ტეტრალოგიის დამთავრებას კიდევ დიდი დრო სჭირდებოდა.

ამის შემდეგ კონსტანტინეს წიგნების გამოცემა არ შეფერხებულა.

მძიმე წლები ჩავლილი იყო. გაუძლო დევნას, დამცირებას, შეურაცხყოფას. არც კიბო დამართნია, არც ინფარქტი მიუღია. ყველა ჭირი გადაიტანა, გაუძლო სასოწარმკვეთ წუთებს, დიდი ნებისყოფისა და ფანატიკური რწმენის წყალობით.

მაგრამ შრომითა და ტანჯვით დაღლილს უკვე ასაკი მოსწეოდა და ძველებური სისწრაფით ვეღარ წერდა. შეიძლება დაბრკოლება ძალებსაც უაქტივებდა, სიცოცხლის უნარს უძლიერებდა. ხოლო როცა დააფასეს და სიყვარული აგრძნობინეს, როგორც დავით გურამიშვილს უთქვამს –

"აწ სიხარულმა დამშალა

ჯავრით შეკრული კონაო".

* * *

იმ დღეებში, როცა წიგნი ბაზარზე გავიდა, შეეძინა მეორე შვილიშვილი. ამიტომ დაარქვეს დავითი, მაგრამ მეტრიკაში ჩაუწერეს დიდი პაპის სახელი – კონსტანტინე.

"ოდიოზური ფიგურა"

ბერიას დამხობას მოჰყვა მის მიერ აღზევებული ჩეკისტების სასამართლო პროცესები მოსკოვსა და თბილისში.

კონსტანტინეს ბერია წლების მანძილზე მფარველობდა და ამის გამო მორიგი საფრთხე აშკარა გახდა.

როგორც იტყვიან, ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო!

მყისვე დაიწყო ახალი ინფორმაციების შეგროვება. ასე, მაგალითად, ინფორმატორი "კადრი" 26 ოქტომბერს აუწყებდა სუკს, რომ "მთვარის მოტაცება" საბჭოური სინამდვილის ცილისწამებაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება სპობს პოეზიას (მთვარეს), რომ კომკავშირელი ჰკლავს მამას, რომ ხოტბა აღევლინება უქნარა კაცს – არისტოკრატ თარაშ ემხვარს, რომ მწერალმა ბერიას ხელშეწყობით დიდძალი თანხა მიითვისა...

ხოლო სუკის გენერალი ირაკლი ნიბლაძე სასწრაფოდ, 1953 წლის 31 ივლისს, იძლეოდა ჩვენებას, რომ ბერია დანაშაულებრივად ხელს აფარებდა ქართველ ნაციონალისტებსა და ფაშისტური ორგანიზაციის წევრებს – შალვა ნუცუბიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი წერეთელს, სიმონ ყაუხჩიშვილს, ვუკოლ ბერიძეს, ნიკო კეცხოველს (როგორც ცნობილია, ზოგი მათგანი თანამშრომლობის პირობით ბერიამ ციხიდან გამოუშვა და თავის პროფესიას დაუბრუნა).

ნიბლაძე მიუთითებდა, რომ კონსტანტინე დაკავშირებული იყო გერმანიის დაზვერვასთან, მონაწილეობდა 1947 წელს აღმოჩენილ ფაშისტურ ორგანიზაციაში, მაგრამ არ დააპატიმრეს, რადგან ბერია მფარველობდაო.

1954 წლის 12 მაისს საქართველოს სუკმა (თავმჯდომარე გენერალი ალექსი ინაური) ლუბიანკას გაუგზავნა მასალები კონსტანტინეზე, რომ თითქოს იგი 1913 წლიდან იყო გერმანიის აგენტი, რომ იყო ანტისაბჭოთა ორგანიზაციების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და რომ ამსამად კავშირი აქვს ინგლისის დაზვერვასთან (თუმცა ამის შემოწმება ვერ ხერხდება!).

მთავარი ის იყო, რომ დოკუმენტურად მტკიცდებოდა მწერლისადმი ბერიას მხარდაჭერა და "საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტრის" – ბერიასადმი მწერლის პატივისცემა.

კონსტანტინეს სულ "ხალხის მტრები" მფარველობდნენო.

სუკს ესეც ჰყოფნიდა, რათა კონსტანტინე დამნაშავედ ეცნო.

ამის გამო 26 მაისს დაიკითხა პატიმარი ავქსენტი რაფავა – საქართველოს ყოფილი შინა-გან საქმეთა სახალხო კომისარი (დახვრიტეს იმავე წელს).

განწირულმა რაფავამ ღირსეული პასუხი გასცა და აგენტურის ბრალდებანი გააქარწყლა. კონსტანტინეს, "როგორც გამოჩენილ ქართველ მწერალს", 1926 წლიდან ვიცნობ, თუმცა მასთან დაახლოებული არ ვყოფილვარო.

13 და 30 ივლისს დაკითხეს პატიმარი აკადემიკოსი და გენერალი პეტრე შარია (დაპატიმრებამდე ლავრენტი ბერიას თანაშემწე).

მან კონსტანტინეს "ოდითოზური ფიგურა" უწოდა. მისი ნოველები მეტწილად პორნოგრაფიული და ამორალურიაო. მის წიგნებს ვერ ვკითხულობდი ენის არქაულობის და სტილის პრეტენციოზულობის გამოო. იგი ყოველთვის თავს მახეზრებდაო. ეშმაკი კაცია, გულცივი და ეგოისტიო.

დაადასტურა, რომ მოსკოვში ბერია ღებულობდა კონსტანტინეს, ხოლო თბილისში კანდიდ ჩარკვიანი ეხმარებოდაო. მაგრამ ისეთი ხელმოსაჭიდი ფაქტი ვერ დაასახელა, რომ მწერალი დამნაშავედ ეცნოთ.

ლავრენტი ბერია საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო (პირველი ვიცე-პრემიერი, პოლიტბიუროს წევრი, მინისტრი, მარშალი) და მასთან სიახლოვე, თუნდაც დითირამბი (გავიხსენოთ იოსებ გრიშაშვილი: "შენ სახელი, შენ – დიდება, შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს"...) მოქალაქეს ბრალდებად ვერ ჩაეთვლებოდა.

საქართველოს სუკის გულმოდგინება ამაო აღმოჩნდა. ლუბიანკა არ დაეთანხმა ქართველ კოლეგებს: მოსკოვი ძველ რეპრესიებს გმობდა და ახლა ახალს ხომ არ წამოიწყებდა!

"საუკეთესო ოქრომჭედელი"

1954 წელსაც ბეჭდავდა ესეებს, "ვაზის ყვავილობის" ცალკეულ თავებს, გამოდიოდა პლენუმებზე, ებრძოდა გრაფომანებს, ერზაცლიტერატურას, ბესო სლენტს კეთილად იხსენიებდა, მეტი რა ქნას ბესომ, ხან მაქებს, ხან მაძაგებსო, "ვაზის ყვავილობას" მალე დავამთავრებო, ეგ ხომ ყამირი და ნასვენნი მიწების ათვისებას ეხებაო (მაშინ, ხრუმჩოვის მოხსენების შემდეგ, მთელს კავშირში ყამირული ისტერია დაიწყო). მოითხოვდა ასომთავრულის შემოღებას, თეატრსა და კინოს აკრიტიკებდა, მარჯანიშვილს გადაჭარბებით ვაფასებთო, დიდი სპექტაკლები ვერ შექმნაო, ნიჭიერი, მაგრამ ეკლექტიკოსი იყოო, მსახიობთა მეტყველება დაამახინჯაო.

მარჯანიშვილის კრიტიკა დარბაზმა იუცხოვა, გამოსვლა არაერთხელ შეაწყვეტინეს და რეპლიკით ლამის სული ამოხადეს.

1954 წლის 30 ივნისს გაიმართა საქართველოს მწერალთა VI ყრილობა, რომელსაც მრავალი რუსი მწერალი დაესწრო.

მოხსენებით გამოვიდა ირაკლი აბაშიძე.

კონსტანტინე არც აქო და არც აძაგა, თითქმის მიივიწყა.

არც მსავანაძემ გამოიჩინა დიდი ყურადღება.

პარტიისათვის კონსტანტინეს პოზიცია აღარ იყო აქტუალური. გარდა ამისა, მათ იცოდნენ, რომ კონსტანტინეზე ბერიას გამო სუკი ახალ საქმეს ამზადებდა.

სამაგიეროდ განათლების მინისტრმა გიორგი ჯიბლაძემ ყველა განაცვიფრა: გიორგი ჭყონდიდელი, – "დავითის" პერსონასი, მიქელანჯელოს მოსეს შეადარა, დედისიმედი – რაფაელის მადონას, III წიგნი წინა წიგნებს ამჯობინა, ავტორს ქართული სიტყვის "საუკეთესო ოქრომჭედელი" უწოდა, ბექა ოპიზარის ძალისა, ცალკეული ეპიზოდები ჯეკ ლონდონზე მაღლა დააყენა (მაგ., მგლების ხროვასთან ბრძოლა), "ვაზის ყვავილობა" ბალზაკის "გლეხებს" შეადარა.

ცალკეული შენიშვნები გამოთქვა მეგობრული, მართლაც კეთილმოსურნის ტონით.

ალბათ ამ პანეგირიკით გიორგი ჯიბლაძე ძველი ცოდვა-დანაშაულის გამოსყიდვას ცდილობდა. იდეოლოგიური სიტუაცია იცვლებოდა და კონსტანტინეს დასჯის მითითებას ცეკა აღარ იძლეოდა, პირიქით – რეაბილიტაციის პროცესი მასაც უნდა შეხებოდა და არა მხოლოდ დახვრეტილებსა და წამებულებს.

2 ივლისს სიტყვა წარმოთქვა კონსტანტინემ. სინანულით აღნიშნა, ჯერ სტუმრები გამოიყვანეს, შემდეგ ჩვენ მოგვცეს სიტყვაო. ხაზი გაუსვა შემოქმედებაში პიროვნების ფაქტორს. მოითხოვა, რომ ახალგაზრდებს მკაცრად მოჰყრობოდნენ.

ახალგაზრდა მწერალს, აკაკი გეწამეს, ეს არ ეჭაშნიკა და კონსტანტინეს საყვედური შეჰბედა. მწერალმა რეპლიკით უპასუხა. გეწამემ გულუბრყვილოდ თქვა, წიგნის გაყიდვა კრიტერიუმი არაა, აი, მაგალითად, თქვენი წიგნები იყიდება, მაგრამ პარმენ ლორიას რომანებს იტაცებენო. კონსტანტინე გაფიცხდა – ტრიბუნაზე რომ ავლენ, წესიერად ილაპარაკონ, თორემ ტყავს გავაძრობო.

გამხდარმა აკაკი გეწამემ თავი მოისაწყლა, ჩემი ტყავის გაძრობა ადვილია, რადგან ძალიან თხელი ტყავი მაქვსო!..

ყრილობაზე გამოცხადდა მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის რეაბილიტაცია.

კონსტანტინე აირჩიეს ყრილობის პრეზიდიუმში, შემდეგ – გამგეობის წევრად, მწერალთა საკავშირო მეორე ყრილობის დელეგატად. ასე რომ, ხანგრძლივი დაუბრების შემდეგ ისევ უნდა სწვეოდა წითელი იმპერიის დედაქალაქს.

აწ ისევ შეჰყავთ საიუბილეო კომისიებში (მაგ., შალვა დადიანისა), დამკრძალავ კომისიებში (მაგ., ალექსანდრე აბაშელის), ხელს აწერს ცნობილ მოღვაწეთა ნეკროლოგებს (მაგ., ილო მოსაშვილისა), შეუზღუდავად მონაწილეობს პლენუმების მუშაობაში, გამოდის დისკუსიებზე და მის სიტყვას აღარ ახლავს მკაცრი,

უკომპრომისო ტონი, ცდილობს არავის დააკლოს ყურადღება – ბესო სლენტს უბოდიშებს, ხაზს უსვამს გიორგი ჯიბლამის კაიკაცობას, ჯიბლამისაგან არ ველოდი ასეთ გულისხმიერებასო.

ხანგრძლივი კრიტიკისა და უსამართლო მოპყრობის წლები წარსულს ჩაბარდა. ახლა ქებამ და მხარდაჭერამ გულიც კი აუჩვილა და ზედმეტად მიმტევებელი გახადა.

ღირებულებათა გადაფასება იწყებოდა.

1947 წელს, როცა "მთვარის მოტაცება" განმეორებით გამოიცა, ცეკას მითითებით ტექსტში შეიტანეს რამდენიმე მხატვრულად გაუმართლებელი, მაგრამ იდეოლოგიურ მოთხოვნათა შესაბამისი შესწორება: ამოიღეს მამისმკვლელობა და ჩაურთეს ბერიას სახელი, თითქოს ენგურისკენ მიმქროლავი თარაშ ემხვარი ფიქრობს, ხვალვე ცეკაში მივალ და ბერიას ყველაფერს ვეტყვიო...

ახალგაზრდა ვენორი ქვაჩახიამ ორივე ცვლილება დაიწუნა, კრიტიკოსებმა რომანი "ანტისაბჭოთა ნაწარმოებად" აქციესო.

ეს იყო 1954 წლის 23 ოქტომბერს, დადებითი გმირის გამო გამართულ დისკუტზე, რომელსაც კონსტანტინე არ დასწრებია.

ბესო სლენტმა არ გაიზიარა ვენორი ქვაჩახიას შენიშვნები: კონსტანტინე დიდი მწერალია, მაგრამ რომანის პრობლემა სწორად არ ესმის, თორემ რომელ საბჭოთა მწერალზე ნაკლებიაო. არზაყანი არ არის ახალი გმირის სახეო. "მთვარის მოტაცებას" დიდი ნაკლი აქვს. ეს წიგნი მწერლის მარცხია და ამიტომ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ მისი გამოცემის საკითხიო.

მაშინ ვინ წარმოიდგენდა, თუ "მთვარის მოტაცება" ოპერის ენაზე ამეტყველდებოდა, დაიდგმებოდა მოსკოვში, დიდი თეატრის სცენაზე და ლენინურ პრემიას მიიღებდა!

როგორც ვხედავთ, გიორგი ჯიბლამე და ბესო სლენტი უკვე "დიდ მწერლად" მიიჩნევდნენ კონსტანტინეს. მაგრამ მწერლის სახელის რეაბილიტაცია ყველა ცნობილ თხზულებაზე ჯერ არ ვრცელდებოდა.

პირველ ყოვლისა, აქედნენ "დიდოსტატის მარჯვენასა" და "დავით აღმაშენებელს". "მთვარის მოტაცებას" სკეპტიკურად უყურებდნენ, ხოლო "დიონისოს ღიმილზე" ან 1946 წელს შერისხულ ნოველებზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ბოლშევიკურ ღირებულებათა გადაფასება იწყებოდა და დრო იყო გარდასული დღეების საუკეთესო მსაჯული, როგორც თავად მწერალი შენიშნავდა. მაგრამ არც ძველი დოგმატიკოსები და რეაქციონერები ყრიდნენ ფარხმალს.

"ჩხიკვები ცუდად მაქვს დაცდილი"

კონსტანტინე აირჩიეს მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატად. მაგრამ სანამ მოსკოვში წავიდოდა, "Заря востока"-მ ჩვეული ლანძღვა დაბეჭდა. ხელს აწერდა გიორგიძე.

მოსკოვში ქართულ ქებას ვინ წაიკითხავდა, რუსულ ძაგებას ხელზე დაიხვევდნენ.

ამიტომ კონსტანტინე არც გამგეობაში აურჩევიათ, არც სარევიზიო კომისიაში.

როცა მოსკოვიდან მობრუნდნენ, 1955 წლის 25 იანვარს გაიმართა გამგეობის პლენუმი.

კონსტანტინემ გაიხსენა "Заря востока"-ს მტრული პოზიცია, სასტიკად გააკრიტიკა რედაქტორი ირაკლი ჩხიკვიშვილი.

ოფიცოზის კრიტიკა მიღებული არ იყო, ამიტომ გაფიცხდა სერგი ჭილაია, სხდომის თავმჯდომარე, აქ რაიმე ხიფათს არ გადავეკიდოო.

კონსტანტინე დაურიდებლად აცხადებდა:

"მე ჩხიკვები ცუდად მაქვს დაცდილი და მე ვურჩევ ჩხიკვიშვილს წესიერად მოიქცეს.

სერგი – ამხანაგო გამსახურდია, პიროვნებას ნუ ეხებით, არ შეიძლება ასე.

კონსტანტინე – მე ვაგებ ამაზე პასუხს.

სერგი – ჩვენც ვაგებთ პასუხს. მე გთხოვთ წესიერად მოექცეთ პლენუმს და ამხანაგებს. თქვენ ნუ ეხებით პიროვნებას. ამხანაგ ჩხიკვიშვილს ნუ ეხებით.

კონსტანტინე – მე ნუ მასწავლით წესრიგს.

მე დავწერე შენიშვნები ნატროშვილის თხოვნით. გამოხტა ვიღაც და სტატია დაწერა. საბჭოთა ხელისუფლების დროს რა საჭიროა ფსევდონიმები".

ვიქტორ ჩხიკვაძე განთავისუფლებული იყო ცეკას მდივნობიდან. ახლა ჩხიკვიშვილის რიგიაო, ამას ნიშნავდა მწერლის კალამბური, ჩხიკვები ცუდად მაქვს დაცდილიო.

მეორე დღეს სიტყვით გამოვიდა ირაკლი ჩხიკვიშვილი, მაგრამ კონსტანტინეზე არაფერი თქვა, პასუხის გაცემა ზედმეტად მიმაჩნიაო, ქედმაღლურად განაცხადა.

თურმე ირაკლი აბაშიძეს ეთქვა, მწერალთა კავშირმა უკვე დაგმო კონსტანტინეს გამოსვლაო.

ასე რომ, ირაკლიმ ჩვეული ფანდი იხმარა, შენ მართალი ხარ, მაგრამ შენც მართალი ხარო, უთხრა ცალ-ცალკე ორივეს და კონფლიქტიც ამოიწურა.

"ძმავ ინგოროყო"...

"ძმავ ინგოროყო, პოეტო ადრე

და მერე დარდო წარსულ დიდების",

ასე მიმართავდა პაოლო იაშვილი ახალგაზრდა მკვლევარს პავლე ინგოროყვას.

მას შემდეგ საქართველოს თავზე მრავალმა გრიგალმა გადაიარა.

1955 წელს მკითხველმა მიიღო პავლე ინგოროყვას ათასგვერდიანი წიგნი "გიორგი მერჩულე". იგი იბეჭდებოდა "მნათობის" ფურცლებზე და საზოგადოება უკვე იცნობდა. მაგრამ გამოკვლევის გამოქვეყნებას მაინც დიდი ეფექტი ჰქონდა. იგი სრულიად ახალი სიტყვა იყო V-X საუკუნეთა საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე, ჩვენი წარსულის სიდიადის დამადასტურებელი წიგნი. მაგრამ თვალსაჩინო მეცნიერებმა სკეპტიკურად შეხედეს ამ მონუმენტურ ნაშრომს (კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე).

სამაგიეროდ, მწერლებმა აღუვლინეს ხოტბა. პოეტებმა ლექსები მიუძღვნეს, კრიტიკოსებმა – წერილები. ხოლო 1955 წლის 30 ივნისს მწერალთა კავშირმა გადაწყვიტა პავლე ინგოროყვას აკადემიკოსობის კანდიდატად დასახელება.

წინააღმდეგო ოთხმა მწერალმა-აკადემიკოსმა – გიორგი ლეონიძემ, გალაკტიონ ტაბიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ და იოსებ გრიშაშვილმა დაწერეს დახასიათებარეკომენდაცია.

ინიციატორი იყო კონსტანტინე.

იგი სხდომაზეც გამოვიდა. ხაზი გაუსვა, რომ პავლესთან მეგობრობს 40 წლის მანძილზე, იცნობს მის ჩინებულ გამოკვლევებს ძველ ქართულ მწერლობაში, რუსთველოლოგიაში, იცის მისი მძიმე ფიზიკური მდგომარეობა.

ოთხი აკადემიკოსის განაცხადი თავად წაიღო აკადემიაში.

პავლეს არწმუნებდა, კონკურენტი არავინ გყავსო. პრეზიდიუმის წევრებს სათითაოდ ჩამოუარა და ყველა შეიპირა.

მაგრამ ოთხი დიდი მწერლის სიტყვა, მთელი ქართული მწერლობის სოლიდარობა საკმარისი არ აღმოჩნდა. მათ ზემოთ ხომ ცეკა იდგა...

პავლე ინგოროყვას აფხაზები აუმხედრეს, ნაციონალისტობა დასწამეს და მეცნიერები დააფრთხეს, ლამის "გიორგი მერჩულეც" აკრძალეს. აფხაზებმა რიტუალურად დაწვეს ეს წიგნი.

ამის შემდეგ პავლეს კანდიდატურა მოიხსნა.

გაჯავრებულმა კონსტანტინემ ხმა არ მისცა ალექსანდრე ბარამიძეს, ცეკასა და მეცნიერთა კანდიდატურას, თავისთავად შესანიშნავ მკვლევარს:

– მე, კონსტანტინე გამსახურდია, შავს გაძლევ შენ – ალექსანდრე ბარამიძესო, – დემონსტრატულად განუცხადა.

ალექსანდრე ბარამიძის კანდიდატურა ჩავარდა.

სამაგიეროდ მომდევნო არჩევნებზე, 1960 წლის 18 ნოემბერს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს აცნობა, რომ ამჯერად ხმას მისცემდა ალექსანდრეს.

ბარამიძე აკადემიკოსი გახდა.

პავლე ინგოროყვა წარდგენილი არ ყოფილა.

პავლეს "გიორგი მერჩულე" ასეთი წარწერით მიუძღვნია კონსტანტინესათვის: "ჩემს ძმასა და მეგობარს კ. გამსახურდიას, ბრწყინვალე მწერალს, გულითადის სიყვარულით და ერთგულებით. პავლე ინგოროყვა. 30. 3. 1955".

"საბჭოთა იმპერია"-

ბოლშევიკური სუსხით დამზრალი ქვეყანა თვალს ახელდა.

1956 წლის 29 სექტემბერს გაიმართა მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი – 5-9 მარტის მოვლენების გამო.

სტალინის კრიტიკამ პარტიის XX ყრილობის შემდეგ გამართულ ცეკას პლენუმზე, რომელიც დაემთხვა ბელადის გარდაცვალების სამი წლისთავს, ქართველი ხალხის აღშფოთება გამოიწვია. თბილისი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ქუთაისში დისლოცირებული ქართული 74-ე დივიზია სამიტინგო ისტერიამ მოიცვა. მასში ჩართული აღმოჩნდნენ სტუდენტები, მოსწავლეები, პარტიული მუშაკები, ინტელიგენცია, რაიონებიდან ჩამოსული ხალხი. მიტინგს ზოგჯერ 60 ათასამდე კაცი ესწრებოდა.

სტალინის სახე ხალხის თვალში ნაციონალისტური ელფერით შეიმოსა, საქართველოს სიმბოლოდ იქცა და მისი კრიტიკა აღიქვეს როგორც ეროვნული ტრაგედია.

სტალინის გარდაცვალებითა და ბერიას დახვრეტით შოკირებული ქართველი ხალხი ჯერაც გაურკვეველ ბურანში იყო. ეს ორი სახელი მასების შეგნებაში სისხლით და ტყვიით ჩაიწერა. ახლა ორივე მათგანი წაართვეს და ეს ნიშნავდა ეროვნული ღირსების გათელვას რუსების მიერ, ეროვნული არარაობის განცდას.

თითქოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც თანაუგრძნობდა მომიტინგეებს. მაგრამ ხრუმჩოვმა და სუკოვმა ტყვია და ტანკები შეაგებეს ურჩ ქართველებს. დაილუპა 23 ახალგაზრდა, დაიჭრა უამრავი ადამიანი.

ახალგაზრდებმა კონსტანტინესაც სთხოვეს სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან, სიტყვით გამოსვლა, ალბათ როგორც "ბელადის" ავტორს. ეტყობა, იგი გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს და 9 მარტს სერგი ჭილაიას განუცხადა, ძეგლთან სიტყვით არ გამოვედიო.

ახლა მწერალთა კავშირს მოხსენებით წარუდგა დავით მჭედლიშვილი, ცეკას მდივანი, თავადაც მიტინგის ერთ-ერთი მონაწილე.

მან ილაპარაკა სტალინისა და ბერიას მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე, სტალინისა და ბერიას კულტზე. წარსულის გაზვიადების გამო კრიტიკულად შეეხო

კონსტანტინეს, აკაკი ბელიაშვილს, მაგრამ ვრცლად შეჩერდა შალვა დადიანის "გიორგი რუსზე", რომლის ხელახლა დაბეჭდვა შეცდომად მიიჩნია.

ერთი სიტყვით, დავით მჭედლიშვილი იმას ამბობდა, რასაც მისი წინამორბედები ღალატებდნენ. ახალი იყო სტალინისა და ბერიას კრიტიკა, რაც მორჩილ მწერალთა სმენას ეხოთირებოდა.

კონსტანტინემ დარბაზს გაახსენა ლენინის ციტატები რუსული შოვინიზმის გამო, თუ როგორ უფრთხილდებოდა იგი მცირე ერებს.

ხომ მართალი ყოფილა ჩემი "დისტანციის თეორიაო". ბერიას "ავადსახსენებელი" უწოდა, ხოლო თავის რომან "ბელადზე" თქვა:

"დიდის სიყვარულით დავწერე და აღარც ვნანობო", "არც გენიოსი მიწოდებია მისთვის, არც არწივი, არც ლომიო". მაგრამ აღნიშნა, რომ კონდოტიერი არ შეიძლება იყოს ნაციონალური გმირიო.

ფუშე ბერიასთან შედარებით მამა აბრამის ბატკანიაო.

თემურ-ლენგის დროსაც კი ამდენი ზარალი არ უნახავს საქართველოს, რამდენიც ამ ომშიო.

დახვრეტილთა რეაბილიტაციას მიესალმა, დემოკრატიზმის ახალი შუქი საგრძნობიაო.

მხოლოდ მსავანაძის ცეკაში მოსვლის შემდეგ შემექმნა მუშაობის ნორმალური პირობებიო, რაც სწორი აღმოჩნდა.

დასასრულ ერთი საინტერესო ფრაზა თქვა:

"ჩემთვის გაუგებარი იყო, ამოდენა იმპერიის პრემიერ-მინისტრად იჯდა და მოიცალა, რომ ჩემთვის თავში ჩაეკრაო".

ასე საჯაროდ, ოფიციალურ თათბირზე, 1956 წლის 29 სექტემბერს კონსტანტინემ საბჭოთა კავშირს "იმპერია" უწოდა!

"გამწარებული ცხოვრება"

სისხლიანი 9 მარტის შემდეგ ზვიადი, მერაბი და მათი მეგობრები ანტისაბჭოურ პროკლამაციებს წერდნენ და ავრცელებდნენ. სარგებლობდნენ ერთი თანამოაზრის მამის რემინგტონით, რომელიც სუკში მუშაობდა. ყმაწვილების მიერ შექმნილ არალეგალურ ანტისაბჭოთა ორგანიზაციას "გორგასლიანი" ერქვა (З. Гамсахурдия, За Независимую Грузию. Автобиография, М., 1996).

1956 წლის 14 დეკემბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე №4612, რომელიც დაამტკიცა სუკის თავმჯდომარემ გენერალ-მაიორმა ალექსი ინაურმა სეხნიაშვილის, ნადირაძისა და კაციტაძის წარდგენის საფუძველზე.

გაჩხრიკეს კონსტანტინეს ბინა გრიბოედოვის ქუჩაზე. აღმოაჩინეს ერთი ანტისაბჭოური ჩანაწერების საერთო რვეული და დასაკეცი დანა.

ზვიადი, მერაბი და მათი თანამოაზრენი დააპატიმრეს.

საქმე პროკურატურას გადაეგზავნა 1957 წლის 25 თებერვალს, ბოლშევიკური საქართველოს საზეიმო დღეს, სიმბოლურად, რა თქმა უნდა.

მაშინ ზვიადი 47-ე საშუალო სკოლას ამთავრებდა.

კონსტანტინე ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა.

ადრე მას სდევნიდა ხელისუფლება, ახლა შვილიც ამოიღეს ნიშანში.

საბოლოოდ ძიება შეწყდა. ანგარიში გაუწიეს კონსტანტინეს, რომელიც დიდად შემფოთდა შვილის ბედით.

მწერალს მხარი დაუჭირეს ცეკამ და მწერალთა კავშირმა. საბოლოო იტყვა ხრუმჩოვზე იყო, მას უნდა გადაეწყვიტა ახალგაზრდის ბედი, რადგან საქართველოს არავინ არაფერს ჰკითხავდა. ნიკიტამ სულგრძელობა გამოიჩინა და თქვა, გაუშვით, თავი დაანებეთ.

ზვიადი გაანთავისუფლეს 1957 წლის 5 მაისს.

უკვე ჩავლილი იყო მრისხანე წლები, დასრულებული იყო ჩეკისტების საჩვენებელი პროცესები და ხელისუფლება ათასგვარ პროფილაქტიკურ ხრიკს

მიმართავდა, რათა საქმე სასამართლომდე არ მიეყვანა. ეს ამბავი ისედაც გახმაურდა არა მხოლოდ საქართველოში, დასავლეთშიც კი.

ზვიადს მას შემდეგ სუკის მზერა არ მოსცილებია.

ზვიადისათვის კონსტანტინე არა მხოლოდ ხორციელი, სულიერი მამაც იყო. ცდილობდა ისე ეცხოვრა, როგორც მოეწონებოდა დიდ კონსტანტინეს. განა ტყუილად წერდა მოსკოვიდან თავის ვაჯას 1955 წლის 8 დეკემბერს:

"მე სულ მგონია, როცა შენს ახლოს არა ვარ, შენ ჭკვიანად იქნები. მე, ერთის მხრით, გული მტკივა, რომ შენი ბავშვობა თავდება, მეორეს მხრით მიხარია, როცა შენ სადაცაა ყველა ჩემს სურვილებს გაიგებ და მალე მხარში ამომიდგები. ალბათ შენთვის დამიწერია (თუ მითარგმნია) მე ჰომეროსის სიტყვები: ზევსს გეფიცები, აგელაი, ზევსს და მამაჩემის ტკივილებს"...

"გახსოვდეს, ეს ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწყენია, თუ ადამიანი არ იწვის რაიმე მაღალი და ზეადმტაცი ამბებისათვის. ამის გარეშე სხვა ყველაფერი ემსგავსება იმ საცოდავ და უშინაარსო ცხოვრებას, რომელსაც ეწევიან ხოლმე მცენარეები და ცხოველები. თუნდაც ჩემი გამწარებული ცხოვრებაც რომ აიღო, მე რომ დიდი იდეებისათვის მოლაშქრედ არ წარმომედგინა ჩემი თავი, ვეღარ გავუძლებდი იმ ქარიშხლებს, რომელთა გადატანაც ასე თუ ისე შევძელი"...

ზვიადი სწავლობდა ენებს, მუსიკას, ბიბლიას, ქართულ და ევროპულ მწერლობას, წერდა და თარგმნიდა, მაგრამ იგი უკვე შეეპყრო მამის ოცნებას, ოცნებას თავისუფალ საქართველოზე.

საბჭოური ბასტიონი ჯერაც ურყევი იყო და ზვიადი 1958 წლის ნოემბერში მეორედ დააპატიმრეს.

თითქოს იგი და მისი მეგობრები რუსთაველის პროსპექტზე თავს დაესხნენ მილიციას!

მალე კამერიდან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, რათა დაედგინათ, იყო თუ არა შერაცხადი.

კონსტანტინე ეახლა გივი ჯავახიშვილს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, თუ ჩემი ვასის წამება გაგრძელდება, თავს მოვიკლავო.

ზვიადი გაანთავისუფლეს და პირობითი სასჯელი აკმარეს.

"ვაზის ყვავილობა"

მანამდე, 1955 წელს კონსტანტინემ დაასრულა "ვაზის ყვავილობა", პროლოგიანი და ეპილოგიანი რომანი.

წერის პროცესში ხშირად დადიოდა კახეთის რაიონებში, ეცნობოდა პარტიულ მუშაკებს, ინტელიგენციას, კოლმეურნეებს, შრომის პროცესებს, სწავლობდა ვაზის კულტურას, იმეორებდა ამ კუთხის ისტორიას, კითხულობდა მსოფლიო ომის მასალებს, რათა ეჩვენებინა არა მხოლოდ მშრომელი, არამედ მეომარი ქართველები – დავითის დროის შთამომავალნი.

წიგნი "საბჭოთა მწერალს" წლების მანძილზე გეგმიდან გეგმაში გადაჰქონდა, რადგან ავტორს ტექსტი ვერ წარედგინა.

მიზეზი მრავალი იყო. პოლიტიკური სიტუაციები სწრაფად იცვლებოდა, "ვაზის ყვავილობა" თანამედროვე თემაზე დაწერილი რომანი იყო, გარკვეულად კონიუნქტურული. ჯერ იყო და ბერმუხის კოლექტივი ბერიას სახელობისა იყო. ბერია რომ დაემხო, მისი სახელი უნდა ამოეღო. შემდეგ იყო მალენკოვი, მალე ისიც ჩრდილში მოექცა. სტალინს ადიდებდა და პიროვნების კულტის კრიტიკა დაიწყო. ასევე არაერთი ხელმძღვანელი გამოიცვალა რესპუბლიკამ. იცვლებოდნენ რაიკომის მდივნებიც, მთავრობის ხელმძღვანელებიც. ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ მყარად იდგა, კომუნისტური პარტია გახლდათ და მწერალმაც მისკენ აიღო ორიენტირი. მაგრამ ვერც ძველ სიმბოლიკებს შეეღია. მაინც ამ წიგნში საგრძნობია არა მხოლოდ კომპრომისი, არამედ – შემოქმედებითი მოღვაწე. მწერალმა დიდ მასალას მოუყარა თავი, ასახა ახალი არეალი – კახეთი. პერსონასებად გამოიყვანა თუშები და კახელები. მაგრამ გააგრძელა ძველი სიმბოლური გეზი – ვაზის კულტს მიუძღვნა რომანი, რომელიც უკავშირდება დიონისურ რიტუალებს. მისი პერსონასები ადრევე ნატრობდნენ პატარა ვენახის გაშენებას, ახლა პროფესორი ვახტანგ კორინთელი ასრულებს მათ ნაოცნებარს და ვაზის კულტურას ნერგავს არაშენდა-გველეთის ზეგანზე.

ასევე სიმბოლურია ბერმუხა, რომელიც სამშობლოს ძლიერებას უკავშირდება. იგი გადარჩენილი მეცხრე მუხაა. დანარჩენი რვა საუკუნეთა მეხთა ტეხას

გაუნადგურებია, ეს ერთის მხრივ. მაგრამ მეორეს მხრივ მუხა ზევსის საყვარელი მცენარეა, როგორც ვაზი – დიონისოსი.

ასე რომ, რომანის სიმბოლური ხატები ელადისკენ იმზირებიან.

წიგნის ერთ-ერთი პერსონასია მედიკო ვაჩნაძე. მისი გვარის ძველი ფორმა არის ვაჩინაძე. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, ვაჩინა მამაკაცის ტოტემური სახეა და ნიშნავს მამალ თხას. როგორც დიდი მეცნიერი გადმოგვცემს, დვალები და ოსები თაყვანს სცემდნენ ვაჩინას, რომელსაც თხას სწირავდნენ.

ქისტეთში, როცა სალოცავს თხას სწირავდნენ, გაუგებარ სიტყვა "ოჩჩის" წამოიძახებდნენ ხოლმე.

ოჩი მეგრულად ვაცს ჰქვია (შდრ. – ოჩოკოჩი და ოჩოპინტრე).

ასევე ანტიკურ სამყაროსთან მივეყვართ პროფესორ ვახტანგ კორინთელის გვარს, რომლის წინაპრები, მწერლის თქმით, მესხეთიდან ყოფილან.

ელადაში არსებობდა პოლისი კორინთი, რომელიც ძვ. წ. X საუკუნეში დააარსეს დორიელებმა. გადმოცემით კორინთში უცხოვრია მედეას, კოლხთა მეფის აიეტის ასულს.

ასე რომ, მედეა ვაჩნაძისა და ვახტანგ კორინთელის სახელებს უძველეს ეპოქაში გადავყავართ.

სოფელი კორინთა არსებულა ქსნის ხეობაში, რომელიც ცნობილია XVII საუკუნიდან. X საუკუნეში უცხოვრია დაჩი კორინთელს. მას მოიხსენიებს "მატიანე ქართლისაჲ".

ქართველ პოლიტემიგრანტთა შორის იყო ეროვნულ-დემოკრატი, ცნობილი პიროვნება დავით ვაჩნაძე, რომელიც უკავშირდებოდა "საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს", როგორც კონსტანტინე სავარსამიძე და მისებრ დაჯილდოვდა თამარ მეფის ორდენით.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, 1956 წელს გამოიცა "ვაზის ყვავილობა", რომელიც ნაწილობრივ განსხვავდებოდა "მნათობში" დაბეჭდილი ტექსტისაგან.

წიგნის რედაქტორი იყო გიორგი ჯიბლაძე, განათლების მინისტრი.

"რედაქტორი ძიძაა წიგნისა", – აცხადებდა იმ ხანებში კონსტანტინე.

რომანს დიდი სიხარულით შეხვდა ოფიცოზი, მაგრამ მკითხველთა აღფრთოვანება არ მოჰყოლია – იქნებ იმიტომ, რომ აღძრული პრობლემები დრომ მოხსნა, აღარ იყო აქტუალური.

1957 წლის 26 ივნისს მწერალთა კავშირში შედგა განხილვა.

იგი ერთობ უღიმღამოდ წარიმართა, თუმცა მრავალი კეთილი სიტყვა ითქვა.

არც მკითხველებს, არც მწერლებს ინტერესი არ გამოუჩენიათ, რადგან ყველას ეს რომანი მიაჩნდა ბოლშევიკურ სატანასთან ხელშეკრულების ნაყოფად.

განხილვას თავმჯდომარეობდა დემნა შენგელაია, რომელმაც "ვაზის ყვავილობას" დიდი მოვლენა უწოდა, ხაზი გაუსვა მწერლის სირთულეს, გაგების აუცილებლობას.

"სანავარდოს" ავტორი ყოველთვის ისე ლაპარაკობდა, როგორც ცეკას სიამოვნებდა.

მომხსენებელი იყო ბესო სლენტი.

მან სიხარულით აღნიშნა, კონსტანტინე თანამედროვეობას დაუბრუნდაო. მწერალს ბუნების უბადლო მხატვარი და დიდი ხელოვანი უწოდა. როგორც "მთვარის მოტაცებაში", აქაც ორი სამყაროს ჭიდილია ნაჩვენები, მაგრამ ამჯერად ახლის პოზიციაზე დგასო.

ზოგს ჰგონია, კონსტანტინეს იმიტომ ვაქებთ, რომ იგი შეიცვალაო. არა, ჩვენც შევიცვალეთო. ჩვენ ვაქებთ მის პოზიციას და ტალანტსო.

ლავროსი კალანდამემ და აკაკი ბელიაშვილმა ასევე დიდი მწერალი უწოდეს კონსტანტინეს. აკაკი ბელიაშვილმა თავის მასწავლებლად მიიჩნია, "ვაზის ყვავილობა" გადაჭარბებით შეაფასა – უდიდესი მოვლენააო.

გამომსვლელთა რიცხვი ამ რამდენიმე კაცით ამოიწურა.

შემდეგ თავად ავტორმა ისაუბრა. მწერლის თქმით, ზესტაფონში, სუფრაზე, ერთი კაცი გაუცვნია, რომელიც ფრონტზე დამუნჯდა. სოფელში მობრუნებულს დედამ უთხრა, შეხედე, შვილო, რა ლამაზია ვაზის ყვავილობაო. ასე ამოუდგამს ომგადახდილ ჯარისკაცს ენა.

კონსტანტინეს ედავებოდნენ რომანის ფინალის გამო. გოდერძის ამეტყველება ექიმებს მიანდეთო. მაგრამ ალბათ სჯობდა ის ვერსია, რომელიც განხილვაზე

განაცხადა – როგორ დაუბრუნა დაკარგული მეტყველება გულდამწვარმა დედამ შვილს...

საბოლოო სიტყვა ბესო სლენტმა თქვა.

მან აღნიშნა, დღეს დისკუსია არ გამოგვივიდა, საკითხი მომზადებული არ იყო.

შესაძლოა, მიზეზი ისიც იყო, რომ ზაფხული იდგა და მწერლები ქალაქიდან გაკრეფილიყვნენ.

კალანდაძე და სლენტი ცხარედ შეეკამათნენ ერთმანეთს.

ლავროსი არ აიგივებდა საბჭოთა მწერლობასა და სოციალისტურ რეალიზმს.

კონსტანტინეს და მიხეილ ჯავახიშვილს არ თვლიდა სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლებად.

ბესომ დაგმო ასეთი პოზიცია, ჩვენ ყველას ერთი მეთოდი გვაქვსო. ასე დაადგინა საკავშირო მწერალთა პირველმა ყრილობამო!

თელავში

ამის შემდეგ თელავმა მიიწვია მწერალი.

კვირა დილით კახეთის გზას დაადგნენ კონსტანტინე, გიორგი ნატროშვილი და მწერლის ქალიშვილი – თამარი.

"ვილისს" ძველებურად ავქსენტი წოწორია მართავდა.

სტუმრებს მასპინძლობდნენ თელაველი მასწავლებლები – ცოლ-ქმარი მიხეილ ცაკაშვილი და თამარ თვალაშვილი. დაათვალიერეს ვარდების ბაღი, მაგრამ სარდაფის კიბე არ მოეწონა კონსტანტინეს, აქ კაცი ფეხს მოიტეხსო. ღამე სასტუმროში არჩია დარჩენა, უფრო თავისუფლად ვიქნებო.

თეატრთან მისულს ხალხი შემოეხვია, შეკითხვები დააყარეს.

მოხსენება წაიკითხა პედაგოგმა ქეთევან ხმიადაშვილმა.

გიორგი ნატროშვილი მოჰყვა თუ როგორ დაიწერა "ვაზის ყვავილობა", რა მნიშვნელობა ჰქონდა მას და ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნასაც უპასუხა.

ბანკეტი ცაკაშვილის ოჯახში გაიმართა.

მეორე დილით პურ-მარილით აავსეს "ვილისი" და ასე გაისტუმრეს ავტორი თბილისში.

... გომბორის ტყეში ახალი სუფრა გაიშალა.

"ერთი წერილი მე ვერ მომსპობს"

ლავროსი კალანდაძემ ქართულ და რუსულ პრესაში ვრცელი წერილები დაბეჭდა "ვაზის ყვავილობაზე", წიგნი შეუქო ავტორს, მაგრამ შენიშვნებიც მოაყოლა, გულწრფელად თქვა, რაც არ მოეწონა.

კონსტანტინე რუსთაველზე გადაეყარა ლავროსის, თავაზიანად მიესალმა, ხელი გამოსდო და დინჯად უთხრა:

– შენი წერილი ერთობ მწარეა, მაგრამ ლიტერატურულად კარგად გაგიგართავს. ოღონდ იცოდე, ერთი წერილი, რაც უნდა სუსხიანი იყოს, მე ვერ მომსპობს...

ლავროსი შეცბუნდა, მოუბოდიშა, მე მხოლოდ თქვენი სიკეთე მსურსო.

კონსტანტინემ ყური არ ათხოვა და დინჯად განაგრძო:

– ერთი კრიტიკული წერილი ჩემს საფუძვლებს ვერ შეარყევს. არ მოველოდი შენგან ასეთ დაუნდობელ მოპყრობას! მაგრამ გახსოვდეს – მე მხოლოდ ორ კრიტიკოსს ვთვლი ყურის გდების ღირსად – ნატროშვილსა და გაწერელიას.

ეს უთხრა და პროსპექტს გაუყვა, ჭადრების ჩრდილში დატოვა გულდაწყვეტილი ლავროსი.

ქართული რვატომეული

"ვაზის ყვავილობის" გამოცემამ ხელისუფლების გული საბოლოოდ მოაღბო.

ცეკას გადაწყვეტილი ჰქონდა სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკით დაბნეული ინტელიგენცია ახალი წიგნების პუბლიკაციით გაეხარებინა.

სტალინის სიკვდილისთანავე სტალინური პრემიების გაცემა შეწყდა.

შემდეგ სტალინური პრემიის სახელი შეიცვალა, სახელმწიფო პრემია ეწოდა.

დაარსდა ლენინური პრემია.

მაგრამ ჯერჯერობით ინტელიგენცია სახელმწიფო ჯილდოს გარეშე რჩებოდა.

ქართველ მწერალთაგან მხოლოდ გალაკტიონის მრავალტომეული გამოდიოდა.

1957 წლის 6 ივნისს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა რამდენიმე მწერალთან ერთად კონსტანტინეს თხზულებათა სრული კრებული გამოეცა.

საკითხის მომზადება დაევალა შალვა აფხაიძეს.

11 აგვისტოს სრულტომეულისთვის გამოჰყვეს სარედაქციო კოლეგია – ირაკლი აბაშიძე, გიორგი ნატროშვილი, სერგი ჭილაია.

კონსტანტინესა და სხვა მწერლების სრულტომეული ცეკას უკვე დაემტკიცებინა.

საბოლოოდ სრულტომეულის ცნება დაზუსტდა, არსებითად შეიცვალა, მას ეწოდა – "რჩეული თხზულებანი. რვატომეული".

ასე მოხდა სხვა მწერლების – იოსებ გრიშაშვილის, შალვა დადიანის, სანდრო შანშიაშვილის, ლეო ქიაჩელის, გიორგი ლეონიძის მიმართაც.

რვატომეულის პირველ ტომში შევიდა "მთვარის მოტაცება", რომლითაც იხსნება მწერლის ყველა კრებული.

წიგნი მაშინვე ჩაბარდა გამომცემლობა "საბჭოთა საქართველოს".

ხელი მოეწერა დასაბეჭდად 1958 წლის 13 ოქტომბერს.

პირველ ტომს უძღვის ავტორის პორტრეტი, შესრულებული ქეთევან მაღალაშვილის მიერ.

რვატომეულის ტირასი იყო 40 000 ეგზემპლარი.

ასეთი ტირასით კონსტანტინეს ჯერ წიგნი არ გამოეცა.

ამის შემდეგ თითქმის ყოველ წელს გამოდიოდა მომდევნო ტომი.

რვატომეულის გამოცემა დასრულდა 1968 წელს, თუმცა ბოლო ტომი გამომცემლობას ხელთ ჰქონდა ორი წლით ადრე.

რვატომეულის გამოცემის ნებართვა და დაწყება ოფიციალური მიერ მწერლის სრულ პოლიტიკურ რეაბილიტაციას ნიშნავდა.

წამების მატთანე

მამ ასე – ეპოქა იცვლებოდა და კონსტანტინეს წამებასაც ბოლო ეღებოდა. მისი სახელის ირგვლივ არსებული სიძულვილის ნისლეული იფანტებოდა.

როგორც გვახსოვს, 1914 წელს გერმანელმა ნაციონალისტებმა დაიჭირეს და ტრაუნშტაინის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს.

1922 და 1924 წლებში ბოლშევიკებმა სტაცეს ხელი და მეტეხის ციხეში ჩაამწყვდიეს.

1926 წელს ბუტირკის ციხეში გადააგზავნეს, როგორც გერმანელთა ჯაშუში. იქედან სოლოვკის არქიპელაგზე გაამწყესეს, ამ სიშორიდან როგორ მობრუნდებო!

1937 წელს ესოვი იძლეოდა მწერლის დაპატიმრების განკარგულებას.

1938 წელს გოგლიძე ბერიასაგან სანქციას ითხოვდა კონსტანტინეს დატუსაღებაზე, კონტრრევოლუციონერი და ფაშისტიაო!

1947 წელს ჩარკვიანი და რაფავა სტალინს ეახლნენ და კონსტანტინეს გაციმბირება ურჩიეს, პატივს ვცემდით, მაგრამ რა ვქნათ, იატაკქვეშა ფაშისტური ორგანიზაციის წევრი აღმოჩნდაო!

1952 წელს აკაკი მგელაძე მოითხოვდა კონსტანტინეს იზოლირებას, მაგრამ სტალინმა ამჯერადაც თავი შეიკავა.

1954 წელს ალექსი ინაურმა გამოიჩინა თავი: ახლა იგი უპირებდა "მთვარის მოტაცებისა" და "დიდოსტატის მარჯვენის" ავტორს ციხეში გამომწყვდევას. მაგრამ მოსკოვი ისევ დუმდა, რომელიც სტკებოდა ნაციონალისტი მწერლის წამებით, ხოლო სასიკვდილოდ არ იმეტებდა!

ამასობაში დაჰბერა განახლების სიომ და სუკის მიერ 1925 წლიდან დაწყებული, მწერლის დამუშავება და თვალთვალი შეწყდა:

1958 წელს საქართველოს სუკმა სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის კრუგლოვის მითითებით გადაამოწმა ქართველი ნაციონალისტების საქმე და 5 სექტემბერს დაასკვნა, რომ კონსტანტინე გამსახურდია ჯაშუში არ არის და არც ყოფილა, თუმცა "ნაციონალისტურად განწყობილ პიროვნებად დარჩაო".

ასე დასრულდა კონსტანტინეს პოლიტიკური რეაბილიტაცია.

29. იქმენინ ნათელი

გამეპარე, სიჭაბუკე,

მომეპარე ჭალარავ,

იმ ჩქროლვის, იმ ქარბუქის

მითხარით, შემრჩა-ლა-რა?

გიორგი ლეონიძე

იწერება "დავითის" IV წიგნი

"ვაზის ყვავილობა" რომ დაამთავრა, ისევ "დავითს" მიუბრუნდა.

ახლა ეკონომიკურად აღარ უჭირდა.

ვალეზი გაისტუმრა, რაც სხვადასხვა გამომცემლობიდან ავანსად აელო დევნა-შევიწროების წლებში, როცა წიგნებს აღარ უცემდნენ.

ნათელას ოჯახს ეხმარებოდა, ფულს უგზავნიდა, ურჩევდა – მცირედიტაც კმაყოფილი ყოფილიყო.

"კოლხური კომპის" მშენებლობას საკმაო თანხა დასჭირდა.

ხელმოკლეობის გამო იგი დიდხანს ვერ დაამთავრა.

ინსინრებს ემდუროდა – გათბობის სისტემა ცუდად დაემონტასებინათ და ოთახებში სიცივე იდგა.

1956 წლის 28 ნოემბერს წყალტუბოში მცხოვრებ ნათელას ატყობინებდა:

"არ დამიჯერებ, მე თვით კომპში ვმუშაობ და შეზღონგზე ვწევარ და რიგიანი საწოლი ვერ ვიშოვნე. აქა-იქ არის, მაგრამ ფანტასტიური ფასებია".

კომპში ვმუშაობ და ცეცხლს თვით ვანთებო.

1957 წლის 7 აგვისტოს ქალიშვილს სწერდა:

"ზვიადის ამბებმა შარშან და წრეულს, ბარე ცხრა თვის მანძილზე გამაგდებინა კალამი ხელიდან".

ახლა დღე და ღამეს ვასწორებ და "დავითის" IV წიგნს მალე დავასრულებო.

მაგრამ კარგა ხანი გასულიყო მას შემდეგ, რაც ამ რომანს მოსწყდა.

ამიტომ ძველებური გატაცებით ველარ წერდა.

ჯერ სიბერეს არ უჩიოდა, მაგრამ წელთა სიმრავლე მაინც მხრებზე აწვებოდა, დროს თავისი გაჰ-ქონდა.

1958 წლის მარტში თირკმელები სტკიოდა და არ იცოდა, შეძლებდა თუ არა მოსკოვში, დეკადაზე წასვლას.

ყოველდღიური საზრუნავიც იზრდებოდა. ტომეულები უნდა შეედგინა, გამოცემისა და კორექტურისთვის თვალი ედევნებინა.

ფაჩა ავადმყოფობდა, კონსტანტინე ექიმებს ეძებდა, საავადმყოფოში დადიოდა.

ახლა ისევ უნდა აღედგინა ის ატმოსფერო, რომელშიც წერის პროცესში ცხოვრობდა, ხელმეორედ სწავლობდა მასალებს.

1958 წლის 18 თებერვალს ნათელას ოჯახს სწერდა:

"ჩემს თავს არ ვეკუთვნი. ვებრძვი დავითის მეოთხე წიგნს. ისეთი რთული საქმეებია, ლამისაა შემიწიროს. უამრავი ლიტერატურა მომიგროვდა. ჯერ ამას ყოველივეს შესწავლა უნდა, მერმე მხატვრული გაფორმება".

12 მარტს გულდაწყვეტით აუწყებდა ქალიშვილს:

"საფრანგეთში ჩემი რომანის გამო ულოცავენ მირანდას, მილიონებს მიიღებთო, არც ის იციან, რომ მე არც არაფერს მივიღებ".

"დავითის" წერას აგრძელებდა, მაგრამ მოზღვავებული მასალა ვეღარც მეოთხე წიგნში ეტეოდა.

პარალელურად ახალ რომანზე ფიქრობდა. გიორგი მერკვილაძეს ეუბნებოდა, ქართველ ქალზე უნდა დავწერო წიგნი, ხომ გამომიცემო. ურიგოდ შვეიცანთ გეგმაში, ბატონო კონსტანტინეო, აიძულებდა გამომცემლობის დირექტორი.

შეიძლება მწერალი უკვე მაშინ ოცნებობდა თამარის ეპოქაზე.

ესსეების ორტომეული

1956 და 1959 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მკითხველს მიაწოდა კონსტანტინეს ესსეების ორი ტომი – Essais.

1928 წლის შემდეგ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების წიგნი არ გამოეცა.

დაწერილი ჰქონდა უამრავი პოლიტიკური და ლიტერატურული ესსე.

კონსტანტინეს ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული ქართული ენის პრობლემატიკა, ძველი, ახალი და უახლესი ქართული მწერლობა, რუსი, გერმანელი, ფრანგი, იტალიელი, ინგლისელი, ნორვეგიელი ავტორები.

წერდა მხოლოდ დიდ მწერლებზე, რომლებიც ისტორიას შუქურასავით ანათებდნენ და მომავალ თაობათათვის სანიმუშონი იყვნენ.

ეხებოდა ქართული მწერლობის მოდერნიზების პრობლემას, რომანის, პროზის, პოეზიის, კრიტიკის, მისტიკისა და ფილოსოფიის საკითხებს.

1921 წლამდე გრიგოლ რობაქიძე იყო ქართული მწერლობის მთავარი იდეოლოგი, შემდეგ – კონსტანტინე.

მას ლიტერატურის ისტორია, როგორც გარდასული პროცესი, არ აინტერესებდა.

წარსულს იხსენებდა მომავლისათვის, ახალი სიტყვის სათქმელად, როგორც მწერალი.

მაგრამ წარმოდგენილ ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრობლემატიკას ყურადღება არ აქცევდნენ, რადგან იგი მიმართული იყო სოციალისტური რეალიზმის წინააღმდეგ.

არადა კონსტანტინე არა მხოლოდ რომანებით, არამედ თარგმანებითა და თეორიული ნააზრევითაც იყო ქართული მწერლობის ცენტრალური ფიგურა, ახალი მხატვრული კონცეფციის შემქმნელი.

თავისი პრინციპების დასაცავად არავის ეპუებოდა. წერდა პოლემიკურ წერილებს, განცხადებებს, გამოდიოდა თათბირებსა და პლენუმებზე.

პოლიტიკური ესეების დიდ ნაწილს, რაც 10-20-იან წლებში დაეწერა, ტაბუ ედო. მხოლოდ მათი გამოქვეყნება შეეძლო, რომლებიც ამხელდა გერმანელ ფაშისტთა, ამერიკელ და თურქ იმპერიალისტთა ზრახვებს.

ლიტერატურული ესეებიც უნდა შეესწორებინა, დროის შესაბამისად.

რასაც გუშინ აქებდა, დღეს უნდა უარეყო.

ბერიას ხსენება აიკრძალა, სტალინისა – რეგლამენტირებული გახდა.

იცვლებოდა თვალსაზრისი პარტიებზე, პიროვნებებზე, ეროვნულ პრობლემებზე.

ავტორს ესეც უნდა გაეთვალისწინებინა, არადა წიგნს არ გამოუცემდნენ.

მიუხედავად მრავალგვარი შეზღუდვისა და გაფილტვრისა, ორტომეულის გამოცემა დიდმნიშვნელოვანი ფაქტი იყო – იგი წარმოაჩენდა დიდ ერუდიტს, მოაზროვნესა და იდეოლოგს.

პარიზი – ხელოვნების მექა

1957 წლის დეკემბერში ფრანგული გაზეთი "ლუმანიტე დიუმანში" მკითხველს აუწყებდა, რომ ითარგმნა და გამოიცა ჯერეთ უცნობი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას რომანი "დიდოსტატის მარჯვენა".

მართლაც – რას არ მოესწრება ცოცხალი კაცი: გუშინ თბილისში წიგნს უწვავდნენ, დღეს პარიზში იბეჭდებოდა!..

რომანი რუსული ტექსტიდან თარგმნა რენე დომეკმა.

გამოსცა "ფრანგ მწერალთა გაერთიანებამ".

წიგნს დიდი მოწონებით შეხვდნენ ინტელიგენციის წრეები. გამოეხმაურა არაერთი ცნობილი ლიტერატორი (რესი ბერსერონი, ანდრე ვიურმსერი და სხვ.), ჟურნალ-გაზეთები – "ლუმანიტე", "დე ლეტრ ფრანსეზი", "მიდი ლიბრი", "საფრანგეთ-საბჭოთა კავშირი", "უფი", "მესიდორი", "ეკოლ ელა ნასიონ", "ფრანს-ლიურსი", "ტრიბუნ დე სენევი" და სხვ.

"ლუმანიტე დიუმანში" მთელი 1958 წლის მანძილზე ბეჭდავდა სან დორვილის ილუსტრაციებისა და რომანის ადაპტირებულ ტექსტს.

წიგნის წარმატების შესახებ ქართული პრესა სისტემატურად აქვეყნებდა ინფორმაციებს, ხოლო მოსკოვი დუმდა და ეს შენიშნა ალექსეი სურკოვმა, საბჭოთა კავშირის მწერალთა ახალმა ხელმძღვანელმა.

პარიზში, ამ ხელოვნების მექაში, რომანის დაბეჭდვა ავტორის საერთაშორისო აღიარებას ნიშნავდა. თანაც პროფესიონალებმა იგი გულწრფელად მოიწონეს. ხოლო ფართო მასებში პოპულარული არ გამხდარა.

ამიტომ წიგნი მეორედ არ გამოცემულა.

"დიდოსტატის მარჯვენა" იყო საბჭოური სამყაროს მესამე ქართული რომანი "გვადი ბიგვასა" და "კოლხეთის ცისკარის" შემდეგ, რომელმაც დასავლეთში შეაღწია.

მაშინ უკვე იწყებოდა ბურსუაზიულ სამყაროსთან კულტურული ურთიერთობა.

ლუი არაგონი და საკ დიუკლო ცდილობდნენ საბჭოთა კულტურის პროპაგანდას, მის ღირსებათა წარმოჩენას.

4 თებერვალს კონსტანტინემ მადლობის წერილები გაუგზავნა საკ დიუკლოსა და რენე ღომეკს.

სათარგმნელ წიგნთა სიას მოსკოვი ადგენდა – რესპუბლიკის ხელისუფალთა, რესპუბლიკის მწერალთა კავშირების თანხმობით.

მოქმედებდა ფილტრაციისა და წახალისების ჩვეულებრივი კომუნისტური სისტემა.

მოსკოვის რეკომენდაციის გარეშე "დიდოსტატის მარჯვენას" ხელს არავინ მოკიდებდა.

კონსტანტინეს უნდოდა "მთვარის მოტაცება" და "დავით აღმაშენებელიც" ეთარგმნათ. თავისი სურვილი მაშინვე, 1958 წლის 4 თებერვალს პარიზს შეატყობინა. მაგრამ საბჭოეთის დედაქალაქი დასტურს არ იძლეოდა და ისინიც არავის უთარგმნია.

პასტერნაკის გარშემო ატეხილი ხმაურის გამო ყველა დამფრთხალი იყო და უცხოეთში საბჭოთა წიგნის ვიზირებას თავს არიდებდნენ.

სხვათა შორის, პასტერნაკის წინააღმდეგ ლაშქრობაში კონსტანტინეს მონაწილეობა არ მიუღია.

კონსტანტინეს წიგნთაგან დასავლეთი ყველაზე უკეთ მიიღებდა "დიონისოს ღიმილს", თავის დროზე რომ თარგმნილიყო. იგი ეხმიანებოდა და კარგად გამოხატავდა იმ პროცესებს, რაც ოციანი წლების ევროპულ ლიტერატურასა და ადამიანთა ცნობიერებაში ხდებოდა.

ფაქტია, რომ საბჭოეთის მწერალთა წიგნები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დასავლეთში არასოდეს აღიარებული არ ყოფილა.

კონსტანტინე წინააღმდეგი იყო, რომ მისი წიგნები რუსულიდან ეთარგმნათ. ამიტომ ზოგიერთ თარგმანზე უარი განაცხადა. მოსკოვი უცხოურად ისე თარგმნიდა და გამოსცემდა, ავტორს არც ეკითხებოდა. მთარგმნელებს აფრთხილებდნენ, კონსტანტინეს არაფერი უთხრათ.

ამის გამო გულდაწყვეტით ილაპარაკა პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე 1960 წლის 15 სექტემბერს.

კინოსცენარი და ტრაგედია "დიდოსტატის

კონსტანტინეს მარჯვენა"

გულით ეწადა, თავისი პერსონასები ეკრანზე ეხილა. არაერთხელ სცადა ოცნების განხორციელება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახლა, როცა ხელისუფლებამ კეთილი თვალით შეხედა, კულტურის მინისტრს სთხოვა, სანამ მოვკვდებოდე და სხვა ვინმე საქმეს გააფუჭებდეს, მინდა ჩემი "დიდოსტატი" ფილმად ვნახო.

ეს იყო 1957 წელს.

მინისტრის მხარდაჭერითა და რჩევით, 9 ოქტომბერს განცხადებით მიმართა კინოსტუდიის დირექტორს გ. გოგოლაშვილს და კინოფილმ "დიდოსტატის მარჯვენის" პროექტიც წარუდგინა.

სცენარი არ ჰქონდა დაწერილი.

ხელშეკრულება გაუფორმეს 4 ნოემბერს.

ხელი მოაწერეს სასცენარო განყოფილების უფროსმა რევაზ თაბუკაშვილმა და ავტორმა.

ჰონორარად უნდა მიეცათ 40 ათასი მანეთი.

სცენარი დროულად ვერ წარადგინა და 1958 წლის 10 ივნისს სასცენარო განყოფილების ახალი უფროსი გ. ასათიანი თხოვს, რომ სცენარი მოიტანოს.

შემდეგ მოსულა განყოფილების კიდევ ახალი უფროსი მ. კაკაბაძე და ისიც, 1959 წლის 9 მარტს, ითხოვს სცენარს.

პასუხად ახალ დირექტორს აკაკი ძიმიგურს კონსტანტინე 8 აპრილს სთხოვს, ვადა 30 დეკემბრამდე გაეგრძელებინათ.

ძიმიგური დაეთანხმა და 30 ივლისს შეატყობინა, რომ სცენარი 31 დეკემბრამდე წარმოედგინა და რესისორად დაუნიშნა ვახტანგ ტაბლიაშვილი.

მაგრამ სცენარი ვერც ამჯერად დაწერა და 30 დეკემბერს აკაკი ძიძიგურს სთხოვა ვადის ერთი წლით გაგრძელება.

მართლაც, 1960 წელს სცენარი დაასრულა და 15 ოქტომბერს მწერალთა კავშირის კლუბში მოეწყო კითხვა-განხილვა.

სცენარი თავად წაიკითხა. გამოვიდნენ და აზრი გამოთქვეს აკაკი ბელიაშვილმა, ალექსანდრე ქუთათელიმა, სერგი ჭილაიამ, ბესო სდენტმა, რესისორმა კანდელაკმა.

ბოლოს ისევ კონსტანტინემ აიღო სიტყვა – მე კინოსაგან შორს ვდგავარ, მაგრამ იგი ნაციონალური კულტურის პროპაგანდის დიდი საშუალებააო.

1961 წლის 29 მარტს კინოსტუდიის ახალ დირექტორს მიხეილ კვესელავას სთხოვს, რომ დაედგათ "დიდოსტატის მარჯვენა".

მართლაც, 3 აპრილს დაიდო შეთანხმება, რომ კინოსტუდია იძენდა "დიდოსტატის მარჯვენის" ეკრანიზაციის უფლებას და ავტორს აძლევდა ჰონორარს 2 000 მანეთს (ფულის ახალი კურსით).

ძველი ხელშეკრულება გაუქმდა. მიღებული ჰონორარი ჩაეთვალა ახალი შეთანხმების ანგარიშში, რასაც ხელი მოაწერეს დირექტორმა მიხეილ კვესელავამ, სასცენარო განყოფილების უფროსმა მ. მგალობლიშვილმა და ავტორმა (ლიტ. და ხელ. ცენტრ. არქივი, ფონდი 52, აღ. 2, საქმე 2179).

სხვადასხვა დროს ორჯერ წარადგინა სცენარი, მაგრამ რადგან დიდხანს გააჭიანურა, ალბათ წერდა ტრაგედიას "დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენას" (ათტომეული, ტ. X). მაგრამ არც ეს იქნებოდა მისაღები კინოს მესვეურთათვის, ამიტომ შესთავაზა სცენარი, რომელიც არ მოიწონეს და რომანის ეკრანიზაცია კარგა ხნით შეფერხდა.

1958 წლის 21 სექტემბერს ვახტანგ ტაბლიაშვილი ბათუმიდან სწერდა კონსტანტინეს რუსთაველის თეატრში "დიდოსტატის" დადგმის გამო. რომანი 80 გვერდამდე დავიყვანე, მაგრამ მინდა ვიცოდე, დადგამენ თუ არაო.

არც ეს დადგმა არ განხორციელებულა.

მოსკოვში, დეკადაზე

მოსკოვს უნდოდა ქართველების მოფერება, მართალია, სტალინი გავაკრიტიკეთ, ბერია დავხვრიტეთ, 9 მარტს დემონსტრანტები დავხოცეთ, მაგრამ ჩვენ ხომ ძმები ვართო, კომუნიზმს ხომ ერთად ვაშენებთო, გულში ცუდს ნურაფერს გაივლებთო.

ამიტომ გადაწყვიტეს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის ჩატარება.

მაგრამ 1957 წელს ეს ვერ მოხერხდა და მომავალი წლისთვის გადაიდო.

გამოვიდა მრავალი ქართველი ავტორის წიგნები, გაიცა ჯილდოები, წოდებები და ორდენები. გულჩვილი მოსკოვი სიყვარულსა და წყალობას უხვად არიგებდა, ნიანგის ცრემლებს ღვრიდა.

1958 წლის 17 აპრილს კონსტანტინეს უბოძეს შრომის წითელი დროშის ორდენი.

მხოლოდ ირაკლი აბაშიძე დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

მოსკოვს უნდა გამოეცა კონსტანტინეს "ერთტომეული", მაგრამ ეს ვერ გაკეთდა.

დეკადისთვის უნდა დაბეჭდილიყო "ვაზის ყვავილობა".

1957 წლის 12 ნოემბერს სერგი ჭილაია აცხადებდა, "ვაზის ყვავილობას" სცემს "Советский Писатель"-ი და დეკადისთვის მზად იქნებაო. მაგრამ ეს რომანი მხოლოდ 1960 წელს მიიღო რუსმა მკითხველმა.

დეკადაზე წარადგინეს "დავით აღმაშენებელი".

მოსკოვში რუსმა კოლეგებმა განიხილეს ქართველი მწერლების წიგნები.

პროზის გამო იმსჯელეს 24 და 25 მარტს.

სირასმა მოიწონა "ხოგაის მინდია", ს. ევგენოვმა, ა. მაკაროვმა და ს. ტრეგუბმა შეაქეს "ვაზის ყვავილობა". რომანი გამოცემული არ იყო, არც თარგმანი არსებობდა. რუსები გაეცნენ მიხეილ ქვლივიძის მიერ შესრულებულ ბჭკარედს, მაგრამ გულდასმით წაეკითხათ წიგნი და დეტალურად იმსჯელეს.

ზოგმა ერთმანეთს შეადარა "მთვარის მოტაცება" და "ვაზის ყვავილობა" და უპირატესობა ახალ რომანს მიანიჭა.

ს. ევგენოვი შენიშნავდა, კონსტანტინეს რომანებს "ლიბიდო სექსუალის" უდევსო საფუძვლად, თარაშის ფილოსოფია ნიცშესა და ფროიდის ნაზავიაო.

ცხადია, ნიცშე და ფროიდი მაშინ ბნელეთის მოციქულებად მიაჩნდათ.

ს. ევგენოვი კონსტანტინეს დიდ მწერალს უწოდებდა, თუმცა ისტორიულ პროზაზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ.

ალექსეი სურკოვი სინანულით აღნიშნავდა, რომანის ბწკარედით განხილვა გაუგონარი ამბავიაო. ნაწარმოები მხოლოდ შინაარსი კი არაა, ენის ქსოვილია მთავარიო.

სიტყვით გამოვიდა ვიქტორ შკლოვსკიც, მაგრამ კონსტანტინეზე არაფერი უთქვამს.

კონსტანტინემ აღნიშნა, მოსკოვში ქართული ენის კათედრა უნდა დაარსდეს, რომელიც კვალიფიციურ მთარგმნელებს მოამზადებსო.

სურკოვი დაეთანხმა, მაგრამ არც კათედრა შეიქმნა და არც რუსებმა ისწავლეს ქართული.

29 მაისს გამგეობის პლენუმზე კმაყოფილებით ჰყვებოდა, რომ მოსკოვში უაღრესად გულითადად ეპყრობოდნენ ქართველებს როგორც კოლეგები, ისე რიგითი მოქალაქენი.

"მოსკოვი სუნთქავს ჩვენდამი სიყვარულითო", – ამბობდა იგი დეკადიდან დაბრუნების შემდეგ.

უცხოელი სტუმრები

ფრანგ გამომცემლებთან მიწერ-მოწერა გრძელდებოდა.

კონსტანტინე მათ საქართველოში ეპატისებოდა.

1959 წლის 11 აგვისტოს "კოლხურ კომკს" ეწვია ფრანგი მწერალი, "დიდოსტატის მარჯვენის" თარგმანის რედაქტორი რენე უნცბიუკლერი მეუღლითურთ. დომეკის თარგმანის სტილი მას გაესწორებინა.

კონსტანტინეს გაეხარდა სტუმრების მოსვლა.

სუფრაზე ყანწით შესვა ქართველი და ფრანგი მწერლების სადღეგრძელო.

ისაუბრეს მწერლობაზე, საქართველოს წარსულზე, შემდეგ მანქანით გაიარეს ქალაქში, იყვნენ სიონში.

რამდენიმე დღის შემდეგ ინდოელმა სტუმრებმა – ცოლ-ქმარმა შუკრია გხოშმა და შუბხამოი გხოშმა მოაკითხეს.

მათ ინგლისურიდან ბენგალურად ეთარგმნათ "დიდოსტატის მარჯვენა".

კონსტანტინე კმაყოფილი იყო, მისი რომანი თავორის ენაზე რომ ამეტყველდა. სტუმრებს აჩვენა თავისი წიგნები, ესაუბრა ქართულ კულტურაზე, ეზო დაათვალიერებინა, მეორე დღეს ვაგზლამდე მიაცილა.

რამდენიმე თვის შემდეგ ინდოელმა სტუმრებმა სიყვარულით აღსავსე წერილი გამოუგზავნეს.

1964 წლის აგვისტოში კონსტანტინეს მოწვევით თბილისში ჩამოვიდა მხატვარი სან დორვილი და მწერალს გადასცა თავისი 47 ნახატი.

კონსტანტინეს ძალიან გულთბილად, მეგობრულად ეპყრობოდნენ ფრანგები.

მათი ურთიერთობა გასცილდა ერთი წიგნის გამოცემის ფარგლებს. ისინი გულწრფელად სცემდნენ პატივს დიდ ქართველ მწერალს, მაგრამ თუ სხვა წიგნი არ გამოსცეს, აქ ალბათ ისევ საბჭოთა ხელისუფლების ხელი ერია.

უცხოეთთან ურთიერთობას მთლიანად სუკი აკონტროლებდა.

ამიტომ ცალკეულ სტუმრებს კონსტანტინესთან შეხვედრაზე უარს ეუბნებოდნენ, იმიზეზებდნენ, ხან – ავად არისო, ხანაც – თბილისიდან გასულიაო.

ასე უთხრეს ჯონ სტეინბეკს, ინგლისელ სტუდენტებსა და მთარგმნელს.

სუკი ფრთხილობდა, კონსტანტინემ ჩვენი წყობილების კრიტიკა არ გამოურიოს საუბარში, ან რაიმე ნაციონალისტური არ დასცდესო.

მაგრამ მიკოლა ბასანს, ნიკოლაი ტიხონოვს, ალექსეი სურკოვს ან სხვა რომელიმე ცნობილ საბჭოთა მწერალს არავინ უშლიდა მწერალთან სტუმრობას.

ზოგ მათგანთან შეხვედრა თავად კონსტანტინეს არ უნდოდა.

1961 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა მიხეილ შოლოხოვი. კონსტანტინეს იგი არ უყვარდა და არც შეხვედრია.

შოლოხოვმა საქართველო მოიარა, მაგრამ მწერალთა კავშირში მისვლის სურვილი არ გამოუთქვამს.

საწერ მაგიდასთან

"დავით აღმაშენებლის" წერას აგრძელებდა.

მწვანედ მოპირკეთებულ ბუხართან ედგა ოვალური მაგიდა.

ბუხარი უყვარდა, ბუხარი ოცნებებს აღვივებდა.

გალაკტიონიც ამბობდა, ცეცხლი ფიქრიანიაო.

კედელზე ეკიდა მოჩუქურთმებული დიდი ვენეციური სარკე, რომელიც შახპარონიანისაგან იაფად შეესყიდა.

ყოველ თხუთმეტ წუთში რეკავდა ძველებური ბეკერის საათი.

ოთახს ამშვენებდა მწერლის პორტრეტი, შესრულებული ქეთევან მაღალაშვილის ყალმით.

თავზე დაჰნათოდა მრავალსანთლიანი ჭალი. მაგრამ ღამით სანთელს არჩევდა. სანთლის ლიცლიცი და მკრთალი შუქი მთაწმინდელების ეპოქას თუ აგონებდა.

აქვე ედგა საწოლი, წიგნების კარადები.

სტუმრებთან აქ სადილობდა.

გვიან ღამემდე მიღუბიზლობდა, ღამის სიჩუმეში წერდა, როცა დაღლილ ქალაქს ეძინა.

რუსული ექსტომეული

1954 წლის 19 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც რუსულად გამოვიდა "დავითის" მესამე წიგნი, განცხადებით მიმართა "Запа Востока"-ს დირექტორს მარკ ზლატკინს, რათა 1955 წლის გეგმაში შეეტანა "დავითის" I და II წიგნები. მაშინ არა, მაგრამ მომდევნო 1956 წელს მართლაც გამოიცა I-II წიგნი, 1958 წელს – III და IV წიგნის პირველი ნაწილი (ტირ. 50 ათასი).

ჯერ ამ თარგმანებს მზის სინათლე არ ეხილა, კონსტანტინე ახალ გეგმას ადგენდა: გალაკტიონივით წიგნის გამოცემას დიდ ყურადღებას აქცევდა.

1955 წლის 17 აპრილს ახალი განცხადებით მიმართა მარკ ზლატკინს, რათა 1955-1960 წლებში გამოეცათ მისი ნაწერების ხუთი ტომი 200 საავტორო ფორმის მოცულობით და ხელმოწერა გამოეცხადებინათ.

პირველ ტომში "მთვარის მოტაცება" უნდა შესულიყო.

კონსტანტინე რუსულ გამოცემებსაც ყურადღებით ეკიდებოდა. მაგრამ ადექვატური თარგმნის საშუალებას არ აძლევდნენ. ხან მთარგმნელები, ხან რედაქტორები ტექსტს ცვლიდნენ, კვეცავდნენ, რათა რუსი მკითხველი არ შეცბუნებულიყო.

მარკ ზლატკინი ჭკვიანი და ფრთხილი გამომცემელი გახლდათ, როგორც მოსეს შთამომავალს შეჰფერის.

ცდილობდა, ქართული ნაციონალური სული ისე შეერბილებინა, რომ მოსკოვს არაფერი სწყენოდა.

მისი კრიტერიუმი იყო საბჭოთა ანუ რუსული ხალხთა მეგობრობა.

ცხადია, ზლატკინი კონსტანტინეს ტომებს მაინც ვერ გამოსცემდა, თუ ცეკას დასტური არ ექნებოდა, მაგრამ თბილისი ნებას ვერ დართავდა, თუ მოსკოვი არ იქნებოდა თანახმა.

ზლატკინს ჰქონდა კონსტანტინესთან მუშაობის გამოცდილება, იცოდა, ბევრ საჭოჭმანო საკითხზე ავტორს დაითანხმებდა.

მისმა კეთილმოსურნე, მაგრამ კონიუნქტურულმა მოქმედებამ ნაყოფი გამოიღო. ტექსტების დახვეწას, რუსეთის ინტერესებთან შეგუებას დრო სჭირდებოდა.

ამიტომ რუსული ტომეულების ბედი წლების მანძილზე ბუნდოვანი იყო, უარს არ ამბობ-დნენ, მაგრამ არცა სცემდნენ.

კონსტანტინემ მოთმინება დაკარგა.

გივი ჯავახიშვილს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ეახლა, დახმარება სთხოვა. შემდეგ, როცა თანხმობა მიიღო, 1959 წლის 9 ნოემბერს წერილობით მიმართა მწერალთა კავშირის სამდივნოს – წელიწადზე მეტია უშედეგო მოლაპარაკება მაქვს ზლატკინთანო. გთხოვთ დაავალოთ, ჩემს შვიდტომეულზე ხელმოწერა გამოაცხადოს და გამოსცესო.

1960 წლის 10 თებერვალს პრეზიდიუმმა მოისმინა მწერლის განცხადება და დაადგინა, იგი განეხილათ "Заря Востока"-ს გეგმის განხილვის დროს.

ბოლოს, როგორც იქნა, 1960 წლის 7 მარტს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა – რუსულად გამოცემულიყო კონსტანტინეს რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, 1961-1965 წლებში და რედკოლეგიაც დაამტკიცა – ირაკლი აბაშიძე, ბესარიონ სლენტი, ვლადიმერ მაჭავარიანი, მარკ ზლატკინი.

"მთვარის მოტაცების" I ტომის თარგმანი საგრძნობლად გადაკეთდა, ჩასწორდა და დამახინჯდა.

ასე ჩაბარდა იგი წარმოებას 1961 წელს, მაგრამ დასაბეჭდად ხელი მოეწერა მხოლოდ 1964 წლის 16 ოქტომბერს, ხრუმჩოვის გადაყენების დღეს.

საქმის გაჭიანურება კომუნისტებს ემარჯვებოდათ.

"მთვარის მოტაცება" მოსკოვს საერთოდ არ გამოუცია, ისევე როგორც "დავით აღმაშენებლის" II-IV წიგნები. ეს მაშინ, როცა ვის არ უღებდა კარებს, ვის არ იკრავდა გულში საბჭოეთის დედაქალაქი.

ექვსტომეულის ტირასი იყო 40 ათასი.

პირველ ტომს, რომელსაც დაასწრეს სხვა ტომებმა, წარემძვარა ბესო სლენტის მონოგრაფია.

კონსტანტინეს წიგნებს გატაცებით კითხულობდნენ რუსეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში. იგი პოპულარული მწერალი იყო, წერილებიც უხვად მოსდიოდა. ასე რომ, მკითხველი და გულშემატკივარი არ აკლდა.

მას ვერ იტანდა შოვინისტურად განწყობილი რუსი ინტელიგენცია, თორემ მასები სიყვარულით ეპყრობოდნენ, რასაც მწერალი კარგად გრძნობდა.

მწერალთა კავშირის დადგენილებით კონსტანტინეს მიეცა უმაღლესი ჰონორარი.

პუბლიცისტი და ორატორი

მოსკოვს უნდა გამოეცა "დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა", რაც აცნობეს მწერალთა კავშირს. იგი ითარგმნებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ენებზეც.

კონსტანტინე შეჰყავდათ საიუბილეო თუ დამკრძალავ კომისიებში.

კვლავ აქტიურობდა როგორც პუბლიცისტი და ორატორი.

იცავდა თავის შემოქმედებით პრინციპებს, იძლეოდა წინადადებებს, რომელთაც არავინ ღებულობდა. იხსენებდა ძველი წლების დევნას, მხარს უჭერდა ხელისუფლებას, მწერალთა კავშირის მდივნებს, რუსებს აქებდა, რუსებთან ძმობა უნდა შევინარჩუნოთო.

შალვა დადიანისა და კონსტანტინე ჭიჭინაძის გარდაცვალებას ესეთი გამოეხმაურა. 3 აგვისტოს ზვიადს სწერდა: "მოკვდა ჩვენი საყვარელი გერონტი, მამაცურად ებრძოდა სიკვდილს. მაინც დავკარგეთ". გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა გერონტი ქიქოძეს.

წუთისოფელს სტოვებდნენ ძველი მეგობრები.

ადრე წასულებსაც იხსენებდა – ნიკო ლორთქიფანიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს. მწერალთა კავშირის სხდომებზე მოითხოვდა გამომცემლობა "საბჭოთა მწერალს" სახელი შეეცვლოდა და დარქმეოდა "ქართული წიგნი".

ალბათ "საბჭოთა" ყელში ეჩხირებოდა.

გარდა ამისა, ხომ არსებობდა გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო".

მთავრობას ურჩევდა, სჯობს რაიონული გაზეთები დაიხუროს, ქაღალდი დაგვეზოგებაო.

ორი რუსული გაზეთი არ გვჭირდება, სომხეთში ერთი გაზეთი გამოდის, მაგრამ მშვენივრად არიანო.

დეკადა ჯერ თბილისში გავმართოთ, სტუმრები მოვიწვიოთ, მოსკოვში შემდეგ წავიდეთო.

1959 წლის 21 იანვარს, საქართველოს მწერალთა მორიგ ყრილობაზე ისევ აირჩიეს გამგეობის წევრად და საკავშირო მწერალთა მესამე ყრილობის დელეგატად.

კოლეგებთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა, ყრილობას დაესწრო. ნახა ძველი ნაცნობები. გამომსვლელთა მიმართ გულგრილი რჩებოდა, მხოლოდ ხრუმჩოვის გამოსვლა აინტერესებდა. შემდეგ მწერალთა კავშირში ამბობდა, ხრუმჩოვმა ძალიან კარგად ილაპარაკა, არაფერში არ ჩავერევი, თქვენი საქმე თქვენვე მოაგვარეთო, მე ნოტების კითხვაც მეყოფაო.

აქებდა ნიკიტას, თავმდაბალი კაცი ყოფილაო. სტალინის უხიავ ნათქვამს იხსენებდა, ერთ კაცს როგორ მიანდეთ ქართული ენის რეფორმაო და ამის გამო კაკალს მამტვრევდნენ თავზეო. წუხდა, ყრილობაზე ჩვენი დელეგაცია კარგად ვერ გამოჩნდაო.

ერთხანს მხატვრობისადმი ინტერესო მოეძალა და ესეები დაწერა დავით კაკაბაძესა და ლადო გუდიაშვილზე.

კინოსა და თეატრს ხშირად ახსენებდა. ხშირადაც აკრიტიკებდა. ამას არც კოლეგები უწონებდნენ, მაგრამ თავისას არ იშლიდა, სულ ძალღებსა და ვირებზე ნუ ვიღებთ ფილმებსო.

საფუძველიც ჰქონდა – კონსტანტინეს გმირებს სცენაზე არ უშვებდნენ, კინოში არ აჭაჭანებდნენ, მოსწავლეებს არ აცნობდნენ.

გრიგოლ აბაშიძის "ლაშარელა" დაწვრილებით განიხილა; ბესო სლენტს რომ მწერალთა კავშირის მდივნად ირჩევდნენ, გამოვიდა და მხარი დაუჭირა. ნახევარი საუკუნე გვაფასებდა, ახლა ჩვენც დავაფასოთო. ბესოსაგან იმდენი გინება და ქება გამიგონია, მეტი ჩემზე რაღა უნდა თქვასო!

მონაწილეობდა პრაქტიკული საკითხების გადაჭრაშიც.

ხელისუფლებას კი აქებდა, მაგრამ ხელისუფლების მიერ დადგენილ ჩარჩოებში ვერც ახლა ეტეოდა.

"ქართული სიტყვის ორფეოსი"

1959 წლის 17 მარტს თავი მოიკლა გალაკტიონ ტაბიძემ.

"სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა", მღეროდა იგი სიჭაბუკეში.

სიკვდილის ესთეტიკა სიმბოლიზმის განუყოფელი ნაწილი იყო.

გალაკტიონი ოციანი წლებიდან გამოეთხოვა სიმბოლიზმს, მაგრამ საუკეთესო ლექსები დაწერა მანამდე, ვიდრე სოციალიზმის მომღერალი გახდებოდა.

რუსთაველის შემდეგ უფრო დიდი ხელოვანი საქართველოს არ ჰყოლია.

კონსტანტინე იყო პირველი, რომელმაც თქვა, გალაკტიონის მსგავსი ლექსის ვირტუიოზი ჩვენს პლანეტას არ მოეპოვებაო.

იგი ყოველთვის აფასებდა გალაკტიონს, მაგრამ ადრე თუ არჩევდა გრიშაშვილს ან აბაშელს, და ამის გამო კამათობდა კიდეც, გალაკტიონის სიკვდილმა დიდად დასწყვიტა გული და დაანახა თუ როგორი შემოქმედი დაჰკარგა საქართველომ.

დალუპვის დღეს იგი უნახავს სამკურნალო კომბინატში. გალაკტიონი საკონცენტრაციო წამოწეულა, მაგრამ კონსტანტინეს თავი აურიდებია, რადგან შალვა დადიანი უნდა გამოესვენებინათ.

ეს დამრჩება სანანებლად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზეო, წუხდა მწერალი. ასევე ნანობდა, რომ მის არეულ ცხოვრებაში ვერ ჩაერია.

ისინი განსხვავებული ტემპერამენტისა და ცხოვრების წესის მიმდევარნი იყვნენ. ამიტომ მეგობრობა არ გამოსდიოდათ, თუმცა ქუთაისიდანვე კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, ხოლო რებეკა და ოლია ოკუჯავა მეგობრობდნენ კიდეც.

კონსტანტინე არ იყო ლოთი და ვაგაბუნდი. გალაკტიონი ყოველთვის რესტორნისაკენ მიეზიდებოდა, რაც არ მოსწონდა კონსტანტინეს.

იგი იგონებს:

"ერთხელ ასეთი სკანდალიც მომიწყო: სახელგამის წინ მე ჩემს მანქანას ვუცდიდი. გალაკტიონი დამემგერა – წამოდი, დავლიოთო. მე მწერალთა კავშირში ვიყავი იმ დღეს მისასვლელი და არ გავყევი.

იმსამად ნადირობის დროს ფეხი მქონდა ნაღრძობი, ამიტომაც ჯოხს ვატარებდი. გამომტაცა ჯოხი და მიწაზე დაანარცხა..."

არა მხოლოდ ლექსებმა, არამედ გალაკტიონის ბოჰემურმა ცხოვრებამ და ტრაგიკულმა ფინალმაც შესძრა კონსტანტინე. ამიტომაც შეადარა მშფოთვარე ბაირონს. ამიტომაც სიზმრებში ეცხადებოდა იგი, ვისაც ჰქონდა სული დაწეწილი მწარე ქარებით და სავსე ქართული პატიოსნებით.

ძველი რეციდივები

მკითხველს ეხსომება: კონსტანტინემ ბერლინის უნივერსიტეტს სადისერტაციო ნაშრომი ერეკლე მეორეზე წარუდგინა. ერეკლეს ყოველთვის პატივს სცემდა, "საქართველოს უკანასკნელ ლომს" უწოდებდა, მაგრამ რუსეთისადმი ბრმა რწმენას არ უწონებდა, დავით აღმაშენებელს მხოლოდ სპასალარად თუ გამოადგებოდაო, კრწანისის ომში ხალხი ვერ შეკრიბა, ოჯახი ვერ მოაწესრიგაო.

"ერეკლე მეფის დამარცხების პირველივე მიზეზი იყო მისივე სასახლეში გამეფებული ანარქია და დარეჯან დედოფლის ხვანჯებიო", აცხადებდა.

ერეკლეს აქებდა როგორც სარდალს, მაგრამ დიპლომატიასა და პოლიტიკას უწუნებდა.

ერეკლე გეორგიევსკის ტრაქტატს აწერდა ხელს და რუსეთისკენ მიჰყავდა ქვეყანა. ამიტომ კომუნისტები ყველა ქართველ მეფეზე მეტად აფასებდნენ.

მისი კრიტიკა რუსული ორიენტაციის უარყოფად აღიქმებოდა.

ამიტომ დაწერეს თელავის გაზეთ "კოლმეურნის ხმაში" ქორთუამ და პაპავამ, კონსტანტინე "ანტირუსული ორიენტაციის კონტრაბანდას ახდენსო".

ესეც არ იკმარეს.

სურნალ "ცისკარში" პროფესორმა ვარლამ დონდუამ გააგრძელა პოლემიკა.

ერეკლე მეორეს კონდოტიერობას სწამებსო, სააკაძე ხომ გლეხთა აჯანყებებს აწყობდაო.

კონსტანტინეს არ უყვარდა გიორგი სააკაძე, იგი მედროვედ და სამშობლოს მტრად მიაჩნდა.

კომუნისტები განადიდებდნენ მათ, რომლებიც უცხოეთის ჯარს მოუძღოდნენ საქართველოში. ალბათ თავიანთი პოლიტიკის წინაპრად მიიჩნევდნენ დიდ მოურავს. ამიტომ წერდა ანა ანტონოვსკაია ვრცელ რომანს, ხოლო ქართული კინოსტუდია იღებდა ორსერიან კინოფილმს. სტალინს მოსწონდა გიორგი სააკაძე და მისი კრიტიკა იკრძალებოდა.

მაგრამ ეს ქართველი კორიოლანოსი, როგორც მას უწოდა გრიგოლ აბაშიძემ, მაინც ეჭვს იწვევდა და მიუხედავად არნახული სიმამაცისა, ნაციონალურ გმირად ვერ აღიქმებოდა მრავალ ბრალდებათა გამო.

კონსტანტინე გიორგი სააკაძეს კონდოტიერს ეძახდა.

თავისი პოზიციის დასაცავად 1960 წლის 5 აპრილს სიტყვით გამოვიდა მწერლებისა და კინოს მუშაკების გაერთიანებულ თათბირზე.

ისევ გააკრიტიკა ქართული კინო და თეატრი, კოტე მარჯანიშვილი და სიკო დოლიძე, "ფუნტე ოვეხუნა" და "მაგდანას ლურჯა", არა მგონია ზოგიერთ ცხოველებზე ამხედრებულმა რესისორებმა შორს წაიყვანონ ქართული კულტურის ბედიო.

გულისტკივილით ილაპარაკა, რომ საშველი არ დადგა "დიდოსტატის მარჯვენის" ეკრანიზებას, მპირდებიან, მატყუებენ და ასე გადის დროო.

გიორგი სააკაძე და ერეკლე მეორე მაინც ისტორია იყო და ამიტომ ხელისუფლებას მეტი რეაგირება არ მოუხდენია.

განმეორებით უნდა ითქვას, კომუნისტურ ეპოქაში თანამდებობის პირის ან ცნობილი პიროვნების კრიტიკა აკრძალული იყო. ადამიანს აკრიტიკებდნენ მაშინ, როცა უნდა მოეხსნათ. სხვა შემთხვევაშიც, როცა საკითხი განიხილებოდა და აზრთა სხვადასხვაობა, ურთიერთშეჯახება გარდაუვალი იყო, მასალა ცეკას ან სუკის მიერ უნდა ყოფილიყო სანქცირებული.

ასე რომ არც პაპავას, არც ქორთუას, არც დონდუას მონდომება კონსტანტინეს განსაქიქებლად არ კმაროდა. მათ ნაცოდვილარს არავინ დაბეჭდავდა.

1961 წლის 24 ივნისი

ზვიადმა 1960 წლის შემოდგომაზე ცოლად შეირთო დალი ლოლუა, მწერალ აკაკი ბელიაშვილის ცოლის დისშვილი, ემიგრანტი პოეტის გიორგი გამყრელიძის დისშვილი.

ზვიადი და დალი ერთად სწავლობდნენ მუსიკალურ ათწლედში.

კონსტანტინეს რძალი არ მოეწონა და პირველად რომ ნახა, ხელი ძლივს ჩამოართვა, მაგრამ შემდეგ კეთილად განეწყო და ამ ფაქტს ხუმრობით იხსენებდნენ.

ახალგაზრდები საქორწილო მოგზაურობით გაგრაში წავიდნენ. მოგვიანებით ჯვარიც დაიწერეს, სხვათა შორის – მანანა გიგინეიშვილთან და ირაკლი რამიშვილთან ერთად.

1961 წლის 24 ივნისს კონსტანტინეს მესამე შვილიშვილი შეეძინა. მას ზვიადმა კონ-სტანტინე დაარქვა, მაგრამ მოფერებით მეგრულ სახელს კოკოს ეძახდნენ.

ბაბუას ძალიან უყვარდა შვილიშვილი და "ჩემს სიცოცხლეს" უწოდებდა, ენებს ასწავლიდა, წიგნებს უკითხავდა, ეფერებოდა და ეთამაშებოდა, თითქოს თავის ბავშვობას უბრუნდებოდა.

... სამი დღის შემდეგ კონსტანტინეს დიდი იუბილე გადაუხადეს.

ასე რომ იუბილე და შვილიშვილის გაჩენა ერთმანეთს დაემთხვა.

კოკოს ნათლიები იყვნენ სიმონ ყაუხჩიშვილი და ანა კალანდაძე.

სიმონმა 1963 წელს თავის ნათლულს აჩუქა ახლად გამოცემული "ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია": "ჩემს პატარა კონსტანტინეს (მეორეს) კოცნით და სიყვარულით, ს. ყაუხჩიშვილი (უღირსი ნათლია)".

იუბილე

კონსტანტინე ისე გახდა 70 წლისა, რომ იუბილე არ გადაეხადა.

მხოლოდ ძაგება და ლანძღვა ესმოდა.

არც დაბადების დღის აღნიშვნა უყვარდა.

1961 წლის 14 ივნისს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, დაბადების 70 წლისთავი საზეიმოდ აღენიშნათ ოპერის თეატრში.

ხელისუფლება ნებას იძლეოდა ამდენი წამებისა და განუზომელი ჯაფის შემდეგ მისთვისაც ეთქვათ შესაფერი სიტყვა.

საიუბილეო კომისიას თავმჯდომარეობდა ირაკლი აბაშიძე.

იუბილე გაიმართა 27 ივნისს.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ირაკლი აბაშიძემ. მოხსენებით გამოვიდა ბესარიონ სლენტი. მწერალს სახელოვანი თარიღი მიულოცეს აკაკი ბელიაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, ლადო გუდიაშვილმა, პროფესორებმა სერგი სლენტმა, უშანგი ობოლაძემ. აბაშელთა სახელით გამოვიდა ვ. გაბელია, მუშათა კლასის სახელით – ც. ბუაძე.

სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლებიც მიესალმნენ დიდ მწერალს – ს. ტრეგუბი, ვ. მნაცკანიანი, ი. თარბა, ფრ. ხალვაში, თ. გაგლოევი. ლექსი წაიკითხა იოსებ ნონეშვილმა.

მოვიდა უამრავი დეპუტა – მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, პარიზიდან, რესპუბლიკათა დედა-ქალაქებიდან, საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან.

ბოლოს თავად მწერალმა აიღო სიტყვა, მადლობა მოახსენა ხელისუფლებას და ხალხს აღუთქვა, რომ კვლავაც თავდადებით გააგრძელებდა მუშაობას.

იუბილეს დაესწრნენ – მსავანაძე, ჯავახიშვილი, ჯიბლაძე, ლელაშვილი, გეგეშიძე.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

კონსტანტინემ სტუმრებისა და მეგობრების პატივსაცემად რესტორან "თბილისში" სამას-კაციანი ბანკეტი გამართა. თამაძობდა ირაკლი აბაშიძე.

როგორც თეატრში, ისე სუფრაზე ითქვა მრავალი გულისამაჩუყებელი, სიყვარულით აღსავსე სიტყვა, როგორც შეჭვეროდა კონსტანტინე გამსახურდიას – უპირველესი ქართული რომანების და ნოველების ავტორს.

ჯერაც მხნედ გამოიყურებოდა. მაგრამ ასაკს მაინც თავისი კვალი დაემჩნია, განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფობას, იუბილეს წინა დღეებში რომ გადაეტანა.

საიუბილეოდ დაიდგა შალვა მშველიძის ოპერა "დიდოსტატის მარჯვენა". რესისორი იყო ვახტანგ ტაბლიაშვილი, დირისორი – ოდისეი დიმიტრიადი, ლიბრეტოს ავტორები – ვ. გამსახურდია და ნ. ძიძიშვილი.

კრიტიკოსებმა მაღალი შეფასება მისცეს სპექტაკლს, მაგრამ გამოითქვა შენიშვნები ლიბრეტოს მისამართით, რომელიც დიდად სცილდებოდა პირველწყაროს.

თამარის გათხოვება

თამარი, კონსტანტინეს უმცროსი ქალიშვილი, ცოლად გაჰყვა გურამ მინაშვილს, ცნობილ კალათბურთელს, მრავალი საპატიო პრიზის მფლობელს.

60-იან წლებში კალათბურთელი გურამ მინაშვილი ისევე პოპულარული იყო, როგორც ფეხბურთელი მიხეილ მესხი.

1962 წელს თბილისის "დინამომ" მისი ლიდერობით მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი.

იყო ევროპის სამეზის ჩემპიონი, რომის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი.

კონსტანტინეს მაინც არ მოსწონდა იგი, შვილს ეუბნებოდა, რა შენი საქმეა ბურთის მადევარი კაციო.

მაგრამ შვილები ნაკლებად უჯერებენ მშობლებს ხოლმე, გარდა ამისა, თამარს უყვარდა გურამი და სიყვარულმა არ იცის იერარქიული ზღუდეები.

მათ ქორწინებას ბედნიერება არ მოჰყოლია, არც შვილი შესძენიათ. მოხდა ისე, რომ ისინი ერთმანეთს გასცილდნენ, მაგრამ ოფიციალურად არ გაყრილან, ურთიერთისადმი არათუ პატივისცემა, სიყვარულიც შეინარჩუნეს...

საავადმყოფოში გურამი ხშირად აკითხავდა სნეულ ქალს და ნაღველს უქარვებდა.

თამარის დაღუპვის შემდეგ გურამს ცოლი არ შეურთავს, ოჯახს არ მოჰკიდებია, თამარზე უკეთესს მე ვის შევირთავო...

... გურამის ბინაში, თეთრ საძინებელთან, დიდხანს იდო თამრიკოს ხალათი და ჩუსტები.

კონსტანტინე ძალიან იჭვნეული იყო ქალიშვილების მიმართ. ნათელას ქუჩაში მარტო სიარულს უშლიდა, ეუბნებოდა, შენ კაკო გაწერელიას მოსწონხარო, არ გაბედო, ცოლად არ გაჰყვე კაკოსო. ნათელა უმტკიცებდა, საიდან მოიტანე ეს ჭორი, იმ კაცს ჩემთვის მსგავსი არაფერი არასდროს უთქვამსო...

თამარსაც ასე ექცეოდა. უნდოდა, ძველი ტრადიციისამებრ, იგი ისეთ კაცს გაჰყოლოდა, რომელსაც თავად შეურჩევდა...

გალში, გამსახურდიებთან

იუბილეს შემდეგ, 9 სექტემბერს გალის კულტურის სახლში შეხვედრა მოუწყვეს. როგორც წესი, ინიციატორი და ხელმძღვანელი რაიკომის პირველი მდივანი იყო. შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელებიც – მიხეილ ბლასბა და დამიანე გოგობია, პოეტი ივანე თარბა, პროფესორები გიორგი ძიძარია და ხუხუტი ბლასბა.

კონსტანტინე მდელოსფერი "ვოლგით" მივიდა.

თან ახლდნენ მირანდა და ზვიადი.

მეორე მანქანით მოვიდნენ აკაკი ბელიაშვილი, კარლო კალაძე, გიორგი ნატროშვილი და ვიქტორ გაბესკირია. მათ გზაში შეხვედროდათ ათი წლის ბიჭუნა – კონსტანტინე გამსახურდია, დიდი მწერლის მოსახელე!

კოლეგებმა ადგილობრივ თაყვანისმცემლებთან ერთად სადიდებელი სიტყვებით შეამკეს უფროსი მეგრობარი.

მეორე დღეს სტუმრები დიხაზურგაში მიიწვიეს გამსახურდიებმა.

მაქსიმე გამსახურდიას ეზოში დიდებული სუფრა გაიშალა.

კარლო კალაძე ოხუნჯობდა, გიორგი ნატროშვილი ყანწებს სცლიდა, სხვები რიტორობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ხოლო კონსტანტინეს ერთი ბოთლიც არ დაუღვია. მეტწილად დუმდა და სხვებს უგდებდა ყურს.

დამიანე გოგობიას ემადლიერებოდა და ეს სუფრაზეც თქვა.

"კოლხური კოშკი" ხომ ყიზლარის ქუჩაზე აშენდა, რომელსაც დამიანეს თხოვნით შეეცვალა სახელი და ეწოდა გალის ქუჩა, როცა გალის რაიკომის პირველი მდივანი იყო იგი.

ლენინურ პრემიაზე

1961 წლის 13 ნოემბერს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ლენინურ პრემიაზე წარადგინა "ვაზის ყვავილობა".

ეს მწერლისადმი თანადგომის სიმპტომი იყო, თორემ მოსკოვი ქართველ მწერლებს სტალინის სიკვდილის შემდეგ პრემიებს აღარ აძლევდა.

კონსტანტინემ უარი განაცხადა.

საბოლოოდ წარსადგენთა სიაში დარჩნენ დემნა შენგელაია და ალექსანდრე ქუთათელი.

ავტოკატასტროფა მცხეთასთან

14 დეკემბერს ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ აკაკი ბელიაშვილი და მისი მეუღლე.

აკაკის ისტორიულ პროზას კონსტანტინე პატივს სცემდა, ახარებდა უმცროსი კოლეგის წარმატება, პლენუმებზე იცავდა და აქებდა. აკაკიც მხარს უჭერდა კონსტანტინეს, გამოდიოდა დიდი მწერლისადმი მიძღვნილ საღამოებზე.

დამოყვრებამ უფრო განამტკიცა მათი მეგობრობა.

"ოქროს ჩარდახის" ავტორის ტრაგიკულმა დასასრულმა დიდად დასწყვიტა გული და კონსტანტინემ გამოსათხოვარი სიტყვა დაბეჭდა "ლიტერატურულ გაზეთში".

ასე რომ, თუ დროს მოჰქონდა აღიარება და დაფასება, იგივე უღმობელი დრო ხელიდან სტაცებდა მეგობრებს და არყოფნის ნისლში სძირავდა.

30. რუსთაველის პრემია

ან თუ არის ბრძენი ვინმე

მაღალი და მაღლა მხედი,

არც თუ ჭირი ჭირად უჩნდეს,

არც თუ ლხინი ზედი-ზედი.

რუსთაველი

"დიდოსტატის მარჯვენის" ტრიუმფალური სვლა გრძელდებოდა.

მოსკოვმა 1956, 1961, 1963 წლებში მრავალათასიანი ტირასით გამოსცა.

მწერლის სიცოცხლეში თბილისსა და მოსკოვში რუსულ ენაზე ეს რომანი თერთმეტჯერ დაიბეჭდა, რომელთა საერთო ტირასმა 700 ათასს გადაამეტა.

უკვე თარგმნილი იყო ინგლისურ, ფრანგულ, ბენგალურ, ჰინდისა და ურდუს ენებზე.

1960 წელს ერევანში გამოიცა, 1962 წელს – ბუქარესტში (მთარგმნელი ვიქტორ კერნბახი).

"ვაზის ყვავილობა" ლატვიურადაც ამეტყველდა.

ქართველი პოეტები ლექსებს უძღვნიდნენ.

ქეთევან მაღალაშვილმა, ლადო გუდიაშვილმა და კორნელი სანაძემ დახატეს მწერლის პორტრეტები.

ქეთევან მაღალაშვილს ადრეც ჰქონდა შესრულებული მწერლის პორტრეტი. იგი უძღვის რვატომეულის პირველ ტომს და ამშვენებდა მწერლის სამუშაო ოთახს.

1961 წლის 1 დეკემბერს "ლიტერატურული გაზეთი" მკითხველს აცნობებდა, რომ მწერალმა დაამთავრა "დავითის" IV წიგნი და იქვე გამოაქვეყნა ერთი თავი – "შეგონებანი კირიონ ბერისა". მთლიანად კი 1962 წლიდან "მნათობი" დაბეჭდავდა.

მაგრამ IV წიგნი დასრულებული ჯერაც არ იყო:

1962 წელს, 11 და 18 მაისის ნომრებში გაზეთმა გამოაქვეყნა რომანის ბოლო თავი – "უკანასკნელი ომი". მაგრამ იგი განსხვავდება IV ტომში დაბეჭდილი ტექსტისაგან.

"დავით აღმაშენებლის" მეოთხე წიგნი

კონსტანტინემ "დავით აღმაშენებელი" გაასრულა 1962 წლის 26 მაისს.

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა.

"დავით აღმაშენებელი" ხომ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ეპოპეაა.

26 მაისის ხსენება დაუშვებელი იყო. ამიტომ აღნიშნა 25 მაისი, ხოლო ბოლოსიტყვას 28 მაისი დაუსვა.

"დავითის" IV წიგნი დაიბეჭდა რვატომეულის IV ტომში, 1962 წელს.

IV წიგნის ბოლო თავები მრავალ ლაფსუსს შეიცავს. ისინი ადრევე უნდა გაესწორებინა რედაქტორს. მაგრამ შალვა ამისულაშვილს ალბათ ავტორისა მოერიდა, ან იქნებ ვერც შეამჩნია.

ლაფსუსები გადავიდა შემდეგ გამოცემებში.

მათ შესახებ ვუთხარი ზვიად გამსახურდიას, როცა 1989 წელს ჩემი წინასიტყვიით იბეჭდებოდა ოთხივე წიგნი. დამეთანხმა, მაგრამ მითხრა, ახლა ამისი დრო არ არის, მთავარია გამოვიდესო, შემდეგ ვნახოთო.

შეიძლება მწერალი ჩქარობდა: V ტომი წინა წელს გამოვიდა, ხოლო IV არ ჩანდა.

ახლა ლაფსუსების გამო, რომლებიც უნდა გასწორდეს:

1. ჯერ წერია, რომ დავითს საფირონისფერი თვალები აქვს (ტ. III, გვ. 142, 716), შემდეგ – თაფლისფერი (III, 514; IV, 415).

ცისფერთვალანი არიან მამიდა მარიამი, შვილი დემეტრე.

2. II წიგნში თაავის თანმიმდევრობა სარჩევს არ ემთხვევა: ტექსტში სწერია – 84. "ქრისტესეული ხელშუბი", სარჩევში – 83. "ქრისტესეული ხელშუბი".

3. არეულია IV ტომის 605-607 გვერდები. მათი ადგილები უნდა გაიკვალოს – 605-ის ნაცვლად 607, 607-ისა – 605.

ნუმერაციის დროს დაშვებულია მექანიკური შეცდომა.

4. ერწუხის ბრძოლის წინ დავითმა მიიღო ლულუ ბენ ჰაიდარის უსტარი (IV, 549). ბრძოლის შემდეგ წაიკითხეს – ლულუ მეფეს გამარჯვებას ულოცავდა (IV, 634)! იხ. აგრეთვე – 656, 658. შდრ. – 609 და 624, 643, 509.

5. ხალხი ამბობს, მეფე გვანცას ირთავს, ვალანგი – მელიტასო. მელიტა ოცი წლით უფროსია ვალანგ ერისთავზე (IV, 719)!

გარდა ამისა, დავითი ხომ უკვე დაესწრო ვალანგის ქორწილს (520 და სხვ.).

6. მარიამ დედოფალმა მხოლოდ ჭყონდიდელის დაკრძალვაზე შეამჩნია ჭადრა სახელოვან ძმისწულს (IV, 747). მაგრამ იგივეა ნათქვამი ადრეც, IV წიგნის I თავში და შემდეგ მრავალგზის – 509, 534 და ა. შ.

7. შიმუნვართა წინამდგომია ვარდია შარვაშისძე (IV, 748). ადრე მას მზისავარი ერქვა (IV, 667).

8. ხშირად მეორდება, რომ დაიღუპნენ ამირ ტუტუში, სულტანი მოჰამედი.

9. კირიონ ბერი ამბობს, კარგია რომ დავითს ვუთხარი, რაც შარშან მოვროშეო. მას მერე კი 15 წელია გასული – IV, 783.

10. არეულია სტრიქონები – IV, 591.

11. ვალანგ ერისთავი არის არა ბაკურის ვასი (IV, 718, 719), არამედ – შვილიშვილი (518). შდრ. 498, 499.

12. მეორდება სტრიქონები – IV, 742, 744.

კონსტანტინე ხუთი წელი რომანს ჩამოცილებული იყო. როცა მიუბრუნდა, ასაკი, ცხოვრებისეული პრობლემები ხელს უშლიდა, რაც დაეტყო კიდევ ტეტრალოგიის ბოლო წიგნს.

აღუწერავი დარჩა დავითის მრავალი ბრძოლა. მხოლოდ ქრონიკის ენითაა გადმოცემული დიდგორის ბრძოლა, თბილისის დაბრუნება, ანისის აღება.

სრულად რომ აესახა, რომანი კიდევ ერთი წიგნით გაიზრდებოდა.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ "დავით აღმაშენებელი" საისტორიო ქრონიკა როდია, არამედ – რომანი, რომელიც შეიძლება არ იმეორებდეს ისტორიულ თარიღებს.

რომანს აქვს თავისი აზრობრივი და სიუსეტური ლოგიკა.

ცხადია, ქართველი მკითხველი უფრო გაიხარებდა თუ დავითის ომები სრულად იქნებოდა წარმოდგენილი, მაგრამ უცხოთათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს: იგი კითხულობს რომანს, ისტორიულ პიროვნებაზე დაწერილს.

ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ისტორიკოსისა და მწერლის ამოცანები.

მაშ ასე – ხელისუფლებასთან მრავალწლიანი ბრძოლისა და დისკუსიის, დიდი შრომისა და ოსტატობის წყალობით 1962 წლის 26 მაისს დასრულდა ტეტრალოგია "დავით აღმაშენებელი".

"ლანდებთან ლაციცი"

27 ივნისს, საიუბილეო საღამოზე, კონსტანტინე აცხადებდა, თუ ბედმა გამიღიმა, "დავით აღმაშენებელს" რომ მოვრჩები, ჩემი ცხოვრების ისტორია უნდა დავწერო. მას "ლანდებთან ლაციცი" დაერქმევაო.

მართლაც, ტეტრალოგია რომ დაასრულა, მემუარების წიგნზე დაიწყო ფიქრი.

მაგრამ დიდი საქმის აღსრულებამ სიცარიელის გრძნობა დაუტოვა.

განუახლდა მელანქოლია და დეპრესია, არარაობისა და წარმავლობის შეგრძნება.

თითქოს სინამდვილის აღქმაც დარღვეოდა.

წარსულის მირასები მოეჯარნენ ფანტაზიას და იშლებოდა ტიხარი ნანახსა და ნაოცნებარს შორის.

სულიერ სიმარტოვესა და უდიდეს ფიზიკურ გამოფიტვას ვგრძნობო, შესჩიოდა ექიმ ბაადურ რაჭველიშვილს, ქრისტეფორეს ვაჟას. მაგრამ მოგონებებში გადაჭრა სულს უამებდა, ნაღველს უქარვებდა. თამარი რომ წამლით ხელში თავზე დაადგებოდა, მოვიდა ჩემი ცერბერიო, იტყოდა.

ცხადია, მემუარები არ არის უტყუარი ისტორია და "ლანდებთან ლაციცშიც" საკმაოდაა გამოგონება და გადაჭარბება. ბევრი რამ გადავიწყებოდა და აღდგენის სამს სიზუსტეს ვერ იცავდა. ნათქვამს აკლდა სიმძაფრე, ფანტაზიას სიბერე მორეოდა.

პუბლიკაციას სკანდალი მოჰყვა, რადგან ხელისუფლებას კონსტანტინეს ცხოვრების აღწერა კი არა, დავიწყება უნდოდა – თავის სასამართლოს ხომ არ მოაწყობდა!

ამიტომ ცალკეული ფაქტების მნიშვნელობა გააზვიადეს და მოხუცი ავტორი ლამის ჯვარს აცვეს. "მნათობმა" გამოქვეყნება შეწყვიტა, ალბათ ცეკას მითითებით.

გრიგოლ აბაშიძე, "მნათობის" რედაქტორი, რომლის პოეზიას პატივს სცემდა კონსტანტინე, მაგრამ პროზას უწუნებდა, გულნატკენი იყო, "ლაშარელა" რად გამიკრიტიკაო და ახლა მკაცრობდა უფროსი კოლეგის მიმართ.

კონსტანტინემ ირაკლი აბაშიძეს მიმართა, მაგრამ მან ჩვეული იუმორით ჩამოიშორა მწერალი.

1991 წლის ივლისში პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გადმომცა გამოუქვეყნებელი თავები "ლიტერატურულ საქართველოში" დასაბეჭდად. ისინი დაიბეჭდა ივლის-აგვისტოს ნომრებში. მემუარები წყდებოდა 1928 წელზე, დანარჩენიც არის, მაგრამ ხელნაწერებს დალაგება სჭირდებაო, მითხრა...

ისევ ინტრიგა

"ლანდებთან ლაციცმა" ხელისუფლება გაანაწყენა.

ერთბაშად დაბეჭდეს კონსტანტინეს გამქირდავი წერილები "კომუნისტმა" (მეთოდე კაკაბაძე), "ცისკარმა" (ოთარ ჯინორია), "სოფლის ცხოვრებამ" (მიხეილ მამულაშვილი).

ერთმა ილიასადმი უპატივცემლობა დასწამა, მეორემ ესაყვები დაუწუნა, მესამემ ენობრივი შენიშვნები გამოთქვა.

ეს იყო 1964 წლის დასაწყისში. ცხადია, "ლანდებთან ლაციცის" გამო თითქმის არაფერი თქმულა, მაგრამ ქვეტექსტით იგრძნობოდა.

იმ დღეებში სახელგამის ვესტიბიულში კონსტანტინეს ოთარ ჯინორია შემოხვდა, სიმონ ყაუხჩიშვილის სიძე.

შეცბუნებული კრიტიკოსი მიიჭრა მწერალთან, შემაცდინეს, ბატონო კონსტანტინეო.

– ჰო, გეთაყვა, ყველა რუსის პროსტიტუტკა ასე ამბობს, აფიცერმა შემაცდინაო, – მშვიდად მიუგო მწერალმა და კიბეებს აუყვა, გადმოგვცემს აკაკი გაწერელია.

მაგრამ კონსტანტინე კონფლიქტებს იოლად ივიწყებდა.

სიმონ ჩიქოვანს ადრევე შეურიგდა, თუმცა ძველი კეთილგანწყობა ვერ აღიდგინა. როცა გაიგო, რომ იგი ავადმყოფობდა და მხედველობას ჰკარგავდა, მირანდამ და კონსტანტინემ ინახულეს თვალდაშრეტილი პოეტი, რომელიც ნაადრევად გამოეთხოვა ამ წუთისოფელს. ირაკლი აბაშიძისა და გიორგი ჯიბლაძის ინტრიგებს ტრაგიკული შედეგები მოჰყვა, მაგრამ, ჩანს, ირაკლის სინდისი ქენჯნიდა და მან კატეგორიულად მოითხოვა დიდი პოეტის მთაწმინდაზე დასაფლავება.

"აფხაზური კოშკი"

ხელისუფლებამ მიზანს რომ მიაღწია, შემდეგ მწერალს ისევ მიეფერა:

1964 წელს დამიანე გოგოხიას ინიციატივით აგარაკისთვის მიწა გამოუყვეს ბიჭვინთაში, სოფელ ლიძავაში. პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შეადგინა შოთა ლომთაძემ, რომელიც უპირატესობას აძლევდა მეგრულ ტრადიციულ ოდას. კონსტანტინეს კოშკი უნდოდა, შუასაუკუნეთა გერმანელი ბარონების მსგავსად.

ლომთაძემ ორივე სახის პროექტები შეადგინა.

მწერალმა თავისი არ დაიშალა და ახალ სახლს უწოდა – "აფსუა აბაა" – "აფხაზური კოშკი".

გამოუყვეს სამშენებლო მასალაც.

უხაროდა მოხუცს, ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს დასასვენებელი ადგილი საძებარი არ ექნებათო.

1983 წელს "განახლებულ აბაშაში" შოთა ლომთაძის წერილი დაიბეჭდა, თითქოს მწერალმა თავისი აგარაკი უსასყიდლოდ გადასცა საბავშვო ბაღს!

ამ ფაქტმა გაუგებრობა გამოიწვია.

სოხუმელმა პროფესორმა გივი კილასონიამ მიაკითხა ლომთაძეს, რომელიც უკურნებელი სენით ლოგინს იყო მიჯაჭვული. არქიტექტორმა უარყო, ასეთი არაფერი მე არ დამიწერიაო. მალე გამოვკეთდები და პასუხს დავბეჭდავო.

ორიოდე კვირის შემდეგ ლოთა ლომთაძე გარდაიცვალა...

უმაღლესი ჯილდო

მოსკოვმა ნება დართო, რომ რესპუბლიკებს ჰქონოდათ თავიანთი პრემიები, გამოეცათ ეროვნული ენციკლოპედია. ეს ერთის მხრივ ნიშნავდა დეცენტრალიზაციის დასაწყისს. მაგრამ პროცესი არ განვითარდა და ამგვარი ხერხებით საკავშირო ასპარეზისაკენ გზას უხშობდნენ ნაციონალურ ძალებს. რუსი ლებულობდა საკავშირო და რუსეთის პრემიებსაც.

ასე იყო თუ ისე, საქართველოსაც უფლება მისცეს ჰქონოდა თავისი პრემია ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მას ეწოდა რუსთაველის სახელი.

ცხადია, ქართველი ხელოვანისთვის რუსთაველის პრემია უფრო საამაყო იყო, ვიდრე სტალინური თუ ლენინური პრემია. შემდეგ, დროთა განმავლობაში, მოხდა ამ უმაღლესი ჯილდოს გაუფასურება, მაგრამ თავდაპირველად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თუნდაც იმიტომ, რომ იგი ატარებდა უდიდესი ეროვნული პროექტის სახელს და გაიცემოდა პირველად.

პრემიების კომიტეტს თავმჯდომარეობდა ირაკლი აბაშიძე.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ლიტერატურის დარგში წარმოადგინა კონსტანტინე გამსახურდია რომანისათვის "დავით აღმაშენებელი" და ირაკლი აბაშიძე ლექსების ციკლი-სათვის "პალესტინა, პალესტინა".

1965 წლის 17 თებერვალს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ – კონსტანტინე გამსახურდიას, ირაკლი აბაშიძეს, ლადო გუდიაშვილს, ელგუჯა ამაშუკელს, რაც დაამტკიცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გივი ჯავახიშვილმა და 25 თებერვალს გამოცხადდა პრესაში. კენჭისყრაში მონაწილეობდა 21 კაცი. მათგან კონსტანტინეს ხმა მისცა 19-მა, ორი წინააღმდეგი აღმოჩნდა.

ოთხივე ხელოვანი იმსახურებდა ამ ეროვნულ ჯილდოს.

კონსტანტინე ყოველთვის სიამაყით ატარებდა ლაურეატის მედალს.

ცდილობდა, რომ გამხდარიყო სტალინური პრემიის ლაურეატი.

სტალინმა პრემიებით აავსო ლიტერატურა.

კონსტანტინეს მაინც არ აღირსა.

ლენინურ პრემიაზე წარადგინეს, მაგრამ იგი უფრო პრესტისული იყო და აბა როგორ გაიმეტებდნენ.

ბოლოს თავადაც დარწმუნდა, რომ იგი სწორედ რუსთაველის პრემიის ლაურეატი უნდა ყოფილიყო, როგორც ნაციონალური მწერალი.

ყველა პრემია, მოსკოვის მიერ გაცემული, დრომ გაახუნა.

დაჰკნა იდეოლოგიის დაფნის გვირგვინები.

მაგრამ დარჩა ტეტრალოგია "დავით აღმაშენებელი", რომელიც ტანჯვით და წამებით იწერებოდა, როგორც მომავალი საქართველოს ხატი.

ნაგვიანევი დიდება

რუსთაველის პრემიის მინიჭების მეორე დღეს, 1965 წლის 26 თებერვალს, მწერალთა კავშირის პლენუმზე სიტყვით გამოვიდა. პლენუმი ეძღვნებოდა ოქტომბრის რევოლუციის 50 და ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

მართალია, ჯერ საიუბილეო თარიღებამდე დიდი დრო რჩებოდა, ლენინს 95 წელიც არ შესრულებოდა, მაგრამ ქართველი მწერლები ადრევე შედგომოდნენ სამზადისს, რათა მოსკოვის წინაშე პირი არ შეერცხვინათ!

კონსტანტინეს გამოსვლას აკლდა ძველებური პათოსი, გაფანტული და მეტისმეტად ასოციაციური იყო. დარბაზი ყოველ წუთს სიტყვას აწყვეტინებდა, ღელავდა და ხმაურობდა. ირაკლი აბაშიძე ამშვიდებდა აღელვებულ კოლეგებს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სიმონ წვერავა და ალიო მირცხულავა. შეიძლება იმიტომ არ ასვენებდნენ გამომსვლელს, რომ კიდევ ერთხელ უწოდა საბჭოთა კავშირს "იმპერია": "რას გავდა, ამოდენა იმპერიის მპყრობელმა ენა დაგვიწუნა მე, ვაჟა-ფშაველას და რიკოშეტით ლეონიძეს გადაწვდაო".

მე ლენინის ერთი ტომი ვთარგმნე, მაგრამ არ დამიბეჭდესო. მაიაკოვსკიზე ლენინის ნათქვამი გაიხსენა.

სტალინი სწორი არ იყო, როცა გორკის მოთხოვნა "ფაუსტზე" მაღლა დააყენაო.

მარჯანიშვილი და ქართული თეატრი გააკრიტიკა, არც კინო გვაქვს, არც თეატრიო. ფილმი "მაგდანას ლურჯა" ისევ უკეთურად ახსენა. კარტონის ლომები გაჩნდნენო. ირაკლის ერეკლეს ეძახდა.

მე არ მიყვარს რობაქიძე, კონტრაში ვიყავი მასთან, მაგრამ ის იყო "უნიჭიერესი კა-ციო". "ლამარა" უნდა დაიდგას. იგი ვაჟასი არ არისო.

სანამ სიტყვას აიღებდა, ირაკლი აბაშიძემ დარბაზს მიმართა, კონსტანტინეს პრემია მივულოცოთო. მართლაც, კოლეგები ტაშით შეხვდნენ კონსტანტინეს. მაგრამ მწერალმა ჩვეული ტაქტი შეცვალა, არც ხელისუფლება აქო, არც ლენინი და რევოლუცია. ხრუმჩოვი ახალი გადაყენებული იყო და ძველ ბოლშევიკებს ეგონათ, სტალინის სახელს აღადგენენ და ნანატრი სამი დაგვიბრუნდებაო.

როცა კონსტანტინემ მოზიმზიმე დარბაზს მიმართა, ისევ ძველებური დაიწყეთ, არაო, ალიო მირცხულავამ მკვახედ შესძახა, ეს სულაც არ არის ძველებურიო!

ეტყობა, ზოგიერთ კოლეგას შურდა, რომ კონსტანტინეს რუსთაველის პრემია მიენიჭა.

ტომეულები გამოდიოდა ქართულად და რუსულად, იბეჭდებოდა ცალკე წიგნებად.

პრესა და ტელევიზია, ხალხი და პარტიული ხელმძღვანელები პატივს მიაგებდნენ "დავით აღმაშენებლის" ავტორს – დიდ ქართველ მწერალს, ცოცხალ კლასიკოსს, როგორც უწოდებდნენ ხოლმე.

1966 წელს, ქართველ მწერალთა მორიგი ყრილობის შემდეგ, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს.

მერმე მოსკოვმა კვლავ მოიღო მოწყალება და ლენინის ორდენი უბოძა, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრობა არგუნა.

1967 წელს "ლიტერატურული საქართველოს" რედკოლეგიაში შეიყვანეს. გავიდა რამდენიმე წელი და "დიდოსტატის მარჯვენა" შეიტანეს სასკოლო პროგრამაში.

დიდი დაგვიანების შემდეგ ოფიციალურად სიყვარულით განიმსჭვალა კონსტანტინეს მიმართ, ყურადღებას არ აკლებდა, აძლევდა უმაღლეს ჰონორარს.

1971 წელს მეორედ დააჯილდოვეს ლენინის ორდენით.

მწერლის სიტყვა სდერდა ეკრანებზე, სცენებზე, ქართულად, რუსულად, ინგლისურად, ფრანგულად თუ გერმანულად...

უძღვნიდნენ ლექსებს, მოხსენებებს, გამოკვლევებს, დისერტაციებს – სადოქტოროს თუ საკანდიდატოს, უწყობდნენ შეხვედრებს, თხოვდნენ ლეგენდებსა და ანეგდოტებს, ბეჭდავდნენ მეგობრულ შარსებს, იღებდნენ დოკუმენტურ ფილმს, ართმევდნენ ინტერვიუს...

დიდება მოვიდა მაშინ, როცა იგი არაფრად სჭირდებოდა!

იქნებ ფიქრობდა კიდევ, როგორც კონსტანტინე სავარსამიძე, ბაგრატიონების გვირგვინიც რომ დამადგათ თავზე, ვერ გამაკვირვებთო.

მწერალთა კავშირში ისევ მონაწილეობდა კამათსა და დისპუტებში, მაგრამ უფრო ყოფით, ცხოვრებისეულ საკითხებს ეხებოდა: იცავდა პოლიკლინიკის მთავარ ექიმს ნათელა ცხომელიძეს, რას ერჩის ამ ქალს ალექსი გომიაშვილიო; კონსტანტინე ლორთქიფანიძის "მოხუცი მეზადური" უკეთ არის დაწერილი, ვიდრე ჰემინგუეის "მოხუცი და ზღვაო"; ხუტა ფიცხი კაცია, თავშეკავება მართებს, მაგრამ საქმეზე ლაპარაკობსო; ელგუჯა მაღრაძე რატომ არის მწერლობას მიტმასნილიო. ამის თქმა როგორ შეიძლებაო; ჰონორარი გაიცეს გაყიდული წიგნების მიხედვითო; შოლოხოვის პატივს არ ვცემო; ირაკლი ანდრონიკოვი კოსმოპოლიტია, მისი არჩევა ჩვენს აკადემიაში როგორ შეიძლებაო; იოსებ ნონეშვილი კარგი პოეტია, მდივნად ავირჩიოთო.

არავითარი რომანის კრიზისი არ არსებობს, როგორც დასავლეთში ჩივიანო. კრიზისი მათ თავშია და ეს ვერ გაუგიათო, აცხადებდა 1966 წლის 25 ივლისს ქართველ მწერალთა VII ყრილობაზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ისევ ენას, ისტორიულ ძეგლებს, ციხე-ტაძრებს, მოითხოვდა მათ დაცვას და შენარჩუნებას. მზად ვარ საამისოდ ჩემი ჰონორარიც გავიღოო, აცხადებდა.

გამოთხოვება გიორგი ლეონიძესთან

9 აგვისტოს გარდაიცვალა გიორგი ლეონიძე, დიდი ქართველი პოეტი. კონსტანტინე მას გამორჩევით აფასებდა, XX საუკუნეში გალაკტიონის შემდეგ ყველაზე დიდ პოეტად მიიჩნევდა.

დაკრძალვის დღეს, მთაწმინდის პანთეონში, გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა თანამოკალმეს.

შემდეგ რადიომ სთხოვა სიტყვის წარმოთქმა. დაწერილი ტექსტი მიიტანა, მაგრამ კითხვა ვერ დაამთავრა – ტირილი აუტყდა...

რუსთაველის იუბილე

1966 წელს რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს ზეიმობდა საქართველო, საქართველოსთან ერთად – მოსკოვი და მთელი მსოფლიო.

რუსთაველის სახელის განდიდებით ქართველ ხალხს უნდა დავიწყნოდა ბერიას დახვრეტა, სტალინის მავზოლეუმიდან გამოსვენება, მათი სახელების ავად ხსენება და აკრძალვა, 1956 წლის 9 მარტის სისხლისღვრა, რომელთა ინიციატორი იყო ნიკიტა ხრუშჩოვი.

ლეონიდ ბრესნევის ხელისუფლებამ თითქოს ისევ აღამაღლა საქართველოს პრესტისი. ვითომ ეს ნიკიტა იყო უკუღმართი კაცი, თორემ რუსებს როგორ არ გვიყვარს ჩვენი უმცროსი ძმებიო და სასჯელს ჯილდო მოაყოლა.

კონსტანტინე ასაკის გამო აქტიურად არ იყო ჩართული საიუბილეო პროცესში, მაგრამ სხდომებს ესწრებოდა, როგორც საიუბილეო კომიტეტის წევრი, რომელშიც აირჩიეს 1965 წლის 16 იანვარს.

1966 წლის 16 მარტს გამგეობის პლენუმზე იმსჯელა გიორგი წერეთლისა და აკაკი შანიძის მოხსენებების გამო, დიდი მეცნიერები უწოდა მათ. რუსთაველი ნეოპლატონიკოსი არ იყო, ჰერეთში რა უნდოდა, თვითონ ამბობს – "ვწერ ვინმე მესხი მელექსეო" და რატომ არ გვინდა დავუჯეროთო.

17 სექტემბერს მწერალთა კავშირის კრებაზე თქვა სიტყვა კარს მომდგარი იუბილეს გამო. ხოლო 28 სექტემბერს გამოვიდა რუსთაველის თეატრში გამართულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე, რომელიც მიემდვნა დიდ შოთას. მასში მონაწილეობდნენ უცხოელი სტუმრები, საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიათა წევრები.

სტუმრები კონსტანტინესთანაც მიდიოდნენ "კოლხურ კომპში".

სპეციალურად ეწვია გდრ-ის გაზეთის კორესპონდენტი დ. აპტი, რომელმაც გერმანიაში წერილიც დაბეჭდა, სადაც გაიხსენა ეზოში მოხტუნავე შვლები, მოგიზგიზე ბუხარი, გერმანიაში განსწავლული მწერალი, რომელიც გერმანულს უნაკლოდ ლაპარაკობდა.

31. "მხოლოდ ოსტატს ვერ

ეწევა სიკვდილი"

ქართულ ლიტერატურაში დასაბამიდან დღემდე სულ ხუთად ხუთი მწერალი თუა, რომელთა ნამოღვაწარი მკვეთრი საკუთარი, ამასთანავე უაღრესად ეროვნული ინტონაციით რომ გამოირჩევა. ერთ-ერთი მათგანია კონსტანტინე გამსახურდია.

მუხრან მაჭავარიანი

აკაკი შანიძის იუბილეზე

1967 წლის 12 მაისს აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავს ზეიმობდნენ უნივერსიტეტში. სააქტო დარბაზი ყველა მსურველს ვერ დაიტევდა, ამიტომ პირველი კორპუსის კარები დაკეტეს და სტუდენტები შიგ არ შეგვიშვეს. მე პირველკურსელი ვიყავი, ასეთ იუბილეს არ დავსწრებოდი და მინდოდა დარბაზში შესვლა.

ეზოში უამრავ ხალხს მოეყარა თავი.

უცებ გვერდით მოვიხედე და კონსტანტინე დავინახე.

იგი მარტო იყო. ნაღვლიანი სახე ჰქონდა, ღია ცისფერი კოსტუმი ეცვა, თეთრი ცილინდრი ეხურა და უხმოდ შესჩერებოდა შეჯგუფულ სტუდენტებს.

მე უკან დავიხიე.

სტუდენტებმა იცნეს და შენობაში შეუძღვნენ.

შემდეგ ფიზკულტურის კათედრის რკინის კიბით მეც ავედი სააქტო დარბაზში და ქანდარაზე აღმოვჩნდი.

კონსტანტინე პრეზიდენტში იჯდა, სიტყვაც უთხრა თავისი სიჭაბუკის მეგობარს.

იმ დღეს პირველად ვნახე დიდი მწერალი, პირველად მოვისმინე მისი სიტყვა.

"თამარ"

"ლანდებთან ლაციცზე" ხელი ააღებინეს.

ერთხანს ნაღველს ტომეულების გამოცემით იქარვებდა. აგროვებდა ძველ მასალებს, ასწორებდა, კითხულობდა კორექტურას, წერდა ესეებს, გამოდიოდა მწერალთა კავშირის თათბირებზე.

შემდეგ ისევ ისტორიისკენ იბრუნა პირი.

ახლა აღარავინ ეუბნებოდა, წარსულს ნულარ მისტირიო.

1967 წლის დეკემბერში "ლიტერატურული საქართველოს" კორესპონდენტს ეუბნებოდა, გაისად "თამარს" დავასრულებო.

თამარ მეფეს ყოველთვის აღმერთებდა. თამარის საქართველო იყო მისი იდეალი, სრულიად კავკასიური სახელმწიფო.

თუ დავით აღმაშენებელმა შექმნა ერთიანი, ძლიერი ფეოდალური ქართული სახელმწიფო, თამარის დროს მან ზეობას მიაღწია და მრავალი გამარჯვება მოიპოვა.

თამარის სახელი გავრცელდა ხალხში და იქცა ქართველი ქალის უპირველეს სახელად.

"შენა ხარ ერის სიცოცხლე,

თავი არ მომიკვდებაო!

მოწყალედ გვექმენ ქართველთა,

ჩემო ლამაზო დედაო",

წერდა სიკვდილის წინ ვაჟა-ფშაველა.

"საქართველოში ხომ ყოველ მესამე ციხეს თამარი ჰქვია, ყოველ მესამე ქალს თამარი", ამბობს სვანეთში გადახვეწილი თარაშ ემხვარი.

თამარი დაარქვა ჯერ "მთვარის მოტაცების" გმირს, შარვაშიძის ქალს, შემდეგ – თავის ასულს.

ახლა უნდა აღეწერა იმ ქალის სილამაზე, გონიერება და ვნებანი, ვინც რვაასი წელი აცოცხლებდა ქართველის ფანტაზიას.

"ლიტერატურული საქართველო" და "მნათობი" ბეჭდავდნენ ამ რომანის ნაწყვეტებს. მათ ატყვია ოსტატის ხელი, მაგრამ არ ახლავს ძველი აღმაფრენა.

მიიწურა 1968 წელი. რომანის გასრულებას ჯერ ბევრი უკლდა.

1969 წლის დეკემბერში, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში აცხადებდა, გაისად, წლის ბოლოსათვის თქვენ ხელთ გექნებათ "თამარიო".

კონსტანტინეს სიტყვას მეც ვისმენდი და გული დამწყდა. მეგონა, წიგნი უკვე დაწერილი ჰქონდა. ვხედავდი, სიარული უჭირდა, ერთობ გამხდარი იყო და ვიფიქრე, თუ აქამდე ვერ დაამთავრა, აწი როგორ დაწერს-მეთქი.

მართლაც, ასაკი, სნეულება, ოჯახური ტრაგედიები ფიქრს უწყვეტდა.

ცუდად წერას სჯობდა სულაც არ დაეწერა და ასე დაუმთავრებელი დარჩა ეს წიგნი.

გოეთეს ქვეყანაში

1967 წელს კონსტანტინე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიიწვია ბერლინის გამომცემლობის დირექტორმა ორი კვირით.

12 სექტემბერს განცხადებით მიმართა მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ირაკლი აბაშიძეს, რათა მეუღლესთან ერთად წასულიყო ბერლინში, პოსტდამში, ვაიმარსა და იენაში.

1967 წლის ნოემბერში კონსტანტინე და მირანდა მატარებლით მოსკოვი-პარიზი - ბერლინს გაემგზავრნენ.

ჰერტრუდ პეჩს ეთარგმნა "დიდოსტატის მარჯვენა" და იგი უნდა გამოეცათ კომუნისტურ გერმანიაში.

თითქმის ნახევარი საუკუნე გასულიყო მას შემდეგ, რაც კონსტანტინეს ბერლინი არ ენახა.

14 ნოემბერს, ღამის 11 საათზე ბერლინში ჩავიდნენ. მაგრამ ჩასვლის თარიღი გერმანელებს სწორად არ სცოდნოდათ და ვაგზალზე მათ არავინ დახვდა. მაშინ კონსტანტინემ დაურეკა კარლ კოკომპოს და ისიც თხუთმეტ წუთში გამოჩნდა თავისი ავტომანქანით.

კონსტანტინე და მირანდა დაბინავდნენ სასტუმრო "უნტერ დენ ლინდენში".

მწერალს ყოველი საგანი თავის სიჭაბუკეს ახსენებდა.

ბერმუხა, რომელიც უნივერსიტეტის ეზოში იდგა, საავიაციო შტურმს მოესპო.

გაისეირნა უნტერ დენ ლინდენზე – ცაცხვების ხეივანში. მაგრამ სადღა იყო ცაცხვები. ესენიც გაენადგურებინა ამერიკის თუ რუსეთის ავიაციას.

მეორე დილით დაურეკა ლეონარდ კომუტმა, გამომცემლობა "ფოლკ უნდ ველტის" მთავარმა რედაქტორმა.

12 საათზე გამომცემლობის დირექციამ საბანკეტო შეხვედრა მოუწყო ქართველ მწერალს.

რუსის დასწრება ასეთ სიტუაციებში აუცილებელი იყო.

ამჯერად იგი მაღალი რანგის პერსონა აღმოჩნდა – ჟურნალ "საბჭოთა ლიტერატურის" მთავარი რედაქტორი, გერმანისტი ლიდა რუდნაია.

მოვიდა პროფესორი ალფრედ კურელა, რომლის მეუღლე ხევსურულმა ცხენმა შეიწირა.

კონსტანტინე დილიდანვე ღვინის სმას მოერიდა.

შემდეგ გერმანელი ამხანაგების თანხლებით დაათვალიერა ბერლინი.

სადამოს ალფრედ კურელამ და მისმა ახალმა მეუღლემ დაპატიჟეს კონსტანტინე და მირანდა.

ალფრედი მეგობრობდა კონსტანტინესთან, არაერთხელ სწვევია "კოლხურ კომქს".

კონსტანტინეს ღამე არ დაეძინა, თავისი ძველი ბერლინელი მეგობრები გაახსენდა. რიჰარდ მეკელაინი გარდაცვლილი იყო. ზოგის მისამართი არც ჰქონდა. განსაკუთრებით უნდოდა ენახა დანიელი პროფესორის იოჰანეს ნოიჰაუზის სახლი, რომელიც იოჰანეს ნოიშტეტის პროტოტიპია, "დიონისოს ღიმილის" პერსონაჟისა.

გამომცემლობამ კონსტანტინეს მიამაგრა განყოფილების გამგე – ფროილან ასტრიტი, ერთი ფოტოგრაფი და ავტომანქანა, რათა ქალაქი დაეთვალიერებინა და სურათებიც გადაეღო.

17 ნოემბერს კონსტანტინეს ეწვია კულტურის მინისტრის მოადგილე ირინე გუზი, რომელმაც რესტორანში დაპატიჟა ცოლ-ქმარი.

იმავე საღამოს დაესწრო ელისო ვირსალაძის კონცერტს.

ამ დროს თბილისში ტარდებოდა გერმანული ხელოვნების დეკადა და ალფრედ კურელა და სხვები საქართველოში გამოფრინდნენ.

უცნაური დამთხვევა მოხდა – კონსტანტინე მაშინ გაუშვეს ბერლინში, როცა გერმანული კულტურის მოღვაწენი თბილისში იყვნენ!

მაგრამ შემთხვევით არაფერი ხდებოდა საბჭოთა კავშირში.

სჩანს, მოსკოვს უნდოდა, რომ კონსტანტინეს ჩასვლა ბერლინში ტურისტულ დონეს არ გასცილებოდა!

რუსი მწერლები (და ზოგი აპრობირებული ქართველიც) მთელ მსოფლიოში დადიოდნენ, წიგნებს სცემდნენ, ფორუმებზე სიტყვას ამბობდნენ. ხოლო დიდი ქართველი მწერლისთვის ერთი მივლინება ძლივს გაიმეტეს!

ლეონარდ კოშუტი და კარლ კოკოშკო ყურადღებას არ აკლებდნენ, რესტორანში ეპატიჟებოდნენ, ქალაქში დაჰყვებოდნენ, სურათებს უღებდნენ.

კოკოშკომ ცოლ-ქმარს ერთ-ერთი სურათი გადაუღო უნივერსიტეტის ეზოში გადაჭრილ მუხის ძირას.

შემდეგ გოეთეს ვაიმარი ინახულა, პოტსდამს და დრეზდენს ეწვია.

ბუხენვალდის დათვალიერებაზე უარი თქვა.

სადილებზე სვამდა გერმანულ ღვინოებს და იგონებდა სტუდენტობის გარდასულ წლებს, მზეგადასულ სახელებს.

გოეთეს ენაზე

ორი წლის შემდეგ, 1969 წელს, ბერლინში გამოიცა "დიდოსტატის მარჯვენის" გერმანული ტექსტი.

წიგნი თარგმნა ცნობილმა ქართველოლოგმა, პროფესორმა ჰერტრუდ პეჩმა.

რომანს ბოლოსიტყვა დაურთო ალფრედ კურელამ.

როგორც პარიზში, ისე ბერლინშიც გულთბილად მიიღეს ეს რომანი.

"ტრიბუნე", "ნაციონალ ცაიტუნგ", "ტიურინგიშე ლანდესცაიტუნგ", "ზეხსიშე ცაიტუნგ", "იუნგე ველტ", "დერ მორგენ" ზედიზედ ბეჭდავდნენ რეცენზიებს.

"დიდოსტატის მარჯვენის" პერსონაჟები გოეთეს ენაზე ალაპარაკდნენ.

ასევე დიდი მოწონებით შეხვდნენ გერმანიასა და შვეიცარიაში "ხოგაის მინდიას".

"უფსკერო ზღვა თვალშეუდგამი"

1968 წლის 9 თებერვალს მწერალთა კავშირში გამოვიდა მოხსენებით – "ვილაშქროთ ქართული ენის სიწმინდისათვის", რასაც სანდრო შანშიაშვილის მორიგი პასკვილი მოჰყვა.

კონსტანტინე აცხადებდა, ასომთავრული შემოვიღოთო, ა ალვადგინოთო.

თავის მიერ შემოტანილი სიტყვები ახსენა (გალა, ირაო, ორანი, მუჯრა, ფოთრი...).

არქაული, ძველი სიტყვების გამოყენება გაამართლა.

თურქულ-არაბული ძირის სიტყვები დაიწუნა (მაგ., დოღი).

ფილოლოგები და ენათმეცნიერები გააკრიტიკა, ენის წინსვლას ხელს უწყობენ მწერლები და არა ფილოლოგებიო. ესენი ისე შველიან ენის განვითარებას, როგორც ასტრონომები ვარსკვლავთა მოძრაობასო!

ენას ქმნის ხალხი, ხოლო მწერალი ქლიბავს და გეზს აძლევსო.

ქართული ენის საყრდენად მიიჩნია ქართლური და კახური დიალექტები.

აკაკი შანიძეს და არნოლდ ჩიქობავას პატივს სცემდა.

ორივეს დიდ მეცნიერებად მიიჩნევდა.

განსაკუთრებით მოსწონდა "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", რომლის ტომებზე ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა და არაერთი შენიშვნაც გამოთქვა.

გიორგი ახვლედიანს და ვარლამ თოფურიას ვერ ეგუებოდა.

ვარლამ თოფურია ხშირად ეხებოდა სალიტერატურო ნორმებისა და მართლწერის საკითხებს, რასაც კონსტანტინე არ სცნობდა:

"თუ შესაძლოა ფილოლოგი გენიოსი იყოს, ნიკო მარრი იყო ასეთი, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მწერლობა და ენა ილიას გეზით წავიდა და არა მარრის გრამატიკის მეოხებითო".

ქართული ენის პრიმატის დაცვას მოითხოვდა ცეკაში, რომლის ოფიციალური ენა რუსული იყო.

ერთხელ პროტესტის ნიშნად ცეკას მეორე მდივანს კოვანოვს ეახლა, სათხოვარი არაფერი მაქვს, ოღონდ ქართული ისწავლეთ, თუ გინდათ ქართველმა ხალხმა შეგიყვაროთო. მართლაც, მოსკოვის ემისარს ქართულიც უსწავლია და კონსტანტინეს წიგნებიც წაუკითხავს.

სადაც ქართულად მეტყველებდნენ და ქართულად წერდნენ, იქ სიწმინდის დაცვისკენ მოუწოდებდა, ქართული გვიყვარდეს, ქართული ენა არ დავამახინჯოთო.

არც თარგმანს ივიწყებდა – გიორგი ნატროშვილს აჩვენა ომისა და მშვიდობის ურთიერ-თბრძოლაზე შედგენილი გერმანული ანთოლოგია – "ცრემლები და ვარდები". ამ კრებულიდან თარგმნა ძველშუმერული ეპოსის "ენმერქარი და არათას ბატონი" ფრაგმენტები, რითმიანი ლექსით, იმ პათეტიკური ენით, რომელსაც თავად ამკვიდრებდა.

გრამატიკოსები ისევ ჯიუტობდნენ, კონსტანტინეს ენა არ უვარგა, ჩვენს მიერ დადგენილ ნორმებს არ იცავსო...

რვატომეულის გამო

1968 წლის 5 იანვარს "ლიტერატურული საქართველო" იუწყებოდა, რომ დამთავრდა რვატომეულის გამოცემა და ბოლო ტომის ფოტოსურათიც დაბეჭდა.

1968 წლის მარტში საქართველოს ტელევიზიამ მოაწყო ვრცელი გადაცემა რვატომეულის გამოცემის გამო.

მონაწილეობდნენ – ავლიპი ზურაბაშვილი, ანა კალანდაძე, ნიკო კეცხოველი, მუხრან მაჭავარიანი, გიორგი ნატროშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, გიორგი ჩიტაია, გიორგი ჯიბლაძე.

სხვადასხვა ასაკისა და სპეციალობის მოღვაწეებმა დიდი შეფასება მისცეს კონსტანტინეს რვატომეულს.

ზოგმა ახალგაზრდობის წლები გაიხსენა, ზოგმა – ძველი სკეპსისი.

მაგრამ ყველამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონსტანტინე დიდი მწერალია, შედეგების ავტორი, "სისხლი სისხლთაგანი საქართველოსი".

მადლობის ნიშნად მწერალმა ტელეგადაცემის მონაწილენი რესტორანში დაპატიჟა, თამადად მუხრან მაჭავარიანი დანიშნა.

მუხრანი "კოლხური კოშკის" ხშირი სტუმარი იყო, დიდ პატივს სცემდნენ მირანდა და კონსტანტინე.

მირანდა ახალგაზრდა პოეტს ეტყოდა ხოლმე, ჩვენ ხომ ნათესავები ვართ, ხშირად უნდა მოხვიდე ჩვენთანო.

მუხრანი ამას ყურადღებას არ აქცევდა. მხოლოდ გვიან გაიგო, რომ მირანდას და მუხრანის ბებიები დები ყოფილან თურმე!

ახლაც ჩვეული სიდინჯით უძღვებოდა სუფრას პოეტი.

განსაკუთრებით მოიხიბლა ავლიპ ზურაბაშვილი, ვერ მოითმინა და რამდენიმეჯერ გადაულაპარაკა გიორგი ჯიბლაძეს:

– ნამდვილი კახელია. ხომ იცი, კახელი მაინც სხვაა სუფრაზე!

გიორგი არ დაეთანხმა, რას ამბობ, კახელი კი არა, იმერელია, მამამისს კარგად ვიცნობდიო.

– დედა მაინც ეყოლება კახელი, – გული არ გაიტეხა ავლიპმა.

"მნათობმა" ტელევიზიის გადაცემა ჩაიწერა, დაურთო სერგი ჭილაიას წერილი და იმავე წლის ივლისის ნომერში დაბეჭდა.

რვატომეულის პირველი ექვსი ტომი სწრაფად გაიყიდა.

ხოლო VII და VIII ტომები კარგა ხანს შემორჩა წიგნის მაღაზიებს. მიზეზი ის იყო, რომ ხალხს კონსტანტინეს პროზა აინტერესებდა და არა თარგმანები და კრიტიკული წერილები, რომელთა ტირაჟიც 40 ათასი იყო.

ქართველ ხალხს ხელთ ჰქონდა მწერლის რჩეულ თხზულებათა კრებული, რომელმაც ბევრი სკეპტიკოსიც მოარჯულა. უკვე აღარც კულისებში დაობდნენ კონსტანტინეს პროზის ღირსების გამო.

ცხადია, დიდი მწერალი ყოველთვის იქნება არა მხოლოდ ხოტბისა და შესწავლის, არამედ დავის, კრიტიკის, უარყოფის საგანიც.

ლიტერატურის პროგრესი სხვანაირად წარმოუდგენელია.

შემდეგ სერგი ჭილაიას ინიციატივით მოეწყო რვატომეულის განხილვა უნივერსიტეტში. იგი ხომ რედკოლეგიის ერთ-ერთი წევრი იყო.

მოხსენება წაიკითხა პროფესორმა გიორგი მერკვილაძემ.

დაესწრო რექტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა.

კონსტანტინეც მივიდა.

იგი ყურადღებით უსმენდა გულაჩუყებულ პროფესორ-მასწავლებელთა სიტყვებს და ალბათ ფიქრობდა იმ დროზე, როცა სერგი მის ენას "სარგონს" ეძახდა...

"წინააღმდეგობა ზრდის მწერალს"

შეხვედრები გრძელდებოდა. თითქოს ყველა ცდილობდა, სიბერეში მაინც მიეგოთ ის, რაც დააკლდა სიჭარმაგეში.

1968 წლის 2 აპრილს სახალხო უნივერსიტეტმა მწერალთა კავშირის კლუბში კონსტანტინეს შემოქმედებაზე მეცადინეობა ჩაატარა.

კლუბში უამრავი ხალხი მოვიდა, ბევრი ფოიეში იდგა, ზოგიც ბაღში გავიდა.

მომხსენებელი იყო ბესო ჟღენტე.

მან რამდენიმე საათი ისაუბრა, ჩვეული თავგამეტებით.

სახეზე მოწოლილ ოფლის წინწკლებს ხშირ-ხშირად ცხვირსახოცით იმშრალებდა, ისეთი სიცხე იდგა დარბაზში. შეიძლება თავისი ძველი წერილებიც აგონდებოდა და ესეც ჰმატებდა სიცხეს.

შოთა ნიშნიანიძემ და ლადო სულაბერიძემ წაიკითხეს მწერლისადმი მიძღვნილი ლექსები.

კინოფილმ "დიდოსტატის მარჯვენაზე" ილაპარაკა ვახტანგ ტაბლიაშვილმა.

ბოლოს კონსტანტინემ დასტოვა თავისი სავარძელი და დარბაზს წარუდგა, რომელიც მქუხარე ტაშით შეხვდა მხცოვან მწერალს.

კონსტანტინემ თქვა: წინააღმდეგობა ზრდის მწერალსო, კომუნისტები რომ არ ყოფილიყვნენ, იქნებ ვერც ვერაფერი დამეწერაო.

ბესოს ირონიით გადახედა, ბესო და შალვა ჩემთან ბრძოლაში დავაჟკაცდნენო.

გარეთ რომ გამოვედით, სტუდენტებს ერთი ჭარმაგი კაცი გამოგვყვა, კონსტანტინეზე გაგვესაუბრა. ერთხელ პურის რიგში მდგარა, ვიღაცას ხელი მოეკიდა და ხმამაღლა ეთქვა:

– სომეხო, ბოლო შენა ხარო?

მე მეწყინა, მაგრამ კონსტანტინე ვიცანი და ელდა მეცაო.

კონსტანტინეს დაუმზვიდებია, კარგია, სომხოზა რომ გეწყინა, ქართველს ქართველობა უნდა ეამაყებოდესო!

სეზამ, გაილე!

მოსკოვი ხელს აღარ უშლიდა, მაგრამ არც ანებივრებდა – "დიდოსტატის მარჯვენის" გარდა არცერთ წიგნს არ უბეჭდავდა, უცხოეთის გზებზე არ უშვებდა.

1955 წლის 21 სექტემბერს საქართველოს მწერალთა კავშირს სთხოვა, რათა მოსკოვში გამოეცათ ერთტომეული – "მთვარის მოტაცება", "დიდოსტატის მარჯვენა" და "ხოგაის მინდია".

3 დეკემბერს ირაკლი აბაშიძემ მიმართა "გოსლიტიზდატის" დირექტორს ს. კოტოვს.

ერთტომეულის გამოცემისაგან მოსკოვმა თავი შეიკავა.

1962 წლის 22 მარტს ირაკლი აბაშიძემ წერილი გაუგზავნა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობას, რათა მწერლის 70 წლისთავის გამო გამოეცათ კონსტანტინეს ერთტომეული.

22 მაისს ირაკლი აბაშიძე განმეორებით სთხოვდა "Художественная Литература"-ს დირექტორს გ. ვლადიკინს, გეგმაში შეეტანა ერთტომეული – "დიდოსტატის მარჯვენა", "ვაზის ყვავილობა" და "ხოგაის მინდია".

რუს მკითხველს ჰგონია, კონსტანტინეს "დიდოსტატის მარჯვენის" გარდა არაფერი დაუწერიაო.

1965 წლის 21 სექტემბერს "Художественная Литература"-სათვის შედგა 1966-1970 წლებში გამოსაცემი ქართული წიგნების გეგმა. მასში შევიდა "მთვარის მოტაცება".

მოსკოვმა ამ განცხადებასაც წაუყრუა, ვითომ არც მიუღია.

13 ოქტომბერს ბესო ჟღენტი თხოვდა სსრკ მწერალთა კავშირის მდივანს კ. ვორონკოვს, რათა გამოეცათ კონსტანტინეს ხუთტომეული.

ერთტომეული არ დაუბეჭდეს, ხუთტომეულს ხელს ვინ მოჰკიდებდა!

1969 წლის 17 ნოემბერს გრიგოლ აბაშიძე მიმართავდა სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორს ვ. კოსოლაპოვს, რათა მოსკოვში გამოეცათ კონსტანტინეს თხზულებათა სრული კრებული.

ცხადია, ეს წამოწყებაც განწირული იყო.

მწერალი ჯიუტად აკაკუნებდა მოსკოვის დახშულ და ცივ კარებს.

1971 წლის 10 თებერვალს გრიგოლ აბაშიძეს შეატყობინეს " Художественная Литература"-ს განყოფილების გამგემ ლებედევამ და უფროსმა რედაქტორმა ჯალიაშვილმა, რომ ნავარაუდევია "მთვარის მოტაცების" 1973 წლის გეგმაში ჩასმა, მაგრამ საჭიროა ძველი თარგმანის შეფასება და დედანთან შედარებაო. მოსკოვში ამას ვერავინ შეძლებს და გთხოვთ გამოჰყოთ რეცენზენტიო.

მწერალთა კავშირის სამდივნომ ეს წერილი 19 თებერვალს განიხილა, მაგრამ პასუხი არ გასცა. ახლა თბილისი არჩევდა დუმილს.

საბჭოეთის დედაქალაქი არ ღებულობდა კონსტანტინეს და აიძულებდა მხოლოდ თბილისში ებეჭდა წიგნები. ამიტომ დაიწყო "მერანის" რუსულმა რედაქციამ რვატომეულის გამოცემა.

1971 წელს საკავშირო მასშტაბით გამოცხადდა ხელმოწერა.

თბილისი სცემდა რუსულ რვატომეულს 200 ათასი ტირაჟით. მსურველი მეტი იყო, მაგრამ რესპუბლიკას ქალაქი არ ჰყოფნიდა.

მწერლის ინიციატივას ახორციელებდა მარკ ზლატკინი, რომლის ღვაწლს მცირე ესეთი გამოეხმაურა მაღლიერი კონსტანტინე.

გამოცემულ ტომებს დუმილით ხვდებოდა მოსკოვი, არც აქებდა, არც აძაგებდა.

ოვაცია კიევში

ასაკში შესულს ხშირად ეწვეოდა დეპრესია და მელანქოლია. ასეთ დროს მუშაობა უჭირდა, არავისი ნახვის სურვილი არ ჰქონდა, მიელტვოდა მარტოობასა და სიჩუმეს, იჯდა და ფიქრობდა საწუთროს ამაოებაზე, კაცთა გაუტანლობაზე, ეკლუზიასტეს მსგავსი მტანჯველი კითხვები გულს უღადრავდა, გარდასული დღეები, საშინელი წუთები ახსენდებოდა.

იქნებ აგონდებოდა ალექსანდრე მაკედონელის უკანასკნელი სიტყვები:

"რისთვის ვიბრძოლე?!"

ასე დროს, 1969 წლის მაისში, მონაწილეობა უნდა მიეღო ქართული მწერლობის დეკადაზე კიევში. უარი განაცხადა, მაგრამ არ დაუჯერეს.

კიევში მატარებლით გაემგზავრნენ. გაჰყვნენ მირანდა, ნათელა და თათია ხაინდრავა.

უკრაინის დედაქალაქში დაბინავდნენ სასტუმრო "როსიას" XVI სართულზე.

სალამო ტარდებოდა ოქტომბრის სასახლეში.

კონსტანტინეს სასტუმროდან გამოსვლა არ უნდოდა, უგუნებობას უჩიოდა, სიცოცხლის ხალისი დაჰკარგვოდა. სიგარეტს ეწეოდა, კონიაკს სვამდა.

თათია გამოგზავნეს, ბიძაშენი შენ თუ დაგიჯერებსო.

კონსტანტინე დაჰყვა დისწულის ნებას.

დარბაზში კონსტანტინეს გამოჩენას ნამდვილი ფურორი მოჰყვა.

ყველანი ფეხზე ადგნენ, ტაშს უკრავდნენ, სცენაზე ყვავილებს ესროდნენ, მწერლის სახელს გაიძახოდნენ.

ასე მეგონა, დარბაზი ინგრეოდაო, იხსენებდა ნათელა.

ოვაცია რამდენიმე წუთი გაგრძელდა.

კონსტანტინე კი იდგა სცენაზე, ხმას ვერ იღებდა, მხოლოდ ხალხს ესალმებოდა და დაღლილ მხერვას ავლებდა მოზეიმე სასახლეს.

იმავე დამეს ბესო ჟღენტმა თბილისში დაურეკა ამილო ახოზაძეს, სიხარულის ცრემლები ერეოდა, ეს რას მოვესწარი, როგორ შეხვდნენ, როგორ ჰყვარებიათ კონსტანტინეო!..

კინოფილმი "დიდოსტატის მარჯვენა"

1965 წლიდან ისევ განახლდა კინოფილმ "დიდოსტატის მარჯვენაზე" ოცნება.

სცენარს ამჯერად წერდა ვახტანგ ტაბლიაშვილი.

1965 წლის 12 მარტს დადებითი დასკვნა დაწერა ბესო ჟღენტმა.

შემდეგ თანაავტორი გახდა კონსტანტინეც.

16 დეკემბერს, ხანგრძლივი დროის შემდეგ, სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მთავარმა რედაქტორმა აკაკი ბაქრაძემ და უფროსმა რედაქტორმა გიორგი ხუბაშვილმა დაწერეს დადებითი დასკვნა, რაც მომდევნო წლის 26 იანვარს დაადასტურა კინოსტუდია "ქართული ფილმის" დირექტორმა თენგიზ გორდელაძემ.

სცენარი მოსკოვს უნდა დაემტკიცებინა. მაგრამ იქ არავინ აგზავნიდა. დირექტორი ქმნიდა ახალ-ახალ ბარიერებს.

ვახტანგ ტაბლიაშვილი 1966 წლის 27 ოქტომბერს ატყობინებდა კონსტანტინეს, გორდელაძე მეორე წელია აქტიურად იბრძვის სცენარის წინააღმდეგო.

საკითხის გადასაწყვეტად მივიდნენ გივი ჯავახიშვილთან, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან.

გორდელაძე იმიზეზებდა, "დიდოსტატის მარჯვენა" სრულყოფილი ფილმი უნდა იყოსო, სცენარი დასახვეწიაო.

გივი ჯავახიშვილმა განაცხადა, თუ კინოსტუდიის დირექცია საკითხს ვერ გადაწყვეტოს, მჟავანაძეს შევხვდეთო.

სამხატვრო საბჭოს კიდევ არ დაემტკიცებინა სცენარი.

ვახტანგ ტაბლიაშვილი სწერდა კონსტანტინეს, მჟავანაძესთან ხომ არ მივიდეთო.

ბოლოს, როგორც იქნა, სცენარი მოსკოვს გაეგზავნა.

1967 წლის 17 ივნისს სასცენარო-სარედაქციო კოლეგია ატყობინებდა სსრკ კინემატოგრაფიის კომიტეტს, საქართველოს კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. კუპრავას, კინოსტუდია "ქართული ფილმის" დირექტორს თ. გორდელაძეს, რომ თანახმა იყო 1969 წელს გადაეღოთ ორსერიანი ფილმი, მაგრამ იძლეოდა შენიშვნებსაც, რაც ეხებოდა ხასიათების გახსნას.

საბოლოო დასკვნა კინოსტუდიამ დაწერა 1967 წლის 19 დეკემბერს.

გადალება დამტკიცდა 1968 წელს.

დაიბეჭდა კინოსცენარის სარეჟისორო მაკეტი. რეჟისორობა მიანდეს ვახტანგ ტაბლიაშვილსა და დევი აბაშიძეს.

თითქოს წარმატებით დასრულდა მრავალწლიანი ბრძოლა ბიუროკრატიულ აპარატთან. მაგრამ გაჩნდა ახალი დაბრკოლება: 1969 წლის 21 თებერვალს, გადაღების დაწყების წინ, კონსტანტინემ შენიშვნები გაუგზავნა რეჟისორს და მოითხოვა, რომ სცენარი რომანის მიხედვით შეესწორებინათ.

ეს წინადადება უარყო ვახტანგ ტაბლიაშვილმა, შენიშვნები ზვიადს ეკუთვნისო. მე არაფერს არ ვასწორებ, მიტომ კი არა, რომ ჯიუტი ვარო, ისინი მხოლოდ წიგნს ხედავენ, მე კი – წიგნთან ერთად ფილმსო.

ორსერიიანი მხატვრული ფილმი "დიდოსტატის მარჯვენა" გადაიღეს 1970-1971 წლებში და მას დიდი ინტერესით შეხვდა მაყურებელი.

განსაკუთრებულ მოწონებას იწვევდა გიორგი მეფე, რომელიც განასახიერა ოთარ მეღვინეთუხუცესმა.

ამ ფილმის გადაღებას 14 წელი დასჭირდა.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ეკრანიზებას აყოვნებდა ოფიცოზი.

მაგრამ ვასილ მჟავანაძე, გივი ჯავახიშვილი, გიორგი მოწენიძე კონსტანტინეს გულთბილად ეპყრობოდნენ და ხელს უწყობდნენ.

არც მწერალთა კავშირში, არც სუკში ძველებური ინტრიგები აღარ იხლართებოდა.

შეიძლება თავად კინოსტუდია იყო დამნაშავე, ცალკეული პირები, რომელთაც კონსტანტინე არ უყვარდათ.

ოთხი წელი კონსტანტინემ ვერ წარადგინა სცენარი. შემდეგ ვახტანგ ტაბლიაშვილს ებრძოდნენ. ზოგს არც კონსტანტინე მოსდიოდა თვალში, სულ ქართულ კინოსა და თეატრს აძაგებსო. ბიუროკრატიული სისტემა საქმეს კიდევ უფრო აფერხებდა.

1960 წლის 5 აპრილს გულდაწყვეტით აღნიშნავდა, მინდოდა "დიდოსტატი" ეკრანზე მეხილა, შემპირდნენ, დამირეკავდნენ, დავურეკავდი, წავიდოდი, მოვიდოდნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდაო.

სიკო დოლიძეს შენიშნა, აქ რომ გამოდიხართ, ფრთხილად უნდა იყვეთ, თქვენი სწავლება ჩვენ არ გვჭირდებაო.

ცეკას დავალებით დავით აღმაშენებელზე სცენარი დავწერე, მოიწონეს, მაგრამ ჩემი რეჟისორი სიკო დოლიძე იუგოსლავიაში წავიდა ტიტოს გადასაღებად.

სიკო დოლიძე კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე იყო. 1963 წლის 8 აპრილს აცხადებდა, ქართული თეატრი დაღუპვამდე მიიყვანა ზოგიერთმა რეჟისორმაო, თუმცა დიდებული აქტიორები გვყავსო.

1965 წლის 26 თებერვალსაც აკრიტიკებდა თეატრს და კინოს.

1968 წლის ნოემბერში მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს უმტკიცებდა, კინოსტუდიას მეტი კონტაქტები უნდა ჰქონდეს მწერლობასთანო.

ერთი სიტყვით, ემდუროდა თეატრალებსა და კინოს მუშაკებს.

მწერალს უნდოდა ქართული კლასიკა ეხილა სცენაზე და ეკრანზე, ის გმირები, რომლებიც მონაწილეობდნენ ქართული ფსიქიკისა და ხასიათის ფორმირებაში. ეს ძნელი მოსახერხებელი იყო. არც ხელისუფლება გახლდათ დიდი მოსურნე – მას არ უნდოდა ნაციონალიზმის დამკვიდრება და გავრცელება, ცალკეული სახელების ჭარბი პროპაგანდა.

მწერლის სავარძელი

მწერალთა კავშირში იშვიათად დადიოდა, ნაკლებად ესწრებოდა სხდომებსა და თათბირებს.

1972 წლის თებერვალში განიხილავდნენ ცეკას ცნობილ დადგენილებას სალიტერატურო კრიტიკის გამო.

სხდომა კარგა ხნის დაწყებული იყო, როცა კლუბში კონსტანტინე შემოვიდა და კათედრის წინ მდგარი თავისი სავარძლისაკენ წავიდა. მაგრამ იგი რევაზ ჯაფარიძეს დაეკავებინა. კონსტანტინემ ნაბიჯი შეანელა, დარბაზს თავი დაუკრა. რევაზ ჯაფარიძე წამოდგა და სავარძელი დაუთმო მწერალს.

სხდომას გრიგოლ აბაშიძე უძღვებოდა.

გრიგოლმა რატომღაც პაოლო იაშვილი ახსენა.

– პაოლო რა პოეტი იყო, – უცებ წამოიძახა კონსტანტინემ და გაჩუმდა.

გრიგოლი ძალიან გაღიზიანდა და მწერალს სთხოვა წესრიგი დაეცვა.

კონსტანტინეს არაფერი უთქვამს, ერთხანს უსმინა ორატორებს და შემდეგ დარბაზი დატოვა.

მას მერმე მე იგი არ მინახავს.

ქართული ატომეული

1972 წელს გამოცხადდა ხელმოწერა კონსტანტინეს თხზულებათა ატომეულზე. ტირაჟი უნდა ყოფილიყო 60 ათასი, მაგრამ შემდეგ რატომღაც გაანახევრეს, რასაც მკითხველთა უკმაყოფილება მოჰყვა.

პირველი ტომი – "მთვარის მოტაცება" 1973 წელს დაიბეჭდა.

ქართულ თხზულებათა კრებულებს მაშინ სცემდა გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", რუსულს – "მერანის" რუსული რედაქცია.

ეკრანსა და სცენაზე

"დიდოსტატის მარჯვენის" ეკრანიზების შემდეგ რეჟისორმა თამაზ მელიავამ გადაიღო ორსერიანი ფილმი "მთვარის მოტაცება".

თავად რეჟისორს ფილმი ეკრანზე არ უნახავს, მანამდე დაილუპა.

ამ ფილმსაც ინტერესით შეხვდა მაყურებელი. მაგრამ იგი რომანის აჩრდილი აღმოჩნდა. განსაკუთრებით უფერული გამოდგა თამარისა და თარაშის სახეები, ფინალი – თარაშის დალუპვა ენგურის ზვირთებში.

ამ ფილმსაც მრავალი ბარიერის დამლევა მოუხდა, ვიდრე მაყურებლამდე მიაღწევდა.

უცხოეთის გზებზე

"მთვარის მოტაცება" ითარგმნა უკრაინულად და აფხაზურად, "ბელადი" – სომხურად, "ხოგაის მინდია" – გერმანულად, "ვაზის ყვავილობა" – ლატვიურად...

"დიდოსტატის მარჯვენა" უკვე თარგმნილი იყო რუსულ, უკრაინულ, ოსურ, სომხურ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, ჩეხურ, რუმინულ, ჩინურ, ბენგალურ, ჰინდისა და ურდუს ენებზე...

თითქმის ყოველი მათგანი შესრულდა რუსული ტექსტიდან, რომელიც ეკუთვნის ფატმან თვალთვაძეს და ჩასწორდა ალ. სერებროვ-ტიხონოვისა და კონსტანტინეს მიერ.

"მცხეთის ქალაქს მრონი დულს"

კონსტანტინე ხშირად ჩადიოდა მცხეთაში, ჯერ ცხენით, შემდეგ – მანქანით. სვეტიცხოველის ეზოს დაივლიდა, ტაძარში სანთლებს დაანთებდა.

1972 წლის 7 ივნისს მცხეთის საშუალო სკოლამ შეხვედრა მოუწყო მხცოვან მწერალს.

დაგეგმილი იყო 26 მაისისათვის, მაგრამ თარიღი შეიცვალა. ალბათ ვიღაცამ კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ეს დღე.

შეხვედრის ინიციატორი იყო ქართულის მასწავლებელი შორენა ქაჯაია.

კონსტანტინე "ვილისით" მივიდა, თან ახლდა თბილისელი მასწავლებელი მერი ლაბარტყავა, რომელმაც თავის სახლში მწერლის მუზეუმი მოაწყო.

მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა ლამაზი კალიგრაფიული ხელით გადაწერეს "დიდოსტატის მარჯვენა", ჩასვეს ჭედურ ყდაში და საჩუქრად გადასცეს ძვირფას სტუმარს, უთხრეს მრავალი გულთბილი სიტყვა, მოაწყვეს ინსცენირება მწერლის რომანებიდან.

შეხვედრა ბანკეტით დასრულდა.

კონსტანტინე თამადის პირდაპირ იჯდა, ნელ-ნელა სვამდა ღვინოს, მასპინძლებს ესაუბრებოდა. უცებ თამადას შეხედა და ხმამაღლა ჰკითხა, რამდენი საყვარელი გყავსო.

სუფრა გაისუსა, თამადა დაიბნა, თურმე საყვარელი გვერდით მოესვა!

კონსტანტინემ გაამხნევა შეცბუნებული მასპინძელი, რაც მეტი საყვარელი გეყოლება, მით უკეთესიაო, და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

იმ დღეს თბილისი წალეკა თავსხმა წვიმამ. მაგრამ "ვილისმა" გაჭრა მღვრიე ნაკადები და მწერალი მშვიდობით დაბრუნდა შინ.

ამის შემდეგ იგი იშვიათად გამოდიოდა "კოლხური კოშკიდან".

80 წლის იუბილე

80 წლის კონსტანტინე ღრმად მოხუცი იყო.

ასაკთან შედარებით უფრო მოტეხილი ჩანდა.

წელთა სიმრავლეს სნეულებანი მოჰქონდა.

სიკვდილის მსახვრალი ხელი არღვევდა მის ოდესღაც მაგარ სხეულს.

"ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელმა გერმანელმა ჰერმან ბუდენზიგმა, რომელმაც ინახულა კონსტანტინე, ასე თქვა, მეც ოთხმოცისა ვარ, მაგრამ შემხედეთ, რა კარგად ვარო.

ბუდენზიგი მართლაც მხნედ გამოიყურებოდა, მარდად დადიოდა, მაგრამ კონსტანტინეზე ადრე გარდაიცვალა.

მწერალი ბოლო წლებში აცხადებდა, ტყუილს წერენ, თითქოს 1891 წელს დავიბადე, ჩემი დაბადების წელი 1893-იაო.

ამის გამო იუბილე ვერ გადაუხადეს, როგორც საჭირო იყო.

შეიძლება არც თავად უნდოდა ჭარბი ქების მოსმენა, განსაკუთრებით მათგან, ადრე სისხლს რომ უშრობდნენ.

მაგრამ არც მიჩუმათება ივარგებდა და ამიტომ ხელისუფლებამ "კოლხურ კოშკს" ასტუმრა კონსტანტინ სიმონოვი, ვლადიმერ ლუკონინი, რასულ რზა, ვიტალი კოროტიჩი, ვლადიმერ სოლოუხინი, ალექსანდრ დუდინი, აშოტ გრამი, გრიგოლ აბაშიძე, ჰაქიმოვი...

კონსტანტინე ჭიშკართან შეეგება კოლეგებს.

გაიშალა ქართული სუფრა, რომელზეც ითქვა მრავალი გულმხურვალე სიტყვა. სიმონოვმა დიდი ხელოვანი უწოდა, ლუკონინმა – მეტრი, კოროტიჩმა უთხრა, სლავურ სამყაროს ამ საუკუნეში თქვენებრ მწერალი არა ჰყავსო, უკრაინულ ლიტერატურას თქვენი ბადალი საერთოდ არც ჰყოლიაო, რასულ რზამ – 180 წელი მაინც სჭირდებოდა თქვენს გაკეთებულ საქმესო, დუდინმა – თაყვანს ვცემ იმ მიწას,

რომელზეც თქვენ დააბიჯებთო, გრაშმა – სომხეთსაც ისევე უყვარს კონსტანტინე, როგორც საქართველოსო, ჰაქიმოვმა – თქვენ ქართულ სახელებს მსოფლიოსთან აკავშირებთო...

"კოლხური კომკის" პოეტური სერობა გადასცა საქართველოს ტელევიზიამ.

1972 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს ისტორიის მუზეუმში გადაუხადეს 80 წლის იუბილე, რომელშიც მონაწილეობდნენ პოეზიის დღეზე ჩამოსული საბჭოთა და უცხოელი მწერლები (მაგ., ბუდენიზიგი).

30 დეკემბერს მარჯანიშვილის თეატრმა მოუწყო შეხვედრა.

შემდეგ თბილისელი სომეხი მწერლები ეწვივნენ "კოლხურ კომკს" და 80 წლისთავი მიულოცეს, კიბეებთან გადაიღეს სამახსოვრო ფოტოსურათი.

იუბილე მიულოცეს ჰერტრუდ პეჩმა, დევიდ ლანგმა, რუთ ნოიკომმა, დევიდ ალენმა, ალფრედ კურელამ, სან დორვილმა, ბასანმა, ლეონოვმა, დუდინმა, ტარკოვსკიმ, ყულიევმა, გრაშმა...

იგნორირება

1972 წლის შემოდგომაზე მოსკოვის ნებით ვასილ მჟავანაძე შეცვალა ედუარდ შევარდნაძემ.

შევარდნაძეს ხალხში ავტორიტეტი ჰქონდა, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს.

ედუარდ შევარდნაძის აღზევებას კონსტანტინეც მიესალმა. თავად ეახლა ცეკაში, მაგრამ შევარდნაძე არ დახვდა. საკმაო ხანს ელოდა მოხუცი რესპუბლიკის ხელმძღვანელს.

მეორედ რომ არ შეწუხებულიყო, ცეკას პირველი მდივანი თავად ეწვია "კოლხურ კომკს". თან ახლდნენ ვიქტორია სირაძე და გიორგი ბედინიევილი.

– ალბათ დიდხანს მელოდითო, – ჰკითხა სტუმარმა.

– მთელი სიცოცხლე გელოდითო, – მოსწრებულად უპასუხა მასპინძელმა.

გამომშვიდობებისას ასე უთხრა რესპუბლიკის ხელმძღვანელს:

"თუ თქვენ, ბატონო ედუარდ, გულწრფელად გაუწოდებთ ქართველ ხალხს, ინტელიგენციას სამეგობროდ ხელს და შეუნარჩუნებთ მას ენას, სარწმუნოებას და ტერიტორიას, ქართველი ხალხი მაღლიერი იქნება თქვენი. მაგრამ საკმარისია ამ სამიდან ერთ-ერთი დაჰკარგოს, ქართველი კაცი შეგიძლებს, რადგან თითოეული მათგანი ჩვენი წინაპრების სისხლითაა მოპოვებული და საუკუნეების მანძილზე სიცოცხლის ფასადაა შენარჩუნებული"...

კონსტანტინე ედუარდს თავის წიგნებს უგზავნიდა ხოლმე.

ერთი ნათელასაც გაატანა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ასე რომ, ადრევე კეთილგანწყობილი იყო სიმართლისთვის მეზრძოლი პარტმუშაკისადმი. 1974 წლის 7 იანვარს წერილიც მისწერა, მეგობარი უწოდა და მაღალი შეფასება მისცა მის მოღვაწეობას.

მაგრამ ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლებაში მკვიდრდებოდა ნაციონალიზმისა და კორუფციის უარყოფელი ლოზუნგებით, კომუნისტური პაროლებით.

მოსკოვის მიერ ნაციონალისტად სახელდებული მწერლის პროპაგანდა მას ხელს არ აძლევდა, მითუმეტეს, რომ ისევ გაიხსენეს "დავით აღმაშენებელი": ყაზახ პოეტს ოლსას სულეიმენოვს თვალში არ მოუვიდა რომანის ანტითურქული პათოსი.

ედუარდ შევარდნაძე "Советская Культура"-ში დაუსახელებლად ჰკილავდა კონსტანტინეს ნაციონალიზმსა და წარსულის იდეალიზებას.

1974 წლის თებერვალში სასტიკად გააკრიტიკა "ფაშისტი" გრიგოლ რობაქიძე, საბოლოოდ აკრძალა მისი ხსენება და დაგმო ქართული ნაციონალიზმი.

ასეთ სიტუაციაში მოახლოვდა სსრკ მწერალთა კავშირის 40 წლისთავი.

მწერალთა ჯგუფისათვის მოსკოვს უნდოდა მიენიჭებინა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ამიერკავკასიის მწერალთაგან საქართველოს მისცეს ერთი ადგილი.

ედუარდ შევარდნაძემ მხარი დაუჭირა გრიგოლ აბაშიძის კანდიდატურას და იგი გახდა კიდევ სოციალისტური შრომის გმირი.

ეს ხომ კონსტანტინეს იგნორირებას ნიშნავდა.

ცხადია, მოსკოვს ერჩია დაეჯილდოებინა გრიგოლ აბაშიძე და არა კონსტანტინე გამსახურდია.

რამდენიმე წლის შემდეგ მხატვრობაშიც ანალოგიური სიტუაცია დადგა.

მაშინ სწორი გადაწყვეტილება მიიღო ედუარდ შევარდნაძემ:

სოციალისტური შრომის გმირი გახდა ლადო გუდიაშვილი და არა უჩა ჯაფარიძე.

მაგრამ დღეს, როცა აღარ არსებობს საბჭოთა კავშირი და კრახი განიცადა კომუნისტურმა იდეოლოგიამ, უკეთესიც არის, რომ კონსტანტინე არ ყოფილა არც სტალინური პრემიის ლაურეატი, არც სოციალისტური შრომის გმირი.

32. "მიუხვალ მამა-პაპათა"

სიკვდილო, იყავ შენ ჩემი ღმერთი,

სიკვდილო ნაზო, წმინდა სიკვდილო,

მოვედ, ძვირფასო ტკბილო სიკვდილო.

"დიონისოს ღიმილი"

მწუხარე შემოდგომა

თამარი განუკურნელ სნეულებას შეეპყრო, იმ სნეულებას, რომელმაც იმსხვერპლა მირანდა, მირანდას დედა და დეიდა.

ეს ლამაზი ასული, რომელიც კარგად ახსოვს ჩვენს თაობას, უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

იგი საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი იყო და ჩვენ, ფილოლოგ სტუდენტებს, არაერთხელ გვინახავს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში.

მამას უმაღლავდნენ შვილის ავადმყოფობის მიზეზს.

თამარი დეპრესიამ შეიპყრო, როცა შეატყო, რომ ფილტვების ანთება არ უნდა ყოფილიყო მისი სენი.

სამკურნალო კომბინატში მწოლარემ თავის მოკვლა განიზრახა, დედის ავადობა მჭირსო და ვენები გადაიჭრა.

გრძნობადაკარგულს ძლივს მიუსწრეს ექიმებმა...

კონსტანტინეს სიბერე მოეძალა. მარტო სიარული უჭირდა, გვერდით ვინმე უნდა ხლებოდა, გაუძლიერდა ბრონქიალური ასთმა, ნერწყვდენა, ალერგიული ქავილი, დაუმძიმდა პროსტატიტის ანთეზა.

სიგარეტს მაინც არ ეშვებოდა, ღვინოსაც ეტანებოდა.

ოქტომბრის თვეში უროლოგიის ინსტიტუტის კლინიკაში დააწვინეს.

დასუსტებული სხეული ვერ გაუძლებდა ორმომენტიან ოპერაციას. ამიტომ მხოლოდ პირველი გაუკეთეს.

ქირურგი იყო პროფესორი სოკრატ არშბა.

16 ოქტომბერს თამარი გარდაიცვალა.

"რა ეშველება უჩემოდ ზვიადს", აღმოხდა უკანასკნელ წუთებში.

"კოლხური კოშკის" მყუდრო სავანეს ისევ დაეცა სიკვდილის ლანდი.

ვერავინ შეძლო ავადმყოფისათვის ეთქვა ეს თავზარდამცემი ამბავი.

შემდეგ ზვიადი მივიდა მამასთან.

მეგრული "ვავაი" აღმოხდა კონსტანტინეს, როცა გაიგო, რომ თამარი აღარ იყო ამქვეყნად.

პანაშვიდებსა და დაკრძალვაზე უამრავი ხალხი მოვიდა. მოვიდა გურამ მინაშვილიც, ვის ნახვასაც ამაოდ ნატრობდა მომაკვდავი ქალი უკანასკნელ დღეებში.

კუბოში იწვა სერაფიტასავით ლამაზი ასული.

20 ოქტომბერს თამარი დაკრძალეს "კოლხური კოშკის" ეზოში, დედის გვერდით.

იმ შემოდგომაზე ზვიადი იძულებული გახდა მეუღლეს გაჰყროდა.

დალიმ და კონსტანტინეს საყვარელმა შვილიშვილმა დასტოვეს "კოლხური კოშკი".

მამა-შვილი მარტონი დარჩნენ.

დადუმებულ ეზო-კარს ხშირად აკითხავდა ნათელა. შემდეგ კარგა ხნით გადავიდა მამისეულ სახლში, რათა ოჯახს უქალობა არ დასტყობოდა.

ვერც სნეულებამ, ვერც ამდენმა უბედურებამ კონსტანტინე ვერ გატეხა. ოპერაციის შემდეგ საგრძნობლად მოიკეთა, ლოგინიდან წამოდგა, საწერ მაგიდას დაუბრუნდა.

ისევ აიღო ხელთ კალამი.

იჯდა ბუხართან, სიგარეტს ეწეოდა და ნაფიქრალი ქალაღზე გადაჰქონდა.

ძალა რომ გამოეღეოდა, ეზოში გავიდოდა და შველს მიეფერებოდა.

მალე შველიც დაავადდა და მოკვდა, ვერ გაუძლო ტყვეობასა და მარტობას.

წამალს ისევ ირიდებდა, წამალი რას მიშველისო.

იკლო "კოლხურ კოშკში" მომსვლელთა რიცხვმა. მაგრამ ზოგის ნახვა თავად ენატრებოდა. ხშირად ურეკავდა ირაკლი აბაშიძეს, გიორგი ნატროშვილს, რომელსაც ხუმრობით გეურქას ეძახდა, რატომ არ მოდიხართო, ბუხართან დავსხდეთ, ვისაუბროთო.

ირაკლის მრავალი პოსტი ეკავა, საქმე გამოუღეველი ჰქონდა, მაგრამ კონსტანტინეს ხშირად ნახულობდა, ოღონდ ეს იყო, ძაღლისა ეშინოდა და წინასწარ აფრთხილებდა მასპინძელს, ძაღლი არ დამანახოთ, ძაღლი მომამორეთო.

ასევე ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ძველი ბოლშევიკი დავით ლომაძე, რომელთანაც გერმანიიდან მეგობრობდა. მწერალი ეხუმრებოდა, ქართული დაგავიწყდა, გერმანული კი ვერ ისწავლეო.

იჯდა გაჩაღებულ ბუხართან, სტუმრებთან ერთად სვამდა ღვინოს და მერამდენედ იმეორებდა სევდიან ხალხურ ლექსს:

"დავლიოთ, სანამ ერთად ვართ,

სანამ ერთმანეთს ვხედავთო,

დარდი მაშინაც გვეყოფა,

შავ ლოდს რომ ამოვხედავთო".

ნახულობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც – ნინო ჟვანია, ვიქტორია სირაძე, შოთა ჭანუყვაძე...

"რა დაგიშავათ ზვიადმა"

1974 წლის 29 მარტს აკადემიაში არჩევნების გამო "კოლხურ კომპში" მივიდნენ ალექსანდრე ბარამიძე და სერგი ჯიქია. საარჩევნო ყუთი მიუტანეს, რადგან მოხუცი მეტწილად იწვა და შინიდან არ გადიოდა.

კონსტანტინემ ალექსანდრეს – ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს თხოვა, უნივერსიტეტიდან დათხოვილი ზვიადი სამსახურში მიეღო.

ალექსანდრე დათანხმდა, მაგრამ საქმეში სუკი ჩაერია და ვერც პრეზიდენტ ილია ვეკუას მხარდაჭერამ შედეგი ვერ გამოიღო.

შეწუხებულმა მამამ 1974 წლის 24 დეკემბერს ბარათი გაუგზავნა ალექსანდრეს, რატომ არ ღებულობ ზვიადს, რა დაგიშავა ჩემმა ვაჟმაო, როცა ბუდენზიგის თარგმანის შემოწმება გინდოდათ, ხომ დაუძახეთო. ზვიადი ინსტიტუტში მიიღეს 1976 წელს, როცა კონსტანტინე ცოცხალი აღარ იყო.

ასევე ზრუნავდა შვილიშვილზე – შორენა ახოზაძეზე. 1974 წლის 26 მაისს ილია ვეკუას სთხოვა, რომ ვლადიმერ ჭავჭავანიძეს ხელფასი მოემატებინა მისი შვილიშვილისათვის – 50 მანეთი.

თხოვნა თხოვნად დარჩა. აკადემიის პრეზიდენტმა, კონსტანტინეს დიდმა პატივისმცემელმა, დახმარება ვერ შეძლო.

შავლითამიანი მხედარი

გაზაფხული დამდგარიყო "კოლხური კომპის" ეზოში.

ჰყვაოდნენ ალუჩები, ნაზამთრალ მიწას მწვანე მოლი მოსდებოდა.

კონსტანტინეს უნდოდა ვაზი გაესხლა.

მაგრამ ქარი ამოვარდა, გაწვიმდა და თოვლიც გაურია.

ვაზს სხლავდა დიხაზურგელი იპოლიტე გამსახურდია, რომელიც "კოლხურ კოშკში" ჩაწერა კონსტანტინემ, რათა ოთხი შვილის მამას სწავლაში ხელი არ შეშლოდა.

მასპინძელი ფანჯრიდან გაჰყურებდა შიშველ ხეებს, თოვლისფერ ალუჩებს.

იგი საფიქრალს მისცემოდა, კახურ ვაზის ყვავილობას თუ იგონებდა.

გაზაფხულის მოსვლა, ბუნების ამწვანება გულს უხალისებდა. მაგრამ ისევ სნეულებამ დარია ხელი.

მაინც რეკავდა მწერალთა კავშირში, "მერანსა" და "საბჭოთა საქართველოში", ეხმიანებოდა კარლო კალაძეს, მარკ ზლატკინს, ელგუჯა მაღრაძეს, ტომეულების გამოცემა დააჩქარეთო, ჰონორარს რატომ არ მირიცხავთო. პრესას თვალს ადევნებდა, წერილებს უგზავნიდა ტელევიზიასა და ჟურნალ-გაზეთებს, სტუმრებს ხვდებოდა, ზვიადსა და მერაბს ესაუბრებოდა, ისევ მხნე და იმედიანი ჩანდა ეს მრავალჭირგადანახადი, ლანდადქცეული ბერიკაცი.

გრიგოლ აბაშიძეზე ნაწყენი იყო, რა უნდა ჩემგან, რა შურს, ჩემი წიგნები მაგის ტყავზე ხომ არ იბეჭდებო.

დროდადრო ეწვეოდა შავლითამიანი მხედრის აჩრდილი, მაგრამ უამურ ჩვენებას თავიდან იცილებდა.

ერთ დღეს აკაკი გაწერელიამ ინახულა ძველი მეგობარი.

აკაკი გულნატკენი იყო და იშვიათად დადიოდა "კოლხურ კოშკში", კონსტანტინემ აკადემიის არჩევნებში მხარი არ დამიჭირაო.

ძლივს წამოიწია ლოგინიდან ავადმყოფი, ცხვირსახოციტ ტუჩები შეიმშრალა, გაზეთი გაუწოდა და შესჩივლა, რა უნდათ, კაკო, ჩემგან, რატომ არ მაცლიან სიკვდილსო...

თურმე ერთ ენათმეცნიერს ისევ ძველებურად გაეკენწლა მწერლის ენა.

* * *

ეზოში მარადმწვანე მცენარეები არ იდგა.

შემოდგომაზე ფოთოლცვენა დაიწყებოდა და ხეთა სამოსელი იძარცვებოდა.

იპოლიტე დაჰპირდა მოხუცს, დაფნის თესლსა და მანდარინის ნერგებს ჩამოვიტან გალიდანო.

მართლაც, დეკემბრის თვეში მანდარინის ნერგები ჩამოიტანა იპოლიტემ, დაფნის თესლი – ვერა.

კონსტანტინეს ესეც გაეხარდა, სუფრაზე მიიწვია, თვითონ დალია და სტუმარსაც დააღვინა ღვინო.

ექიმები აკითხავდნენ ბერიკაცს – ლუბა შეწირული, ბაადურ რაჭველიშვილი, მარიამ დოლიძე-ჭილაია...

კოლხური წესისამებრ სადამოობით ნათელა ფეხს ჰბანდა მამას.

თუ ზვიადი შინ არ იყო, მოიკითხავდა, სად არის, რატომ იგვიანებსო.

უნდოდა ვაჟი ყოველთვის გვერდით ჰყოლოდა.

1974 წლის ოქტომბერში ზვიადმა შეირთო მანანა არჩვაძე, რომელიც მისი თანამებრძოლი გახდა მომავალ ბატალიებში.

* * *

დადგა კიდევ ერთი ზამთარი.

დეკემბერში მოთოვა და ქალაქი თეთრი საბურველით შეიმოსა.

1974 წლის 24 დეკემბერს ლიტერატურის ინსტიტუტში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია.

იგი კონსტანტინეს ოციანი წლების პროზას ეხებოდა, რომელსაც ყოველთვის ებრძოდა და უარყოფდა ოფიცოზი.

კონსტანტინეს შემოქმედებაზე უკვე დაეცვათ დისერტაციები – ირმა ჩხეიძეს, გურამ კანკავას, თენგიზ კიკაჩიშვილს, ეთერ შუშანიას.

ეთერ შუშანიას საბჭომ ჩაუგდო სადოქტორო დისერტაცია, თუმცა დაცვას ესწრებოდა თავად მწერალი და სიტყვაც წარმოთქვა.

შეწუხდა მოხუცი – რექტორს, ილია ვეკუას სთხოვა და საუნივერსიტეტო საბჭომ განმეორებითი დაცვის შედეგად მიანიჭა ეთერ შუშანიას დოქტორის ხარისხი.

ჩემი დისერტაციის დაცვას ზვიადი დაესწრო.

კონსტანტინე შინიდან არ გამოდიოდა, მეტწილად იწვა. ამიტომ მოსვლა არ გვითხოვია, ვიცოდით, რომ ვერც შეძლებდა.

ელდარ კერძევაძე მეუბნებოდა, კონსტანტინეც კარგად მიცნობს და ზვიადიც, ავიდეთ "კოლხურ კოშკში", მოხუცი ვინახულოთო.

იგონებდა, ერთხელ სიმთვრალეში ღამით მივაკითხეთ. სოსო პაიჭაძემ ხელი ჩამოართვა, გიგლა სარიშვილი ფეხებზე მოეხვია, მე შუბლზე ვაკოცეო.

კონსტანტინე ხელს იქნევდა, მომცილდით, თქვე შეჩვენებულეხოო. შემდეგ ღვინო მოატანინა და ყველა გვადღეგრძელო.

მაგრამ სვეგამწარებულ მოხუცთან მისვლა და ჩემს დისერტაციაზე საუბარი მერიდებოდა.

რეფერატი გადასაცემად იპოლიტეს გავატანე.

ჩვენ ერთად ვმუშაობდით გამომცემლობა "საბჭოთა საქართველოში".

მეუბნებოდა, ბატონი კონსტანტინე ისევ შეუძლოდა, მალე მოიკეთებს და ერთად ვეწვიოთო.

რეფერატის გამო მაშინ არაფერი უთქვამს მწერალს. მაგრამ მოგვიანებით, 22 აპრილს, მოულოდნელად ჩაემია იპოლიტეს – მე რას ვწერდი, ოპონენტები რას ამბობდნენ, ვინ რა თქვა, მე როგორ დავიცავი...

იპოლიტე დაბნეულა, პასუხის გაცემა გასძნელებია და ეს სწყენია მოხუცს.

შემდეგ სადილი მოატანინა, ღვინო დალიეს.

იპოლიტე იგონებს:

"ნელა შეექცეოდა სადილს, წყალს აყოლებდა ხშირად. ნასადილევს კარგ გუნებაზე დადგა. სოსო სიგუას შესახებ ლაპარაკობდა, ეთერ შუშანიას ახსენებდა"...

* * *

მუშაობა უფრო და უფრო უჭირდა.

"თამარის" წერა კარგა ხანია შეეწყვიტა.

ექიმები წამალს აძალებდნენ, მაგრამ უარობდა. წამლისა არც ახლა სჯეროდა, მთავარი ნებისყოფააო. მართლაც – მხოლოდ ნებისყოფა თუ აცოცხლებდა ლანდადქცეულ სხეულს. ერთ დღეს სიყრმის მეგობარი აბაშელი გრიგოლ კუპრავა ესტუმრა. ხანგრძლივი საუბრის თავი არ ჰქონდა და ორიოდე სიტყვით მოიკითხა გრიგოლი. შემდეგ სთხოვა, ცერცვის თესლი გამომიგზავნე, მინდა ცერცვი დავთესო ეზოშიო.

16 მარტის სუსხიან დღეს აიჩემა, დღეს კონსტანტინე ერისთავს ასაფლავებენ, კონსტანტინე დიდი მეცნიერი იყო, ღმერთი არ მაპატიებს მის დაუტირობასო.

მეზაღე არსენას დაუძახა, მძლოლი დაიბარე, გასვენებაზე მივდივარო.

არსენა და იპოლიტე უმტკიცებდნენ, ცუდი ამინდია, ფილტვების ანთება დაგემართებაო.

შემდეგ მოგონებებით გაერთო, წარსულში გადავიდა და დაკრძალვაზე ფიქრმაც გადაუარა.

ექიმები ისევ აკითხავდნენ.

ავადმყოფს თავზე ადგნენ ნათელა, ზვიადი და მანანა. მაგრამ ასაკს თავისი გაჰქონდა. ექიმ ტატიშვილს უთქვამს, ასე გამხდარი კაცი არ მინახავსო.

ლოგინად ჩავარდნილს ძველი აბაშა აგონდებოდა, სოფლის ორლობეები, აყვავებული ალუჩები და ვაზეები. ბავშვობის დღეების მოლანდება გულს უამებდა. დაღლილ წარმოსახვაში შრილებდნენ ალვისა და კაკლის ხეები, შარვლის ტოტებაკვართული ბავშვი იდგა წყალში და ღორჯოებს იჭერდა...

გული სწყდებოდა, რომ მამისეული ეზო-კარი იავარქმნილი იყო, ღობე მოერღვიათ, ხეები მოეჭრათ, აღარ იდგა ისლის სახლი.

სიკვდილის წინადღეებშიც ძველი აბაშა ენატრებოდა, მისი ველ-მინდვრები, ზანისწყალი და ლურჯი ყანები.

21 მაისს მეგრული იზაბელა მოიკითხა.

იპოლიტე შეპირდა, ორ კვირაში მოგიტანო.

პასუხი არ მოეწონა – ორი კვირა შორია, შე კაცო, მანამდე იქნება მოვკვდე კიდევო.

თაყვანისმცემლები ერიდებოდნენ მისვლას, მოხუცის მყუდროების დარღვევას.

29 მაისს იორამ ქემერტელიძე მოიგონა, მისი მოძღვნილი ლექსი ახსენა, სად არის, რას აკეთებსო, ჩემთან მოიყვანეთო.

რევაზ თვარაძის ესეე მოიწონა.

30 მაისს წინაპართა გმირობაზე ჰყვებოდა.

თავისი გვარის გენეალოგია აინტერესებდა.

იპოლიტემ შეახსენა, 1915 წელს ჟურნალი "განათლება" მკითხველებს აუწყებდა, ერთი გამსახურდია ნაპოლეონთან ომში მონაწილეობდაო.

გაეხარდა მოხუცს, გახალისდა, თითქოს პირველად მოესმინა, ასეთი წარსულის მქონე გვარის შვილი სახელისათვის მართლაც უნდა იბრძოდესო.

17 ივნისს უკანასკნელი ინტერვიუ მისცა რევაზ მიშველაძეს.

სიბერეს ეურჩებოდა, მალე გამოვკეთდები, იქნებ სანადიროდაც წავიდეო, ეუბნებოდა კორესპონდენტს.

1 ივლისს, ქანცმილეულსა და მოწყენილს, გალაკტიონი ახსენებოდა. ძლივს გასაგონად ლაპარაკობდა, ხან ძალა ელეოდა და ჩუმდებოდა.

გალაკტიონი ვერ დავაფასეთო, საუკუნის უდიდესი პოეტი იყოო, კარგი მეგობრობა გქონდა ბავშვობიდანვე, მაგრამ ნასვამი დადიოდა, მე კიდეც – ნასვამ კაცთან საუბარი ყოველთვის მიჭირდაო.

შემდეგ რუსთაველი ახსენა.

წინაპართა სახეები ედგა თვალწინ, სამშობლოში ორიოდე ადლი მიწაც რომ არ ეღირსათ.

ფიქრებს ხმამაღლა წარმოსქვამდა, დროდადრო წყალნარევ ღვინოს სვამდა.

ფიქრებს ლანდების საუფლოში გადაეყვანა, მიცვალებულებს ეხმიანებოდა, ცოცხლად წარმოიდგენდა, მათი ხსენებით სულს ითქვამდა.

2 ივლისს რუსთაველზე ლაპარაკობდა.

დაიღალა და მცირე ხანს დადუმდა. შემდეგ ბალმონტი და ბასანი ახსენა – რუსთაველის მთარგმნელები.

ლაპარაკი უჭირდა, სუნთქვა ეკვროდა, ხმა უწყდებოდა.

იპოლიტემ მოაგონა რაულ ჩილაჩავას ლექსი – "კონსტანტინე წერილს სწერს პავლო ტიჩინას".

მოხუცი წუთიერად გახალისდა, თუ გახსოვს ზეპირად, თქვიო.

11 ივლისს, ნაშუალამევს, ზმანებისგან გამოალვიძა გერმანული ნაგაზის გულსაკლავმა ყმუილმა. ძაღლის ყმუილი ცუდად ჰქონდა დაცდილი. მეორე დღეს ლოგინიდან წამოდგა, მანანას მკლავი გაუყარა და ეზოში ჩავიდა. ძაღლს რომ მიუახლოვდა, ხელჯოხი მოუქნია, შემკრთალი რძალი კი დაამშვიდა, ჩემი რისხვა რას შველის, მოსახდენი ხომ მაინც მოხდებო...

15 ივლისს იკითხა, დღეს რომელი რიცხვიაო.

წუხდა, ძალა აღარ მაქვს, წელს აგარაკზე ვერ წავალო.

გაუტეხელი გული და ნათელი აზრი ისევ შერჩენოდა.

მაგრამ სხეული აღარ ემორჩილებოდა.

სუნთქვა უარესად დაუმძიმდა, სიტყვებს ვეღარ ძრავდა, ბურანს თავს ვერ ართმევდა.

სიკვდილის წინ გოეთეს, დავით მეფესა და თამარს ახსენებდა, შავლითამიანი მხედარი ეზმანებოდა.

17 ივლისს, ღამის თერთმეტ საათზე, სუნთქვა წაერთვა.

ეს წუთი მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ დიდი კაცის სიკვდილმა მაინც ყველა გააოგნა, ქალიც და კაციც.

მხოლოდ ატირებულმა ზვიადმა მოიკრიბა ძალა, შეკრებილთ გამოეყო და ზედ გადაემხო სათაყვანო მამის ცხედარს...

დაკრძალვა

ივლისის მცხუნვარე მზე სწვავდა თბილისს.

ბევრს ქალაქი დაეტოვებინა, სოფლებსა და აგარაკებს შეფარებოდნენ.

არც სტუდენტები და მოსწავლეები ჩანდნენ დედაქალაქის ქუჩებში.

მაინც უამრავი ხალხი მოვიდა "კოლხურ კომქსა" და მწერალთა სასახლეში, რათა უკანასკნელი პატივი მიეგოთ იმ კაცისათვის, ვისი ხმა მთელი საუკუნე აფხიზლებდა საქართველოს.

ჩამოდოდნენ რაიონებიდან, სოფლებიდან და ქალაქებიდან.

ხელისუფლება, მწერალთა კავშირი, აკადემია, პრესა, რადიო და ტელევიზია ღრმა მწუხარებით იუწყებოდნენ დიდი მწერლისა და მამულიშვილის გარდაცვალებას.

დაკრძალვის ხარჯები სახელმწიფომ გაიღო.

გაზეთებმა დაბეჭდეს გულისტკივილით აღსავსე წერილები.

საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან მოვიდა სამძიმრის დეპეშები.

21 ივლისს მწერალთა სასახლეში გადაასვენეს კონსტანტინეს ცხედარი.

დაკრძალვის დღეს დიდოსტატის თაყვანისმცემლებით დაიფარა მაჩაბლის ქუჩა.

მწერლის კუბოსთან საპატიო ყარაულში ერთმანეთს ცვლიდნენ რესპუბლიკის, მწერალთა კავშირის, აკადემიის ხელმძღვანელები, კულტურის ცნობილი მოღვაწენი.

ედუარდ შევარდნაძემ მდუმარედ შემოუარა კუბოს, ხელი არავის ჩამოართვა, არც ზვიადს, არც ნათელას.

გამოსვენება გაძნელდა.

ხალხმა კატაფალკაზე უარი თქვა და მაჩაბლის ქუჩიდან რუსთაველის გავლით "კოლხურ კოშკამდე" ხელით ატარა სათაყვანო მწერლის ცხედარი.

ქაშუეთთან ჩავლისას გლოვის ზარები დაარისხეს.

სამგლოვიარო პროცესიას მეც მივყვებოდი.

გზაში ნოდარ წულეისკირის გვერდით აღმოვჩნდი.

"კოლხურ კოშკთან" რომ მივედი, კარი ჩაკეტილი დაგვხვდა და ჩვენ გარეთ დავრჩით.

ეზოში სამგლოვიარო მიტინგი გრძელდებოდა.

კონსტანტინე დაკრძალეს მირანდასა და თამარის გვერდით, რადგან მთაწმინდაზე ადრევე უარი ეთქვა, საქართველოს დამაქცევარის ფილიპე მახარაძის გვერდით არ დავიმარხებო...

ეპილოგი

გარდაცვალების შემდეგ

იქნება, ბევრი რამ იქნება,

მხოლოდ ამქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით.

გალაკტიონი

გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინეს სახელი დაერქვა პამირის ერთ-ერთ მწვერვალს, თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებს, სოხუმის თეატრს, საშუალო სკოლებს.

დაიწერა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, ესსეები, გამოკვლევები, მოგონებები, ლექსები.

დაიდგა თეატრალური და სატელევიზიო სპექტაკლები.

დაიბადნენ შვილიშვილები – ცოტნე და გიორგი, შვილიშვილის შვილები – დემეტრე და ზვიადი, გიორგი და თეონა.

ჩატარდა იუბილეები.

"მთვარის მოტაცება" აჟღერდა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე.

ძველ აბაშაში გაიხსნა სახლ-მუზეუმი.

გამოიცა რუსული რვატომეული, ქართული ათტომეული.

ვაკეში, ფალიაშვილის სკვერში დაიდგა მწერლის ძეგლი (თუმცა იგი უფრო "შემოდგომის აზნაურს" შეეფერება).

დაიწყო ოცტომეულის გამოცემა, შეიქმნა მისი სახელობის მრავალათასიანი საზოგადოება, უნივერსიტეტში დაარსდა მისი შემოქმედების შემსწავლელი კაბინეტი.

კონსტანტინეს ოცნება თავისუფალ საქართველოზე აღასრულა მისმა ვაჟმა – რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა.

მაგრამ რას წარმოიდგენდა "დავით აღმაშენებლის" ავტორი, თუ სამშობლოს თავისუფლებაზე მეოცნებენი, რომლებიც "კოლხურ კომპში" იკრიბებოდნენ და განადიდებდნენ კონსტანტინესა და ზვიადს, დაჩოქილი რომ სვამდნენ მათ სადღეგრძელოს, – საქართველოს დააქცევდნენ, ხოლო "კოლხურ კომპს" გაძარცვავდნენ და დასწვავდნენ...

ბოლოსიტყვა

კონსტანტინე გამსახურდიას სქემატური ბიოგრაფია მრავალ ლიტერატორს აქვს გადმოცემული. მაგრამ, გარდა ორიოდე ეპიზოდისა, არავის არაფერი უკვლევია.

ეს წიგნი არის პირველი ცდა.

მას ნაკლიც საკმაოდ ექნება, რადგან ჯერჯერობით უცნობია ბევრი მასალა, ოფიციალური თუ საიდუმლო. არ შეკრებილა, არ გამოქვეყნებულა ცნობილ პირთა ეპისტოლეები, არ დაბეჭდილა მემუარები.

პოლკოვნიკ ნაპოლეონ გადელიას ცნობით, სუკში კონსტანტინეზე აგენტურის მონაცემები განადგურდა 1961 წელს. ხოლო პირადი საქმე სუკის მინისტრის პირველი მოადგილის, გენერალ ავთანდილ იოსელიანის მტკიცებით, თბილისის ომის დროს დაიწვა. მისივე თქმით, დუბლიკატი რუსეთში არ ყოფილა გაგზავნილი.

ამიტომ ვისარგებლე სუკის არქივის იმ მცირე მასალით, რომელიც გადმომცა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის ივლისში.

ასევე ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა დიდი მწერლის პირადი არქივი.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ბიოგრაფიის მთავარი შტრიხები სწორადაა ნაჩვენები, რადგან ემყარება სხვა, სრულიად უცნობ მასალებს (რომლებიც დაცულია მწერალთა კავშირის, მეცნიერებათა აკადემიის, ლიტერატურისა და ხელოვნების, ქუთაისის ცენტრალურ და სხვა არქივებში), ქართულ და რუსულ პრესას, თანამედროვეთა და თავად ავტორის მოგონებებს, ეპისტოლეებს...

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების გასაღები მისივე ბიოგრაფიაა.

1996 წელი, სექტემბერი-დეკემბერი